

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ნინო მეგენიშვილი  
ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ-  
ტექსტოლოგიური ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნესტან სულავა*

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,*

*პროფესორი*

ახალციხე  
წელი

2021

## განაცხადი

ნინო მეგენეიშვილი ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

თარიღი

## სარჩევი

ანოტაცია ქართულ ენაზე -----	5
ანოტაცია ინგლისურ ენაზე -----	7
შესავალი -----	9-32
საკვლევითი პრობლემა და მისი აქტუალობა -----	9
კვლევის მიზანი -----	14
საკვლევითი საკითხები -----	17
კვლევის მეთოდოლოგია -----	22
ძირითადი წყაროები და ლიტერატურა -----	25
<b>I თავი: დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა და ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა -----</b>	<b>33-66</b>
გარეჯის ლიტერატურული სკოლა -----	33
ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფია. დაბადება -----	36
კათალიკოსობა და გარდაცვალება -----	38
საზოგადოებრივი მოღვაწეობა -----	47
შემოქმედება -----	50
<b>II თავი: „გრდემლის“ ხელნაწერები და რედაქციები -----</b>	<b>67-77</b>
<b>III თავი: ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში -----</b>	<b>78-124</b>
ქართულ-დასავლური ურთიერთობის ისტორიიდან -----	78
ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა ქართულ მწერლობაში -----	109
<b>IV თავი: „გრდემლის ტექსტოლოგიური ანალიზი -----</b>	<b>125-215</b>

თხზულების სტრუქტურა -----	125
სული წმინდის გამოსვლა მამისაგან (filioque) -----	149
პაპიზმი -----	168
განსაწმენდელის არსებობა -----	189
ლიტურგიკული სხვაობა -----	195
<b>ძირითადი დასკვნები -----</b>	<b>215-225</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>226-245</b>
<b>დანართი 1. წერილები ტყვეთა სყიდვის თაობაზე -----</b>	<b>246</b>
<b>დანართი 2. ბესარიონ ორბელიშვილის წერილი ვახტანგ VI-ეს- -----</b>	<b>249</b>
<b>დანართი 3. წყაროებში დაცული ცნობები გარეჯულ ხელნაწერ</b> <b>მემკვიდრეობაზე-----</b>	<b>251</b>
<b>დანართი 4. „გრდემლის“ შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა--</b>	<b>277</b>
<b>დანართი 5. ბესარიონ კათალიკოზი - აღსარება სარწმუნოებისა -</b>	<b>362</b>
<b>დანართი 6. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს</b> <b>მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკლესიისა. ამინ!</b>  -----	<b>366</b>
<b>დანართი 7. კრება ფლორენციისა -----</b>	<b>398</b>

## ანოტაცია

ბესარიონ ორბელიშვილი XVIII საუკუნის მოღვაწეა. ის იყო არა მარტო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, არამედ მწიგნობარიც - დამკვეთი, გადამწერი, ორიგინალური თხზულებების ავტორი, მან დაწერა ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური ტრაქტატი „გრდემლი“, რომელშიც ვრცლად, პუნქტობრივადაა განხილული განსხვავება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის. უფრო სწორად, თხზულება არის „სიტყვისგება“ ფლორენციის საეკლესიო კრებაზე განხილულ საკითხთა შესახებ. ფლორენციის კრება კი უკიდურესად დიდი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან წერტილი დაუსვა ბიზანტიის იმპერიას, კონსტანტინეპოლი აქცია სტამბოლად, აია სოფიას შეუცვალა სტატუსი ეკლესიიდან მეჩეთამდე. ამდენად, კრება, თეოლოგიური პოლემიკის მიუხედავად, იყო პოლიტიკური ბრძოლის არენაც. ეს აისახა ქართულ რეალობაზეც, რადგან ისტორიული მოკავშირის გაქრობის, ბიზანტიის დაცემის თუ შიდაპოლიტიკური კრიზისის გამო საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა დამოუკიდებელ ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შევისწავლეთ: 1. ქართულ მწერლობაში დაცული ორიგინალური და ნათარგმნი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები. ყველა მათგანი XVIII საუკუნით თარიღდება, მანამდე ნათარგმნი ქართულ მწერლობაში ანტიპაპისტური შინაარსის ერთი თხზულების გარდა - ევსტრატე ნიკიელის „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი, და რაჲსთვის საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ - კვალი არ ჩანს, ასევე მწირია საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის ამსახველი ისტორიული სურათის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. დასავლეთის კათოლიკური სამყაროს დაინტერესება საქართველოთი და ამიერკავკასიით გაცილებით ადრე, XIII საუკუნიდან, იწყება, ცხოველდება და მისი მასშტაბები ფართოვდება შემდგომ საუკუნეებში. არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს ქმნიდა; 2. გარეჯის ლიტერატურატურული სკოლა. იმ დროისთვის ის იყო მსხვილი სამეცნიერო კერა, თავისი ინფრასტრუქტურითა და მოღვაწეებით: კალიგრაფებით, მთარგმნელებით, მხატვრებითა და მკვლევრებით, ასევე ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება,

შემოქმედებითი გზა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. საინტერესოა ბესარიონის ბიოგრაფია. ბესარიონ ორბელიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, რაც მთავარია, დიდი მწიგნობარი; 3. განვიხილეთ „გრდემლის“ რედაქციები და ნუსხები. ჩვენამდე მოღწეულ ფონდებში „გრდემლი“ შემორჩენილია თორმეტ ხელნაწერ წიგნში. განირჩევა ვრცელი და მოკლე რედაქცია. არსებობს ვრცელი რედაქციის ათი ნუსხა და ერთი - მოკლე რედაქციისა; 4. დისერტაციის ფარგლებში ვრცელი ანალიზია „გრდემლში“ განხილულ თეოლოგიურ-დოგმატურ საკითხებსა და ხაზგასმულია ბესარიონ ორბელიშვილის დამოკიდებულება ფლორენციის კრების მიმართ და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების განსხვავების თაობაზე. თხზულებაში ვრცალადაა მიმოხილული ფლორენციის კრებაზე განხილული საკამათო თეოლოგიური საკითხები: აზრთა სხვადასხვაობა სულიწმინდის გამომავლობაზე ე.წ. filioque-ს საკითხთან დაკავშირებით; პაპის უფლებრივი პრიმატობის აღიარება საეკლესიო იერარქიაში; განსაწმედელის, როგორც შუალედური საფეხურის, არსებობა; ზიარების საიდუმლოს, ხმიადითა თუ უფუარით ზიარება; ნათლისღების განსხვავებული ლიტურგიკული მიმდინარეობა, მათ შორის დედათა უფლებრივი სხვაობა ნათლისღების აღსრულებისას; ლოცვის, მარხვის სხვადასხვაგვარად აღსრულება; მსჯელობა ყოფილა ტაძარში საკურთხევლის ადგილთან დაკავშირებით და ტაძარში ცხოველთა შეყვანაზეც კი. ბესარიონ ორბელიშვილის არგუმენტაცია ძირითადად ემყარება ბიბლიურ წიგნებს, წმიდა მამათა მოსაზრებებსა და საეკლესიო კრებების აქტებს.

დისერტაციაში ნაჩვენებია, როგორ აფასებდნენ ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას გვიანდელი (XVIII-XIX სს.) მოღვაწენი, კერძოდ: ანტონ კათალიკოსი, იოანე ბატონიშვილი, პოლიევქტოს კარბელაშვილი და სხვები.

## Annotation

Besarion Orbelishvili is the figure of XVIII century. He was not only bishop of Georgian church, but bibliophile as well. He was copyist and author of original stories. He wrote large anti-Catholic controversial treatise „Grdemli“, where the difference between the Western and Eastern churches is discussed in detail. More precisely, the work is a „speech“ on the issues discussed at the ecclesiastical assembly in Florence. The Council of Florence was of extreme epochal importance, that put an end to Byzantine Empire changed Constantinople into Istanbul, changed Hagia Sophia's status from a church to a mosque, so the congregation, despite the theological controversy, was also an arena of political struggle. This was reflected on the Georgian reality as well. Due to the disappearance of a strategic partner, the fall of Byzantium or the internal political crisis, the united state of Georgia was divided into the independent kingdoms of Kartli, Kakheti, Imereti and Samtskhe.

Within the dissertation we included: 1. Original and translated anti-Catholic polemical works preserved in Georgian literature, all of them date back to the XVIII century, before that there are no signs of translated works of anti-pope content in Georgian literature except the work of Eustatius Nikieli „A Short Story of the Romans and Their Church Separating from the Eastern Church“, the source of relations between Georgia and the West is also scarce. The interest of the Western Catholic world in Georgia and the Transcaucasia begins much earlier, in the XIII century, comes to life and expands in the following centuries. The current political crisis provided a fertile ground for its progress; 2. Gareji Literary School and the life, creative path. At the time, it was a major scientific hub, with its own infrastructure and figures: calligraphers, translators, artists, and researchers and public activity of Besarion Orbelishvili. The biography of Besarion is interesting. Besarion Orbelishvili was the pastor of the Georgian Church, and most importantly, a great scribe; 3. Discussed the editions and lists of „Grdemli“. „Grdemli“ is preserved in twelve manuscript books in the funds that have reached us. Extensive and short editions are distinguished. There are ten lists of extensive editions and one of short editions; 4. The dissertation includes extensive analysis of the theological-dogmatic issues discussed in „Grdemli“ and emphasizes Besarion Orbelishvili's attitude towards the Church of Florence and the difference between the churches of the

West and the East. The controversial theological issues discussed at the Council of Florence are discussed in detail in the work: Differences of opinion on the manifestation of the Holy Spirit on the issue of the so-called filioque; Recognition of the pope's legal primacy in the ecclesiastical hierarchy; The existence of a purifier as an intermediate stage; The sacrament of holy communion, the sacrament of communion or unleavened bread; The different liturgical course of the Epiphany, including the difference in the rights of mothers during the performance of the Epiphany; Different execution of prayer, fasting; There have been discussions about the location of the altar in the temple and even the entry of animals into the temple. Besarion Orbelishvili's argument is mainly based on biblical books, the views of the Holy Fathers and the acts of the ecclesiastical assemblies.

The dissertation shows how Besarion Orbelishvili's work and state activity were evaluated by his later (VXIII-XIX) figures - Catholicos Anton, Ioane Batonishvili, Polievktos Karbelashvili and others.



## შესავალი

### 1. საკვლევი თემის პრობლემა და მისი აქტუალობა.

საქართველოს ისტორიაში შუა საუკუნეები პოლიტიკური სიჭრელითა და დრამატიზმით გამორჩეული ხანაა. სამეფოებად დაყოფილი პატარა ქვეყანა პოლიტიკური თანამოაზრის, ე.წ. პოლიტიკური მოკავშირის, ძიებაში უამრავ გაუგებრობასა და სიძნელეს აწყდებოდა. პოლიტიკურ მეგობარს კი ეძებდნენ ყველგან – დასავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში. მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტაც მხსნელს ელოდა დანარჩენი მსოფლიოდან, მხოლოდ ერთეულები ხვდებოდნენ, რომ არ არსებობს მეგობრობა სახელმწიფოებს შორის კონკრეტული შეთანხმების გარეშე და ამგვარ შეთანხმებას, მით უფრო დასუსტებული სახელმწიფოსთვის, ჰქვია გავლენიანი, სტატეგიული პარტნიორის პრიმატობა. ეს მარტივი პოლიტიკური ფორმულა განსაკუთრებით თვალსაჩინო აღმოჩნდა ფერარა-ფლორენციის კრებაზე. სწორედ გავლენების აღიარება-არაღიარებამ გადაწყვიტა კონსტანტინეპოლის ბედი. ის აღმოჩნდა არამარტო მართლმადიდებელი სამყაროს მიღმა, არამედ სრულიად ქრისტიანულმა სამყარომ დაკარგა მეორე რომად წოდებული ქრისტიანული სამყაროს იდეოლოგიური ბურჯი. ამ დანაკარგმა საქართველო აქცია არა ქრისტიანული სამყაროს ყურედ, არამედ დატოვა მუსლიმური ქვეყნების გარემოცვაში, ის დარჩა მოკავშირის გარეშე. ასეთ ვითარებაში და გეოპოლიტიკურ კომბინაციაში სასწრაფოდ მოსამებნი იყო ახალი პოლიტიკური „თანამოაზრე“ თუ მოკავშირე.

საქართველოში იყვნენ როგორც აღმოსავლური, ისე ჩრდილოური და დასავლური პოლიტიკური გემოვნებისა და ორიენტაციის მომხრე პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები. ყველა პოლიტიკურ მიმართულებას ჰქონდა გარკვეული სახის დადებითი და უარყოფითი მომენტებიც. აღმოსავლეთი ძველი, გამოცდილი მეტოქე იყო და, გარკვეულწილად, ნაცნობი პოლიტიკური გემოვნების, იდეოლოგიის, სტრატეგიისა და სამხედრო შესაძლებლობების მქონე; რუსეთი ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი სახელმწიფო გახდა სარწმუნოებრივი ერთობის გათვალისწინებით, დასავლეთი კი იყო ორგვაროვანი - ქრისტიანული, მაგრამ არა მართლმადიდებელი და ლიბერალი, არამოდალადე, უახლესი მეცნიერული ცოდნით და სააქიმო შესაძლებლობებით გამორჩეული, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა

დაუსრულებელ ბრძოლებში ჩართულ ქვეყანას. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესო და საფრთხილო აღმოჩნდა პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობა დასავლეთთან. იგი ქართულ სინამდვილეში, ყოფაში, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში შემოვიდა მახვილის გარეშე. მოვიდნენ მოგზაურები, მისიონერები, ინჟინრები, ექიმები. ქართველებისთვის ევროპა ჯერ საკმაოდ უცნობი კულტურის, აბსოლუტურად განსხვავებული ტრადიციებისა და რელიგიური ცნობიერების ხალხის ერთობას წარმოადგენდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ნელ-ნელა დაიწყო ქართველებში სარწმუნოებრივი რყევა მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ რეგიონებში, ე.წ. მუსლიმურ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ კი კათოლიკე მრევლი მომრავლდა საქართველოს მსხვილ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში: გორში, ქუთაისში და ა.შ. ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი, უფრო კი ტენდენცია, მიიღო. განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ თვალსაზრისით მე-17 საუკუნე აღმოჩნდა, რასაც არც უარყოფდნენ დასავლური იდეოლოგიის მიმდევრები. მ. თამარაშვილი აღნიშნავდა: *„ჩვენი აზრით ეს საუკუნე (იგულისმება XVII ს.) უნდა შეირაცხოს კათოლიკობისათვის ერთ საუკეთესო ხანად, რადგან, როგორც ვნახეთ, პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩა. საქართველოს ყველა კუთხეში კათოლიკობას ქართველებმა მტრობა კი არ დაუწყეს აღმოსავლეთის სხვა ერთა მსგავსად, არამედ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინეს. თუ საქართველო ერთიანად ვერ შეუერთდა რომის ეკლესიას, რაზედაც ერთ ორ გზის მოიწადინა, არ აუკრძალავს მაინც, რომ ქართველებს, ვისაც კი უნდოდა, მიეღო მისი სარწმუნოება. ამიტომ ამ გაკათოლიკებულ ქართველების რიცხვში არა მარტო მდაბიო ერის კაცი, არამედ საქართველოს თვით უწარჩინებულესნი პირნიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, ბარძიმ ერისთავი, გიორგი მეფე, ლევან დადიანი, ექვთიმე მთავარ-ეპისკოპოსი, დიდად განათლებული ალავერდელი და სხვაც ბევრი მათი მსგავსი“* [თამარაშვილი. 1902:297]. მიხეილ თამარაშვილი გულწრფელად აღნიშნავს, რა იყო დასავლეთის მიზანი საქართველოში, ქართული ეკლესიის ვატიკანზე დაქვემდებარება, ყველა დანარჩენი აქტივობა კი დასახული მიზნისკენ მისასვლელი გზა და სტრატეგია იყო.

სახელმწიფოს საფუძველი არის ქვეყნის იდეოლოგია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ერის თვითმყოფადობას, ტრადიციულ ღირებულებებსა და კულტურულ ფასეულობებს. იდეოლოგიას ქმნის კულტურა, განათლება, მეცნიერება. XVIII საუკუნეში დასავლური იდეოლოგიის მასობრივმა პოპულარიზაციამ და პროპაგანდამ ერთგვარად გააუფერულა ტრადიციული ღირებულებები და აუცილებელი გახდა არსებული ეკლესიური, ეთნიკური და, უბრალოდ, საერო ყოფაში ყოველდღიური ქცევის ნორმად მიღებული ტრადიციების ღირებულებების ახსნა და ერთგვარი დაცვა. ამიტომაც მომრავლდა ანტიკათოლიკური შინაარსის ლიტერატურა, სადაც ავტორები ცდილობდნენ, აეხსნათ ორთოდოქსული კონფესიის საფუძვლები, შინაარსი და მიზანი. ინფორმაციის, უფრო სწორად, საინფორმაციო სივრცის არარსებობის პირობებში ევროპა საქართველოს სხვადასხვა იერარქიისა და სოციალური სტატუსის მქონე მოსახლეობაში ჩანდა როგორც პროგრესული, თანამედროვე მეცნიერული, ტექნოლოგიური შესაძლებლობების სივრცე, ამავე დროს აღმოსავლელი მეტოქეებისგან დასავლეთი არაძალისმიერი, ჰუმანური მეთოდებით გამოირჩეოდა. ამას ემატებოდა სარწმუნოებრივი სარჩულიც, მართალია, არამართლმადიდებლური, მაგრამ მაინც ქრისტიანული.

საქართველოს გაერთიანება და ძლიერი სტრუქტურების, ინსტიტუციების შექმნის პერსპექტივა შორეულ მომავალშიც ძნელად იკვეთებოდა. საქართველოთი დაინტერესებულ პოლიტიკურ სუბიექტთა სწრაფვა კი ძლიერდებოდა. იცვლებოდა პოლიტიკური ქცევის სტრატეგია, ეს არ იყო მხოლოდ მახვილით გავლენის მოპოვება, ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება იყო, მასების ინფორმირების საშუალებით. საინფორმაციო ველად მაშინ ითვლებოდა სხვადასხვა სივრცე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, მათ შორის ეს იყო კულტურულ-საგანამათლებლო სივრცე. ასეთი კერები ჯერ კიდევ ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა.

თუკი ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სახელმწიფოს გაერთიანებასა და პოლიტიკურ სტაბილიზაციას, მაქსიმალურად ცდილობდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერების განვითარებას. ამას მოწმობს სტამბის გახსნა თბილისში 1709 წელს, დავით-

გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებობა, რომელიც იყო არა მარტო კალიგრაფიული ცენტრი, ადგილი, სადაც გადაწერდნენ ხელნაწერებს, არამედ ეს იყო აკადემიური გაერთიანება, კორპორაცია, მსხვილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი.

გარეჯული კერა VI საუკუნეში ჩამოყალიბდა და ის იყო ბოლო ლიტერატურული გაერთიანება საქართველოში, რომელიც სამონასტრო კერებთან არსებობდა. მან XVIII საუკუნის ბოლომდე იარსება. ამის შემდგომ კი საქართველოში დაიწყო საერო, სალონური ლიტერატურული ცხოვრება. ეპოქალური ცვლილებები გარეჯულ ცხოვრებაზეც აისახა და ის რამდენჯერმე ტრანსფორმირდა. XVII საუკუნის დავით გარეჯში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ სკოლას კი თავისი გამოკვეთილი სახე და განმსაზღვრელი ნიშნები ჰქონდა, რაც შეპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი ვითარებით. იგი სამი მიმართულებით მუშაობდა: 1. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (ხელნაწერების შექმნა-გამრავლება, ბიბლიოთეკების დაარსება, ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება). 2. ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების დამუშავება; 3. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის შექმნა.

XV საუკუნის ისტორიულმა მოვლენებმა, ფლორენციის კრებამ და კონსტანტინეპოლის დაცემამ, სრულიად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი. ეს აისახა გვიანი შუა საუკუნეების სახელმწიფოთა მდგომარეობაზე მყისიერადაც და ეტაპობრივადაც, წლების, საუკუნეების განმავლობაში. წარმოიშვა სხვა რეალობა, ზოგისთვის საოცნებო პერსპექტივის მაჩვენებელი, ზოგისთვის - საგანგაშო. ამ უკანასკნელთა რიგში აღმოჩნდა საქართველოც, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დაცემიდან მალევე დაიშალა მცირე სახელმწიფო ერთეულებად და დარჩა ეული „ყურე“ მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში პოლიტიკური, იდეოლოგიური მოკავშირის გარეშე. ეს იყო იდეოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური კრიზისის გრძელვადიანი პერიოდის დასაწყისი, რომლის შედეგი ხშირ შემთხვევაში იყო უმძიმესი და შეუქცევადი, ამიტომაც სასწრაფოდ უნდა გადადგმულიყო ანტიკრიზისული შემხვედრი ნაბიჯები. იდეოლოგიურ ფრონტზე ეს ვალდებულება იკისრა გარეჯის ლიტერატურულმა სკოლამ და მისმა მწიგნობართა ჯგუფმა, მათ შორის იყო ბესარიონ ორბელიშვილი. შეიქმნა ორიგინალური

აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული შინაარსის თხზულებები, რომლებსაც უნდა გაეცოცხლებინათ საზოგადოებაში მიძინებული ან გამქრალი რწმენა, იმედი, მომავლისათვის, ზრდოლის მიზანი და სურვილი.

დავით გარეჯის ცენტრს გათავისებული ჰქონდა ის ეპოქალური პრობლემები, რომლებიც აწუხებდა ქართველ ხალხს, და ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას მათ გადაწყვეტაში. ეკლესიამ, როგორც იდეოლოგიის მძლავრმა და ერთ-ერთმა მთავარმა იარაღმა, და დავით გარეჯის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულმა ცენტრმა, როგორც მისმა აქტიურმა ნაწილმა, თვითონ აიღო პასუხისმგებლობა ხალხში ეროვნული მუხტის, ცნობიერების ამაღლების, რწმენისა და მამულისთვის თავშეწირული ადამიანების ღვაწლის დაფასებისა და წინ წამოწევის, აღწერის გზით. ეს იყო პოლიტიკურ-სოციალური შინაარსის აქცია, საკმარისი აღარ იყო ფაქტების მხოლოდ მეტაფრასული ენამჭევრობით გადმოცემა, არამედ წმინდანად შერაცხულთა ცხოვრება ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა შეფასებულიყო. ამ მიზნით მათ ხელი მიჰყვეს ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ანთოლოგიების, რომელთაც „სადღესასწაულოები“ ეწოდა, შედგენას. მობილიზებულ იქნა გარეჯული სკოლის მთავარი ინტელექტუალური ძალა, მათ შორის იყო დომენტი, შემდგომში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, ონოფრე მაჭუტაძე, გაბრიელ საგინაშვილი, ბესარიონ ორბელიშვილი, მისი ძმა სიმონი და სხვები. ეპოქამ მოიტანა იმის აუცილებლობაც, სწორად შეფასებულიყო მოძალადე მეტოქეც და იდეოლოგიური ოპონენტიც. ეს უკანასკნელი მისია, სწორედ პოლემიკური ლიტერატურული მიმდინარეობის დანიშნულება იყო. პოლემიკური მიმართულება ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია, რამდენადაც ქრისტიანობას (ისევე როგორც სხვა კონფესიებს) ადრიდანვე გაუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომელთა განეიტრალება პოლემიკური მწერლობის ამოცანა გახდა. ქართულ პოლემიკურ მწერლობას პასუხი უნდა გაეცა არა მარტო არაქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობებისთვის, არამედ ქრისტიანული კონფესიების, მათ შორის კათოლიკეთა, შემოტყვევებისთვისაც, რამდენადაც კათოლიკე მისიონერები XVII-XVIII საუკუნეებში ძალზე მომრავლდნენ საქართველოში. მათმა დიპლომატიურმა მოქმედებამ, რომლის უკან დასავლური იდეოლოგიის, მათ შორის რელიგიური (კათოლიკური) პროპაგანდა იმალებოდა, საფრთხე შეუქმნა

მართლმადიდებლობას. დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავდა სპეციალური ნაშრომის შექმნის აზრი, რომელიც ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე აუხსნიდა საზოგადოებას იდეურ და ტრადიციულ ნორმათა სხვაობას ქართველებისთვის კათოლიკურ და მართლმადიდებლურ რელიგიებს შორის. მისი დაწერა დაევალა იმ დროისათვის ცნობილ საეკლესიო მწერალს, ბესარიონ ორბელიშვილს. მან წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას, დაწერა დიდი მოცულობის ნაშრომი, ტრაქტატი „გრდემლი“, რომელიც ყველაზე სრული ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ქართულ ენაზე. წიგნში განხილულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული დოგმატურ-თეოლოგიური საკითხები. ყოველი საკამათო დებულება განმტკიცებულია საღვთო წერილისა და ცნობილი საეკლესიო მამების ციტატების მოხმობით. „გრდემლი“ დიდად პოპულარული იყო ძველ საქართველოში. არსებობს „გრდემლის“ 12 ნუსხა, ათი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791, S-286, 1596, 3269, Q-92] და თითო ქუთაისის [K-130] და გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში [გეისმ-114].

## 2. კვლევის მიზანი

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ დაიწერა ფერარა-ფლორენციის კრებაზე<sup>1</sup> მიღებული თეოლოგიურ-დოგმატური გადაწყვეტილებების საპასუხოდ, შედეგების ასახსნელად. „გრდემლში“ პუნქტობრივად და თანმიმდევრულად არის საუბარი, მსჯელობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების სხვაობაზე, მართლმადიდებლური საქართველოს ყოველდღიურ ეკლესიურ და ყოფით ცხოვრებაში გარდასახულ ტრადიციულ ნორმებზე. ვეცადეთ, ამომწურავი ინფორმაცია მოგვეძიებინა ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ შუა საუკუნეების ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების, გარეჯის ლიტერატურული სკოლის, იქ მოღვაწე მამების, ასევე, ბესარიონ ორბელიშვილის

---

<sup>1</sup> კრება ცნობილია ორმაგი, ფერარა-ფლორენციის, სახელით, თუმცა ქართულ წერილობით ძეგლებში ის მოიხსენიება ერთ-ერთი სახელით - ან ფლორენციის კრება, ან ფერარას კრება.

შესახებ და გაგვერკვია „გრდემლის“ ტექსტოლოგიური თავისებურებები, დაწერის მიზეზები და მიზნები, ეპოქის გავლენა ცალკეული პიროვნების მსოფლმხედველობისა და, ასევე, სახელმწიფოს სამომავლო პერსპექტივის ჩამოყალიბებაზე. ვეცადეთ, მოგვეძიებინა ცნობები ქართულ წერილობით ძეგლებში ფლორენციის კრების შესახებ. სამწუხაროდ, ქართული წყაროთმცოდნეობა, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ღარიბია. შესაძლოა, ქართველი მემატიანეები მკაცრი პოლიტიკური კონიუნქტურის და აკადემიურობის დაცვით ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ უფრო დიპლომატები, ვიდრე ისტორიული ფაქტების აღმწესხავნი, რადგან არ არსებობდა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მოკავშირე - ბიზანტია, ხოლო ახალი ჯერ არ იყო გამოკვეთილი. ქართული სენსიტიური ხასიათი არჩევანის საშუალებას მნიშვნელოვნად ზღუდავდა, რადგან მუსლიმური სამყარო, დამპყრობელი, კატეგორიულად მიუღებელი იყო, იმპერიული აღმავლობის გზაზე დამდგარი მართლმადიდებლური რუსეთი უკვე ამჟღავნებდა დამპყრობლურ ხასიათს და საკუთარ გამოკვეთილ ინტერესს კავკასიის, კერძოდ, საქართველოს, მიმართ, ევროპა კი იყო არა ერთი სახელმწიფო, არამედ ნახევარი კონტინენტი კათოლიკურ და სხვა ქრისტიანულ კონფესიათა მიმდევარი სახელმწიფოებით. ამიტომ ევროპა ქართველებისთვის ასოცირდებოდა კათოლიკეთა ცენტრის, ვატიკანის კართან. შესაძლოა, მემატიანეების სიფრთხილე ინფორმაციის აღწერისას სწორედ სამომავლო პოლიტიკურ სურვილებს და ქართულ-დასავლურ სტრატეგიულ ურთიერთობებს უკავშირდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ თამარაშვილიც კი დუმს ფლორენციის კრებასა და ქართველების მონაწილეობაზე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის“.

ბესარიონის ვრცელი ტრაქტატი, კონტექსტის გათვალისწინებით, პოლემიკურ ჟანრს განეკუთვნება. პოლემიკური მწერლობის მიზანი კი არის, მყარი არგუმენტაციის საფუძველზე ახსნას პრობლემის არსი და დაასაბუთოს წარმოდგენილი პოზიცია. არგუმენტაცია უნდა იყოს დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი, ამიტომაც ამგვარ თხზულებებში მკაცრი აკადემიური ხარისხის დაცვით იზომებოდა ფრაზები და ემყარება მდიდარ ინტელექტუალურ რესურსს. პოლემიკური თხზულებების ოპონენტად აღიქმებოდა არა მარტო ლიტერატორ-პოლემიკოსი, თეოლოგი ან სასულიერო პირი, არამედ მთელი სახელმწიფო

ინსტიტუცია. ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა შუა საუკუნეების ანტიკათოლიკური შინაარსის ლიტერატურული ძეგლებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია, ჩვენ დავამუშავეთ ნაწილი და ამჟამად გადაცემულია გამოსაცემად, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი.

**ნაშრომს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** თეორიული მნიშვნელობა არის ისტორიული სურათის ჩვენება, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველებში დიპლომატიური, ე.წ. ლიბერალური მეთოდებით თუ ძალისმიერი, მახვილით, სისხლით რწმენის შერყევას, ქართველებში დამკვიდრებული, ჩამოყალიბებული ტრადიციების ცვლილებას, რომლის ფუნდამენტი და ხასიათი მართლმადიდებლურ დოგმატებზე, კანონებსა და ნორმებზე აშენდა, ეს კი, ფაქტობრივად, ეროვნული ავტენტობისგან ტრანსფორმირებას, იდენტობის შეცვლას ნიშნავდა. თხზულებებში ნაჩვენებია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის სხვაობის ანალიზი დოგმატურ და თეოლოგიურ კონტექსტში, ახსნილი წმიდა მამათა შრომებით, წმიდა წერილის დამოწმებითა და ბიბლიური ციტატებით. ამგვარ მსჯელობას კი უდიდესი გავლენა უნდა მოეხდინა შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაზე.

პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს, ის რომ დისერტაციის ფარგლებში მომზადდა და გამოსაცემად გადაეცა გამოუქვეყნებელი თხზულები „განდგომილებისათვის რომისა, ოდეს ისინი განდგნენ მართლმადიდებლობისაგან“ და „ფლორენციის კრება“, ასევე, გამოსაცემად მზადდება „გრდემლის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი.

ცნობილია, XVII-XVIII საუკუნეებში გარეჯის მონასტერს ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ხელნაწერი წიგნები. ამ ფონდით უნდა ესარგებლა „გრდემლზე“ მუშაობისას საქართველოს მომავალ მწყემსმთავარს, რომელიც მდიდარია დამოწმებული ლიტერატურით. ხელნაწერი ფონდის შექმნა დიდ შრომას, ცოდნას და ფინანსურ რესურსს მოითხოვდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული გარეჯელი მამები, მათ შორის ბესარიონ ორბელიშვილი, და საერო ელიტა. ამგვარი აქტივობა, განადგურებული ბიბლიოფონდის აღდგენა-შევსება, რაც აუცილებელი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, ახასიათებს ბესარიონის როგორც მენეჯერულ შესაძლებლობებს, ასევე მის მსოფლმხედველობას, რადგანაც



მას კარგად ესმოდა ინტელექტუალური რესურსის ძალა, ფუნქცია სახელმწიფოს შენებისას. ამიტომაც ნაშრომში საუბარია იმ წერილობით წყაროებზე, რომელშიც დასტურდება გარეჯის სკოლის ხელნაწერი ფონდის შესწავლა-აღწერა, რაც შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა და მეტი აკადემიური საფუძველი შეიძინა. ამის მოთავედ კი ქართველ საზოგადო მოღვაწეებს სწორედ ბესარიონ ორბელიშვილი მიაჩნდათ. [მდ. მიხეილ ხელაშვილი, გაზეთი „ივერია“ №208, 1886]. ნაშრომში არის მცდელობა, თავი მოვუყაროთ ცნობებს ბესარიონ ორბელიშვილზე, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, რომლებიც დაცულია წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში.

ნაშრომის ფარგლებში დეტალურად შევისწავლეთ ნათარგმნი და ორიგინალური ანტიკაპისტური ძეგლები, ასევე „გრდემლის“ რედაქციები და ნუსხები და ტექტოლოგიურ-ენობრივი (სინტაქსურ-მორფოლოგიურ-ფონოლოგიური) სხვაობები მათ შორის.

თემის აქტუალობისა და სენსიტიურობის გამო, მსჯელობის მეთოდოლოგიაში, კვლევითი სტრუქტურის აგებაში „დავესესხეთ“ ბესარიონ ორბელიშვილს - ანალიზი აგებულია წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში გაბნეული ინფორმაციის სწორ, ლოგიკურ, ქრონოლოგიურ, თემატურ, არსობრივ დალაგებასა და ჩვენი პოზიციის, შეფასების გამოხატვაში.

### **3. საკვლევი საკითხები**

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსის თხზულების, ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ ანალიზს, რომელიც შეიქმნა დავით-გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში. ამიტომ დისერტაციის ფარგლებში განვიხილავთ დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის ისტორიასა და მნიშვნელობას, შევისწავლეთ ავტორის, ბესარიონ ორბელიშვილის, ცხოვრება და მოღვაწეობა, შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში დაცულ ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსის ლიტერატურა, „გრდემლის“ რედაქციები და ნუსხები და გავაკეთეთ მათი არქეოგრაფიული აღწერილობა, დისერტაციის ბოლოს ვრცლად არის განხილული „გრდემლის“

ტექსტოლოგიური თავისებურება. შესაბამისად, დისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართებისაგან.

შესავალში მიმოხილულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ნაშრომის მიზნები და ამოცანები, ჩამოთვლილია სამეცნიერო სიახლეები, გამოყენებული წერილობითი წყაროები და სამეცნიერო პუბლიკაციები.

დისერტაციის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილი გვაქვს ოთხი თავის სახით.

პირველ თავში საუბარია დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრებისა და ლიტერატურული სკოლის დაარსებაზე, მის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციასა და მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში, ასევე, „გრდემლის“ ავტორ ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ბესარიონის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები მწირია. ის იყო ორბელიშვილ-ბარათაშვილთა დიდი გვარის წარმომადგენელი. უცნობია მისი დაბადების, ხოლო საექვო - გარდაცვალების თარიღი. მან მოღვაწეობა დაიწყო გარეჯში, კონკრეტულად, იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. იყო დიდი მწიგნობარი, ორიგინალური თხზულებების ავტორი, გადამწერი, მომგებელი, ხელნაწერი ფონდების აღმდგენი, მან აღადგინა და შეავსო გარეჯის განადგურებული ხელნაწერი ფონდი უმძიმეს ვითარებაში, მისი მონაწილეობით შეიქმნა ლიტურგიკული, ჰიმნოგრაფიული და აგიოგრაფიული კრებულები, ასევე ბესარიონ ორბელიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის თავი ქართლის ცხოვრების ურთულეს ეტაპზე, იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ მედიაში [ჟურნალი „ივერია“, №207, 1886, „დროება“ №48, 1879] შემონახული მწირი ცნობები სრულად არ ასახავს მის ღვაწლს, ხშირ შემთხვევაში (კათალიკოსად კურთხევა, გარდაცვალება) ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია.

მეორე თავში დეტალურადაა მიმოხილული „გრდემლის“ რედაქციები და ნუსხები. ჩვენამდე მოღწეულია „გრდემლის“ ორი, მცირე და ვრცელი, რედაქცია და თორმეტი ნუსხა. მცირე რედაქცია მოღწეულია ერთი ხელნაწერით, ხოლო დანარჩენი თერთმეტი არის „გრდემლის“ ვრცელი რედაქცია. უმრავლესი ხელნაწერის აღწერილობა შესრულებული იყო ათწლეულების წინ, მაშინ, როცა ხელნაწერთა ინსტიტუტი არ იყო ცალკე ინსტიტუცია და წარმოადგენდა მუზეუმის ერთ-ერთ

განყოფილებას, მხოლოდ ერთი, გორის სერგი მაკალათიას სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული, ხელნაწერის აღწერილობაა შესრულებული 2002 წელს, თუმცა ამის შემდგომ მას ჩაუტარა რესტავრაცია, და ხელნაწერმა განიცადა გარკვეული არქეოგრაფიული ცვლილება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამდენად დისერტაციის ფარგლებში თანამედროვე სტანდარტით გაკეთდა ხელნაწერთა ახალი, დეტალური არქეოგრაფიული აღწერილობა, რომელიც არ წარმოადგენს უკვე არსებულის განმეორებას. აღწერილობები დისერტაციას ერთვის დანართის სახით. ამავე თავში საუბარია რედაქციულ სხვაობებსა და ენობრივ, ფონემატიკურ თავისებურებებზე. თხზულება გამოცემულია ერთი ხელნაწერის S-3269-ის მიხედვით ზაზა მამულაშვილის მიერ.

მესამე თავში ვრცლადაა მიმოხილული ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცული ანტიპაპისტური ნათარგმნი და ორიგინალური თხზულებები. სამამულო ხელნაწერი ფონდი არ გამოირჩევა ამ მიმართულების თხზულებების სიმრავლით. ყველაზე ადრინდელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკათოლიკური თხზულება „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი, და რაჲსთჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს, რომელიც დაცულია „არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“.

რაკი, „გრდემლი“ ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებაა და ის ფლორენციის კრების საპასუხოდაა შექმნილი, ხოლო ევსტრატი ნიკიელის თხზულება გაცილებით ადრე, ფერარა-ფლორენციის კრებამდეა შექმნილი. ამიტომ „გრდემლში“ მიმოხილული ორი ეკლესიის დოგმატურ-თეოლოგიური სახესხვაობა განსხვავებულადაა წარმოდგენილი. არსენ იყალთოელთან 34 განსხვავებაზეა საუბარი, ხოლო ბესარიონ ორბელიშვილთან 13-ზე. მაგალითად, არსენ იყალთოელთან საუბარია მღვდლის მიერ ბექდის ტარებასა და წვერის პარსვაზე, რაზეც „გრდემლში“ მინიშნებითაც კი არ არის საუბარი, თუმცა ორივე ავტორი საუბარს იწყებს ისეთი ფუნდამენტური და საკვანძო საკითხით, როგორცაა filioque-ს, პეტრეს ეკლესიის თავის აღიარებასა და პაპის დომინანტი პოზიციის პრობლემაზე.

სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება, უფრო სწორად, ჯერ-ჯერობით არ იძებნება წერილობითი ძეგლი ფერარა-ფლორენციის კრებაზე. თავად ბესარიონზე, კერძოდ, თხზულება „გრდემლზე“ დაყრდნობით, მას ხელთ უნდა

ჰქონოდა მსგავსი წყაროსთან წვდომა, თუმცა, კონკრეტულ დოკუმენტს ის არ ასახელებს. ფაქტია, ვრცელ პოლემიკურ თხზულებას ის ვერ დაწერდა მხოლოდ ზეპირი ინფორმაციის, გადმოცემის ან ვინმეს (იგულისხმება პატრი ფრანჩესკო ბოლონიელი) მონათხრობზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, კათოლიკური ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მკვლევარს თავად კათოლიკე პადრეს, მეცნიერს მიხეილ თამარაშვილსაც კი თავის ფუნდამენტურ თხზულებაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი ამ კრებასა და იქ მონაწილე ქართველ საერო თუ სასულიერო პირებზე. რთულია იმის გარკვევა, რატომ აუარა ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფურცელს გვერდი თავად ისტორიკოსმა, ეს იყო ტენდენციური დამოკიდებულება, ინფორმაციის უკმარისობა თუ კრების შედეგებისადმი პირადი დამოკიდებულება, რთული სათქმელია.

ფლორენციის კრების შემდგომ შეიქმნა რიგი ანტიკათოლიკური თხზულებები: სავარაუდოდ, რუსულიდან უნდა თარგმნილიყო „ფლორენციის კრება“, ასევე „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისა“, ორივე მათგანის ავტორი და მთარგმნელი უცნობია; ტიმოთე გაბაშვილმა დაწერა „მარწუხი“, რომელშიც აღწერილია შვიდი საეკლესიო კრება, ბესარიონ ორბელიშვილმა დაწერა ვრცელი ანტიპაპისტური ტრაქტატი, კითხვისგება „გრდემლი“ ფლორენციის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების საპასუხოდ, ბესარიონის ნააზრევის გაგრძელად მიიჩნევენ ანტონის „მზამეტყველებას“, სადაც მესამე თავის მეჩვიდმეტე ნაწილში საუბარია ფლორენციის კრების არასწორ, ტენდენციურ დამოკიდებულებაზე ქრისტიანული ლიტურგიის მნიშვნელოვან საკითხზე-ზიარების საიდუმლოზე, ამიტომაც მსჯელობა გამყარებულია სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.

მეოთხე თავში საუბარია „გრდემლის“ ტექსტოლოგიურ თავისებურებებზე-თხრობის სტრუქტურასა და მსჯელობის ორგანიზებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გრდემლი“ წარმოადგენს ფლორენციის კრებაზე მიღებული შედეგების საპასუხო ტრაქტატს, პასუხისგებას დასავლეთის ეკლესიის გადაწყვეტილებაზე. თხზულებაში გამოყოფილია ცამეტი საკითხი: 1. რომის პაპის მეორე ქრისტედ გამოცხადება, აღიარება; 2. სულიწმიდის მამისა და ძისგან გამოსვლის აღიარება; 3. ნათლიღების აღსრულება მცირედი წყლის მისხურებით; 4. ჟამისწირვის უფუვრითა სეფითა შეწირვა; 5. ზიარების ლიტურგიკული განგების თავისებური აღსრულება, ყრმათა

უზიარებლობა თხუთმეტ წლამდე; 6. განსაწმენდელის არსებობის აღიარება დასავლეთის ეკლესიაში; 7. ლოცვის აღსრულება ფსალმუნების, გალობისა და დამისთევის გარეშე. 8. საკურთხევლის აღმართვა ნებისმიერ მხარეს და არა მხოლოდ აღმოსავლეთით 9. მარხვის არარსებობა საერო პირებს შორის, ხოლო მონაზონნი იმარხვენ მხოლოდ ხორცის გარეშე; 10. ოთხშაბათისა და პარასკევის ნაცვლად მარხვის დაწესება შაბათს. 11. დედათა ზიარება „წიდოვნების“ ჟამს; 12. ტაძარში ლოცვისას ძაღლის შეყვანის შესაძლებლობა; 13. ყოველგვარი ცოდვის მარტივად შენდობისა და ზიარების შესაძლებლობა.

თხზულება შედგება ოცდაჩვიდმეტი თავისაგან. მსჯელობის მოცულობა თითოეულ ჩამოთვლილ საკითხზე განსხვავებულია. ბესარიონი ვრცლად საუბრობს პაპის პრიმატობის, filioque-სა და განსაწმენდელის შესახებ, ამ პრობლემებს ის ექვს-ექვს თავს უთმობს, სამ-სამ თავს უთმობს ნათლილებისა და ჟამისწირვის თავისებურებას, ორი თავი შემოიფარგლება მარხვის, ლოცვის, ზიარების, დედათა მოქცევის წესზე, დანარჩენი საკითხი განხილული აქვს ერთ თავში. ექვს ნუსხას, A-119, 156, 298, S-1596, 3269, K-130, ახლავს ოცდამეთვრამეტე თავი - „აღმწერელი ამის წიგნისა სიტყვკსა უგებს პაპის მოსავთა“.

დისერტაციაში ცალ-ცალკეა გაანალიზებული ცამეტივე საკითხი, თეოლოგიური საფუძვლები გამყარებულია საეკლესიო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, ბიბლიური ციტატებითა და წმიდა მამათა გამონათქვამებით. ბესარიონს მსჯელობისას მოჰყავს მაგალითები საქართველოს ისტორიიდან და ქართველ წმინდანთა ცხოვრებიდან, რამაც შექმნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და საფუძველი დაუდო საქართველოს ყოფითი და რელიგიური თანაცხოვრების ტრადიციას. მართლმადიდებლური ქრისტიანობა აისახა ქართველის ცხოვრების ყველა დეტალზე – სამოსზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე და ა.შ. ამიტომაც ბესარიონის თხრობისას შეინიშნება ცოტა ემოცია, საუბრის არაელიტური, არამედ ხალხური ტონი, დიალოგის ფორმატს მიმსგავსებული, მოსალოდნელი საფრთხის დეტალური ახსნა, ქრისტიანული ცხოვრების საფუძვლების დეტალური ანალიზი.

„გრდემლი“ ბესარიონ ორბელიშვილს უნდა დაეწერა ჯერ კიდევ ბერობისას, XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე. ის სწრაფადვე გადაუწერიათ ყველა იმ გეოგრაფიულ არეალში: ქუთაისში, გორში, სამხრეთ საქართველოში, თბილისში,

სადაც კათოლიკური მრევლის მომრავლება შეინიშნებოდა, რადგან ეს ადგილები საკვანძო გეოსტრატეგიულ პუნქტებს წარმოადგენდა. თხზულება მთავრდება ფრაზით: „ესე ყოველი განიცადეთ და იხილეთ, შეძრწუნდით და შეშინდით და მოიქეცით ღმრთისა და დაემორჩილენით სჯულსა მისსა“. ბესარიონი, რომელიც იბრძოდა ტყვეთა სყიდვის, ოსმალეთის იმპერიის, სპარსეთისა და ლეკიანობის წინააღმდეგ, რჯულის უარყოფას, თუნდაც ქრიტიანულ კონფესიის სასარგებლოდ, დასახელებულ საფრთხეს უტოლებდა, როგორც კონკრეტული ადამიანის სულისთვის, ისე ერის მომავლისთვის.

დასკვნა წარმოადგენს საერთო მსჯელობის შეჯამებას: რა სამეცნიერო სიახლით გამოირჩევა ნაშრომი, რატომ გახდა საჭირო ანტიკათოლიკური ლიტერატურის არსებობა ქართულ მწერლობაში, ვინ იყო ბესარიონ ორბელიშვილი, რა მნიშვნელობა ჰქონდა გარეჯის აკადემიურ სივრცეს საქართველოს მაშინდელ რეალობაში, როგორ აფასებდნენ მას მისი თანამედროვენი და შემდგომი თაობა, რატომ დაწერა ბესარიონ ორბელიშვილმა „გრდემლი“, რა ღირებულებებით გამოირჩევა ეს თხზულება. ნაშრომს ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

#### 4. კვლევის მეთოდოლოგია

„გრდემლი“, როგორც ავტორი, ბესარიონ ორბელიშვილი, თხზულების შესავალშივე აღნიშნავს, არის ფლორენციის საეკლესიო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ პასუხი. ქართულ მწერლობაში მწირია ცნობები აღნიშნული კრების თაობაზე, რომლის შედეგმაც ეპოქალური ცვლილებები მოიტანა. დაიკარგა და დაინგრა ბიზანტიის იმპერია, მართლმადიდებლური და სრულიად ქრისტიანული სამყაროსთვის საკრალური და საკვანძო მნიშვნელობის ქალაქი კონსტანტინეპოლი. კრების გადაწყვეტილებებს ჰქონდა მოკლე და გრძელვადიანი შედეგები. ეს შედეგები საბედისწერო აღმოჩნდა ყველა მართლმადიდებელი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, რომელიც ისედაც რთული პოლიტიკური რეალობით ცხოვრობდა და ერთიანი სახელმწიფოს მსხვერვის ზღვარზე იდგა, რაც ოფიციალურად გაფორმდა კიდევაც ფლორენციის კრებიდან რამდენიმე ათეულ წელიწადში, 1490 წელს.

ვითარება დამძიმდა იდეოლოგიურ კონტექსტშიც, მომრავლდნენ „მოყვასნი“, რომელთა შორის რთული გასაშიფრი აღმოჩნდა მათი რეალური ზრახვები. საქართველოს სამხრეთ რეგიონს ოსმალეთის იმპერია აკონტროლებდა, კახეთი გააპარტახა და უმძიმესი გენოციდი მოაწყო სპარსეთის იმპერიამ, გახშირდა კათოლიკე მისიონერების ვიზიტები საქართველოში, მომრავლდა მიმდევარი მრევლი სტუმრების სახითაც და ადგილობრივ მოსახლეობაში. მრევლთან ერთად მომრავლდა დასავლური პოლიტიკური იდეოლოგიის მომხრენი. მართლმადიდებელი რუსეთი კი არც ჩქარობდა მართლმადიდებელი ქართველი ერის დახმარებას და ეს სავარაუდო დახმარებაც იმდენად სარისკო და საკამათო იყო, რომ საქართველოს მმართველ ელიტას დაეტყო დაბნეულობა პოლიტიკური არჩევანისას. ამან ერთი-ორად გააძლიერა დასავლური ინტერესები საქართველოს მოსახლეობაში. საჭირო გახდა დასავლური ღირებულებების, მიზნებისა და პერსპექტივის უფრო მასშტაბური და საფუძვლიანი ახსნა. ამან განაპირობა ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებების მომრავლება.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ხელნაწერ ფონდებში დაცული ანტიკათოლიკური თხზულებებისა და ფლორენციის კრების შესახებ არსებული ცნობების თავმოყრა და ანალიზი, რომელთა დიდი ნაწილი არ იყო გამოქვეყნებული დღემდე და დისერტაციის ფარგლებში დამუშავდა და გადაეცა დასაბეჭდად<sup>2</sup>, ან არსებობდა მათი არააკადემიური გამოცემა<sup>3</sup> და ამჟამად ჩვენ მიერ მზადდება გამოსაცემად.

დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულება: 1. ევსტრატი ნიკიელის თხზულება „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განირქნეს“, ტექსტი გამოსცა, კომენტარები და კვლევა დაურთო მაია რაფავამ [რაფავა, V, 2014:98-162]. თხზულება წარმოადგენს XII საუკუნით დათარიღებული დოგმატიკონის ნაწილს; 2. „განდგომილებისათვის რომისა, ოდეს ისინი განდგნენ მართლმადიდებლობისაგან“. შემორჩენილია თხზულების ოთხი ნუსხა, ყველა ერთი

<sup>2</sup> გადაცემულია დასაბეჭდად ორი თხზულება: „განდგომილებისათვის რომისა მართლმადიდებლობისაგან“ და „ფლორენციის კრება“.

<sup>3</sup> ზაზა მამულაშვილის მიერ გამოცემულია „გრდემლი“ ერთ ხელნაწერში (S-3269) დაცული ნუსხის მიხედვით, თბ. 2013.

რედაქციისაა, ტექსტი არ არის გამოცემული, ის ჩემ მიერ მომზადებულია და გადაცემულია გამოსაცემად; 3. „ფლორენციის კრება“, შემორჩენილია ერთი რედაქციის ორი ნუსხით, ერთი ხელნაწერის ტექსტი თავ-ბოლონაკლულია და მეორე სრულყოფილი. თხზულება არ არის გამოცემული, მომზადებულია და გადაცემული გამოსაცემად ჩემ მიერ; 4. ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“. თხზულებაში არ არის საუბარი ფლორენციის კრებაზე, აქ აღწერილია შვიდი საეკლესიო კრება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმები, კანონები და ლიტურგიული შინაარსი შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა, თხზულება ამ თვალსაზრისით შესაძლოა ანტიკათოლიკური შინაარსის კონტექსტშიც განვიხილოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტიმოთე იყო „გრდემლის“ ერთ-ერთი გადამწერი, შესაძლოა, მან შეახსენა მოსახლეობას ეს საეკლესიო კრებები და აუხსნა მათი მნიშვნელობა; 5. ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“, რომელშიც მესამე თავის მეშვიდე ნაწილი წარმოადგენს პოლემიკურ ნაწილს პაპისტების წინააღმდეგ. 6. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, რომელშიც მოკლედია საუბარი „შვიდთა მსოფლიურთა კრებათათჳს“ და „ფლორენციის კრებათათჳს“; 6. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“. თხზულება შემორჩენილია მოკლე და ვრცელი რედაქციით, თორმეტი ნუსხით, აქედან ერთი S-254 არის თხზულების მოკლე რედაქცია, დანარჩენი თერთმეტი (A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791, S-1596, 3269, Q-92, გიესმ-114, K-130) - ვრცელი რედაქცია.

დისერტაციის ფარგლებში თავი მოვუყარეთ წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში გაბნეულ ცნობებს გარეჯის სამონასტრო და სამწიგნობრო ცხოვრებაზე.

დისერტაციის ფარგლებში განსახილველი საკითხებისთვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: შედარების (ურთიერთშეპირისპირების) მეთოდი, ფილოლოგიურ-ისტორიული მეთოდი და კრიტიკული ანალიზის მეთოდი.

**შედარების მეთოდი** გვეხმარება ნუსხათა შედარების გზით ძირითადი ნუსხის გამოვლენაში, რომელიც სხვებთან შედარებით შინაარსობლივად თუ ენობრივი თვალსაზრისით ახლოსაა თხზულების შექმნის თარიღთან, ავტოგრაფთან.



**ფილოლოგიურ-ისტორიულ მეთოდში** ვგულისხმობთ კრიტიკულად დადგენილი ტექსტების საფუძველზე გამოკვლევების დაწერის პროცესში ყურადღების გამახვილებას თხზულებასთან დაკავშირებულ ფილოლოგიური და ისტორიული ხასიათის საკითხებზე როდის დაიწერა, სად, რატომ, რა ისტორიულ გარემოში, რომელ წყაროზე დაყრდნობით და გამოყენებით.

**კრიტიკული ანალიზის მეთოდს** გამოვიყენებთ თხზულებებში მოცემული დასკვნების შეფასების დროს: რით არის საყურადღებო ეს თხზულება, დღეისთვის აქვს თუ არა მას გარკვეული მნიშვნელობა, ამდიდრებს თუ არა იგი ჩვენს ცოდნას ამა თუ იმ ისტორიული მონაკვეთის, პროცესისა და ისტორიული პირის შესახებ.

## **5. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა**

ქართულ ხელნაწერ ფონდებში დაცული ანტიკათოლიკური შინაარსის პოლემიკური თხზულებები ნაკლებად არის შესწავლილი, არსებობს მცირე რაოდენობის სამეცნიერო პუბლიკაცია მათ შესახებ. წერილობითი წყაროები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ნ. ბერძენიშვილის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და გორის ს. მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში. საინტერესოა ჟურნალ „დროებასა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციები გარეჯის სამონასტრო ცხოვრებასა და მდგომარეობაზე.

ბესარიონ ორბელიშვილი მოღვაწეობდა დავით-გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში. ამ ლიტერატურულ სკოლას ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა მ. ქავთარიამ, [ქავთარია, 1965], გარეჯის სამონასტრო ცხოვრებასა და იქ მოღვაწე მამებზე ისტორიული დოკუმენტების კრებული გამოსცა ზაზა სხირტლამემ ორ წიგნად [სხირტლამე, I, 2008; II, 2011].

ცნობები გარეჯის სამონასტრო ცხოვრებასა და ლიტერატურულ სკოლაზე შეკრებილი და შესწავლილი აქვთ თ. ჟორდანიას [ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903 წ; ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა

და მწერლობისა, ტ. 1, 1893; ტ. 2, 1897; ტ. 3, 1967], ექ. თაყაიშვილს [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი 1293, 294, 295, 296, 297, 298, 299], ბ. ლომინაძეს [ლომინაძე, ნაკ. 29, 1951:72-73], ლ. მენაბდეს [მენაბდე, I, 1962], ასევე დაცულია გაზეთ „ივერიასა“ [ივერია, №207, 1886] და „დროებაში“ [დროება, №48, 1879].

ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება შეისწავლა და აღწერა მიხეილ ქავთარიამ. [ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში, I, 1959:75-112; ძეგლები, V, 1989]. ბესარიონის მოღვაწეობას მნიშვნელოვან შეფასებას აძლევდა ანტონ კათალიკოსი [ძეგლები, VI, 1980] და იოანე ბატონიშვილი [ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, ტ. II, 1948; წყობილსიტყვაობა, 1980]. მის შესახებ საუბარია მკვლევარების: ვახუშტი ბატონიშვილის [ქართლის ცხოვრება, 1463-1800 წწ, 1913], პ. კარბელაშვილის [იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, 1900], ს. ყუბანეიშვილის [ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946], კ. კეკელიძის [კეკელიძე, I, 1960; ტ. II, 1958; ეტიუდები, IV, 1957], ის. დოლიძის [დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, VI, 1977], ელ. მეტრეველის [მეტრეველი, 1957], ზ. სხირტლაძის [სხირტლაძე, 2000] შრომებში, „ქართლის ცხოვრებაში“ [ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955; II, 1959], გამოცემებში „ქართული სამართლის ძეგლები“ [ძეგლები XI-XIX სს, III, 1970; IV, 1972; VI, 1979] და „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ [დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით I, 1940; III, 1970], ასევე, Очерки по истории грузинской словесности [Хаханов, А. С. Вып. 3. 1901].

სადისერტაციო ნაშრომში საუბარია პოლემიკურ მწერლობაზე, მის არსსა და მიზანზე. გამოყენებულია კ. კეკელიძის [კეკელიძე, I, 1960], ე. გაბიძაშვილის [გაბიძაშვილი, 2015; ნათარგმნი ძეგლები, (ბიბლიოგრაფია), 6, 2012] და სხვათა შრომები. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ხელნაწერ ფონდებში დაცული ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების ნაწილია გამოცემული, ნაწილი კი - არა, შესაბამისად, ნაკლებადაა შესწავლილი ან დღემდე შეუსწავლელია. მაია რაფავამ გამოსცა ევსტრატო ნიკიელის ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულება „მოსაცსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს

სადმართოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, ამავე ტექსტის შესახებ ნაშრომი ეკუთვნის ალექსანდრე ალექსიძეს [თსუ შრომები, №62, 1975]. ჩემ მიერ მომზადდა და გამოსაცემად გადაეცა თხზულებები „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისგან“ [ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, XI, 2019] და „ფლორენციის კრება“ [გულანი]. სადისერტაციო ნაშრომში პოლემიკური თხზულებების კატეგორიაში განვიხილეთ ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“, რომელშიც აღწერილია შვიდი საეკლესიო კრება (თუ რატომ ვასახელებთ ამ შრომას ანტიპაპისტურ კონტექსტში, მიზეზებზე ვრცლადაა საუბარია დისერტაციის პირველ თავში „ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები“), ვინაიდან მართლმადიდებლური დოგმატიკა შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებულ კანონებს ეყრდნობა, დისერტაციის ფარგლებში განხილულია შრომები საეკლესიო კრებებისა და მათი შედეგების შესახებ [ლეხედვეი, 2012; რუხაძე, 1994; გიუნაშვილი, მცირე სჯულისკანონი, 1972; დიდი სჯულისკანონი, 1979 წ. Карташев Антон, Вселенские соборы, Online: <http://www.ereading.co.uk/chapter.php/25860/265/>].

ერთხელ გამოიცა ანტონის „მზამეტყველება“: „ქმნილი ანტონი I საქართველოს კათალიკოზისაგან, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით და მღ. პ. კარბელოვის რედაქტორობით ქ. ტფილისი სტამბა ვ. ხელაძისა“ [ბაგრატიონი ანტონი, 1892]. „მზამეტყველებას“ ეხება ლეო მელიქსეთ-ბეგის [მელიქსეთ-ბეგი, თსუ შრომებში, ტ. 30-31, 1947:97-112], ს. ავალიანის [ავალიანი, 1987], ბ. ბალხამიშვილის შრომები [ბალხამიშვილი, ლიტერატურული ძიებანი, XIX, 1998; ბალხამიშვილი, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, 2003].

იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ გამოიცა რამდენჯერმე 1862-1867 წლებში, 1895 წელს, 1936-1948 წლებში, 1990-1991 წლებში. მასზე მუშაობდნენ: ტ. რუხაძე [რუხაძე, 1974], გ. დედაბრიშვილი [იოანე ბაგრატიონი, „კალმასობა“, 1984], ლ. კიკნაძე [კიკნაძე, 2012], მ. აფციაური [აფციაური, საისტორიო აღმანახი, 2000:10-23] და სხვები.

რაც შეეხება ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლს“, ის გამოიცა ერთხელ ერთი ხელნაწერის - S-3269 - მიხედვით, გამოცემას ახლავს მცირე შესავალი, რომელშიც აღწერილია ბესარიონის ცხოვრება და მიმოხილულია მისი შემოქმედება [მამულაშვილი, 2013]. როგორც აღვნიშნეთ, „გრდემლი“ ანტიკათოლიკური შინაარსის, ფლორენციის კრების გადაწყვეტილებების საპასუხოდ შექმნილი

თხზულებაა, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში, 20-იან წლებამდე უნდა შექმნილიყო. არსებობს უამრავი კვლევა, ლიტერატურა ფლორენციის კრების შესახებ, თუმცა როგორც ცნობილია, ფლორენციის კრების აქტები დაკარგულად ითვლება, ხოლო ინფორმაციის წყაროდ მიიჩნევა მონაწილეთა ჩანაწერები – ბერძნული აქტები (Acta Graeca) [J. Gill (ed.), Series B.vol.V, I), 1953], რომელიც უნდა დაეწერა დოროთეოს მიტილენელს და ლათინური აქტები (Acta Latina) [G. hofmann (ed.), 1953], დაწერილი პაპის ადვოკატის ანდრეა და სანტა კროჩეს მიერ. საინტერესოა სილვესტერ სიროპულოსის მემუარები [Сиропул Сильвестр, 2010] და მარკოზ ეფესელის ცხოვრება [პოგოდინი, 2016], რომელიც კრების მონაწილე ყოფილა. ფლორენციის კრებას ეხება ე. მამისთვალიშვილი [მამისთვალიშვილი, 2016], მ. მჭედლიძე [მჭედლიძე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, 2009 წ; ბიზანტიოლოგია საქართველოში, 2011:433-488], ი. უშიკიშვილი [უშიკიშვილი, 2016].

ფლორენციის კრება იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის არა მარტო ეკლესიოლოგიური ურთიერთობის გადამწყვეტი ეტაპი, არამედ პოლიტიკური პროცესების ახალი ეპოქის დასაწყისი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს წესრიგი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ურთიერთობაზე ქართველი და უცხოელი მკვლევარების უამრავი სტატია, მონოგრაფია არსებობს დიდ სქიზმამდე და სქიზმის შემდგომ პერიოდზე, ორი ეკლესიის დოგმატურ-თეოლოგიურ თავისებურებებსა და განსხვავებაზე და ზოგადად, ამ ორი იდეოლოგიური სივრცის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებსა და გავლენებზე.

ფლორენციის კრებამდე მსოფლიო დრამატულად მივიდა. მას ჰქონდა პრეისტორია, მოლოდინი, მცირე იმედი და ფიქრი საბედისწერო განაჩენზე. ასე იყო საქართველოსთვისაც. ქართველების მონაწილეობა აღნიშნულ კრებაზე და ბესარიონ ორბელიშვილის მკვეთრი ყურადღება ხაზს უსვამს კრების მნიშვნელობას საქართველოსთვის. ამიტომაც დისერტაციაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დასახელებული ეპოქის, ფლორენციის კრების (1438-1445 წწ), ისტორიული ფონის, ასევე ამ პერიოდში საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის აღწერამ გლობალურ და ლოკალურ გეოსტრატეგიულ კონტექსტში. ამ საკითხებს შეეხნენ მკვლევრები: შ. ბადრიძე [ბადრიძე შოთა, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა

და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), 1984], ს. გამსახურდია [გამსახურდია, სკოლა და ცხოვრება, I, 1970:89-94], ლ. გრიგოლია [გრიგოლია ლია, კათოლიკე მისიონერების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, 2002], ჯ. ვათეიშვილი [ვათეიშვილი, I, 2014], მიხ. თამარაშვილი [თამარაშვილი, 1902 წ], ალ. თვარაძე [თვარაძე, 2004], დ. თინიკაშვილი [თინიკაშვილი, ელ.ვერსია: <http://azrebi.ge/index.php?pid=1322>; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიერ გამართული ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია 26-27 აპრილი, 2012:50-51, ელ. ვერსია: <http://georgianstudies.ge/docs/tezisebi.pdf>], თ. იველაშვილი [იველაშვილი, 2009], ე. მამისთვალაშვილი [მამისთვალაშვილი, წელიწდეული, 8, 2001:33-64; საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), 1981], გ. მაჭარაშვილი [მაჭარაშვილი, რელიგია, №7-8-9, 2001:55-59. ელ. ვერსია: <http://www.scribd.com/doc/74888562/>; კავკასიის მაცნე, 15, 2002:40-43. ელ. ვერსია: <http://www.nplg.gov.ge/caucasia/Messenger/geor/Page1.htm>; <http://www.scribd.com/doc/74888845/>; 2003, ელ. ვერსია: <http://www.nplg.gov.ge/>; 2007. <http://www.nplg.gov.ge/>; 2009, ელ. ვერსია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8019>; ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2014]; ე. პავლიაშვილი [პავლიაშვილი, საკანდიდატო დისერტაცია, 1989; პავლიაშვილი, 1994], მ. პაპაშვილი [პაპაშვილი, 1992; პაპაშვილი, 1995; კრ. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, 3, 1997:244-252], ნ. პაპუაშვილი [პაპუაშვილი, გაზ. „საზა“, 16, ივნისი, 2001:5; სტატიათა კრებული, 2009:198-248. ელ.ვერსია: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8353/1/AgmosavlurDasavluri\\_Qristianoba.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8353/1/AgmosavlurDasavluri_Qristianoba.pdf); ჟურ. სოლიდარობა, 13, 2010:29-42; კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი), 2008], ილ. ტაბალუა [ტაბალუა, 1982; ტაბალუა, I, 1984; II, 1986; III, 1987; ტაბალუა, 1995; ლექციების კურსი, 1994], ზაქ. ჭიჭინაძე [ჭიჭინაძე, 1895; ჭიჭინაძე, 1898; ჭიჭინაძე, 1899 (გარეკანზე: 1900); ჭიჭინაძე, 1904; ჭიჭინაძე, 1920; ჭიჭინაძე, 1920], ელ. ხინთიბიძე [ხინთიბიძე, 1,

1999:22-25], მ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, საკანდიდატო დისერტაცია, 1997], მეუფე ანანია ჯაფარიძე [ჯაფარიძე, 2002], Гергей Е [Гергей Е., 1996], Ковальский Альфред Ян Максимилиан [Веруш-Ковальский Альфред Ян Максимилиан, 1991], Лозинский С. Г. [Лозинский С. Г., 1961], Жордания Гиви, Гамезардашвили Зураб [Жордания Гиви, Гамезарდაშვილი Зураბ, 1994], საინტერესოა უცხოელ ავტორთა შრომები [Gill Joseph, 2011] და გამოცემები [Concilium Florentinum, Dokumenta et Scriptorum, Series B, Volumen V – Fasciculus II, Roma 1953].

ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებებში, მათ შორის „გრდემლშიც“, ძირითადად, საუბარია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების თეოლოგიურ-დოგმატურ განსხვავებებზე. სწორედ ამ განსხვავებებზე საუბრით დაიწყო და დამთავრდა ფლორენციის მრავალწლიანი კრებაც. ბესარიონ ორბელიშვილი ჩამოთვლის ცამეტ ძირითად განსხვავებას, რომელზეც, ავტორის თქმით, უნდა ყოფილიყო საუბარი ფერარა-ფლორენციის კრებაზე და რომლის კითხვისგებასაც წარმოადგენს აღნიშნული ტრაქტატი. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია შრომები, რომლებიც არა მარტო ამ განსხვავებას ეხება, არამედ იმ კანონების თეოლოგიური საფუძვლების ახსნას, რომლებიც შვიდ საეკლესიო კრებაზე მიიღეს და გახდა მართლმადიდებელი, ე.წ. აღმოსავლეთის ეკლესიის საფუძველი. ამ კონტექსტში საინტერესოა: მინიატი ილია [მინიატი, 2009], Бармин А. В. [Бармин А. В., 2006], Троицкий Еп. Иларион [Троицкий Еп. Иларион, 1999], Табак Ю. [Табак Ю., 2002], Dragas Fr. George Dion [Dragas Fr. George Dion, The Greek Orthodox Theological Review, Vol. 44, Nos. 1-4, 1999. Online: [http://www.oodegr.com/english/dogma/synodoi/8th\\_Synod\\_Dragas.htm](http://www.oodegr.com/english/dogma/synodoi/8th_Synod_Dragas.htm)] და სხვების შრომები.

„გრდემლში“ განხილულია შემდეგი ცამეტი განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის, რომლებზეც, სავარაუდოდ, წარმართა მსჯელობა, კამათი, პოლემიკა რომისა და კოსტანტინეპოლის წარმომადგენლებს შორის ფერარა-ფლორენციის კრებაზე: პაპის პრიმატობა, filioque-ს სადავო თემა, ლიტურგიკული განსხვავება ნათლისღების, ჟამისწირვის, ზიარების, ლოცვის, მარხვის, მათ შორის დიდმარხვის, ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვის შესახებ დასავლურ ეკლესიაში, განსაწმედელის არსებობა, აღსარებისა და ცოდვათა მიტევების განსხვავებული

წესები, საკურთხეველის მდებარეობა ტაძარში, დედათა მოქცევის წესსა და ტაძარში ცხოველთა შეყვანაც კი. არსებობს ქართველი და უცხოელი მეცნიერების უამრავი სამეცნიერო მონოგრაფია, კვლევა, პუბლიკაცია დასახელებულ საკითხებზე. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიოლოგიურ-თეოლოგიურ საკითხებზე უმუშავიათ: გ. კოპლატაძეს [კოპლატაძე, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, 2010:113-327], ექ. კოჭლამაზაშვილს [კოჭლამაზაშვილი, მრავალთავი, XVIII, 1999:153-163], ს. მახარაშვილს [მახარაშვილი, 2012], დ. მელიქიშვილს [მელიქიშვილი, 1999; ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, I, 1999], პერონე ლორენცოს [პერონე ლორენცო, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, II, 2009], მ. რაფავას [რაფავა, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, 2005:104-112; მაცნე, 11, 1996], ნ. სულავას [სულავა, 2012:94-114; [სტატიები], 2018; სულავა, 2013; გულანი, №20, 2016:56-71; მრავალთავი, 24, 2015:138-155; აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2014:238-246; „ანალები“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 8, 2014:66-78,], რ. სირაძეს [სირაძე, 1987; სირაძე, 1992; სირაძე, 1976], ნ. ჩიკვატიას [ჩიკვატია „მრავალთავი“, XVIII, 1999:140-152; მაცნე, ელს, 1992; ჩიკვატია, 2007], თ. ცეციტიშვილს [ცეციტიშვილი, 1, 2010], ე. ჭელიძეს [ჭელიძე, 2007; გზა სამეუფო, 12, 1994], რ. ხალვაშს [ხალვაში, 2003], კორნელიუს ვილს [Will Dr. Cornelius, MDCCCLXI [1861]. Will Dr. Cornelius, 2011], აიდან ნიკოლსს [Nichols Aidan, 2010], Siecienski A. Edward [Siecienski A. Edward, 2010], Болотов Василий [Болотов В., 1914], Дезей Архим. Плакид [Дезей А., Плакид, 2005], Зерникав Адам [Зерникав А., I, 1902; II, 1906], Лосский Владимир [Лосский В., 2005:337-363. Online: <http://pagez.ru/olb/337.php>], საინტერესოა „დომატიკონი“ [დოგმატიკონი, I, 2015; II, 2015; III, 2015], დიდი სჯულისკანონი [1979], შემოკლებული კატეხიზმო [1904]; Катехизис католической церкви, версия от 14.05.2020, Online: <http://ccconline.ru/#ver>], ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლექსიკონები [I (ა-რ), II (ს-ჰ), 2010]; Католическая энциклопедия. [2005].

როგორც აღვნიშნე, ფლორენციის კრების აქტები დაკარგულია, ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები კი, როგორც არა ერთი მკვლევარი აღნიშნავს, გარკვეულწილად ტენდენციურია და ასახავს ორი დაპირისპირებული მხარის

პოზიციას და მიზანი სწორედ მასებისთვის მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდება იყო, ამიტომაც დისერტაციის ფარგლებში ყურადღება დაეთმო ეთნიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაში ეროვნული და პიროვნული კომუნიკაციის პრობლემას. ამ კონტექსტში დისერტაციაში გამოყენებულია იოანე საბანისძის [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963], დონ ჯუსტო პატოს წერილი, გაგზავნილი გორიდან რომში 1633 წ-ს 16 ოქტომბერს [წერილი ამოდებულია ი. ტაბალუას წიგნიდან „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, II, 1986:222-223], ანტონ კათალიკოსის [ანტონ კათალიკოსი, 1980:287, სტრფ. 828-829], ნოდარ ნათაძის [ნათაძე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, 2007:46-62; 4, 2007:25-36; 9, 2007:17-50], სალომე ოშიაძის მოსაზრებები [ოშიაძე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, 2007:46-51; 9, 2007:55-61].

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა „გრდემლის“ ყველა ნუსხის სრულყოფილი არქეოგრაფიული კვლევა [ხელნაწერთა აღწერილობებში დაცული ინფორმაცია არასაკმარისია და შესრულებულია ძველი მეთოდოლოგიით, გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში აღწერილობების შესრულების შემდეგ ჩატარდა ხელნაწერის რესტავრაცია, გამოიცვალა ყდა, საცავი ფურცელი, რომელზეც იყო საინტერესო მინაწერები (გორის მუზეუმში დაცული „გრდემლი“), მწირი ინფორმაციაა დაცული ქუთაისის ნუსხის აღწერილობის შემთხვევაში, არაზუსტია A-1591 აღწერილობა, სადაც არ არის მითითებული კრებულში შემავალი თხზულებები და „გრდემლის“ შემადგენელი თავების ზუსტი რაოდენობა, ზოგჯერ არ არის მითითებული ხელნაწერის მინაწერები სრულად (A-298, 1395, 1791), ასევე ყურადღება გამახვილდა ტექსტის ენობრივ თავისებურებებზე. სამწუხაროდ, არსებობს მწირი სამეცნიერო ლიტერატურა შუა საუკუნეების ენობრივ და სალიტერატურო ნორმათა შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო ზ. სარჯველაძისა [სარჯველაძე, 1975; სარჯველაძე, 1995] და აკ. შანიძის [შანიძე, I, 1953] კვლევებია.



## I თავი

### დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა და ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

#### 1. დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა

დავით გარეჯის სამონასტრო ცხოვრება VI საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, როცა საქართველოში შემოვიდა ცამეტი ასურელი მამა. მათგან ერთ-ერთს, დავით გარეჯელს, უკავშირდება გარეჯული სამონასტრო კომპლექსის დაარსება, სადაც შემდგომში ჩამოყალიბდა მსხვილი აკადემიური კორპორაცია დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა. დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში ზრუნავდნენ ხელნაწერი წიგნების შექმნა, გაცხოველება, მოძიებასა და გადარჩენისთვის. დავითი იოანე ზედაზნელის მოწაფე ყოფილა, რომელიც თავის მოძღვართან და სხვა მოწაფეებთან ერთად საქართველოში წამოსულა. მოძღვარი იოანე ზედაზნეზე დარჩენილა, მოწაფეები კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულან. დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯში დამკვიდრებულა. მონასტრის დასახელება, დავით-გარეჯი, სწორედ მის დამაარსებელსა და პირველმოსახლეს უკავშირდება. *„ესე წმიდაჲ მამაჲ ჩვენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა... აღირჩია აქა სჯაჲ გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაჲ. ხოლო ჰყვანდა მის თანა ერთი მოწაფე, სახელით ლუკიანე“* [ძეგლები, I, 1963:229]. წერილობითი წყაროები დავით გარეჯელის ცხოვრებისა და მრავალმთის შემოგარენში სამონასტრო ცხოვრების შესახებ მწირია, ერთადერთი წყარო, რომელიც გარეჯის სამონასტრო ცხოვრების პირველად ისტორიასა და სამონასტრო ცხოვრების შენების ორგანიზებას შეეხება, არის „დავით გარეჯელის ცხოვრება“, რომელიც შემორჩა ორი, მოკლე (X ს.) და ვრცელი, მეტაფრასული (XII ს.), რედაქციით. აღსანიშნავია, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს აქვს თავისი სტანდარტი, მისი მთავარი ფაბულაა ისტორიული ფაქტებისთვის ისეთი კონტექსტის შერჩევა, რომელიც კონკრეტული წმინდანის ცხოვრების, ღვაწლის შეფასებაა და არა ფაქტების დეტალური აღწერა. ამდენად, მართალია, ამ თხზულების გამოსობით ისტორიამ შემოგვინახა დავით გარეჯელის ცხოვრება, მაგრამ სამონასტრო ცხოვრების საწყისი

სოციალური ისტორიისა და წეს-განგების აღდგენა დამატებით ისტორიულ წყაროსა და ფაქტს საჭიროებს.

სამონასტრო ცხოვრების გაძლიერება ყოველთვის დაკავშირებულია იქ მოღვაწე მამებზე, წინამძღვრებსა და საერო ხელისუფლების ნებასთან. ეს უკანასკნელი კი მასშტაბებს იძენს იმის მიხედვით, რამდენად დიდი სტატეგიული მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკური და კულტურული ღირებულების სახით მონასტერს. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მდებარეობდა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონში და იყო ერთგვარი პოლიტიკური და კულტურული გალავანი ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსული მტრების, ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, დავით გარეჯის სამონასტრო და კულტურული ცხოვრება არასდროს დარჩენილა ქართული სამეფო კარისა და უმაღლესი საერო პირთა ყურადღების მიღმა. სამონასტრო ცხოვრება გაფართოებულა დავითისა და ლუკიანეს სიცოცხლეშივე, მათი მოღვაწეობისას. ასე ჩნდება სამონასტრო კერები: იოანე ნათლისმცემლის, დოდორქის, ბერთუბნის, უდაბნოს მონასტერი და სხვები. გარეჯის სამონასტრო ცხოვრების აყვავება უკავშირდება ილარიონ ქართველის სახელს IX საუკუნეში: *„...კუალად აღაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამეოცდაათექუსმეტნი, ღირსნი და მოღუაწენი, რომელთაცა სიწმიდესა და ღირსებასა ხედვიდა თუალითა სულიერითა...“* [ძეგლები, II, 1967:16].

აღორძინებული სამონასტრო ცხოვრება აისახა მონასტრის სამეურნეო-ეკონომიურ მდგომარეობაზე, თუმცა ამის დამადასტურებელი წერილობითი წყარო არ არის შემონახული. თამარის ხუთი ფრესკული მხატვრობიდან ორი გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელ ბერთუბნისა და იოანე ნათლისმცემლის კედელებზეა შემორჩენილი, ბერთუბანში შემორჩენილია მისი ძის ლაშა-გიორგისა და დიმიტრი თავდადებულის პორტრეტები, რაც ადასტურებს უმაღლესი სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას გარეჯის სამონასტრო ცხოვრებისადმი.

გარეჯის სამონასტრო ცხოვრებაზე აისახა საქართველოს ისტორიის ყველა საკვანძო, ეპოქალური გამარჯვება და მარცხი: მონღოლური ექსპანსია, თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევები. ყოველივე ეს დაეტყო დავით-გარეჯის სამონასტრო გაერთიანებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას XIII-

XVII საუკუნეებში. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა თემურ-ლენგის შემოსევები, ფაქტობრივად შეწყდა სამონასტრო ცხოვრება, დაინგრა მონასტრები და, შესაბამისად, შეჩერდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. სწორედ სახელმწიფოს ნებელობითა და გარეჯის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მონასტრის დანგრეული ინფრასტრუქტურა მალევე ცოცხლდებოდა და მონასტერი იბრუნებდა ფუნქციას. განსაკუთრებით გამორჩეულია მეფე ალექსანდრეს ღვაწლი, რომელიც შემდგომ, ათანასედ წოდებული, აქვე აღკვეცილა ბერად, ასევე გარეჯის გამოცოცხლებას ცდილობდა თეიმურაზ I შაჰ-აბასის განადგურებული მონასტრის აღდგენას, XVII საუკუნის 60-იან წლებში გამორჩეულია არჩილ მეფის როლი, რომელიც მონასტრის ძლიერებას მონასტრის სამმოს შექმნითა და ეკონომიკური საფუძვლის გაძლიერებით ცდილობდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი, ტახტის მემკვიდრეც და არამემკვიდრეც, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გარეჯის მონასტრისადმი უხვი შეწირულობებით, რაც იყო სამონასტრო და კულტურული საქმიანობის უწყვეტობის მიზეზი. XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი დავით-გარეჯის ისტორიაში, ონოფრე მაჭუტაძის, დომენტი კათალიკოსისა და ბესარიონ ორბელიშვილის მონდომებითა და გამართული მენეჯმენტის საშუალებით ჩამოყალიბდა სამონასტრო ცხოვრების მონოლითური სტრუქტურა, სწორად განაწილებული ფუნქციებითა და ვალდებულებებით. ეს აისახა შედეგზე, ლეკიანობის მიუხედავად, არ შეჩერდა არც ღვთისმსახურება და არც ლიტერატურული საქმიანობა: ხელნაწერთა შეგროვება, გაცხოველება-აღდგენა, გადაწერა, ორიგინალური თხზულებების შექმნა და საღვთისმეტყველო კრებულების - ჰაგიოგრაფიული კრებულების, პროლოგ-სვინაქსარების, სადღესასწაულოების შედგენა. აღსანიშნავია, რომ გარეჯის კულტურული ფენომენის ადრეული კვალი, კერძოდ, ლიტერატურული და სამხატვრო სკოლის არსებობა, დასტურდება შემორჩენილი ფრესკული მხატვრობითა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით<sup>4</sup>. განსაკუთრებით გამორჩეული პერიოდი გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში სწორედ XVII-XVIII საუკუნეებია, როცა არა მარტო აღორძინდა ლიტერატურული საქმიანობა, არამედ შეიძინა იდეოლოგიური,

<sup>4</sup> H-1350, სადღესასწაულო, თარიღდება 1085 წლით, ეკუთვნოდა დოდოს მონასტერს, ჩამოტანილია გარეჯის მონასტრიდან ექ. თაყაიშვილის მიერ; A-137, სახარება და სამოციქულოს საკითხავები, თარიღდება XIII-XIV, ეკუთვნოდა დოდოს მონასტერს და სხვა.

სახელმწიფოებრივი დატვირთვა, ფუნქცია. სწორედ ამ დროს შედგა პირველი ჰაგიოგრაფიული კრებული, A-160, სადაც მხოლოდ ქართველ წმინდანთა საკითხავები იყო გაერთიანებული. მისი მიზანი სწორედ ეროვნული მუხტის გაცხოველება, თვითრწმენის ამაღლება იყო, იმ განწყობის შექმნა, რომ საქართველო, უპირველესად, ქართველთა სახელმწიფო და ისტორიული პასუხისმგებლობაა, რომ ქართველ წინაპართა პატივისცემა ამ ვალდებულების შეხსენება და დასტურია. გარეჯის ლიტერატურული სკოლა აღმოჩნდა სამონასტრო ცხოვრების წიაღში არსებული ბოლო ლიტერატურული გაერთიანება, სადაც ხელნაწერი წიგნი, კულტურა იქმნებოდა. ეს დიდი და მნიშვნელოვანი ფუნქცია გადაიბარა საერო სტრუქტურებში შექმნილმა სტამბამ, ბეჭდურმა გამოცემებმა.

## 2. ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფია

1. დაბადება - მიხეილ ქავთარია აღნიშნავს: „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა; არ დაწერილა არც ერთი გამოკვლევა, რომელიც მონოგრაფიულად შეისწავლიდა ბესარიონის შემოქმედებით ბიოგრაფიას, შესაფერის ადგილს მოუძებნიდა ქართული კულტურის ისტორიაში და ნათელყოფდა მის როლს XVII-XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა გუნდში“ [ქავთარია, აკადემიის მოამბე, I, 1959:75-112]. სწორედ მიხეილ ქავთარია გახლავთ ერთ-ერთი მკვლევარი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბესარიონ ორბელიშვილს, მის შემოქმედებას და მოღვაწეობას.

საინტერესოა ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფია. ის იყო დავით გარეჯის მონასტრის ბერი, მოძღვარი, მასწავლებელი, ითვლება გარეჯის მონასტრისა და იქ არსებული ლიტერატურული სკოლის, გარეჯის მონასტრის ხელნაწერთა ფონდების განმაახლებლად. მოგვიანებით იყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი და, რაც მთავარია, დიდი მწიგნობარი: ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული თხზულებების ავტორიც, გადამწერიც, დამკვეთიც. უცნობია, იყო თუ არა ის მთარგმნელი.

წყაროებში არ არის დაცული ცნობები ბესარიონის დაბადებისა და მშობლების შესახებ. თავად ბესარიონი უმნიშვნელო ინფორმაციას გვაწვდის თავისი გვარისა და მშობლების თაობაზე. მის მიერვე 1697 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში:

„...თანადგომითა წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესითა ღირს ვიქმენ მე, უღირსი და უცოდვილესი ყოველთა კაცთა ხუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომებით ორბელისშვილი, ბესარიონ, წმიდისა ამის წიგნისა კლემასისა, წმიდის ტიმოთეს საკურველთ მოქმედისა და წმიდისა სკიმონ საკურველის ცხოვრებისა აღწერად უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა. მეც ამ მონასტერში ვიყავ და ეს წიგნიც ამას მონასტერსა შევსწირე. ვინც მიემთხვნეთ, ლოცვაჲ ყავთ სულიერისა მამისა და წინამძღურისა ჩუჴნისა ონოფრესთჴს და ჩემ გლახაკისა მშრომელისა ბესარიონისთჴს, რათა ღმერთმან თქუჴსნცა მოგცეს სასყიდელი სიყუარულისაჲ. დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი წელთა ქრისტეს აქათ ათას ექუსას ოთხმოცდაათჩუდმეტსა, ქორონიკონსა ტჴე.

...ესეც ამავე ნათლისმცემლის მონასტერს დავდევე სულისა ჩემისა საოხად და მშობელთა ჩემთა ბეჴანისა და მარიამისა მოსახსენებლად“ [A-105, 417v]. იმავე ინფორმაციას უმნიშვნელო ცვლილებით იმეორებს თედო ჟორდანი (ციტატა გადმოღებულია უცვლელად): „ქკს: ტჴე: წარწერა იოანე სინელის „კიბე-ცად აღმყვანი“-ზე (მუჴ. კვლ. №105): „მე ხუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი ბესარიონ უდაბნოსა გარესჯისასა... ლოცვა ყავთ წინამძღვრისა ჩვენისა ონოფრესთჴს... დაიწერა ქკსა: ტჴე... ხოლო უწინარეს ამისა აღვწერე ევრემ ასურისა... და ლავსაიკონი და კასიანე... და ეგვიპტისა და აღმოსავლის მონასტერთა განგება... და ესენი იმავე ნათლის-მცემლის მონასტერს დავდევე მოსაკსენებლად მშობელთა ჩემთა ბეჴანისა და მარიამისა“... ეს ბესარიონ 1724 წ. აღვიდა კათალიკოზობის ტახტზე და † 1735 წ. მის თხზულებებში შესანიშნავია ყოველ მხრით „გრდემლი“, განმაქიქებელი რომის სარწმუნოებისა, და ქარველთ წ~თა ცხოვრება“ [ჟორდანი, ქრონიკები, II, 1897:516]. ბესარიონის აღნიშნული ანდერძით ირკვევა, რომ ბესარიონის მშობლებს ჰრქმევიათ ბეჴანი და მარიამი, რომ მისი ოჯახი საკმაოდ გავლენიანი ბარათაშვილთა გვარის ორბელიშვილთა განშტოების წარმომადგენელი იყო, ირკვევა ისიც, რომ ამ დროისთვის, 1697 წ-თვის, მისი მშობლები უკვე გარდაცვლილები არიან, შესაძლოა ახალი გარდაცვლილები, რადგან ეს ხელნაწერი მისი მშობლების „მოსახსენებლად“ დაუდვია მონასტერში, დღეს შემორჩენილ მის გადაწერილ სხვა ხელნაწერში ბესარიონი მშობლებს აღარ ახსენებს. სხვა ბიოგრაფიული ცნობა ბესარიონ ორბელიშვილის შესახებ, სამწუხაროდ,

წყაროებში დაცული არ არის. ამ ცნობების მიხედვით შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ბესარიონი უნდა დაბადებულიყო XVII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს. 1707 წლით დათარიღებული ხელნაწერის A-624 (ხელნაწერი გადაწერილია გაბრიელ საგინაშვილის მიერ დავით-გარეჯში, ბერთუბნის მონასტერში) მინაწერით ირკვევა, რომ ბესარიონს ჰყოლია ძმა სვიმონი, რომელიც ასევე გარეჯში მოღვაწეობდა: „...ნათლისმცემლის მონასტერში მოვედით. კარგათ შეგვიწყნარეს წინამძღვარმა ხარიტონ და ძემან ორბელის შვილმან სვიმონ და ბესარიონ. პირველ ისინი მოსულიყვნენ ნათლისმცემელს და ეეშენებინათ“ [A-624, 147v]. თ. ჟორდანიას Ad-272-ის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ბესარიონის ძმა უნდა აერჩიათ ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად 1742 წელს, მას შეუცვლია სერაპიონი და ამ რანგში დაუყვია 1749 წლამდე, შემდეგ ის გამხდარა დოდოს მონასტრის წინამძღვარი (Ad-144-ისა და Sd-323-ის საფუძველზე). სვიმონი გარდაცვლილა 1773 წლის 24 აპრილს.

**2. კათალიკოსობა და გარდაცვალება** - სხვადასხვაგვარი ცნობაა შემონახული ბესარიონ ორბელიშვილის საქართველოს მწყემსმთავრად კურთხევისა და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ბესარიონი კათალიკოსად იკურთხა დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში წასვლის შემდეგ, ის აღესრულა კათალიკოსის სტატუსით და დაკრძალულია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. წყაროების მიხედვით, ბესარიონის საჭეთმპყრობელობის პერიოდი ვარირებს 1723, 24, 25, 26 წლებიდან (ვ. კეკელიძე 1730 წელსაც მიიჩნევს, მაგრამ რის საფუძველზე მითითებული არ აქვს) 1736, 37, 38 წლებამდე, გარდაცვალებამდე. შესაბამისად, განსხვავებულია მკვლევართა მოსაზრებებიც. რა მონაცემებია შემორჩენილი წყაროებში, რის საფუძველზეც დგინდება ბესარიონ ორბელიშვილის საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად კურთხევის თარიღი:

1. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საბუთი ფ. 1448, ანაწერი 1, №955, წყალობის წიგნი გაცემული სვეტიცხოვლის ყმის გიორგი აღვსებაძისადმი, რომელსაც კათალიკოსი ბესარიონი იძლევა, დოკუმენტი თარიღდება 1723 წლის 4 აპრილით. დოკუმენტს აქვს ბესარიონ ორბელიშვილის ხელრთვა.

2. ამავე ფონდის (საქართველოს ეროვნულ არქივში) დაცულია საბუთი ფ. 1448, ანაწერი 1, №5070, სიგელი გაცემული პაპუა მაღალაძისადმი დომენტი კათალიკოსის მიერ 1723 წელს 18 ივნისით (თიბათვის იწ) დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოსის ხელრთვაც.

3. ამავე ფონდში (საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448, ანაწერი 1, №864), განჩინების წიგნი, რომელსაც კათალიკოზი დომენტი იძლევა, დათარიღებული 1724 წლის 1 მარტით, დოკუმენტს აქვს კათალიკოზ-პატრიარქ დომენტის ხელრთვა.

4. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საბუთი ფ. 1448, ანაწერი 1, №2767, წყალობის წიგნი გაცემული თაზიშვილ შიოსადმი, რომელსაც კათალიკოზი დომენტი იძლევა, დათარიღებული 1724 წლის დეკემბერში, დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოსის ხელრთვაც.

5. საქართველოს კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-1792, ნასყიდობის დამტკიცების წიგნი დომენტი კათალიკოზისა ამილხალ მაღალაძისადმი, დოკუმენტი თარიღდება 1724 წლის 14 დეკემბრით. დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოზის ხელრთვა.

6. საქართველოს კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-60, წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა წინამძღვარ ონოფრესადმი, დოკუმენტი თარიღდება 1724 წლით. დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოზის ხელრთვა.

7. საქართველოს კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Hd-1041, წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა გიორგი ათანელისადმი, დოკუმენტი თარიღდება 1705-1724 წლით. დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოზის ხელრთვა.

8. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საბუთი ფ. 1448, ანაწერი 1, №5620, წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა ხუცია მაღალაძისადმი, დათარიღებული 1725 წლის 21 თებერვლით, დოკუმენტს აქვს დომენტი კათალიკოსის ბეჭედი და ხელრთვაც.

9. არსებობს დოკუმენტი დაცული საქართველოს ეროვნულ არქივში, ფ. 1448, ანაწერი 1, №2771 წყალობის წიგნი მიცემული თაზიშვილისადმი, დათარიღებული 1736 წლით, საბუთს აქვს ხუთი ბეჭედი, მათ შორის ბესარიონ კათალიკოსის.

10. არსებობს დოკუმენტი დაცული საქართველოს ეროვნულ არქივში, ფ. 1448, ანაწერი 1, №2760 ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისადმი, დათარიღებული 1738 წლის 2 თებერვლით, საბუთს ხელს აწერს კირილე კათალიკოსი, როგორც მოქმედი კათალიკოსი. ეს კირილე იყო ბესარიონის მოადგილე.

11. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Hd-2705, სამართალი კათალიკოსის ბარძიმ ერისთავის და გივი ამილახორისა სოლომონსა და დავითს შორის ყმებზე დავის შესახებ, დათარიღებული XVIII საუკუნით (1738-1739 წლით ათარიღებს ი. დოლიძე დოკუმენტს წიგნში „ქართული სამართლის ძეგლები“, IV, 1972:348-349) საბუთს აქვს კირილე კათალიკოსის, როგორც მოქმედი კათალიკოსის, ბეჭედი.

12. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება დომენტი კათალიკოსის ორი წერილი დათარიღებული 1737 წლის 12 მაისითა და 1737 წლის 15 მაისით, წერილები (№42 და №43) გაგზავნილია კონსტანტინეპოლიდან იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისა<sup>5</sup> და ელისაბედ პეტრეს ასულისადმი<sup>6</sup>. დომენტი წერილებს ხელს აწერს კათალიკოსის სტატუსით.

13. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-506, ალაიანის მოურაობის წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოზ-პატრიარქის დომენტის მიერ გაბრიელ ჭარმეულისადმი, დათარიღებული 1739 წლით, აქვს დომენტი კათალიკოზის ხელრთვა.

14. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-171, ნუსხა /დომენტი კათალიკოსის მიერ/ სტამბოლში დატოვებული ნივთებისა, დათარიღებული 1739 წლით, სადაც v-ზე წერია: „ქ.

<sup>5</sup> პეტრე I ძმისწული, რუსეთის იმპერატრიცა 1730-1740 წლებში.

<sup>6</sup> პეტრე I შვილი, რუსეთის იმპერატრიცა 1741-1761 წლებში.



წამობრძანდა ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი თვესა მარტსა /ვ (6)/, ქორონიკონსა ჩლთ (1739)“.

15. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-142, მოწმეთა ჩვენების წიგნი ჭამიაშვილების შესახებ, რომელიც ბიწვნელი იყო და შემდგომ სვეტიცხოვლის ყმა გახდა. დოკუმენტი დათარიღებულია 1785 წლის 31 მაისით. აქ ნახსენებია დომენტი კათალიკოსის სტამბოლში ყოფნის ეპიზოდი.

ყველა აღნიშნულ დოკუმენტში დასახელებულნი არიან მოწმენი, დამსწრენი და დამწერნი. შესაბამისად, ისინი აღიარებენ დასახელებული პიროვნებების (დომენტი, ბესარიონი, კირილე) კათალიკოსობას დოკუმენტში მითითებულ დროს. როგორც ცნობილია, ბესარიონ ორბელიშვილის საქართველოს მწყემსმთავრად არჩევა უკავშირდება დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში ექსორიობას. ზემოთ მითითებული წყაროებიდან Ad-506 და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დომენტი კათალიკოსის წერილები ასახავს დომენტის ოსმალეთში ექსორიობას. მაგრამ მათ შორისაც შეინიშნება ქრონოლოგიური განსხვავება დომენტის ბიოგრაფიის ამ ეპიზოდიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე დოკუმენტი ავტობიოგრაფიულია. Ad-506-ში ის აღნიშნავს: „...ასე რომე ჩვენი ძმა მეფეთ-მეფე ვახტანგ ერანში ბრძანდებოდა და შენი ძმა ზურაბაც იქ მათს სამსახურში იყო და თან ახლდათ, მაშინაც პირველაც თქვენი სამკვიდრო იყო აღაიანის მოურაობა. მისივე წყალობა ექნათ და სამკვიდრო სიგელი ებოძათ, ოდეს საქართველო დაიპყრეს და აღაოხრეს ქვეყანანი ქართლისანი და მრავალი სული მოსრეს და აიოარნეს სამკაულნი ეკლესიათანი. მაშინ მივრიდე მცირესა ჟამსა ციხესა მას ლორესასა, ხოლო ლორითგან მივიწიე ქვეყნად საერისთოდ და იქითგან ჩამოვედით ქალაქსა ტფილისისასა, მაშინ მოავლინა ბრძანებანი, ქურქი და ფირნამი დიდისა კეისრისა სულთან აჰმადისაგან. ქრისტესითგან გარდასულ იყვნეს წელნი, ვითარ ჩრკდ (1724), მოვიწივენით სამეუფოსა ქალაქად კოსტანტინეპოლედ და მუნ დავყავით წელნი ვითარ ბ (2), თვენი (8) და იქითგან ექსორიად გვეყვეს ჭალაკსა, რომელსა უხმობენ ბოხჯა ადას, ბერძულეებ რომელ არს ტენედო. ექსორიობაში დავყავით მუნ წელნი ვითარ თ (9)...“ ამ მოცემულობით, დომენტის ექსორიობაში გაუტარებია თითქმის 12 წელიწადი (2 წ.+8 თ.+9 წ.). ჩვენ მიერ დასახელებულ წერილებში კი ერთგან ის აღნიშნავს: „...წარმოველ

წინაშე მათსა, მივიწიე რა წინაშე მათსა წელ ნახევარს უკან ექსორია მყვეს ბოხჩასა და იქ ვიმყოფებოდი ცხრა წელ დიდსა ჭირსა და შეწუხებასა შინა, და მერმე მოგვიყვანეს აქა კოსტანტინეპოლესა...“ [რუსეთი საგარეო საქმეთა სამინისტრო, №42], ამ წერილის მიხედვით ის დაახლოებით 11 წელი უნდა ყოფილიყო ოსმალეთში, ხოლო მეორე წერილში ის წერს: „...რამეთუ ვიყვენით ჩვენ წელსა ცამეტსა ტყვეობასა და ექსორიობასა დიდსა ჭირსა შინა... აქამდინ ბოხჩას ექსორია ვიყვენით. ახლა ყიზილბაშის ელჩმა გვითხოვა, აქ, სტანბოლს მოგვიყვანეს...“ [რუსეთი საგარეო საქმეთა სამინისტრო, №43]. როგორც ვხედავთ, არც ერთი მისი მოგონება არ არის იდენტური. ფაქტია, ოსმალები თბილისში 1723 წელს შემოვიდნენ და თუ კათალიკოსი დომენტი მათთვის მიუღებელი იყო, მას მალევე მოუწევდა საკათალიკოსო ტახტის დატოვება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია S-2938 ხელნაწერი: „სია საქართველოს კათალიკოსთა“, ხელნაწერში ხელნაწერი თარიღდება XIX საუკუნით, ხელნაწერის გადამწერი უცნობია, ხოლო თ. ჟორდანიას გაუკეთებია გარკვეული შენიშვნები, კვადრატულ ფრჩხილებში წითელი მელნით მიუწერია ზოგიერთი ეპისკოპოსისა და კათალიკოსის გარდაცვალების წელი. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს, Описание рукописей, II, Тифлиси 1906:660. სია იწყება 318 წლით იოანე ეპისკოპოსით, აქ ბესარიონი მითითებულია №52-ედ, კათალიკოსად კურთხევის წელია 1724 წელი; №51-ე არის დომენტი კათალიკოსი, კურთხევის წელი 1705 წელი. თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩხილებში მიუწერია 1741 წელი - მისი გარდაცვალების თარიღი (აქედან გამომდინარე, თ. ჟორდანიას მოსაზრებით დომენტი უნდა გარდაცვლილიყო 1741 წ-ს), №53-ედ - ნახსენებია ნიკოლაოსი, კათალიკოსად კურთხევის წელი 1741 წელი, ანუ დომენტი კათალიკოსის გარდაცვალების შემდგომ. ნიკოლაოსთან თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩხილებში გარდაცვალების თარიღად მიუწერია 1744 წელი. თ. ჟორდანია აღნიშნულ ხელნაწერში არ მიუთითებს ბესარიონის გარდაცვალების თარიღს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. ჟორდანიას მოჰყავს ამონარიდი საეკლესიო მუზეუმის (დღევანდელი A-105) ხელნაწერიდან და უკეთებს შემდეგ კომენტარს: „ეს ბესარიონ (საუბარია ბესარიონ ორბელიშვილზე) 1724 წ. აღვიდა კათალიკოზობის ტახტზე და † 1735 წ. მის თხზულებებში შესანიშნავია ყოველ მხრით „გრდემლი“, განმაქიქებელი

რომის სარწმუნოებისა, და ქარველთ წ~თა ცხოვრება“ [ქორდანია, ქრონიკები, II, 1897:517]. საქართველოს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერ კრებულზე, H-1362, დათარიღებული XIX საუკუნით, ფანქრით მკრთალად წერია „1726-1738 კზი ბესარიონ. Выписать Грдемли №422“ [H-1362, 31r]. ეს მინაწერი მოჰყავს თ. ჟორდანას „ქრონიკების“ მე-3 ტომში (გვ. 116): აქვე დავძენ იმასაც, ჩვენამდე მოღწეული „გრდემლის“ ხელნაწერებიდან არც ერთი არ არის №422.

თ. ჟორდანას „ქრონიკებში“ მამია გურიელის წერილის („წერილი ტყვის სყიდვის თაობაზე“) ასლის თავზე, რომელსაც უგზავნის ბესარიონ ორბელიშვილს, მისივე ხელითაა მიწერილი: „*Гуриел Мамиа IV занимав. Гур. Владения с 1726-го г. „Бесариони ამ წელს კიდე კათალიკოზი არ ყოფილა“* [ქორდანია, ქრონიკები, III, 1967:110]. აქვე აღნიშნული აქვს: „1735 წ. გარდაიცვალა კათალიკოსი ბესარიონ (ბ. ისტ. კრ. 374) „საეჭვო ცნობა“ [იქვე:147]. ეს ქრონოლოგიური ცნობა მოთავსებულია თ. ჟორდანასეულ საისტორიო კრებულის ჩანაწერებში, რომელსაც ეწოდება: „*Могилы царей, патриархов и др*“ კრებულის 231v ფურცელზე, დ. ბაქრაძისეული პაგინაციით 447-ე გვერდზე მე-14 ჩანაწერში ვკითხულობთ: „*Каголикоса Виссариона из роду Орбелиановых. ипატриарха 6 წელსა. Сконч. 1735*“ [ქორდანია, 147]. აქედან გამომდინარე, თ. ჟორდანას მოსაზრება ბესარიონის აღსაყდრების თარიღთან დაკავშირებით გაურკვეველია, ხოლო მისი მოსაზრებით, ის 1735 წელს უნდა გარდაცვლილიყო. როგორც ცნობილია, ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ, დომენტი ოსმალეთიდან დაბრუნებულა საქართველოში და ისევ ასულა მცხეთის ტახტზე. თ. ჟორდანას აღნიშნულ ხელნაწერში არც დომენტისთან აქვს მითითებული ხელმეორედ კურთხევის თარიღი. თითქმის მსგავსი ინფორმაცია დაცულია დოკუმენტში Sd-2351, განსხვავება არის ნუმერაციაში და, რაც მთავარია, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დომენტი აღარ ჩანს ტახტზე ბესარიონის შემდგომ. აქ ბესარიონი დასახელებულია №66-ედ (კათალიკოსად იკურთხა 1724 წელს), №65 არის დომენტი (1705 წ.), ხოლო №67 – ნიკოლაოსი (1741 წ.). აღნიშნულ წყაროებში არსად ჩანს ბესარიონის მოადგილე კირილე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე დროით, დომენტი კათალიკოსის საქართველოში დაბრუნებამდე, უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი. ამ დოკუმენტით არც დომენტი კათალიკოსის ხელახალი მწყემსმთავრობა ჩანს ბესარიონის გარდაცვალების

შემდეგ. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერზე არის მინაწერი: „*უნეტარესთა და უწმიდესთა პატრიარხთა ყოვლისა საქართუჭლოჲსათა დომენტისი, ბესარიონისი, დომენტისი, ნიკოლოსისი, ანტონისი და იოსების საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი*“ [A-355, 24r]. როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ პატრიარქთა ჩამონათვალია რიგობითობის მიხედვით, თარიღების მითითების გარეშე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჩამონათვალში არ არის კირილე, ბესარიონის მოადგილე, რომელიც საქართველოში დომენტის დაბრუნებამდე, დაახლოებით ერთი წელი, უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი.

არსებობს მინაწერი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერზე №28: „*ქ. ისაკ ფაშამ მისცა კათალიკოზს ბესარიონს სულ ქართლის რაზით, ყველიერის შაბათს აკურთხეს ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტებმა და ეპისკოპოზებმან, თებერვლის შვიდსა, ქორონიკონს უიჳ*“ (1725 წ.).“ [ხელნაწერთა აღწერილობა, II, 1964:58]

საინტერესოა კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის S-4615 (ჟამნი, XVII ს.) მინაწერები: 1. „*უია [1723] აქა ურუმნი მოვიდნენ*“ [151r, მინაწერი შესრულებულია ნუსხურით]; 2. „*უიზ [1729] კათალოკოზად დაჯდა ბესარიონ*“ [151r, მინაწერი შესრულებულია XVIII საუკუნის მხედრულით]; 3. „*კათალიკოს ბესარიონ*“ [152v, ეს არის ბესარიონ კათალიკოსის ხელრთვა]. უცნობია მინაწერების ავტორი და ზუსტი დრო. ხელნაწერს უამრავი მინაწერი აქვს, მაგრამ მინაწერებში არაფერია ნათქვამი ბესარიონის გარდაცვალებასა და დომენტის საქართველოში დაბრუნებაზე.

რაც შეეხება ბესარიონის გარდაცვალებას, როგორც აღვნიშნეთ, ბესარიონი აღესრულა კათალიკოსის სტატუსით მცხეთაში და დაკრძალულია სვეტიცხოველში. წყაროებში, ისევე როგორც მისი აღსაყდრების თარიღთან დაკავშირებით, სხვადასხვაგვარი ინფორმაციაა დაცული. საფლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1735 წ. ხოლო ვახუშტი ბესარიონის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 1737 წ-ს. მას მიაჩნია, რომ მცხეთის საფლავებზე არა ერთი უზუსტობა გვხვდება. ვახუშტი თვლის, რომ ბესარიონი გარდაიცვალა 1737 წელს: „*მეფე ვახტანგ დადგა აშტრახანს და წარავლინა ბაქარ ძე თვისი ქართველი-თურთ მოსკოვს და*

მოიყვანა დედოფალიცა მუნ და იყო განსვენებით წელი ერთი. შემდგომად გარდაიცვალა, ქს. ჩღლზ (1737წ.), ქრ. კე (25), მარტის კვ და დაფლეს მუნვე დიდითა პატივით და ხელმწიფურითა. შემდგომად მისსა წარვიდა დედოფალიცა მოსკოვს და დაშთნენ იგინიცა მუნ, ხოლო მოკუდა ბესარიონ კათალიკოზი, შემდგომად მოვიდა კათალიკოზი დომენტი სტამბოლიდამ იმერეთს, მოიყვანეს იგივე კათალიკოზად მოსრულს მიეგება ხანჯალხან და ყოველნი წარჩინებულნი და ქალაქი და ჰსცეს პატივი დიდი“ [ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1913:141]. ვახუშტის მოსაზრებას მცხეთის საფლავების უზუსტობებზე იზიარებს მ. ქავთარია, ის აღნიშნავს: „ეპიტაფიებში რომ ხშირად შეცდომაა, ეს ყველასთვის ცნობილია. უამრავ მაგალითიდან დავასახელებთ ერთს. ცნობილი მწერლისა და მოღვაწის გაიოზ არქიმანდრიტის საფლავის ქვის წარწერიდან გამოდის, რომ გაიოზი დაიბადა 1739 წელს. ნამდვილად, როგორც ეს ყველას მიერაა დღეს აღიარებული, იგი დაიბადა 1746 წელს“ [ქავთარია, 1957:78].

1735 წელია მითითებული A-16 ხელნაწერის მინაწერშიც (გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული; ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, 1739 წ. გადამწერი პავლე, სიონელი მღვდელი (365r); მომგებელი ქსნის ერისთავის დავითის ძე ყულარაღასი იესე (365r): „ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა იე [1735] მოვიდა თამაზ-ხან ქართლსა შინა და ფრიადნი შრომანი და ტყვეობანი გვეწივნეს ჟამსა მას და დევნულობანი ყოველთა საქართველოს და კახეთს. ამავე წელსა მი[ი]ცვალა წმინდა და სანატრელი კახეთის კათალიკოზი ბესარიონ; და ამასვე წელსა გამოვიდა წმიდის შიოს ნაწილი სამი: ორი მკლავი და ერთი თავი; რომელი არა სადა თქმულ არს სამნი ნაწილის გამოსვლა. და თვით მე მიხილავს თვალითა ჩემითა. თავი არ გამოეტია მილიდამ და ორი მკლავის (!) მე, ვემთხვიე. თვით ჩემ[მ]ა ძმამ, ოკორთის არქიმანდრიტმან, გამოსვენა – ქრისტეფორემ] ერისთავიშვილმა“ [232r-v). ეს მინაწერი მოჰყავს თ. ჟორდანას ქრონიკებში [ჟორდანია, II, 1897:21 და განმეორებით ჟორდანია, III, 1967:232], თუმცა ხელნაწერის ნომერი არასწორად აქვს მოყვანილი (№20).

ბესარიონი ნახსენებია A-1176, XIX საუკუნის კრებულში მიცვალეზულ მეფეთა, კათალიკოსთა, პატრიარქთა, მთავარ-ეპისკოპოსთა შორის, თუმცა თარიღების მითითების გარეშე.

საინტერესოა H-2077 ხელნაწერის გადამწერის ანდერძი (წმიდათა ცხოვრება, 1736 წ, გადამწერი სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი): „დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოცდა-ათექუსმეტსა, ქორონიკონსა უკდ, მეფობასა კახთ ბატონის იმანყულის ძისა, მეფეთ-მეფისა ალექსანდესსა, (ალექსანდრე, იგივე ალი-მირზა, კახეთის მეფის დავით II-ის (იმამ ყული-ხანის) ძე, მოკლე დროის განმავლობაში იყო ქართლ-კახეთის მეფე; ტახტზე ავიდა 1735 წელს, გარდაიცვალა 1737 წელს) ეკლესიათა მპყრობელობასა კათალიკოზისა ბესარიონისსა“ [334v]. ამავე ანდერძს სიტყვასიტყვით იმეორებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერების ანდერძები, ვინაიდან ორივე ხელნაწერი მის დედანს წარმოადგენს: 1. M-21 (აგიოგრაფიული კრებული, 1842 წ. გადაწერის ადგილი - პეტერბურგი, გადამწერი - სიმონ ტაბიძე. ანდერძი განთავსებულია 414v-ზე) და P-6 (აგიოგრაფიული კრებული, XIX ს. გადაწერის თარიღი, ადგილი და გადამწერი მითითებული არ არის. ანდერძი განთავსებულია 6v-ზე).

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით პოლიევქტოს კარბელაშვილი წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ დომენტის აღსაყდრების თარიღად მიიჩნევს 1704-1724 და 1738-1742 წლებს, ხოლო ბესარიონი ზეობს 1728-1735 წლებში, მაგრამ 1724-1728-სა და 1735-1738 წლებში ის კათალიკოსად არავის ასახელებს. ბესარიონის შემდგომ კი ქართული ეკლესიის მწყემსმთავარია ოსმალეთიდან დაბრუნებული დომენტი და მხოლოდ შემდგომ 1742-1744 წწ. ზეობს ნიკოლოზ X (კარბელაშვილი, 1900:131-140); ბაბილინა ლომინაძეც ბესარიონის წინამორბედ კათალიკოსად ასახელებს დომენტი კათალიკოსს (1705-1725 წლის 21 თებერვლამდე) ორი მონაცემის საფუძველზე: „საქართველოს სიძველენი“, III, 1910:194 (ცსსა, ფ. 1448, №5620) და Ad-142. ამის შემდგომ კათალიკოსობს ბესარიონი 1725 წ-ს მარტიდან 1737 წ-მდე, გარდაცვალებამდე, ხოლო 1737 წლიდან დომენტის საქართველოში დაბრუნებამდე (1739 წლამდე) საქართველოს მწყემსმთავარია კირილე [ლომინაძე, 1966:69-71].

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ბერად აღკვეცის შემდეგ მას (ბესარიონ ორბელიძე) უმოღვაწია დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში და 1730 წელს კათალიკოსობა მიუღია. გარდაიცვალა ის 1737 წელს“ [კეკელიძე, I, 1960:349]. კ. კეკელიძის მოსაზრებას იზიარებს ელ. მეტრეველი წიგნში „ტიმოთე გაბაშვილი,

მიმოსვლა“ აღნიშნავს: „ხელნაწერი (იგულისმება „გრდემლი“) ბესარიონს გადაუწერია ბესარიონის მამობის, ე. ი. 1730 წლამდე, ვინაიდან ამ წელს აკურთხეს ბესარიონი კათალიკოსად“ [მეტრეველი, 1957:079]. 1735 წელს უნდა გარდაცვლილიყო ბესარიონი ს. ყუბანეიშვილის მოსაზრებითაც. ის ლუარსაბ მეფის მარტვილობის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ლუარსაბ მეფის წამება და მარტვილობა პირველად ვრცლად აღუწერია ბესარიონს ქართლის კათალიკოსს (გარდაიცვალა 1735 წელს)“ [ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946:407]. დ. ლომიძე ვახუშტის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „1739 წელს დომენტი კათალიკოზი ბრუნდება სტამბოლიდან“ [ლომიძე, 2007:83]. ე.ი. ბესარიონი ამ დროს უკვე გარდაცვლილია.

არსებული წყაროებისა და მოსაზრებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ბესარიონი მცხეთის ტახტზე შესაძლოა 1723 წელს, ოსმალების თბილისში შემოსვლის შემდგომ, ასულიყო, მაგრამ დომენტი მას არ აღიარებდა როგორც კანონიერ საჭეთმპყრობელს. ამას ადასტურებს 1723 წელს არსებული დოკუმენტები ბესარიონისა და დომენტის კათალიკოსობის ხელმოწერით და კონსტანტინეპოლიდან 1737 წელს ანა და ელისაბედ დედოფლებისადმი გაგზავნილი წერილებიც, სადაც ის ხელს აწერს კათალიკოს-პატრიარქის სტატუსით. რაც შეეხება მის გარდაცვალებას, ის დომენტის კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებასა და კათალიკოსად ხელახალ აღდგენას უკავშირდება. ფაქტია, არსებობს დოკუმენტი კირილეს ხელმოწერით კათალიკოსის სტატუსით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომელიც 1738 წლის 2 თებერვლით არის დათარიღებული. ამიტომ შესაძლოა, სწორედ ამ დრომდე, 1738 წლამდე, ყოფილიყო ბესარიონი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელიც და სავარაუდოდ, ამ დროს გარდაცვლილიყო.

**3. საზოგადოებრივი მოღვაწეობა** - საინტერესოა, რა ინფორმაციას ინახავს წყაროები ბესარიონ ორბელიშვილის მსოფლმხედველობაზე. ჩვენამდე მოღწეული მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მამია გურიელისა და კათალიკოს ბესარიონის მიმოწერა ტყვეთა გაუსყიდველობაზე, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (ფ. 1448, ანაწერი 1, 1289,

დათარიღებულია XVIII საუკუნით, სავარაუდოდ, 20-იან წლებამდე, ბესარიონის კათალიკოსობამდე). როგორც ირკვევა, ის, ჯერ კიდევ გარეჯში ბერად ყოფნისას, თავად ხლება მამია გურიელს ამ მძიმე პრობლემის გადასაჭრელად. მამია გურიელის ხელმოწერით არსებული საფიცარი წიგნის თანახმად ორივე მხარე - მამია გურიელი და ბესარიონ ორბელიშვილი - პირობას დებდა, მკაცრად აკონტროლებდა ტყვეთა სყიდვას, მატერიალურ, სოციალურ, მორალურ, პოლიტიკურ საფრთხეებს, რათა არ შექმნილიყო ტყვეთა სყიდვის პრეცედენტი. ეს წერილი მოჰყავს თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ [III, 1967:110-111]<sup>7</sup>. მათი ერთობლივი მცდელობა ამ მასშტაბური პრობლემის მოსაგვარებლად იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა რთული იყო. მ. სურგულაძე წერს: „ბესარიონ კათალიკოსი, რომელსაც შეეძლო მხოლოდ მორალური ზემოქმედება მოეხდინა საკუთარ თანამემამულეებზე, რასაკვირველია, უძლური იყო ზოგადად ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, რომელსაც ამ დროს არნახული მასშტაბი ჰქონდა მიღებული“ [სურგულაძე, 2016:154]. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია (ფ. 1448, ანაწერი 1, №1245, დათარიღებულია 1712 წლით ხელნაწერზე მითითებულია ძველი ნომერი №235) დედოფალ რუსუდანისა და ბატონიშვილ ბაქარის წერილი დომენტი კათალიკოსისადმი. წერილი ეხება ტყვეთა სყიდვას. წერილის თანახმად დედოფალი და ბატონიშვილი ბაქარი დომენტი კათალიკოსს ჰპირდებიან, მკაცრად დასჯიან ტყვეთა სყიდვის კონტრაბანდაში ჩართულ პირებს.<sup>8</sup> ეს იყო იმ დროისთვის უმძიმესი პრობლემის მოგვარების საერთო მცდელობა, რომელსაც ერთი ვიზიტი და წერილი, თუნდაც დედოფლის, არ ეყოფოდა. ეს უფრო მასშტაბური პრობლემა იყო და საერთაშორისო პარტნიორების ნებით და ჩართულობითაც უნდა მოგვარებულიყო. ამას აცნობიერებდა დომენტიც და ბესარიონიც, ამის მიუხედავად, საქართველოს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში S-4998 ხელნაწერში (გვ. 22-24) დაცულია დომენტი კათალიკოსის წერილი, რომელსაც ის ბესარიონს, უკვე საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს, სწერს კონსტანტინეპოლიდან და ბრალს სდებს ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ უმოქმედობაში.<sup>9</sup>

<sup>7</sup> წერილი სრულად იხილეთ **დანართი 1**.

<sup>8</sup> წერილი სრულად იხილეთ **დანართი 1**.

<sup>9</sup> წერილი სრულად იხილეთ **დანართი 1**.



წერილი მძიმე ბრალდებებს შეიცავს: 1. ბესარიონის იერარქიული წინსვლის არასწორი გზები; 2. იესეს როგორც უზნეო ხელისუფალის (ცნობილია, ბესარიონი სწორედ იესეს მფარველობით ავიდა საკათალიკოსო ტახტზე) წარმოჩენა; 3. ტყვეთა სყიდვაზე გულგრილი დამოკიდებულება და უმოქმედობა. რაც შეეხება ტყვეთა სყიდვას, ამ ნაწილში, უფრო კორექტული, მაგრამ საკმაოდ მკაცრი და რადიკალური იყო დედოფალი რუსუდანიც მისადმი მიწერილ წერილში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესარიონი, თანამდებობრივი ძალაუფლების გარეშე ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას. ამდენად, წერილის ტონი უფრო გაბრაზებული, განაწყენებული ადამიანის დამოკიდებულებას აჩვენებს, ვიდრე რეალობის ობიექტურ შეფასებას. იესესა და ბესარიონის დამოკიდებულების ხაზგასმა ამ ნაწილში შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ სწორედ პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს მისი, დომენტის კათალიკოსის, ტახტიდან ჩამოცილება.

ბესარიონის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესაფასებლად საინტერესოა წერილი, რომელიც მან მისწერა ვახტანგ VI-ს 1733 წ-ს (Sd-2939), როცა გარდაიცვალა კოსტანტინე კახთ ბატონი. ბესარიონ ორბელიშვილი წერილში მიმოიხილავს, აანალიზებს რა არსებულ შექმნილ პოლიტიკურ-სოციალურ გარემოს, მოსალოდნელ საფრთხეებსა და არსებულ პოზიტიურ ნიშნებს პოლიტიკური კრიზისის განსამუხტავად, ასევე ობიექტურად, ყოველგვარი სუბიექტური მოსაზრების, დამოკიდებულების გარეშე, მაღალი მოქალაქეობრივი, მამულიშვილური პასუხისმგებლობითა და მოსაზრებით აფასებს ვახტანგ VI-ის შესაძლებლობებს, ფუნქციას ქვეყნის წინაშე, მეფის მაღალ ავტორიტეტს ხალხში, სთხოვს, შეიძლება ითქვას, ძალიან კორექტურად, სამღვდელო პირის მოკრძალებით, მოითხოვს მეფისგან სამშობლოში დაბრუნებას და ვალდებულების აღსრულებას.<sup>10</sup>

ცნობილია, რომ ბესარიონ ორბელიშვილსა და ვახტანგ VI-ს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ეს წერილი კი იმის დასტურია, რომ მისთვის პირად ურთიერთობას ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივად აზროვნებაში, არსებული

---

<sup>10</sup> წერილი სრულად იხილეთ **დანართი 2**. აღნიშნული წერილი გამოქვეყნებული აქვს მ. ქავთარიას [ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959:84], თუმცა ბესარიონ ორბელიშვილის მსოფლმხედველობის აღსაქმელად საჭიროდ ჩავთვალეთ მისი სრულად მოყვანა.

რეალობის ობიექტურად შეფასებაში, მეფის ფუნქციის (როგორც სახელმწიფოს პირველი პირის) აღქმაში.

**4. ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედება** - საინტერესოა ბესარიონი, როგორც შემოქმედი და მწიგნობარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის გარეჯში მოღვაწეობდა. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის გარეჯის სამონასტრო ცხოვრებისა და სკოლის აღორძინებაში. გარეჯის მონასტერი არ ყოფილა მხოლოდ რელიგიური შინაარსის სტრუქტურა, არამედ ქართველ მეფეთა იდეოლოგიური საყრდენი. ასეთი დიდი პასუხისმგებლობის ორგანიზებისთვის უპირველესად საჭირო იყო სამონასტრო ცხოვრების მოწესრიგება. ამის მაგალითი ისტორიიდან არაერთი გვაქვს, განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა. ამ მიზნით შედგა სამონასტრო ცხოვრების „რიგი“ განწესება დავით-გარეჯის მონასტრისა. დოკუმენტი დაცულია საქართველოს კ. კეკელიძის ეროვნულ ცენტრში: Ad-349 განწესება დავით-გარეჯის მონასტრის რიგისა<sup>11</sup>. დოკუმენტი თარიღდება 1690

<sup>11</sup> „ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა, კახეთისა მაკურთხეველმან კათალიკოზმან დიასამიძემ იოვანემ, ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ, ნინოწმინდელ ეფისკოპოზმან არსენ და სრულ ერთობილთ მიტროპოლიტ-ეფისკოპოზთა გავარიგეთ უდაბნო დავით-გარეჯისა. ასე, რომ ჟამთა ვითარებისაგან მოოკრებულიყო და შენობა აღარ იყო. ბრძანებითა ღმრთისათა, ქართველთა მეფისა შაჰნაოზის პირმშომან სასურველმან ძემან, კახთ მეფედ დადგინებულმან არჩილ კვალად შენობა ჩააგდო, მღდელ-მონოზონები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითიწლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა, პირველებრ გარიგებას უპირობდა, აღარ დასცალდა; კიდევ შენობა არ მოიშალა, ის წმიდანი მღდელ-მონოზონნი კორცთაგან განვიდეს. აწ ჩვენ, შეწევნითა უფლისათა და წმიდის მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისათა და ბრძანებითა ქართველთა მეფეთ-მეფისა ერეკლესითა, ვიგულსმოდგინეთ, განვაწესეთ და განვარიგეთ და დავადგინეთ მამად და ვინც იქ მდებია, მის უფროსად და წინამძღვრად მაჭუტაძე ონოფრე, ასე რომ: ვინც იქ მდებია იყოს ან ვინც დადგეს, მისის სიტყუის მორჩილნი და ჰელქვეითნი იყვნენ; მონასტერს ერდგულად მოუდგნენ და მსახურონ და მამის სიტყუის გამგონე იყუნენ; მონასტერს კარგად და მდაბლად მსახურონ. ვისაც იქ დოგმა და მოღვაწეობა უნდოდეს, მამის მორჩილობით და ნების მყოფელობით იყოს. რომელიც ან ახლა, ან შემდგომად ამისა იქნებოდეს, როგორადაც სხვას მონასტერშია, ჰელქვეითნი იყუნენ. და რომელმანც იქ მდგომმან მონაზონმა ან წირვით, ან სხვის მოღვაწეობით რა იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მოაბარონ; იმან როგორათაც მართებულა, მონასტერსაც ისრე მოაჰმაროს და იქ მდექსაცა. და რომელიც ამ ჩვენს ბძანებასა და განაჩენს გადვიდეს მონასტერს მართლად არა მსახუროს, ეს ჩვენი განაჩენი მოშალოს, - მონასტრიდამ განიდევენოს და შეჩვენებული იყოს შვიდის კრებისაგან და ჩვენგან და ჩვენი კრებისაგან. და თუ იქ დგომა არ უნდოდეს, შენდობით და მონასტრის უზიანოს საქმითა და უკანონოდ გამოვიდეს. და თუ იქ დგომა ვისმე უნდოდეს, ესეები ქნას და ამ წესზე დადგეს. მარტა იბ, ქორონიკონსა ტოწ. ბეჭედი: მთავარეპისკოპოზი იოანე. ხელრთვები: 1. ალავერდელი ნიკოლოზ. ბეჭედი: მოსავი ღვთისა ალავერდელი ნიკოლოზ. 2. ბოდბელი ევდემოზ. 3. რუსთველი ნიკოლოზ. 4. სამეხელი ნიკოლოზ. 5 ... 6 ... (ეს ორი ხელრთვა გაურკვეველია). 7. მონა ღმრთისა ათორმეტ უდაბნოთ მაკურთხეველი არქიმანდრიტ ნინოწმინდელი არსენ ვამტკიცებ, ხელრთვა: ნინოწმინდელი არსენ. 8. ქ. მონა ღმრთისა ტფილელ მთავარეპისკოპოზი ვამტკიცებ დომენტი: ორი ბეჭედი: თავში: ქ.

წლის 12 მარტით. დოკუმენტში არსადაა ნახსენები ბესარიონი, მაგრამ როგორც მ. ქავთარია აღნიშნავს, ამ განწესების შედგენა სწორედ მისი დამსახურება იყო. ბესარიონის დამსახურებას გარეჯის აღორძინების საქმეში ადასტურებს 1707 წლით დათარიღებული გაბრიელ საგინაშვილის მიერ დავით-გარეჯში, ბერთუბნის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის A-624 მინაწერი<sup>12</sup>. მსგავსი შინაარსისაა **A-100**: „ქვსა ოა (1713 წ). ამ ქორონიკონსაჲ ქართლმა და კახეთმან ოკრებაჲ დაიწყო. უდაბნოც სუსტდებოდა, ხან ოსმალოს ეჭირა, ხან ყიზილბაშს ცოდვითა ჩემითა. ამ წიგნის წერაში ავიყარენით ამ მონასტრიდამ. დიად ლეკი, შიში შეიქმნა. ჩუშნი ქუწყანა და ნამეტანად კახეთი. დიად, დიდი შიში შეიქმნა, გავიყავით, ნახევარი მამანი და ძმანი აქ დადგნენ თვთ დიდი ბესარიონ და მისი კრებულნი. ზოგნი ქალაქს, სასახლე გუქონდა, დიდი ილარიონ იქ იყოფებოდა, ზოგნი გრკონსა, ზოგნი ყინცვის წმიდის ნიკოლოზის ტაძარში, ზოგნი, თვთ ბესარიონ, მე ცოდვილი იოსებ, მისთან გაუყრელად ვიყოფებოდი...“ [150r-v]; საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტში (ფ. 1449, №2746, ყმა-მამულის შეწირულობის წიგნი ნინოწმინდელ ეპისკოპოს საბა ტუსისშვილისა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრისადმი) დაცულია ცნობა: „...ასე რომე, ჩვენი ქვეყანა მრავალჯერ უცხო თესლთაგან აოკრებულა. და ოდეს მცირე შაჰ-აბაზმა კახეთი ააოკრა და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდავიდა, მას ჟამს დავით გარეჯის მონასტრებიც სრულიად მოოკდა. ინება მოწყალემან ღ(მრ)თისამან და მეფე თეიმურაზ რომ გარდმობრძანდა ისევ საქართველოში და დაუწყო მოოკრებულს კახეთს და მონასტრებს შენობა, მაშინ გარეჯის მონასტრები, ზოგი რომელიმე, მის დროში აშენდენ და რომელიმე უშენი დარჩა. რაოდენიმე ჟამი გამოჰკდა, ნეტარკსენებულნი ბესარიონ, მისი ძმა სვიმონ და ჩივაძე ონოფრე მიიწინეს ნათლისმცემლის მონასტერში. იწყეს შენებად, რადგან ათორმეტი უდაბნოთ აკურთხეველი ნინოწმინდელის ვალი იყო, რომ შეწევნა მიეცა და მოჰკრებოდა...“<sup>13</sup>

---

ნებითა ღმრთისათა ჩვენ, მთავარეფისკოპოზი ქრისტეფორე ვამტკიცებ. ხელრთვა: მთავარეპისკოპოზი. ბეჭედი: რომელი განკსნათ ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა. მინაწერი: ქ. ეს სიგელი სამონასტრო რიგის არის. 8 (Гареджи) I 1690 წელსა. ბეჭედი: ნიკოლოზ“

<sup>12</sup> მინაწერი მოვიყვანეთ ზემოთ, გვ. 45.

<sup>13</sup> ბესარიონის დამსახურებას გარეჯული ლიტერატურული სკოლის აღორძინების საქმეში ადასტურებს პოლიევქტოს კარბელაშვილი. ის, შეისწავლა რა გარეჯის არსებული მდგომარეობა, გაზეთ „დროებაში“ 1879 წელს №48 გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა: „მეორედ

არსებული წყაროების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ბესარიონი იყო არა მარტო კარგი მწიგნობარი, არამედ ნიჭიერი მენეჯერიც. შესაძლოა, არამარტო პოლიტიკური შეხედულებები, არამედ ესეც იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი მისი კათალიკოსად არჩევისას.

ბესარიონმა დიდი წვლილი შეიტანა გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკის განახლებასა და გადარჩენაში. როგორც ცნობილია, კათოლიკობა ღვთისმსახურებასა და ლიტერატურაშიც კი, მხოლოდ ლათინურ ენას აღიარებდა. პატარა ქვეყნის ლიტერატურისა და, შესაბამისად, ენის სიცოცხლისუნარიანობისთვის ეს მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა. გარეჯის საღვთო-ლიტერატურული სკოლის სკოლის წარმომადგენლები, მწიგნობრები არა მარტო ქმნიდნენ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, არამედ ავსებდნენ წიგნად ფონდს. ეს კი თავის მხრივ იყო ენის გადარჩენისა და ანტიპაპისტური განწყობის დემონსტრირების, ხაზგასმის ერთ-ერთი სეგმენტი, ჯაჭვი. XVIII საუკუნის დოკუმენტები ადასტურებს, რომ გარეჯის ბიბლიოფონდში ინახებოდა არა მხოლოდ სასულიერო შინაარსის წერილობითი ნიმუშები, არამედ საერო და სამეცნიერო შინაარსისაც. გარეჯელ მამებს, მათ შორის ბესარიონ ორბელიშვილს, ხელნაწერთა გადაწერა, გაცხოველება, გადარჩენა, შეგროვება უმძიმეს პირობებში ბერ-მონაზონთა სიცოცხლის ფასადაც უხდებოდათ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი Ad-1039 „გულანის შეწირულობის წიგნი გიორგი დადიანისა წმ. დოდოს მონასტრისადმი“, დათარიღებული 1706 წ. 23 მაისით, რომელიც ასახავს მონასტრის მძიმე რეალობას, კერძოდ, ლეკიანობას და გარეჯელი მამების მცდელობას, შეეცნოთ მონასტრის გამარცვული ხელნაწერი ფონდი.<sup>14</sup>

---

განმახლებელი მონასტრისა და ყოვლითა საუნჯითა აღმავსებელი კათალიკოსი ბესარიონ თაქალთოიანი (ბარათაშვილი). ამანვე შეკრიბნა მონასტერში მონაზონნი“. პოლიევქტოს კარბელაშვილი ბესარიონს მოიხსენიებს როგორც ბარათაშვილ-თაქალთოიანი. ამ გვართაა ცნობილი ერასტი თაქალთოიანი-ბარათაშვილი, დაბადებული 1737 წელს [Sd-1241, Ad-1738].

<sup>14</sup>„ჩვენ ფრიად ცოდვილმან და წყვდიადსა შინა გარდასვლისასა მდებარემან... ვიგულებთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ წმიდა და სულთა განმანათლებელი გულანი ესე უდაბნოსა გარეჯისასა, საფლავსა წმინდისა დოდოსასა, სულთა ჩვენთა მშვიდობისა მოცემად, მისა ჩვენისა გიორგისა [იგულისხმება გიორგი IV დადიანი] აღსაზრდელად და სკიპტრა-პატრონობისა ჩვენისა წარსამართებლად. მას ჟამსა, ოდეს, მოიწივნეს წინაშე ჩვენსა წმინდის ამის უდაბნოსა მამათა და კრებულთა მიერ წარმოვლენილნი ღმერთშემოსილნი მამანი: სამთავნელ ეფისკოპოსი კუიპრიანე, მღრდელ-მონაზონი ეპიფანე, მყაშვილი მთავარდიაკონი ზაქარია. მოიწივნეს ვედრებათ და თხოვათ გულანისა, რამეთუ ჟამთა ვითარებისაგან უდაბნო იგი ურჯულთა მიერ იავარქმნილიყო და წმინდისა ეკლესიისა სამკაულთაგან ცარიელ ქმნილიყო. რადგან აჯა წინაშე

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების საცავში ინახება რამდენიმე დოკუმენტი (Ad-307, 311, 317, 367, 404, 416, 454, 456, 862, 1028 და Sd-2009)<sup>15</sup>, რომლებშიც აღნუსხულია გარეჯის საეკლესიო ნივთები, მათ შორის ხელნაწერებიც. მსგავსი სტატისტიკური შინაარსის (საინვენტარო აღწერების, საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების სია) დოკუმენტები გარეჯის მონასტრის შესახებ XVIII საუკუნემდე არ გვხვდება [დანართი 3 წარმოდგენილია ყველა დოკუმენტი, ჩანაწერი, სადაც აღნუსხულია გარეჯის ხელნაწერი მემკვიდრეობა. წყაროების ენა უცვლელია]. ეს ის მემკვიდრეობაა, რომლის აღდგენაც მე-18 საუკუნის გარეჯელი მამების უდიდესი ძალისხმევით, თავდაუზოგავი შრომით, ღვაწლით, თავგანწირვის დამსახურებაა. ამ უდიდეს საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილმა. ზემოთდასახელებული წყაროები ცხადად ასახავს ქართველ მწიგნობართა დაუღალავ ღვაწლს და იმ მკაცრ ისტორიულ რეალობას, რამდენად დიდი მსხვერპლის (პიროვნული, მატერიალური, ფიზიკური) ფასად ხდებოდა ქართული ხელნაწერი კულტურის შექმნა, შენარჩუნება და გადარჩენა.

ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერებით ირკვევა ისიც, რომ ბესარიონ ორბელიშვილი ყოფილა **მასწავლებელი, მოძღვარიც**. მ. ქავთარია აღნიშნავს: *„ბესარიონი ყოფილა ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდა ბერების წინამძღვარი, მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი“* [ქავთარია, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959:86].

საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი A-100, დათარიღებული 1713 წლით. გადამწერის, იოსებ არაგვის ერისთავის, ანდერძით ირკვევა, რომ მან აღნიშნული ხელნაწერი მისი **მოძღვრის, აღმზრდელის ბესარიონ ორბელიშვილის** თხოვნით დაწერა: *„...კელ ვყავ ბრძანებითა ზემო კსენებულისა მოძღურისა ჩუშნისა ბესარიონისითა, რომლისა ბრძანებითა და ლოცვითა კელთ ვიხუშნ წიგნი ესე და არა ურჩ ვიქმენ ბრძანებათა მათთა...“* [150v].

---

ჩვენსა მოიწივნეს, მათი უსმენელობა ჩვენგან არ ეგებოდა. ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და შევსწირეთ გულანი ესე და წარვგზავნეთ სულთა ჩვენთა საოხად და ცოდვათ ჩვენთა შესანდობელად“

<sup>15</sup> იხ. დანართი 3, გვ. 250

ამავე ცენტრში დაცულია ხელნაწერი A-130, დათარიღებული 1713 წ. გადამწერი გაბრიელ საგინაშვილი. ხელნაწერის გადამწერი ანდერძში ბესარიონ ორბელიშვილს უწოდებს თავის მოძღვარსა და მასწავლებელს: „...*კელ ვყავ მეცა ძალისაებრ ჩემისა მე უღირსმან ხუცეს-მონაზონმა გაბრიელ საგინაშვილმან წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა... ვიტყვი წმიდასა ონოფრე, მამასა ხარიტონს და ღი[რსსა] მოძღვარსა და მასწავლებლსა ჩემსა ბესარიონ ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა კელად ვიხვენ წიგნი ესე და არა ურჩ ვექმენ ბრძანებასა მათსა, არამედ სრულ ვყავ ძალითა ღმრთისათა*“ [332v].<sup>16</sup> გაბრიელ საგინაშვილი მსგავს ინფორმაციას ადასტურებს ხელნაწერის Q-85 (სახარება) ანდერძში: „...*აღწერე მათი წმინდაჲ ესე განმანათლებელი სულთა სახარებაჲ და სამოციქულო მამის ჩუენისა ხარიტონის და მოძღურისა და მასწავლებლისაჲ უფლისა ჩემისა დიდის ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა*“ [171v]. ეს ანდერძი მოჰყავს თ. ჟორდანიას ქრონიკების მე-3 ტომში [ჟორდანია, III, 1967: 64-65].

დასახელებული ხელნაწერების ანდერძების მიხედვით დასტურდება, რომ ბესარიონი ყოფილა იოსებ არაგვის ერისთავისა და გაბრიელ საგინაშვილის მოძღვარი, ხოლო ალ. ხახანაშვილს მიაჩნია, რომ ბესარიონი ყოფილა ტიმოთე გაბაშვილის მოძღვარი. ეს ინფორმაცია მას მოჰყავს წიგნში „Очерки по истории грузинской словесности“: „*Тимофей, родомъ Габашвили, достойный ученикъ просвещеннаго католикоса Виссариона*“ [Хаханашвили, 1901:299]. კ. კეკელიძეც მიიჩნევს, რომ ტიმოთე გაბაშვილი ბესარიონის მოწაფე იყო: „*ტიმოთე იყო მოწაფე ბესარიონ კათალიკოსისა, ის ერთი საუკეთესო მღვდელმთავარია მეთვრამეტე საუკუნისა როგორც ჭკუით, ისე განათლებით*“ [კეკელიძე, I, 1960:354]. ამავე აზრს იზიარებს ელ. მეტრეველი ტიმოთე გაბაშვილის „მომისვლაში“ გამოცემისთვის

<sup>16</sup> გაბრიელ საგინაშვილს გადაუწერია ხელნაწერი H-1557, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, გადამწერი-გაბრიელ საგინაშვილი. ანდერძი უცვლელად, სიტყვა-სიტყვით იმეორებს A-130-ის ანდერძს, რომლის გადამწერიც გაბრიელ საგინაშვილია და ისიც გარეჯის მრავალმთის მონასტერშია გადაწერილი 1713 წელს. შედარებისთვის მოგვყავს ხელნაწერის H-1557-ის გადამწერის ანდერძი: „...*კელ ვყავ მეცა ძალისაებრ ჩემისა მე უღირსმან ხუცეს-მონაზონმა გაბრიელ საგინაშვილმან წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა... ვიტყვი წმიდასა ონოფრე, მამასა ხარიტონს და ღი[რსსა] მოძღვარსა და მასწავლებლსა ჩემსა ბესარიონ ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა კელად ვიხვენ წიგნი ესე და არა ურჩ ვექმენ ბრძანებასა მათსა, არამედ სრულ ვყავ ძალითა ღმრთისათა*“ [11r-v];

დართულ გამოკვლევაში [მეტრეველი, 1957:078]. მ. ქავთარიაც თვლის, რომ „*ბესარიონი იყო ტიმოთე გაბაშვილის მასწავლებელი. ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე პირდაპირი ცნობა არ არსებობს, მაგრამ ამაზე მიუთითებს ის, რომ ტიმოთემ გადაწერა ბესარიონის „გრდემლი“, A-119“* [მოამბე, 1959:86]. მ. ქავთარია აქვე აღნიშნავს ერთ ფაქტსაც; კერძოდ, ბესარიონს ახლო ურთიერთობა ჰქონია მაქსიმე ბოვნელთან, რომელსაც იგი სულიერ ძმასაც უწოდებს და მისთვის ხელნაწერსაც წერს, ესაა A-198, რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი. ამიტომ მისი ვარაუდით, შესაძლოა ისიც მისი მოსწავლე ყოფილიყო.

ბესარიონ ორბელიშვილი საკმაოდ პროდუქტიული შემოქმედი იყო. ის იყო ორიგინალური თხზულებების ავტორიც, გამამწერიც და დამკვეთიც. მან დიდი როლი შეასრულა ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების სრულყოფასა და შევსებაში, რომელშიც შედიოდა ქართველ წმინდანთა ცხოვრება და საგალობლებიც. დავით გარეჯის ლავრაში ონოფრე მაჭუტაძის [A-160], დომენტი კათალიკოსისა [A-130, H-1557] და ბესარიონ ორბელიშვილის [A-59] ინიციატივითა და ღვაწლით მომზადდა და შეიქმნა სადღესასწაულოს ახალი რედაქციები. სადღესასწაულოს ფორმატი არ იძლეოდა საშუალებას მასში მხოლოდ ქართული მასალა შესულიყო, როგორც ჰაგიოგრაფიულ კრებულში, მაგრამ მაქსიმალურად მოხერხდა, ის ქართული მასალით შევსებულიყო. გარეჯელმა მამებმა პროლოგ-სვინაქსარების შედგენისას აქცენტი ძირითადად სლავურ სადღესასწაულოებზე გადაიტანეს, ამის მიხედვით მოხდა ქართული მასალის რედაქტირება, ეს იყო ერთგვარი ნოვაცია ქართულ ლიტურგიკულ მწერლობაში. ამგვარად გამართული პირველი სადღესასწაულო შეიქმნა ბესარიონ ორბელიშვილის მიერ A-59 (შესრულებული ნუსხური დამწერლობით, პირველი ნაწილი (1r-86r) წარმოადგენს ძლისპირს, მეორე ნაწილი (87r-205v) არის სადღესასწაულო, ბოლო ნაწილი (206r-207r) წარმოადგენს მარხვანის ფრაგმენტს. ბესარიონის შესრულებული სადღესასწაულო არ ყოფილა სრულყოფილი, მასში იგრძნობოდა ქართული მასალის სიმწირე, ამიტომაც დომენტი კათალიკოსის ინიციატივით ის გადაუმუშავებიათ, ასე გაჩნდა სადღესასწაულოს ახალი რედაქცია A-425. ეს რედაქცია უფრო მეტ ქართულ მასალას შეიცავდა. A-425 შეიქმნა დომენტი კათალიკოსის დაკვეთით, ხოლო შემდგომში ბესარიონ ორბელიშვილის მიერ - A-59, რომელიც მის ავტოგრაფად

ითვლება. მ. ქავთარია მიიჩნევს, რომ A-425 უნდა შეედგინათ დაახლოებით 1713 წელს, ჰაგიოგრაფიულ კრებულთან (A-130) ერთად, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია 1718 წლის ნუსხით. დომენტი კათალიკოსისა და ბესარიონ ორბელიშვილის ლიტერატურული ტანდემის დამსახურებაა ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების ახალი რედაქციის შექმნა. პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული, A-160, ონოფრე მაჭუტაძის დაკვეთითა და მონდომებით გადაუწერია მღვდელ-მონაზონ შიოს 1699 წელს, ხოლო ელ. მეტრეველი მიიჩნევს, რომ პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის შედგენის ინიციატორი დომენტი კათალიკოსი ყოფილა. მას სპეციალურად დაუძებნია ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამებანი და 1705-1713 წლებში შეუდგენია პირველი ჰაგიოგრაფიული კრებული A-130, რომლის გადამწერიც არის გარეჯელი ბერი გაბრიელ საგინაშვილი, აღნიშნული კრებულის ფრაგმენტულ ნაწილს წარმოადგენს H-1557. დომენტი კათალიკოსის შედგენილი კრებული იყო უფრო სრულყოფილი, ვიდრე ონოფრე მაჭუტაძის ინიციატივით შედგენილი, მაგრამ მასაც ჰქონია გარკვეული ხარვეზები, რომლის სრულყოფაც გადაუწყვეტია გარეჯელ ბერს ბესარიონ ორბელიშვილს. ასე შეიქმნა კრებულები A-170, S-3269, უფრო მოგვიანებით H-1672, H-2077 და სხვები. ამათგან ყველაზე დიდი კრებულია S-3269. იგი შესრულებულია რამდენიმე ხელით, ძირითადი ნაწილები შეუსრულებია თავად ბესარიონ ორბელიშვილს. ბესარიონს ჰაგიოგრაფიულ კრებულებში შეუტანია და ქართველ წმინდანებზე მასალა გაუმდიდრებია მის მიერ შეთხზული ჰაგიოგრაფიული ტექსტებით: რაჟდენის, არჩილ მეფის, ლუარსაბის მარტვილობებით, ისე წილკნელის ცხოვრებით, ბახტრიონის გმირების, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, შესხმით.

**ორიგინალური თხზულებების ავტორი:** კ. კეკელიძემ აღნიშნა: „ბესარიონს ორიგინალური თხზულებებიც უწერია. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც ქართველ წმინდანთა ცხოვრებას შეიცავს. ეს არის ახალი რედაქცია ქართველ წმინდანთა ცხოვრებისა, რომელიც მაინცდამაინც ვერ გავრცელებულა, რაც იქიდან ჩანს, რომ მისი ნუსხები ახლა იშვიათად, შეიძლება ითქვას, სულაც არ მოიპოვება“ [კეკელიძე, I, 1960:350]. ანტონ კათალიკოსი „მარტირიკაში“ არაერთგან იმოწმებს ადგილებს ბესარიონის ჰაგიოგრაფიული



ტექსტებიდან. ბესარიონ ორბელიშვილის მიერ შექმნილი აგიოგრაფიული თხზულებებია:

1. *რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა* - ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერებში - S-3269 (კრებული, XVIII ს. გადამწერები - იობი, ფილიპე, ბესარიონი; ადგილი - გარეჯის მრავალმთის ეკლესიაში), კრებული შეიცავს რაჟდენის მარტვილობას: „თვესა აგუსტოსა გ. წამებაჲ და ღუაწლი წმიდისა დიდისა მამისა რაჟდენისი“ (267r-275v); A-170 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება, 1733 წ. გადამწერი მთავარდიაკონი იოანე, ადგილი თბილისი), კრებული შეიცავს რაჟდენის მარტვილობას „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], თვესა აგუსტოსა გ, წამებაჲ და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელს შინა წრომს“ (222r-227v). რაჟდენის მარტვილობა მეტაფრასული რედაქციისაა. კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ თხზულება მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა უნდა ყოფილიყო, რადგან თხზულება იცნობს „დავით და კოსტანტინეს წამებას“, რომელიც მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარშია დაწერილი, თუმცა 1989 წელს გამოცემულ „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ მ. ქავთარია წერს: „ორი ათეული წლის წინ გაირკვა, რომ არჩილ მეფისა და რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობათა ვრცელი რედაქციები ეკუთვნის ბესარიონ ორბელიშვილის კალამს და რომ ისინი XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლებია და არა XII-XIII სს.“ [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, 1989:193]. ბესარიონს აგიოგრაფიული კრებულის შედგენისას პირველი სწორედ „რაჟდენ პირველმოწამის წამება“ შეუდგენია. იგი ძირითადად იყენებდა ჯუანშერის ცნობებს. ანტონი „მარტირიკაში“ აღნიშნავს: „სიტყუა მეშუდე, რაჟდენისთვის: მოგვიღებოდა ქართულეთა დღეინდელისა კრებისა ჩუეულებაჲ ბრძანებითა კეთილმსახურისა ვახტანგ დიდისა, სპარსთა მიერ მგელ-ლომ ზედწოდებულისა, მონარხისა ყოველთა ქართულეთა და რანთა და აფხაზთასა, რომელიცა დაამტკიცა მაშინ კრებამან ეპისკოპოსთა წმიდათამან სადღესასწაულოდ. ხოლო მიზეზი კრებისა ამის არს ქრისტეს მოწამე რაჟდენ, რომლისაცა ღუაწლოსა პირუელ-მოთხრობილისა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ, მამათმთავარი ჩუენი და განაღვებებს სულთა ჩუენთა ქებად უადრეს ძალისა

ახოვნებათადმი რაჟდენისთა“ [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980:138, 25].

**2. არჩილ მეფის მარტვილობა** - ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერებში - S-1616 [ორბელიშვილი ბესარიონ, თხზულებები, XIX საუკუნე. ხელნაწერი ნაკლულია, მოიცავს 16 ფურცელს, ნაწერია მხედრული დამწერლობით. უცნობია მისი თავდაპირველი მოცულობა, გადამწერი, გადაწერის ადგილი, დაიწერა ვინმეს დაკვეთით თუ არა]: „მარტვილობაჲ არჩილ მეფისაჲ“ (1r-6v); S-3269 კრებული შეიცავს არჩილ მეფის მარტვილობას „თვესა მარტსა კ. შესხმა და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი.“ (228r-235r); A-170, კრებული შეიცავს არჩილ მეფის მარტვილობას „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], თვესა მარტსა ოცსა, შესხმა და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთასა, რომელი იყო ნათესავი და ტომი, ხუასროვანთჲ სპარსთა მეფისა, და იწამა ქართლს შინა ჭიჭუმ მძლავრისა მიერ, რომელსა ეწოდა ასიმ“ (228r-232v); არჩილ მეფის ცხოვრებაზე მოკლედ საუბარია ლეონტი მროველთან და „ქართლის ცხოვრებაში“. ბესარიონს ძირითადად უსარგებლია ლეონტი მროველის თხზულებით, არჩილის წამებამდე ცნობები აღებული აქვს ჯუანშერიდან, თუმცა არა სიტყვა-სიტყვით, როგორც ლეონტი მროველის შემთხვევაში. ანტონი „მარტირიკაში“ აღნიშნავს: *„სიტყუა მესამე, არჩილისთჳს: იწყო უკუე მძლავრმან წმიდისად ლიქნითნი სიტყუანი და მოწოდებაჲ ბილწთა ჰსჯულისდებათად ცრუმოციქულისა მათისათა და უარყოფად ქრისტეს ღმრთისად აღთქმითა დიდ-დიდთა მისაგებელთა/ პატივთა და მეფობისა და კელმწიფეებისა თავისუფლად. გარნა წმიდასა ესმოდეს სიტყუანი მისნი; ვითარცა კლდესა ანუ გოდოლსა მტკიცესა კუეთებანი წულილთა ქართანი და ეტყოდა მძლავრსა მას.. ამათ უკუე მიგებათა წმიდისათა მძლავრისად ჰსწერს ნეტარი ბესარიონ“* [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980, 81, 9.]; *„აღწერა უკუე ღუაწლი წამებითი წმიდისა ვინმე ფრიად მცირედ, რამეთუ ესრეთ წერილ არს ძუელთა შინა მატიანეთა ჩუენთა, და კუალად ძუელთა მატიანეთა შინა მოთხრობილ არს ჯუანშერისათა ჯუანშერიანისა, რომელი იყო ნათესავი წმიდისა ძეთაგან რევ, ძესა მირიანისთა. ხოლო შემდგომად სანატრელმან ბესარიონ მამამთავარმან ჩუენმან უვრცელესად“* [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980, 84, 27].

**3. ისე წილკნელის ცხოვრება** - ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერებში - S-3269, კრებული შეიცავს ისე წილკნელის ცხოვრებას: „თვესა აგუსტოსა იწ. დაძინებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკურველთ-მოქმედისა“ (253r-261v); A-170, კრებული შეიცავს ისე წილკნელის ცხოვრებას „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], თვესა აგუსტოსა იწ, დაძინებაჲ წმიდათაგანისაჲ მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკურველთ მოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინართ მოიწინეს“ (246r-250v); ბესარიონს შეუქმნია ისე წილკნელის საგალობელი, რომელიც შეტანილია XVIII საუკუნის თვენში S-166, ამას ადასტურებს მინაწერი საგალობელზე: „კანონი მღუდელ-მთავრისა, ქმნილი უფლისა ბესარიონ კათალიკოსისა“. უცნობია ხელნაწერის გადამწერი და გადაწერის ადგილი. ისე წილკნელის ცხოვრება ცალკე აღწერილი არ ყოფილა, იგი არ შედის არც დომენტის კრებულში და არც A-160-ში, რომელშიც ძირითადად ასურელ მამათა ცხოვრებებია შესული, ამიტომ ბესარიონს უსარგებლია ყველა იმ ცნობით, რომლებიც ასურელ მამათა ცხოვრებებშია გაბნეული და ისე წილკნელის ცხოვრებას შეეხება.

**4. ლუარსაბ მეფის მარტვილობა** - ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერებში - A-170, კრებული შეიცავს ლუარსაბ მეფის მარტვილობას „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი]: „თვესა მარტსა ა, ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰაბაზ უსჯულოსა მიერ სპარსთა მეფისა (233r-239v); A-1325 [ლუარსაბ მეფის და სხვათა წამებანი. ხელნაწერი XVIII საუკუნისაა, უცნობია გადაწერის ადგილი და გადამწერი], ხელნაწერი შედგება ლუარსაბ მეფისა და ბიძინა, შალვა, ელიზბარის ცხოვრებებისგან, რომლის ავტორად ს. ყუბანეიშვილი ბესარიონ ორბელიშვილს ასახელებს (1r-6v); S-1616, „ლუარსაბ მეფის მარტვილობა“ (7r-15v); S-3269, კრებული შეიცავს ლუარსაბ მეფის მარტვილობას: „თვესა მარტსა ა. ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოსა მიერ სპარსთა მეფისა“ (235v-243v). ლუარსაბის წამებიდან ბესარიონის მოღვაწეობამდე ასიოდე წელი იყო გასული. მისი ცხოვრება უხვად აისახა სხვადასხვა წყაროში, ბესარიონის თხზულება მათგან გამოირჩევა ფაქტების სიმრავლითა და რიგ შემთხვევებში, მათი სისწორით. მაგ. თითქმის ყველა წყარო, ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, ლუარსაბის დედად ასახელებს მარიამს

„დედასა მეფისასა დედოფალსა მარიამს, ასულსა ლიპარტიანისასა...“ ბესარიონი კი ლუარსაბის დედას უწოდებს თამარს. როგორც ირკვევა, ლუარსაბის დედას მართლაც რქმევია თამარი, ამას ადასტურებს ე.წ. პარიზის ქრონიკები: „*მამასა ეწოდებოდა გიორგი და დედასა თამარ...*“ მას წყაროდ გამოუყენებია სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები, ასევე ზეპირი გადმოცემები, რადგან მის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდნენ მისი თანამედროვენი, თუმცა ძირითად წყაროდ აუღია გრიგოლ დოდორქელის „ქეთევან დედოფლის წამება“. თხზულების ავტოგრაფიულ ნუსხაში არ არის მითითებული ხსენების დღე. შესხმა, რომელიც მოსდევს ლუარსაბის მარტვილობას, 1 მარტის საკითხავადაა განკუთვნილი. ანტონი „მარტირიკაში“ აღნიშნავს: „*სიტყუა მეორე, ლუარსაბისთვის: აღჰსწერნეს უწინარეს ჩემსა ლუაწლი წმიდისა ლუარსაბისი, რომელთაგან არს ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი*“ [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980, 44, 14]; „*მამათმთავარმან ჩუენმან ბესარიონ მოგვთხრა შობითგან წმიდისათ ვიდრე სიკუდილადმდე, რომელიცა მიიღო ლუარსაბ, ზიარმან სიკუდილისა ქრისტესმან და დაფლუადმდე მისა აღჰსწერა არა მოკლედ/ყოველნი საქმენი წმიდისანი*“ [იქვე, 44, 34]. მსგავსი უამრავი ფრაგმენტი „მარტირიკაში“.

**5. ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობა** - ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერებში - A-170, კრებული შეიცავს ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობას: „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისაჲ“ (239v-246v); A-1325, „ბიძინა, შალვა, ელიზბარის ცხოვრება“ (7r-12v); S-1616, „შესხმა წმიდათ მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა“ (15v-16r); S-2452 (კრებული, 1848 წ. გადამწერი - ანასტასია გრიგოლის ასული ჩოლოყაშვილი); ხელნაწერი შეიცავს ბესარიონის „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა“ (1r-9v); S-3269, „შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა“ (243v-252v); Q-300 [მამათა და დედათა ცხოვრება, XIX საუკუნის ხელნაწერი, დაწერილია მხედრული დამწერლობით, უცნობია ხელნაწერის გადამწერი და გადაწერის ადგილი], ხელნაწერი შეიცავს ბესარიონის „შესხმა წმიდათა მოწამეთა: ბიძინასი, შალვასი და ელისბარისა და უწყება წამებისა მათისა“ (გვ. 147-168). ბახტრიონის ეპოქა

ბესარიონისთვის ქრონოლოგიურად ახლოსაა, ამდენად წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ის საიმედო წყაროა. იგი მდიდარია ისტორიული ფაქტებითა და ცნობებით. თხზულების პირველი ნაწილი წარმოადგენს გმირების წამებას, მეორე კი ხოტბას. ამდენად, თხზულების ტონი შესამჩნევად ემოციული და პათეტიკურია. ანტონი „მარტირიკაში“ აღნიშნავს: *„სიტყუა მეცხრე, ბიძინასთჳს და ერისთავთა: იტყჳს უკუე ნეტარი ბესარიონ (მამათმთავარი ჩუენი): ბრძოლასა მას შინა წმიდათასა სპარსთა მიმართ სახილუელად ლაშქრისა ჩუენისა ჰაერთა შინა ჰსრბიდა ჰაბუკი ყოვლად შუენიერი, ჰურვილი, მჯდომარე თეთრსა ცხენსა ზედა, წინამავალი მათი შემწედ და დამცემელად უცხოთესლთა და ჩუენთა ყოველთა იცოდეს, ვითარმედ იყო დიდი იგი მთავარმოწამე გიორგი“* [ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980, 177, 23.]. მსგავსი ნიმუში „მარტირიკაში“ რამდენიმეა.

ბესარიონ ორბელიშვილს ეკუთვნის ლიტურგიკული თხზულებები:

1. „კანონი სავედრებელი საუფლოჲსა კუართისა“ – დაცულია შემდეგ ხელნაწერში: A-1430 [საგალობელთა კრებული, XIX საუკუნე. ხელნაწერი ეკუთვნოდა ქვათახევის მონასტერს]. ერთ-ერთ თავად გამოყოფილია „კუართისა საუფლოჲსა და სუჭტისა ღმრთივ ბრწყინვალისა“ ხსენება, სადაც მითითებულია: „კანონი პირველი, ქმნილი უფლისა ბესარიონ კათალიკოსისა. კმა დ“ (77v-79v).

2. „კანონი ქმნილი კუართისა“ - დაცულია შემდეგ ხელნაწერში: S-3046 [სვეტიცხოვლის საგალობლები, განეკუთვნება XVIII საუკუნე, ხელნაწერი ნაწერია ქალაქდზე, ნუსხური დამწერლობით. უცნობია გადაწერის ადგილი და გადამწერი, არც ისაა ცნობილი, რომელ ეკლესიას ეკუთვნოდა დასახელებული ხელნაწერი]. ხელნაწერის მინაწერით ირკვევა, რომ ერთ-ერთი გალობის ავტორია ბესარიონი: „სხუაჲ გალობა მეორე სვეტის ცხოველისა, თქმული უფლისაჲ ბესარიონ კათალიკოსისა, სძლისპირი ბ გზის, დასდებელი ვ“ (7v).

3. „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა“ - დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: A-130<sup>17</sup>. ხელნაწერი შედგება: „თუესა აგჳსტოსა გ. რაჟდენისა. უფალო ღაღადყავს. კ~ჲ დ. გ~ი. ჰ სასწაული“ (331 r-v); A-170, კრებული შეიცავს რაჟდენის

<sup>17</sup> დასახელებულ ხელნაწერზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

მარტვილობას და აქვეა საგალობელიც „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], თვესა აგუსტოსა გ, წამებაჲ და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელს შინა წრომს“ (222r-227v); A-176 [ქართველ წმინდანთა ცხოვრება, 1743 წ. გადამწერი კახიდივნის ძე იოანე, ადგილი დავით გარეჯა]. კრებული შეიცავს საგალობელს: „[ბესარიონ კათალიკოსი ორბელიშვილი], თვესა აგუსტოსა გ, წმიდისა მოწამისა რაჟდენისა, უფალო ღაღადყავ. კმაჲ დ. გ~ი. ჟ სასწაული“ (282r-283r).

ბესარიონს დაუწერია ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება „გრდემლი“. რომლის რედაქციებსა და ხელნაწერებზე ვრცლად ვისაუბრებთ მე-3 თავში.

ბესარიონი იყო **გადამწერიც**, რასაც ადასტურებს ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. ჩვენემდე მოღწეული ხელნაწერი წიგნებიდან მას გადაუწერია: **1. A-59**, კრებული, ამას ადასტურებს ხელნაწერის მინაწერი: „*ჩუჴნ ყოვლისა საქართველოსა მაკურთხებელმან კათალიკოზ პატრიარქმან, ბატონმა ბესარიონ გიბოძეთ ესე პატიოსანი ძლისპირი, თვენით სრული შენ, მაღალაძეს ნიკოლოზს, სულთა ჩუჴნთა შესანდობლად თუჴსა იანვარსა, ქ~კს ოკგ*“ (65r); როგორც არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, სავარაუდოდ, ხელნაწერი წარმოადგენს ბესარიონის მიერ სლავურ ყაიდაზე გაკეთებულ სადღესასწაულოს, **2. A-105**. კრებული, 1697 წ, გადაწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის მონასტერში; ადრე ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს: „*წმიდაო სუმეონ საკურველო, შეიწყალე გლახაკი ბესარიონ, უცხად მწერალი*“ (309r); **3. A-121**, გრიგოლ რომთა პაპი, დიალოღონი. 1715 წ. გადამწერებად მიიჩნევიან ბესარიონი და იობი. ხოლო ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით ბესარიონი უნდა იყოს ხელნაწერის გადამწერიც და დამკვეთიც: „*წმიდანო და ღმერთუმოსიღონო მამანო და ძმანო, მკუდრნო დავით გარესჯას უდაბნოს ნათლისმცემლისანო, მომიკსენეთ ცოდვილი უღირსად წინამძღუარი გლახაკი იობ, რომელმან ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისათა აღვწერე სულთა განმანათლებელი კერძო წიგნისა ამის შესანდობელად ცოდვათა ჩემთა, რათა დიაკონისა თქუჴნისა მიერ მოიკსენებოდეს უღვაწი სული ჩემი. სრულ იქმნა ნოემბერს კგ, ქორონიკონს ოგ*“ (235v); **4. A-178**, სასულიერო შინაარსის კრებული, გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, ალაგ-ალაგ ნასწორებია სხვა ხელით. ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: „*ქრისტე შეიწყალე ცოდვილი ბესარიონ და ოთარ*

ყოფილი იოანე“ (2r); **5. A-196**, ასკეტიკური<sup>18</sup> შინაარსის კრებული, გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, მოგვყავს ხელნაწერის ანდერძი: „*ქრისტე, შეიწყალე ყოვლად უღირსი ბესარიონ, რომელმან უღირსებით კელ-ვყავ წერაჲ ამისი*“ (105r); **6. A-198**, ევხოლოგიონი (ლოცვანი), 1696 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, გადაწერის ადგილი დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: „*უფალო ღმერთო ჩუშნო, მშჯდობასა და სიმრთელესა შინა აკმარე წმიდაჲ ესე წიგნი ღირსსა და წმიდა ბოვნელ მთავარეპისკოპოს უფალს მაქსიმეს, რომლისა სათნო-ყოფითა განახლდა და შეიკაზმა კელითა ფრიად გლახაკისა და უღირსის მღვდელ-მონაზონის ბესარიონისითა უდაბნოს გარესჯას, წმიდის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს, ქორონიკონი იყო ტჰდ*“ (149v); **7. S-3269**, ამ ხელნაწერში შედის როგორც „გრდემლის“ ვრცელი რედაქცია, ასევე ბესარიონის დაწერილი ჰაგიოგრაფიული შინაარსის თხზულებებიც. მ. ქავთარია მიიჩნევს, რომ ხელნაწერში ჰაგიოგრაფიული თხზულებების გადამწერი ბესარიონია, ანუ ეს ავტოგრაფული ნუსხაა. მისი აზრით, ბესარიონ ორბელიშვილი წერდა მრგვალი და ოდნავ დახრილი კალიგრაფიული ნუსხურით, აღნიშნული თხზულებები კი ამგვარი კალიგრაფიითა და ბესარიონის სტილისტური ენითაა ნაწერი, ხოლო „გრდემლი“ უნდა გადაეწერა მღვდელ ფილიპეს. ამას ადასტურებს 35-ე და 36-ე თავების ბოლოს გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი „*ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ფილიპე*“; **8. Q-814**, XVIII ს. სასულიერო შინაარსის კრებული, ნაწერია შერეული დამწერლობით ნუსხურით და მხედრულით. გადამწერად მიიჩნევა ვინმე ბესარიონი, შესაძლოა გადამწერი სწორედ ბესარიონ ორბელიშვილია. ამის საფუძველს იძლევა ხელნაწერის ხელით ასომთავრულით ხვეულად მიწერილი „ბესარიონ“ (29v), ხელნაწერის ხელი კი ძალიან ჰგავს ბესარიონის ნაწერს.

**ბესარიონ ორბელიშვილი იყო დამკვეთიც:** აღწერილობების მიხედვით მისი დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერებია: **1. A-100**, ბასილი დიდი, ითიკა. 1713 წ. გადამწერები: ხუცეს-მონაზონი იოსებ არაგვის ერისთვის შვილი (150r-v, 208v, 275v); დამკვეთი: ბესარიონ ორბელის ძე (150r-v, 275v); გადაწერის ადგილი გარეჯის უდაბნო, მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (150r-v). აღნიშნულს ადასტურებს ხელნაწერში არსებული ანდერძები: „*ბრძანებითა მამისა ჩუშნისა*

<sup>18</sup> აღწერილობაში მითითებულია, როგორც „სასულიერო შინაარსის კრებული“

ბესარიონისათა დავწერე მე ცოდვილმან ბერმან იოსებ“ (275v); **2. A-103**, სასულიერო შინაარსის კრებული, გადამწერები იოანე ბერი და ნიკოლოზ; ხელნაწერი განუახლებია მღვდელ მახარებელ ბაკურიძეს ბესარიონ კათალიკოსის დაკვეთით თელავში, ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: „ღმერთო შეიწყალე ამისი გარდმომღები იმერელი ბაკურიძე, მღდელი მახარებელი თანამეცხედრით და დედამამითურთ. ესე რომე სტამბის ჟამნებში ქორონიკონი დაილია, ახლა ღმრთით და მერმე ბატონის ბესარიონ კათალიკოსის ბრძანებით ვიგულისმოდგინეთ, დავიდევიტ ძველი ქორონიკონი და ექვსი კვირაჲ ვიანგარიშეთ კელთით და პირველად ძველი ქორონიკონი გავამრთელეთ, მერმე ისიც და კელთაც დედნად დავიდევიტ. ...დაიწერა მეოხებითა ღმრთისაჲთა მეფობასაჲ თეიმურაზისასა, სოფელსა კახეთისასა, რომელ არს თელავი. დიდებაჲ ღრთისაჲ. ამინ“ (93v); **3. A-130**,<sup>19</sup> ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: „...კელ ვყავ მეცა ძალისაებრ ჩემისა მე უღირსმან ხუცეს-მონაზონმა გაბრიელ საგინაშვილმან წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემელსა... ღი[რსსა] მოძღვარსა და მასწავლელსა ჩემსა ბესარიონ ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა კელად ვიხვეწ წიგნი ესე...“ (332r-v); **4. H-1557**<sup>20</sup>. **5. Q-85**, ოთხთავი. 1719 წ. მომგებელნი: მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელის ძე (171v); გადამწერი-გაბრიელ საგინაშვილი; გადაწერის ადგილი - გარესჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (171v). ანდერძი გადამწერისა: „მე ყოველთა მონაზონთა უცოდვილესმან და უღირსსა მღდელობისასა გაბრიელს საგინაშვილს, რომელი განსრულ-ვიყავ სოფლით ცოდვათა ჩემთა სიმრავლისათჳს, მილტოლოვილ უდაბნოდ გარესჯად, მონასტერსა წმინდისა იოანე ნათლისმცემლისასა მრავალმთას, რამცა მეჩუჴნა რაჲმე კეთილი სინანული ფრიადთა ცოდვათა ჩემთა შესანდობელად, აღვწერე წმინდაჲ ესე განმანათლებელი სულთა სახარებაჲ და სამოციქულო მამის ჩუენისა ხარიტონის და მოძღურისა და მასწავლელისაჲ უფლისა ჩემისა დიდის ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა“ (171v).

როგორც ვხედავთ, ბესარიონს საკმაოდ მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს, სწორედ ამიტომ კ. კეკელიძე ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედების და

<sup>19</sup> დასახელებული ხელნაწერი ნახსენებია ბესარიონ ორბელიშვილის მოწაფეებზე საუბრისას.

<sup>20</sup> ხელნაწერზე ვრცლადაა საუბარი ზემოთ A-130 ერთად.



საზოგადოებრივი მოღვაწეობის ანალიზისას ასკვნის, რომ შესაძლოა სრულად არც იყოს მოღწეული მისი ორიგინალური თუ გადაწერილი თხზულებები. წყაროებში არსად არ არის დაფიქსირებული, იყო თუ არა ის მთარგმნელი. სწორედ მისი ღვაწლის დამსახურებაა ბესარიონ ორბელიშვილის შეფასება და დაფასება ანტონ ბაგრატიონის მიერ „წყობილსიტყვაობაში“

-664-

1. „ბესარიონ, კაცმან მაღალ გონებამან,  
მონაზონებრთა შრომათაგან ნეტარმან,  
მწყსა ეკლესია ქრისტესსი წესიერად,  
სიტყუთთა მგელთაგან სიტყუთთა ჰსცვდა სამწყსოსა,  
ლათინთ მეხ-იქმნა, მზე-სამწყსოსა თუსისა.

-665-

2. ქადაგებანი შენნი ნეტარ, მამაო,  
წრფელნი ნაუბნი, გარნა მჰსგავსებნი პავლეს,  
ქართუჴლთ წმიდათა მოთხრობა-ისტორია,  
მაკსოვან რომელ, საწად იყუნეს მჰსმენელთა,  
თანწესებულ ხარ, გუნდთა მოციქულთასა.

-666-

3. ბესარიონის ქმნილი კანონი კუართის  
არს სულით თქმული, ლუთის-მეტყუჴლ რიტორებრი,  
ტიპიკონთ პოვნა, მკობა დღესასაწაულთა,  
ლათინთა მიმართ გურდემლი განუჭედელი

დამკობად მათდა, საქებელ-არს ბრძენთაგან.“ [წყობილსიტყვაობა,  
1980:155-156].

ასევე იოანე ბატონიშვილის მიერ „კალმასობაში“: „ღირსი მწყემსმთავარი, მეფის ლეონის ძე, კათალიკოზი ბესარიონ ბაგრატიანი, იყო მონოზონებითა სრული და მოღვაწე ეკლესიებთა, სიბრძნის მოყვარებასა შინა სრული, და მქადაგებელი მსგავსად პავლე მოციქულისა. ამან შეთხზნა ქართველთ წმინდათა ცხოვრება და ისტორია. ამან დაწერა ლათინთა სარწმუნოებისა პირის-დასაყოფელი წიგნი, „გურდემლად“ წოდებული. და კეთილისა ცხოვრებითა დაიძინა უფლისად“ [კალმასობა, II, 1948:166].

ორივე ავტორმა, ანტონმა და იოანემ, ლაკონიურად, დახვეწილი ლიტერატურული ხერხითა და ესთეტიკით აღწერა და შეაფასა ბესარიონ ორბელიშვილის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრება, ამით მათ პატივი მიაგეს ისტორიის ქრონიკებში მიმალულ ღვაწლმოსილ ქართველს, რომელმაც იცოდა ერის განვითარებისთვის ეკლესიისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მნიშვნელობა და ფუნქცია. სწორედ ამიტომაც ის იღწვოდა არა მარტო სამონასტრო ცხოვრების სრულყოფისათვის, არამედ იყო ლიტერატორიც და როგორც ეკლესიის ღირსეული საჭეთმპყრობელი, იბრძოდა უმძიმესი პრობლემების, ტყვეთა სყიდვის, ლეკიანობის, წინააღმდეგ.

## II თავი

### „გრდემლის“ ხელნაწერები და რედაქციები

„გრდემლი“ ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული პირველი ორიგინალური ანტიპაპისტური შინაარსის პოლიმიკური თხზულებაა. მანამდე კი საქართველოს ისტორიას შემორჩა გიორგი მთაწმინდელისა და იმპერატორ კონსტანტინე დუკას კამათი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დოგმატური თავისებურებებისა და საეკლესიო კრებებით განჩინებული კანონიკური ნორმების შესახებ.

ბესარიონმა თხზულებას უწოდა „გრდემლი“. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ გრდემლი შემდეგნაირადაა განმარტებული: „გრდემლი - ილეკროს<sup>21</sup> გასაჭედი, ძირს სადები“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991:168], ანუ ლითონის საჭედი დანადგარი. აქედან გამომდინარე, ბესარიონ ორბელიშვილმა პოლემიკური თხზულების მეტაფორული სათაური შინაარსის ლაკონიური გადმოცემაა, ე.ი. მან ხაზი გაუსვა აღმოსავლეთის ეკლესიას, მართლმადიდებლობას, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების სამჭედლოს. გრდემლი, როგორც სარწმუნოების სიმტკიცის აღმნიშვნელი ალეგორიული ფორმა, მოყვანილია „ირინა ქალწულის წამებაში“: *„მე ვარ გურდემლი, რომლისა ზედა იცემებიან ყოვლისა სიბოროტისა საქმენი“* [S-1560:6r].

„გრდემლის“ ყველა ხელნაწერში, რომელიც სრული სახითაა მოღწეული, გადამწერი თხზულებას უწოდებს „გრდემლს“, უფრო ზუსტად „სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუჴნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რად არს მათი ჩუჴნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდაისა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების **გურდემლი**“ მხოლოდ ერთ

<sup>21</sup> „ილეკრო - ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა, რვალსა, თითბერსა და ყოველთა მისთანათა ერთბამად“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991:327]

ხელნაწერში, კერძოდ, A- 1395 გადამწერი თხზულებას უწოდებს „სამოთხეს“, ანუ „მრავალმდინარეს“: *„სიტყვის გება ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რა არს მათი ჩუენგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელ იყო მონასტრით ნათლისმცემლისად უდაბნოთ გარესჯისათ მრავალმითთ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების მრავალ თუალ მდინარე, გვაკურთხენ“*. თხზულებას გადამწერის ხელით აწერია „სამოთხე, მრავალმდინარე“. ხელნაწერი არ არის კრებული, ის შეიცავს მხოლოდ ბესარიონ ორბელიშვილის თხზულებას, გადაწერილია XVIII საუკუნეში ვინმე რომანოზის მიერ. XVIII საუკუნეში გარეჯის მონასტერში მართლაც მოღვაწეობდა ბერი რომანოზი, რომელიც იყო მწიგნობარიც. შემორჩენილია მის მიერ გადაწერილი „დავითნის“ ხელნაწერიც- A-914.

შუა საუკუნეებში თხზულებების ალეგორიულ-მეტაფორული დასათაურება მიღებული ტრადიცია იყო. ამის მაგალითია ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“. ავტორი დასათაურებას შემდეგნაირად განმარტავს: *„ვიწყე შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელნი თუთ მაშინვე კრებასა ნათქუამნი და ზოგი შემდგომად კრებისა აღწერილნი წმიდათა მამათაგან, არა თუ ჩემით შემიწყვეს რამე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თუთ ღირსთა პირისათა ნაბიჭვენნი აღმომივსიეს, და ვუწოდეთ წიგნსა ამას მარწუხი, მტკრთველი შუდთა ნაკურცხალთა ნამდვილი ესაიასებრ ბაგე“* [A-120:9r].

„გრდემლის“ დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია. არც ერთ ხელნაწერში, ბესარიონ ორბელიშვილის დაწერილ, გადაწერილ თუ დაკვეთილ ხელნაწერში, არ არის მითითებული მისი დაწერის კონკრეტული თარიღი და ადგილი. კ. კეკელიძე ვარაუდობდა: *„ეს თხზულება მას დაუწერია ჯერ კიდევ ბერ-მონაზვნობისას, როდესაც ის დავით-გარეჯში მოღვაწეობდა, მამასადამე, 1729 წლამდე, იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით“* [კეკელიძე, 1960:350]. მაგრამ კორნელი კეკელიძის ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოა, ბესარიონის კათალიკოსად კურთხევის არაზუსტი დათარიღების გამო, ასევე, ქართულ წერილობით ძეგლებსა და მიხ. თამარაშვილთანაც კი თითქმის არ იძებნება მონაცემები ფრანცისკო ბოლონიელის საქართველოში მოღვაწეობის

თარიღზე.

ის, რომ „გრდემლი“ ბესარიონის ბერობისას უნდა დაწერილიყო, თანაც დავით-გარეჯის უდაბნოში, დასტურდება სათურიტაც: *„სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუზნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუზნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი“*. აღსანიშნავია ერთი დეტალიც, არც ერთ დოკუმენტში - ონოფრე მაჭუტაძის დიდ გუჯარში, Ad-1028, დათარიღებული 1712 წლით, ასევე Ad-307, 311, 317, 367, 404, 416, 454, 456, 862, Sd-2009 – „გრდემლი“ ნახსენებიც კი არ არის. მ. ქავთარია „გრდემლის“ დათარიღებისას სხვა მეთოდს იყენებს, კერძოდ, თხზულებაში ავტორი თავისი პოზიციის, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მრავლად იყენებს ამონარიდებს ბიბლიური წიგნებიდან, ძველი და ახალი აღთქმიდან, ფსალმუნებიდან, თავისა და მუხლის მითითებით, ამგვარი მეთოდის ავტორად ი. აბულაძე [აბულაძე, 1936:254] სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევს. მ. ქავთარია თვლის, რომ სულხან-საბა ორბელიანი *„სიტყვის კონის“ ადრეულ რედაქციებში, რომლებშიც ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებულია ბიბლიური წიგნები, ციტატების მუხლობრივი მითითება კანტი-კუნტადაა, არაა სისტემატ ქვეული, სამაგიეროდ ბოლო რედაქციებში კი საქმე პირიქითაა*“ [ქავთარია, 1959:108]. ამდენად, მკვლევრის აზრით, ეს მეთოდი XVIII საუკუნის პირველი ათეულის შუა პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო<sup>22</sup>. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, „გრდემლი“ უნდა დაწერილიყო 1723 წლამდე, სანამ ბესარიონი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი გახდებოდა. რაც შეეხება დაწერის ადგილს, ეს კამათს არ იწვევს.

ჩვენამდე მოღწეულ ფონდებში „გრდემლი“ შემორჩენილია თორმეტ ხელნაწერ წიგნში. განირჩევა ვრცელი და მოკლე რედაქციები. არსებობს ვრცელი რედაქციის თერთმეტი ნუსხა და ერთი - მოკლე რედაქციისა. „გრდემლი“ შედგება 38 თავისგან: 1. თავი. *სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუზნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუზნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა*

<sup>22</sup> ცნობილია, „სიტყვის კონა“ 1685-1716 წლებში უნდა დაწერილიყო.

წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების „გურდემლი“; 2 თავი. სარწმუნოებისათჳს ერთარსისა სამებისა; 3 თავი. წმიდისა და თავყანისაცემლისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისა; 4 თავი. სიყვარულისათვის, თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ; 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათჳს, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა; 6 თავი. სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტებად“; 7 თავი. სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს დაყდრისაგან ღვთისა და კრავისა; 8 თავი. სიტყუად მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიად იტყჳან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრო, ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხჳსა წინა აღდგომისა საქმისა; 9 თავი. სიტყჳსა მისთჳს უფლსად, რომელი თქუა „პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოებად შენი“ (ლუკა თავი 22, რიცხვი 31-32); 10 თავი. სიტყუად სამგზის კითხვისათვის უფლისად მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო; 11. თავი. სიტყჳსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისად ცხოველსმყოფელისად!“; 12 თავი. სიტჳსა მისთჳს, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“; 13 თავი. სიტყჳსა მისთჳს, რაჟამს ჰქუა პეტრეს: „მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰსნა ქუეყანასა ზედა კსნილ იყოს იგი ცათა შინა“; 14 თავი. განსაწმედელისათჳს თქმული, რომლისა იტყჳან მოსავნი პაპისანი; 15. თავი. სიტყჳსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იწრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწყობლითად; 16 თავი. სიტყჳსა მისთჳს, რომელსა იტყჳს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათჳს იტყჳან“; 17. თავი. სიტყჳსა მისთჳს, რომელი წერილ არს წმიდა სახარებაჲსა შინა, ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი“ და კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი

მწვალელებელი“; 18 თავი. სიტყვას მისთვის, რომელსა იტყვან მოსავენი პაპისანი, ვითარმედ: „გან-რა-ვიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიწვევიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებიან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა, პირველ კორცთ შემოსისა და არღარა იწმნების მათი გამოყვანებაჲ“; 19 თავი. სიტყვას მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ: „ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შესრულ არსო“; 20 თავი. ნათლის ღვინისათს, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემზადზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვილებთ კორციელითა მადლითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოველითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელ სცემენ; 21 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა; 22 თავი. დედათა მიერ ნათლის-ცემისათვის; 23 თავი. ზეცისათვს სიტყუაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათვს იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თვსაგან და სხუშთაცა ასწავებენ; 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის; 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვს, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუშბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათჲ მათ წმიდათასა; 26 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახელთა შინა საეროთა; 27 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნრბისასა აზიარებენ და თვთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიიახლებიან; 28 თავი. სიტყუაჲ უცომოსათვს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთაჲ; 29 თავი. სიტყუაჲ წმიდაჲ ზიარებისათვს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვინოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა კორცსა; 30 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათვს ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ; 31 თავი. სიტყუაჲ მისთვის, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოვსა საიდუმლოსა ზედა; 32 თავი. მარხვისათვს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჳ ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ

გაგვიწესეს; 33 თავი. სიტყუაჲ ოთხშაბათისათვის, თუ რაღსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რასათვის იმარხვენ; 34 თავი. მარხისათვე, თუ რაღსათვის მოგუწვენეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუნი იგი ყოველნი მარხვანი; 35 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამდსა სჭამენ, მათ თანა სისხლთასა და დამშთავრსა იმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაშენებლ არს; 36 თავი. დედათა წიდოვანთათვის, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნეს, სახურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ; 37 თავი. პირუტყვთა შეყვანათვის ეკლესიათა, თუ ვითარ რაღსათვის შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთა; 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა სიტყვსა უგებს პაპის მოსავთა.

თერთმეტი ნუსხიდან ექვსი - A-119, 156, 298, S-1596, 3269, K-130 - შედგება 38 თავისაგან, სამი - A-1395, 1791, Q-92, გიესმ-114 - 37 თავისაგან, დასახელებულ ხელნაწერებს აკლია ბოლო თავი „აღმწერელი ამის წიგნისა სიტყვსა უგებს პაპის მოსავთა“. ერთი - A-1591 შედგება 26 თავისაგან, მას აკლია 27-ე - 38-ე თავები.

მოკლე რედაქცია შემორჩენილია ერთი - S-286 - ხელნაწერით, ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია, არ არის გამოყოფილი თავები და სათაურები, რამდენიმეს გარდა. ვრცელი რედაქციის მე-8 თავი ამ ხელნაწერში აღნიშნულია როგორც მე-2 თავი: „მათდა მიმართ, რომელნი უფროსად და უაღრესად პაპასა ხადიან სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა და პატრიაქთა პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა და ერთპატიობითა სწორადვე მისსა და უმეტესცა სწამთ კეთილისმოქმედი იყოს იგი, ანუ თუ სხუისა წინა აღდგომისა საქმისა“ (25v-37v). სხვაგან თავის ნუმერაცია არსად გვხვდება. თავების დასახელება „ცილებისათვის, რომელთა იცილებიან ბერძენნი და ლათინნი, რამეთუ ლათინნი იტყჳან: „სულნი კაცნი რა-გან-ვიდენ კორცთაგან, მოვლენ მათთვის განჩინებულთა ადგილთა და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვისა, არცა კორცთა შემოსასა, არამედ მართალნი სასუფეველად მიიწევიან, ხოლო სულნი ცოდვილთანი ჯოჯოხეთს აწვე დაემკვიდრებიან და იქმნების მათი გამოყვანაო“ (67r-71r), ასევე „ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და



ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ კელითა მღდელოთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდლისაგან, არამედ ერისკაცთა და დედათა მიერ, ვითარცა ვინ დახვდეს“ (45v-50v) - აღნიშნულ ხელნაწერში წარმოადგენს ტექსტის ნაწილს და არა თავის სათაურებს. ხელნაწერში სხვაგან არსად გვხვდება თავის დასახელება არც როგორც ტექსტის ნაწილი და არც ცალკე სათაურად გამოყოფილი.

მოკლე რედაქციაში ტექსტის თანმიმდევრობაც განსხვავებულია, ის არ მისდევს დანარჩენი ხელნაწერების, ვრცელი რედაქციის რიგს. მე-13 თავს (სიტყვსა მისთვის, რაჟამს ღქუა<sup>23</sup> პეტრეს მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განკსნა ქუეყანასა ზედა კსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (44v-45v) მოსდევს მე-20 თავი (ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ კელითა მღდელოთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდლისაგან, არამედ ერისკაცთა და დედათა მიერ, ვითარცა ვინ დახვდეს (45v-50v). ასევე 23-ე თავს (ზევისათვის სიტყუაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თვისაგან და სხუთათა ასწავებენ (79v-91r) მოსდევს 25-ე – 31-ე თავები (25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისათვის წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჭბრ და არა განეწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათჲ მათ წმიდათასა (91r-v, 93r-94v). მათ შორის არის 27 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიღოვნებისასა აზიარებენ და თვთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიიახლებიან (92r-93r). მათ მოსდევს თავები: 26 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა

<sup>23</sup> ამ ფორმით არის ნახმარი ეს სიტყვა ხელნაწერში A-119 70r, ხოლო ზაზა მამულაშვილის გამოცემის იხედვით -S-3269 უნდა იყოს „პრქუა“

საეროთა. (94v-97r); 28 თავი. სიტყუაჲ უცომოსათჳს, თუ ვითარ მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუფრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (97r-99r); 29 თავი. სიტყუაჲ წმიდისა ზიარებისათჳს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჯორცსა (99r-103r); 30 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს ჩჩვილთა ყრმათა და უსაკოთა არა აზიარებენ (103r-107r); 31 თავი. სიტყუაჲ მისთჳს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოსა ზედა (107r-113r). ამის შემდეგ არის 24-ე თავი - „აღმოსლვით ლოცვისათვის“ (113r-117v).

25-ე თავის პირველსავე აბზაცში გვხვდება მონაკვეთი, რომელიც „გრდემლის“ არც ერთ სხვა ხელნაწერში არ არის: „არამედ თვით თავით თვისით შემოირებენ და დააწესებენ ყოველსავე მათ მიერ შემოღებულსა და დაკნიან ყოველსა საზღუარსა მამათასა, რათა ძუელითგანნი წმიდანი არღარა იკსენებოდენ, არცარა მათგან დადებულნი საზღუარნი იყოს ეკლესიასა შინა, არამედ ყოველსა ქუეყანასა პაპა იკსენებოდეს და მისისა კარდინალებისა განწესებული იყოს ყოველსავე ეკლესიას შინა, რამეთუ სხუათა მათ უწესობათა თანა ესეც დაკსნეს და სხუებრ შემოიღეს, რათა წმიდათა მოციქულთაგან განწესებული წირვა და თვით მეუფისა ქრისტესგან არღარა იყოს და მისთა ღმრთის მეტყუელთგან, არამედ მათგან და მათ მიერ განეწესოს ყოველი“ (91v-92r).

S-286-ში ზოგიერთი თავი და ეპიზოდი გამოტოვებულია: 27-ე თავი „სიტყუაჲ მისთჳს, რომელი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა, ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი“ და კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი“ ამ ხელნაწერში ასევე გამოტოვებულია 37-ე თავი: „პირუტყვთა შეყვანისათჳს ეკლესიათა შინა, თუ ვითარ რაჲსათჳს შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთა“, 38-ე თავი: „აღმწერელი ამის წიგნისა სიტყუაჲ უგებს პაპის მოსავთა“, ეს უკანასკნელი ორი თავი შესაძლოა დაკარგული იყოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია. როგორც ზემოთ ითქვა, 38-ე თავი რამდენიმე ვრცელი რედაქციის შემდეგ ხელნაწერშიც გამოტოვებულია.

აღნიშნულ ნუსხაში ზოგიერთი თავის გარკვეული მონაკვეთი გაბნეულია

სხვადასხვა თავში: მაგალითად: მე-15 თავი: „სიტყვა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იზრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველთა“ (64r-67v) და მე-16 თავი სიტყვა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვან“ (65v-66v). 25-ე თავის „წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჟსათვის ჩუნ ესრეთ განწესებისათვის წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუშბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა“ (91r-v, 93r-94v) შუა ნაწილში გვხვდება 36-ე თავი: „სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თვით მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიიახლებიან“ (92r-93r).

„გრდემლი“ მოღწეული ფონდების მიხედვით არის ან ცალკე ხელნაწერი წიგნი (A-119, 156, 298, 1395, 1791, S-286, K-130, გიესემ №114), ან კრებულის ნაწილი (A-1591, S-1596, 3269, Q-92). თერთმეტი ხელნაწერი გადაწერილია XVIII საუკუნეში, ხელნაწერების უმრავლესობა გადაწერილია გარეჯში მოღვაწე მამების მიერ, სავარაუდოდ, მალევე თხზულების დაწერიდან, ერთი (A-298) გადაწერილია 1773 წელს ანჩისხატში დეკანოზ გიორგი ალექსი-მესხიშვილის მიერ, ხოლო ერთი (A-1591) გადაწერილია 1844 წელს საფარაში ქრისტესია სამადაშვილის მიერ.

„გრდემლი“ დაწერილია XVIII საუკუნის I მეოთხედში, მისი ნუსხები არ გამოირჩევა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით. ერთი და იგივე სიტყვაც არ არის ერთი გრაფემით - დ, ზ, ჯ, კ - გადმოცემული, ასევე შეინიშნება უ-სა და ვ-ს, ხ-სა და კ-ს, ვი-სა და ჯ-ს მონაცვლეობა, ჰ-ს ჩართვა, ნ-ს გაორმაგება:

ჯ გრაფემის ხმარება A-119: „სიტყვის-გება ლათინთა მიმართ...“(1r), S-3269: „სიტყვს-გებაჲ ლათინთა მიმართ...“[24r];

დ გრაფემის ხმარება: Q-92: „მამათასა სამგ ზის ემბაჲზსა შინა შთაფლვითა“(153r), S-1596: „მამათასა სამგ ზის ემბაზსა შინა შთაფლვითა“[გვ. 130];

ფ გრაფემის ხმარება: A-119: „*ოდეს მიშუჭბითა ღვთისათა აღდგეს...*“ [11v], S-3269: „*ოდეს მიშუჭბითა ღმრთისათა აღდგეს...*“ [7v]; ამავე მონაცვეთის მიხედვით შეგვიძლია ერთი თავისებურებაც დავაფიქსიროთ „*ღვთისათა-ღმრთისათა*“ ან *ღმრთისათა*“ [S-3269, 30v] ფორმის ხმარება სხვადასხვა ნუსხაში.

უ-სა და ვ-ს მონაცვლეობა: A-119: „...*არცა თუსაგან და სხუთაცა ასწავებენ...*“ [104v]; A-156: „...*არცალა თუსაგან და სხუთაცა ამას ასწავებენ...*“ [97v]; ამავე ფრაზაში შეინიშნება ხშირად განმეორებული ერთი მორფოლოგიური თავისებურებაც, ნაწილაკდართული ან ნაწილაკის გარეშე სახელების ხმარება: *არცა – არცალა*;

ხ-სა და ჯ-ს მონაცვლეობა A-156: „*სულსა წმიდასა სიყვარულად უჭმობენ...*“ [19v] A-298: „...*სულსა წმიდასა სიყვარულად უხმობენ...*“ [19r];

ნ-ს გაორმაგება: A-119: „...*და არა თანაშემწე ექმნეს...*“ [12r], „...*და არა თანაშემწე ექმნეს...*“ [S-3269, 30v];

ნ-ს ჩართვა: A-119 „...*და ჩუენცა ესრეთ გაგვიწესეს.*“ [160v], გსიემ №113: „...*და ჩუენცა ესრეთ განგვიწესეს*“ [149r];

ჰ-ს ჩართვა: A-298: „...*და რომელი განხსნა ქვეყანასა ზედა...*“ [58v], გსიემ 1113 „...*და რომელი განჰკსნათ ქვეყანასა ზედა...*“ [55r];

რ-ს ჩართვა: A-119: „...*თავით თუსით გარდაიქცვიან და სხუად...*“ [3v], S-286: „...*თავით თვისით გადაიქცვიენ და სხუად...*“ [1v];

სიტყვების ჩართვა: *შუა-შორის* A-119: „*პირუტყვთა შეყვანისათვის ეკლესიათა, თუ...*“ [174v]; S-1596: „*პირუტყუთა შეყვანებისათვის ეკლესიათა, შორის თუ...*“ [გვ. 227], გსიემ №113: „*პირუტყვთა შეყვანისათვის ეკლესიათა, შინა თუ...*“ [178r];

სიტყვების მონაცვლეობა: *ვითარმედ-კუალად* S-3269: „*კუალად არინ კაცნი, რომელნი...*“ [25v], S-286: „*ვითარმედ არინ კაცნი, რომელნი...*“ [1v].

მსგავსი მაგალითი „გრდემლის“ ნუსხებში ბევრია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის XVIII ს. გარდამავალი ენობრივი ნორმები, ამიტომ ამ პერიოდის ხელნაწერებში სინტაქსურ-მორფოლოგიურ-ფონემატიკური ნორმის დარღვევა ხშირია.

დანართში [დანართი 4] წარმოდგენილია „გრდემლის“ შემცველი ყველა ხელნაწერის აღწერილობა. აღწერილობები შესრულებულია დისერტაციის ფარგლებში, რადგან ხელნაწერთა აღწერილობებში დაცული ინფორმაცია მწირია და ზოგჯერ არაზუსტია.

### III თავი

## ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში

#### 1. ქართულ-დასავლური ურთიერთობის ისტორიიდან

ლიტერატურული, კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო მიმართულების შემოქმედებითი პროცესები განპირობებულია ეპოქალური მოვლენებითა და პროცესებით - პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ვითარებითა და კონტექსტით. ხშირად ის სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების ჩამოყალიბების მოკარნახეა. ასე შეიქმნა ლიტერატურული ჟანრები სხვადასხვა დროსა და ვითარებაში.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურა და, შესაბამისად, ჟანრობრივი ლიტერატურაც მრავალფეროვანია. პოლიტიკური რყევები აისახა შემოქმედებით სამყაროზეც. XV საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერია დასრულდა, შესაბამისად, დასრულდა მისი კულტურული გავლენა დანარჩენ მართლმადიდებელ სამყაროზე. ბიზანტიური გავლენების დემონტაჟი ბევრად ადრე იყო შესამჩნევი, როცა დაიწყო იმპერიული ძლიერების რყევა. XIII საუკუნიდან გაცხოველდა დასავლეთის დაინტერესება საქართველოთი და ამიერკავკასიით, გახშირდა დომინიკეანელი, ფრანცისკანელი, თეათინელი, კაპუცინი მისიონერების ვიზიტები საქართველოში. საქართველო მათ მოსვლაში ურჯულო მტრების წინააღმდეგ მოკავშირე სტატეგიულ პარტნიორს ხედავდა, დასავლელი მისიონერების, მათი მომყოლი მოგზაურებისთვის კი ეს იყო მზარდი ეკონომიკური პროცესებისთვის საჭირო ბაზრისკენ მიმავალი მოკლე, იაფი და შედარებით უსაფრთხო გზა<sup>24</sup>. განსხვავებული იყო მათი დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, დაბალ ფენასთან; ისინი უფრო მეტ ქველმოქმედებას

---

<sup>24</sup> ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები (Q-958) – სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი კასპის ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების რუკა - დათარიღებული 1723 წლით; ასევე, - საქართველოსა და შავ და კასპის ზღვებს შუა მდებარე ქვეყნების რუკა (Q-959), დათარიღებული 1775 წლით. ორივე ხელნაწერს აქვს ფრანგული წარწერები.

იჩენდნენ, ეხმარებოდნენ „თანამედროვე“ სააქიმო მეთოდებით, ქართველებისთვის უცხო საინჟინრო მიმართულებით და ა.შ. სამეფო კარისა და მაღალი ელიტური ჯგუფებისთვის მათი დანაპირები ეხებოდა პოლიტიკურ, სამხედრო, ფინანსურ მხარდაჭერას ურჯულოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპელი მისიონერები, მოგზაურები ან ადგილზე, საქართველოში, სწავლობდნენ ქართულს, ან უკვე ქართული ენის ცოდნით ჩამოდიოდნენ. მათი ერთ-ერთი უმთავრესი მისია ის იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობიდან შეერჩიათ და მოემზადებინათ კადრები, რომლებიც შემდგომში მათი საქმის გამგრძელებლები იქნებოდნენ, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში გაზრდიდა, აამაღლებდა ნდობას ახალი იდეოლოგიის, პოლიტიკური მიმართულების მიმართ. ამიტომაც რომში შეიქმნა „პროპაგანდა კოლეგია“, როგორც სასწავლო კორპუსი, სადაც იგზავნებოდა მათთვის სასურველი ახალგაზრდა კადრები, რომლებიც სწავლების დასრულების შემდგომ ბრუნდებოდნენ სამშობლოში კათოლიციზმის პროპაგანდის მიზნით (ანტონ თუმანიშვილი, დავით ტულუკაშვილი და სხვ.). 1663 წელს თბილისში დაარსდა კაპუჩინთა მისიონი, 1669 წელს - გორში, 1670 წელს - ქუთაისში, რაც რომის ფინანსური ინვესტიციის გარეშე, ფაქტია, ვერ მოხერხდებოდა. ისინი ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის, კარზე დიდი პატივით სარგებლობდნენ. მათი მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ მარტო გორში მათ მოახერხეს ორი თვის განმავლობაში სამასამდე ბავშვის კათოლიკურად მონათვლა.

დაიწყო კათოლიკური შინაარსის ლიტერატურის შექმნა - ბეჭდური და ხელნაწერი წიგნების სახით. ამ მიზნით ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დახმარებით 1629 წელს რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ანბანი, გრამატიკის სახელმძღვანელო და ლექსიკონი. მათ ასევე უნდა შეექმნათ ქართულ ენაზე პაპისტური ლიტერატურა. მიზანი იყო კათოლიკე მრევლის გაძლიერება და ახალი ნაკადის მომრავლება. ასე მაგალითად, ბერნანდე ნეაპოლელმა იტალიურიდან თარგმნა და 1681 წელს რომში დაიბეჭდა „კატეხიზმო“, ჩაიწერა 12 ქართული ზღაპარი - მელიქიძე ს. „ბერნარდო ნეაპოლელის ჩაწერილი ქართული ზღაპრები“ [კრებული „ონომასტიკური ძიებანი“, I, 2009:80-83,]; ამავე პერიოდში საქართველოში მოღვაწე პატრმა ქრისტეფორემ ქართულ ენაზე დაწერა „სიტურფე საღმრთო სიყუარულისა“ და „განზრახვა ქრისტეს ვნებისათვის“, ლათინურიდან ითარგმნა „მხურვალეებისათვის სარწმუნოებისა“, დავით ტულუკაშვილმა 1733 წელს თარგმნა და 1741 რომში დაიბეჭდა „საქრისტიანო

მოდურება გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა“, 1734 წელს მასვე უთარგმნია თომა კემფელის „მიბაძვა ქრისტესი“ [ხეც<sup>25</sup> Q-541,], XVIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა „სარწმუნოების აღსარება“, იოანე ორბელიანმა თარგმნა „კლიტენი მხურვალეებისანი“. ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება ასეულობით ერთეული პაპისტური შინაარსის ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, საზოგადოდ, თეოლოგიური შინაარსის ლიტერატურა: მისხალი [ხეც Q-505, ცენტრ. არქივი-609], ტიბიკონი [ხეც Q-507, Q-538], ლოცვანი [ხეც: S-518, H-727, Q-512, Q-522, Q-531, Q-532, Q-534, Q-535, Q-537, Q-540, Q-705; K<sup>26</sup>-605, K-614, K-615, K-616; გსიემ<sup>27</sup>-37, ცენტრ. არქივი-605, ცენტრ. არქივი-606, სჯიემ<sup>28</sup>-107], გალობანი [ხეც: Q-517, Q-519, Q-523, Q-530; სჯიემ-120], სადღესასწაულო [ხეც: Q-520, Q-526, Q-549, ცენტრ. არქივი-603, ცენტრ. არქივი-604], წირვის წესი [ხეც: S-5153, Q-705; K-688; გსიემ-88], სახარება [K-600 (დიდედას სახარება), გსიემ-86], საკითხავები ბიბლიიდან [ხეც: Q-527], ჰომილეტიკური კრებული [K-657], კატეხიზმო [ხეც: S-4983; K-687], კონდაკი [ხეც: H-30; ცენტრ. არქივი-680], ქადაგებანი [სჯიემ-193] და სხვა. მისიონერთა მოღვაწეობამ ქართულ მწერლობაზე გავლენა ვერ მოახდინა და კათოლიკური ხასიათის არაფერი დაწერილა, გარდა სულხან-საბას „სამოთხის კარისა“. სხვა ორიგინალური კათოლიკური შინაარსის თხზულება ქართულად არ დაწერილა საბას გაკათოლიკების შემდეგ, თუმცა XVII საუკუნე კათოლიციზმის ზეობის ხანა იყო საქართველოში და არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს იძლეოდა. ამას ემატებოდა ევროპული კაპიტალის შემოდინება მისიონერული მოღვაწეობის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, მოსახლეობაში განსაკუთრებულ სიმპათიას იწვევდა კათოლიკე მისიონერების დამოკიდებულება ტყვეთა სყიდვაზე. ჟოზეფო ჯუდიჩე წერდა: *„ჩვენი ქადაგება, განსაკუთრებით ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელ საქართველოში, რომ წელს, სულთნისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია*

<sup>25</sup> ხეც-ნიშნავს საქართველოს კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრს. ის მოიცავს A, S, H, Q ფონდს.

<sup>26</sup> ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

<sup>27</sup> გორის ს. მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

<sup>28</sup> სამცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.



მათთვის, ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისთვის“ [პაპაშვილი, 1995:184]. კათოლიკე მისიონერებს თავი გამოუჩენიათ 1684 წლის ზაფხულში, როდესაც თბილისი და გორი შვიდთვიანმა ჭირიანობამ მოიცვა, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი გარდაიცვალა და უამრავი ადამიანი გაიხიზნა უსაფრთხო ადგილებში, მათ შორის წარჩინებული საერო და სასულიერო პირებიც, კაპუჩინი მამები ქალაქში (გორში) დარჩნენ. ცხადია, ეს მოსახლეობას არ გამოჰპარვია და მათ მიმართ კეთილგანწყობამაც იმატა. გიორგი XI-საც<sup>29</sup> დიდი პატივი მიუგია თავდადებული კათოლიკე მამებისთვის. როგორც ცნობილია, მოგვიანებით მეფე, როგორც კათოლიკე შეუერთდა კიდევ რომის ეკლესიის სამწყსოს. კათოლიკე მისიონერები და პატრები დავალებისამებრ სწავლობდნენ არა მარტო ენას, არამედ ადგილობრივ კულტურას, ხასიათს.

ევროპულ გავლენიან წრეებში კარგად ესმოდათ, რომ ეთნოხასიათის ცოდნა მოსახლეობასთან ადვილად მისასვლელი გზაა. უპირველესად საჭიროა ქვეყნის ეთნოხასიათის-ყოფა, ტრადიცია, სოფლისა და ქალაქის ცხოვრების სტილის, მეურნეობის, ხელობის აგებისა და ა.შ სოციალური, პოლიტიკური, კულტურული თავისებურებების ზედმიწევნით შესწავლა. სწორედ ამ მიზნით მომრავლდა შუა საუკუნეებში საქართველოში ევროპელი მოგზაურების ვიზიტები – არქანჯელო ლამბერტი, შარდენი, კასტელი და სხვანი, რომელთა ცნობები საქართველოს შესახებ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, ხოლო კასტელის ჩანახატებმა ერთ-ერთი ღირებული ისტორიული წყაროს სტატუსი დაიმსახურა. მოგზაურობა ძვირი სიამოვნება იყო და, გარკვეულწილად, საფრთხის შემცველიც. რომ არა საქართველოს, როგორც საკვანძო მაგისტრალის მნიშვნელობა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ბრძოლის საუკეთესო პლაცდარმი, საქართველო ვერ მოხვდებოდა ევროპელი პოლიტიკური ელიტის დაინტერესების არეალში. შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესი საერთო იყო ევროპელი საერო და სასულიერო მოხელეებისთვის, მით უფრო, საქართველო, გარკვეულწილად, სეკულარული სახელმწიფო იყო და აქ

<sup>29</sup> ქართლის მეფე 1676-1688, 1703-1709 წლებში, ვახტანგ V-ის ძე. გიორგი XI ცდილობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასა და ირანული ექსპანსიის დასრულებას. მან დახმარების მიზნით 1687 წლის 29 აპრილს წერილი გაუგზავნა რომის პაპს ინოკენტი XI-ს, სადაც თავს კათოლიკედ აცხადებს. პაპს მისთვის დახმარება არ აღმოუჩენია, მაგრამ საპასუხო წერილში გიორგი XI-ს კათოლიკედ მოიხსენიებს.

ეროვნებასა და ეროვნულობას უპირველესად განსაზღვრავდა მრწამსი. გავიხსენოთ სპარსი ევსტათი მცხეთელი, არაბი აზო და ა.შ. ამიტომ დაიწყო ქართველებში კათოლიციზმის ქადაგება, ამისთვის იყო ხელსაყრელი მომენტიც, სამხრეთი რეგიონი - აჭარა, ნაწილობრივ გურია და სამცხე-ჯავახეთი აღარ შედიოდა საქართველოს საზღვრებში, იმერეთი და მთელი კოლხეთის დაბლობი ტყვეთა ბაზრის მსხვილი მომმარაგებელი იყო; აღმოსავლეთ საქართველო ვერ აუდიოდა სპარსელების შემოტევებს, კახეთმა სამასი ათასი იძულებით გადაადგილებული პირით ააყვავა ირანის ყველაზე უსახური ადგილი, ფერეიდანი. ამას ემატებოდა ლეკიანობა, რუსეთი კი, ყველაზე ძლიერი მართლმადიდებელი სახელმწიფო, საქართველოს ეხმარებოდა არა საფრთხის აცილებაში, არამედ პროვოკაციული ქმედებებით კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებდა. ევროპას კი აღმოაჩნდა უნარი, ქართველები შეესწავლა, მათი გული მოეგო და მათი აქ დამკვიდრების რეალური მიზეზი და საფრთხე კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, აქტივობით შეენიღბა. ასე მომრავლდნენ საქართველოში ქართველი კათოლიკენი.

შესაძლოა, ეს გახდა XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების მომრავლების მიზეზი. პოლემიკური მწერლობა სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ქრისტიანული რელიგიის განვითარების საწყისი ეტაპიდანვე წარმოიშვა. მისი მიზანი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ მებრძოლ მწვალებელთა, ერეტიკოსთა, ასევე იმ რელიგიური მიმდინარეობების, რომლებიც მართლმადიდებლურ დოგმატებს, ღვთისმსახურებას არ უარყოფდნენ, თუმცა ცვლილებები შეჰქონდათ, მათ შორის კათოლიციზმის, მოძღვრების გაბათილება საეკლესიო კრებებისა და წმინდა მამათა სწავლებებით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ერთი დეტალიც: მაშინ, როცა არ იყო მედიასაშუალებები, ხელნაწერი საზოგადოებასთან კომუნიკაციის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალება იყო. საზოგადოება შედგება სხვადასხვა სოციალური ფენის, იერარქიული სტატუსის ადამიანებისგან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ქვეყანაში დროებით ჩამოსული სტუმრებისაგან, განსაკუთრებით ყურადსაღები და ანგარიშგასაწევი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისგან, მისიონერებისგან, სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს,

კულტურული მისიით ჩამოსული მოღვაწეებისგან. საზოგადოების დიფერენცირება კარგად აქვს აღწერილი იოვანე საბანისძეს „აბო თბილელის წამებაში“: *„მეერთგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთაგანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი ესე ვართ ღრმა მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი. შიშითა განილევინ და ირყევინ, ვითარცა ლერწამნი, ქარისაგან ძლიერისა აღძრულნი. არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სღვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განემორებინ მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“* [ძეგლები, I, 1963:50]. იოვანე საბანისძე ამ კონკრეტულ ეპიზოდში ახასიათებს დამფრთხალი, დათრგუნული საზოგადოების ფსიქო-ტიპაჟებს ძალმომრეობისა და მძიმე სოციალური კრიზისის პერიოდში. რაც შეეხება ეპოქალურ გავლენას ადამიანის განწყობაზე, უნდა ითქვას, პოლიტიკურ-სოციალური სიმძიმით, სამწუხაროდ, XVIII საუკუნეც გამორჩეული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ხელნაწერს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის, მსოფლმხედველობის ფორმირებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში მიღებული, ავტორიტეტული პიროვნებების მოსაზრება. ამ კონტექსტში საინტერესოა „აბოს თბილელის წამება“, სამოელ ქართლის კათალიკოზი სწერს იოვანე საბანისძეს ეპისტოლეს და ავალებს, აღწეროს აბოს ცხოვრება, რომელმაც *„დღეთა ამათ შინა იმარტულა მეოხად ქრისტეს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს. მნებავს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტურობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაგსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ, შემდგომად ჩუენსა“* [ძეგლები, I, 1963:46]. ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში“ წერდა:

*„არ მომწყინდების თქუენტანა საუბარი,  
 ჰოი ქართველნო, სიბრძნისშემყუარებელნო!  
 აღტეხილება მაქუს ნიჰად თქუენდა მომართ –  
 შრომად, უბნობად, წერად, მოშაირობად,  
 ამად, ვითარმედ მიყუართ ჭეშმარიტებით*

ნამდვილ ჭეშმარიტ ზესთა-მყო ისმენს ამას...“ [ანტონი, 1980:287, სტრფ. 828-829]

მსგავსი მაგალითები იმის დასტურია, რომ თხზულებებს, ლიტერატურული ღირებულების გარდა, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფუნქციაც ჰქონდა, რაც იცოდნენ ავტორებმაც და დამკვეთებმაც. საომარ ვითარებას ახასიათებს ერთი სიმძნელეც, მოსახლეობას ზუსტად უნდა აუხსნა გარდაუვალი მსხვერპლის, ოჯახის წევრის – ძმის, ქმრის, შვილის, ნათესავის, მეგობრის, მეზობლის – „თუმცა ქართველები, როგორც თ. კრუსინსკი წერდა, „მუდამ იჩენენ პირმტკიცობას, მტერთა ზედა ერთობას... ერთსულოვნებას მაშინ იჩენენ, როცა საქმე ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ეხება“ [ამონარიდი ამოღებულია მ. პაპაშვილის წიგნიდან „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი“, 1992:13], ამიტომ უფრო რთული ასახსნელია საზოგადოებისთვის ის საფრთხე და, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი შედეგი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში შემოდის სრული ჰუმანურობით, „კეთილგანწყობით“, „ლიბერალური“ იდეოლოგიით, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე. ერთ-ერთი თეატინელი მისიონერი ლუი გრანჟესი<sup>30</sup> წერდა: „რანაირადაც არ უნდა იყოს, რომაულ-კათოლიკური რელიგიური წეს-ჩვეულებების შეცვლა, იმისათვის, რომ შეუთავსო ჩვენი ჩვეულება სხვისას, თუნდაც გარეგნულად... არ შეიძლება აკეთო ბოროტება, რათა მისგან გამოვიდეს სიკეთე. როდესაც სხვისი რელიგიური წეს-ჩვეულება შეიცავს რაიმე ერეტიკულს, გამთიშველს ან შეცდომას, მას რომ შეურიგდე, მაშინ შეიძლება ჩვენი ხალხი გადაიხაროს მისკენ და მიიღოს იგი. მაშინ ცხადი გახდება, რომ (მისიონერებს) არ სურთ ჩამოაშორონ ეს ხალხი სქიზმას და შეცდომებს, მიმართონ ისინი რომის ეკლესიის ერთიანობისა და ჭეშმარიტებისაკენ, არამედ თვითონ სურთ ჩამოცილდნენ კათოლიკურ წეს-ჩვეულებებს და გადაიხარონ საწინააღმდეგოსკენ. ყველა შემთხვევაში ეს უეჭველად შეუფერებელია. გაეცნო რა მათ წეს-ჩვეულებებს... საჭიროა ფრთხილად, თანდათანობით და გადაასხვაფერო ისინი.

ამრიგად, დე თქვენი მაღალღირსება ყოველმხრივ ფრთხილად იყოს, რომ არ დაუშვას რაიმე მსგავსი დაუფიქრებელი ნაბიჯი, რომელზეც შემდეგ მოუხდება უარის თქმა, ხოლო ამის გაკეთება შემდეგ რთული იქნება, ვინაიდან იგი უკვე ზიანს

<sup>30</sup> ფრანგი იეზუიტი მღვდელი, მოღვაწეობდა XVII საუკუნეში.

მიაყენებს იმათ, რომელთაც უნდა დავხმარებოდით იმ კეთილგანწყობილი გულმოდგინებით, რომლითაც თქვენი მაღალღირსება დააჯილდოვა უფალმა ღმერთმა...

*ამასთანავე, გირჩევთ (მიმართოთ) წმ. მამა ჯობერტის<sup>31</sup>, რომელმაც უკვე მისწერა თქვენს მაღალღირსებას წმ. მამის გენერლის<sup>32</sup> გარდაცვალების შესახებ, რათა არ შეწყვიტოთ იმ მხარეებში... მისიონის შენარჩუნება და ხელშეწყობა.*“ [ტაბალუა, II, 1986:222-223].<sup>33</sup>

პოლემიკოსის საუბრის ადრესატი იყო არა მარტო მისი ლიტერატურული ოპონენტი, არამედ საზოგადოება ჭრელი, დიფერენცირებული იერარქიული და მორალური პარამეტრებით. ამიტომაც ამგვარი თხზულების დაწერისას ავტორი ითვალისწინებდა ფერადი საზოგადოების განსხვავებულ გემოვნებასა და პრეტენზიებს და ის ცდილობდა, თხზულებაში ყველა სიტყვა, ფრაზა, მოსაზრება, არგუმენტი ყოფილიყო უკიდურესად რაფინირებული, კორექტული, აკადემიური.

რა იყო ის ისტორიული ფონი, რომელმაც ლიტერატურისგან ასეთი მძაფრი და სწრაფი რეაგირება მოითხოვა. რატომ მომრავლდა ქართულ მწერლობაში კათოლიციზმის საპასუხო პოლემიკური ლიტერატურა ერთ ეპოქაში?

აღნიშნული ეპოქის ზოგადი სურათი იდეალურად აღწერა დ. გურამიშვილმა:

*„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი. ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი*

*სრულად ქართლის მტრები იყვნენ, ყველამ გაჰკრა თითო ხიშტი“*

როგორი იყო რეალურად დ. გურამიშვილის მიერ ხატოვნად აღწერილი მდგომარეობა სრულიად საქართველოში?

<sup>31</sup> მოღვაწეობდა პერინთეში, ბულგარეთის საზღვართან, თანამედროვე თურქეთის ევროპულ ტერიტორიაზე.

<sup>32</sup> იგულისხმება იეზუიტთა ორდენის გენერალი კლავდიუს აკვივა.

<sup>33</sup> მსგავსი შინაარსის უამრავი წერილია დაცული საქართველოსა და ევროპის საარქივო ფონდებში, სადაც საუბარია საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რეგიონში სრულად მისიონერული მოღვაწეობის აუცილებლობაზე: დონ ჯუსტო პრატოს წერილი გაგზავნილი გორიდან რომში 1633 წლის 16 ოქტომბერს, დონ პიეტრო ავიტაბილეს მოხსენებითი ბარათი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიას და სხვა. ამ წერილებში ვრცლადაა მიმოხილული მდგომარეობა საქართველოში და საუბარია იმ საჭიროებებზე, რომლებიც აუცილებელია „საჭირო საქმის წამოწყებისთვის“, მათ შორის საუბარია კათოლიკური ეკლესიის ასაშენებლად საჭირო თანხაზე, ექიმების ნაკლებობასა და საეკლესიო ნივთების უკმარისობაზე.

ქ. პავლიაშვილი წერს: „XVII საუკუნის პირველი ნახევრისთვის საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ირანის იმპერიასთან ურთიერთობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს კათოლიკური ეკლესიის ცენტრი - ვატიკანი ასრულებდა, რომლის ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, კათოლიციზმის გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური საქართველოს პლაცდარმად გამოყენება ამ ქვეყნებში თავისი მიზნების განხორციელებისთვის; რაც შეეხება საქართველოს – აქ გამიზნული იყო კათოლიკური სარწმუნოების დამკვიდრება და თვით საქართველოსა და ირანის მეშვეობით დასავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო მტრის - თურქეთის დამარცხება“ [პავლიაშვილი, 1994:3]. ეს არის შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური სურათის მოკლე შეფასება, აღწერა, თანაც ორი ფორმაციის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის, მიჯნაზე. ეკონომიკის, სამეურნეო ცხოვრებისა და ტექნოლოგიის ზრდა, მასშტაბების გაფართოება დაიწყო არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ აზიაშიც, იმ ქვეყნებშიც, რომლებთანაც უწევდა საქართველოს ურთიერთობა. ასე რომ, საქართველოს გეოპოლიტიკურ არეალში არსებული მოკლე, იაფი და უსაფრთხო მაგისტრალი სჭირდებოდა ყველა მათგანს. ამიტომ იყო თვალსაჩინო ინტერესთა კვეთა საქართველოსა და ევროპულ-აზიურ-ჩრდილოვან ინტერესებს შორის. ქართულ მხარეს მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების სტრატეგია ამის გათვალისწინებითაც უნდა გაეაზრებინა და შეემუშავებინა.

საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობების გააქტიურება, იგულისხმება კათოლიკური აღმსარებლობის მქონე ევროპული ნაწილი და არა ბიზანტია, ოქროს ხანის დასრულებას უკავშირდება. ისტორიული საფრთხე, განსაცდელი უკვე ლამა-გიორგის მეფობიდან იწყება და სწრაფადვე გადადის პოლიტიკურ კრიზისში.

ქვეყნებს შორის პოლიტიკური პარტნიორობის თუ ექსპანსიის არსებობას აქვს მრავალი მიზეზი, განვითარების ეტაპი და ურთიერთობის ფორმა, ესაა ან დიალოგი, ან კონფრონტაცია. ოპონენტი მხარეების ერთ-ერთი მთავარი „იარაღი“, „ძალა“ არის მასების ინფორმირება, იდეოლოგიური მობილიზება ანუ მოსახლეობის სოლიდური ნაწილის თანადგომა, „თანამზრახველობა“, ამისთვის უმოკლესი გზა, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, გადიოდა ერთმორწუნე მრევლის მომრავლებაზე.

მასებში სარწმუნოებრივ რყევას კი იწვევს ან აჩქარებს სახელმწიფოს პირველი პირის რელიგიური ორიენტაცია. სწორედ მირიან მეფისა და ნანა დედოფლის გაქრისტიანებამ დააჩქარა სრულიად საქართველოს კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის წიაღში დამკვიდრება, ამიტომაც ყველა დამპყრობელი თუ საქართველოთი დაინტერესებული პოლიტიკური სუბიექტი, მხარე მეფისგან უპირველესად ითხოვდა რწმენის შეცვლას, იმ რელიგიური მიმდინარეობის აღიარებას, რომელსაც თავად მიეკუთვნებოდა. სამწუხაროდ, გამონაკლისი არ ყოფილა არც დასავლეთ ევროპა, ვატიკანი, რომელიც საქართველოში არ შემოსულა ხმლით. ხელნაწერ ფონდებში დაცულია უამრავი წერილობითი წყარო, რომლებშიც ევროპელი ლიდერების მხრიდან სხვადასხვა დროს არაერთხელაა გაჟღერებული ეს სურვილი ან „მოთხოვნა“. მოგვყავს აღნიშნული ისტორიული რეალობის რეტროსპექტივა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

ყურადღებას იქცევს ერთი ეპიზოდი პაპი გრიგოლ IX-ის მიერ რუსუდან დედოფლისა და მისი შვილის, დავით მეფისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1240 წლის 13 იანვრით თარიღდება: *„რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ - თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოემსახურება თქვენს ხსნას და თქვენს მიმართ ჩვენს სიხარულს, რაც არსებობს თქვენი ხსნის ღონისძიებათა სრულყოფისათვის, ვინაიდან კათოლიკური ეკლესია, ქრისტეს ძალა - ერთია, უფალი მოციქულთა მეთაურს ნეტარ პეტრეს, აძლევდა რა უფლებამოსილებას და ხელისუფლებას, მიუთითებდა მის გადაწყვეტილებაზე: „და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნან მას“.*

*ამიტომ მან თავისი მუდმივი ედიქტით უბრძანა - მხოლოდ პეტრეს, ემწყემსა მისი ცხოვარნი და იწინასწარმეტყველა რა კერპთაყვანისმცემელთა მომავალი მოქცევა, თქვა, რომ ისინიც შეუერთდებიან ამ ერთადერთ ეკლესიას, რომელიც წარმოიშვა იუდეველებისაგან. მანვე აშკარად ბრძანა, რათა მათგან შექმნილიყო ერთიანი მრევლი და ეკლესიის სათავეში, რომელიც გააერთიანებდა იუდეველებსა და კერპთაყვანისმცემლებს, მდგარიყო ერთი მოძღვარი“* [ტაბალუა, I, 1984:189-190]. ამ მოსაზრების განმეორებას და რომის პოლიტიკის აღიარებას წარმოადგენს იმავე წელს

გაგზავნილი პაპი გრიგოლის მეორე წერილიც, ადრესატები ისევ რუსუდან დედოფალი და მისი შვილი დავითი არიან: „რაც შეეხება ქართული ეკლესიის რომაულთან შეერთებას, ამ მიზნით გაიგზავნა რამდენიმე მორჩილი ძმა მქადაგებელთა ოჯახიდან, რომლებიც თავიანთი ღვთისმოსაობითა და განათლებით გამოირჩეოდნენ, რათა იმ ხალხთა გონებაში განემტკიცებინათ რწმენა და აღემაღლებინათ მათს თვალში რომაული ეკლესიის სიდიადე; ეკლესიისა, რომელსაც თავისი გადარჩენის მიზნით ყველა ქრისტიანი თანაბრად უნდა დაემორჩილოს...“

*უძვირფასესო შვილებო, თქვენ და თქვენმა ქვეშევრდომებმა სამართლებრივად უნდა აღიაროთ რომის პაპი, როგორც წმ. პეტრეს მემკვიდრე, ქრისტეს მონათა მამა და ჩვენი სარწმუნოების მეთაური. თქვენთვის სამწუხაროა, რომ ეს კეთილი საქმე ადრე არ გააკეთეთ – არ გაერთიანდით რომის ეკლესიასთან, არ დაემორჩილეთ მას იმ საკითხებში, რომლებიც თქვენი სულის ხსნას შეეხებიან – ამას და სხვა არაფერს მოვითხოვთ ჩვენ თქვენგან და ა.შ.“* [ტაბალუა, I, 1984:191]. ეს რაც შეეხება დასავლეთის სურვილს საქართველოს კათოლიკურ სამწყსოში გაერთიანებასთან დაკავშირებით, საქართველო კი დასავლეთთან პარტნიორობაში ხედავდა მაშველ ძალას. ამავე წერილებშია გაჟღერებული ევროპული გზავნილი საქართველოს ევროპულ ოჯახთან გაერთიანების „შემაფერხებელ“ მიზეზებზე და მისი აღსრულების სავარაუდო პერსპექტივაზეც: „ტერიტორიული სივრცე, რომელიც ჩვენს შორისაა, რომელმაც ჩვენამდე ძლივს გამოატარა თქვენი ამბები, საშუალებას არ გვაძლევს, თქვენს დასახმარებლად მოვიდეთ...“ [ტაბალუა, I, 1984:189]. ამავე წერილში შეახსენებს პაპი საქართველოს ხელისუფალთ, რომ განსაცდელი ღვთისგანაა და ის შეჭირვებული სახელმწიფოს შესაძლებლობების გამოცდაა, ანუ კრიზისული სიტუაციების მართვის მენეჯმენტის ცოდნა სხვათა დახმარების გარეშე, საკუთარი ძალებით: „უფლის ნება გვაყენებს იმ განსაცდელის წინაშე, ნებას აძლევს რა ბოროტებს, გააწვალონ კეთილნი, რათა გამოცადოს მათი სიმტკიცე და ძალა, როგორც ოქრო ცეცხლში გამოიცდება“ [ტაბალუა, I, 1984:189]. როგორც ჩანს, რეალური ევროპული დახმარება სურვილებსა და ტერიტორიულ სივრცეში იკარგებოდა, ანუ დახმარების რეალური „სურვილი“ უკვე გაჟღერებული იყო, შედეგს ქართული მხარის სურვილი განაპირობებდა, რაც შემდგომ პერიოდში არაერთხელ გამოიკვეთა და გაჟღერდა.



რომის ეკლესიის მორჩილებას სთხოვს პაპი იოანე XXII მეფე გიორგი V-ს (ბრწყინვალეს) 1322 წელს გაგზავნილ წერილში: „*ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალ ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩათვალოთ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შთაგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებულნი არიან თქვენი და თქვენი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხალხთა განათლებით, წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ... შედგენილია ავინიონში (ქალაქი საფრანგეთში) ოქტომბრის „იდიბუს“-ში (15 ოქტომბერი), ჩვენი პაპობის მეექვსე წელს (იოანე XXII ტახტზე დაჯდა 1316 წელს 7 აგვისტოს, მეექვსე წელი იქნება 1322 წ.)“ [ტაბალუა, I, 1984:207-209].*

საინტერესოა პაპი პავლე III მიერ 1545 წლის ივლისში მიწერილი უსტარი ქართლის მეფე ლუარსაბთან. ეს ის პერიოდია, როცა ბიზანტიის იმპერია დასრულებულია თითქმის საუკუნე, როცა საქართველოს ერთიანი სამეფო აღარ არსებობს დეფაქტოდ და დეიურედ, ხოლო ჩრდილოეთის მეზობელთან დიპლომატიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველია: „...ვისაც წმ. მამამ ხელთ მისცა ყოველივე და სამყარო მის ფერხთით მოაქცია, დააწესა ხალხებსა და სამეფოებზე რომის ეკლესიისა და სამოციქულო საყდრის უპირატესობა, სადაც მან თავის ნაცვლად დანიშნა პიროვნება პეტრეს სახით, რათა მან აღმოფხვრას, დაანგრიოს, განგანტოს და განთესოს ყოველივე ის, რაც კი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმ. რწმენას უპირისპირდება ... ქრისტეს ამ ერთადერთ სამწყსოში გვსურს შენ და სხვა ქართველი მეფეების შემოსვლა, ყველა მათი და მთელი ხალხის სულის საცხონებლად. ამიტომ, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლია, უფლის მიერ მოგიწოდებთ, რათა როგორც ერთია ღმერთი და ერთია ნათლისღება, ასევე ყველა ჩვენთვის ერთი იყოს სარწმუნოება ქრისტეს საწყმოსი და ვიყოთ წმ. დედა კათოლიკე ეკლესიის ერთობაში, რათა თქვენც ჩვენთან ერთად და ჩვენი შემწეობით, ადვილად ეწიოთ ამ ბედნიერებას... სხვა ქრისტიანი მეფეებისა და მთავრების მსგავსად, წმ. პეტრეს პატივსაცემად გამოგზავნე ჩვენთან შენი დესპანები, რათა მათი საშუალებით შენ და მთელი შენი ხალხი რომის წმ. მსოფლიო ეკლესიისა და მისი მეთაურის რომის პაპის შვილებად გამოცხადდეთ.

*ასევე შეაგულიანე ზემოხსენებული შენი მეზობელი სამი ქართველი მეფეც<sup>34</sup>, რათა შენს დესპანებთან ერთად გამოგზავნონ თავიანთი და მათი საშუალებით აღუთქვან თავიანთი მორჩილება რომის წმ. მსოფლიო ეკლესიას და ჩვენ... შედგენილია რომში, წმ. მარკოს ეკლესიაში, ქრისტეს დაბადებიდან 1545 წლის ივლისის კალენდის XV დღეს, პაპი პავლეს მღვდელ-მთავრობის XI წელს.“ [ტაბალუა, I, თბ. 1984:231-233].*

საინტერესოა პაპი ურბან VIII-ის წერილების წყება - კახეთის მეფე თეიმურაზისადმი, იმერეთის მეფის გიორგისადმი, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანისადმი, რომელიც იყო პირველი ქართველი პოლიტიკოსი, რომელმაც კათოლიკობა აღიარა, გურიის „მთავარ კათალიკოს“ მალაქიასადმი - მათში საუბარია საქართველოზე, როგორც უძველეს ქრისტიანულ სახელმწიფოზე, ქართველების თავდადებაზე და ყურადღება გამახვილებულია ევროპისგან იმ საჭიროებებზე, რისი მოლოდინიც აქვთ მათ მატერიალური, სამხედრო და პროფესიული დახმარების სახით.

განსაკუთრებით საყურადღებოა პაპ ურბან VIII-ის წერილები კახეთის მეფე თეიმურაზისადმი, აქვეა თეიმურაზის წერილები ურბან VIII-ისადმი: *„იტალიის დიდებისათვის მცირე მნიშვნელობა როდი აქვს იმას, რომ კახეთის მეფე ემორჩილებოდეს იმათ რჩევას, ვინც, როგორც ამბობენ, უფლის გზებს ამზადებს და მისკენ ბილიკს პირდაპირს ხდის.*

*რას იტყვი შენ კეთილშობილო ადამიანო! განა ცოტა იქნება იმ სიკეთის ნაყოფი, რომელსაც ჩვენი მღვდელმსახურები შენი მღვდელმსახურებისაგან ელოდებიან, სახელდობრ: რომის მოწონება და პაპის ქება?*

*ამავე დროს, შენი ხალხიც არ ინანებს იმას, რომ მიიღო ჩვენი მღვდელმსახურები, ისინი ხომ მიემგზავრებიან ევროპიდან აზიაში არა ფულისა ან ხელისუფლების სიხარბით, არამედ აქვთ მხოლოდ ერთი სურვილი: ხალხების გადარჩენა და ხელმწიფეთა დიდება... დაიწერა რომში, სანტა მარია მაჯორეში, 1626 წლის 4 ივლისს“ [ტაბალუა, II, 1986:230-231]. პაპი წერილში იხსენებს ქეთევან დედოფლის ღვაწლს, ყველა ქრისტიანისათვის სამაგალითო თავგანწირვას, თუმცა*

<sup>34</sup>იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565), ლევანი კახეთის მეფე (1520-1574), სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი, რომლებსაც ამავე წერილის დასაწყისში ახსენებს: „კოკატის პატრიარქი (ბაგრატ III), ზაგესის ლევანი (კახეთის მეფე) და კელსეკის გორგორა (ახალციხის ათაბაგი)“ [ი. ტაბალუა, I, 1984: 232-233].

აქვე ისიც გვახსენდება, რომ ქეთევანის პირადი ტრაგედიის ასაცილებლად არც რომის ეკლესიას ეყო ძალა და ავტორიტეტი, არც სრულიად მართლმადიდებლურ სამყაროს. მაგრამ დიპლომატიას თავისი ენა, ეტიკეტი და სტანდარტი აქვს. ამ ჩარჩოში ექცევა მოთხოვნები და შეთავაზებული პირობები. ეს არის ოფიციალური ურთიერთობის ფორმა. სწორედ დიპლომატიის ეს წესია დაცული თეიმურაზ მეფისადმი მიწერილ წერილში. აქ მაღალი აკადემიურობის სარჩულშიც კი ადვილი გასარკვევია ვატიკანის მოთხოვნები და მომავალში სავარაუდო დახმარების აუცილებელი პირობაც, რომელიც მუსლიმური აგრესიასავით ძნელი მისაღები იყო და საფრთხეც სწორად შესაფასებელი და ასახსნელი. ამიტომაც ასევე დიპლომატიური, კორექტული ენით პასუხობს თეიმურაზ მეფე პაპს, რომ მეფის მიერ ვატიკანის მფარველობის მიღება შესაძლებელია მუსლიმური აგრესიის წინააღმდეგ კოალიციური ერთობის შემთხვევაში. წერილი მიწერილია **1626 წლის 20 ნოემბერს**: „ამ წერილის საშუალებით მე გამოვთქვამ პატივისცემას და ვკოცნი შენს მოციქულებრივ ფეხებს, ვინაიდან შენ ხარ სარწმუნოებისა და მსოფლიო საეკლესიო იმპერიის ბოძი და ასევე პირველი საყდარი... ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან. ხშირად გვიხდება მათთან შეჯახება, მაგრამ ღმერთის დახმარებით არც ერთ მათგანს არ დავემორჩილებით. შენი მორჩილი კი ვიქნებით და შევასრულებთ ყოველივე იმას, რასაც გვიბრძანებ. როგორც ღმერთი არის ყველა არსთა მამა, ასევე შენ ხარ მორწმუნეთა მამა.

*ვიმედოვნებ, რომ შენი დახმარებით დავამყარებ კავშირს ესპანეთის მეფესთან, მასაც მივწერეთ წერილი. დაჟინებით გთხოვთ, რათა შენც თხოვო მას იგივე. ამ წერილს, სუფთად გადაწერილს, გადმოგცემს შენი მღვდელი ნიკიფორე. აი შეჯამებული ჩვენი სურვილები: მოვექცეთ შენი უწმიდესობის – პირველი საყდრისა და უმაღლესი ხელისუფლების მოწყალების ქვეშ. გვიბრძანე და მაშინვე გაიგებ ჩვენი მორჩილების შესახებ“ [ტაბალუა, II, 1986:234-235].*

პარტნიორული ურთიერთობის სტრატეგია, შინაარსი, როგორც აღვნიშნეთ, გავლენიანი, ძლიერი სახელმწიფოს სურვილის აღიარება და აღსრულებაა. ამის დასტურია 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული ურბან VIII-ის წერილი: „...ხოლო, როდესაც შენ ყველა წესის დაცვით აღიარებ ორთოდოქსულ (იგულისხმება კათოლიკური) სარწმუნოებას და საზეიმოდ განაცხადებ მორჩილებას, და ეს ცნობა

ჩვენთან მოვა, მაშინ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც ყოვლისშემძლე მოსამართლის ჩაგონებით ახდენს მეფეების ტახტზე დასმას და სამფლობელოების გადანაწილებას, დაამტკიცებს შენს მონარქიულ მმართველობასაც პაპის საზეიმო ლოცვა-კურთხევით. შემდეგ შევეცდებით შენი უმაღლესობისადმი ძმურად განვაწყობთ ქრისტიანი მეფეები, განსაკუთრებით დაიყოლიოთ შენთვის სასურველ მეგობრობაზე ესპანეთის მეფე.

*...საჭიროა მთელი ძალით იზრუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს – ეკლესიის ხილულ მეთაურს – რომის ტახტის სახით“ [ტაბალუა, III, 1987:198-199].<sup>35</sup>*

უნდა ითქვას, მეფის ვალდებულება და რიგითი მოქალაქის ვალდებულება, პასუხისმგებლობა ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ნ. ბარათაშვილი პოემაში „ბედი ქართლისა“ წერს:

---

<sup>35</sup> მსგავსი პათეტიკითაა ნაწერი ურბან VIII-ის წერილები: იმერეთის მეფე გიორგისადმი: „აზიის ვრცელი ქვეყნების მბრძანებლებიც და სპარსეთის შაჰებიც კი, თავისივე სურვილით ეძებდნენ ჩვენთან მეგობრობას. ყველამ იხილა, ჩვენგან მეტად დაშორებული იაპონიის ელჩობა, რომელიც თავისი მონარქიის სახელით დაგვიპირდა შედგომოდა სამოციქულო მისიის შესრულებას...სამოციქულო სიდიადის უმაღლესი საყდრიდან ჩვენ ვუთვალთვალებთ მთელს მსოფლიოს და ვცდილობთ გავხსნათ ციური კარი, მოვუწოდოთ ანგელოზთა ლაშქარს მოეფინონ ყველგან, სადაც კი ადამიანები ცხოვრობენ. ... თუ შენ მოუსმენ ჩვენს მღვდელმთავრებს, თუ შეაიარაღებ მათ შენი ქომაგობით, თუ მათ ნებას დართავ საქართველოს ველებზე მოაყარონ ღვთიური სიტყვების თესლი, მაშინ შენ, იმერეთისა და ბაშაჩუკის ხელმწიფე, დაინახავ, თუ როგორ დაგლოცავს აღფრთოვანებული რომი“ [ტაბალუა, II, 1986:231-233]; ოდიშის მთავრისადმი: „...ჩვენ გვსურს ჩვენს სამოციქულო წერილში შენგან ვითხოვოთ, რომ პაპისადმი სიყვარული არ დაგრჩეს ყურადღების გარეშე. როგორც კი შენი კეთილშობილება ამ ჩვენს წმინდა მამებს მეგობრულად მიიღებს და კეთილი სურვილებით მოუსმენს, ამ მსოფლიო საკრებულოში იქუხებს ქება შენი. ხოლო შემდეგ, მოწყალე ღმერთი, თავის მოვალეობად თვლის მსგავსი სიკეთისთვის შეამკოს შენი სახელმწიფო ბრწყინვალე ბედნიერებით“ [იქვე, II, 1986:227]; მსგავსი სურვილებია გამოთქმული გურიის მთავრისადმი გაგზავნილ წერილშიც: „თუ შენ ყველაფერს შეასრულებ ისე, რომ ჩვენ არ გაგვიცრუვდება იმედები, მაშინ შენი ქვეყნის დიდება გადმოვიღის კავკასიის მთებს, პონტოს გასცილდება და რომამდე მოაღწევს, რომელიც გაიგებს მსოფლიოს ხალხების ამ სამშობლოში მცხოვრებთა ტამისცემას და, რომელიც ჩვეულებრივად ასე მიესალმება ხელმწიფეებს, რომლებიც სამოციქულო საყდრის მოწონებას დაიმსახურებენ. ადვილად შეგვიძლია წარმოიდგინო, თუ როგორ გილოდოს მიუძღვნის შენს ქვეშევრდომებს და შენს ღვთისმოსაობას ქრისტიანი მეფეების მსაჯული, რომელიც მშვიდობისმოყვრელთა ნაბიჯებს მშვენიერებას უწოდებს და სტუმართმოყვარულად ღებულობს მათ. ემსახურება რა მას, რომი სარგებლობს ქვეყნების პატივითა და მეფეების მორჩილებით. რომის წეს-ჩვეულებები იმსახურებენ ამას და ყველგან სარგებლობენ რეკომენდაციებით რომის ეკლესიის შვილებისათვის“ [იქვე:229]. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, თუკი ადრე რომის ეკლესიისა და, საზოგადოდ, დასავლეთის დახმარებას ტერიტორიული ბარიერი ქმნიდა, სარწმუნოებრივი თანამოაზრობის შემთხვევაში, ეს დაბრკოლება რატომღაც პრობლემას აღარ წარმოადგენს.

„მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება  
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება:  
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის  
გონება ყმათა ვერა მიხვდების!“

თეიმურაზი იყო დაქუცმაცებულ საქართველოში მხოლოდ კახეთის „მბრძანებელი“, გარშემორტყმული, როგორც თავადაც ამბობს, ოსმალურ და სპარსულ აგრესიასა და მტრების ჯამაგირებზე გაყიდულ ფეოდალებში. პაპი კი იყო უმოკლესი გზა ევროპულ პერსპექტივამდე და მისი პიროვნული თუ მეფური რყევა კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის ისეთივე სვლა იქნებოდა, როგორც ქართველი მეფეებისგან ისლამის მიღება. მაგრამ აქ იკვეთება ერთი საფრთხე, თეიმურაზის გააწყვეტილებაში იგულისხმებოდა მხოლოდ თეიმურაზის, როგორც ერთი, რიგითი მოქალაქის, გადაწყვეტილება, თუ ის, როგორც მეფე, პასუხისმგებელი იყო პაპის წინაშე მთელი სამეფოს კათოლიკურ სამწყსოში შესვლაზე, როგორ პირობასაც მისცემს მოგვიანებით ევროპაში თავად ჩასული სულხან-საბა?

ფაქტია, თეიმურაზ მეფე აღესრულა როგორც მართლმადიდებელი, პირველი მეფე, რომელიც ოფიციალურად შეუერთდა კათოლიკურ რელიგიას, იყო გიორგი XI. ძნელი სათქმელია, ეს იყო პოლიტიკური ნება თუ ახალი კონფესიის პიროვნული, გულწრფელი აღიარება, მით უფრო გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა აღსრულებულიყო ირანში, ისპაჰანში, მაშინ, როცა ირანი პოლიტიკური ვალდებულებებისა და გეგმების გამო კათოლიკე მამებს წინააღმდეგობას არ უწევდა. ირანში კარგად უნდა სცოდნოდათ ქართველის ხასიათიც, რომ ისინი შეიძლება ფორმალურად აღიარებდნენ ისლამს, მაგრამ არაფორმალურად ქრისტიანებად რჩებოდნენ. გიორგი XI პაპ ინოკენტი XI-ს წერდა: *„ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, მისი ბრძანების გარეშე არაფერი შეგვიძლია, გარნა მსგავსად თქვენი საყვარელი შვილებისა, რომლებიც მუდამ ჟამს ურწმუნოებს ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ... ნეტავი ღმერთმა და ღვთისმშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაყენოს ზიანი თქვენ მტრებს, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ... ჩვენი სარწმუნოების აღიარება შევასრულე პატრი ჯუსტინოს წინაშე, რომელიც ჩვენი*

სულიერი მამა. რასაც ეს ჩვენ გვიბრძანებს, ყველაფერს შევასრულებთ“ [პაპაშვილი, 1995:222].

პროპაგანდას არქივში ინახება 1687 წლით დათარიღებული პატრი იოსებ ლივორნელის წერილი, სადაც ის სიხარულით იუწყება სასიამოვნო ამბებს საქართველოდან: „*პატრი ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანითურთ, რომელიც არის პირველი მინისტრი მთელის სამეფოსი, ეგრეთვე მათი უსამღდელოება ექვთიმე საქართველოს არქიეპისკოპოსი თავისი რავდენიმე მღდელითურთ; ყველამ მათ აღსარებითა და წერილით სცნეს მსოფლიო ეკლესიის თავად და ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ რომის პაპი ინოჩენციო მეთერთმეტე, რომელსაც სრულიად დაექვევრდომნენ. გარნა ის ორი წარჩინებული პირი არ დასჯერდა გაკათოლიკების კერძოდ გამოცხადებას და ხუთი თვის შემდგომ გაგზავნეს რომში თავიანთ მოციქულად პატრი ანჯელო ფილინელი და თან გაატანეს პაპთან წიგნები, რათა მათის სახელით, მის ტახტის წინაშე წარმდგარი ფეხზე მოხვეოდა და მათი უმდაბლესი მორჩილება მიემღვნა პაპისთვის“ [თამარაშვილი, 1902:263]. ის, რაშიც რომი თანხას ხარჯავდა, ანგარიშსაც ითხოვდა, იყო პროპაგანდა და კიდევ ერთხელ ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, რაშიც XVII საუკუნე ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა.*

ამ პროცესების შუაგულში 1438-1445 წლებში სამ ქალაქში: 1438-1439 წლებში ფერარაში, 1439-1442 წლებში ფლორენციაში, 1443-1445 წლებში რომში ჩატარდა ე.წ. ფერარა-ფლორენციის კრება. კრება წინ უძღოდა ბიზანტიის აღსასრულს, კონსტანტინეპოლის საბედისწერო დაცემას. მისი ჩატარების მიზეზიც სწორედ საქრისტიანო სამყაროს მეორე რომად წოდებული, წმინდა ქალაქისა და ბიზანტიის ხსნა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის უფრო საღვთისმეტყველო სარჩულში შენიღბულ პოლიტიკური გავლენების გარჩევას დაემსგავსა. საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ინტერესი გამოიკვეთა კრების მოწვევის ორგანიზებაშიც, კერძოდ, ის მოიწვია რომის პაპმა ევგენიუს IV-მ და დაამტკიცა ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII პალეოლოღოსმა. კრებას არ დასწრებიან ლათინურ სახელმწიფოთა პირველი პირები ერთის, ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე III, კეთილის გარდა. კრებას ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოდან.

რატომ განერიდნენ ევროპელი დიპლომატები ისტორიული მნიშვნელობის შეკრებას, მნელი სათქმელია.

დასავლეთის ეკლესიის მკაცრი პირობა პირობა იყო ოთხი ძირითადი თეოლოგიური განსხვავების ე.წ. filioque-ს, პაპის უზენაესობის, განსაწმედელისა და ზიარების საიდუმლოს ე.წ. ევქარისტის აღიარება, უნიაზე ხელის მოწერა იყო. 1439 წლის 5 ივლისს ფლორენციის უნიაზე მართლმადიდებელთა დასტური შედგა. მას აკლდა რამდენიმე დამსწრის, მარკოზ ეფესელის, ასევე ქართველი წარმომადგენლებისა და სტავროპოლის ეპისკოპოსის ხელმოწერა. დანარჩენ მართლმადიდებელ ქვეყნებში მათი წარმომადგენლების ცდუნებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და დროთა განმავლობაში იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ კიდევაც მასზე. რა უნდა ყოფილიყო ხელისმოწერისა და გაწერის მიზეზი, ცალკე თემაა, ფაქტია, ფერარა-ფლორენციის კრება იყო არა მხოლოდ თეოლოგიური დისკუსიის ადგილი, არამედ მძიმე მორალური, ფსიქოლოგიური, ბიუროკრატიული ზეწოლის არენა. ფლორენციის კრების წინასწარ გამზადებული გადაწყვეტილება და სავარაუდო შედეგი კი უნდა ყოფილიყო სამომავლოდ კარგად გათვლილი გეოპოლიტიკური მიზნების, გადანაწილების გეგმა. რატომ? კონსტანტინეპოლის დაცემას შემდეგ წლების, საუკუნეების განმავლობაში მოჰყვა რუსეთის იმპერიული ამბიციის ზეაღსვლა, ევროპელების მიერ ახალი [სამხრეთ, ჩრდილოეთ ამერიკის] და სხვა მიწების აღმოჩენა და ათვისებაც. მოახერხებდა მხოლოდ ვატიკანის კარი ან კათოლიკური სამყარო ქრისტიანთა წმინდა ქალაქის, მეორე რომის, კონსტანტინეპოლის განადგურებას, მუსლიმი სახელმწიფოსთვის უყოყმანოდ გადაცემას გავლენიანი მართლმადიდებელი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე? შესაძლოა ეს იყო რუსეთი? მოსკოვი ვერასოდეს გახდებოდა კონსტანტინეპოლი თავისი ღირებულებებით მართლმადიდებლური სამყაროსთვის. მისთვის კი ძლიერი, ავტორიტეტული, გავლენიანი კონსტანტინეპოლი აღზევების გზაზე დაბრკოლება იყო. კრებამაც აჩვენა საეკლესიო ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა პროცესების მართვაზე. ეს დასკვნა ჩვენი ვარაუდი და ისტორიული შედეგების გაანალიზების შემდეგ გაკეთებული მოსაზრებაა. ფაქტია, არ შემორჩენილა კრების აქტები, შემორჩენილია მხოლოდ გადმოცემები, რომლებიც წარმოადგენს მხარეს, ის განტვირთულია ობიექტურობისაგან და განწირულია სუბიექტურობისთვის,

რომელიც ნაკლებად სარწმუნოა მეცნიერული კვლევისთვის და ვერ გამოდგება საფუძვლიან არგუმენტად.

ასე მოახლოვდა XVIII საუკუნე. კათოლიკობის მიღებას ახლდა ქართული ინდენტობის დიფერენცირების, უფრო გადასხვაფერების საფრთხე. ეს არ იქნებოდა შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი შედეგი. იდეოლოგიური ცვლილება თავის არსში შეიცავს იმ მიმართულებით უკვე გაწერილ, შემუშავებულ გეგმას, თუ სურვილს, რაც ცვლის ტრადიციულ კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნო, ენობრივ ნორმებს, ხასიათსა თუ სტანდარტებს.

ეს პერიოდი უნდა დავყოთ ეპიზოდებად: 1. საქართველოსა და ირანის ურთიერთობა; 2. საქართველოსა და ოსმალეთის ურთიერთობა; 3. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა; 4. საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობა. 5. გასათვალისწინებელია ვითარება საქართველოში – ტყვეთა სყიდვა და ლეკიანობა, ასევე ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოთა ინტერესები.

ვახტანგ VI საქართველოს ისტორიაში იყო მეფე, რომელიც შეეცადა საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური პროცესების გარდამტეხ პერიოდში<sup>36</sup> ერთდროულად საერთო დიპლომატიური ენა გამოენახა ერთმანეთთან დაპირისპირებულ ირანსა და ოსმალეთთან, ასევე დასავლეთ ევროპულ ქვეყნებსა და რუსეთთან, სახელმწიფო ინტერესები მას სხვა შესაძლებლობას არც უტოვებდა.

ირანის სამეფო ტახტი, როგორც ცნობილია, ამ დროს ჯერ კიდევ სეფიანთა დინასტიის ხელთაა. ამ დინასტიასთან საქართველოს მძიმე ისტორიული გამოცდილება აკავშირებს, განსაკუთრებით შაჰ-აბას I-ის დროს. ის დიდი რეფორმატორი იყო, ირანის სამხედრო წარმატება მის მიერ ჩატარებულ რეფორმებს უკავშირდება, მას ამ დარგში კონსულტაციას უწევდნენ ინგლისელი კონსულები, ანუ შაჰისთვის და, შესაბამისად, სპარსეთისთვის, ევროპული სამხედრო გამოცდილება უცხო არ ყოფილა და ისინი არც მათთან კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობას და გამოცდილებას უჩიოდნენ.

---

<sup>36</sup> ვგულისხმობ ერთდროულად ირან-ოსმალურ-რუსულ-ევროპულ-ქვეყნებთან ურთიერთობას. მართალია, რუსეთი და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები ქართულ პოლიტიკურ რუკაზე ბევრად ადრე გამოჩნდნენ, მაგრამ მათთან დიპლომატიური ურთიერთობა სწორედ გვიან შუა საუკუნეებიდან აქტიურდება.



ირანი, როგორც ნებისმიერი დამპყრობელი, ცდილობდა საქართველოს, კერძოდ, ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნას სპარსულ ყაიდაზე. სამეურნეო, ინდუსტრიული ტრადიციის შეცვლა საქართველოში ცოტა რთული აღმოჩნდა, თუმცა სახელისუფლებო რგოლს სპარსეთის სამეფო კარი აკონტროლებდა ქართლის ტახტზე მაჰმადიანი მმართველების – ვალის დანიშვნით, ასევე ქართველ თავადებს ირანის სამეფო კარზე კარიერული აღმასვლისას უპირატესობას სწორედ რელიგიური ნიშნით ანიჭებდნენ<sup>37</sup>. ვალს, ანუ გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეს, შაჰი არ ენდობოდა და მას სპეციალურად დანიშნული ზედამხედველის – მუსტოფის, მუნშის მეშვეობით აკონტროლებდა, მუსტოფს ჯამაგირიც კი ეძლეოდა და ირანის ჩრდილოეთ ნაწილში მიწა, რომელიც შაჰის საკუთრებაში იყო. გამორჩეული უპირატესობით სარგებლობდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები, რომლებსაც საკუთრება საქართველოშიც უნარჩუნდებოდათ და ირანშიც ეძლეოდათ. ისინი განსაკუთრებით დიდ საშიშროებას და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ საქართველოსთვის სანდოობის თვალსაზრისით, ვიდრე გამაჰმადიანებული „ვალეები“. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ როსტომ ხანი, ვახტანგ V<sup>38</sup>-შაჰ-ნავაზი. ისინი ცნობილნი არიან თავიანთი ზომიერი პოლიტიკით, ეკონომიკური რეფორმებით, კულტურული და საგანმათლებლო მოღვაწეობით, რამაც უზრუნველყო აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობა და სტაბილურობა. მაგრამ ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ დაფინანსებული ქართველი ფეოდალები შეუდგნენ ჯამაგირის სანაცვლოდ შიდა კონფლიქტის გაღვივებას, შედეგად კახეთის ტახტი ქართული სამეფო ოჯახისთვის საომარ ველს

---

<sup>37</sup> ფრანგი მისიონერის, სანსონისა, და გერმანელი მეცნიერის, ენგელბერტ კემპფერის, ცნობები ირანის სამეფო კარის პოლიტიკურ მეთოდებსა და შედეგებზე მოჰყავს მ. პაპაშვილს წიგნში „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი“. სანსონი წერს: „ის ისე აწინაურებს ყველა თავადს, რომ მათ ავიწყდებათ თავიანთი სამშობლო, სარწმუნოება და შაჰის ერთგულნი ხდებიან. ყველაზე დიდი თანამდებობები იმპერიაში ქართველებს ეკუთვნით, ხოლო მათ, რომელთაც ასეთი თანამდებობები არ უკავიათ, ადგილი დათმობილი აქვთ სამეფო სუფრასთან და სახელმწიფო ქონებით სარგებლობენ“ [პაპაშვილი, 1992:11], ეს იმდენად მაცდური პირობები და შემოთავაზება იყო, ენგელბერტ კემპფერის ცნობით, 1684 წელს ისფაჰანში ოცი ათასამდე გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობდა, მას „თვით უნახია, როგორ მიიღო 19 ქართველმა მაჰმადიანობა, რომლის შემდეგ ისინი უხვად დაუჯილდოვებიათ“ [იქვე:12].

<sup>38</sup> ვახტანგ V-ს უდიდეს ფიგურას უწოდებდა ვ. ალენი არა მარტო კავკასიაში, არამედ სპარსეთის იმპერიაში. მისი დამსახურებაა, რომ მცირე ხანს ქართლ-კახეთი ფაქტობრივად ერთ სამეფოს წამოადგენდა, იქ მისი შვილის, არჩილის (შაჰ-ნავაზის) გამეფებით.

დაემსგავსა. ეს მძიმე გამოცდილება, იმავე სცენარითა და რეჟისურით განმეორდა გიორგი XI<sup>39</sup>-სა და ერეკლე I-ს შორისაც. აქაც ვითარებას ამძიმებდნენ ქართველი ფეოდალები. უმძიმესი კრიზისის დროს ქართული სამხედრო ნიჭი, რომელსაც წარმატებულად იყენებდნენ სპარსელები ავღანელებთან ბრძოლაში, სამშობლოში ერთმანეთთან ქიშპობაში იხარჯებოდა.

ზემოხსენებული მიზეზების გარდა, ირანი საქართველოს სამხედრო რესურსს დაუზოგავად იყენებდა ავღანელებთან ბრძოლაში. XVII საუკუნის განმავლობაში ქართველ ცხენოსანთა რიცხვი ირანის ჯარში 8 ათასიდან 40 ათასამდე აღწევდა. ნებისმიერ უმნიშვნელო ბრძოლას თან სდევს მსხვერპლი, ნებისმიერი კიდევ ერთი მეომრის დაღუპვა უმძიმეს ტვირთს წარმოადგენდა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველოსთვის. ფრანგი ისტორიკოსი შ. პიკო წერდა: *„ქართველების მამაცობა ფართოდ იყო ცნობილი დასავლეთ აზიაში. ორ ძლიერ მტრულად განწყობილ სახელმწიფოს შორის ცხოვრება მათგან მუდმივ მამაცობას მოითხოვდა. იმ დროს, როცა შარდენმა იმოგზაურა სპარსეთში, მათი სამხედრო საქმიანობა იმდენად იყო აღიარებული, რომ ქართველებისაგან შემდგარი სამხედრო კორპუსი სპარსეთის არმიის ელიტად ითვლებოდა“* [პაპაშვილი, 1992:17]. განსაკუთრებით ხაზგასასმელია გიორგი XI-ისა და ქაიხოსრო ლევანის ძის დამსახურება, რომლებიც ავღანელების მსხვერპლნი გახდნენ.

1703 წელს ქართლის ჯანიშინი ხდება ვახტანგ ბატონიშვილი, შემდგომში ვახტანგ VI. ეს ის პერიოდია, როცა ყანდაჰარში გიორგი მეფე აქტიურად ებრძვის ავღანელებს და ამით სეფიანთა დინასტიას სულს უნარჩუნებს. ამით ისარგებლა

---

<sup>39</sup>ეს ის გიორგი მეფეა, რომლის სამხედრო ნიჭის წყალობითაც ირანმა შეძლო დაემარცხებინა ქირმანში ავღანელები (1699-1700 წწ), რომელთა დამარცხებაც საკუთარი ძალით ვერ შეძლო. ეს ის ტრაგიკული მეფეა, რომელმაც საკუთარი სამხედრო ნიჭი, უდიდესი სურვილის მიუხედავად, ვერ მოახმარა სამშობლოს და 1709 წლის 21 აპრილს ავღანელების მსხვერპლი გახდა, ყველაფერი 1708 წელს, რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობებისთვის ისფაჰანში რუსეთის ელჩების ჩასვლით დაიწყო. ინტრიგის მიზეზიც ის იყო, რომ მიუხედავად დიდი დამსახურებისა, ირანის შაჰი არ ენდობოდა გიორგის და ადვილად ირწმუნა მირ ვეისის შეთხზული მისი ღალატი და ცრუ ინტრიგა. ამგვარივე ინტრიგის მორიგი მსხვერპლი იყო ქაიხოსრო ლევანის ძე, რომელიც ასევე მირ ვეისის ინტრიგითა და ავღანელების ხელით აღესრულა 1711 წლის 26 მაისს. ვ. ალენი თვლიდა, რომ სწორედ ამ ორი ქართველი გენერლის დამსახურება იყო სეფიანთა დინასტიის ძალაუფლების შენარჩუნება ირანის სამეფო კარზე, ამიტომაც მათი გარდაცვალება უდიდესი დანაკარგი იყო ირანისთვის, უფრო სამშობლოსთვის. ირანმა, შესაძლოა თავიდან მოიშორა არასანდო ქართველები, რომელთა გამაჰმადიანებაც კი ზედმეტად საეჭვო ჩანდა. მათთვის სხვა რესურსი ქართველი სარდლების სახით ჯერ კიდევ არსებობდა.

ვახტანგმა და დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება, რაც საქართველოს გაერთიანებას იდეოლოგიურ საფუძველს შეუშინებდა. ეს არ გამოჰპარვია ირანს, მაგრამ გიორგი XI-ის მოღვაწეობა აიძულებდა თავი შეეკავებინა საქართველოს წინააღმდეგ სადამსჯელო პროცესების ორგანიზებაში.

ვახტანგმა სწორად განსაზღვრა სახელმწიფოს გადარჩენის მთავარი პრიორიტეტები: 1. ყურადღება მიაქცია განათლებასა და კულტურას - გახსნა სტამბა, დაიწყო წიგნების ბეჭდური გამოცემა, შექმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება და გაგრძელება. ამავე პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარეჯის ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სახელმწიფო ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა.

2. ვახტანგმა ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მან შექმნა მსოფლიოში თითქმის უპრეცედენტო სამართლის წიგნი ქართული, ებრაული, სომხური, ბერძნული სამართლის წიგნების გონივრული შერწყმით. მან შექმნა „დასტურლამალი“, რომლის სოციალური შინაარსი და ფუნქცია იყო კლასობრივი ურთიერთობის ნორმალიზება ქვეყანაში. სამართლებრივი ზღვარი გაავლო ფეოდალთა თვითნებობასა და ძალადობაზე დაბალი სოციალური ფენის მიმართ, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მან სამართლებრივად განსაზღვრა მეფის, როგორც პირველი პირის, პასუხისმგებლობა და ვალდებულება ღვთისა და ერის წინაშე. ხაზგასასმელია ისიც, რომ 1705 წლიდან საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარია ვახტანგის ძმა დომენტი, რაც მას საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებაში მნიშვნელოვნად ეხმარებოდა.

3. ვახტანგმა შექმნა „მცველთა ჯარი“, სადაც მსახურობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები - თავადები, აზნაურები, მომსახურე პერსონალი. ეს იყო სახელმწიფო სამსახური, რისთვისაც მათ ეძლეოდათ ჯამაგირი<sup>40</sup>.

ვახტანგის მიერ გატარებულმა ცვლილებებმა გარკვეული საფუძველი შექმნა ქართლის გამოსაცოცხლებლად. სოფლებს დაუბრუნდა გლეხობა, ქალაქებში აღდგა

---

<sup>40</sup>სამართლის წიგნებითა და „მცველთა ჯარის“ შექმნით ვახტანგი შეეცადა ტყვეთა სყიდვის აკრძალვას. მართალია, მისი რეფორმები მოიცავდა ქართლს, მაგრამ მოკლე ხანში მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნები მთელი საქართველოსთვის მოქმედ წიგნად იქცა.

სახელოსნო-სავაჭრო ცენტრები. ეს იყო კარგი „სიახლე“ პატრიოტი ქართველებისთვის და ცუდი - გამაჰმადიანებელი, ჯამაგირიანი ქართველი და არაქართველი ირანის სამეფოს მოხელეებისთვის. საჭირო გახდა ვახტანგის უსწრაფესი განეიტრალება. ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, 1711 წელს ქართლის ტახტი ვახტანგს შესთავაზეს და ირანში დაიბარეს. ირანში არსებული კრიზისი ვახტანგს საიმედო პროგნოზის იმედს აძლევდა, მას ქართლში ქრისტიან მეფედ დაბრუნება სურდა. ვახტანგს არ სურდა გიორგი XI-ისა და ქაიხოსრო ლევანის ძის ბედის გაზიარება, ასევე შეეცადა ირანული სტრატეგიის შეცვლას, ავღანელებთან აქტიურად მებრძოლი ქართველი სარდლებისთვის რელიგიური ხელშეუხებლობის მიღებას. მან არ უარყო ქრისტიანობა, არ უსარდლა ირანის ჯარს ავღანელების წინააღმდეგ, რადგან სეფიანთა დინასტიის საბოლოო რღვევას სწორედ ავღანელებში ხედავდა, ასევე მას სხვა იმედებიც ჰქონდა ახალი პოლიტიკური სუბიექტებისგან დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაც. მან ტყვეობა ირჩია. ამასობაში ქართლი გამაჰმადიანებულ იქნეს დარჩა.

ვახტანგმა დაიწყო ევროპიდან საერთაშორისო დიპლომატიური მექანიზმის გამოყენება. ამ მიზნით XVIII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გახშირდა ფრანგი კათოლიკე მისიონერების ვიზიტები, რომელსაც ეხმარებოდა ვახტანგის მხარდამჭერი სულხან-საბა ორბელიანი, რომლის ვიზიტი ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში ემსახურებოდა არა მარტო ვახტანგის გამოხსნას ირანული ტყვეობიდან, არამედ საქართველოსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივების ანალიზს. კერძოდ, საქართველოს, როგორც ევროპა-აზიას შორის უსაფრთხო სავაჭრო მაგისტრალის პერსპექტივის განხილვას, რომლითაც ისედაც იყვნენ საფრანგეთში დაინტერესებულნი. ეკონომიკური ინტერესი და საქართველოს სატრანზიტო დანიშნულება მკაფიო იყო. ახლა ეს უნდა მორგებოდა პოლიტიკურ ინტერესებს და, რაც მთავარია, საერთაშორისო პოლიტიკაში მოთამაშე დომინანტ სახელმწიფოთა ინტერესებს და ამ სივრცეში საქართველოს ადგილს.

ვახტანგის ევროპული გეგმების აღსასრულებლად დაიწყო სულხან-საბა ორბელიანის „ევროპული მოგზაურობა“. მისი მოგზაურობა ევროპაში დაიწყო გორიდან 1713 წლის 17 აგვისტოს აბატ რიშართან ერთად. როგორც მ. პაპაშვილი

აღნიშნავს, „იგი (იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი) აქედანვე შეუდგა დიპლომატიურად მარჯვე მოზომილ სვლებს“ [პაპაშვილი, 1992:41]. გორიდან ისინი ჩავიდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც გაჩერდნენ ორმოცი დღე და შეხვდნენ აქაურ საერო და სასულიერო პირებს. აქედან სულხან-საბა რიშართან და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლთან ერთად კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, სადაც ჩავიდნენ 1713 წლის 15 ნოემბერს, შემდეგი გაჩერება იყო მარსელი - 1714 წლის 22 იანვარი. პარიზში ჩასვლამდე და ლუდოვიკოსთან შეხვედრამდე შემუშავდა მემორანდუმი, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო მისიონერულ პარტნიორობასა და თანამშრომლობას მოიცავდა. ქართველი დიპლომატი საფრანგეთიდან ასევე ითხოვდა მატერიალურ შემწეობასაც, ვახტანგის ტყვეობიდან გამოსახსნელად, 300 ათასი ეკიუს ოდენობით.

1714 წლის 21 მარტს სულხან-საბა პარიზში ჩავიდა. აქ განსაკუთრებით გამოიკვეთა ზესახელმწიფოთა სახელმწიფო ინტერესები და დახმარების რეალობა თუ ილუზია, მხოლოდ იმედის ანაბარა ყოფნა. სულხან-საბა საუბრობდა ვახტანგის ტყვეობაში დარჩენის შემთხვევაში საფრთხეზე და უკვე შემუშავებული მემორანდუმის გათვალისწინებით პირობას დებდა კათოლიკურ სამწყსოში გაერთიანებაზე: „თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, ისფაჰანში დარჩებოდა, საქართველო მთლიანად გამაჰმადიანების აშკარა საფრთხეშია. თუ ის დაბრუნდებოდა თავის სამფლობელოში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებდნენ თავის სარწმუნოებას, ასევე შეუერთდებიან კათოლიკურს... განზრახვა უფრო მეტიცაა: მას სურს, მისიონერებს მისცეს ქმედითი საშუალებები, მიაღებინოს ეს სარწმუნოება ჩერქეზებს, რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ასული მან ცოლად შეირთო“ [პაპაშვილი, 1992:49], სულხან-საბას რწმუნებით ადვილი შესაძლებელი იყო კათოლიკობის გავრცელება ოცდაოთხ პროვინციასა და მეზობელ სამფლობელოებშიც. გარანტიის გასამყარებლად ყოფილი მართლმადიდებელი ბერი უკვე სარწმუნოებაშეცვლილი წარდგა ევროპელი დიპლომატებისა და პირველი პირების წინაშე. დაპირება ადვილი იყო, აღსრულება - ძნელი, საქართველოსთვის ეს უფრო დიპლომატიური სვლა იყო, ვიდრე ჭკმდარიტი სურვილი. რამდენად შეინიღბა ქართული განზრახვა, ძნელი სათქმელია, რადგან იბერიაში ჩამოსულ არაერთ მოგზაურს შესწავლილი ჰქონდა საქართველოს

ისტორიაც, სადაც გარკვევით იკითხებოდა, ვერც ერთმა სარწმუნოებაშეცვლილმა მეფემ თუ ფეოდალმა ვერ მოახერხა სრულიად სამწყსოს დაყოლიება სახელმწიფო რელიგიის შეცვლაზე, მირიანისა და ნანას გარდა. ისიც არა ძალდატანებით, არამედ მშვიდობიან ვითარებაში. ლუდოვიკო XIV-ისა და სულხან-საბას აუდიენცია შედგა ორჯერ ერთი კვირის ინტერვალით - 1714 წლის 7 და 14 აპრილს და 1714 წლის მაისში.

ევროპული ვიზიტის ფარგლებში საბას მოუწია გამგზავრება ევროპის სხვადასხვა ქალაქში – რომში, ფლორენციასა და კუნძულ სიცილიაზე. ყველა გაჩერება მოიცავდა არა მარტო კულტურულ ღონისძიებებს, ქალაქების დათვალიერებას, არამედ შეხვედრებს და მოლაპარაკებებს.

სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში დასრულდა 1714 წლის ბოლოს. 1715 წლის 15 იანვარს ის კოსტანტინეპოლში ჩავიდა და იქიდან საქართველოში დაბრუნდა. შედეგის მიუხედავად, ფაქტია, ეს მოგზაურობა არ იყო დიდი მწიგნობრის თვითნებური გადაწყვეტილება და არც მისი სარწმუნოებრივი მერყეობა ყოფილა ყოფილი სასულიერო პირის ნება, ევროპული „ნდობა“ და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება იმგვარ მსხვერპლსაც მოითხოვდა, რომელიც შემდგომი თაობების განსახილველ და სადავო საკითხად იქცა.

სულხან-საბას ევროპულ ვიზიტს და ვახტანგის დანაბარებს საფრანგეთსა და ვატიკანში შედეგი არ მოჰყოლია. ლუი XIV-ის კარზე განიხილეს არა მარტო ვახტანგის ტყვეობიდან გამოსხნის საკითხი, არამედ პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკურიც, თუმცა მაშინ საფრანგეთისთვის პატარა სახელმწიფოს დაპირებები და სურვილები ვერ აღმოჩნდა აღმატებული ვერც დასუსტებული სპარსული და ვერც ოსმალური ინტერესის ფონზე. ვახტანგის მცდელობის მიუხედავად, ევროპელი დიპლომატებისთვის ეჩვენებინა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა ეკონომიკური განვითარებისთვის და მათი ვაჭრებისა და მეწარმეებისთვის უსაფრთხოების გარანტი თავად გამხდარიყო, საქართველოს ბაზარი ჯერ არ იყო საინტერესო და მიმზიდველი. ეს უნდა სცოდნოდა ვახტანგს. შესაძლოა იცოდა კიდევ, მაგრამ იმედით ლოდინი ირჩია გამაჰმადიანებას, რასაც მაინც ვერ ასცდა სულხან-საბას წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ და 1716 წლის 1 ივნისს ფერაბადში ისლამი აღიარა. ეს იყო ერთადერთი გზა საქართველოში

დასაბრუნებლად. ვახტანგის ამ ნაბიჯმა სწრაფადვე შეცვალა ირანის სამეფო კარის გადაწყვეტილება, მან ქართლს ჩამოაშორა იესე და ის ბაქარს, ვახტანგის ძეს გადასცა. ვახტანგი საქართველოში 1719 წელს დაბრუნდა.

დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი ნათელი იყო. ვახტანგის ერთადერთ „საიმედო“ მოკავშირედ ჩრდილოეთიდან რჩებოდა. როგორი იყო რუსეთის პოლიტიკური სტრატეგია საქართველოს მიმართ? სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა იკვეთება მაშინ, როცა პირველი პირი კონკრეტული სახელმწიფოს ხელთდასხმით, ან მითითებით ინიშნება. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „განსაკუთრებული პოლიტიკური მარცხი მოსკოვის სამეფომ საქართველოში 1658 წელს განიცადა. ქართველობისათვის მეზობლთა დასის აქტიური მოქმედებით - თეიმურაზ კახთა მეფისა და ალექსანდრე იმერთა მეფის მეთაურობით - მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის ხელმწიფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოს და გურიის მთავრები. ქართლშიაც თეიმურაზ - მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმედოდ მზად იყო. ქართველობისათვის მეზობლთა პოლიტიკური იდეალი თითქო ხორცს ისხამდა, მოსკოვის დიპლომატიის 70 წლის ნამოღვაწევი წარმატებით სრულდებოდა. საკმაო იყო „პატრონის“ მხრით ენერგიული მოქმედება... მაგრამ ეს დიპლომატიური წარმატება მოსკოვის ხელმწიფემ რეალურად ვერ გამოიყენა, საქართველოს გამაერთიანებელისა და მისი ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ დამრაზმველის როლში ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ ვიდრე მე-18 საუკუნის ოციან წლებამდის მოსკოვის ხელი ამიერ-კავკასიის საქმეებში თითქმის აღარა ჩანს. ამ პოლიტიკური მარცხის ეპილოგი იყო, რომ თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე, რუს-ხელმწიფის კარზედ მძევალი, მე-17 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოუვიდა „პატრონს“ და ერანის შაჰს ეყმო და მისგან მიიღო თავისი „სამკვიდრო“ [ბერძენიშვილი, კრებული „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, I, 1944:174-175]. რუსეთი რეალურად არ დაეხმარა საქართველოს მთელი XVIII საუკუნე. რაში სჭირდება და რა მიზნები ამოძრავებდათ მათ დადებულ დაპირებებსა და შეუსრულებელ „ვალდებულებებთან“? იქნებ ეს იყო მიზანმიმართული სვლა გეორგიევსკამდე?

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არც ერთი ქვეყანა პარტნიორობას საკუთარი ქვეყნის ინტერესებს მიღმა არ ხედავს, ესაა უსაფრთხოება, ეკონომიკური ძლიერება, თუ სტაბილურობის გარანტია. ასეთი იყო დასავლეთის ქვეყნები და ასეთი იყო რუსეთიც. პეტრე I სწორად აფასებდა კასპის ზღვისა და საქართველოს მნიშვნელობას რუსული სავაჭრო პოტენციალის ამალგებაში, ამავდროულად აფასებდა საქართველოსა და სპარსეთის პოლიტიკურ წონას. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სასწორის პინა გადაიხარა სპარსეთის მხარეს, საითკენაც ყველა დანარჩენი გავლენიანი პოლიტიკური სუბიექტებისა. რუსეთისთვის უკიდურესად „სასარგებლო“ და სასურველიც კი იყო ბრძოლებით დაღლილი, დასუსტებული სახელმწიფოს „პარტნიორობა“, სადაც ბურთიც და მოედანიც მისი იქნებოდა. არც რუსეთს და არც სპარსეთს არ სურდა და თავის სასარგებლოდ არ მიაჩნდა ლეკიანობის მოშლა საქართველოში, ეს გამოჩნდა კიდევ ჭარ-ბელაქანთან ბრძოლისას.

1721 წელს ირანს შაჰის ბრძანებით ვახტანგ VI აზერბაიჯანის სამხრეთი ნაწილის სპასალარად ინიშნება და მის ხელში გადადის სპარსული ჯარი, შაჰის ბრძანებით ვახტანგი განჯასთან ამარცხებს ლეკებს და ჭარ-ბელაქანს უახლოვდება, ლეკების მარცხი გარდაუვალი იყო, მაგრამ მოულოდნელად შაჰი ბრძანებას ცვლის და ვახტანგს თბილისში აბრუნებს [იოსებ ალიმზარაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი - „ლეკიანობა“ და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა (XVIII-XIX ს. 30-იანი წლები), 2013:44]. აქ, როგორც სხვა, საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტში, საეჭვოა რუსეთის პოზიცია, მისი დიპლომატიური ატაშეს, ვოლინსკის<sup>41</sup>, ხშირი ვიზიტები ისპაჰანში. რა იყო ჭარ-ბელაქანის კრაზი, რუსეთის და ირანის ერთდროული უარი გადამწყვეტ ბრძოლაში, ორი სახელმწიფოს შეთანხმებული ქმედება, თუ მათი მხრიდან სწორად შეფასებული ვახტანგ VI-ის სამომავლო გეგმები, განზრახვა. ფაქტია, ამგვარი მარცხი ასუსტებდა საქართველოს, კიდევ უფრო აღრმავებდა კრიზისს და შორეულ პერსპექტივას უქმნიდა სახელმწიფოს განვითარებას, თუნდაც პერსექტივას, რაც, ამ შემთხვევაში, ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყო.

<sup>41</sup>ეს ის ვოლინსკია, რომელსაც 1719 წელს დაევალა ოსმალეთსა და სპარსეთთან სამოქმედო გეგმის შემუშავება, მასვე ანდეს საქართველოს საქმეც.



რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში უფრო გააქტიურდა. ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, რუსეთმა დაიწყო კულტურული ურთიერთობების „გაღრმავება“ საქართველოსთან. რუსეთს ამ შემთხვევაში საქმე უფრო იოლად ჰქონდა, საქართველო და რუსეთი ერთმორწმუნე ქვეყნები იყო და ამიტომაც იდეოლოგიურ ჭიდილში რუსეთსა და ევროპულ ქვეყნებს შორის ანგარიში რუსეთის სასარგებლოდ აისახა. რუსული კულტურული ექსპანსია თვალშისაცემი გახდა. ეს დაეტყო ლიტერატურასაც. მ. ქავთარია აღნიშნავდა: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტიპიკონ-სადღესასწაულოთა დამუშავებისას გარეგელ მოღვაწეთა მიერ აქცენტი ძირითადად სლავურ-რუსულ სადღესასწაულოებზე იქნა გადატანილი. ამ უკანასკნელთა მიხედვით მოხდა ქართული მასალის გამართვა-რედაქტირება“ [ქავთარია, 1965:100].<sup>42</sup>

ვოლინსკის გეგმით, რუსი ვიზიტორები მომრავლდა არა მარტო საქართველოს სამეფოების კარზე, არამედ დიდებულებთან, წარჩინებულ პირებთან, ელიტასთან, თუმცა კონკრეტული შედეგი საქართველოსთვის არც რუსეთთან დაუსრულებელ საუბრებსა და გახშირებულ ვიზიტებს მოჰყოლია. როგორც წესი, ნებისმიერი სახელმწიფო შეთანხმება სახელმწიფოებს შორის მზადდება მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტში, დიპლომატიური ნიჭიც ეს არის, შენი სახელმწიფოს როლი მაქსიმალურად მიმზიდველი და ღირებული წარმოაჩინო მსოფლიოს გლობალიზაციაში. სწორედ ამას ცდილობდა ვახტანგ VI. ერთი მხრივ, ის საფრანგეთს მაქსიმალურად მიმზიდველად უხატავდა საქართველოს გეოგრაფიულ შესაძლებლობებს და უსაფრთხოების გარანტად თავად დგებოდა და, მეორე მხრივ, რუსეთს აღმოსავლეთში სანდო პარტნიორობას ჰპირდებოდა.

პეტრე I-ის დაპირება გამრავლდა და რეალური დახმარება დაგვიანდა. ვახტანგმა სპარსეთის სარდლობაზე საბოლოოდ თქვა უარი. ეს სასიამოვნო ინფორმაცია იყო ირანთან კონფრონტაციაში მყოფი ოსმალეთისთვის და სამხრეთით იმპერიული საზღვრების გაფართოებით დაინტერესებული რუსეთისთვის.

რუსეთისთვის ხელსაყრელი დრო დადგა. პეტრე I სპარსელებთან სალაშქროდ მოემზადა და ვახტანგ VI-ისგან დახმარების პირობაც მიიღო. ვახტანგის იმედი

---

<sup>42</sup>მიხეილ ქავთარია საილუსტრაციოდ ასახელებს A-59, A-426.

მხოლოდ რუსეთის ერთმორწმუნეობა არ ყოფილა, ის რუსულ ინტერესს ამიერკავკასიის მაგისტრალსა და აბრეშუმით მდიდარი კასპიისპირა რეგიონებშიც ხედავდა, რომლითაც არანაკლებ დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალებიც. რუსეთი ერიდებოდა ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭებას. მას მყარი პოლიტიკური ალიბი ესაჭიროებოდა სპარსეთთან სალაშქროდ. მან ისარგებლა 1722 წელს ლეკებსა და რუს მოვაჭრეებს შორის ინციდენტით და კასპიისპირეთში საკუთარი მოქალაქეებისა და ვაჭრების დაცვის საბაბით სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ქართველები სომეხ მელიქებთან ერთად მას განჯაში უნდა დახვედროდნენ.

სულთნის კარზე ხვდებოდნენ, რომ რუსი ვაჭრების მკვლელობა რუსეთისთვის ისეთი მნიშვნელოვანი არ იყო, როგორც ლაშქრობის საბოლოო შედეგი - რეგიონში გავლენის მოპოვება და პეტრე I-ის კარს სამხედრო ოპერაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვეს, იმ მოტივით, რომ, მართალია, პეტრე I-ს რუსი ვაჭრების ბედი „აღელვებდა“, მაგრამ დაღესტანი ოსმალეთის მფარველობაში შედიოდა და ერთმორწმუნე ხალხის დაცვა მის მოვალეობად ითვლებოდა. ამავდროულად, ოსმალეთი ვახტანგს ირანზე ლაშქრობის სანაცვლოდ სრულიად საქართველოს მეფობას აღუთქვამდა. ვახტანგს არ სურდა, ურჯულო ოსმალების შემწეობით საქართველოს „ხსნა“ და ოსმალებს უარი შეუთვალა. რუსეთს კი არ სურდა არც ოსმალურ იმპერიასთან ურთიერთობის დაძაბვა, არც ოსმალური სურვილით და საქართველოს სარდლობით დამარცხებული ირანი, რომელიც მისთვის სასურველი ეკონომიკური სივრცეც იყო, არც ოსმალების „გაერთიანებული“ საქართველო, თუნდაც ეს დროებითი და პოლიტიკური მანევრი ყოფილიყო და არც ჭკვიანი და პატრიოტი ვახტანგის თუნდაც დროებითი ძლევამოსილება. ამას დაემატა მეორე საფრთხეც, რასაც რუსული იმედებით გალაღებული ქართველები, პირველად „ღვთის წყალობადაც“ აღიქვამდნენ, შაჰის ბრძანებით ვახტანგს შირვანიდან ლეკების განდევნა დაევალა, სადაც ისედაც უწევდა წასვლა არა შაჰის ბრძანების აღსასრულებლად, არამედ სწორედ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად „მბრძანებლის“ წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

რუსეთი ოსმალურ ურთიერთობას გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტში აფასებდა. XVIII საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთს შორის დაძაბულობის შენარჩუნებასა და გაღრმავებას სხვადასხვაგვარად ხედავდნენ და აფასებდნენ ევროპის ქვეყნებში:

რუსულ-ოსმალურ დამაბულობას ხელს უწყობდა ინგლისი, რომელიც ცდილობდა რუსულ-ოსმალური ურთიერთობის გადატანას ბრძოლის არენაზე. ინგლისის ელჩი ოსმალეთში სულთანს წერდა: „ყოველი სახელმწიფო თავისი ვაჭრობით ცხოვრობს და თუ რუსეთი ხელში აიღებს სპარსეთის აბრეშუმზე ვაჭრობის მონოპოლიას, მაშინ იგი შთანთქავს თურქეთის ვაჭრობას. ამით კი კონსტანტინოპოლში მოახლოვდება „ბერძნული იმპერიის“ აღდგენა და მეფე აღმოსავლური აბრეშუმის მონოპოლიის შემოსავლის საშუალებით თურქეთის პროვინციებს ერთიმეორეზე დაიმორჩილებს“ [პაპაშვილი, 1992:126-127]. რუსეთის პოლიტიკური ძლიერება და გააქტიურება აღმოსავლეთში ინგლისური მხარისთვის საფრთხეს უქმნიდა ოსტ-ინდოეთის კომპანიას, რაზეც დამოკიდებული იყო ინგლისის საპარლამენტო, ინსტიტუციური წყობა, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაცია და ძლიერება. საომარი მოქმედება ოსმალეთთან ხელს შეუშლიდა რუსეთის გავლენის გაფართოებას აზიაში.

განსხვავებული პოზიცია ჰქონდა საფრანგეთს, რომელსაც დამაბულობა ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიასთან და, ინგლისისგან განსხვავებით, ცდილობდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის ნორმალიზებას, ან იმგვარ ფორმატში გადაყვანას, რომელიც ევროპას მშვიდობას არ დაურღვევდა. ფრანგული პოლიტიკის ამოსავალიც სწორედ ეკონომიკურ მიზნებს უკავშირდებოდა. ისიც, როგორც ინგლისი, გაძლიერებულ რუსეთში ეკონომიკურ ოპონენტს ხედავდა, მასაც სურდა შავი ზღვის პოტენციალის გამოყენება ირანისკენ მიმავალი სავაჭრო გზის ათვისებაში. ამ პერიოდში დალესტანში „საქართველოს თხოვნით“ უკვე დგას რუსეთის ჯარი, თუმცა ქართველების მიზანი, ლეკიანობის აღკვეთა, ჯერჯერობით ვერ ან არ ხერხდება.

1722 წლის აგვისტოში ქართველები სომეხ მელიქებთან ერთად განჯაში ჩავიდნენ. მაგრამ უკვე პოლიტიკური სურათი შეცვლილიყო. ევროპისთვის საქართველო ჯერ არ არის საინტერესო არც როგორც პოლიტიკური სუბიექტი და არც როგორც ეკონომიკური სივრცე. ვახტანგი შაჰის ბრძანების აღსრულებას არ აპირებდა, რუსეთი კი - ოსმალების განაწყენებას. სამხრეთისკენ დაძრული პეტრე I და „რუსული დაპირება“ ასტრახანში დაბრუნდა. თბილისი ერთდროულად ორი აგრესორის გარდაუვალი შემოტევის, ერთი მხრივ, ქართველებისგან „გაბრიყვებული“ ირანისა და, მეორე მხრივ, ოსმალების წინაშე მარტო აღმოჩნდა. 1722 წლის 4

ოქტომბერს ვახტანგი პეტრე I-ს წერდა: „*აქათს ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომე აქაური საქმეები დიად არეული არის და ერთი ასეთი არ გამოვარდეს რა რომე აქაური საქმე არ წახდეს*“ [ამონარიდი ამოღებულია წიგნიდან - პაპაშვილი, 1992:84]. ვახტანგს მძიმე ვითარება ჰქონდა სამეფო ოჯახშიც, მას არ ეიმედებოდა კონსტანტინე და იესე, რასაც მოჰყვა თბილისში ჯერ ირანის შემოსვლა 1723 წლის 4 მაისს, ხოლო 1723 წლის 10 ივლისს ოსმალების შემოსვლა, რასაც შიშობდა და პროგნოზირებდა ვახტანგი. ოსმალების შემოსვლას თბილისში წინ უძღოდა ვახტანგ VI-ის წერილი ავსტრიის იმპერატორისადმი, რომელშიც ის დახმარებას ითხოვდა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მეფე კიდევ ერთხელ შეეცადა ევროპიდან შემწეობის მიღებას, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, საქართველო ევროპულ პოლიტიკურ რუკაზე ჯერ არ ფიქსირდებოდა. თანაც ევროპას რუსულ სურვილებზე ზეწოლის მიზნით ოსმალებისთვის უკვე ჰქონდა მიცემული გარანტიები. ქართლში „ოსმალობა“ დაიწყო და აქ დასრულდა ვახტანგის მეფობა, ის იძულებული გახდა ემიგრაციაში, რუსეთში, წასულიყო, სადაც აღესრულა კიდევ. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ურთიერთობა (იგულისხმება ურთიერთობა ევროპულ პოლიტიკურ წრეებთან) თანდათან ძლიერდებოდა მე-18 საუკუნის ოციან წლებამდე. ამ დროს ახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება გართულდა. სეფიანთა ერანს დღე ელეოდა და საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ მარჯვე დრო დადგა. კათოლიკური ევროპისა და საქართველოს კავშირის გამოცდის დღეც დადგა. ქართველებმა სრულიად გარკვეული პოლიტიკური დახმარება სთხოვეს მფარველ-მოკავშირეებს, - „უქრისტიანეს“ ლუი XIV-სა (1714 წელს) და ავსტრიის იმპერატორს (1722 წელს). ქართველ პოლიტიკოსებს აქაც იმედის გაცრუება ელოდა. ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერ-კავკასიაში პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ერანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არაფერს მოიმოქმედებდა: ინგლის-ჰოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური მეგობრობა ერან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო. არც ავსტრიის იმპერატორს აღმოაჩნდა ქართლის მეფისათვის რეალური დახმარების ხალისი თუ

*შესაძლებლობა*“ [ბერძენიშვილი, კრებული „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, I, 1944:176-177].

XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველო ღრმა კრიზისმა მოიცვა. დაუსრულებელი მტრობის, ბრძოლის პირობებში მოსახლეობა მშვიდობიან, უსიხლო გამოსავალსა და მხსნელს ელოდა. ასეთი კი იყო ევროპული სივრცე, რომელშიც ქართველები არა მოსიხლე მტერს, არამედ წიგნიერ, განათლებულ ქრისტიანს ხედავდნენ, მართალია, არა მართლმადიდებელს, მაგრამ არც ურჯულო სისხლისმსმელ თათარს. ზემოთაღწერილი პოლიტიკური ბატალიებისა და რეალობის მცოდნე წრეებში კი საქართველოსთვის საფრთხეს მეტ-ნაკლები ფორმით ყველა მხრიდან ხედავდნენ და ელოდნენ.

## **2. ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა ქართულ მწერლობაში**

პოლიტიკური ორომტრიალის, რთული გეოპოლიტიკური ძვრების, შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური კრიზისი დროს დაწერა ბესარიონ ორბელიშვილმა ვრცელი ანტიკათოლიკური ტრაქტატი „გრდემლი“. ბესარიონ ორბელიშვილი 1724-1738 წლებში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარიც იყო, ასევე საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი და ორიგინალური თხზულებების ავტორიც. ამდენად მის დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემისადმი გარკვეული ფასი, ხოლო ამგვარი ლიტერატურის შექმნას თავისი მიზანი ჰქონდა, კერძოდ, მას უნდა გაენეიტრალებინა საზოგადოებაში მომძლავრებული კათოლიციზმი. მ. ქავთარია აღნიშნავს: *„იგი (იგულისხმება ანტიკათოლიკური თხზულება „გრდემლი“) უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თხზულებაცაა, რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში და ეროვნული თვითშეგნების დაცვა-განვითარების საქმეში“* [ქავთარია, 1965:111].

ქართულ მწერლობაში მე-18 საუკუნემდე ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულება, ერთის გარდა, ევსტრატი ნიკიელის „მოსაჰსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი, და რაჲსთვის საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, არ ჩანს. თხზულება დაცულია არსენ იყალთოელის

„დოგმატიკონში“, რომელიც XII საუკუნეს განეკუთვნება. კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული თხზულება მოგვიანებით უნდა დაემატებინათ „დოგმატიკონის“ კრებულისთვის. ი. აბულაძის თვალსაზრისით, ეს და კიდევ ექვსი სხვა თხზულება „დოგმატიკონიდან“ სომხურ ენაზე უთარგმნია სიმეონ პლინმაჰანეცის. გაირკვა, რომ ეს ძეგლი კომპილაციურია. ერთ-ერთი წყარო, როგორც ა. ალექსიძე ასკვნის, არის ფოტი პატრიარქისა ერთი თხზულება სული წმიდის საიდუმლოს შესახებ [ალექსიძე, თსუ შრომები, 162, 1975:116], მთლიანად ძეგლი კი შედგენილია ბერძნულ-ლათინური პოლემიკის მონაწილეთა თხზულებების მიხედვით. იგი ასახავს როგორც პირველი სქიზმის (IX ს.), ისე მეორე სქიზმის (XI ს.) მასალებს [ნარკვევები ძველი სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, II, 2014:462]. ასე რომ ეს თხზულება არაა გვიანი დროის დანამატი. ის არსენს უთარგმნია და შეუტანია „დოგმატიკონში“ [აბულაძე, შრომები, IV, 1985]. რატომ მიიჩნევს კ. კეკელიძე, რომ ევსტრატი ნიკიელის თხზულება დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულს მოგვიანებით უნდა დართვოდა? პრობლემის არსი არა მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ კრიზისშია, არამედ კონკრეტული პრობლემის მასშტაბებში. როცა აღარ არსებობდა საქართველოს პირველი პოლიტიკური და იდეოლოგიური მოკავშირე – ბიზანტია, როცა ეკონომიკურ-სოციალურ სივრცეში მსოფლიო უახლოვდება ახალ ფორმაციას – კაპიტალიზმს, ასევე ევროპა ხდებოდა პოლიტიკური მოკარნახე მსოფლიო წესრიგისა, სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული დატვირთვა, მნიშვნელობა სხვაგვარი ყურადღების არეალში ექცევა, სხვადასხვაგვარი დისკუსიის, განსჯის, მიღწეული შედეგებისა და მიზნების გადასინჯვის მიზეზი ხდება. იწყება გავლენების გაფართოება, პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების ახალ სტანდარტზე აყვანა, იწყება ახალი მეთოდების, სტრატეგიის, აქტივობების ჩამოყალიბება. შესაძლოა, მკვლევრის მოსაზრება დასახელებულ არგუმენტებს ეყრდნობა, როცა პრობლემა უფრო აქტუალური იყო ქართული სახელმწიფოსთვის, ვიდრე არსენ იყალთოელის ეპოქაში. უამრავი ლოგიკური მიზეზის მიუხედავად, კ. კეკელიძის მოსაზრება საკამათოა, ფაქტი კი ერთია, ეს თხზულება უნდა სცოდნოდათ შუა საუკუნეების მოღვაწეებს, რასაც მოწმობს ის, რომ ბესარიონ ორბელიშვილი სწორედ მას ასახელებს თავის ტრაქტატში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლოა საკამათო იყო დასავლური ღირებულებები,

მაგრამ ის, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ კულტურულ ფასეულობებს, იდენტობასა და ერის თვითმყოფადობას, უყურადღებოდ არ და ვერ დარჩებოდა ქართველი მოღვაწეების მხრიდან. აქვე ხაზგასასმელია ერთი ფაქტიც: როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავდა, ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლი“ დაუწერია *„იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით“* [კეკელიძე, I, 1960:350], მსგავსი მოსაზრება ჰქონდა პ. კარბელაშვილსაც [იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსი და მღვდელთმთავარი, 1900:139], ეს კი ადასტურებს განსხვავებული შეხედულებების ოპონენტთა ჯანსაღ პოლემიკას და ერთმანეთის კულტურული ღირებულებების პატივისცემას. მიხეილ ქავთარია მიიჩნევდა, რომ XVIII საუკუნემდე ქართულ მწერლობაში არარსებობა ანტიდასავლური განწყობის ქართული შემწყნარებლური ხასიათისა და სამეფო კარის დემოკრატიული განწყობის დამსახურება იყო: *„ძველ საქართველოში არ არსებობდა მკაცრი რელიგიური ცენზურა და რელიგიური შეზღუდვების კანონი, პირიქით, ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ ქართველი მეფეები მონაწილეობას ლებულობდნენ ხოლმე თეოლოგიისა და სხვადასხვა დოგმატური საკითხების შესახებ გამართულ საჯარო დისპუტებსა და პაექრობაში“* [მოამბე, I, 1954:93].

ამავე პერიოდში შეიქმნა სხვა ორიგინალური ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები. ესენია:

**1. ტ. გაბაშვილის „მარწუხი“** – „მარწუხი“ არ არის პოლემიკური შინაარსის, თხზულებაში ფუნდამენტურადაა მიმოხილული შვიდი საეკლესიო კრების შინაარსი, მიზანი და მიზეზები. ვინაიდან აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმატურ-კანონიკური საფუძველი შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული განჩინებებისა და კანონების ერთგულება და მორჩილებაა, „მარწუხი“ სწორედ ამ მახასიათებლით ახლოს დგას სადისერტაციო ნაშრომის კონტექსტთან. ტიმოთეს აღნიშნული თხზულება დაუწერია „ქუთათელი ეპისკოპოსის“ დავალებით, ის შესავალში განმარტავს თხზულების დაწერის მიზეზებს და თხზულების სახელწოდებას „მარწუხი“: *„ვერ ურჩქმნილი ბრძანებისა ვიწყე შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელი თუთ მაშინვე კრებასა ნათქვამნი და ზოგი შემდგომად კრებისა აღწრილნი წმიდათა მამათაგან. არათუ ჩემით შემიწყვეს რამე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თუთ ღირსთა პირისათა ნაბიჭვენი აღმომივსიეს და უწოდე წიგნსა ამას „მარწუხი“ მტკრთველი*

შვიდთა ნაკვერცხალთა ნანდვილ ესაიასებრ სახე“ [A-120, 3v]. როგორც თავად აღნიშნავს, თხზულების სათაური „მარწუხი“ ტიმოთეს აუღია ბიბლიიდან<sup>43</sup>, შვიდი კრების დადგენილებები და კანონები მიღებული იყო საღმრთო წიგნებსა და წმინდა მამათა თხზულებებზე დაყრდნობით, რაც უნდა ყოფილიყო სამყაროს განსაწმედელი ცოდვებისაგან. შესავალშივე განმარტებულია ნაწარმოების დაწერის მიზანი: „მრავალგანთქმული ესე მართლმადიდებლობითა დიდი ივერია მრავალგზის წარმართთა ოკრებითა შემცირებულ იყო. ამა წიგნთაგან და ეკლესიათანი საგანძურნი დაცარიელებულ იყვნეს საღმრთოთა წერილთაგან. და კრებისა ესე წიგნი სრულებით არღარა სადა იპოებოდა: თუ ქრისტეს აქეთ რაოდენსა ჟამსა იქმნენ წმიდანი კრებანი, ანუ რომელნი მეფენი სუფევდენ, ანუ პაპანი, რომელნი ცხოვრობდნენ და პოტრიტნი, რომელნი მოიწეოდენ კრებასა და ანუ პატრიაქნი, რომელნი მწყსიდენ მას ჟამსა და ანუ რომელსა ქალაქსა იქმნებოდენ კრებანი, ანუ წინააღმდგომნი მწვალებელნი ვინა იყუნენ: ეპისკოპოსნი, მღდელნი თუ ერისკაცნი თუ ვითარ სცვალეზდენ, ანუ რომლითა სიტყვთა იტყოდიან წვალებათა, ანუ მართლმადიდებელნი ვითა პირსა უყოფდენ საწინაღმდეგობითა და სამოციქულოთა მოძღვრებითა, და ანუ ვითა სწავლითა დაუყვნეს პირნი მათნი და შეაჩუენნეს, ანუ მწვალებელთაგან ვითარ იტანჯნეს მართლმადიდებელნი, ანუ კანონნი რაოდენნი დასხნეს სჯულისანი კრებასა. ესენი, რჩეულნო, ზედმიწევნით არა უწყოდით“ [A-120, 3r].

3. კეკელიძე აღნიშნავს: „თხზულება დაწერილია (1753 წლის მახლობლად) პირველწყაროების დახმარებით, ავტორს ხელთ ჰქონია კრებათა აქტები, არ ვიცით მხოლოდ რა ენაზე, წმინდა მამათა თხზულებანი და შესაფერისი საისტორიო ნაწარმოები“ [კეკელიძე, I, 1960:356]. გაუგებარია, რის საფუძველზე წერდა კ. კეკელიძე ამას და რომელ წყაროს გულისხმობს „კრებათა აქტებში“, რომელზეც თავადაც სვამს შეკითხვას, „არ ვიცით მხოლოდ რა ენაზეო“, ასევე არ აკონკრეტებს

---

<sup>43</sup>„მ უბადრუკსა მე, რამეთუ შეკდემულ ვარ, რამეთუ კაცად მყოფი და არაწმიდათა ბაგეთა მქონებელი საშუალ ერისა, არაწმიდათ ბაგეთა მქონებელისა, მკუდრ ვარ მე მეუფე უფალი საბაოთ ვიხილე თვალითა ჩემითა. და მოივლინა ჩემდამო ერთი სერაფიმთაგანი და კელსა შინა აქუნდა ნაკვერცხალი, რომელი მარწუხითა მოილო საკურთხეველისაგან. და შეახო პირსა ჩემსა და თქვა: აჰა, შევახე ესე ბაგეთა შენთა და მოგისპნეს უშჯულოებანი შენნი, და ცოდვანი შენნი განწმიდნეს“ - ესაია, თ. 5-7.



წყაროს „წმინდა მამათა თხზულებანში“ და „შესაფერისი საისტორიო ნაწარმოების“ დასახელებისას.

„მარწუხის“ დასაწყისში მოცემულია საეკლესიო კრებების ცხრილი, სადაც მითითებულია, რომელი კრება როდის, სად ჩატარდა, ვინ იყვნენ „კელმწიფენი“, პაპები, პატრიარქები, რომელი მწვალებლობის წინააღმდეგ იყო კრება მოწვეული, რამდენი მამა ესწრებოდა, რამდენი კანონი იქნა მიღებული<sup>44</sup>.

„მარწუხი“ შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით: **A-118**, გადაწერილი XVIII საუკუნეში ვინმე „კვსირის“<sup>45</sup> მიერ. გაურკვეველია, გადამწერის ვინაობა. გარეჯში მოღვაწეობდა მამა პორფირი, გაბრიელ მცირის მოწაფე, რომელიც იყო ცნობილი გადამწერი, მას გადაუწერია არაერთი თხზულება<sup>46</sup>; **A-120** გადაწერილია XVIII საუკუნეში, ზუსტი თარიღი უცნობია, გარეჯელი მამის, ქრისტეფორეს მიერ, მასვე გადაუწერია „მარწუხი“ **A-870**, 1773 წელს, დასახელებული ხელნაწერი, მინაწერის მიხედვით, ეკუთვნოდა რუისის ეკლესიას. უცნობია, დაკვეთით გადაწერა, თუ საჭიროდ ჩათვალა მისი მეორედ გადაწერა; **S-189**, ხელნაწერი გადაუწერია დავით რექტორს, 1810 წელს, ამას ადასტურებს ხელნაწერის მინაწერი<sup>47</sup>; **S-1099** გადაწერილია

<sup>44</sup> ტიმოთეს მიხედვით (A-120, 5v): **I კრება - ნიკეას I კრება** (ავტორი ნიკეას ნაცვლად მიუთითებს „ნიკეას“) - ჩატარებულა 318 წ-ს (ტიმოთე გაბაშვილი დასახელებულ თხზულებაში პირველი საეკლესიო კრების თარიღად ასახელებს 318 წელს 325 წლის ნაცვლად), კელმწიფე იყო „დიდი კოსტანტინე“, პაპები - სილიბისტრო, პატრიარქები - მიტროფანე კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - არიოსი, მამები - 318, კანონი - 20; **II კრება - კოსტანტინეპოლის I - 381 წელს**, კელმწიფე იყო „დიდი თეოდოსი“, პაპები - დამასოს პარონა, პატრიარქები - გრიგოლ ღვთისმეტყველი, მწვალებლობა - მაკედონიოსი, მამები - 150, კანონი - 7; **III კრება - ეფესოს - 431 წელს**, კელმწიფე იყო „მცირე თეოდოსი“, პაპები - კელესტინოს ეპისტროპე პაპა, პატრიარქები - კირილე ალექსანდრიელი, მწვალებლობა - ნისტორიოს, მამები - 230, კანონი - 8; **IV კრება - ხალკიდონისა - 451 წელს**, კელმწიფე იყო „მარკიანოს“, პაპები - „ლეონ პასხაშიონ ლუკიანოსი“, პატრიარქები - ანატოლიოს კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - დიოსკურე, მამები - 630, კანონი - 30; **V კრება - კოსტანტინოპოლისა II - 553 წელს**, კელმწიფე იყო „დიდი იუსტინიანოსი“, პაპები - ვირგილიოს პარონა, პატრიარქები - ევტიქი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - არიოსიორიგენი, მამები - 165, კანონი - არ აქვს მითითებული; **VI კრება - კოსტანტინოპოლისა III - 681 წელს**, კელმწიფე იყო „კოსტანტინე კოსტანტინეპოლელი“, პაპები - ალაონ, თეოდოროს, გიორგოს, პატრიარქები - გიორგი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - ონორი, მამები - 170, კანონი - არ აქვს მითითებული; **VII კრება - ნიკეასი II - 787 წელს**, კელმწიფე იყო „კოსტანტინე და ირინე“, პაპები - ანდრიანოს პეტროსპოლელი, პატრიარქები - ტარასი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - ხატმებრძოლობა, მამები - 376, კანონი - 22.

<sup>45</sup> A-118, 86r: „განსრულდა ძალითა ღვთისათა კელითა ცოდვილის მღვდლის კვსირისათა“.

<sup>46</sup> H-2436, საგალობლებისა და ლოცვების კრებული, 1794 წ; H-1433, იოანე ნათლისმცემელის სავედრებელი და პარაკლისი, 1795 წ; H-902, „გვირგვინი“ 1795 წ.

<sup>47</sup> S-189, 237r: „ადვჰსჰწერე მარწუხი ესე შუცდათა მსოფლიოთა კრებათა და კუალად ათთა ადგილობითა კრებათა ცნობანი კეთილშობილმან ალექსოვმან ალექსის ძემან, სიბრძნის მოყუარემან და სრულიად კახეთის რექტორმან დავითმან; რაც ოდენ ძალ-მედეა, მის-მის ადგილს გასწორებას ვეცადე. დია ავი

XVIII საუკუნეში, ზუსტი თარიღი და გადამწერი უცნობია; S-1590, არის კრებულის ნაწილი, გადაწერილი XIX საუკუნეში, უცნობია გადამწერი და გადაწერის ადგილი. შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ, მინაწერის მიხედვით ხელნაწერი უნდა ყოფილიყო როსტომ დარჩიევის საკუთრება<sup>48</sup>.

2. ამავე პერიოდს განეკუთვნება ანტიკათოლიკური შინაარსის კიდევ ერთი ნაწარმოები „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისგან“<sup>49</sup>. თხზულება შედგება სამი თავისგან: 1. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკკლესიისა; 2. მეფობასა კოსტანტინესა და დედის მისისა ირინესა<sup>50</sup>; 3. კუალად მათთვისვე ლათინთა წულაებათათვის. ხელნაწერ ფონდში შემორჩენილია ხელნაწერის ოთხი ნუსხა: Q-52, S-1596, A-1132, H-1000. არც ერთ ხელნაწერში არ არის მითითებული თხზულების ავტორი, არც ის არის ცნობილი, ორიგინალურია თუ ნათარგმნი, სავარაუდოდ მიიჩნევა, ის რუსულიდან უნდა თარგმნილიყო.

1. Q-52 წარმოდგენილია ცალკე წიგნად. შესრულებულია ნუსხური დამწერლობით. ხელნაწერი XVIII საუკუნით თარიღდება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოსულია მარტვილის წიგნთსაცავიდან. 42v-ზე აქვს ერთი მინაწერი მხედრულად: „რომანოზისა ვარ.“ იქვე სხვა ხელით მიწერილია: „აღარ ვარ რომანოზის, მის მიერ მიღებული ვარ ანტონი არხიმანდრიტისადმი 1830 წელს სექტემბრის 10“ ძნელი გასარკვევია, რომელ რომანოზზეა აქ საუბარი. რომანოზ გიორგის ძე ერისთავი იყო გარეჯის მონასტრის, კერძოდ იოანე ნათლისმცემლის მონასტრის, ბერი, რომელმაც გარკვეული პერიოდი მოსკოვშიც გაატარა და, როგორც თ. ჟორდანიას აღნიშნავს „ქრონიკებში“, მას მოსკოვიდან წიგნებიც კი გამოუგზავნია. ის გარდაცვლილა საქართველოში, გარეჯში და იქვეა დაკრძალული, ამას ადასტურებს A-150 ერთ-ერთი მინაწერი. რომანოზს 1712 წელს გადაუწერია ფსალმუნნიც - A-914. თუ ვივარაუდებთ, რომ დასახელებული ანტიკათოლიკური თხზულება ნათარგმნია

---

დედანი მქონდა და უმეცრის მწერლისაგან უკანონოდ აღწერილი. დღუჴსა დეკემბერსა, რიცხუსა კ; ქრისტეს აქეთ წელსა 1810; ქ კს უჴჴ. რექტორი დავით (ჩართულად)“.

<sup>48</sup>S-1590, ქვედა საცავი ფურცლის v: „წიგნთა შორის როსტომ დარჩიევისა“.

<sup>49</sup> თხზულება იხილეთ: დანართი 4.

<sup>50</sup> იგულისხმება კოსტანტინე VI, ბიზანტიის იმპერატორი 780-797 წლებში. იგი ტახტზე ავიდა 9 წლის ასაკში, ამიტომ რეალურად ბიზანტიის იმპერიას მართავდა მისი დედა ირინე. 797 წელს ბულგარელებთან მარცხის შემდგომ დედის, ირინეს, ბრძანებით ის შეიპყრეს, დააპატიმრეს და დააბრმავეს. გარდაიცვალა დაპატიმრებიდან მალევე 805 წლამდე, ზუსტი თარიღი უცნობია.

რუსულიდან, ადვილი შესაძლებელია მისი მთარგმნელი რომანოზ ერისთავი იყოს. რაც შეეხება ანტონ არქიმანდრიტს, ასეთი ბერი ნახსენებია 1768 წლით დათარიღებული სადღესასწაულოს, A-104, მინაწერში, რომელსაც გარეჯიდან უთხოვნია ხელნაწერი, როცა იერუსალიმში გაემგზავრა. ძნელია მინაწერში დასახელებული პირების იდენტიფიცირება, მაგრამ ფაქტია, გარეჯში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა რომანოზიც და ანტონ არქიმანდრიტიც.

2. **S-1596** არის პოლემიკური, ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებების შემცველი კრებული, ახალი რესტავრირებულია. გადამწერი უცნობია; არ არის მითითებული ხელნაწერის გადაწერის ადგილი და გადაწერის თარიღი, ხელნაწერი პალეოგრაფიული მონაცემებით შეიძლება დათარიღდეს XVIII საუკუნით; ის შესრულებულია მხედრული დამწერლობით და ერთი ხელით. კრებული შედგება ორი თხზულებისგან, ორივე ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებაა: 1. სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაღ არს ჩუენგან მათი განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა, რომელი იქმნა კათოლიკოზ წმიდა და სამეუფოსა საყდარსა ზედა მცხეთას, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გვრდემლი (გვ. 1-235); 2. რომისა განდგომისათჳს, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმიდისაგან ეკლესიისა (გვ. 238-267). ტექსტს ახლავს ბიბლიური ხასიათის თხრობა შესრულებული სხვა ხელით (გვ. 267-270).

3. **A-1132**, დოგმატიკურ-პოლემიკური შინაარსის კრებული. ხელნაწერის გადაწერის ადგილი და გადაწერის თარიღი უცნობია, პალეოგრაფიული მონაცემებით თარიღდება XVIII საუკუნით; ხელნაწერი შესრულებულია ერთი ხელით, რამდენიმე ფურცელზე აქვს თ. ჟორდანიას ხელით შესრულებული მინაწერი. კრებული ახალი რესტავრირებულია, მას აკლია ცალკეული ფურცლები. კრებულში დასახელებული თხზულების სამი თავი ცალკე თხზულებებადაა შესული და სამივე ნაკლულია: 1. რომის განდგომისათჳს, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკლესიისა (70r-72v). კრებულში იგი შესულია 35 თავად. მას აკლია მონაკვეთი: „და სიმართლისათვის მოძღვრებანი... [კა]ცადსა გვესმის თვისი ენა იტყვიან“; 2. მეფობასა კოსტანტინესსა და დედის მისისა ირინესსა

(72v-76v). კრებულში ეს ნაწილი შესულია 36 თავად. მას აკლია მონაკვეთი: „და ევტუქისა და იწყეს მოქცევად... [მო]იხსენონ მოსახსენებელთა შინა წმიდათა“; 3. კუალად მათთვისვე ლათინთა წულალებათათჳს (76v-80v). კრებულში ეს თავი შესულია 37 თავად. ის ბოლონაკლულია და წყდება: „ყოველივე ოთხითა: ცეცხლითა, წყლითა, მიწითა და ჰაერითა და ეგრეთვე...“.

4. **H-1000**, XVIII საუკუნის დოგმატურ-პოლემიკური შინაარსის კრებული. უცნობია ხელნაწერის გადაწერის ადგილი და თარიღი, პალეოგრაფიული მონაცემებით აღმწერი ლილი ქუთათელაძე ხელნაწერს ათარიღებს XVIII საუკუნით. ხელნაწერი შესრულებულია მხედრული დამწერლობით. ხელნაწერის მინაწერის (188r) მიხედვით, ხელნაწერი ეკუთვნოდა დეკანოზ იოანე აბაშიძეს, იგი უკანასკნელი მფლობელისთვის უჩუქებია სვიმონ გოდაბრელიძეს: „წიგნი ესე ეკუთვნის დეკანოზს იოანე აბაშიძეს, რომელიც მაჩუქა აზნაურმა სვიმონ გლახუას ძე გოდაბრელიძემ“, ის, რომ ხელნაწერი ეკუთვნოდა იოანე აბაშიძეს, ადასტურებს 85v-ზე ქვედა მარჯვენა კუთხეში დასმული ოთხკუთხა ბეჭედი, რომელშიც ასომთავრულად წერია „იოანე“. ამავე ხელნაწერში 27 თავად შესულია ევსტრატი ნიკიელის თხზულებაც „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი, და რაღსა საღმრთოსა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ (92r-101r).

ამ ნუსხაშიც, როგორც A-1132-ში, თხზულების სამივე თავი შეტანილია როგორც სხვადასხვა თხზულება. 1. ჰრომის განდგომისათჳს, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკლესიისა (162r-169v). კრებულში იგი შესულია 47 თავად; 2. მეფობასა კოსტანტინესსა და დედისა მისისა ირინასსა (169v-178v). კრებულში შესულია 48 თავად; 3. კუალად მათთვისვე, ლათინთა წულალებათათჳს (179r-188r). კრებულში შესულია 49 თავად.

5. **H-294**, თხზულება დაცულია არჩილ მეფის ბრძანებით ბაგრატ სოლაღაშვილის მიერ თარგმნილი „ხრონოღრაფის“ ერთ ნუსხაში. თარიღდება XVIII საუკუნით. თხზულება ერთვის „ხრონოღრაფს“ 275r-283v. ის არ არის ცალკე რედაქცია და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მისდევს ზემოთჩამოთვლილ ნუსხებს. ამ თხზულებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი „ფერარას კრებას“, რაც ქვემოთ გვაქვს აღნიშნული.

3. ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც აღწერილია ფლორენცია-ფერარას კრება, რომელიც ე.წ. მერვე საეკლესიო კრებად იწოდება<sup>51</sup> და თავისი არსით უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქრისტიანული სამყაროსთვის. ეს თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსის, ის კრების დეტალურ აღწერას წარმოადგენს და სულთან მურადის, ბიზანტიის იმპერატორის იოანე პალეოლოღოსის და რომის პაპის ევგენი IV-ის პერიოდს ასახავს, როცა ბიზანტია ცდილობდა ოსმალური აგრესიის, მოსალოდნელი საფრთხის აცილებას და მართლმადიდებელი სამყაროს უმნიშვნელოვანესი ცენტრისა და ბიზანტიის სამეფოს გადარჩენას დასავლეთ ევროპისა და, მათ შორის, ვატიკანის დახმარებით. ხელნაწერის შინაარსობრივი ფორმატის მიუხედავად, არსობრივად, თემატურად და იდეოლოგიურად ის ახლოსაა ანტიკათოლიკურად განწყობილ ლიტერატორებთან. როგორც ცნობილია, ეს კრება ჩატარდა 1438-39 წლებში ფერარაში, 1439-1442 წლებში ფლორენციაში და დასრულდა რომში 1442-1445 წლებში. შემორჩენილია ხელნაწერის ორი ნუსხა:<sup>52</sup> 1. A-1443 და 2. Q-1391. ორივე ხელნაწერი თარიღდება XVIII საუკუნით. A-1443 დასათაურებულია „კრება ფლორენციისა“<sup>53</sup>, ხოლო Q-1391 – „ფლორენციის 1439 წლის კრების ისტორია“. ხელნაწერები წარმოადგენს ცალკე თხზულებას, ისინი არ არის რომელიმე კრებულის ნაწილი, ორივე ხელნაწერი შესრულებულია მხედრული დამწერლობით. თხზულების ავტორი ან ჩამწერი<sup>54</sup> უნდა იყოს ვინმე ევგენიოსი: *„სახელითა წმიდისა, დაუსრულებელისა სამებისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ და წმინდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევგენიოს, მონა ღვთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს, დიდსა ღმერთსა ჭეშმარიტად ვმადლობდეთ“*<sup>55</sup>. გაურკვეველია, ეს ვინმე „ევგენიოსი“ ესწრებოდა კრებას, თუ შემდეგ მონათხრობის ან

<sup>51</sup>მერვე საეკლესიო კრებას უწოდებს „ფერარა-ფლორენციის კრებას“ ბესარიონ ორბელიშვილიც „გრდემლში“ A-119, 12v: *„მაშინ შეკრბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრებაჲ ფლორენციას და უწოდეს მერვედ კრებაჲდ“*, თუმცა ხელნაწერში S-3269 მსგავსი არაფერია, ამიტომ შესაძლოა, ფერარა-ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებას უწოდებს A-119 გადამწერი ტიმოთე გაბაშვილი და სულაც არ არის ავტორის, ბესარიონ ორბელიშვილის მოსაზრება.

<sup>52</sup> თხზულება იხილეთ: დანართი 5.

<sup>53</sup> A-1443, 1r, ხელნაწერში სათაური დაწერილია ხელრთვით.

<sup>54</sup> ასე მიუთითებს Q-1391-ის აღმწერი მიხეილ ქავთარია.

<sup>55</sup> A-1443, 3v; *„მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, და ორისავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ, და წმიდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევგენოს, მონა ღმერთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს, დიდსა ღმერთსა ჭეშმარიტად ვმადლობდეთ“* იგივე მინაწერია ხელნაწერში Q-1391, 6v.

წყაროების საფუძველზე აღწერა კრების მიმდინარეობა. ტექსტი უნდა იყოს თარგმნილი ბერძნულიდან მოგვიანებით, რადგან ორივე ხელნაწერში კონსტანტინეპოლი მოხსენიებულია ს ტ ა მ ბ ო ლ ა დ : „ვიდრე ვენედიკამდის და შეწევნასაც, ვიდრემდის სტამბოლსა მიბრძანდეთ“ [Q-1391, 51v; A-1443, 8v]. ეს კი 1453 წლამდე შეუძლებელი იყო, ოფიციალურად სახელიც ქალაქისთვის კონსტანტინეპოლის დაცემისთანავე არ შეუცვლიათ, ამდენად თხზულება უფრო მოგვიანებით უნდა თარგმნილიყო.

A-1443 ხელნაწერი სრულყოფილია, მინაწერის მიხედვით ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსიევს: „წიგნი ესე ეკუთვნის კოლლეუსკი სეკრეტარს იერონიმე ალექსიევს“ [A-1443, 1r]. ხელნაწერის ყდაზე არის მინაწერი: „არქიმანდრიტის ტარასისა, პაპიჩემის ნაწერი მე მეკუთვნის“ [A-1443, ხელნაწერის ყდა]. ამ მინაწერიდან გამომდინარე, ხელნაწერი ეკუთვნოდა ტარასი არქიმანდრიტის შვილიშვილს. ტარასი იყო ცნობილი მწიგნობრების ოჯახიდან, მათ შორის იყვნენ დიდი მწიგნობრები ალექსი მესხიშვილი და თელავის აკადემიის რექტორი დავითი.

ხელნაწერს აქვს სხვა მინაწერიც: „ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კონსტანტინეს საფლავზე, რომელიცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კონსტანტინეპოლისა მასწავლელმან. პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე დათრგუნოს ნათესავი პალეოლოღოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და იმეფოს იმან გარეთ ნათესავნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ჭალაკნი აღაოკროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დაღმატელნი და ებრძოლნენ დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი გამრავლდეს ზღვასა ზედან და კმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედ ჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ის შვიდნი სამთავრონი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად დიდ-დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და ჰმა ისმეს სამგზის: „დეგით, დეგით შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენერი, საკვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას რა მიიღებთ ნებასა ჩემსა იქმთ.

ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოღოსა, რომელნი თარგმნა ბერძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა“ [A-1443, 10v]. ტექსტი შეიცავს იმ შედეგების შეხსენებას ან ერთგვარ გაფრთხილებას, რაც მოჰყვებოდა თურქთა მოსალოდნელ ექსპანსიას.

ხელნაწერის 1r-ზე არის შვიდი საეკლესიო კრების ცხრილი, თუ სად, როდის ჩატარდა კრება, ვინ იყო ხელმწიფე, პაპი, პატრიარქები, რომელი მწვალებლობის წინააღმდეგ იყო კრება მოწვეული, რამდენი მამა ესწრებოდა და რამდენი კანონი იქნა მიღებული<sup>56</sup>. ცხრილში არის გარკვეული უზუსტობა მსოფლიო კრებების თარიღებთან დაკავშირებით. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მსოფლიო კრებების ცხრილი მითითებულია „მარწუხშიც“, მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა კრების ჩატარების თარიღებთან დაკავშირებით.

ხელნაწერი Q-1391 თავ-ბოლო ნაკლულია. ხელნაწერის ის ნაწილი, სადაც საუბარია კრების დაწყებასა და ფინალურ ნაწილზე, დაკარგულია. დასახელებული ხელნაწერის შემორჩენილ ნაწილში არაფერია ნათქვამი მთარგმნელზე, გადამწერსა და გადაწერის ადგილზე.

<sup>56</sup>ხელნაწერის მიხედვით (A-1443, 1r): **I კრება - ნიკიას I კრება** - ჩატარებულა 318 წელს, კელმწიფე იყო „დიდი კოსტანტინე“, პაპები - სილობისტროს ვიზონვიკენტოს, პატრიარქები - მიტროფანე კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - არიოსი, მამები - 318, კანონი - 20; **II კრება - კოსტანტინეპოლის I - 362 წელს**, კელმწიფე იყო „დიდი თეოდოსი“, პაპები - დამასოს პარონა, პატრიარქები - გრიგოლ ღვთიმეტყუშლი, მწვალებლობა - მაკედონიოსი, მამები - 150, კანონი - 7; **III კრება - ეფესოს - 422 წელს**, კელმწიფე იყო „მცირე თეოდოსი“, პაპები - კელესტინოს ეპიტროპე პაპა, პატრიარქები - კირილე ალექსანდრიელი, მწვალებლობა - ნისტორიოს, მამები - 230, კანონი - 8; **IV კრება - ხალკიდონისა - 425 წელს**, კელმწიფე იყო „მარკიანოს“, პაპები - „ლეონ პასხაშინოს ლუკიანოს“, პატრიარქები - ანატოლიოს კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - დიოსკურე, მამები - 630, კანონი - 30; **V კრება - კოსტანტინოპოლისა II - 527 წ-ს**, კელმწიფე იყო „დიდი იუსტინიანოს“, პაპები - ვირგილიოს პარონა, პატრიარქები - ევტიქი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - ორიგენი, მამები - 165, კანონი - არ აქვს მითითებული; **VI კრება - კოსტანტინოპოლისა III - 646 წელს**, კელმწიფე იყო „კოსტანტინე პოდანატოს“, პაპები - ალათონ, თეოდოროს, გიორგიოს, პატრიარქები - გიორგი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - ონორი, მამები - 170, კანონი - არ აქვს მითითებული; **VII კრება - ნიკიასი II - 771 წელს**, კელმწიფე იყო „კოსტანტინე და ირინე“, პაპები - „ანდრიანოს პეტროს-პეტროს“, პატრიარქები - ტარასი კოსტანტინეპოლელი, მწვალებლობა - ხატმებრძოლნი, მამები - 367, კანონი - 22. ეს არ არის ზემოთ, გვ. 132, კერძოდ, „მარწუხში“ [A-120] მოყვანილი თარიღების განმეორება, რადგან „მარწუხში“ მითითებული თარიღებიდან ემთხვევა მხოლოდ პირველი საეკლესიო კრების თარიღი, 318 წ.

4. ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“<sup>57</sup> - ვრცელი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულება, მიმართული მონოფიზიტთა, კერძოდ, სომეხ მწვალებელთა წინააღმდეგ. შემონახულია „მზამეტყველების“ ხუთი ნუსხა: **A-279**, გადაწერილი ანჩისხატში 1799 წელს გაბრიელ კანდელაკის მიერ. ეს ის ნუსხაა, რომელის მიხედვით გამოსცა პოლიევქტოს კარბელაშვილმა თხზულება 1892 წელს. ამას ადასტურებს მინაწერი ხელნაწერზე: „ამაზედ მეტი არა არის რა ჩემთან ამ კვლნაწერისა. მღ. პ. კარბელაშვილი 28 მარტი, 1889 წ.“ [154r]; **A-1324**, ხელნაწერი თარიღდება 1750-1752 წლებით, გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ხელნაწერი არასრულია, აკლია ბოლო ნაწილი და დასაწყისში გვ. 7-32; **H-67**, თარიღდება XIX საუკუნით; **S-3653**, გადაწერილია 1822 წელს; **S-4802** თარიღდება XVIII საუკუნით. „მზამეტყველების“ მე-3 თავში ცალკე, მე-17 ნაწილად, არის გამოყოფილი „ლათინთა მიმართ, რომელ არიან პაპისტნი, წინაგანწყობაჲ, თუ რადსათჳს ერთი სასუმელისაგან საღმრთოისა არა მისცემენ უკვდავსა სისხლსა სიტყვსა განკორციელებულისასა“. „მზამეტყველებაში“ ანტონი არგუმენტაციისთვის წმინდა წერილებიდან იყენებს იმავე თავებს, რომელსაც ბესარიონ ორბელიშვილი. ძირითადად ეს შეეხება წმინდა ზიარების საიდუმლოს: **ანტონი**: „მიიღეთ და ჰსჭამეთ ესე არს კორცი ჩემი, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა, და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰთქუა: ჰსუთ ამისგან ყოველთა ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“ (მათე 26, 26-28), [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი**: „მიიღეთ და ჰამეთ ესე არს კორცი ჩუენი თქუენტჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა, მერმე მოიღო სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“ (მათე 26, 26) [A-119, 148r]; **ანტონი**: „მოვედით და ჰამეთ პური ჩემი და სუთ ღვინოჲ, რომელი განგიმზადეთ თქვენ“ (წიგნი იგავთა 9,1), [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი**: „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუღმე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი და დაუკლა თვისი იგი საკლველი და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ღვინოჲ და განუმზადა თვისი იგი ტაბლა და წარავლინნა თვისნი მონანი მოწოდებად მაღლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და ჰქუა: მოვედით, და ჰამეთ პური ჩუენი და სუთ ღვინო, რომელი განგიმზადე და დაუტევეთ უგუნურებაჲ და სცხონდეთ“ (წიგნი იგავთა 9,1) [A-119, 144v]; **ანტონი**: „უკეთუ არა

<sup>57</sup> გამოცემულია თბილისში 1892 წ. ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით და პ. კარბელაშვილის რედაქტორობით.



ჰსჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქვენთა; ხოლო რომელი ჰსჭამდეს ჯორცსა ჩემსა იგი ჩემთა დადგრომილ-არს და მე მისთანა“ (იოანე 6,53-56) [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი:** „ამენ, ამენ გეტყუ თქუნენ: უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუნენთა, ხოლო რომელი ჰამდეს ჯორცსა ჩუნენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუნენსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო და მე აღვადგინო უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჯორცი ჩუნენი ჰემმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჰემმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჰამდეს ჯორცსა ჩუნენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუნენსა, იგი ჩემთა დადგრომილ არს, და მე მისთა“ (იოანე 6, 53) [A-119, 148v]; **ანტონი:** „გამოლა-იცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასუმელისა მისგანი ჰსუნ“ (1 კორინთელთა, 11, 28) [მზამეტყველება. გვ. 524], **ბესარიონი:** „გამო-ლა-იცადენო კაცად კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჰამეონ და სასუმელისა მისგანი სუნ“ (I კორინთელთა, 11, 27). [A-119, 154r].

5. შვიდ საეკლესიო კრებასა და ფლორენციის კრებაზეა საუბარი **იოანე ბატონიშვილის** „კალმასობაში“, ანუ როგორც თავად უწოდებს „ხუმარსწავლში“. თხზულება ენციკლოპედიური შინაარსისაა და დაიწერა პეტერბურგში 1813-1828 წლებში. „კალმასობა“ შემორჩენილია რამდენიმე ხელნაწერით [H-2134, H-2153, H-2170, S-5374, Q-577, Q-722]. ის აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ 1861 წელს და მომდევნო წელს (1862 წ.) გამოსცა მისი შემოკლებული ვარიანტი. შემდეგ გამოიცა რამდენჯერმე: ალ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის რედაქტორობით სამ წიგნად 1936-1948 წლებში, გ. დედაბრიშვილის მიერ 1974 წელს (თხზულების ფილოსოფიური ნაწილი), ც. კახაბრიშვილისა და ც. კიკვიძის მიერ ორ წიგნად 1990-1991 წლებში. დასახელებულ თხზულებაში მოკლედაა საუბარი შვიდ საეკლესიო და ფლორენციის კრებაზე კითხვა-მიგებითი ფორმით.

6. ფლორენციის კრებაზეა საუბარი კიდევ ერთ ნათარგმნ ისტორიულ თხზულებაში „**ხრონოღრაფი დასაბამითგან სოფლისა კოსტანტინე პალეოლოღ მეფემდე**“, რომელიც ბერძნულიდან უთარმნია სოლალაშვილ ბაგრატს იმერეთის მეფის არჩილ II-ეს ბრძანებით XVIII საუკუნეში, მოსკოვში. „ხრონოღრაფი“ 250 თავისგან შედგება. ბაგრატს მოუსწრია მხოლოდ დასაწყისის თარგმნა იმპერატორ ფეოდოსიოს II-ის დრომდე (408-450 წწ), შემდეგ მისი თარგმნა გაუგრძელებია მეფე

არჩილს, რადგან ბაგრატი შვედებთან ომში გაუგზავნია, სადაც ტყვედ ჩავარნილა: „ესე წიგნი ხონოლოგი აღწერა ბრძანებით არჩილისათა, ქალაქსა შინა სამეფოსა მოსკოვს, სოლოდაშვილმან ბაგრატიოს მთაწმინდელმან ბერძნულისა ენისაგან ენასა ზედა ჩუენ ქართველთსა და, ოდეს ბრძოლასა შინა რუსეთის კელმწიფისა და შვეთის კორელისასა დაირჩინეს მეფის შვილი ალექსანდრე, ესე ბაგრატიოს მღვდელმონაზონი წარუგზავნა სტოკოლონს შვილსა თვისსა ალექსანდრეს, ქორონიკონსა დასაბამითგან კსიდ და ვიდრე ამას ქორონიკონამდე, რომელ მეფის შვილი ალექსანდრე არის მუნ, გარდასულ იყო ექვსი წელი, და ვინათგან იგი ბაგრატიოზ წარუგზავნა არღარა უდებ იქმნა მეფე ესე არჩილ და ამას ქვემოთისა თვით იწყო გარდმოთარგმნად და აღწერად რუსთა ენისაგან ჩუენტა ენასა ზედა“ [ქართულ ხელნაწერთ აღწერილობა, H ფონდი, I, №294, ხელნაწერის ანდერძი, 1946:216]. შემორჩენილია ხელნაწერის რამდენიმე ნუსხა [A-1092, S-125, 314, 1177, 1216, 1292, 1377, 2913; H-166, 294, 1198, 1358, 2214, 2252, Q-503 და სხვა], მაგრამ თ. ენუქიძე მიიჩნევს, რომ „დღემდის ცნობილ ნუსხათა შორის“ უძველესი უნდა იყოს სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინტიტუტის კოლექციაში დაცული M-22 „გადაწერილი მოსკოვს 1738 წელს“ [ხელნაწერთ აღწერილობა, S ფონდი, I, №314, 1959:376] რომელიც აღწერა რუსუდან ორბელმა. ის მიიჩნევს, რომ არჩილ მეფეს „ხონოლოგი“ უთარგმნია რუსულიდან, ანუ მისი თარგმანი წარმოადგენს მეორეულ თარგმანს ბერძნულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად. ხელნაწერი შედგება 495 ფურცლისგან, ფლორენციის კრება მოიცავს 459r-494r ფურცლებს. ის წარმოადგენს კრების აღწერას და არაფერია ნათქვამი იმ თეოლოგიურ საკითხებზე, რაზეც მიმდინარეობდა მსჯელობა დასახელებულ კრებაზე.

7. ფლორენციის კრება წარმოადგენდა ეპოქალურ მოვლენას, რომლის შედეგები შემდგომ აისახა ქრისტიანი ერების, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქრისტიანული სახელმწიფოების მომავალსა და პერსპექტივაზე, მათ შორის საქართველოზეც. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლიც“, როგორც თვითონაც ამბობს, წარმოადგენს „სიტყვისგებას“ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე: „ამათ ყოველთათვის სიტყვისგებათ თითოეულად ქუჭმორე ურცელესად აღგუწერიეს, რომელი ცხადად საცნაურ ჰყოფს ყოველსავე“ [S-3269, 33r].<sup>58</sup>

<sup>58</sup> იტ ეს ფრაზა არ არის ხელნაწერში A-119.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერები მხოლოდ კრების დეტალურ აღწერას წარმოადგენს და არაფერია ნათქვამი მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მხოლოდ აღნიშნულია, რომ „*არა შეერთდენ ეკლესიისანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქმნა განყოფილება ურთიერთას*“ [A-1443, 10r]. ზემოთ ითქვა, რომ ფლორენციის კრების აქტების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, ბესარიონი კი აღნიშნავს: „*ოდეს მეფს იგი ბერძენთა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა წარვიდა, ეს იტალიას დასავლეთისა მოფთა და პაპსა, რაითა თანა შემ(12v)წე ეყვნეს მტერთა ზედა, ხოლო მათ ღქუეს, რაითა სარწმუნოებაჲ პირველი უარყონ და აღიარონ სარწმუნოებაჲ მათი და მაშინლა შეეწივნენ მტერთა ზედა.*

*ხოლო ბერძენთა არა თავს იდვეს ესე, არამედ აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრე იოტა ერთი არა რქაჲ ერთი სარწმუნოებისაგან მამათა მიერ მოცემულსა შეცვალებაჲდ და დაკლებაჲდ ანუ შემატებაჲდ და ესრეთ განიყარნეს და განეშორნეს ურთიერთარს ბერძენნი და ჰრომნი, ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაქსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლულიოდ, ხოლო ჩუენ ნებსით არა აღვსწერეთ, რაითა არა სიმრავლე წერილისა იქმნას.*

*მაშინ შეკრიბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრებაჲ ფლორენციას და უწოდეს მერვედ კრებაჲდ და დაკსნეს წესნი და კანონნი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებაჲთ, ეგრეთ დაამტკიცეს*“ [A-119, 12r-v].

რომელი წყაროს საფუძველზე დაწერა ესოდენ ვრცელი ტრაქტატი ბესარიონმა, რა ინფორმაციას ფლობდა ის აღნიშნულ კრებაზე, რომელ წყაროს გულისხმობდა, როცა წერდა „*ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაქსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლულიოდ, ხოლო ჩუენ ნებსით არა აღვსწერეთ, რაითა არა სიმრავლე წერილისა იქმნას*“, ვისი „ნება“ იყო ტრაქტატის შექმნა, უცნობია, ფაქტი კი ისაა, „გრდემლი“ როგორც წყარო, თუ რა შინაარსის თეოლოგიური, დოგმატური დისკუსია მიმდინარეობდა ე.წ. მერვე – ფლორენციის – კრებაზე, წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობისაა.

საიტერესოა ერთი დეტალი, ზემოთ დასახელებულ ყველა ანტიკათოლიკურ პოლემიკურ თხზულებას ახასიათებს თხრობის სტრუქტურული აგების მსგავსება:

იწყება ზოგადი შესავლით, კათოლიციზმის ეპითეტური დახასიათებით, გრძელდება ისტორიული მიმოხილვით და სრულდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების საღვთისმეტყველო-დოგმატური განსხვავებების მიმოხილვით. ასევე, ამ თხზულებებს ახასიათებთ ეპითეტური მეტყველების იდენტობა: ხშირად იხმარება „გუელი, ვეშაპი“, და ა.შ; საინტერესოა თხზულებების შესავალი, მაგალითად ბესარიონ ორბელიშვილი „გრდემლის“ შესავალში წერს: *„ესე შემურდა მტერსა ბოროტსა და შეუკდა გულსა და ეზრახა გუჭლისა მიერ და რაითაცა თვით დაცემულ იყო ამპარტავნებითა, იგიცა განმღრთობისა ქადაგებითა აცთუნა და გამოკადა სამოთხისაგან საშუშბელისა და დაემკვიდრა ადამ ჭირმრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა და უკვდავებისა წილ მოკვდავი იქმნა. და ზეცას აღვსლისა წილ მიქცა“* [A-119,4v]. პოლემიკური თხზულების „განდგომილებისათვის რომისა“ შესავალში წერია: *„და მერმე გუჭლისა მიერ დედაკაცსა მას ევას, რათა ვერ აგრძნას ადამ მანქანებითი იგი იხილა ეშმაკისა ბოროტ ბრძნისა და მტერისა და პირითა მეუღლისა მისისათა ეზრახა ადამს, რათა კეთილად აღუჩინოს ნაყოფი სიკუდილისა და დაკლება სამოთხისა მის ფუფუნებისა და შუშბა ანგელოსთა თანა და ვითარმედ მეგობრისაცა სიტყუა სარწმუნო არს და ოდეს ისერეს კეთილ აღჩენილი იგი ბოროტი მტერისა მიერ ბოროტისა, მესყულად გამოაძო ღმერთმან სამოთხისა მისგან საწადელისა ჭენებითა ანგელოსისათა“* [Q-92, 1v]. „გრდემლში“ ვრცლადაა საუბარი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში დოგმატურ და საღვთისმსახურო საკითხებზე, „მზამეტყველებაში“ ტექსტის სიმცირის გამო უფრო მიმოხილვითი ხასიათი აქვს, ხოლო „განდგომილებისათვის რომისა“ ეს განსხვავება გადმოცემულია კითხვა-მიგების ფორმით, კერძოდ, ვინმე პანალიოსისა და აზიმიტის დიალოგით. ყველა ავტორი დასამოწმებლად იყენებს წმინდა მამებს: გრიგოლ ღვთისმეტყველს, ბასილი დიდს და სხვებს, ასევე ამონარიდებს წმინდა წერილიდან, ბიბლიიდან, ფსალმუნებიდან, რადგანაც ის დოგმატური საფუძველი, რაზედაც აშენდა მართლმადიდებლური ეკლესია, მიღებულია შვიდ საეკლესიო კრებაზე, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები გამყარებულია ბიბლიური შეგონებებითა და სენტენციებით. დასახელებულ პოლემიკოსთა მიზანიც სწორედ შვიდი საეკლესიო კრების, ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის ფუნდამენტური საფუძვლების ახსნა და ანალიზია.

## IV თავი

### „გრდემლის“ ტექსტოლოგიური ანალიზი

#### 1. თხზულების სტრუქტურა

ა) 1-ლი თავის ანალიზი: „გრდემლი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიპაპისტური ტრაქტატია, ამას ავტორი თხზულების შესავალში, სათაურშივე, აღნიშნავს: *„სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთაჲ მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება“*. თხრობისას ამავე თავში ბესარიონ ორბელიშვილი აკონკრეტებს, აზუსტებს პოლემიკის მიზეზს, კერძოდ, ავტორი აღნიშნავს: *„ოდეს მეფჳ იგი ბერძენთა და პატრიაქი კოსტანტინეპოლისა წარვიდეს იტალიას დასავლეთისა მყოფთა და პაპასა, რაჲთა თანა შემწე ეყვნეს მტერთა ზედა, ხოლო მათ ჰქვეს, რაჲთა სარწმუნოებაჲ პირველი უარყონ და აღიარონ სარწმუნოებაჲ მათი და მაშინლა შეეწივნენ მტერთა ზედა*.

*მაშინ შეკრიბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი დ ქმნეს კრებაჲ ფილორენციას და უწოდეს მერვედ კრებაჲდ და დაკსნეს წესნი და კანონი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებაჲთ, ეგრეთ დაამტკიცეს ...ამათ ყოველთათჳს სიტყვისგებაჲ თითოეულად ქუჭმორე უფრცელესად აღგაწერიეს, რომელი ცხადად საცნაურ ჰყოფს ყოველსავეს [A-119, 12v]* ამიტომაც ტრაქტატში სრულად არ არის განხილული თეოლოგიურ-დოგმატური სხვაობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის, რადგანაც, თხზულება არის პასუხისგება ფლორენციის კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად, ავტორი, ბესარიონ ორბელიშვილი, მიმოიხილავს მხოლოდ იმ თეოლოგიურ საკითხებს, რომლებზეც უნდა ყოფილიყო კამათი ფერარა-ფლორენციის შეკრებაზე.

ფერარა-ფლორენციის კრების შედეგები იმდენად შორეულ პერსპექტივას მოიცავდა და აისახა კიდევაც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, სოციალურ გარემოსა და პოლიტიკურ წესრიგზე, აუცილებელი გახდა მისი ახსნა და დამძიმებული, იდეოლოგიური ველისა და დამძიმებული, შემაშფოთებელი სტატისტიკური მონაცემების განეიტრალება. რადგანაც კრების სარჩული, პოლიტიკური კრიზისისა

და მიზეზის მიუხედავად, ეკლესიოლოგიური შინაარსის მსჯელობა იყო, „გრდემლში“, ევსტრატ ნიკიელის თხზულების - „მოსაქსენებელი შემოკლებული, ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი და რადსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განირჳეს“ - მსგავსად<sup>59</sup>, თხზულების დაწერის კონკრეტული მიზეზია დასახელებული და მსჯელობა დოგმატურ-თეოლოგიურ კონტექსტში მიმდინარეობს, ამიტომაც ბესარიონ ორბელიშვილი, ევსტრატ ნიკიელის მსგავსად, თხზულებაში არ მიმოიხილავს ისტორიულ ფაქტებს, ის საუბრობს მხოლოდ ორი ეკლესიის განსხვავებებსა და თავისებურებებზე. ამ ისტორიულ კონტურებსა და მიზეზებზე ზემოთ უფრო ვრცლად გვქონდა საუბარი.

ფლორენციის კრება პოლიტიკურ შინაარსს იმთავითვე ვერ ასცდებოდა, რამდენი და რაგვარი თეოლოგიური კამათიც არ უნდა გამართულიყო, რადგან საბოლოოდ მივიღეთ არა მართლმადიდებლობის გაქრობა, რღვევა, არამედ მართლმადიდებელთა წმინდა და საკრალური ღირებულების მქონე ქალაქის - კონსტანტინეპოლის - უშფოთველი გადაცემა მუსლიმი სამყაროსთვის, ამან კი გამოიწვია პოლიტიკური კონფიგურაციის გადანაწილება მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე. ბესარიონ ორბელიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესავალშივე აღნიშნავს ამას.<sup>60</sup> აქედან გამომდინარე, ფლორენციის კრება უპირობოდ იყო პოლიტიკური განცხადებებისა და გავლენებისთვის ბრძოლის ველი.

ტრაქტატი იწყება, ერთი შეხედვით, სასულიერო შინაარსის თხზულებებისა და ამ ჟანრის ავტორთათვის დამახასიათებელი სტანდარტული ფრაზით: „*მრავლით ჟამთაგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა აღებად პირისა, რამეთუ უღირსებაჲ სულისა და შიში შეუკადრებელთა შეკადრებად მიზეზ მექმნა დუმილისა,*

---

<sup>59</sup> „იყო, ოდეს მყუდროებაჲ აქუნდა ყოველსა საეკლესიოსა დაწყნარებასა და ერთისა და მხოლოისა, ყოველთა მიერ მსახურებულისა ღმრთისა სამთა გუამთა შინა აღსაარებაჲ მშუდობითა მტკიცითა და აღუმრველითა უმოხუცებულესსაგა შინა ჰრომსა და ახალსაგა, და სხუათა სოფლებთა კეთილადმსახურთასა მოქალაქობდა და წარემართებოდა, და ვითარცა კეთილადმსახური ვინმე, უფროსად საღმრთოჲ პაპად ჰრომისაჲ, საღმრთოთა შინა მოსაქსენებელთა წმიდათა პატრიარქთასა მოიქსენებოდა.

ხოლო სერგის ზე კეთილადმსახურისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლთაჲსა დაყენებულ იქმნა მოქსენებაჲ მისი არა უმიზეზოდ, არასადა, არცა ვითარ ვინ თქუას - განუნახველად, არამედ მართლიად აღსაარებულთა რათმე მიზეზთათჳს“ [რაფავა, გვ. 132-133] თხზულებაში ნახსენები სერგი II-ისა (კონსტანტინეპოლის პატრიარქი 1001-1019 წლებში) და რომის პაპის სერგი IV-ის (1009-1912 წლები) დროს უნდა დაწყებულიყო დიდი სქიზმა [ბარმინი, გვ.107].

<sup>60</sup> „ოდეს მეფეჲ იგი ბერძენთა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა წარვიდეს იტალიას დასავლეთისა მყოფთა და პაპასა, რაითა თანაშემწე ეყვნეს მტერთა ზედა, ხოლო მათ ჰქვეს, რაითა სარწმონოებაჲ პირველი უარყონ და აღიარონ სარწმუნოებაჲ მათი და მაშინდა შეეწივნენ მტერთა ზედა“ [A-119,12v]

რამეთუ არა ადვილ არს არცა უზღუდო პირველ განწმედისა შეხება სიწმიდეთა და უღირსთა მიახლებად მიუახლებელთა“ [A-119, 1r]. მსგავსი დასაწყისი აქვს არა ერთ, საერო თუ სასულიერო შინაარსის, თხზულებას.<sup>61</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ფლორენციის კრების აქტების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, ბესარიონი კი აღნიშნავს: „...ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაკსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლულიოდ, ხოლო ჩუენ ნებსით არა აღვსწერეთ, რათა არა სიმრავლე წერილისა იქმნას“ [A-119, 13r].

ბესარიონ ორბელიშვილი აკონკრეტებს კიდევაც ფლორენციის კრებაზე განხილულ იმ თეოლოგიურ საკითხებს, რომლებზეც უნდა წარმართულიყო პოლემიკა ორი ეკლესიის მამებსა და კრების მონაწილე საერო პირებს შორის: „მაშინ შეკრიბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი დ ქმნეს კრება ფლორენციას და უწოდეს მერვედ კრებად და დაკსნეს წესნი და კანონნი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდეგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებათ, ეგრეთ დაამტკიცეს.

ა - რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თუნიერ კანონისა აღამაღლნეს უმეტეს ყოველთა პატრიაქთა და ღვთის მაგიერად და მეორედ ქრისტედ აღიარეს ქუეყანასა ზედა<sup>62</sup>.

<sup>61</sup> „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ბრძნად მეტყველებად ვერცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი - ოქროჲ რჩეული“, - ვითარცა თქუა სოლომონ. რამეთუ რაჟამს ბრძენთა დუმილი ჰმატებს, მაშინ „სიბრძნე მათი გამოსავალთ ზედა იქებინ“, რამეთუ ენად მათი მეტყველებისაგან ცუდისა უტყუ არნ და ძვირის-სიტყუსა უქმ. რამეთუ მიება რად სასყიდლისაჲ საქმედ უპყრიედ მათ და ყოვლადვე ბრძნობედ სიწმიდესა სამართლით. ღირსებასა თანა და სიყვარულითა ღმრთისაჲთა გალობედ მეცნიერებით მარადის ლოცვისა შეწირვითა, ვითარცა იტყვის მოციქული - მოუკლებლად ილოცვიდეთო. არამედ აქ მე ვინაჲთგან ვერ ძალ მიც მოუკლებლად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რადმე უმჯობესად შემირაცხიეს, რათა ვიტყოდო ღირსად ცხოვრებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა...“ [ძეგლები, I, 1963:348]; იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ წერია: „იწროებაჲ უკუე გონებისაჲ და უღონობაჲ ენისა ჩემისაჲ უწყოდე. ამისთვისცა მცონოდა, ჰ, სანატრელო, კელ-ყოფად საქმეთა ძალისა უზეშთაესთა და შეკადრებად შეუვალთა, ვინაჲთგან სილაღედ და კადნიერებითა აღსავსედ ვჰგონებდ ესევითარისა მკადრებელად.“ [იოანე დამასკელი, დიალექტიკა, 1976, გვ. 70].

<sup>62</sup> აქ შედის შემდეგი თავები: „8 თავი. სიტყუად მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სახელთა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიად იტყუან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრო, ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხუას წინა აღდგომისა საქმისა; 9 თავი. სიტყვისა მისთვის უფლისაჲ, რომელი ღქუა პეტრეს: „სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნობაჲ შენი“; 10 თავი. სიტყვაჲ სამგ ზის კითხვისათვის უფლისაჲ მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო; 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ ცხოველმყოფელისაჲ!“; 12

ბ - მერმე წმიდისა და თაყუანისა ცემელისა სამებისა შორის თქულს შერევნა და სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოსვლით აღიარეს, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა, რამეთუ არა ოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოებაჲ არცა ერთსა კრებათა შინა, არცა ვის ერთსა წარმართთაგანსა უკადრებიეს ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი აღიარებენ.<sup>63</sup>

გ - მერმე წმიდაჲ ნათლისღება, რომელი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა განგვიწესეს სამგზის წყალთა შინა დაფლვითა და მიერ აღმოშობილთა სახლსა ზედა წმიდისა სამებისასა. ესე აღიღეს და მცირედისა წყლისა შეხებითა განაწესეს ნათლისღებაჲ მღდელთა მიერ, გინა ერისკაცთა ანუ დედაკაცთა მიერ.<sup>64</sup>

დ - მერმე წმიდისაჲ ჟამის-წირვისა საიდუმლო უფოვართა სეფითა შეწირვა დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ მრავალგზის წირვა და საეროთა სახლითა შინა უეკლესიოდ განაწესეს.<sup>65</sup>

ე - მერმე ზიარებაჲ ერისკაცთა სხვითა სეფისკურითა, რომლითა დიდებულნი ჟამად არა ეზიარებიან და სხვითა ლიტონითა ღვინითა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, მით ზიარებაჲ განუწესნეს და ჩვილთა ყრმათა, ვიდრე ათხუთმეტ წლამდე ჟამად არა აზიარებენ.<sup>66</sup>

---

თავი. სიტყუას მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“; 13 თავი. სიტყუას მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს, მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შევიკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განიკსნა ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“;

<sup>63</sup> მოიცავს შემდეგ თავებს: 2 თავი. სარწმუნოებისათვის ერთარსისა სამებისა; 3. წმიდისა და თაყუანისა ცემელისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისა; 4. სიყვარულისათვის თუ ვითარ მოსაგნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ; 5. ქრისტეს მიერ შეკბერვისათვის რაჟამს იგი შეკბერა მოციქულთა; 6. სიტყუას მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ.“; 7 თავი. სიტყუას მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღვთისა და კრავისა“;

<sup>64</sup> მოიცავს შემდეგ თავებს: 20 თავი. ნათლის ღებისათვის, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემზადხსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვიღებთ კორციელითა მადლითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელ სცემენ; 21 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა; 22 თავი. დედათა მიერ ნათლის ცემისათვის;

<sup>65</sup> მოიცავს შემდეგ თავებს: 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჟამსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუეზრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათი მათ წმიდათასა; 26 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახელთა შინა საეროთა;

<sup>66</sup> 27 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თვით მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიახლებიან; 28 თავი. სიტყუაჲ უცომოსათვის, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთაჲ; 29 თავი. სიტყუაჲ წმიდაჲ ზიარებისათვის, ვითარ



ვ - მერმე განჰყუჴს ჯოჯოხეთი და სხუად სხუად რიგად თქვეს, ერთსა მას საუკუნო უწოდეს, რომელსა შინა შთასრულნი ვერა რომლითა ღონითა, ვერცა ხუაიშნითა წმიდათაჲთა, ვერცა აქედგან მოკმარებითა, ვერცა რაჲსა ლხინებასა ჰპოებენ და ერთი სხუად არსო ცეცხლისა სატანჯველიო, რომელსა შინა მოსაგნი პაპისანი შევლენ მცირედ ჟამად და ადრე განწმედილნი გამოვლენო.<sup>67</sup>

ზ - ხოლო ლოცვა და საეკლესიო განწესებული ფსალმუნებაჲ სრულიად აღკოცეს ეკლესიით და წმიდათა მამათა მიერ განწესებული აღიღეს და თვინიერ წირვისა არღარა არს ეკლესიათა მათთა შინა, არცა ფსალმუნებაჲ, არცა საგალობელი, არცა ღამისთევა.<sup>68</sup>

წ - და ვითარცა ენებოს და ვითარცა დახუდეს, ეგრეთ აღმართებენ საკურთხეველთა არა აღმოსავალით განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, არამედ გინათუ დასავლეთით კერძო, ანუ სამხრეთით, ანუ ჩრდილოეთით.<sup>69</sup>

თ - ხოლო მარხვათა სრულიად დაჰსნეს და მოსპეს და არღარა არს მათ შორის მარხვა ერისკაცთა, არცაღა სამღდელოთა კაცთა შორის, თვინიერ მცირედთა მონაზონთა გარეშე და მათცა უკეთუ იმარხონ თვინიერ ჳორცისა არა რაჲსა სხუასა იმარხუვენ, არამედ უკრძალველად ყოველსავე იკუმევენ და ურიდად ჳამენ.<sup>70</sup>

---

იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე ჳურსა ლიტონსა და არა ჳორცსა; 30 თავი. სიტყუჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ;

<sup>67</sup> მოიცავს შემდეგ თავებს: 14 თავი. განსაცდელისათჳს თქმული, რომელსა იტყჴან მოსაგნი პაპისანი; 15. თავი. სიტყჴსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედეღსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იზრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუღლითაჲ; 16 თავი. სიტყჴსა მისთჳს, რომელსა იტყჴს მოციქული „ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათჳს იტყჴან“; 17. თავი. სიტყჴსა მისთჳს, რომელი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა: „ვითარმედ ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი“ და კულად: „ვითარმედ ვერ გამოხვიდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწვალებელი“; 18 თავი. სიტყჴსა მისთჳს, რომელსა იტყჴან მოსაგნი პაპისანი, ვითარმედ გან-რაჲ-ვიდენ სულნი ჳორცთაგან, აწვე მიწევიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსღვისა. მართალნი სასუფეველად დაეწესებინ, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა, პირველ ჳორცთ შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანებაჲო; 19 თავი. სიტყჴსა მისთჳს, რომელსა იტყჴან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შესრულ არსო.

<sup>68</sup> აქ შედის: 23 თავი. ზეცისათჳს სიტყუჲ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თჴსაგან და სხუშთაცა ასწავებენ;

<sup>69</sup> აქ შედის: 24 თავი. აღმოსლოვით ლოცვისათვის;

<sup>70</sup> 32 თავი. მარხვისათჳს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჴ ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვიჩესეს;

ო - ხოლო ოთხშაბათსა ჟამადვე არა იმარხვენ. რომელი განგვიჩესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და მისდა ნაცვლად შობისა იმარხვენ, რომელი არა ოდეს მოცემულ არს ესე ჩუენდა, თვინიერ ერთისა მის დღისა.<sup>71</sup>

ია - ხოლო დედათა მათთა ჟამსა წიდოვანებისასა და ოდესცა საწოლითა ქმართა მათ თანაშეყოფილ იყვნენ, საკურთხეველთა აღიყვანენ და ზიარებადცა მისცემენ.<sup>72</sup>

იბ - და ყოველი ერი ოდეს შევიდეს ეკლესიად დიდი, გინათუ მცირე მამანი, გინათუ დედანი თანა შეიყვანენ ძალთა და ეკლესიათა არა ჰკრიდებენ.<sup>73</sup>

იგ - და ყოველი ცოდვა მომაკვდინებელი ადვილად შეჰრაცხეს და მას ღამესა, რომელთაცა ვინ ბოროტითა ცოდვითა დაეცეს და შეიგინოს მას დღესა აზიარებან.<sup>74</sup>

ესე და ესე ვითარნი წესნი და კანონნი დასცნეს ეკლესიასა შინა და ყოველი საზღუარნი და განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებადთა დაჰკვნეს და გარდასცვალნეს ... და სხუა რაჲმე წესი შემოიღეს გარეშე საზღვართა მამათასა დღეიდელადვე დღეინდელად დღემდე უახლესთა და უახლესთა წესთა შემოიღებენ წინააღმდეგომთა შვიდთა კრებადთასა“ [A-119, 13r-14v].

ქართულ წერილობით წყაროებში დღემდე არ იძებნება არანაირი ცნობა ფლორენციის კრებაზე, უცნობია ბესარიონ ორბელიშვილის ინფორმაციის წყაროც, ის თხზულებაში კონკრეტულ წყაროს არ ასახელებს, ხოლო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება როსტომ ერისთავის<sup>75</sup> ხელნაწერიდან მიხეილ თამარაშვილის გადმოწერილი „აღსარება სარწმუნოებისა“<sup>76</sup>, ხელნაწერი XX საუკუნით თარიღდება,

<sup>71</sup> აქ შედის შემდეგი თავები: 33 თავი. სიტყუა ოთხშაბათისათვის, თუ რასათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რასათვის იმარხვენ; 34 თავი. მარხვისათვე, თუ რასათვის მოგუწვნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვან;

<sup>72</sup> აქ შედის შემდეგი თავები: 27 თავი: სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვანებისასა აზიარებენ და თვთ მდღელნიცა და ერნი, რაჲთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდესა მიეახლებიან; 36 თავი. დედათა წიდოვანთათვის, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნენ, სახურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ;

<sup>73</sup> აქ შედის შემდეგი თავი: 37 თავი. პირუტყვთა შეყვანათვის ეკლესიათა, თუ ვითარ რასათვის შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთ;

<sup>74</sup> აქ შედის შემდეგი თავი: 31 თავი. სიტყუა მისთვის, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოისა საიდუმლოსა ზედა;

<sup>75</sup> ცნობილია, როსტომ ერისთავი საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მას უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ასევე მის მიერ აშენებულ ბარაკონის მონასტერში განთავსებული იყო სტამბა. მ. თამარაშვილის ცნობით: „საქართველოს საუკეთესო პირები უერთდებოდენ რომის ეკლესიას თვით ხსენებულ ხანაშიაც (იგულისხმება XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). ეს გაკათოლიკებული წარჩინებულნი პირნი არიან იმერეთის მეფე ალექსანდრე, როსტომი რაჭის ერისთავი, ამისივე ძმა ბესარიონ იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსი და ეგრეთვე წმიდა ბასილის მონაზონი სტეფანე წინამძღვარი“ [თამარაშვილი, 1902: 366].

<sup>76</sup> „აღსარება სარწმუნოებისა“ ადრე „მრწამსს“, „სიმბოლოს“ აღნიშნავდა.

მას აკლია დასაწყისი. შემორჩენილ ნაწილში ნახსენებია ფლორენციის კრება და იქ დამტკიცებული და აღიარებული დოგმები: „... ია: კუალად პატივს ვცემ და შევიწყნარებ ყოველი სხვა საყოვლიერო წმიდა კრებანიც, ჰრომს მამამთავრის ბრძანებით გათქმულნი და დამტკიცებულნი, და უფროსლა ფლორენციის წმიდა კრებასა და აღვიარებ ყოველსავე რომელიც მას შინა გაიმართა: ესე არს:

იბ: მრწამს და აღვიარებ, რამეთუ სული წმიდა მამისაგან და ძისაგან და საუკუნოდ ერთავესიგან გამოვალს ...:

იგ: კუალად აღვიარებ, რამეთუ თქმული იგი და ძისაგან ღირსეულად და მართებულად, დაშურების დაჭირებისათვის ზედდაბი<sup>77</sup>...:

იდ: კუალად აღვიარებ რამეთუ ჯორცი ქრისტეს მრთლად და ჭეშმარიტად აღსრულდების თუ კმადი, თუ ცომიანი პურიტა ხორბლისათა, არამედ ლუდელთა ჯერ არს, რათა ერთითა, ან მეორეთით მითით აღსრულონ იგივე ჯორცი უფლისა ყოველთა თავიანთ ეკლესიის ჩვეულობისაებრ თუ დასავლეთისა და აღმოსავლეთისა:

იე: კუალად აღვიარებ, რამეთუ, უკეთუ ჭეშმარიტად შენანულნი სიყვარულსა და მადლსა შინა ღვთისასა მიიცივალონ, უწინარეს მართებული საკანუნოს გარდახდისა ბოროტ ნაქნართათვის, ან მიტევებული კეთილ მოქმედთათვის, სულნი მათი შემდგომად სიკვდილისა, განსაწმედელის სასჯლით განიწმიდებიან ...:

ივ: კუალად აღვიარებ, რამეთუ სამოციქულო წმიდა ტახტსა და ჰრომის პაპას აქუს თაობა და შემძლეობა ყოველსა ქვეყანაზედ, და აღვიარებ, რამეთუ თვით ჰრომის პაპი ვეცილი არს მოციქულთ მთავარი წმიდისა პეტრესი, და ჭეშმარიტი მაგიერი ქრისტესი, და ყოველი ეკლესიის თავი ... ვითარცა დაწესებათა შინა ჭეშმარიტად მოწმებულ არს, თქმისაებრ ფლორენციისა წმიდისა კრებისასა...“<sup>78</sup> [H-1530, 1r-3r]. [სრული ტექსტი იხილეთ დანართი 3].

მართალია, აქ ნახსენები ფლორენციის კრების განჩინებები და ბესარიონ ორბელიშვილის ჩამონათვალი არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ნახსენებია ის

<sup>77</sup> ხელნაწერში, H-1530, ეს სიტყვა მითითებულია ამ ფორმით.

<sup>78</sup> ტექსტი ნაკლულია, იგი როსტომ ერისთავის ხელნაწერიდან გადმოუწერია მიხ. თამარაშვილს, თუმცა გაურკვეველია, რომელი ხელნაწერიდან. ტექსტს ერთვის პაპირუსზე ტუშით გადმოღებული იმერეთის კათალიკოსის ბესარიონის (1742-1769) ბეჭედი. ბესარიონს 1750 მიუღია კათოლიკობა. ამავე პერიოდში კათოლიკობა მიუღია რაჭის ერისთავს როსტომს, რომლის ბრძანებითაც დაწერილა დასახელებული „წიგნი“.

ძირითადი დოგმები, რომლებზეც ცდილობდა დასავლეთის ეკლესია უნიაზე აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენელთა ხელმოწერის დაფიქსირებას.

ფლორენციის კრებაზე, პოლიტიკური ქვეტექსტის მიუხედავად, სწორედ თეოლოგიური შინაარსის კამათი წარიმართა. ბესარიონ ორბელიშვილს კრებაზე განხილულ თეოლოგიურ-დოგმატურ საკითხებზე შესაძლოა ნაკლები უზუსტობა მოსდიოდა, მაგრამ საკამათოა ერთი ისტორიული ფაქტი, ის აღნიშნავს: „*ხოლო აღმოსავლეთისა ეკლესიანი და ოთხნივე საპატრიარქონი, დიდი რუსეთი და ჩუენ, ქართველნი მასვე და ერთსა სარწმუნოებასა ზედა ვჰგვიეთ შეურყეველსა და შეუცვალებელსა მოციქულთა მართლმოცემულსა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ დამტკიცებულსა*“ [A-119, 14v-15r]. ბესარიონის აზრით, უნიას „შეურყველი“, წინააღმდეგობა გაუწია ოთხმა ეკლესიამ, მათ შორის რუსეთმაც. საკამათო სწორედ „დიდი რუსეთის“ „პრინციპული“ პოზიციის ხაზგასმაა აღნიშნულ კრებაზე. ცნობილია, „*კვირადღეს, 5 ივლისს ბერძნებმა ხელი მოაწერეს უნიას. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მას ხელი მოაწერეს წმ. საბინას კარდინალმა იულიანემ და ნიკეის მთავარეპისკოპოსმა ბესარიონმა. შემდეგ იმპერატორმა, აღმოსავლეთის პატრიარქთა წარმომადგენლებმა თავიანთი პატრიარქების სახელით, მიტროპოლიტმა ისიდორემ, და ა. შ., მართლმადიდებელი მხარის სულ 33-მა წარმომადგენელმა (მათ შორისაა სუზდალის ეპისკოპოსი აბრაამი). ხელი მოაწერეს მათაც, ვინც მოწინააღმდეგე იყო უნიისა მოლაპარაკებათა მსვლელობისას, მაგალითად ჰერაკლიის მიტროპოლიტმა ანტონიმ, რომლის ხელმოწერა უშუალოდ მოსდევს იმპერატორის ხელმოწერას, დოსითე მონემვასიელიმ. დამსწრეთაგან მარკოზ ეფესელის გარდა უნიის ხელმოწერაზე უარი განაცხადეს სტავროპოლის მიტროპოლიტმა ესაიამ და ჰემისტოს პლეთონმა, რომელმაც ჩათვალა, რომ ლათინური ეკლესია კიდევ უფრო მტრულია თავისუფალი აზრის მიმართ, ვიდრე ბერძნული*“ [ავალიშვილი, 2009:128-129], მალევე, 1442 წელს, იერუსალიმის კრებაზე ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქებმა უარყვეს ფერარა-ფლორენციის კრება, ის მიიჩნიეს, როგორც არაკანონიკური და გაწყვიტეს ექვარისტიული კავშირი კონსტანტინეპოლის პატრიარქ მიტროფანე მეორესთან. 1450 წელს, რვა წლის შემდეგ იერუსალიმის კრებიდან, კონსტანტინეპოლის კრებაზე, სოფიას ტაძარში, უნიატ პატრიარქს გრიგორი მესამეს პატივი აეყარა და ფერარა-ფლორენციის კრება კონსტანტინეპოლის

ეკლესიის მიერ ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა თანდასწრებით ანათემას მიეცა. ის იწოდა მწვალებლად. ისიდორე კი 1441 წელს მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილ ვასილის ძემ ერეტიკოსად გამოაცხადა, ის რომში გაიქცა, კარდინალის წოდება მიიღო და 1453 წლის 28 მაისს, ერთი დღით ადრე კოსტანტინეპოლის დაცემიდან, უკვე კარდინალის სტატუსით დაესწრო აია სოფიას ტაძარში უკანასკნელად აღვლენილ ქრისტიანულ მსახურებას. რაც შეეხება იბერიელი წარმომადგენლების (ახტალელი ეპისკოპოსი დანიელი, იმერეთის ეპისკოპოსი იაკობი, თავადი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი)<sup>79</sup> ხელმოწერას, ამას საქართველოს ყველაზე არაკეთილმოსურნენიც კი ვერ ადასტურებენ.

შესაძლოა, ბესარიონ ორბელიშვილი უნიაზე ხელისმომწერ ეკლესიებში, სწორედ, 1442 წლის იერუსალიმის კრების განჩინებას გულისხმობს, ხოლო „დიდი რუსეთის“ დამოკიდებულებაში, ისიდორეს ეკლესიიდან მოკვეთა იგულისხმა, ტერმინ „დიდი რუსეთში“ კი რუსეთი არა როგორც იმპერია, „დერჟავა“, არამედ მისი, მაშინდელი დასახელება<sup>80</sup> იგულისხმა. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თხზულება XVIII საუკუნეშია დაწერილი, როცა მუსლიმურ (ოსმალეთი, სპარსეთი, ლეკიანობა) სახელმწიფოთა ალყაში მოქცეული საქართველო მართლმორწმუნე „დიდი რუსეთის“ იმედად რჩებოდა.

როცა პრობლემა ურთულესია, თითქოს პრობლემაც არაა და არის საფუძველთა საფუძველი სახელმწიფოს სტრუქტურული ვერტიკალის შენებისას, როცა საზოგადოება ამ პრობლემას საფრთხედ არ აღიქვამს და მასში ხედავს მხსნელს, იმედს, მოგეთხოვება მაქსიმალური ძალისხმევა, მაღალი აკადემიურობა, მჭევრმეტყველება ოპონენტს აჯობო ანალიტიკურ შესაძლებლობებში და საზოგადოებასაც აჩვენო საფრთხე, რეალობა და ჭეშმარიტება: *„არაჲ ისმენენ საღთოთა წერილთა, არცა ბრძანებათა სამეუფოთა გულისკმაჲ ჰყოფენ, არამედ ახალთა და ახალთა ძიებათა შემოიღებენ და კუალად უახლესთა მიმართ მზა არიან და რომელი და ვითარიცა სიბრძნე აქუნდეს, ეგერეთ გამოეძიებენ არსებასა და ბუნებასა ღმთისასა, გულისკმის ჰყოფითა თვისითა ჰნებავს გონებასა შინა თვისსა დატევნად დაუტევნელისა და ახალი რამე სჯულისდებაჲ და ახალი სარწმუნოებაჲ,*

<sup>79</sup> ორ ეპისკოპოსსა და მეფე ალექსანდრე I ელქს ასახელებს ე. მამისთვალიშვილი, კადმოსი, 8, 2016:262  
<sup>80</sup> მოსკოვის დიდი სამთავრო [Великое Княжество Московское], ფეოდალური სახელმწიფო რუსეთში, რომელიც ჩამოყალიბდა XIV საუკუნის შუა წლებში მოსკოვის სამთავროს გაძლიერების შედეგად.

რომელი არა მოცემულ არს ჩუენდა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა მიერ და ჭეშმარიტთა მოძღვართა მას ქადაგებენ და მას ასწავებენ და თავნი თჳსნი უბრძნეს ბრძენთა მათ საკვირველთა და უწმიდეს წმიდათა მათ პირველთა და უღვთისმერთყუზლეს დიდთა მათ ღვთისმეტყუელთა შეურაცხიეს. და თანა წარკდებიან, თვით თავით თვისით მოძღურიან და ასწავებენ და გარდააქცევენ გონებასა მარტივთა და წრფელთასა და შეიტყუებენ უმანკოთა და უსწავლელთა“ [A-119, 1v-2r]. ასეთი ურთულესი დილემის წინაშე იდგა ბესარიონ ორბელიშვილი, როცა დაიწყო ანტიკათოლიკური ტრაქტატის დაწერა.

ბესარიონ ორბელიშვილი შეეცადა არა ისტორიული პროცესების ანალიზის დაწყებას, არამედ წმინდა წერილების, წმიდა მამებისა და საეკლესიო კრებების განჩინებით დაეხატა და აეხსნა აღმოსავლური ეკლესიის დოგმატურ-თეოლოგიური კანონიკის ჭეშმარიტება: „ხოლო არა რაღასა ვიტყვი თავით თვისით და გულისკყოფითა თვისთა, არცა გარეშეთა რაღთმე შემოღებითა, არამედ მათვე წმიდათა მოციქულთა და ყოვლად ბრძენთა წინასწარმეტყუელთა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ თქმულსა შემოვიღებ, რაითა არავინ ჰგონოს ჩემ მიერ უცებისა და უსწავლელისა მიერ თქუმულად, არამედ მათვე წმიდათა და ნეტართა, პირთაგან დაცვივნებულსა ნაბიჭევსა შემოვკრებ და თვით თავადისა ქრისტეს მიერ უხუცებით დამოდინებულსა ცუარსა მოძღურებისასა სახედ ღრუბლისა ზრქელისა გონებისა ჩუენისა მიერ აღმოვიწრედ და ნაბიჭევსა მას მათსა ცხოვლის მყოფელსა შევკრებ...“ [A-119, 1v-2r]. მაგრამ დაწერილს უნდა ჯერ წაკითხვა და შემდეგ აღქმა, გააზრება. ზემოთ ვახსენე, მკითხველი აუდიტორიის სოციალურ-იდეოლოგიური მრავალფეროვნება. ბესარიონ ორბელიშვილი წერდა უკიდურესი სიფრთხილით, რადგან წამკითხველი და აღმქმელი საზოგადოება იყო ჭრელი. „გრდემლში“ მოცემულია საზოგადოების ერთგვარი კლასიფიკაცია: „...არიან კაცნი, რომელნი არა მიხედვენ სამღთოთა წერილთა, არცა გულისკმისყოფით და შიშით გამოეძიებენ, არამედ სრულიად დაბრმობილ არიან, ვითარცა თუალტკივნეულნი ბრწყინვალეებისა მიმართ მზისა. ...ხოლო არიან სხუანი, რომელნი იკითხუშნ და არა გულისკმისყოფით გამოეძიებენ, არცა ზედა მიწევნით გამოიკულებენ და პირუტყვთაებრ არა წმიდათა მათდა მიცემულსა საზრდელსა მსგავსად აღმოცობნით არა დააწვლილებენ, არამედ განურჩეველად შთანთქმენ. ...კუალად არინ კაცნი, რომელნი სურვილით იკითხვენ და

*გულისმოდგინებ ისმენენ, არამედ არა სარწმუნოებით, არცა კრძალულებით გამოეძიებენ, არამედ თავით თვისით გარდაიქცვიან და სხუად სახედ გარდაგულარძნია და მსგავსად გონებაჲ ცთომილებისა მათისა, ვითარცა ენებოს, ეგრეთ ....ხოლო არიან სხუანი, რომელნიმე კაცნი, უკეთუ აწ არიან სადამე, რომელნი გულისკმისყოფით გამოეძიებენ და მრავლითა სურვილითა გამოიკულებენ და ზედა მიწევნით ისმენენ და გულისკმისჰყოფენ საღთოთა წერილთა და აღმოიცოხნიან და დააწვლულებენ მსგავსად საცხოვართა წმიდათა და განიძიებენ სურვილსა თვისსა“*  
[A-119, 3r-v].

ბესარიონ ორბელიშვილის შეფასებული საზოგადოება შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად, პირველი, რომელიც სწორად ვერ აღიქვამს წმინდა წერილის არსს და მეორე - რომელიც იაზრებს წაკითხულს, ამ ჯგუფებში არის ქვეჯგუფები. პირველში - *„არცა გულისკმისყოფით და შიშით გამოეძიებენ“* და *„არა გულისკმისყოფით გამოეძიებენ“*, მეორე ტიპის საზოგადოებაც ორგვარია *„კაცნი, რომელნი სურვილით იკითხვენ და გულისმოდგინებ ისმენენ, არამედ არა სარწმუნოებით, არცა კრძალულებით გამოეძიებენ“* და *„რომელნი გულისკმისყოფით გამოეძიებენ და მრავლითა სურვილითა გამოიკულებენ და ზედა მიწევნით ისმენენ“*, ამ უკანასკნელთა რაოდენობაზე კი სვამს კითხვას: *„უკეთუ აწ არიან სადამე?..“* ბესარიონ ორბელიშვილი ახდენს საზოგადოების ლუსტრაციას, სადაც არა მხოლოდ თვალსაწიერია განსხვავებული, არამედ ღირებულებები, რადგან აღქმას, ცნობიერებას დიდწილად სწორედ შინაგანი ფასეულობები განსაზღვრავს. ის, როგორც მოძღვარი, განათლებული ადამიანი, არაჩვეულებრივად იცნობდა ადამიანის ფსიქოლოგიას, მის სოციალურ ხასიათს და განსაკუთრებით მატერიალურ მოტივაციას, ამიტომ არ გაუჭირდა მისი სწორი შეფასება, მათთან საუბრის სიძნელე და არგუმენტაციისთვის გამოიყენა წმინდა წერილები და ღმერთშემოსილ მამათა ცხოვრებები და სწავლებები, ამიტომაც მოერიდა ზედმეტად ისტორიულ ექსკურსს, რადგან ისტორიული წარსული და საერო პირების ცხოვრება პოლიტიკური ინტრიგის მეტ შესაძლებლობასა და საფუძველს იძლევა.

შესავლის ძირითადი ნაწილის თხრობა იწყება დაბადებიდან, ადამიანის პირველცოდვიდან და შემდგომ ჩამოთვლილია ყველა მწვალებლობა<sup>81</sup>, რომელიც გაჩნდა ქრისტიანობის, როგორც რელიგიის, ჩამოყალიბების დღიდან. ისინი უარყოფდნენ ქრისტიანულ დოგმებს და, გარკვეულწილად, ჩამოყალიბდნენ, როგორც ცალკე მოძღვრებები. ამ ცთომილებების გასაბათილებლად იყო მოწვეული შვიდი საეკლესიო კრება. სწორედ შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებულ განჩინებებსა და მათი მოწვევის მიზეზებს, როგორც ერთ-ერთ მყარ არგუმენტს, ხშირად იმოწმებს ბესარიონ ორბელიშვილი პოლემიკისას. ქრისტიანული დოგმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა „დიდი სჯულისკანონი“<sup>82</sup>, სადაც მწვალებელი შემდეგნაირადაა განმარტებული: *„რომელი არა ადიდებდეს წმიდასა სამებასა ერთსა შინა ღმერთებასა სწორითა ძლიერებითა, არცა ქრისტიანედ იწოდების, არამედ უცნობელი არს და მწვალებელი და უპატიო და იგუემების განჩინებისაგან სამოქალაქოთა სჯულთადას. და მეხუთე თავი მის/ვე წიგნისა იტყვს, ვითარმედ მწვალებელი არს და საპატიოდ მწვალებელთათვის დადებულსა სჯულისა თანამდები, რომელი მცირედცა მიდრკეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისაგან. და მეთორმეტე განწესება მისვე წიგნისა დასწერს, ვითარმედ მწვალებელი არს, რომელი მართლმადიდებელი არა იყოს“* [დიდი სჯულისკანონი, 1975:196-197]. მწვალებლობა არის ფასეულობების უარყოფა, არა ღვთაებრივი ღირებულებების აღიარება და პატივისცემა, არამედ მატერიალური საწყისის თაყვანისცემა, რაც ადამის მოდგმის გაჩენიდან იწყება, რომელსაც მოჰყვა კაენის ცოდვა, ნოეს ძეთა სირცხვილი და სხვა უამრავი დაცემა ადამიანის მოდგმის და პარალელურად ღვთიური სასწაულების დემონსტრირება, რომელმაც ვერ დააბალანსა ადამიანთა განდრეკა ღვთისგან და მიდრეკა ცოდვისკენ: *„ესე შემურდა მტერსა ბოროტსა და შეუჭდა გულსა და ეზრახა გუჴლისა მიერ და რომლითცა თვით დაცემულ იყო ამპარტავნებითა, იგიცა განმღრთობისა ქადაგებითა აცთუნა და*

<sup>81</sup> მწვალებლობა (სიტყვისაგან „წვალება“, „განწვალება“ – „გაყოფა“, „დანაწილება“), ერესების აღმნიშველი ქართული სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს დაკანონებული ქრისტიანული დოგმების ჭეშმარიტების დარღვევის მცდელობას და მის რევიზიას, ქრისტიანული მოძღვრების გაუკუღმართბას. ზოგიერთი მწვალებლობა სახელისუფლებო ძალების მხარდაჭერით სარგებლობდა და ამიტომ დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა, რაც საშიშროებას უქმნიდა მართლმადიდებლურ ეკლესიას. სწორედ სხვადასხვა დროს რომელიმე ასეთი მწვალებლობის გავრცელება ქმნიდა მსოფლიო კრების გადაუდებელი მოწვევის საფუძველს. [გაბიძაშვილი, 2015:622-623].

<sup>82</sup> გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ.



გამოკადა სამოთხისაგან საშუშბელისა და დაემკვიდრა ადამ ჭირმრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა და უკვდავებისა წილ მოკვდავი იქმნა. და ზეცას აღვსლოსა წილ მიიქცა.<sup>83</sup>

მიერთგან დაიპყრა ნათესავი ადამისი მტერმან ბოროტმან და თითო სახეთა საცთურთა და საბრკეთა შთაყარნა ნათესავი მისი, მერმე აღადგნა კაენ აბელის ზედა და ძმა ძმისა მიერ მოაკუდინა და ასწავა კაცთა შური და მტრობაჲ, ზაკვაჲ და ორგუშლებაჲ, კაცის კლვა და მრუშება და მერმე ბილწებით შეაგინა ყოველი ადამიანი, თვინიერ მართლისა ნოესა და ძეთა მისთა, რომელნიცა დაიცვნა პირველმან კიდობნისა მის მიერ და სხუათა ყოველთა ზედა მოაწია წყლით რღვნა და წარღურღვნა ყოველი აღმდგომი, მერმე აღძრა ძე მისი ქამ სიცილად მამასა თვისა ზედა, რათა უკმრად გამოაჩინოს სიმართლე ნოესი, რადთაცა წყევასა ქუშშე დაისაჯა ნათესავი ქამისი.

მერმე დიდი აბრაამი, ისაკ და იაკობ მრავალფერთაჲ და თითო სახითა ჭირითა განსცადნა და იობ მართალი ცხადად გამოითხოვა და მრავალი ბოროტი მის ზედა რადთამცა ღვთისმსახურებაჲ მათი შეანანა და უკმარ-ყო.

ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად ყოველნი წმიდანი წინასწარმეტყველნი მრავალფერთა ჭირთა და ღუაწლითა გამოსცადნა მიშუებითა ღვთისათა, რადთა ჩნდეს წმიდანი მისნი, ვითარცა ოქრო რჩეულნი გასაცდელთა ბრძმედითა გამოდნობილნი და ცრუნი იგი დაისაჯნენ...“ [A-119, 5r-v]. ერთ-ერთი დიდი ცოდვა, პირველმოდგმის ცოდვა - „უკვდავებისა წილ მოკვდავი იქმნა“ - რასაც მოჰყვა ადამის მოღგმის მიერ „კაცთა შური და მტრობაჲ, ზაკვაჲ და ორგუშლებაჲ,

<sup>83</sup> მსგავსი შეფასება აქვს უცნობ ავტორს კაცობრივი ცოდვების დასაწყისზე თხზულებაში „რომის განდგომილებისათჳს, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკლესიისა. ამინ!“: „და მერმე გუშლისა მიერ დედაკაცსა მას ევას, რათა ვერ აგრძნას ადამ მანქანებითი იგი იხილაჲ ეშმაკისა ბოროტ ბრძნისა და მტერისა და პირითა მეუღლისა მისისათა ეზრახა ადამს, რათა კეთილად აღუჩინოს ნაყოფი სიკვდილისა და დაკლებაჲ სამოთხისა მის ფუფუნებისა და შვებჲ ანგელოზთა თანა და ვითარმედ მეგობრისაცა სიტყუაჲ სარწმუნო არს და ოდეს ისერეს კეთილ აღჩენილი იგი ბოროტი მტერისა მიერ ბოროტისა მეყსეულად გამოადო ღმერთმან სამოთხისა მისგან საწადელისა ჭენებითა ანგელოზისათა და რისხუთა საშინელითა და მწუხარებითა საღმობიერთა ქუშყანას მას მწირსა და უპოვარსა და უნაყოფოსა, ვინათგან განშიშვლდენ მადლისაგან განუძღომელისა და სამოსლისაგან ნათლისა ეკმარებოდათ ყოველივე საჭირო ჯორცთა საზრდელი და სამოსელი და სადგური განსასვენებელად და დაესაჯათ ზრუნვა და მწუხარება მოუთხრობელი და წყევა ღმრთისაჲ მიერი სიცოცხლესა შინა და სიკვდილი ჯორცთა და სულისა შვილითი შვილადმდე და სიმწართ და ტკივილით შობაჲ და ოფლითა ჭამად პურისა და მიწადვე მიქცევა სიტყვითა ღმრთისაჲთა“ [Q-52, 1v-2r]

კაცის კლვა და მრუშება და მერმე ბილწებით შეაგინა ყოველი ადამიანი...“ მოსეს პირით კაცობრიობისთვის სინას მთაზე ბოძებული ათი მცნება დასახელებულ ყველა ჩამოთვლილ ცოდვას მოიცავს. ეს ის მოსეა, რომელმაც ებრაელები ტყვეობიდან გამოიხსნა, ანუ ხსნა სულიერ გადარჩენაშია და ყველაზე დიდი დამპყრობელი ადამიანისთვის მატერიალური ცდუნების მორჩილებაა და არა უფლის ცნებების აღსრულება. რაში დასჭირდა ანტიკათოლიკურ ტრაქტატში ბესარიონ ორბელიშვილს ადამიდან დაწყებული ყველა ცოდვის თანმიმდევრული გახსენება? „ვინათგან არა იქმნა კურნებაჲ სენისა ამის ბოროტისა, არცა კსნა კაცთა ნათესავისა...“ [A-119, 5v] ადამიანის „ნება“ არ ყოფილა ღვთისმოსაობა, ადამიანის ნება იყო ძალაუფლების ფლობა და ამ სურვილის „გასაფერადებლად“, ღმერთის ნებლობად წარმოსაჩენად ე.წ. ცრუ მოძღვრებები მოიგონა. ანუ საწყისი ცოდვისა არის კაცში, ამპარტავნებაში. მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ღვთისგან განდრეკას ვერ მოერია ვერც წარღვნა და ნოეს სასწაული, ვერც მოსეს ღვთიური სვლა ეგვიპტიდან აღთქმულ მიწისაკენ, კაცობრიობის მხსნელად მოევლინა სამყაროს ძე ღვთისა: „თვით თავადი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ ხატი და ძლიერებაჲ მამისა, თანადაუსაბამო და თანაგანმგებელი, ბუნებით თანასწორი ძე და სიტყვა ღვთისა თვით ღმერთი ჭეშმარიტი მოვიდა ზეცით ქუეყნად მიღებად ბუნებისა ჩუენისა და კორცთა ამათ, მტერისა მიერ მოუძღურებულთა და დათრგუნვილთა შემოსად, რაათა უძღურთა ამით კორცთა დასცეს ძლიერი იგი მოქადული, რამეთუ ყოველითურთ გუჭმსგავსა, რაათა ადამიანად გამოჩინებულთა განდგომილნი იგი მტერი შეიტყუოს და დამცემლი ადამისი დასცეს და შემუსროს და მოგუცეს ძლევა და ვითარცა იგი იქადოდა ჩუენ ზედა, ეგრეთვე ჩუენ ვიქადოდით მას ზედა“ [A-119, 6r-v]. მოკლედ, ლაკონიურად, ფაქტების მცირედი ჩამონათვალით, მაგრამ გასაგებად ახსნა ავტორმა ღმერთის განკაცების მიზეზი და წარსულის, ადამიდან ქრისტიანამდე, შეხსენების აუცილებლობა. ამის შემდეგ იწყებს ბესარიონ ორბელიშვილი საუბარს ქრისტეს ცხოვრებასა და ქრისტიანობის საფუძველზე, როგორ ჩამოყალიბდა, როგორც რელიგიური მოძღვრება, როდის და რის საფუძველზე შეიქმნა ქრისტიანული დოგმები და კანონიკური საფუძველები და რატომის წინააღმდეგობა ჩნდებოდა ქრისტიანობის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბების გზაზე: „ხოლო ოდეს მოვიდა ძე ღვთისა,

მოლოდება იგი წარმართთა მაშინ უმრავლესნი ღონენი აღძრნა და ეკუჭთა კლდესა მას ცხოვრებისასა და შურად აღუდგინნა ჰურიანი და ეგრეთვე მტყუარნი ქრისტეანენი აღადგინა, ვითარცა ჰეროდე, რომელი გუკმობდა თავსა თვისსა ქრისტედ. მერმე სიმონ მოგვი და იგიცა მედ ღვთისად იტყოდა თავსა თვისსა და მრავალსა სასწაულსა ჰყოფდა შეწევნითა ეშმაკისა და განაკვირვებდა მრავალთა, რომელიცა დაიხსნა და განქარდა წმიდისა პეტრე მოციქულისა მიერ და მერმე კვინოპ გრძნეული მოციქულისა და მახარებლისა იოანეს მიერ დაინთქუა, და წმიდისა პავლეს მიერ მრავალნი წინააღმდეგომნი, ვითარცა ალექსანდრე მჭედელი და ელვიმას მოგვი და სხვათა მათ მოციქულთა თვითეულად ცრუ მოციქულნი და წინააღმდეგომნი, რომელნიცა აღუდგეს და აბრკოლებდეს და რაღა სხუა თვით ათორმეტთაგანი მოციქული ერთი განმცემელ-ყო და სამეოცდაათნი, რომელნი გამოირჩინა ქრისტემან, ორი მათგანი კერპთმსახურებად მიაქცია და შვიდთა დიაკონთაგან მოქცეულთაგან გამორჩეულნი ერთი, რომელსა ეწოდა ნიკოლოზ, წვალებამსა ბოროტსა შთააგდო“ [A-119, 6v-7r]. ბესარიონ ორბელიშვილს მოჰყავს სახარებისეული მაგალითები, როცა ამა სოფლის ძლევამოსილთ მატერიალურ უძლურებასა და დევნაში მყოფი მოციქულები ღვთის ძალითა და ჭეშმარიტი რწმენით ამარცხებდნენ. სიმონ მოგვი, იგივე მოშურნე, იყო ერთ-ერთი პირველი ერეტიკოსი და მიიჩნევა ერეტიკოსთა ფუძემდებლად. ის ფილიპე მოციქულმა გააქრისტიანა. მას ჰქონდა ნიჭი, ცრუ მოძღვრებით, სასწაულებით მიეპყრო არა მარტო საზოგადოების ყურადღება, არამედ იმპერატორი ნერონიც, მის მიმდევრებად ითვლებოდნენ მენანდრე და კერინთოსი. პეტრე მოციქულმა შეაჩვენა სიმონი და განკვეთა ეკლესიიდან.<sup>84</sup> სიმონ მოგვისა და პეტრე მოციქულის

<sup>84</sup> 9. კაცი ვინმე იყო, რომელსა სახელი ერქუა სიმონ, წინადათვე იყო ქალაქსა მას შინა, ჰგრძნებდა და განაკვირვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა. 10. რომელსა ხედვიდეს ყოველნი, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, და იტყოდეს, ვითარმედ: ესე არს ძალი ღმრთისაჲ დიდი. 11. ხოლო ერჩიდეს მას, რამეთუ მრავლით ჟამითგან გრძნებითა განეკვირვნეს იგინი. 12. და რაჟამს ჰრწმენა ფილიპესი, სახარებაჲ სასუფეველისათჳს ღმრთისა და სახელისათჳს იესუ ქრისტესისა, ნათელს-იღებდეს მამანი და დედანი. 13. და სიმონსცა თვთ ჰრწმენავე ნათელს-ილო, და იყო დადგრომილ ფილიპეს თანა. და ჰხედვდა სასწაულებსა და ძალითა დიდთა, რომელნი-იგი იქმნებოდეს, და დაუკვირდებოდა. 14. ესმა რაჲ უკუე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალჳმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მიავლინნეს მათდა პეტრე და იოვანე, 15. რომელნი-იგი ვითარცა მივიდეს, ლოცვა ყვეს მათჳს, რაჲთა მიიღონ სული წმიდაჲ. 16. რამეთუ მუნამდე არა იყო არცა ერთსა მათგანსა ზედა მოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს სახელითა უფლისა იესუსითა. 17. მაშინ დაასხმიდეს კელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ. 18. ვითარცა იხილა სიმონ, რამეთუ კელთ-დასხმითა მით მოციქულთაჲთა მოეცემის სული წმიდაჲ, მიუპყრა მათ ფასი 19. და ჰრქუა: მომეციოთ მეცა

პაექრობას უამრავი სასწაული მიეწერება, მათ შორის წარჩინებული რომაელის ოჯახში გარდაცვლილი ვაჟის მკვდრეთით აღდგენა, როცა სიმონის სიტყვაზე გარდაცვლილმა თავი გააქანა, ხოლო პეტრე მოციქულმა ქრისტეს ძალისხმევით შეძლო მისი მკვდრეთით აღდგენა. სიმონ მოგვი გარდაიცვალა მორიგი „სასწაულის“ დემონსტრირებისას.<sup>85</sup>

ასეთივე წინააღმდეგობა ხვდება პავლე მოციქულს ქრისტიანობის ქადაგებისას ალექსანდრე მჭედელის სახით.<sup>86</sup> ის ამგვარ დამბრკოლებელს „სატანის ანგელოზს“ უწოდებს, რადგან მათი და მათი მომდევრების წინააღმდეგობა საუკეთესო ფონი იყო მოციქულის ღვთიური ძალმოსილების წარმოსაჩენად. მესპილენძე ალექსანდრე მჭედელიც ამგვარი „სატანის ანგელოზი“ იყო პავლე მოციქულისთვის კუნძულ კვიპროსზე ქადაგებისას.<sup>87</sup> ბესარიონ ორბელიშვილს მოჰყავს პავლე მოციქულის სიტყვები: „წმიდა მოციქული პავლე იტყვის: „რამეთუ წვლებადაცა ყოფად არიან თქვენ შორის, რადგან რჩეულნი იგი თქვენ შორის

---

*კელმწიფებაჲ ესე, რადგან, რომელსაცა დავასხნე კელნი, მიაქუნდეს სული წმიდაჲ. ჰრქუა მას პეტრე: 20. ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწრყმედელად შენდა, რამეთუ ნიჰსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად. 21. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკუცდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა. 22. შეინანე უკუე უკეთურებისა ამისგან შენისა და ევედრე უფალსა, მი-ხოლო თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაჲ ეგე გულისა შენისაჲ, 23. რამეთუ სიმწარედ ნავლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ, რამეთუ ხარ. 24. მიუგო სიმონ და ჰრქუა: ილოცეთ თქუნენ ჩემთვის უფლისა მიმართ, რადგან არა მოვიდეს ჩემ ზედა, რომელი-იგი თქუნენ სთქუთ [საქმე 8. 8-24].*

<sup>85</sup> სიმონი არწმუნებდა ხალხს, რომ ის ყველას თვალწინ ზეცად ავიდოდა. გადმოცემის თანახმად, ამ ფაქტს ესწრებდნენ მოციქულებიც, ის მართლაც ასულა გარკვეულ სიმაღლეზე, მაგრამ უეცრად მიწაზე დანარცხებულა და ფეხი მოუტეხია. ამ ფაქტით გაწბილებულ სიმონს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულებია.

<sup>86</sup> 13. ფელიონი, რომელ დაუტევე ტროადას კარპოსს თანა, მო-რაჲ-ხვდოდი, მოიღე და წიგნებიცა იგი, უფროსლა წიგნის ტყავები. 14. ალექსანდრე მჭედელმან მრავალი ბოროტი შემაჩუნა მე. მიაგოს მას უფალმან საქმეთა მისთაებრ. 15. რომელსა შენცა ეკრძაღე, რამეთუ ფრიად წინა-აღუდგა იგი ჩუნთა სიტყუათა [2 ტიმოთე 4. 13-15]

<sup>87</sup> 6. და ვითარცა მოვლეს ყოველი იგი ჭალაკი ვიდრე პაფოდმდე, პოვეს კაცი ვინმე მოგვ, ცრუ წინაწარმეტყუელი, ჰურიაჲ, რომლისა სახელი ბარიისუ, 7. რომელი-იგი იყო მთავრისა მის ანთუპატისა თანა სერგისა პავლესა, კაცისა გონიერისა. ამან მოუწოდა ბარნაზას და სავლეს, და ეძიებდა მათგან სმენად სიტყუასა ღმრთისასა. 8. ხოლო უკდებოდა მას ელუზმას, მოგვ იგი, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების სახელი მისი, და ეძიებდა გარდაქცევასა ანთუპატისასა სარწმუნოებისაგან. 9. ხოლო სავლე, რომელ არს პავლე, აღივსო სულითა წმიდითა, მიხედა მას 10. და ჰრქუა: ჟ სავსეო ყოვლითა ზაკუვითა და ყოვლითა მანვიერებითა, შვილო ეშმაკისაო და მტერო ყოვლისა სიმართლისაო, არა დასცხრეა გარდაქცევად გ ზათა მათ უფლისათა წრფელთა? 11. და აწ ესერა კელი უფლისაჲ შენ ზედა, და იყო შენ ბრმა და შენ ხედვიდე მზესა ვიდრე ჟამადმდე. და მეყსეულად დაეცა მის ზედა არმური და ბნელი, და მიმოვიდოდა და იძიებდა მძლუარსა. 12. მაშინ ვითარცა იხილა ანთუპატმან მან, რაჲ-იგი იქმნა, ჰრწმენა განკურვებულსა მოძღურებასა მას ზედა უფლისასა [საქმე 13. 6-12]

გამოხდნენ“[A-119, 7r].

ამ კონტექსტში განიხილავს ბესარიონ ორბელიშვილი იუდას, მოციქულებს შორის ერთადერთ გამცემელს, სამოცდაათი მოწაფიდან ორს, რომლებიც კერპთაყვანისმცემლები გახდნენ და შვიდ დიაკონს, მათ შორის კი გამორჩეულს, ნიკოლოზს, რომლებმაც მწვალებლობა არჩიეს ქრისტეს მსახურებას: „*რადღა სხუა, თვით ათორმეტთაგანი მოციქული ერთი განმცემელ-ყო და სამოცდაათნი, რომელნი გამოირჩინა ქრისტემან, ორი მათგანი კერპთმსახურებად მიაქცია და შვიდთა დიაკონთაგანი მოციქულთაგან გამორჩეულნი ერთი, რომელსა ეწოდა ნიკოლოზ, წვალებაჲსი ბოროტსა შთააგდო*“[A-119, 6v-7r].

ამის შემდეგ ბესარიონ ორბელიშვილი იწყებს იმ მწვალებლობის ჩამოთვლას, რომლებიც გაჩნდა ქრისტიანობის რელიგიურ მიმდინარეობად ჩამოყალიბების საწყის ეტაპსა და შემდგომ პერიოდებში, რომლებმაც დაიწყეს ქრისტიანული რელიგიის დამახინჯებული სწავლება და საზოგადოების მასიური მიზიდვა, ჩათრევა თავიანთ მოძღვრებებში. რელიგიური დოგმებისა და სწავლებების უგულვებელყოფამ და ქრისტეს ცხოვრების გამიზნულად არასწორ კანონიკურ ნორმებში მოქცევამ განაპირობა საეკლესიო კრებების მოწვევა, ერესების შეჩვენება, განკვეთა და ქრისტიანობისთვის, როგორც რელიგიისთვის კანონიკური თეოლოგიურ-დოგმატური ნორმების, სჯულის კანონის შექმნა. გრიგოლ რუხაძე წერს: „*1. სახელმწიფოს ძლიერებას ერისა და ეკლესიის ერთსულოვნება განსაზღვრავს, ძლიერება კი - მშვიდობას, რომელიც ძირითადი პირობაა მეცნიერების განვითარებისათვის. 2. წმ. მამები ჭეშმარიტი აღმსარებლობის გამომხატველი თითოეული სიტყვისათვის სწირავდნენ თავს, რადგან სწავლის მთელ შინაარსს ხშირად ერთი ტერმინი იტევს. 3. ჭეშმარიტებას გონიერი მტრები ჰყავს და მათთან ბრძოლა სარწმუნოების მეცნიერულსა და ღრმა ცოდნას მოითხოვს, რომლის შეძენაც მხოლოდ შესაბამისი ზნეობისა და სულიერების მქონე მორწმუნეთ ხელეწიფებათ. 4. ეკლესიის სწავლების დასაცავად, პირობითად ერესის მხილების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ: ა) ზოგადი: როცა ეკლესია ერესს მხოლოდ სწორი სწავლების გადმოცემით ებრძვის; ბ) შეგონებით: როცა ავტორი ცდილობს თავის შეცდომაში გაარკვიოს მართალი სწავლების მოწინააღმდეგე; გ)*

ამკარა, როცა მწვალებელი ბოროტმოქმედებაში პირდაპირაა მხილებული. სამივე შემთხვევა ძირითადად შესაბამისი ისტორიული პირობებიდან მომდინარეობს. 5. არც ერთი ერესის წარმოშობის მიზეზი შემთხვევითობა არ ყოფილა და მისი მოქმედება ჭეშმარიტების სიძულვილს უკავშირდება, რომელიც შურითა და ამპარტავნებითაა ნასაზრდოები“ [რუხაძე, 2008:3-4]. მწვალებლები სულაც არ იყვნენ უწიგნურნი, საღვთო წიგნისა და წერილების უცოდინარნი, ისინი საკმაოდ განსწავლულნი იყვნენ, ამიტომაც მათთან ბრძოლა ინტელექტუალურ რინგზე მიმდინარეობდა, მათ ოპონენტებად კი გვევლინებოდნენ წმიდა მამები, ხოლო დაპირისპირების ადგილი ძირითადად იყო საეკლესიო კრებები.

ბესარიონ ორბელიშვილი სანამ უშუალოდ ფლორენციის კრებაზე დასმულ თეოლოგიურ საკითხებს განიხილავს, ჩამოთვლის შემდეგ მწვალებლობებსა და მწვალებლურ მიმდინარეობებს: მანი და მუნტიონი, მანიქეველნი;<sup>88</sup> ნავატი,<sup>89</sup> არიოზი, ევნომიოს, აეტი, ევსევი, ევდუქსი, არიანოზთანნი,<sup>90</sup> ორიგენე,<sup>91</sup>

---

<sup>88</sup> მანიქეიზმი, მანიქეველობა III საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი რელიგიური მიმდინარეობა, მისი დამფუძნებელი იყო მანი/მანესტორი/მანიანი წარმოშობით სპარსი (216-276), მისი მიმდევარი იყო მონტანი: „შთაუთესა კაცთა ვიეთმე მოგუთა და გრძნულთა თქუმად, ვითარმედ მე ვარო ნუგეშინისმცემელი, რომლისა მოვლინებაჲ ქრისტემან აღუთქუა სოფელსა. რომელთაგანი იყო მანიქეველთა წინამძღუარი მანის და მუნტანიოს“ [დოგმატიკონი, 2015:126]. ეს მოძღვრება ფართოდ გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში. მათი შეხედულებით სამყაროს ორი საწყისი ჰქონდა: ნატიფი მატერიის, ანუ ნათლის, და ტლანქი მატერიის, ანუ ბნელის, არსებობას. ამ სწავლების თანახმად, ნათლის მეუფე ღმერთია, წყვდიადისა – დემონი, და ამ ორი საწყისის ურთიერთბრძოლამ წარმოშვა მთელი სამყარო. ღმერთმა, თავისი სიკეთის გამო, სულების გამოსახსნელად დედამიწაზე მოავლინა ქრისტე, რომელიც მზეზე მკვიდრობს. როდესაც იგი დედამიწას ტოვებდა, ხალხს აღუთქვა, რომ გამოუგზავნიდა ნუგეშინისმცემელს, ეს უკანასკნელი იყო მანი. იგი ასწავლიდა სხეულის, როგორც ბოროტი საწყისის დათრგუნვას, უარყოფდა მთელ ძველ აღთქმას, როგორც ბნელეთის მპყრობელის ნაღვაწს და დაწერა თავისი სახარება. მანი ცდილობდა, გარეგნულად მიეზაბა ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის; უამრავი მოწაფეც დატოვა, რომელთაგან თორმეტს „მოციქულები“ ეწოდებოდათ. მანიქეველობამ – ამ ცრუმოდვრებამ, რომელიც ამხილეს ქრისტიანებმა და დევნეს წარმართებმა, კიდევ დიდხანს იარსება გნოსტიკურ სწავლებასთან ერთობაში და თანდათან საკმაოდ დიდი ძალაც მოიპოვა. თავად მანი სპარსეთის მეფის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

<sup>89</sup> „ნავატი (გარდ. 268) - ნოვატი, რომაელი ხუცესი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მღვდელმთავრად კიპრიანეს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებაში. კიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი იმპერატორ დეკეუსის მიერ დაწყებული დევნის დროს ქალაქიდან გაიხიზნა და მოითხოვდა, შიშის გამო დაცემული ქრისტიანები მონაწილეს შემდეგ ეკლესიაში დაებრუნებინათ. მას წინ აღუდგა ნავატი და მისი მიმდევრები (ფელიქსიმე და ნოვატიანე). ნავატი კრძალავდა ბავშვების ნათლისცემას. აღნიშნული მიზეზების გამო, მისი მიმდევრები „წმიდად“ იწოდებოდნენ. 251 წელს კართაგენის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ ნავატი ეკლესიიდან განკვეთა“ [ხალვაში, 2003:90-91].

<sup>90</sup> არიანელობა, არიოზი - დაიბადა 256 წელს ლიბიაში. 311 წელს ეკურთხა დიაკვნად ალექსანდრიის პატრიარქ პეტრესთან, აქილეოსის მიერ - პროტოპრესვიტერად. ებრძოდა გნოსტიკოსებს, საბელიანისტებს. თუმცა 319 წელს მოუვიდა კონფლიქტი პატრიარქთან, რადგან თვლიდა, მამა

საბელიოზ,<sup>92</sup> აპოლინარი,<sup>93</sup> მაკედონიოსი,<sup>94</sup> თევდორე ვინმე ანტიოქიელი, დიოდოროს ტარსუსელი, ნესტორი,<sup>95</sup> მონაზონი ევტიქი, დიოსკორე,<sup>96</sup>

ღმერთისა და ძის თანასწორობა იყო მწვალებლობა, ასე შეიქმნა არიანელობა - მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი პირველი და უძლიერესი ერესი, რომელმაც საუკუნეები იარსება და მისი დაგმობის შემდეგაც მოდიფიცირებულად გააგრძელა არსებობა სხვადასხვა ერესის სახით. განხეთქილება გაღრმავდა. ათანასე ალექსანდიელის თანამედროვენი ამბობდნენ, რომ ის მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ იბრძოდა. იმპერატორმა კოსტანტინემ 325 წლის 20 მაისს მოიწვია პირველი საეკლესიო კრება ნიკეაში, სადაც არიოზის მომღვრება დაგმეს, ხოლო კოსტანტინე დიდის ბრძანებით მისი თხზულებები დაწვეს. არიანელთა უკიდურეს მემარცხენე ფრთს ეკუთვნოდნენ: **ევნომი** (გარდ. 393 წელს), მასთან პოლემიკა გამართეს დიდმა მამებმა ბასილი დიდმა, გრიგოლ ნოსელმა. ის თვლიდა, რომ მამა უმოხელია, ხოლო იყო დრო, როცა ძე არ იყო, ის მამისაგან შეიქმნა, როგორც სული წმინდა; **აეტი** (გარდ. 367 წელს), წარმოშობით კილიკიელი, ცხოვრობდა ანტიოქიაში. თვლიან გონიერ და ძლიერ ორატორად, რომელმაც კამათში ძლია ბასილი ანკვირიელსა და ევსტათი სებასტიელსო. მისი მოწაფე იყო ევნომიოს კაბადოკიელი; **ევსევი** (263-340) - იგივე ევსევი კესარიელი, საეკლესიოს ისტორიკოსი, მას დაუწერია „საეკლესიო ისტორია“, „ქება წმიდათა მოწმეთა“, „სილიბისტროს, რომის პაპის წამება“, „პროკოფის წამება“; ევდუქსი - მიიჩნეოდა ევმონიოსის მიმდევრად, ის ძეს არ მიიჩნევდა მამა ღმერთის თანასწორად, მათ „უმსგავსოთა“ სახელი უწოდეს.

<sup>91</sup>**ორიგენე, ორიგენიზმი - (185-254)**, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, დაიბადა ალექსანდრიაში. მეტსახელად „ანდამანტი“. იყო მაქსიმალისტი, მან დაისაჭურისა თავი, ამიტომაც, 231 წელს, როცა ის მღვდლად აკურთხეს, დიმიტრიოსმა მოციქულთა 22-ე კანონის თანახმად, რომელიც კრძალავდა საჭურისის მღვდლად კურთხევას, ეკლესიიდან განკვეთა. იყო დიდი მწიგნობარი, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეადგენს 6000-მდე გრაგნილი. შექმნა ერთ-ერთი უძლიერესი ერესი ორიგენიზმი, რომლის არსებით ნიშანს შეადგენს: 1. სუბორდინიზმი, რაც, ცხადია, არღვევს ერთარსება-სამების დოგმატს; აღიარებს მასში იერარქიას და თვლის, რომ მამა აღემატება ძეს, ძე - სულს; 2. სულების რეინკარნაციის თეორია. მის თანახმად, აღმოსავლური რელიგიების მსაგავსად, სული არსებობს ხორცის უწინარეს და სახლდება ერთი სხეულიდან მეორეში: განიცდის მეტემფსიქოზს, პლატონიზმის გავლენით; 3. რწმენა ეშმაკის გამოსწორების, ჯოჯოხეთის მოსპობის და საყოველთაო ცხოვნების შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, ორიგენეს დამსახურება მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე უდავოა. შეიძლება ითქვას, მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანული დოგმატების მეცნიერულ-ფილოსოფიურ ენაზე გამოთქმას და გაამდიდრა საეკლესიო მწერლობა. მას დოგმატურ მწერლობაში დიდი ადგილი უკავია. აღზარდა ღვთისმეტყველთა დასი, რომელთა შორის ბრწყინავენ დიონისე ალექსანდრიელი და გრიგოლ საკვირველმოქმედი. მას დიდად აფასებდნენ კაბადოკიელი მამები. ორთოდოქსულმა ეკლესიამ არ მიიღო მისი თეორია მამა ღმერთზე ძე ღმერთის დაქვემდებარების შესახებ და იმპერატორმა იუსტინიანემ ის ერეტიკოსად, მწვალებლად შერაცხა. 543 წელს ქალკიდონის საეკლესიო კრებაზე ორიგენე და ორიგენიზმი, როგორც მიმდინარეობა, დაიგმო თუმცა მისი მომღვრება ძლიერდებოდა, ამიტომაც 551 წელს კოსტანტინეპოლის მეხუთე კრებაზე ორიგენე და ორიგენიზმი ანათემას გადასცა. წმინდა ეპიფანე კვიპრელი წერს: „*63. ფ. ორიგენელნი. ორიგენის ვისგანმე არიან იგი და ხენემისმოქმედ, და იდუმალთა რათმე და უთქუათა აღმასრულებელ; და ჳორცთ მათთა ხრწნილებასა მისცემენ*“ [ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 2012:135], ასევე ანასტასი სინელის წინამძღვარში წერია: „*ხალკიდონისა კრებითგან იქმნა იოსტინიანეს ზე მეფისა მეხუთე საეკლესიო კრებაჲ ორიგენესთჳს და დიდკმობს და ევაგრე ავამობს მზრახველთა, რომელნი იტყოდეს სულთა ჩუშნთასა ეშმაკთა თანა ზეცით გარდამოვრდომილებასა გუამთა მომართ ჩუენთა და ვითარმედ დასასრული აქუს სატანჯველსა და ამის-ძლით კულად-ეგების ეშმაკი პირველსავე ანგელოზებრსა წესსა თჳსსა*“ [დოგმატიკონი, 2015:131]. ორიგენე იმპერატორ დეკეუსის ბრძანებით წამებით აღესრულა ტვიროსის ციხეში.

<sup>92</sup>**საბელიოზ** (III ს. ) - რომაელი ხუცესი, წარმოშობით ლიბიის პტოლემიდიდიდან. სახელი გაითქვა ორიგენეს გარდაცვალების შემდეგ. მონარქიანიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ცნობილია, რომ ის მამის, ძისა და სული წმინდის ჰიპოსტასურ შერევას, ანუ სამების ერთ ჰიპოსტასად არსებობას ქადაგებდა: „*საბელიანელნი, რომელნი-იგი მსგავსად ნოვიტოისა ადიდებენ, თჳნიერ რომელ არა*

იტყვან მამას ვნებულად; ხოლო ქრისტეს სიტყუად პირის გამომავლად და კუალად შემავალად იტყვან“ [ოთხმოცთა წვალებათათჳს, 2012:135]; „საბელიანოზთა, რომელნი ძე-მამობას ასწავებენ და სხუათცა რათმე უშუერებათა იქმან“ [დიდი ხჯულისკანონი, 1975:263-264]; „საბელიოზს ბრძოლის მგონებელი, სამთა სხუა ნათესავთა არსებათა ერთარსისა სამებისათჳს წარჰრევდა“ [დოგმატიკონი, 2015, გვ. 167].

<sup>93</sup> აპოლინარი (გარდ. 390 წ.) - ლაოდეკიის (სირია) ეპისკოპოსი 346-356 წლებში, საეკლესიო მწერალი და ღვთისმეტყველი. საეკლესიო ისტორიკოსების ცნობით, იყო ღრმად განსწავლული. თავდაპირველად ის ნიკეის კრების დადგენილებების აღმსრულებელი ყოფილა, 362 წელს კი დაუპირისპირდა დიოდორე ტარსელს და განავითარა მოძღვრება, რომ იესო ქრისტეს განკაცებისას არ მიუღია კაცობრივი გონიერი სული. ეს მოძღვრება გავრცელდა ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლში, სირიასა და მის მეზობელ ქვეყნებში. მათ შექმნეს თემები და ჰყავდათ ეპისკოპოსები. ალექსანდრიის 362 წელს ათანასე დიდის ინიციატივით მოწვეულმა ალექსანდრიის საეკლესიო კრებამ დაგმო აპოლინარის სწავლება. 375 წელს, როდესაც აპოლინარელები ეკლესიას გამოეყენენ და დამოუკიდებელი სექტა შექმნეს, რომის საეკლესიო კრებამ ხელმეორედ შეაჩვენა ისინი. 381 წლის კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრებამ ეს მოძღვრება მწვალებლობად გამოაცხადა და მართლმადიდებლობაში დაბრუნების შემთხვევაში მათ ასეთი მოთხოვნები წაუყენა: „აპოლინარელთა შევიწყარებთ ესრეთ: მოვსთხოვთ ლიველინსა, რომელ არს ქარტით სიმტკიცისაჲ და შეჩვენებად უბრძანებთ ყოველსა წვალებასა არა აღმსარებელსა ესრეთ, ვითარ აღიარებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ ღმრთისაჲ და ესრეთ დავჰბეჭდავთ, ესე იგი არს, ვსცხებთ წმიდასა მიჰრონსა შუბლსა და თუალთა და ცხვრთა და პირსა და ყურთა და დავჰბეჭდვიდეთ რაჲ მათ, ვიტყვთ: საბეჭდავი ნიჭთა სვლისა წმიდისაჲთა“ [დიდი სჯულის კანონი, 1975:263], „აპოლინარელთა შევიწყარებთ ესრეთ, რამეთუ მოვსთხოვთ კელითწერილსა და შეჩვენებასა უბრძანებთ ყოველისა წვალებისასა, რომელი არა აღიარებს ესრეთ, ვითარცა აღიარებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ ღმრთისაჲ და დავბეჭდავთ მათ, ესე იგი არს ვსცხებთ წმიდასა მიჰრონსა პირველად შუბლსა და თუალთა და ცხვრსა და პირსა და ყურთა და დავჰბეჭდვიდეთ რაჲ, ვიტყვთ: საბეჭდავი ნიჭი სულისა წმიდისაჲ“ [დიდი სჯულის კანონი, 1975:402]. ამ მწვალებლობის მიმდევართა წინააღმდეგ 388-428 წწ. იმპერატორთა რამდენიმე დეკრეტი გამოქვეყნდა.

<sup>94</sup> მაკედონიოსი (გარდ. 362 წ.) - იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი (341-346, 351-360 წწ.), ნახევრად არიანული მწვალებლური მოძღვრების „სულისმებრძოლთა“ პნევმატომაქთა ერესის, დამაარსებელი, რომელიც უარყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას და ქადაგებდა, რომ ძე-ღმერთი მსგავსია მამა-ღმერთისა და სულიწმიდა მათი თანასწორი არ არის. „სულისმებრძოლთა“ ერესი ფართოდ გავრცელდა ივლიანეს მეფობის (361-363 წწ.), ამ მოძღვრების მწვალებლური აზრების დასაგმობად მოწვეული იქნა კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრება 381 წელი, რომელსაც ესწრებოდა მაკედონიოსი და მისი მიმდევარი 36 ეპისკოპოსი, მაკედონიოსი ეკლესიიდან განკვეთეს და მისი მოძღვრების მიმდევრები არიანელობის წიაღიდან აღმოცენებული ერესები - საბელიანიზმი, მარკელიანიზმი, ევზუმიანიზმი, აპოლინარიზმი, ფოტიანიზმი და სხვა - დაგმეს: „ხოლო მეორე წმიდაჲ მსოფლიოჲ კრებაჲ კოსტანტინუპოლის ასორმოცდაათთა წმიდათა მამათაჲ იქმნა თეოდოსის ზე დიდისა მეფისა მაკედონიოსისთჳს, კოსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი დაბადებულად იტყოდა სულსა წმიდასა. ხოლო წმინდამან კრებამან, დამამკობელმან მაკედონიოსისმან, თანაარსად მამისა და ძისად ქადაგა სული წმიდაჲ, და შესძინა მრჩამსსა თანა: „და სულისა წმიდისა, უფლისა და ცხოველსმყოფელისა“ [დოგმატიკონი, 2015:130]; „დიდისა თევდოსისა ზე მეფისა ჩუენისა სამეუფოსა ამას შინა ქალაქსა შეკრებულთა ასერგასისთ წმიდათა მამათა ქადაგებულსა სარწმნოებასა დავამტკიცებთ შემწყნარებელნი ღმრთისმეტყუელთა კმათ მათთან ალსარებისათჳს სულისა წმიდისა, რომელთა იგი ბილწი მაკედონიოს უპირატესთა მისთა მტერთა თანა ჭეშმარიტებისათჳს განკუეთეს, ვითარცა თავკედლობით მონებად შთამომყვანებელი მეუფებისაჲ და განწვალებასა განუწვალებელისა ერთობისასა ავაზაკებრ შემომღებელი, რათა არა უსრულ იყოს საიდუმლოჲ სასოებისა ჩუენისაჲ ამას უკუე საძაგელსა წინააღმდეგომსა თანა ჭეშმარიტებისასა“ [დიდი სჯულის კანონი, 1975:369],

<sup>95</sup> თევდორე ანტიოქელი, იგივე, მომფსუესტელი (350-428), დიოდორუს ტარსუსელი (გარდ. 390 წ.) და ნესტორი (V ს.) - ანტიოქიის ადრექრისტიანული სკოლის წარმომადგენლები. დიოდორე 379 წელს აკურთხეს ტარსუს ეპისკოპოსად, 381 წელს ესწრებოდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებას, იყო საკმაოდ განსწავლული, მისი მოწაფე იყო თევდორე მომფსუესტელი, ისინი იყვნენ იოანე ოქროპირის



უვალენტთან, მარკიანელთან<sup>97</sup>: *„კულად სხუანი მწვალელები აღადგინა ეშმაკმან მანის და მუნტარიოს, რომელი იტყოდეს თავთა თვისთა, ვითარმედ ჩუენ*

თანამედროვენი, თევდორე ანტიოქელი მასთან ერთად მონასტერშიც კი მსახურობდა, მაგრამ მალე ეკლესია მიატოვა და საერო ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ იოანე ოქროპირის წერილის შემდეგ ეკლესიაში დაბრუნდა და მომფსუესტიის ეპისკოპოსი გახდა, იყო ძლიერი ეგზეგეტიკოსი. მისი მოწაფე იყო ნესტორი „*თეოდორე მომფსუეტელი მოძღვარი ნესტორისი*“ [დიდი სჯულისკანონი, 1975:370]. ისინი ითვლებიან ნესტორის წინამორბედად. ცნობები მათი მწვალელობის თაობაზე დაცულია კირილე ალექსანდრიელის ანტინესტორიანულ ტრაქტატში. ნესტორი წარმოშობით სირიიდან, გერმანიკის კესარიიდან იყო. შთამომავლობისა და დაბადების წელი ცნობილი არ არის. წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, „ის გამოვიდა სიზინძურიდან და მისი მოდგმა იყო სამარცხვინო“. დაამთავრა ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლა. გარკვეული ხანი გაატარა მონასტერში და შემდეგ მღვდლად ეკურთხა. იყო კარგი მოქადაგე. ჟამთააღმწერლის შეფასებით იყო კარგი მჭევრმეტყველი, მაგრამ ნაკლებად გონიერი. მიუხედავად ამისა, პირადი აქტიურობითა თუ ნაცნობ-მეგობრების წყალობით, სამეფო კარის ნდობა დაიმსახურა და, იმპერატორ თეოდოსი II-ის (მცირის) ზეგავლენით, 428 წელს დედაქალაქის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს. მალევე გამოთქვა აზრი, რომ ქრისტეს დედას არ შეეფერებდა სახელი „ღვთისმშობელი“, რადგან ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს დედა. ნესტორი თვლიდა, რომ ჯერ იშვა კაცი და შემდეგ ღმერთი. 431 წელს კირილე ალექსანდრიელის ინიციატივით მოწვეულ მესამე საეკლესიო კრებაზე დაგმეს „*ბილწნი და გარდაქცეულნი სჯულნი ნესტორისნი*“ [დიდი სჯულისკანონი, 1975:266] და ჯერ ანტიოქიაში, შემდეგ კი ეგვიპტეში გადაასახლეს, ნესტორს მიმდევრები ჰყავდა საქართველოშიც, განსაკუთრებით შეიმჩნეოდა მათი მომრავლება მას შემდეგ, რაც ირანელებმა დაიპყრეს ქართლი.

<sup>96</sup> **მონაზონი ევტიქი (378-454), დიოსკორე (გარდ. 454 წ.)** - ევტიქი იყო კოსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტი, ის აღიარებდა ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას, როცა ქრისტეს დაბადების შემდეგ ღვთაებრივმა ბუნებამ შთანთქა კაცობრივი ბუნება. დიოსკორემ თავისი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა ალექსანდრიის პატრიარქის საყდარი. 449 წელს იყო ეფესოს საეკლესიო კრების თავჯდომარე. ის მხარს უჭერდა ევტიქის, ამიტომაც კრებაზე მისი მწინააღმდეგენი ფლავიანე და ევსები შეაჩვენეს, მაგრამ ქალკედონის საეკლესიო კრებამ 451 წელს ეფესოს კრების გადაწყვეტილება გააუქმა და ევტიქი და დიოსკორე ეკლესიიდან განდევნა: „*მერმე სავედრებელისა მიმცემელმან მეფისამან ევტჯქიოს არწმუნა მას და მოწოდებით დიოსკორეს, ალექსანდრიელთა პაპისაჲთა, შეკრიბა ეფესოს მეორე კრებაჲ ფლავიანესთჳს, ავაზაკებრად სახელდებული, რომელსა შინა, მოწყლული წყლულებითა მათ მიერ, ნეტარი ფლავიანე მიიგვალა. რომლისა-ძლით მეოთხე წმიდაჲ კრებაჲ ხალკიდონისაჲ შეკრიბა დიოსკორეს და ევტჯქისთჳს, წვალებისმთავართა, ერთისა ბუნებისა მტყუელთა ქრისტეს ზედა*“ [დოგმატიკონი, 2015:131]; *„კულად, ევტჯქის-ძლით და დიოსკორე და თეოდოსისა, უეჭუელად შეურაცხ-იქმნეს ერთსა ბუნებასა ღმრთეებისა და კაცებისას მსისა მტყუელი კმა*“ [იქვე, გვ. 150].

<sup>97</sup> **გნოსტიციზმი** - ადრეული ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური, ერეტიკული მიმდინარეობა, „გნოსის“ ნიშნავს ცოდნას, „გნოსტიკოსი“ - მცოდნეს; ის ცდილობდა შეექმნა მოძღვრება ღმერთის შესახებ, სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ ქრისტიანულ-რელიგიურ დოგმატებზე, იდეალისტურ ფილოსოფიასა და იუდეველობაზე დაყრდნობით. ისინი ასპარეზზე მასობრივად გამოჩნდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, დანაწილებული იყვნენ მრავალრიცხოვან და წვრილ-წვრილ სექტებად, რომელთაგან გამოირჩეოდნენ: მენანდრელები, კერინთოსიანელები, დოსითეისანელები, დოკეტისტები, კარპოკრატელები, მარკიონიტები, ვალენტინელები, სატურნინელები და სხვები. სახელწოდებათა უმრავლესობაში ასახულია ერესიარქების ვინაობა: ბასილიდ სირიელი, ვალენტინ ეგვიპტელი, კარპოკრატ ალექსანდრიელი და სხვა. უარყოფდნენ ძველ აღთქმას, ძე ღმერთსა და სული წმინდას მამა ღმერთზე დაბლა აყენებდნენ. ვალენტინე იყო გნოსტიკური ფილოსოფიის გამორჩეული წარმომადგენელი, ის მამამ რელიგიური შეხედულებების გამო ეკლესიიდან განდევნა, ის პონტოდან რომში წავიდა და მთელი ქონება ეკლესიას შესწირა. ის თვლიდა, რომ ქრისტე ზეციური სუბსტანციაა, რომელიც დედის, მარიამის საშუალებით მოევლინა

ვართო ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი თქუაჲ ქრისტემან მოვლინებაჲდ თვისთა მოწაფეთა და სხუანი მრავალნი გმობანი თქუნეს...

...განქარდა რაჲ წვალებაჲ იგი მანისა და მუნტანიოსი და ნავატისი, გამოაჩინა წვალებაჲ იგი არიოზთა ბოროტი და სულთა წარმწყმედელი, რომლისა წინამძღუარი იყო არიოზ, ევნომიოზ და აეტი, ევსევი, ევლუქსი და სხუანი მრავალნი გმობარნი ძისა ღვთისანი, რომელნი განყოფდეს არსებაჲსა დ ბუნებაჲსა ღთაებისასა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სხუად და სხუად არსებაჲდ იტყოდეს, რამეთუ ამან ბოროტმან არიოზ წიგნისაგან **ოროგინეს** მიიღო წვალებაჲ ესე, რამეთუ ოროგინე დაწერა, მამა უფროს არსო ძისაო, ძე სულისა წმიდისაჲ, ვითარცა სული წმიდა ანგელოზთა და ანგელოზნი ჩუენ კაცთაო... ამის ბოროტისა გმობისაგან შეშინებულმან **საბელიოს** შერევნით თქუაჲ გუამოვნებაჲ წმიდისა სამებისა და შერწყმით და შერევნით აღიარა.

და მათ თანა გამოჩნდა **აპოლინარიცა**, რომელი ჰგმობდა და იტყოდა, ვითარმედ არა მიიღო ქრისტემან სრულებით ბუნებაჲ კაცთაო, არამედ უსულოდ და უგუნებოდ იტყოდა ჳორცთა ქრისტესითა.

ამას ზედა აღადგინა და **მაკედონიოსიცა**, მგმობარი სულისა წმიდისა და თანასწორად მამისა და ძისა არა აღიარებდა სულსა წმიდასა... ჳელ-ყო განყოფად ჳორცთა ქრისტესითა ღვთაებისაგან და ერთსა მას ქრისტესა ორად განჳკუჭთდა. ამის განჳკუჭთელებისა და განყოფისა მიზეზ და წინამძღუარ იქმნეს **თევდორე ვინზე ანტიოქელი** და **დიოდოროს ტარსუსელი**, რომელთაგან ვითარცა ძირი სიმწირისა და ნერგი საეშმაკო აღმოსცენდა **ნისტორ** და იქმნა ეპისკოპოზ კოსტანტილეპოლისა და განიდევნა, რაჲ კრებისა მიერ თვისისა საყდრისაგან ბოროტისა მისთვის წვალებისა შუამდინარისა კერძოთა წარვიდა და მუნ

---

სამყაროს. მარკიონი ერთ-ერთი ცნობილი გნოსტიკოსი, უარყოფდა ძველ აღთქმას, რადგანაც თვლიდა, რომ ქვეყნის შემოქმედი არ იყო სრულფასოვნად შეფასებული. მარკიონი თვლიდა, რომ ქრისტეს, როგორც ამსოფლიური არსების, სხეული და გოლგოთაზე ჯვარცმა იყო მოჩვენებითი. 144 წელს რომის ეკლესიამ მას ქონება დაუბრუნა და ეკლესიიდან განდევნა. თამარაშვილის ცნობით, მარკიონს შემდეგ საქართველოში, ფაზისში უნდა ეცხოვრა „უალენტიანთა და მარკიონელთა და თჳთ ამათ კეჳუზინელთაჲ, რამეთუ მეყსეულად ღმრთისა მიმართისა სარწმუნოებისათჳს არს განყოფილებაჲ“ [დიდი სჯულსკანონი, 1975:473].

დასთესნა გესლნი თვისისა წვალებისნი და ყოველივე აღმოსავლეთისა კერძო შუაგინა.

... უღთომან **ნისტორ** ორად განყო ქადაგებაჲ ქრისტეს განკაცებისა და ორად გუამად იკადრა თქმად განყოფილად ღვთაებაჲ და განყოფილად კაცებაჲ ქრისტესი. ამისთვისცა ღვთისმშობელსა უარყოფდა და ქრისტეს მშობლად იტყოდა წმიდა მას ქალწულსა, ვითარმცა განყოფილად იყო ღმერთ და განყოფილად ქრისტე... შემდგომად რავდენტთამე ჟამთა გამოჩნდა კონსტანტილეპოლის მონოზანი ვინმე უღთოჲ არქიმანდრიტი მონასტრისა სახელით **ევტიქი**. ამან, უკეთუ, რომელმან აღმოიკითხნა წიგნი **მანიქეველთანი, უვალენტიანეთანი და მარკიანელთანი და არიანოზთანი** და მათგან ისწავა ყოველი ბოროტი...და იტყოდა, ვითარმედ საოცრად იყო განკაცებაჲ ქრისტესი. ამისთვისცა არა აღიარებდა, არცა შეიწყნარებდა ორთა ბუნებათა ქრისტესთა, არამედ ერთსა ბუნებასა და ერთსა საქმესა და ნებასა იტყოდა ღთაებისასა და კაცებისა მისისა და წმიდა მას ქალწულსა არცა იგი აღიარებდა ღვთისმშობელად... ესმა მისი **დიოსკოროს**, ალექსანდრიის პატრიარქსა და ისწავა მისგან წვალებაჲ იგი მისი ბოროტი და მანცა უარყო ორი ბუნებაჲ ქრისტესი. ამას ზედა შეკრბეს ქალკოდონს ექსასოცდაათნი მამანი და შეაჩუჭნეს ევტუქი და დიოსკორე და განდევნეს იგინი წმიდისა კათოლიკე ეკლესისაგან“ [A-119, 7v-10v].

ბესარიონ ორბელიშვილის აზრით, ადრექრისტიანული და წინარე ხანის ცოდვები, წვალებები, მწვალებლები არ დასრულებულა საეკლესიო კრებებით, ყოველი ახალი მწვალებლობა წინას გაგრძელება იყო და სხვადასხვა ვარიაციით იმეორებდა საეკლესიო კრებებზე მიღებული დოგმების ან უარყოფას, ან გარდაქმნას, ეს განსაკუთრებით შეეხო სული წმინდის გამომავლობას, როგორც აღმოსავლური ქრისტიანული რელიგიის საფუძველს. ეს დამოკიდებულება გაგრძელდა დიდი სქიზმის შემდეგაც, რაც საფუძველი გახდა ე.წ. მერვე საეკლესიო კრებად წოდებული, ფლორენციის კრების მოწვევისა. ისიც აღსანიშნავია, რომ შვიდივე საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას რომის ეკლესიაც უერთდებოდა, რომელიც ქრისტიანულ დიპტიხში ყოველთვის სათავეში იყო, პირველ ადგილს იკავებდა. ამიტომაც სანამ ფლორენციის კრებას და იქ მიღებულ

გადაწყვეტილებებს შეეხებოდა, ბესარიონ ორბელიშვილმა გაიხსენა და განიხილა ქრისტიანობის ისტორია.<sup>98</sup>

მწვალელობისა და მწვალელებელთა შეხსენებისა და მიმოხილვის შემდეგ ბესარიონ ორბელიშვილი მკითხველს ახსენებს ფლორენციის კრების მოწვევის მიზეზებს, ის შეუნიღბავად ხაზს უსვამს ფლორენციის კრების პოლიტიკურ შინაარსს და ქვეტექსტს, პოლემიკა თეოლოგიური დისკუსიის ნიღბის ქვეშ მოიცავდა ბრძოლას გავლენების მოსაპოვებლად და წმინდა ქალაქის, კონსტანტინეპოლის გადასარჩენად.

ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ კრებას ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოდან, საერო და სასულიერო პირები, მათი ხელმოწერა უნიაზე არ დაფიქსირებულა, ისინი მარკოზ ეფესელის მხარდამჭერად ითვლებოდნენ. ქართული მხარე შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული დოგმებისა და განჩინების ერთგულნი დარჩნენ. მართალია, ეს ფაქტი ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლში“ სიტვასიტყვით არ აღუნიშნავს, მაგრამ თხზულების პირველი თავის, პრობლემის ზოგადი ნაწილის, მიმოხილვას ამთავრებს სიტყვებით, რომელიც აღნიშნულ კრებაზე ქართველთა პოზიციის აღიარებას უნდა წარმოადგენდეს: *„და უმეტეს ჩუენ ქართველთა ოდეს მოგუწყენეს სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და ნათელი ღვთის მეცნიერებისა შევიწყნარეთ წმიდისა მოციქულისა ანდრიას მიერ, მერმე შემდგომად წმიდისა ნინოს მიერ დღითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი ურწმუნოებაჲდ, არცა შეუწყნარებიეს, ოდესცა წვალებაჲ იგი ბოროტი მთესველისა მის ღუარძლისა, ვითარცა იგი სხუანიცა მოსაკსენებელნი გუაუწყებენ, რამეთუ დასაბამითგან ვიცანიით, რაჲ ჭეშმარიტებაჲ მტკიცედ ვჰგვიეთ მასვე საფუძველსა ზედა, რომელი გუასწავეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა, არა რაჲ დაგვიკლეს, არცა რა შეგვიმატეს, ესრეთ გურწამს, ესრეთ აღვიარებთ და ესრეთ ვქადაგებთ, ვითარცა ესერა წერილ არს“* [A-119, 15r-15v].

ტექსტის ძირითად ნაწილში საუბარია ფლორენციის კრებაზე განხილულ

<sup>98</sup> მსგავსი რიტორიკა შეიმჩნევა ანტიკათოლიკურ თხზულებაში „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისაგან“ [Q-52, 13r-27r]

თეოლოგიურ საკითხებზე, კერძოდ, ცამეტი ქრისტიანული დოგმის შესახებ. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ბესარიონ ორბელიშვილის მიერ თხზულებაში ამ საკითხების სტრუქტურული კონსტრუქციის, „გრდემლის“ ტექსტოლოგიური ანალიზი.

## 2. სული წმინდის გამოსვლა მამისგან (filioque)

თხრობა იწყება შემდეგი საკითხის ანალიზით: *„წმიდისა და თაყუანისაცემელისა სამებისა შორის თქუჴს შერევნა და სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოსვლით აღიარეს, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა, რამეთუ არა ოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოებაჲ არცა ერთსა კრებათა შინა, არცა ვის ერთსა წარმართთაგანსა უკადრებიეს ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი აღიარებენ“*. ავტორი პრობლემას განიხილავს რამდენიმე თავში, რომელიც ზემოთ დეტალურად გვქონდა მიმოხილული.

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების ძირითადი არსი მოცემულია მრწამსში. მრწამსი, ანუ რწმენის სიმბოლო, არის მოკლე გარდამოცემა იმ ძირითადი სარწმუნოებრივი დებულებებისა, რომელთა აღიარება და შესრულება ყოველი ქრისტიანისათვის აუცილებელია, ის არის ყოველდღიური ლოცვების სავალდებულო ნაწილი, რაც იმის შეხსენებაა ყოველი ქრისტიანისთვის, თუ რის ერთგულება მოეთხოვება მას.

ქართული სახელწოდება „მრწამსი“ მომდინარეობს პირველი სიტყვიდან: „მრწამს ერთი ღმერთი...“, მას ასევე მეორენაირად ეწოდება „სიმბოლო სარწმუნოებისა“, სხვა ენებში იგი სწორედ ასეა გადმოცემული. მრწამსი წარმოითქმის ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების დროს, როგორც საჯაროდ წარმოთქმული აღსარება, ამით ის, კათაკმეველი, ეთანხმება და აღიარებს ყოველ მუხლს, რომელიც მრწამსშია გადმოცემული და ის ინათლება მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი ჭეშმარიტებებით. ადამიანმა უნდა დაადასტუროს, რომ ღმერთი სწამს სწორედ ამგვარად და არა სხვანაირად და არ რცხვენია სარწმუნოებისა, ანუ არ რცხვენია უფლისა.

მრწამსში შედის 12 მუხლი (წევრი). მისი ტექსტი წმინდა მამებმა დაადგინეს პირველ (ნიკეის კრება 325 წელს) და მეორე (კოსტანტინეპოლის კრება 381 წელს) მსოფლიო საეკლესიო კრებებზე. ქრისტიანობის პირველი დღიდან, პირველი ეკლესიის შექმნიდან, თითქმის სამი საუკუნე, ყველა ქრისტიანს საერთო სიმბოლო და საერთო ლიტურგიკული წესი არ ჰქონდა, მათ ჰყავდათ ერთი ღმერთი და ჰქონდათ საერთო რწმენა. მწვალებელ არიოზიანელთა მომრავლებამ და გაძლიერებამ კი აუცილებელი გახადა ქრისტიან აღმსარებელთა შეკრება და დოგმებისა და საეკლესიო კანონების დამტკიცება. ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული დოგმა იყო „მრწამსი“. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლში“, მოცემული ფლორენციის კრების თემატური ანალიზის, მეორე თავის, დასაწყისი და მრწამსი თითქმის იდენტურია:

<p>„გურჯამს ერთი ღმერთი, ყოვლისა შემპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქუეყანისა ხილულთა და არა ხილულთა, მიუწდომელი, გამოუთქმელი, უხილავი, გარე შეუწერელი, უსაზღვრო, მარტივი, შეურევნელი, დაუსაბამო, დაუსრულებელი, ერთი ღმერთი, სამებით სამთვითებით, სამგვამოვნებით და სამპირებით ცნობილი, ერთარსებით, ერთბუნებით და ერთკელმწიფედ აღსაარებული, მამა და ძე და სული წმიდაჲ, არა განყოფილნი ნათელნი, არამედ ერთი ნათელნი, არა განკუჭთილნი ბუნებაჲ, არამედ ერთი ბუნება, არა განთვითებული არსებაჲ, არამედ ერთი არსებაჲ, ერთი კელმწიფებაჲ, ერთი</p>	<p>„მრწამსი“ – „მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა. და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო, და</p>
--	--

<p><i>მეუფებაჲ, ერთი უფლებაჲ</i>“[A-119, 15r],</p>	<p>დაეფლა. და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ. ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკუდრეთით“</p>
--	---

ნიკეის კრებაზე მრწამსი შემდეგი სახით მიიღეს: „გვწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ხილულთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი, ღმერთი ღმრთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, ვითარცა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა, და ხორცნი შეისხნა და განკაცნა. და ივნო, და აღსდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა. და კუალად მომავალ-არს განსჯად ცოცხალთა და მკუდართა, ერთი სული წმინდა“ [ლებედევი, 2012:44]. კოსტანტინეპოლის მეორე საეკლესიო კრებაზე მრწამსში მცირე ცვლილება შევიდა, მრწამსის დასაწყისს დაემატა „ცა და მიწა“ – „გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანასა, ხილულთა ყოველთა და არა

ხილულთა.“; ასევე ჩამატებული სიტყვა „მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“; ამოღებულია სიტყვები: „ღმერთი ღმერთისაგან“ და „მამისაგან შობილი, ღმერთი ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან“ ნაცვლად მიღებულია შემდეგი სიტყვათწყობა: „მამისაგან შობილი, ნათელი ნათლისაგან“ [ლებედევი, 2012:143]. ეფესოს (431 წელი) მესამე საეკლესიო კრების განჩინებით აიკრძალა მრწამსში ცვლელება: „რომელთა იკადრონ მოპოვნებაჲ სხვსა სარწმუნოებისაჲ, ესე იგი არს შემოღებაჲ ანუ წუნა-ყოფაჲ და ინებონ გარდაქცევაჲ მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა, ანუ ელენობისა, ანუ ჰურიაობისა, ანუ რომლისაცა წვალებისა მიმართ, ესენი, უკუეთუ ეპისკოპოსნი ანუ მოყუასნი იყვნენ, უცხოდ შერაცხილ იქმნენ ეპისკოპოსობისაგან და მოყუასნი - მოყუასობისაგან, ხოლო უკეთუ ერისკაცნი იყვნენ - შეიჩუნენ“ [დიდი სჯულისკანონი, 1975:266]. საეკლესიო კრების მორჩილებას ადასტურებს ევსტრატე ნიკიელი ანტიპაპისტურ ტრაქტატში: „და რამეთუ სარწმუნოებისა ჩუენისა წმიდაჲ საზღვარი ყოველთა საყდრისმონაცვალეთა ურთიერთასთა კეთილად დაამტკიცეს, რომლისა წინააღუდგომელად თანაჯერმჩინებელ იქმნეს წინამძღუარნი და მნათობნი დიდისა ჰრომაელთა ეკლესიისანი და უქცეველად შჯულად დადვეს, რაჲთა არღარაჲ შეემატოს, არცა დააკლდეს წარმოთქმულსა მას საზღვარსა სარწმუნოებისასა, არამედ მკადრებელთაცა ამისთა ყოვლად ყოვლითურთ ეკლესიით განყრაჲ ბრძანეს“ [რაფავა, 2014:154-155]. მას მოჰყავს ისტორიული ცნობები, როცა უკვე განდგომილმა, რომის ეკლესიის მღვდელთმთავრებმა ლეონმა და ვენედიქტემ მრწამსის უცვლელობის დასტურად პირველმა თიხის ფირფიტაზე ბერძნულ-ლათინურად ამოტვიფრა მრწამსი, ხოლო მეორემ სავალდებულო გახადა მრწამსის ბერძნულ ენაზე წარმოთქმა. ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტით ევსტრატე ნიკიელი ადასტურებს რომის ეკლესიის მორჩილებას შვიდ საეკლესიო კრებაზე და ჩნდება კითხვა, როდის იყო რომის ეკლესიის მოძღვრება ჭეშმარიტი, როცა აღიარებდა და ემორჩილებოდა შვიდი საეკლესიო კრებების განჩინებებს, თუ როცა



აღიარა რედაქტირებული საეკლესიო კანონები?!

მრწამსის არსობრივი ნაწილის განხილვა იყო ბესარიონ ორბელიშვილის მხრიდან საეკლესიო კრებების<sup>99</sup> და მისი განჩინების პატივისცემაც და მორჩილებაც, ამის შემდეგ იწყება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების უმთავრესი განსხვავების, სულიწმინდის გამომავლობის, filioque-ს ახსნა მართლმადიდებელი ქართველებისთვის: „*მამა უშობელ არს და უმიზეზო, ხოლო ძე შობილი მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მამისგან აქვს მიზეზობაჲ და შობაჲ, ეგრეთვე სული წმიდა გამოსრული მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მასცა მამისაგან აქვს მიზეზი გამოსვლისა და თვნიერ ამისა, არა არს მათ შორის განყოფილ, არცა განთვისებულ, არცა განკერძოებულ, არცა რომელიმე პირველ და რომელიმე უკანასკნელ, არცა უდარეს, არცა უადრეს, არცა ჟამითა, არცა წამითა, არცა მოგონებითა, არცა ნებითა, არცა განძრახვითა, არცა საქმითა, არამედ ყოვლითურთ სწორი ერთობითა, არსებითა და ბუნებითა*“ [A-119, 17v-18r]. ნიკეა-კოტანტინეპოლის კრებაზე მიღებული სარწმუნოების სიმბოლოს - მრწამსის - მიხედვით, სული წმინდა მხოლოდ მამისაგან გამოდის, მამა არის ღვთაებრივ პირთა საწყისი, ძე იშვა მამისაგან, სული წმინდა კი გამოვალს მამისაგან, ამიტომ აღმოსავლეთის ეკლესიის სწავლებით, მამა, ძე და სული წმინდა ერთარსია. სამება ერთარსების სამი ჰიპოსტასური შეუცვლელი და შეურევნელი: „*ხოლო არა იცვალეების მამა ძედ, არცა ძე მამად, გინა სულად, არცა სული წმიდაჲ მამად ანუ ძედ, არამედ თვთებაჲ ესე სამგუამოვნისა ერთ ღთაებისა შეუცვალეებელ არს და უქცეველ, შეურევნელ და განუყოფელ, არა განიყოფიან არსებითა და ბუნებითა მეუფეობითა და კელმწიფებითა, არცა შეირევან და შეირწყმიან თვითებითა და გუამოვნებითა, პირებითა და სახელისდებითა*“ [A-119, 18r]. დასავლეთის ეკლესიის სწავლებით, სული წმინდა გამოვალს მამისაგან და მისაგანაც - filioque. ბესარიონ ორბელიშვილი სამების მნიშვნელობის ანალიზს ეპითეტური თხრობით

<sup>99</sup>მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იკრიბებოდნენ ეკლესიის მამები სრულიად საქრისტიანო სამყაროდან. საეკლესიო კრებები, როგორც წესი, რომელიმე ერისის წინააღმდეგ და საერთო საქრისტიანო კანონებისა და დოგმების მისაღებად იმართებოდა. კრებები ტარდებოდა არა გეგმიურად, არამედ უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, რათა ეკლესია დაეცვათ არასწორი სწავლებებისაგან, რაც ამა თუ იმ ეპოქაში სხვადასხვა სახით ემუქრებოდა ეკლესიას. შვიდ საეკლესიო კრებაზე მიიღეს ის წეს-განგება, რომლითაც ხელმძღვანელობს ეკლესია დღემდე და მისი ცვლილება ეკლესიისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

იწყებს: „მამასა უშობელსა, უმიზეზოსა, დაუსაბამოსა, უხილავსა, უსაზღუროსა, ძესა თანა დაუსაბამოსა, თანასწორსა მეფობითა და კელმწიფებითა, ძლიერებითა და უფლებითა და სულისა წმისა მისვე არსებისა და მისვე ბუნებისაგან გამოსრულსა, თანასწორსა მეფობითა კელმწიფებითა დაუსაბამოებითა და გარეშეუწერელობითა. ერთსა ძალსა, ერთსა კელმწიფებასა და მსფობასა, ერთსა უფლებასა სამთა თვითებითა და გუამოვნებითა და ერთითა არსებითა და ბუნებითა“ [A-119,17v]. ბესარიონ ორბელიშვილის ეპიტეტური საუბარი იოანე დამასკელის საუბრის იდენტურია: „გვწამს ერთი ღმერთი, ერთი დასაბამი - დაუსაბამო, შეუქმნელი, უშობელი, წარუწყმედელი, უკვდავი, საუკუნო, უსასრულო, გარეშეუწერელი, შემოუსაზღვრელი, უსასრულოდ ძლიერი, მარტივი, შეუდგენელი, უსხეულო, წარუდინებელი, უვნებო, უცვლელი, გარდაუქმნელი, უხილავი...ერთი არსება, ერთი ღმრთიება, ერთი ძალა, ერთი ნებელობა, ერთი მოქმედება, ერთი დასაბამი, ერთი ხელმწიფება, ერთი უფლება, ერთი მეუფება სამ სრულგვამოვნებაში (შეურევლად შეერთებულებში და განუცალკევებლად განყოფილებში, რაც არის სწორედ საკვირველი) ცნობილი და თაყვანცემული ერთი თაყვანისცემით, ყველა მოაზროვნე ქმნილებისგან რწმენილი და მსახურებული, მამა, ძე და წმინდა სული, რომელთა მიმართაც ნათელვიდეთ, რადგან ამგვარად ნათლისცემა ამცნო უფალმა მოციქულებს, უთხრა რა: „ნათელსცემდეთ მათ მამის, ძის და წმინდა სულის მიმართ“ [მათე 25. 19]. გვწამს ერთი მამა, ყოველივეს დასაბამი და მიზეზი, არათუ ვინმესგან შობილი, არამედ ის მხოლოდ უმიზეზოდ და უშობლად მყოფი, შემოქმედი ყოველივესი, მამა მარტოდენ მისი ერთი ბუნებითი ძისა, უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და გამომავლინებელი ყოვლადწმინდა სულისა. გვწამს ერთი ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მამისგან შობილი უწინარეს ყველა საუკუნისა, სინათლე სინათლისგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისგან, შობილი, არა შექმნილი, თანაარსი მამისა, რომლისგანაც შეიქმნა ყოველივე“ [იოანე დამასკელი, 2018:33]. იოანე დამასკელის, როგორც გონებამახვილი ორატორის, შესახებ ბესარიონ ორბელიშვილი ამბობს: „ეწოდა ოქრონეკტარი თუთ დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა მიერ“ [A-119, 20v]

ბესარიონ ორბელიშვილი თხზულების დასაწყისშივე აფიქსირებს თავის

პოზიციას, ერთგულებას საეკლესიო კრების განჩინების წინაშე და თავის მოსაზრებას ასაბუთებს წმინდა წერილების და ღმერთშემოსილი მამების - იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ათანასე ალექსანდრიელის, იოანე დამასკელის მოსაზრებების მოშველიებით. მისი მსჯელობა არ არის გადატვირთული ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ის საუბრობს ქრისტიანობის არსზე არა მხოლოდ როგორც მწიგნობარი ან ღვთისმეტყველი საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე, არამედ იმგვარად რომ მისი მოსაზრების შეცნობა მარტივი უნდა იყოს საქართველოს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის. მის მიერ ჩამოთვლილი ავტორიტეტები კი არა მარტო დიდი საეკლესიო მამები არიან, არამედ საეკლესიო კრებების მონაწილეები, რომლებმაც ქრისტიანული ცხოვრების დოგმატური საფუძვლები შექმნეს, ამგვარი მსჯელობით, საეკლესიო ავტორიტეტების დამოწმებით, ბესარიონ ორბელიშვილი ცდილობს, მეტი დამაჯერებლობის, სანდოობის მოპოვებას.

ვერც ერთი მსურველი, თუნდაც მწვალებელი, ვერ შეძლებდა პოლემიკას გარკვეული საფუძვლების გარეშე, თანაც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მწვალებელი დასაწყისი ეკლესიის წევრი იყო, იყვნენ განსწავლულები, სიღრმისეულად იცოდნენ ბიბლიური წიგნები და საღვთო ისტორია. მაშ, რა იყო ის სარწმუნო წყარო, რის საფუძველზეც შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ჰიპოსტასური ცთომილება?

კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმოში, რომელიც გამოცემულია 1904 წელს, ვკითხულობთ: „*მიგება: ჩვენი სარწმუნოების უმთავრესნი საიდუმლონი არიან სამნი: საიდუმლო წმინდა სამებისა; საიდუმლო განხორციელებისა და საიდუმლო ჩვენი დახსნისა.*

*კ: რა არის წმიდა სამების საიდუმლო?*

*მ: წმიდა სამების საიდუმლო ის არის, რომ ერთი ღმერთი არის სამთა გამორჩეული გვამთა შინა.*

*კ: მამა, ძე და სული წმიდა სამნი ღმერთნი არიან?*

*მ: არა, მამა, ძე და სული წმიდა არ არიან სამნი ღმერთნი, არამედ ეს სამნივე გვამნი არიან ერთი და იგივე ღმერთი.*

*კ: რისათვის სამნი გვამნი არ არიან სამნი ღმერთნი.*

მ: ამისთვის რომ სამთავე გვამთა შინა არის ერთი და იგივე ღვთაება, ერთი და იგივე არსება.

კ: მაგ სამ გვამებში, არ არის რომელიმე გვამი უფრო უმფროს, ანუ უფრო ძლიერი მეორე გვამებზედა?

მ: არა; ეს სამნი გვამნი ყოველს საქმეში ერთმანეთში თანასწორენი არიან.

კ: რით განირჩევიან იგინი ერთმანეთისგან?

მ: იგინი განირჩევიან ერთმანეთისგან პირველად, მით, რომ მამა არ არის ძე და არს სული წმიდა; ძე არ არის მამა და არც სული წმიდა არ არის მამა არც ძე; მეორედ, მით განირჩევიან, რომ მამა არავისაგან არ გამოვალს, ძე მამისაგან იშობების და სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოვალს.

კ: ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია მიხვდენა, თუ რა არის წმიდა სამების საიდუმლო?

მ: არა; ჩვენ არ შეგვიძლია მიხვდენა, თუ რა არის წმიდა სამების საიდუმლო, რადგან იგი ჩვენის განსჯისაგან უმაღლესი და მიუწვდომელია“ [კატეხიზმო, 1904:31-33]. კატეხიზმო, ანუ სახელმძღვანელო ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლად, იწერება სახარებისეული და წმიდა მამათა სწავლებების საფუძველზე.

ბესარიონ ორბელიშვილს მოჰყავს სახარების ის მუხლები, რომლებსაც იმოწმებენ ლათინნი საკუთარი ჭეშმარიტების დასადასტურებლად: „რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“ [იოანე 15.26]; „13. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიდლოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თქსით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. 14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. 15. ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს; და ამისთვის გარქუ თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“ [იოანე 16. 13-15]. „21. ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ. 22. და ვითარცა ესე თქუა შეჰბერა მათ და რჰქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ“ [იოანე 20.21-22]. ბესარიონ ორბელიშვილი არ ცდილობს პასუხი ეძებოს ბიბლიური ტექსტის სხვა მუხლში, ის იმავე მონაკვეთით ხსნის სახარებისეულ ჭეშმარიტებას:

„რადსთვის არა თქუდ სული იგი ჭეშმარიტისა, რომელი მამისაგან და ჩემგან გამოვალს? ანუ ვითარ დაიდუმეს დიდი ესე საიდუმლო წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღმრთისმეტყუელთა“ [A-119, 20r]. ბესარიონ ორბელიშვილი ხსნის სახარებისეულ გადმოცემას და ამგვარად ცდილობს, გაფანტოს პაპისტთა მოსაზრება: „ამისა უმეტესი სიტყვა რაჲღა იყო და საიდუმლოსა გამოცხადებაჲ, უკეთუ ესე არა დაჰფარა, მას რაჲღა დაუტევებდა მამისაგან და ჩემგან გამოვალსო, ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი, ვითარ არღარა გამოაცხადებდეს? ანუ წმიდანი ღვთისმეტყველნი ვერღა დაჰფარვიდეს? ესრეთ არა სადა თქმულ არს მათისაებრ სიცბილისა, არამედ ყოველივე ესრეთ აღიარებდეს, ვითარცა ჩუენ გურწამს და აღვიარებთ, ვითარცა მხსნელისა ჩუენისა ქრისტესაგან გვისწავიეს და ესერა გუესმის“ [A-119, 20r-v]. ბესარიონ ორბელიშვილი ცალკე, მე-5, თავს უთმობს იოანეს სახარების 20 თავის განმარტებას და ოპონენტებს იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლებით უპასუხებს: „მომზადებაჲ იყო შებერვა იგი და არა მიცემაო“ [A-119, 25r]. „ეგრეთვე სული წმიდაჲ გამოვალს მისივე მამისაგან და ძისა თანა განისუწნების და არს სრული გუამოვნებაჲ, ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა განუყოფელისა და შეურევნელისა, ერთ ღთაებისა, ერთ უფლებისა. არამედ სული წმიდაჲ, ვითარცა ვთქუ, არცა ორთქლი არს პირისა, არცა ქარისა არს ჰაერისა მიმართ განზნევაჲ, არცა გუამი გუამსა შორის შერწყმული და შერეული, რაჲთამცა მით რაჲმე იქმნებოდა შებერვაჲ, არამედ გუამოვნებაჲ მტკიცე, ვითარმედ მამისა, ეგრეთცა ძისაჲ და სულისა წმიდაისა, განუყოფელნი და შეურევნელი და არა თუ შერწყმული და შერეული, არცა განზნევა და განქარვებაჲ, არამედ სრული ღმერთი არს მამისა და ძისა თანასწორი, მისივე მამისაგან გამოსრული და მამისა და ძისაგან განუშორებელი“ [A-119, 28r]. ამ მუხლებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ილია მინიატს თხზულებაში „ლოდი საცდურისა“: „ამ ადგილებიდან ჩანს, რომ სული წმინდა მიემაღლება და იგზავნება ძისაგან, მაგრამ ეს დროებითი გზავნილია და ძის მიერ სული წმიდის ნიჭების მიმაღლებაში მდგომარეობს, მაგრამ აქედან სრულებითაც არ ჩანს, რომ ის ძისგან გამოვალს“ [ლოდი საცდურისა, 2009:170]. დაბადებაში ნათქვამია: „შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“ [დაბადება, 1. 27], ძე ღვთისაც უნდა ყოფილიყო განკაცებული, ადამიანის ხატების

მგვანი, მაგრამ მოკვდავ კაცთაგან განსხვავებით დაუსაბამო, აუწერელი, უკვდავი, მამის ერთარსი სულით და ბუნებით, ამიტომ კაცებრივი სახე არ ნიშნავს ადამიანურ ბუნებას და არსს, ის, რაც აქვს ძეს და წმიდა სულს, აქვს მამისგან, მამა არის უშობელი, ძე შობილი, სული გამომავალი არსი, მათ შორის განსხვავება არის გვამოვნებით და არა არსებით. პაპისტთა სახარებისეული შეგონების ინტერპრეტაციას უპასუხებს ევსტრატ ნიკიელი ტრაქტატში, რომელიც ბიბლიური არგუმენტაციით პასუხობს ოპონენტებს: „34. ხოლო სულისა წმიდისა გმობისა მიმართ აღუძრვან იგინი არა მართლიად გულიკმისყოფასა სახარებისა სიტყვსა, ესრეთ მეტყულისასა, ვითარ-იგი იტყვს მაცხოვარი სულისა წმიდისათვის, ვითარმედ: „ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ“ /ი. 16.14/; და დიდისა პავლესსა, იტყოდის რაჲ, ვითარმედ: „გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისსაჲ გულთა მომართ თქუენთა“ /გალატ. 4.6/. და არა ჰნებავს განხილვაჲ, ვითარმედ თვისებისა და საკუთრებისა წარმომადგინებელ არიან ესე, რამეთუ ერთბუნებობაჲ და სწორპატივობაჲ სამთავე გუამოვნებათაჲ იხილვების ამიერ. რამეთუ არა ესრეთ თქუა მაცხოვარმან, ვითარმედ: „ჩემგან მიიღოს“, არამედ „ჩემისაგან მიიღოსო“ ესე იგი არს, რომელსა ზედა დაჰრთო განსაცხადებელად სიტყვსა, ვითარმედ: „ყოველნი, რაოდენნი ჰქონან მამასა, ჩემნი არიან“ /ი.16.15/. ამისთვის თქუა, ვითარმედ „ჩემისაგან მიიღოს“ და გითხრას თქვენ, რამეთუ უკუტეთუ ძესა და სულსა რაოდენნი-რაჲ ესმენ მამისაგან, მათ იტყვან, მასვე სადმე დიდებისა და ძალისანი არიან. 35. ხოლო ვიეთნიმე ამას თუ „ჩემისაგან“ ესრეთ თარგმნიან, ვითარმედ „ჩემისაგან მამისა“. რამეთუ ჩუჭულეობაჲ გუაქუს მრავალგზის ესევითართა სიტყუათა მიერ წარმოდგინებად საკუთრებისა. და დიდმან პავლე თქუა რაჲ, ვითარმედ „სული ძისა მისისაჲ“, ერთბუნებობაჲ ცხად-ყო. რამეთუ არა რომელიცა ითქუმოდის ვისდადმე ყოფად, ეგერა მისგან ქმნილ არს და გამოსრულ არს. და რამეთუ მამადცა ძისად ითქუმის, ვითარ-იგი ზემო გუთქუამს, არამედ არა ძისაგან იშვების. და სულსა სიბრძნისასა ვიტყვთ და სულსა გულისკმისყოფისა და სულსა მეცნიერებისასა და მრავალთა ეგევითართა, არამედ არა ამათ მადლოთაგან გამოვალს და ყოვლადწმინდაჲ სული, რომელი უფროდსლა მიმნიჭებელ და მიმცემელ არს მათდა ღირსთა მინიჭებისა მათისათა“ [რაფავა, 2014:149-150]. ევსტრატ ნიკიელი ყურადღებას ამახვილებს მიზანმიმართულ ზრახვებთან

არასწორი თარგმანით, ნაწილაკებისა და თანდებულების არასწორი გამოყენებით დაარღვიოს, შეცვალოს სიტყვის და მთლიანი ფრაზის სემანტიკა და საზოგადოება დააბნიოს და არასწორი თარგმანით მოიმრავლოს ცრუ მორწმუნენი. ამიტომაც ის ხაზგასმით გამოყოფს დამახინჯებულ თარგმანს.

საინტერესოა ფლორენციის კრების ერთ-ერთი მთავარი სუბიექტის, მარკოზ ეფესელის, ახსნა სული წმიდის გამომავლობაზე, რომელიც თავის მსჯელობას, წმიდა წერილების ანალიზისას იყენებს წმინდა მამების იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის მოძღვრებებს: „როცა ძეს – შეიმეცნებ, შეიმეცნებ სული წმინდასაც. ძე ღვთისა მოევლინა სამყაროს ხორციით. ეპისტოლე წერს: „*მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, შობილი დედაკაცისაგან*“ (გალატ. 4,4), *როცა ნახსენებია სული წმინდა ეპისტოლეში, ქრისტე გულისხმობს მის ქმედებას (ენერგიას) და არა ჰიპოსტასს. იოანე ოქროპირი იოვანეს სახარების განმარტებისას ამბობს: „სული წმინდის მაღლი წერილში იწოდება ხანდახან ცეცხლად, ხანდახან წყლად, ეს არაა სახელწოდება, არამედ მისი მოქმედება (ენერგია). აქ სული წმინდა უნდა წარმოვიდგინოთ ენერგიად. ის იგზავნება დედამიწაზე მამისაგან ძის საშუალებით, ავლენს რა სამების ერთ მოქმედებას. „სული გამოდის მამის ჰიპოსტასიდან“, – ამბობს ნოსელი ღვთისმეტყველი. ვისთვის არის გაუგებარი, რომ სულიწმინდის წარმოშობა არის მამის ჰიპოსტასის თვისება. ვამბობთ რა, რომ მამის ჰიპოსტასი ავლენს სულიწმინდას, არსად მივაწერთ მას ძესაც... წარმოვიდგენთ ბასილი დიდის სიტყვებს: „სულიწმინდა, რომლისაგანაც ადამიანს ენიჭება ყოველგვარი ნიჭი, დამოკიდებულია ძეზე, რომლითაც ის შეიცნობა, ასევე მამაზე, როგორც მის საწყისზე, რომლისგანაც გამოვალს. მისი დამახასიათებელი ნიშანიც ის არის, რომ იყოს ძის შემდეგ და მის მიერ იყოს შეცნობილი და მამაში პოულობდეს საწყისს“. აქ ნათლად არის მითითებული, რომ შეიცნობა მისით და არა მისგან“ [პოგოდინი, 2016: 94-95].*

მარკოზ ეფესელი ფლორენციის კრებაზე, სულიწმინდის გამომავლობის საკითხზე მსჯელობისას არა მხოლოდ წმინდა მამების მოსაზრებებს იმოწმებდა, არამედ ახსნა ბიბლიური წიგნიდან ის ადგილები, რომელებზე დაყრდნობითაც ლათინებმა აღიარეს სხვა დოგმატი და უარყვეს შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონები. ლათინი მამების ახსნით, ქრისტეს აღდგომიდან

ორმოცდამეათე დღეს აღსრულებული სულთმოფენობის სასწაული, სწორედ სული წმინდის ძისაგან გამოსვლის დასტურია. მარკოზ ეფესელი კი ფლორენციაში შეკრებილებს უმტკიცებდა, იმას, რომ „სული წმინდა არის ძის გამოსახულება იმ აზრით, რომ ის წარმოადგენს მისი შეცნობის საშუალებას, როგორც სამოციქულოში წერია: *„რამეთუ არავის სულითა ღმრთისაითა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ; და არავის კელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“* (1 კორ. 12,13). ძე მოვიდა, რათა შეევესო ძველი აღთქმა, სრულეყო იგი და დაემატებინა ის, რაც აკურთხა მამამ. „ძე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც ძე, რაითა ვყო“ (ი. 17,4), – ამბობს უფალი იესო ქრისტე. ასე სული წმიდამაც შეასრულა ძის საქმე, ქრისტე ეუბნება მოწაფეებს: *„ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალ-გიც ტვირთვად“* (იოვ. 16,12), კიდევ: *„ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს, და ამისთვის გარქუ თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“* (ი.16,15). ასე რომ, სულიწმინდამაც შეასრულა მამის საქმენი, ისევე როგორც ძემ და მათ სამივემ, როგორც ყოვლადწმინდა სამებად [იქვე, გვ. 95]. წმინდა მამებისა და სხვა საეკლესიო მამების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, ყველა მწვალებლობა და მწვალებლური თეორია საკმაოდ განსწავლული ადამიანების დიდი შრომის შედეგი იყო, რომლებმაც კარგად იცოდნენ ენები, მათი სემანტიკა, ენობრივი ნორმები და ამგვარად ღრმა განსწავლულობის საფუძველზე შეეძლოთ სახარებისეული სიუჟეტებისა და იგავების სასურველ კონტექსტში ახსნა და წარმოჩენა.

კამათი სამების ჰიპოსტასურ დოგმაზე ადრე ქრისტიანულ ხანაში დაიწყო. როგორც მწვალებელთა მიმოხილვისას აღვნიშნეთ, სამების მგომბელი იყო საბელიოზიც. ის თვლიდა, რომ ქრისტე თავად იყო მამა ღმერთი, რომელიც კაცობრიობის ხსნისთვის განკაცდა. პოლემიკის დასაწყისი სულიწმინდის გამომავლობის საკითხთან დაკავშირებით უკავშირდება არიოზს. ევსტრატ ნიკიელი პირდაპირ „ამხელს“ ტყუილში არიოზის შეხედულებებს: *„და კუალად, უკუტთუ სწორებით გამოვალს მამისაგან და ძისა, წინასწარ ცხად არს უშუჭრებად ტყუილისაჲ, რამეთუ ვითარცა მიზეზითა უფროდსძან ძისაძან მამაძან უფროდს გამოავლინოს, ხოლო უკუტთუ უფროდს გამოვიდეს მამისაგან, განყოფილებაჲ მიზეზთაჲ განყოფილებასა შემოიყვანებს ბუნებისასა, რომელი-ესე არიოზის*



სიცოფისაჲ არს“ [რაფავა, 2014:150]. ნიკეის კრებას ჭეშმარიტი სწავლებითა და განჩინებით უნდა გაეზიარებინა არიანელთა მწვალებლური დოქტრინა. ალექსეი ლეხეიძე აღნიშნავს: „არიოზიანელები თავიანთ თავს პირდაპირ უწოდებდნენ „სარწმუნოების გამომეძიებლებსა და გამომცდელებს“ [ლექსიკონი, 2012:27]. ხოლო ნიკეის კრებაზე მათი ოპონენტი და სრულიად ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტული ფიგურა, წმინდა მამა ათანასე ალექსანდრიელი მათ „თავისუფლად მოაზროვნე“ ღვთისმეტყველებს“ [იქვე] უწოდებდა. ქართულ წერილობით ძეგლებში შემორჩენილია ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი<sup>100</sup>, რომელშიც თითქოსდა დაფიქსირებული უნდა იყოს საკამათო დოგმა - სულიწმიდის გამოსვლა *მამისა და ძისაგან*: „17. ეგრეთვე სამთა ღმერთთა და სამთა უფალთ თქუმად არა თავს ვიდებთ, არამედ სრულიად განვიშორებთ. 18. რამეთუ მამაჲ არავისგან არს შექმნილ, არცა დაბადებულ, არცა შობილ. 19. ძჲ მამისაგან მხოლოდსა არს; არა შექმნილ, არცა დაბადებით, არამედ შობით. 20. სული წმიდაჲ - მამისაგან და ძისა; არა შექმნილ, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსვლით. 21. ერთი უკუე არს მამაჲ, არა სამნი მამანი; ერთი ძჲ, არა სამნი ძენი; ერთი სული წმიდაჲ, არა სამნი სული წმიდანი“<sup>101</sup> [მრავალთავი, XVIII, 1999:156-157]. ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლო“ შეისწავლა, გამოსცა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რომელიც აღნიშნავს: „დიდი მთაწმიდელი მოძღვრის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი, როგორც სარწმუნოების სიწმიდისა და უბიწოების დამცველი ბერი, არაერთხელ გამოსულა სხვადასხვა მწვალებლობის განმაქიქებელი სიტყვით და მრავალი დოგმატური თხზულებაც უთარგმნია. მაგრამ, ზოგიერთი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწისგან განსხვავებით, რომის ეკლესიის აღმსარებლობის ჭეშმარიტებაში ეჭვი

<sup>100</sup> A-584 ამ ხელნაწერში დაცულია „სიმბოლოს“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი. ტექსტი მოღწეულია სხვა ხელნაწერებითაც: Ier-151 (43v-47v), A-65 (167r-v), A-67 (48r-v), S-269 (43v-45v) და სხვა.

<sup>101</sup>(17) Ἡ ἀλλή γάρ ἐστιν ἡ ὑποστασις τοῦ Πατρὸς, ἄλλη τοῦ Υἱοῦ ἄλλη τοῦ ἁγίου Πνεύματος. Ἄλλα Πατὴρ ὁ καὶ Υἱὸς, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ θεότης, μία ἐστὶν ἡ δόξα (18), συναίδιος ἡ μεγαλειότης. Ὁ ἴσος ὁ Πατήρ, τοιοῦτος ὁ Υἱὸς, τοιοῦτον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Ἄκατιστος ὁ Πατήρ, ἄκατιστος ὁ Υἱὸς, ἄκατιστος καὶ (19) τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Ἀκατάληπτος ὁ Πατήρ, ἀκατάληπτος ὁ Υἱὸς, ἀκατάληπτος καὶ (20) τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Αἰώνιος ὁ Πατήρ, αἰώνιος ὁ Υἱὸς, αἰώνιον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Πλὴν οὐ τρεῖς αἰῶνοι, ἀλλ’ εἷς αἰώνιος. οὐδὲ τρεῖς ἄκτιστοι (21), οὐδὲ τρεῖς ἀκατάληπτοι, ἀλλ’ εἷς ἄκτιστος, εἷς ἀκατάληπτος.

არასოდეს შეუტანია; პირიქით, ისტორიულად წმინდა და მწვალელობისაგან დაცულ სულიერ ოაზისად წარმოედგინა იგი. მაშასადამე, ის დოგმატური კამათი, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის იყო აღძრული, გიორგი მთაწმიდელს უსაფუძვლოდ მიაჩნდა, და ამით ეკლესიის ერთიანობის დამცველად გამოდიოდა.“ [იქვე, გვ. 161]. შესაძლოა, გიორგი მთაწმინდელმა დაინახა პოლიტიკური თამაშობანი თუ „დიდი პოლიტიკის“ გავლენა საეკლესიო ცხოვრებაში, ის საეკლესიო განხეთქილების მიზეზში სწორედ საერო ძალაუფალთა ინტრიგას ხედავდა. ფაქტია, გიორგი მთაწმიდელის დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, აღნიშნული თხზულების ამ მუხლის ფრაზა „და ძისა“, ამავე სტატიის მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეებში წაუშლიათ, ხოლო მზეჭაბუკ ორბელიანს, ანტიკათოლიკური მოსაზრებით, ამ თხზულების ახალი რედაქცია გამოუმუშავებია,<sup>102</sup> რაც ხაზს უსვამს ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი. აზრთა სხვადასხვაობაა დღესაც ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის, ეს ათანასე დიდის შეხედულებაა თუ გიორგი მთაწმინდელის ინტერპრეტირებული თარგმანი? აღსანიშნავია, „დორნერი აცხადებს: „ათანასე დიდმა, ცვალებადი ხვედრით აღსავსე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ამოცანად დაისახა მეცნიერების მთელი არსენალის გამოყენებითა და აბსოლუტური ერთგულებით დაეცვა ნიკეის აღმსარებლობა, როგორც მერყევთაგან და დაუფიქრებელთაგან, ასევე განდგომილთაგან. ის აღესრულა არა მარტო დიდებით გვირგვინმოსილი, არამედ, როგორც ნაყოფის მიმღებელი.“ ბერინგერი წერს: „ათანასე და ნიკეის დოგმატის გამარჯვება იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ შეუძლებელია, ერთი მეორესაგან გამოაცალკევო“ [ლებედევი, 2012:55-56]. დისერტაციის ფარგლებში ამ საკითხზე, გიორგი მთაწმიდელის მოსაზრებაზე თუ ათანასე ალექსანდრიელის თხზულების თარგმანზე, მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ის ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლში“ ნახსენები არ აქვს, თუ რატომ - საკამათოა.

სულიწმიდის გამომავლობის საკითხზე მსჯელობა, პოლემიკა და კანონიკური საფუძვლების შექმნა გაგრძელდა შემდეგ საეკლესიო კრებებზე - კოსტანტინეპოლის მეორე საეკლესიო კრებაზე, როცა ჩამოაყალიბეს და დაადგინეს

---

<sup>102</sup> A-627 (3r-6v)

„მრწამსის“ საბოლოო ტექსტუალური ვერსია. სული წმიდის გამომავლობაზე კამათი გაგრძელდა ასევე ეფესოს მესამე საეკლესიო კრებაზეც, როცა დაგმეს მაკედონიოსი და მისი მიმდევრები. მაკედონიოსისა და მისი მიმდევრების მწვალებლობას აღნიშნავს ევსტრატე ნიკიელი ტრაქტატში: *„და კუალად, უკუჭითუ თუთებაჲ არს გამომავლობაჲ, ვითარ-იგი უშობელობაჲ და შობილობაჲ, იპოვოს სული წმიდაჲ ორთა თუთებათა მომგებელად: ერთსა უკუჭ, რომელ არს მამისაგან ქონებაჲ გამოსვლისაჲ, ხოლო მეორესა – ძისაგან. და ძე ვიდრემე ერთითა თუთებითა განეყოს მამასა, ხოლო ესე – ორითა. და ამიერ უმრწემეს იყოს ძისა უგუნურებათაებრ მაკედონიოსისთა“* [რაფავა, 2014:150-151]. კამათი ორთოდოქსულ დოგმებსა და ერესებს შორის გრძელდებოდა საეკლესიო კრებებს შორისაც და შემდგომ საუკუნეებშიც, დიდ სქიზმამდე და დიდი სქიზმის შემდეგაც. სწორედ ამ პერიოდში დაიწერა „დოგმატიკონი“, რომლის ბოლო თხზულება, ევსტრატე ნიკიელის ტრაქტატი, წარმოადგენს დასავლეთის ეკლესიის დოგმებისა და ლიტურგიკული ნორმების წინააღმდეგ წარმართულ პოლემიკას, მათ შორის ორი ეკლესიის განმასხვავებელ დოგმატებს შორის ყველაზე ვრცლად არის მიმოხილული სულიწმიდის გამომავლობის საკითხი და, ფაქტობრივად, ის პირველი ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ქართულ ენაზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, მოგვიანებით დაემატა დოგმატიკონს და რომლის არსებობა ქართულ ენაზე აუცილებლად ჩათვალა მთარგმნელმა არსენ იყალთოელმა.

ბესარიონ ობელიშვილის ტრაქტატში მსჯელობის დიდი მასშტაბების მიუხედავად, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა სულიწმიდის გამომავლობა, ბესარიონ ობელიშვილი ერიდება, ან საჭიროდ არ თვლის ფოტი პატრიარქის შრომების განხილვას, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი ავტორიტეტული დამცველი იყო. მიხეილ ქავთარია შენიშნავს: *„ყველა ძირითადი თხზულება ფოტისა ცნობილია ძველ სლავურ მწერლობაში, ხოლო ქართულად მისი არც ერთი თხზულება არ გადმოუღიათ“* [მიხეილ ქავთარია, მოამბე, I, 1959:98]. მაშინ, როცა ბესარიონი პრობლემის საფუძველს ქრიტიანულ მსოფლმხედველობაში მწვალებლობების გაჩენიდან ხედავს, ბესარიონი გვერდს უვლის ევსტრატე ნიკიელის დასახელებულ ტრაქტატსაც, თუმცა ბესარიონის მსჯელობაში შეინიშნება ორივე ავტორის იდენტური არგუმენტაცია. ევსტრატე

ნიკიელის თხრობა არის საკმაოდ ლაკონიური, მაგრამ გამომსახველი და კატეგორიული: „39. და ამით თანა, უკუწითუ ძე ეზიარების მამასა გამოვლინებასა ზედა სულისა წმიდისასა და სულიცა წმიდაი ეზიარების მას შობასა ზედა სიტყვასა, რამეთუ ყოველნი მამისანი, რაოდენნი ზიარ არიან ძისა მიმართ, ესენი სულისაცა წმიდისა მიმართ, და მიერთგან იყოს ერთბამად მიზეზიცა და მიზეზისაგანიცა, რომელი-ესე უფროს მენიშეობა არს ელლენთა მეზღაპრობისასაცა. 40. მერმეცა, უკუწითუ უსრული არს მამისაგან გამოსლვაი სულისაი, ნამეტავ იყოს ძისაგან ქმნაი ამისი. 41. მერმეცა, უკუწითუ მამისაგან და ძისა გამოვალს სული, ორკეცი იყოს იგი და შეზავებული, რამეთუ მარტივი ორთა ვიეთგანმე არა გამოვალს. 42. მერმეცა, უკუწითუ ყოველი, რომელი არა არს სამთადვე, ერთისაი არს მხოლოდ, ხოლო გამომავლინებელობაი არა არს სამთადვე ზიარი, ერთისაი იყოს მხოლოდსაი და ამო იქმნეს სიტყუაი უგუნურებით გამომეძიებელთაი. 43. მერმეცა, უკუწითუ იგივე გამომავლინებელობაი სულისაი ძესაცა აქუს, ვითარცა მამასა, ზიარი იყოს მათი თვთებაი გამომავლინებელობისაი და ვითარ თვთებაი იყოს ზიარი რაიმე? ხოლო უკუწითუ წინააღმდგომ არს ესე გამოსლვაი ძის გამოსლვისა, ვითარ არა განხრწნის ესე მას, რამეთუ ურთიერთას განმხრწნელ არიან წინააღმდგომნი? 44. და უკუწითუ მოყუსობა კერძოი უკუწითუ სულისაი ესრეთ, ხოლო კერძოი ძისი სხუა-სახედ გამოვიდეს და უსწოროთა კერძოთაგან იყოს იგი შემოკრებულ. 45. მერმეცა, უკუწითუ ერთისაგან მიზეზისა, ცხად არს, ვითარმედ მამისა, არიან ძე და სული, და კუალად, ძე გამოავლენს სულსა, შვას სულმანცა ძე, რამეთუ სწორპატივად ორნივე მამამან შვაცა და გამოავლინა. 46. მერმეცა, უკუწითუ ძე მამულისა სიმარტივისაგან არა განდგების, ხოლო სულსა ორთა მიზეზთა მიმართ აქუს აღყვანებაი, ორკეც ვიდრემე იყოს და სადალა არს სამეზისა სიმარტივე და სწორპატივობაი? 47. მერმეცა, უკუწითუ ორთა დასაბამთა მიმართ აღყვანების სული, სადალა იყოს მრავალსაგალობელობაი ერთდასაბამობისაი, რამეთუ ელლენებრი მრავალდასაბამობაი, რომელ არს მრავალმთავრობაი, შემოიყვანების ამიერ?“ [რაფავა, 2014:151-154]. სწორედ ამგვარი მსჯელობა ვიგულისხმეთ, როცა ვახსენეთ, ბესარიონ ორბელიშვილისა და ევსტრატე ნიკიელის მსგავსი მსჯელობის სტანდარტი, როცა კითხვა შეიცავს პასუხს, კითხვითი წინადადება დასმული პრობლემის პასუხიც. თუმცა სხვაობა

შეინიშნება ამ საკითხის განხილვისას დამოწმებულ ავტორთა ნააზრევში. მაგალითად ევსტრათი ნიკიელი ახსენებს „მეთოდის პატარონელსა და პანტენოსს და კლიმის სტრომატელსა და პიერიოსს“ [იქვე, გვ. 154] და სხვებს, რომლებიც ნახსენები არ ჰყავს ბესარიონ ორბელიშვილს.

დაუსრულებელი დავის შემდეგ ფლორენციის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, ჭეშმარიტება სულიწმიდის გამომავლობაზე უნდა დაედგინა ლათინი და ბერძენი ღვთისმეტყველებისაგან შემდგარ კომისიას. ამ კომისიაში დასავლეთის ეკლესიას წარმოადგენდნენ კარდინალები იულიანე ცეზარინი, ნიკოლაი ალბერგატი, არქიეპისკოპოსები ანდრეი როდოსელი, იოანე ლაგუსელი და სხვები, აღმოსავლეთის ეკლესიას კი - მარკოზ ეფესელი, შემდგომში წმინდანად შერაცხული, ბესარიონ ნიკეელი, ისიდორე კიევის მიტროპოლიტი. უნიას აქვს ბესარიონ ნიკეელის ხელწერაც. ერთადერთი, ვინც ბოლომდე უღალატო დარჩა საეკლესიო განჩინებების, იყო მარკოზ ეფესელი. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, ამ კომისიის მუშაობის მეთოდი და შემორჩენილი წყაროების ობიექტურობის ხარისხი.

ბესარიონ ორბელიშვილი თხზულებაში არსად ახსენებს მარკოზ ეფესელს, მიუხედავად იმისა, ტრაქტატი ფლორენციის საპასუხო აქტია. საინტერესოა მისი, კრების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის შეხედულება სულიწმიდის გამომავლობაზე, რაზეც ნაწილობრივ გვქონდა ზემოთ საუბარი, ასევე სხვა დოგმატურ საკითხებზეც, რომელთა შესახებ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს: „*თუ სულიწმინდა გამოდის მამისაგან და ძისაგან, როგორც ორი ჰიპოსტასიდან, მაშინ ნათელია, რომ სახეზე გვაქვს ორი საწყისი, ორი წყარო, ორი საფუძველი ღვთაებრივ სამებაში. ამით კი ირღვევა ერთი საწყისის დოგმატი და ის ფაქტი, რომ მამა ღმერთი წარმოადგენს ერთადერთ წყაროს გაარსებითეული ღვთაებისა. თუ სულიწმინდა გამოდის მამისაგან და ძისაგან როგორც მათი საერთო ბუნებიდან, მაშინ არავის თქვენამდე არ უთქვამს, არც გაუგონია, რომ ვინმეს მოესაზრებინა, თითქოს ორი ჰიპოსტასიდან გამოსული მესამე ჰიპოსტასი გამოდის არა მათგან, არამედ რაღაც მათი საერთოსაგან. ამგვარად ვუბრუნდებით პირველ მდგომარეობას. ჰიპოსტასი წარმოადგენს ბუნებას, რომელსაც გააჩნია პირადი თვისება. აქედან გამომდინარეობს, რომ რაც გამოდის ერთი, ან ორი ბუნებისაგან,*

ასევე თანმიმდევრულად უნდა გამოდიოდეს მისი, ან მათი ჰიპოსტასებიდან“ [მარკოზ ეფესელი და ფლორენციის უნია, 2016:91-92]. ამბროსი პოგოდინის პროზაული ჩანაწერის მიხედვით, მარკოზ ეფესელს ვრცელი განმარტების შემდეგ ლათინი თეოლოგებისთვის ურჩევია: „...უკეთესი იქნებოდა ლათინებს ამ შემთხვევაშიც განემარტათ ეს სიტყვები, ვიდრე მიეღოთ როგორც რწმენის საგანი. ნუთუ სიბრმავე არ არის მივიჩნიოთ რაღაც განსხვავებული ღვთაებრივი ბუნებისაგან, რაც წარმოშობს თვით ღვთაებრივ ბუნებას, ან ჰიპოსტასს?!“ [მარკოზ ეფესელი და ფლორენციის უნია, 2016:92]. მართალია, ეს ამონარიდი მოყვანილია არა უშუალო წყაროდან, არამედ გადმოცემიდან, მაგრამ მსჯელობის კონტექსტი და განწყობა იოლი აღსაქმელია, ის პოლემიკოსებს უგუნურობაში და წინასწარ გათვლილ ქმედებებში ადანაშაულებს. აქ ისიც იკითხება, რომ წმინდა მამამ მშვენივრად იცოდა, ეს იყო არა თეოლოგიური პოლემიკა, არამედ უკვე გადაწყვეტილი საბედისწერო განაჩენი, მაგრამ მისი მსჯელობის ადრესატი იყო არა კრებაზე წარმოდგენილი აუდიტორია, არამედ მომავალი თაობა.

პაპისტები სული წმიდას უწოდებდნენ სიყვარულსაც, რომლითაც მამა ღმერთი დაკავშირებულია ძესთან: „კუალად მოციქულისა სიტყვაჲ მოვიხსენოთ, ვითარ იტყვს, რამეთუ: „სიყვარული თუთისა განფენილ არს გულთა შინა ჩუწნთა, სულითა წმიდითა“ (ჰრომაელთა, თავი 5, მუკლი 5). აწ იხილენით, ვითარ ეგების სული წმიდაჲ სიყვარულად თქმად, რამეთუ სიტყვთა ამით ორი იქმნების სული წმიდაჲ და არა ერთი. სიყვარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“, აჰა, უპირული სიტყვა და გმობაჲ, რამეთუ სიყვარული ერთი სათნოებაჲთაგანი არს და არა სული წმიდაჲ, არცა ღთაებისა ბუნებაჲ, არცა არსებაჲ, არცა გუამოვნებაჲ“ [A-119, 24r-v]. აქ პაპისტები მკრეხელობენ, როცა შვიდი სათნოებიდან ერთ-ერთის - სიყვარულის - სემანტიკას არღვევენ, რადგან თითოეული სათნოება არის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის წამალი: ამპარტავნება - სიმდაბლე, ანგარება - მოწყალება, სიძვა - უმანკობა, მრისხანება - სიმშვიდე, ნაყროვანება - მარხულობა, შური - სიყვარული, სასოწარკვეთილება - სასოება. ამიტომაც სიყვარული სათნოებაა და არა ვნება, „გუამი“, როგორც თითოეული შვიდი სათნოებიდან: „უკეთუ მარტოდ სულისა წმიდისა განუკუთნონ სახელი ესე სიყვარულსა, მერმე სხუაჲ სათნოებაჲ სხუასა და ესრეთ უმსგავსო

იქმნას და უპირულ ესევითარნი სახელნი და არღარა ერთობაჲ იყოს, არამედ განწვალებაჲ და განყოფა“ [A-119, 24r].

ბესარიონ ორბელიშვილი აჯამებს თავის მსჯელობას სული წმიდის გამომავლობაზე და მიმართავს მართლმადიდებელ მრევლს: „ხოლო ჩუენ, ღმრთის მოყვარენო, ნუ გარდავკლებით საზღუარსა მამათასა, ნუცა შევცვალებთ კანონსა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა ღვთისმეტყუელსა, ვითარცა არცა რა შეგვიცვალებიეს და არცა რა შემოგვილიეს უბიწოსა ამას შინა სარწმუნოებაჲსა ჩუენსა, არამედ ვეგნეთ მასვე ზედა საფუძველსა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და ვიქმოდეთ კეთილთა საქმეთა, რაჲთა კურთხევა და მადლი მათი მოვიდეს ჩუენდა და გვიცნეს წმიდამან სამებაჲმან ერთლთაებით, თაყვანისცემულმან და დიდებულმან“ [A-119, 35r]. მსგავსი პათეტიკა შეიმჩნევა ევსტათი ნიკიელთან: „გარნა რად საკმარ არს მრავლისმეტყუზლებაჲ? ძე და მეუფე მამისაგან ღმრთისმეტყუზლებს გამოსვლასა სულისასა. და დიდი პავლე ესრეთ ჩანს მეტყუზლად: დაღათუ ჩუენ, გინა ანგელოზი ზეცით, გახარებდეს გარეშე მისსა, რომელი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ! /გალატ. 1.8/ და ვინ ექებდეს მოძღუარსა სხუასა, არა თუ ბორგნულ ქმნილ იყოს განცხადებულად?“ [რაფავა, 2014:156-157]. მათი, მოძღვრის, მწიგნობრის, ვალდებულება იყო თეოლოგიური ფილოსოფიის ახსნა და გამიზნული სულიერი საფრთხის ჩვენება საზოგადოებისთვის. როცა ღვთისმეტყველი დაწვრილებით, პუნქტობრივად გიხსნის სახარებისეულ სემანტიკას, გაქვს თავისუფალი ნება, პრივატული უფლება, გააკეთო არჩევანი და იყო შენი გადაწყვეტილების პასუხისმგებელი.

### 3. პაპიზმი

მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელზეც უნია უნდა შემდგარიყო ორთოდოქს და კათოლიკე ღვთისმეტყველებს შორის, იყო პაპის, როგორც ეკლესიის უმაღლესი იერარქის, ქრისტეს ქვეყნიური მონაცვლის, უფლების აღიარება - „რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თჳნიერ კანონისა აღამაღლნეს უმეტეს ყოველთა პატრიაქთა და ღვთის მაგიერად და მეორედ ქრისტედ აღიარეს ქუეყანასა ზედა“ [A-119, 13v]. აქვე განიხილავს ბესარიონ ორბელიშვილი პეტრე მოციქულის პირველობას სხვა მოციქულებთან შედარებით. აღნიშნულ საკითხზე ბესარიონ

ორბელიშვილი საკმაოდ ვრცელ ანალიზს აკეთებს ექვს თავში, რომელიც ზემოთ სრულად გვაქვს ჩამოთვლილი.

მსჯელობა პაპის იერარქიულ სტატუსზე იწყება ჩვეული ტონით, საზოგადოებასთან მიმართებით: „*ისმინეთ ჩემი, რომელთა გნებავს კეთილად გულისკმაყოფაჲ ამის მიზეზისათვის სიტყვის გებაჲ და თქვენ იხილეთ და საჯეთ სამართალი, ვინ არს უმეტესი ანუ უდარესი, ანუ თუ სწორნი, ანუ დაკლებულნი*“ [A-119, 35r]. დასავლეთის ეკლესიაში თეზა პაპის უცთომელობაზე მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ორი დიდი საეკლესიო გაერთიანების გაჩენა არ ყოფილა მხოლოდ ვიწრო ეკლესიური, რელიგიური მოვლენა. მისი დრამატული შედეგები ისტორიულმა პროცესებმა არაერთხელ დაადასტურა. ეს იყო კომპლექსური შედეგი ორი იმპერიის, რომისა და კონსტანტინეპოლის, ბრძოლა პოლიტიკური გავლენებისთვის და არ შეიძლება სარწმუნოებრივი მიზეზების უგულვებელყოფაც. ამ აზრს იზიარებს მკვლევარი გიორგი მაჭარაშვილიც<sup>103</sup>. ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ მწვალებლები და მწვალებლობები, რომლებსაც სწორედ საეკლესიო კრებებმა შეუზღუდა აუდიტორია და სააგიტაციო სივრცე. ერეტიკული მიმდინარეობები და პოლემიკა არც შემდგომ პერიოდში შეჩერებულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კამათი ორ დიდ ღვთისმეტყველსა და ორი ეკლესიის მღვდელმთავარს შორის, კონსტანტინეპოლის პატრიარქ ფოტისა და რომის პაპ ნიკოლას I-ს შორის. როგორც ჩანს, მათთვის გაყოფის მიზეზი უფრო ანგარიშგასაწევი იყო, ვიდრე ეკლესიის ერთობა, 1054 წელს დიდი სქიზმით დასრულდა ორი ეკლესიის გაყოფა. მოგვიანებით, 1870 წელს, ვატიკანის კრებაზე კათოლიკურმა ეკლესიამ მიიღო დოგმა პაპის უცთომელობაზე, ეს დაემატა მის მანამდე აღიარებულ სტატუსს, პაპი დასავლეთის ეკლესიის განჩინებით იყო ქრისტეს მოადგილე და უფლებრივად აღმატებული სხვა პატრიარქებთან შედარებით. კათოლიკურ კატეხიზმომში განმარტებულია:

*„კ. ვინ არის რომის პაპი?*

*პ. რომის პაპი არის მოსაღდრე<sup>104</sup> წმინდა პეტრე მოციქულისა, მომაგიერე იესო ქრისტესი, ხილული თავი ეკლესიისა (უხილავი თავი ეკლესიისა არის*

<sup>103</sup> იხილეთ გიორგი მაჭარაშვილის დისერტაცია „დიდი სქიზმა და საქართველო“, 2014:34-42

<sup>104</sup> სტილი დაცულია



თვით იესო ქრისტე) და საყოვლიერო მამა და მოძღვარი ყოველთა მორწმუნეთა“ [კატეხიზმო, 1904:57].

როგორც აღვნიშნეთ, ფლორენციის კრებაზე განიხილებოდა რამდენიმე საკითხი, რომელზეც უპირობო თანხმობას ითხოვდა რომის ეკლესია და უნიაზე ხელის მოწერის დადასტურების შემდეგ იძლეოდნენ კონსტანტინეპოლის გადარჩენის გარანტიას. ამბროსი პოგოდინის აღშფოთება მარტივი აღსაქმელია, ის ამ უკადრის გადაწყვეტილებას იუდას სამარცხვინო საქციელს ადარებს, რომელმაც ის ერთნაირად აქცია სრულიად ქრისტიანულ სამყაროში „იუდად“: „რას მიიღებენ ბერძნები, თუ უნიას დაამტკიცებენ?“ კითხვა იყო პირდაპირ დასმული; **პაპს სთავაზობდა ეყიდა მართლმადიდებლობა. ეს იყო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის საშინელი მომენტი, საშინელი თავისი ცინიზმითა და სიბილწით. უნებურად აზრი გაგეჟცევა იმ მომენტისაკენ, როცა იუდამ მიმართა სინედრიონს: „რაი გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მოუწონეს მას 30 ვეცხლი“** (მათ. 26, 15). პაპი მიუხვდა საქმის ნამდვილი არსს და გაუგზავნა ბერძნებს სამი კარდინალი, რომლებიც პაპის სახელით შეჰპირდნენ, რომ თუ უნია შედგებოდა, შემდეგ „ჯილდოებს“ მიიღებდნენ:

1) პაპი იღებს თავის თავზე ბერძენი წარმომადგენლების დაბრუნებას, ცხადია, მატერიალურს, რადგან ბერძნებს კონსტანტინოპოლში დაბრუნების ხარჯები არ ჰქონდათ; 2) პაპისავე საშუალებით კონსტანტინოპოლში დააყენებდნენ 300 ჯარისკაცს თურქებისაგან ქალაქის დასაცავად; 3) ჯვაროსნული ლაშქრობა იერუსალიმში ჩაივლიდა კონსტანტინოპოლზე; 4) თუ საჭირო იქნება, პაპი გაუგზავნის იმპერატორს 20 დიდ სამხედრო გემს; 5) თუ საჭირო იქნება, პაპი ბერძნების დასახმარებლად მოიხმობს დასავლეთის სახელმწიფოებს“ [პოგოდინი, 2012:85-86]. აქ საინტერესოა სიტყვები, „თუ საჭირო იქნება“, სწორედ საჭიროებამ მოითხოვა ფერარას კრებაც და უნიაზე ხელმოწერის „გამართლებაც“. ამდენად, თუ მონათხრობი სწორია და არ წარმოადგენს მხარეს, ავტორის ხაზგასმულ პოზიციას, აქ საჭიროებაც, პირობაც, მიზეზიც და შედეგიც იმთავითვე ცნობილია; „**პაპმა შესთავაზა ოფიციალურად მიეღოთ ეს პირობები. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ეს დაპირებები დარჩა ქაღალდზე და საქმით ვერ განხორციელდა**“ [იქვე].

ნებისმიერ დოგმატურ ცვლილებას სჭირდებოდა მყარი თეოლოგიური

საფუძველი და სახარებისეული არგუმენტი. შეუძლებელია, რაიმე ეპიზოდი მოიძებნოს წმინდა წიგნში, სადაც საეპისკოპოსოებისა თუ ეპარქიების უფლებრივი რანჟირება, თუ უფლებრივი უპირატესობა იქნებოდა ასახული: „ხოლო ესევიტარისა ზუაობისა და ღვთის საძულველისა ამპარტავნებისა სიტყუა და საქმე ახლად არს მათ მიერ მოპოვნებული და თავით თვისით მოგონებული, გარეშე წმიდათა წერილთა და თჳნიერ მსოფლიოთა კრებათა და თჳნიერ მსოფლიოთა კრებათჲ, რამეთუ არა სადა წერილ არს წმიდათა მოსაკსენებელთა შინა, არცა სჯულის კანონთა შინა უფროსობაჲ სხუთა ზედა პაპისა და ვერცა გამოაჩინებენ ამას, თუმცა ძუშლითგან უფროსი ყოფილიყო სხუაჲთა პატრიარქთა ზედა ეფისკოპოზი ჰრომისა, არამედ განწესებისაებრ პირველისა მსოფლიოსა კრებისა, სამას ათვრამეტა მამათასა ნიკიას შეკრებულთა, კოსტანტინეს-ზე დიდისა ერთობაჲ და სწორებაჲ აქუს ხუთთავე პატრიარქთა და რაჲთა ერთი მეორესა სამწყსოსა ვერ ეცილებოდის, რამეთუ მუნამდე არცა ერთი ეკლესია საპატრიარქო აღმოსავლეთისა, არცა დასავლეთისა იყო წარჩინებულ, არცა გამოჩინებულ“ [A-119, 37v-38r]. სახარება და შესაბამისად, საეკლესიო კრებები კრძალავდა უფროს-უმცროსობას, აღმატებულ და დამდაბლებულ ხარისხს ურთიერთობაში, მით უფრო საეკლესიო იერარქიულ ურთიერთობაში. სხვაა პატივი და რიგითობა, რაც ღვთისმსახურებისას განსაზღვრავს მღვდელმთავართა რიგს და კვერექსებისას მათი მოხსენიების ადგილს. ესაა პატივი და არა აღმატება.

ლათინი ღვთისმეტყველების სწავლებას პაპის ქვეყნიურ სწორუპოვრობაზე ორი სახარებისეული საყრდენი ჰქონდა და აქვს: 1. რომის პაპები პეტრე მოციქულის მემკვიდრეები არიან; 2. პეტრე მოციქულმა პაპების მემკვიდრეობითი ძალაუფლება იესო ქრისტესგან მიიღო. გადმოცემით, პეტრე, შემდგომში მოწამეობრივად აღსრულებული, რომის პირველი ეპისკოპოსი იყო, აქედან დაწყებული, რომის მღვდელმთავრებმა მიიღეს სამოციქულო მემკვიდრეობა, ხოლო ამ პატივის გამო რომის ეკლესიამ - საეკლესიო დიპტიქში პირველი ადგილი. რომის ეკლესიის ეს უპირატესობა პირველი საუკუნიდან იყო ცნობილი,

ეს აისახა პირველი საეკლესიო კრების კანონით. ამას აღნიშნავს ბესარიონ ორბელიშვილი: „...*ვითარცა ცხოვრებდას შინა წმიდისა სილიბისტროსა*<sup>105</sup> *წერილ არს, რომელი იყო პაპა ჰრომისა და იგიცა დამალული, მეუფემან კონსტანტინე გამოიყვანა ოდეს იქმნა ქრისტიანე გამოჩინებულთა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესითა და მათ აუწყეს მოძიებაჲ სილიბისტროსი და ვითარცა იქმნა ესე ქრისტიანე და მიიღო შარავანდედი მეუფობისა და კელთუდვა ღმერთმან ყოველი ქუწყნიერებაჲ აღმოსავლეთისა და დასავლეთისაჲ. მაშინ ქმნა კრებაჲ დიდი ნიკიას... მუნ იყუნეს კრებისა მის თავად ხუთნივე პატრიაქნი სწორად: სილიბისტროს პაპა - ჰრომისა, მიტროფანე პატრიაქი - კოსტანტინოპოლისა, არამედ მიტროფანე, ვერ მიწევნულმან უძღურებისაგან, სხუაჲ წარავლინა ნაცვლად თვისა, იობენალ - იჭრუსალიმისა, ალექსანდრე - ალექსანდრიისა და ეესტათი - ანტიოქიისა და მათ თანა სპირიდონ საკვირველთმოქმედი, ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი, გრიგოლი პართელი და მღდელმოწამე განმანათლებელი სომხითისა ბასილი, მღდელმოწამე ეპისკოპოსი ამასისა და დიდი ათანასი და სხუანი მსგავსნი ამათნი სამას ათვრამეტნი წმიდანი მამანი და მათ დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება. მაშინ კოსტანტინე დიდად პატივი სცა და აღამაღლნა ყოველნი ეკლესიანი და საეპისკოპოსონი. პირველად ჰრომისა ეკლესია ადიდა და აღამაღლა ეფესოპოზი მისი რამეთუ ნათელიცა მისგან მოელო და კელთუდვა დასავლეთისა ეკლესიანი. არათუ ყოვლისა სოფლისა მთავრად დაადგინა, არამედ დასავლეთისა ოდენ ეპისკოპოზად განაჩინა და თვით მეუფე დაემკვიდრა ბიზანტიას და მოსცვალა ძუჭლი ჰრომი ახლად ჰრომად და სახელსდვა კოსტანტინოპოლი და უფროსად აღამაღლა ეპისკოპოზი ახლისა ჰრომისა და კელთუდვა თაობაჲ ყოველთა ეკლესიათა, ეგრეთვე ანტიოქიისა და ალექსანდრიისა და იჭრუსალიმისა, ვითარცა განწესებდას შინა ნიკიისა კრებისა და*

<sup>105</sup> რომის პაპი 314-335 წწ. მისი მღვდელმთავრობის დროს ჩატარდა ნიკეის საეკლესიო კრება 325 წელს, რომელსაც თვითონ ვერ დაესწრო. შერაცხულია წმინდანად კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. მას მოუნათლავს მეფე კოსტანტინე. იყო საოცრად განათლებული და მწიგნობარი, მას მიეწერება მრავალი სასწაული: „ესე გარდარეულთა სათნოებათა მისთათჳს კელდასხმულ იქმნა პაპად ჰრომისა და მრავალნი საკურველებანი აღასრულნა ღმერთმან კელითა მისითა. ამან ნათელ-სცა დიდსა კოსტანტინეს და ქრისტეს სარწმუნოებისა მიმართ მიუძღუა და სილისა მისისა ვნებაჲ ჳორცთა უძღურებასა თანა და შჯულისა მიერ და წინასწარმეტყუელთა ქადაგებულად ქრისტე გამოაჩინა და წარმართთა და ჳურიათა ძალითა სიტყუათაჲთა და მოქმედებითა სასწაულთაჲთა პირნი დაუყვნა და კუროჲ ლოცვითა განაცოცხლა, რომელი-იგი ჳამბრე ჳურიამან მოკლა“ [დიდი სვინაქსარი, 2017:127].

მერმე მეექუსისა კრებისასა წერილ არს თანასწორებდა და ერთი პატივი ძულსისა ჰრომისა ეპისკოპოზი და ახლისა ჰრომისა ეპისკოპოზი, რაათა სწორ იყუნენ და ერთი პატივი აქუნდეს“ [A-119, 38r-39v]. მაგრამ სამოციქულო მემკვიდრეობა და პატივი შემდგომში გახდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების განხეთქილების მიზეზი. რიგითობა, ანუ დიპტიხი, არის ღვთისმსახურებისას ეკლესიათა მეთაურების მოხსენიების რიგი. ეს არ ნიშნავს ეკლესიათა თანასწორობის უარყოფას, ან რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის უპირატესობის აღიარებას. III საეკლესიო კრებამ ეკლესიათა თანასწორობა VIII კანონის განჩინებით დაამტკიცა: „რომელი პირველითგანვე და ზემოდთგან არა მის ქუეშე და მისსა უწინარესთა საყდრის მპყრობელთა ქუეშე განწესებულ იყოს, არამედ უკუეთუ ვინმე მიიტაცა და კელმწიფებასა თვისსა ქუეშე ყო იძულებით, კუალად იგი, რაათა არცა კანონსა მამათასა გარდაჰკდენ, არცა სახესა შინა მღდელობისასა ზუაობაჲ სოფლიოჲსა მთავრობის მოყუარებისაჲ იპოოს“ [დიდი სჯულისკანონი, 1975:267]. ბესარიონ ორბელიშვილი კი „უფროს-უნცროსობის“ რაციონალურ განწყობას მათეს სახარების დამოწმებით აბათილებს: „ერთი არს მოძღუარი თქვენი ქრისტე, ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ და მამათ ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუწნ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუწნი ქრისტე, ხოლო უდიდესი იყოს თქუწნდა მსახურ, რამეთუ რომელმან აღიმალლოს თავი თვისი იგი დამბდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამალდეს“ (მათე, 23. 8). აწ იხილეთ ბრძანებაჲ ესე სამეფვსა? სადა ჩანს აქა უდარეს-უაღრესობაჲ წმიდათა მოციქულთა, რომელნი იგი პაპასა ჰრომისასა უაღრესად ხადიან წმიდისა პეტრე მოციქულისა თანა მოსაყდრეობითა და განადიდებენ თავთა თვისთა და მიზეზაჲდ ამპარტავნებისა მოიღებენ პეტრეს. ესე უწყოდა, ვითარცა წინასწარ მეცნიერმან ყოვლისამან უფალმან და ამისთვის შემოიღო სიტყუჲ ესე და წინასწარ განკრძალებს მოწაფეთა თვისთა და ასწავებს, რაათა არა განლაღნეს ერთი მეორესა ზედა, ვითარცა კუალადცა ეტყოდა მოწაფეთა ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსვენებაჲ სულთა თქუწნთა. ისწავეთო ჩემგან სიმდაბლე არა თუ სილაღე? და ამპარტავნებაჲ“ [A-119, 35v-36r]. ეკლესიის თავი არის ქრისტე, ხოლო იერარქიული პატივის აღიარება უკვე სცდება რელიგიური ცხოვრების

კონტექსტსა და საეკლესიო კრებებით დადგენილ განჩინებებს და საეჭვოდ იკვეთება „საერო“ ხელისუფალთა სურვილები უპირატესი უფლებების აღიარება ეკლესიის მსახურთა მიერ ახალი კანონებით.

მხოლოდ იერარქიული პატივისცემა და ამსოფლიური პატივის მიება არ არის ბესარიონ ორბელიშვილისთვის სულიერი ხსნა, რადგან დაცემა, ამპარტავნება ხდება მწვალებლობის, ცრუ მოძღვრებების გაჩენის საფუძველი, მათი მიმდევრები ცდილობდნენ სახარების არასწორ ახსნას და ცრუ მოძღვრებით ტირაჟირებას. მეტი სიცხადისთვის ბესარიონ ორბელიშვილს სანიმუშოდ მოჰყავს არა სახარებისეული სენტენციები, არამედ ქართველი და არაქართველი გამორჩეული, წმინდანად შერაცხულ მამათა ცხოვრებები, მაგალითები ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და პოლემიკური ლიტერატურიდან, ამით ის აშინაარსებს ქრისტიანული ცხოვრების არსს, აცხადებს, რომ რელიგიური ცხოვრების შინაარსი არ არის მხოლოდ მისტიკა, სიმბოლური სახეების ირეალური სივრცე:

ა) **გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმა** - *„ხოლო წმიდაჲ გრიგოლი ღმრთისმეტყუელი დასწერს შესხმასა შინა ირონ ფილოსოფოსისა დიდისა ათანასისათვის, რაჲ იგი შეემთხვია ბოროტთა არიანოზთაგან. ესრეთ მიუწერს, რაჲთა ვითარმედ ლტოლვილი მწვალებელთაგან და მრავალფერად გუშმილი და წყლული მიიწია ჰრომად და ეფისკოპოზისა მის მათისა წინაშე განაცხადა უსამართლოებაჲ იგი მისი, რომელი შეემთხვია არიანოზთაგან და უჩუჴსნა სისხლითა შეღებილი სამოსელი თვისი. სადა ჩანს აქა უფროსებჲ პაპისა ანუ თაობაჲ ყოველთა ზედა? რაჲსთვის არა თქუდ, თუ მიიწია იგი წინაშე თვისა მის ჩუჴსნ ყოველთასა - ჰრომაელთა ეპისკოპოსისა და ყოველისა სოფლისა მწყემსისა? არამედ, ესრეთ ვითარცა ვთქუ, ვითარმედ წინაშე ეპისკოპოსისა მის მათისა და არა ჩუჴსნ ყოველთასა“* [A-119, 39v-40r]. რომის ეპისკოპოსის დამოკიდებულება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ის შეახსენებს პაპისტებს, შვიდივე საეკლესიო კრებას აქვს რომის ეკლესიის თანხმობა და მორჩილება და ყველა კრებაზე ის წარმოდგენილი იყო არა როგორც ეკლესიათა თავი, არამედ როგორც ერთ-ერთი ეკლესია, პირველი თანასწორთა შორის.

ბ) **მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება** - მსგავსი პათეტიკაა, როცა მოჰყავს მაგალითი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან. როცა გარდაიცვალა იმპერატორი

ჰერაკლე და იმპერატორად დაჯდა მონოთელიტთა დამცველი კოსტანს II, მაქსიმემ დატოვა კოსტანტინეპოლი და გაემგზავრა ჯერ კართაგენში, შემდეგ კი რომში. 649 წელს საეკლესიო კრებაზე დაგმეს მონოთელიტობა. განრისხებული იმპერატორის ბრძანებით მაქსიმე აღმსარებელი შეიპყრეს, სამშობლოს დალატში დასდეს ბრალი, სასტიკად აწამეს და სთხოვდნენ ელიარებინა კონსტანტინეპოლის უადრესობა და მორჩილება: „...ხოლო რა მიუგო წინ მაქსიმე? არამედ ესე ვითარმედ: „ეკლესია ქრისტესი არა თუ ქვათა მიერ კელითა კაცთათა აღშენებული არსო, არამედ მართლმადიდებელობაჲ სარწმუნოებაჲ ქრისტესი ესე არს კლდე და მას ზედა აღშენებულ არს ეკლესია. რაჟამს იგი პეტრეს ეტყოდა, ოდეს ძედ ღმრთისაჲ აღიარა: „შენ ხარ კლდე და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო“, რომელსაცა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ძედ ღმრთისაჲდ რწამს შემდგომად განკაცებისა ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა და საქმითა და ერთითა გუამითა, ესე კლდე თვთ ქრისტე არსო და ეს არცა პეტრეს ზედა არს აღშენებული, არცა პავლეს ზედა, არცა სხუათა მათ მოციქულთა ზედა, არამედ მართალსა სარწმუნოებასა ზედაო. აწ მე მას დავემორჩილები, რომელიცა ეკლესია და პატრიაქი მართლისა სარწმუნოებისა კლდესა ზედა დაფუძნებულ არსო. თქუენ რომელიცა ეკლესია გნებავს, შემოგართნენო გინა თუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრისა, ანუ სხუაჲ, რომელიცა გნებოს. მე რომელიცა წმიდათა მოციქულთა წინასწარმეტყუელთა და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს და ჭეშმარიტთა მოძღუართა გუასწავეს, მას არა გარდაუქცევ და სხუისა არა რაჲსა შევიწყნარებ.“ აქცა იხილეთ, ვინ არსო უფროსი ანუ უმცირესი? - არავინ“ [A-119, 40r-v], ამ ეპიზოდში საუბარია უკვე კონსტანტინეპოლის უპირატეს სტატუსზე. ბესარიონ ორბელიშვილი ირჩევს მრავალფეროვან მაგალითებს იმის დასამტკიცებლად, რომ სარწმუნოებრივი ფასეულობა და მისი დოგმატური სიმყარე არა გეოგრაფიულ სტატუსზეა დამოკიდებული, არამედ საეკლესიო სამართლის, კანონებისა და ღირებულებების აღიარებასა და ერთგულებაზე.

გ) გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრება - მაგალითების მრავალფეროვნებისთვის საინტერესოა ეპიზოდი გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრებიდან, როცა წმინდა გრიგოლის ღვაწლით შეპყრობილმა მოშურნეებმა სიძვის დედაკაცის გადაბირებით მოახერხეს ცრუ იმიჯისა და ბრალდების შეთხზვა „უმეცარი“ პაპის წინაშე,

„ვიდრემლის არა წარმოგზავნეს კაცნი და არა აუწყეს პატრიარქსა კონსტანტინოპოლისასა, ვერ განსაჯა საქმე მისი პაპამან ჰრომისამან. მაშინ წარმოგზავნა კაცნი პატრიარქმან და წარიყუანა წმიდა გრიგოლი და მან განსაჯა იგი და ცნეს ყოველთა ღირსებაჲ და უბიწოებაჲ მისი და ესრეთ განუტევეს. აწ სადა ჩანს თავობაჲ და უფროსებაჲ პაპისა სხუთა პატრიარქთა ზედა, რომელმან ერთისა კაცისა საქმე, ვინათგან სხვისა სამწყსო იყო ვერ განსაჯა?“ [A-119, 41v]. ამ ეპიზოდით ავტორი სწორედ იმის ფორმულირებას იძლევა, რომ „უფროსობა“ არა გეოგრაფიულ სივრცეშია, არამედ სიმართლის შეცნობაში, ის არც რომის, არც კონსტანტინეპოლის და სხვა საეპისკოპოსოს ავტონომიური „მემკვიდრეობა“ თუ ძალაუფლებაა.

დ) გიორგი მთაწმიდელისა და ანტიოქიის პატრიარქის პოლემიკა - ბესარიონ ორბელიშვილი, მართალია, ცდილობს, მცირე არგუმენტი მოიყვანოს საისტორიო წყაროებიდან, მაგრამ მსოფლიოს საერთო ქრისტიანულ ისტორიასა და ეთიკაში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ხაზგასასმელად ფლორენციის კრებაზე განხილული ყველა დოგმაზე მჯელობისას მოჰყავს ცნობები საქართველოს ისტორიიდან. მსგავსი სტანდარტით არის დაწერილი აგიოგრაფიული თხზულება „აბოს მარტვილობა“<sup>106</sup>. ბესარიონ ორბელიშვილი დასახელებულ ცნობილ დისკუსიას იწყებს გიორგი მთაწმიდელის წარდგენით - „სანატრელი მამა ჩუენი იგი მთაწმიდელი მთარგმნელობითი ახალი ღმრთისმეტყუელი“ [A-119, 43v]. ამის შემდეგ მოჰყავს ფრაგმენტი ანტიოქიის პატრიარქისა და გიორგი მთაწმინდელის საუბრიდან, „გრდემლის“ მიხედვით მათ საუბარს პოლემიკას ვერ დავარქმევთ, აქ ხაზგასმულია ერთმანეთის პატივისცემა და ღვაწლის აღიარება: „.....პატრიარქმან ანტიოქისამან დიდად პატივსცა და ფრიადი სიყუარული აქუნდა მისა მიმართ და გეროვნად ისმენდეს მისა და ჰკითხვიდის და გამოეძიებდის მისგან სჯულიერთა და საეკლესიოთა საქმეთა“ [A-119, 42r]. ბესარიონ ორბელიშვილი ერთ ფრაზაში

<sup>106</sup> „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკუდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვს: „მოვიდოდით აღმოსავალით და დასავალით და ინაჯიდგმიდენ წიალთა აბრაჰამისთა, ისაკისათა და იაკობისთა“. აჰა ესერა ქართლისაცა მკუდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თუთ აჰა მკუდრთა და რომელთამე უცხოთა და სხუთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუსს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისამდე. ამჴნ“ ბეგლები, I, 1963:55].

თავს უყრის ქართველების, ყველა იერარქიის საერო-სასულიერო პირთა „პირით შენითა მორჩილებენ მეფე და ერი ქართველთა“ და სრულიად საეკლესიო სამყაროს დამოკიდებულებას გიორგი მთაწმინდელისადმი, როგორც ანგარიშგასაწევი ავტორიტეტისადმი. სწორედ გიორგი მთაწმინდელს სთხოვს მორჩილებას ანტიოქიის პატრიარქი, რომელსაც „პეტრეს თავისა მის მოციქულთა საყდარი მიპყრიეს და შეკრვისა და განკსნისა, კელმწიფებაჲ მე მაქუსო“ გიორგი მთაწმინდლის პასუხი არის აკადემიური, გაწონასწორებული, პირდაპირი და კატეგორიული: „წმიდაო მეუფსო, რაჲდ იტყვი ესე ვითართა სიტყუთა, რამეთუ ქართველთა ნათესავი დაღაცათუ წრფელ არს და უმეცრად შერაცხულ თქუნენ მიერ, არამედ მართალთა სარწმუნოებათა და ღვთის მეცნიერებითა განათლებულ არიან, რამეთუ ვინათგან ნათელი ღმრთისმეცნიერებასა შეიწყნარეს, მიერთგან არღარა მიდრეკილ არიან წვალებად მადლითა ქრისტესითა და არცაღა მიდრკენ, ვიდრე აღსასრულამდე, ხოლო საბერძნეთი მრავალგზის მიდრეკილ არს წვალებად, ვითარცა დიდსა სვინაქსარსა შინა წერილ არს, რამეთუ ოდესმე მწვალებელ იქმნნეს ესე ოდენ საბერძნეთისა ეკლესიანი ხატთა ბრძოლისა წვალებითა ძალ, არა რომელსა ეკლესიასა ზედა იყო მართლმადიდებელი ეფისკოპოზი მას ჟამსა. იოანე გუთელ ეპისკოპოზი ჩუენისა კათალიკოზისა მოავლინეს და აკურთხეს იგი მცხეთას.

*ხოლო უკეთუ შენ პეტრე მოციქულითა იქადი, ჩუენი კათალიკოზი და ეპისკოპოზნი და ქართველნი ანდრია მოციქულთა იქადიანო, რამეთუ პირველწოდებული ანდრია არს და მისნი მოქცეულნი ჩუენ ვართ, იგი იქმნა პირველმოწამე და ამან მოგუარა იგი ქრისტესა, ვითარცა წმიდა სახარებდისა შინა იოანეს თავისასა წერილ არს „უკეთუ სამართალსა შეუდგეთ, ჯერ არს რაჲთა უკანასკნელ წოდებული მწოდებელსა დაემორჩილოს შენდა ჯერ არს, რაჲთა ჩუენსა კათალიკოზსა დაემორჩილო“ [იოანე თავი 1, 43]. ესევეთარნი სიტყუანი რქუნა წმიდამან მამამან იგი პატრიარქსა ანტიოქისასა და უმრავლეს ამისა და ესრეთ ყოვლითურთ უსიტყუწლ-ყო, რომელი იქადოდა წმიდისა პეტრესითა მოსაყდრეობითა, რამეთუ უკეთუ სიქადული შეჰგავს, ამის მიერ უმეტესად არს სიქადული, რამეთუ პირველი მოსაყდრე ესე არს და უკანასკნელი ჰრომი“ [A-119, 42r-43r] ბესარიონ ორბელიშვილის მიხედვით, ანტიოქიის პატრიარქის საუბარში*



დასაწყისში შეინიშნება მეტი დამაჯერებლობა და სიმკაცრე, მაგრამ გიორგი მთაწმიდელის დიპლომატიური პასუხი აჩვენებს ეკლესიებისა და მოციქულების უფლებრივ სწორებას. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ბესარიონ ორბელიშვილმა სულიწმიდის გამომავლობაზე მსჯელობისას თავი შეიკავა გამოეყენებინა გიორგი მთაწმიდელის მოსაზრება, საეჭვოა, რომ არ სცოდნოდა, მით უფრო უხვსიტყვაობს მაშინ, როცა საუბარი პაპის უფლებრივ სტატუსს შეეხება. მისი ლოგიკა გასაგებია, ის მეტი დამაჯერებლობისთვის მყარ არგუმენტებს იყენებს და არა საპოლემიკო ცნობებსა და მოსაზრებებს. ამგვარი მყარი არგუმენტია ისიც, რომ ფართო მასების ცნობადობის სასწორზე მათი სათნოების, ღვაწლის გამო წმინდა მამების ამბროსი მედიოლანელის, სპირიდონ ტრიმიტუნტელის და სხვათა წონა და ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება პაპების ხვედრით წილს.

მეტი სიცხადისათვის ბესარიონ ორბელიშვილი საკმაოდ ვრცლად საუბრობს და ასაბუთებს დასავლელ ღვთისმეტყველთა ცრუ სწავლებებსა და დოგმებს მოციქულ პეტრეს აღზევებასა და განდიდებაზე. ბესარიონ ორბელიშვილი ხუთ თავს სწორედ ამ თეოლოგიური გაუგებრობის გარკვევას, ახსნას უთმობს. პაპისტების თეოლოგიური საფუძველი, რომლითაც რომის ეკლესია მის მიერ აღიარებულ დოგმას ასაბუთებს, არის რამდენიმე სახარებისეული სიუჟეტი, ამ არგუმენტებს პასუხობს ბესარიონ ორბელიშვილიც ტრაქტატში:

ა) მათეს სახარება 16, 13-19: „13. მო-რად-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: რად თქვან კაცთა ძისა კაცისა ყოფად? 14. ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი. 15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად? 16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ. 17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჯორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. 18. და მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. 19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰკსნა ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“ [მათე, 16, 13-19]. ბესარიონ ორბელიშვილს მათეს სახარების ამ

მონაკვეთზე მსჯელობა ეპიზოდურად განაწილებული აქვს სამ თავში. მოციქულ პეტრეს ცხოვრება და მაცხოვართან მისი გადამკვეთი სიუჟეტები, რომელიც ერთი შეხედვით, სავსეა კაცობრივი ცდუნებით, შიშებით, სისუსტეებით, ძალიან ახლოა ქრისტიანულ ფასეულობასთან, სადაც ერთმანეთთან იკვეთება შვიდი ცოდვა და შვიდი სათნოება. ხოლო ქრისტიანული ფილოსოფიის უმაღლესი თავისუფლება და დემოკრატია არა განდიდებაში, უფროს-უმცროსობაში, არამედ თავმდაბლობაში, პატივისცემასა და თანასწორობაშია, ამიტომაც თეოლოგიური ახსნის გარდა, არსებობს ღირებულებითი ნაწილი, რომელსაც ვერც ერთი აღზევებული პაპის უფლება შეცვლის, თუ ჩაანაცვლებს. ბესარიონის, როგორც მწიგნობრის, ბერის, და მომავალი მწყემსმთავრის ახსნაც, რომელიც თითქმის ინტერაქტიულად, ხშირად დიალოგით და არა მონოლოგით, ვირტუალური თანამოპასუხის, საზოგადოების შეხედულებებსაც აჟღერებს.

ჩვენი მიზანია, დისერტაციის ფორმატში განვიხილოთ ბესარიონ ორბელიშვილის მსჯელობის, ანალიზის სტრუქტურა და არა პრობლემის ზოგადი შეფასება, შევაფასოთ კრებაზე მიმდინარე თეოლოგიურ-დოგმატური დისკუსია. სახარების ანალიზი ეპიზოდურად ორ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი ნაწილი მოიცავს შემდეგს: *13. მო-რაი-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა: რაი თქუან კაცთა მისა კაცისა ყოფად? 14. ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი. 15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად? 16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ; მეორე ნაწილი: 17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ კორცთა და სისხლთა არა გამოგიხცადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. 18. და მე გეტყუ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინან მას; მესამე ნაწილი: 19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰკსნა ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“*

ბესარიონ ორბელიშვილი არსად, არასოდეს აღნიშნავს მაცხოვრის განსაკუთრებულ, გამორჩეულ დამოკიდებულებას პეტრე მოციქულის მიმართ:

„რაჟამს იგი ჰკითხაჲ მოწაფეთა უფალმან „თქვენ რაჲ სთქუთ ჩემთვის, ვინ ვარ?“ ესე სიტყუად ყოველთა ზოგად ჰკითხა, ათორმეტთავე“ [A-119, 57r]. პაპისტები სწორედ პეტრე მოციქულის პასუხს მიიჩნევენ მისი გამორჩეულობის საფუძვლად: „პეტრე პირ ექმნა ყოველთა და ყოველთა მიერ თქუად: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოვლისა“, მიუგო იესუ და ჰქუა მას: „ნეტარ ხარ შენ სიმონ ბარ იონა, რამეთუ კორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“ [მათე 16, 16], რამეთუ ვინათგან პირ ექმნა ყოველთავე პეტრე და ძედ ღმრთისაჲდ აღიარა ქრისტე, ქრისტემანცა ყოველთა ზოგად მისცა ნეტარებაჲ ესე. არა თუ მარტო პეტრე აღიარებდა ძედ ღმრთისაჲ და სხუანი მოციქულნი უარყოფდეს, ნუ იყოფინ ესე, არამედ ზოგად ყოველნი აღიარებდეს ქრისტესა ძედ ღმრთისაჲდ და არათუ მარტო ესე ნეტარებჲ მისცა, არამედ რავდენნიცა ნეტარებანი და აღთქმანი არიან ყოველთა ზოგად უბრძანა და რაჲდ ვიტყუ სანატრელთა და ყოვლისა ნეტარებისა ღირსთა წმიდათა მოციქულთა, რომელთა თუალით იხილეს და კელითა მსახურეს“ [A-119, 57r-v]. საინტერესოა ერთი დეტალი, პეტრეს მიერ მაცხოვრის სამჯერ უარყოფა არ შეურაცხყოფს მოციქულს, ესაა გზა განწმედისკენ, სინანულისკენ და ამალღებისკენ, ასევეა თომა მოციქულის ზედმეტი „ექვებიც“. ესაა თომა მოციქულის ამსოფლიური განსაცდელი და ამიტომაც ეცხადდება მას მაცხოვარი, მისი „მცირედმორწმუნეობის“ გასაფანტად და ეს გამოცდილება სამყაროს თომასგან ერგო. ამდენად შეიძლება ითქვას, თომაც „გამორჩეულია“ და ასე შეიძლება თითოეული მოციქულის გრადაცია ჩვეულებრივი ამსოფლიური ცხოვრებიდან ქრისტეს მოწაფეობამდე და რჩეულ თორმეტ მოციქულობამდე. ამიტომაც არის პეტრესგან გაჟღერებული პასუხი ზოგადი და არა „კერძო საკუთრება“, გამორჩეულობის დასტური. იუდაც კი „წყეულ ამბორამდე“ რჩეული იყო და ზოგადი სახე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო, რჩეულებს ერთი „გამორჩეული“ - გამცემი უკვე ჰყავდა. ამიტომაც ეუბნება მაცხოვარი მათ: „თქუჲნ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქუენ, არღარა გეტყვი თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ რაღსა იქმნ უფალი მისი, ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი რაოდენი მესმა მამისაგან, გაუწყე თქუენ“ [A-119, 59r-v]. ეს მემკვიდრეობითი ვალდებულება, სწორედ ღირებულებების ტირაჟირება, რომელიც სათითაოდ, ყველა მოციქულის

ერთპიროვნული ფუნქციაა და ამიტომაც ჩამოთვლის ბესარიონ ორბელიშვილი მოციქულთა „მეგობრულ“ მორჩილებას მაცხოვრისადმი და არა „მონურ“ დამორჩილებას და აქვე *„ღირს იქმნა ლახვრისა მიერ მოწყლვათა სიკუდილისა ეგრეთვე პავლესი რაჟღა ვინ თქუას, რომელი ყოველთა უკანასკნელ გამორჩეულ იქმნა და ყოველთა წინა წარუსწრო საღმრთოთა მკურვალეებისათა სიყვარულითა და უფროს ყოველსა დაშურა, ვითარცა თვით აღწერს, იჭრუსალიმით ვიდრე ილირიკედმდე ქადაგა სახარებო ქრისტესი და უზეშთაესაცა მადლსა და უმეტესსა გამოცხადებასა ესე ღირს იქმნა. ხოლო ესრეთ რა განვრცელდა თხრობაჲ მოციქულთა და უმეტესი დაუტევე, რაჟთა არა საწყინო თქუნდა იქმნას, ხოლო ესეცა ამისთვის აღვსწერე, რაჟთა არა უკნინეს და უდარეს ჰგონებდეთ ერთსა ერთისა მიმართ და ერთისა ამაღლებითა სხუანი ყოველნი დაამდაბლოთ, ანუ ერთისა უზეშთაესისა პატივთა ათორმეტნივე უპატიო ჰქმნეთ და მერმე იგიცა შეურაცხ იქმნეს“* [A-119, 61r-v]. თანასწორობის პატივის სათავე ძველი აღთქმიდან იწყება: *„დავით წინასწარმეტყველი იტყვის: „ყოველსა ქუეყანას განჴდა ჴმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“* [იქვე], ამიტომაც თხრობას ბესარიონ ორბელიშვილი ამდიდრებს ძველი აღთქმიდან მოსესა და ელია წინასწარმეტყველის, ხოლო ახალი აღთქმიდან იოანე ღმრთისმეტყველის მაგალითებით, სადაც საუბარია თანასწორობაზე და არა განდიდების მანიაზე. სულიერება არ არის სოციალური მოცემულობა, ის ირაციონალური, მორალური, ზნეობრივი საფუძველია სოციალურ, რაციონალურ გარემოში იყოს მოკარნახე ადამიანთა არა ვერტიკალური, იერარქიულად დანაწილებული უფლებების, არამედ საერთო ღირებულებითი, მორალური ვალდებულებების: *„სხუანი ყოველი, რაჟცა იგი წერილ არს წმიდა სახარებაჲსა შინა მათისა ერთობისათჴს, ეგრეთ გვრწმენეს და ვადიდებდეთ განმძლიერებელსა მათსა მეუფესა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა თანა მამით და სული წმიდითურთ“* [A-119, 63v].

განსაკუთრებით უტყუარ დასტურად პეტრე მოციქულის გამოსარჩევად თორმეტ მოციქულთა შორის პაპისტებს მიაჩნიათ *„18. და მე გეტყჴ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჴენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“* [მათე 16, 18]. ბესარიონ ორბელიშვილის მოსაზრებით, დასავლეთის ეკლესია მათეს სახარების დასახელებულ მუხლს

თავიანთი მოსაზრებების განსამტკიცებლად იყენებს, რასაც „ცუდმეტყველებას“ უწოდებს: „კუალად ამის უმეტესად მოიღებენ მიზეზად ცუდმეტყუფლობის მათისა, წინა აღგვიდგებიან და იტყვიან, პეტრე მოციქული არს იგი კლდე და ეკლესია მას ზედა აღშენებული არსო. ხოლო ესე არა არს საკვირველ“ [A-119, 63r].

საინტერესოა ილია მინიატის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით: „კლდეში, რომელზედაც აღშენებლობს და რომელსაც ეფუძნება ქრისტეს ეკლესია, ერთნი თავად პეტრეს აღმსარებლობას გულისხმობენ, რადგან ოქროპირი ამის განმარტებისას ამბობს: კლდესა ამას ზედა, ანუ აღმსარებლობაზე. ეს ფრაზა ასევე ესმით თეოდორიტეს, ავგუსტინეს და სხვებს. სხვები კლდეში გულისხმობენ თავად იესო ქრისტეს, რომელიც აღიარა პეტრემ“ [მინიატი, 2009:109]. ილია მინიატი იმოწმებს ავგუსტინეს სიტყვებს: „კლდესა მას ზედა, რომელიც აღიარე სიტყვით: შენ ხარ ქრისტე და სხვა. ძეზე ღვთისა ცხოველისა, ანუ ჩემსავე თავსა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და არა შენზე. ასეთი განმარტება ეთანხმება წმიდა წერილსაც, რომელშიც კლდედ და ფუძედ უპირატესად იწოდება და არის - თავად უფალი“ [იქვე]. ილია მინიატი წმინდა წიგნიდან იმოწმებს სხვა თავებსაც: ესაია 28, 16; ფსალმუნი 117, 22; 1 კორინთელთა 3, 11 და 10, 4. „კლდეში“ იესო ქრისტეს გულისხმობს ბესარიონ ორბელიშვილიც, როგორც ეს მიღებულია ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში: „ხოლო ესე არა არს საკვირველ, რადგან ჩვენ წინააღვიდგენ, რამეთუ თვით ქრისტეს მიმართ წინააღმდგომ არიან კლდისა მის ცხოვრებისა, ლოდისა რჩეულისა, რომელი იქმნა თავსაკიდურ და მოასწავა დავით ღმერთად და აწ ქრისტე სახარებისა იგავისა მიერ განაცხადებს და იტყვის: „ლოდი, რომელ შეურაცხევს მშენებელთა მისთა, ესე იქმნა თავსაკიდურ [ლუკა 20, 17] და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს და რომელსა ზედა დაეცეს, განანჟრიოს იგი“; სიტყვისა ამასცა ქრისტე ბრძანებს: „ცანი და ქუეყანა წარკდეს“, [ლუკა 21, 33], ხოლო „სიტყვანი ჩემნი არა სადა წარკდენ“ [მარკოზი 13, 31] და ჭეშმარიტად უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარკდომა, ვიდრელა იოტა ერთი, გინა ბეწვი ერთი შჯულისაგან, გინა წინასწარმეტყუელთა წარკდომად“ [მათე 5, 18]. და უმეტესდა სიტყვა სახარებისა სიტყვისაებრ მოციქულისა: „ძმანო, არა ეგებოდა, რადგან დავარდა სიტყვა ღვთისა“ რამეთუ ჰურიანი ეკუფტენეს, რადგან კლდესა რა ცხოვრებისასა და შეიმუსრნეს და მოისპნეს, ვითარცა ბრძანა, ვითარმედ, რომელი

დაეცეს ლოდსა მას ზედა შეიმუსროს“ ხოლო აწ ლათინნი წინააღმდეგებიან ბრძანებათა მისთა და თვთ პეტრეს უკმობენ კლდედ და მის გამო ყოველთა პაპათა და არა დასცხრებიან წინა აღდგომად, ვიდრემდის დაეცეს მათ ზედა ლოდი იგი რჩეული და მით განანქრიოს იგინი, რომელი ქუემორე სიტყვაჲ მან განაცხადოს“ [A-119, 64r-v]. ის, რომ „ლოდი“ მაცხოვრის ერთ-ერთი ეპითეტია, ჩანს ბიბლიური წიგნების სხვა თავებშიც, რომლებიც უხვად მოჰყავს ბესარიონ ორბელიშვილსაც: საქმე 4, 11; 1 კათოლიკე 2, 3; 1 კორინთელთა 10, 1; ჰრომაელთა 9, 31; ეფესელთა 2, 19 და სხვა.

იმავეს ფიქრობს დიმიტრი ოგიცვი: „ეკლესიის თავსაკიდურ ლოდს არა ესა თუ ის მოციქული, არამედ თვით იესო ქრისტე წარმოადგენს, როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლეებშია ნათქვამი: „...უკუე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინასწარმეტყუელთასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ, რომლითა ყოველი შენებული, შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ (ეფ. 2, 19-21). რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის კელ-ეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“ [1 კორ. 3, 11]. [ოგიცვი, 2000:19-20].

რაც შეეხება ეპითეტურ აღქმას პეტრესთან მიმართებით ბასილი, დიდი ესაიას მე-2 თავის განმარტებისას შემდეგნაირად ხსნის: „პეტრეს იმისთვის ეწოდა კლდე, რომ იგი კლდესავით განმტკიცდა სარწმუნოებაში, მყარად და უდრეკად გაუძლო ქვეყნიურ საცთურთა დარტყმებს“ [მინიატი, 2009:111]. ბასილი სელევკიელი კი პეტრეს კლდეს უწოდებს იმ მიზეზით, რომ მან პირველმა წარმოთქვა მრწამსი, რომელიც სარწმუნოების „კლდეა“. ამიტომ ბესარიონ ორბელიშვილი ცდილობს, ასწავლოს მრევლს სახარების სწორი გააზრება, რადგან ცრუ სწავლება და სიმბოლოების დამახინჯება მკრეხელობაა: „ღმერთი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ [1 კათოლიკე 5, 5].

მათეს სახარებიდან პაპისტები იმოწმებენ კიდევ ერთ მუხლს: „მოგცე შენ კლიტენი სასუფევლისანი“ [მათე 16, 19]. ბესარიონ ორბელიშვილი პაპისტების ამ

დოგმატურ გადაწყვეტილებას ნაკლები სერიოზულობით, ცოტა სარკაზმულად უპასუხებს: „სასუფევლისა ცათასა არცა კლიტე აქუს, არცა მოქლომი, არცაღა რამცა კლიტენი მისნი მიეთვალნე ვისთჳსმე. არამედ კლიტენი და მოქლონნი და კარნი სასუფევლისანი იესუს ქრისტეს ღმრთად აღსარებაჲ არს, ვითარცა თავადი ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ კარი ჩემ მიერ, თუ ვინმე შევიდეს ცხოვნდეს“ [იოანე 10, 9]. ჭეშმარიტად იგი არს გზა და იგი არს ჭეშმარიტებაჲ, იგი არს კარი და კლიტე სასუფევლისა, რომელი გუჴქმნა გზა ცხოვრებისა და კარ სასუფევლისა, რაჴამს გამოგვიცხადა ღვთაებაჲ თჳსი და გუაცნობაჲ დაუსაბამო მამა თჳსი და თანასწორებაჲ თჳსი მამისა და სულისა წმიდისა თანა. ესე არს კლიტე იგი სასუფევლის“ [A-119, 70r-v]. ილია მინიატი ამ მონაკვეთის ახსნას საჭიროდ არც კი მიიჩნევს: „იესო ქრისტეს ეს გამონათქვამები არანაირ ახსნასა და სხვათა მოწმობას არ საჭიროებენ. რომელ წმიდა მამას უთქვამს ოდესმე, რომ ცათა სასუფევლის კლიტენი მხოლოდ პეტრემ მიიღო? ან რომელს არ უთქვამს, რომ ისინი ყველამ მიიღო?“ [მინიატი, 2009:113]. ილია მინიატის მოსაზრების გაგრძელებაა ოგიცკის წიგნში „რომაული კათოლიციზმი“, სადაც ავტორი იმოწმებს სხვადასხვა ღვთისმეტყველს: „წმ. ამბროსი მედიოლანელი ამბობს: ის, რაც პეტრეს მიმართაა ნათქვამი, ნათქვამია სხვა მოციქულების მიმართაც: მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათადსანი“; ნეტარი ავგუსტინე: „ნუთუ ეს კლიტენი პეტრემ მიიღო, ხოლო პავლეს ისინი არ მიუღია? პეტრემ მიიღო, ხოლო იოანეს და იაკობს და ასევე სხვა მოციქულებსაც არ მიუღიათ?“, ორიგენე: „განა უფალმა ცათა სასუფევლის კლიტენი მხოლოდ პეტრეს მისცა და ნეტართაგან არავის სხვას ისინი არ მიუღია?“ [ოგიცკი, 2009:19]. „სასუფევლის კლიტე“ არის სულიერი ხსნა, სინანულით, აღსარებით, თავდაბლობით, სიყვარულით დამსახურებული, შესაბამისად, არც ლოგიკური ანალიზი და არც სახარების ფუნდამენტური კვლევა გამოარჩევს ამ მხრივ პეტრე მოციქულს სხვებისგან.

ბესარიონ ორბელიშვილი იმოწმებს მოციქულებს, რომლებიც სასუფევლის „კლიტეს“ ჭეშმარიტ რწმენაში, წმინდა სამების საიდუმლოში ხედავენ: „კლიტენი სასუფევლისანი, რომელ არს მეცნიერებაჲ ქრისტეს ღმრთაებისა, ვითარცა პეტრეს არწმუნა, ეგრეთვე სხუაჲ მათცა მოციქულთა კელთუდვა. ამის უსჭუჭლობაჲ

სტეფანემ გარწმუნოს და იაკობ ძმამან უფლისამან, ვითარ ამათ ღმრთად აღსარებითა იესუსაჲ ქრისტესითა განახუნეს ცანი და იხილეს მარჯულილ მამისა იესუ ქრისტე და სხუათა მოციქულთათჳს ნულარა იჭუჭულ ხარ, ვითარმედ მათცა კელთა აქუს კლიტენი სასუფევლისანი და ვისცა არწმუნეს იესუ ქრისტეს ღმრთად აღსარებაჲ და მცნებაჲთა მისთა დამარხვა, მათ ყოველთათჳს განახუნეს შესვლანი ცათა და მუნ აღიყუანნეს მორწმუნენი ქრისტესი. ესე არს კლიტე სასუფევლისა და ესე არს კარი ცხოვრებისა და სხუაჲ არა რაჲ არს და არცა მისცემიეს კელმწიფებაჲ ესე მარტოჲ პეტრეს, არამედ სხუაჲთა მოციქულთაცა“ [A-119, 71r-v].

პეტრე მოციქულის გამორჩეულობა არ ამალღებს მის ღირებულებას, პირიქით მის ღვაწლზე ზედმეტსიტყვაობა აფერმკრთალებს იმ განსაცდელს და ღრმა სინანულსაც კი, რომელიც მან ჯვარცმის ღამეს, მამლის სამ ყივილამდე განიცადა. დიმიტრი ოგიცკი აღნიშნავს: „არასწორი იქნება, თუ ჩვენ პეტრეს სხვა მოციქულებისა და თვით ეკლესიის სხეულისაგან მოწყვეტილად წარმოვადგენთ. პეტრე იმდენადაა ეკლესიის საფუძველი, რამდენადაც იგი მოციქულთა დასს ეკუთვნის და ეკლესიაში მკვიდრობს. ამიტომ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია არ შეიძლება „პეტრესეულ“ ეკლესიად იწოდებოდეს ან ითვლებოდეს, იგი სამოციქულო ეკლესიაა: აპოკალიფსში ნათქვამია: „და ზღუდესა მას ქალაქისა აქუნდეს ათორმეტნი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი“ [გამც. 21,14]. [ოგიცკი, 2000:19].

აღსანიშნავია ისიც, რომ კლიტეთა მიცემის აღთქმა, რომელიც ფილიპეს კესარიის მხარეში იყო უწყებული, იერუსალიმში აღდგომის დღეს აღსრულდა, როცა აღმდგარი მაცხოვარი თავის მოწაფეთა შორის დადგა და უთხრა მათ: „მშუდობაჲ თქუნ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუნ. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ [იოანე 20, 21-23]. როგორც ვხედავთ, ქრისტე ყველა მოწაფეს მიმართავს და არა მხოლოდ პეტრეს. ამიტომაც ხსნის ბესარიონი დაწვრილებით ე.წ. ყველა „სადავო“ სიუჟეტებს სახარებიდან და პაპისტთა მოძღვრებას განიკითხავს.



ბ) იოანე 21, 15-16: „15. და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაასო, გიყუარ მია უფროდს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: აძოენ კრავნი ჩემნი. 16. ჰრქუა მას მერმეცა მეორედ: სიმონ იონაასო, გიყუარ მია? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ - ბესარიონ ორბელიშვილი სახარების განმარტებას პაპისტების უკეთური, არასწორი შეფასებით იწყებს: „კულად ერთი ესე აქუსთ ცუდი მიზეზი პაპის მოსავთა: სამგზის ჰკითხა რაჲ უფალმან: „პეტრე გიყვარ მე?“ და სამგზის მიუგო პასუხი კითხვისა, მერმე სამგზის ჰქუა უფალმან: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო“ და არავინ კრავნი ჩემნიო, ამისთვის არს მწყემსი ყოველთა ზედა და ყოველთა მთავარიო. რაჲ არს ესეოდენი გმობაჲ და უპირული სიტყვაჲ, რასათვის კადნიერ ვერ იქმნებინ პეტრეს მიმართ გმობაჲდ და შეურაცხებაჲდ. ჭეშმარიტად გმობაჲ არს წმიდისა პეტრესი და არა ქებაჲ და ესევეთარი დიდებაჲ არა დიდებაჲ, არამედ შეურაცხებაჲ, რაჲთა სხუათა მოციქულთა უადრეს და უდიდებულეს იყოს და სხუანი მოციქულნი ვერ ესწორნენ პეტრეს და იყუნენ უდარეს და უმრწემეს მისსა“ [A-119, 54v-55r]. ბესარიონ ორბელიშვილი ჩამოთვლის მოციქულთა განსაკუთრებულობას, რომლის გამოც სწორედ ისინი არიან მოციქულები და მაცხოვრის რჩეულნი და არა იერუსალიმის სხვა მკვიდრნი, ამიტომაც სათითაოდ ამ რჩეულთა ვალდებულება არა ერთმანეთზე აღმატება იყო, არამედ სწორედ ისინი არიან სამყაროს „მწყემსნი“, ხოლო „დამწყსვა“, ანუ მოციქულთა მოქცევა, ქრისტიანული ფასეულობების ქადაგება მათი საერთო ვალდებულება იყო: „რამეთუ ოდეს წარავლენდა უფალი წმიდათა მოციქულთა ქადაგებაჲდ თუთ პეტრესა და სხუთა ყოველთავე ზოგად უბრძანა: „აჰა მე წარგავლინებ თქვენ ცხვართა შორის მგელთა და უკეთუ სხუანი მოციქულნი ცხვარნი არიან, პეტრეცა მათთა ცხვარი არს“ [მათე თავი 10, 1], რამეთუ ზოგად უბრძანა ესე: „და უკეთუ პეტრე მწყემსი არს ყოველთა, სხუანი მოციქულნი მწყემსნი არიან და მოძღუარნი ყოვლისა სოფლისანი, რამეთუ ოდეს გამოუჩნდა იესუ მთასა გალილიასა ზოგად უბრძანა ყოველთა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და შემდგომი, არა მარტო პეტრეს, არამედ ზოგად ყოველთა ებრძანა“ [A-119, 56r]. ილია მინიატი პაპისტებს შემდეგნაირად უპასუხებს: „ეს მზრუნველობა იესო ქრისტემ ზოგადად ყველა მოციქულს ხომ არ

მიანდო? წმინდა ოქროპირი განაგრძობს: იმდენად, რამდენადაც მათ სამყაროზე უნდა ეზრუნათ, იესო ქრისტემ თავისი სამწყსო ღირსეულ მოციქულებს ჩააბარა“. პავლე მოციქულის შესახებაც ამბობს, რომ მას მთელ სამყაროზე ზრუნვა აქვს დავალებული“ [მინიატი, 2009:114]. მოციქული პეტრე არის რჩეული მოციქულებს შორის და არა გამორჩეული, რადგან მათი მისიონერული დატვირთვა თანაბარია და გადანაწილებული გეოგრაფიულ სივრცეში და არა უფლებრივ ვერტიკალში. დიმიტრი ოგიცკი აღნიშნავს: „კელესიის მწყემსობა მორწმუნეთა აზროვნებასა და სინდისზე ერთპიროვნულ და აბსოლუტურ უფლებას არ ნიშნავს. თვით პეტრე მოციქული მწყემს-ხუცესებს როგორც თანამწყემსი - „თანა-ხუცესი“ სთხოვს: „მწყსიღით თქვენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა. ილუწიღით ნუ იძულებით, არამედ ნებით... ნუცა ვითარცა ეუფლებოდით მნეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას“ [1 პეტ. 5, 1-3]. მწყემსვა მრევლის დაპყრობად, ანუ მის ხვედრზე გაბატონებად და მბრძანებლობად არ უნდა იქცეს. პეტრე მოციქულის მიმართ მაცხოვრის სამგზის შეკითხვას პირდაპირი კავშირი აქვს პეტრეს სამგზის უარყოფასთან, რომელიც მალევე მოჰყვა მტკიცებას: „დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდნენ შენდა მომართ, ხოლო მე არა სადა დავჰბრკოლდე“ (მთ. 26, 33). ეს პეტრემაც ასევე გაიგო („შეწუხნა პეტრე“)“ [ოგიცკი, 2000:24]. რელიგიური ფასეულობა, უპირველესად, ღვთის წინაშე კაცთა მოდგმის თანასწორობის აღიარებაა, განურჩევლად სოციალური სტატუსისა და იერარქიული პასუხისმგებლობისა. ამის არგუმენტირებული საყრდენი სწორედ სახარებისეული შინაარსი უნდა იყოს, მოციქულთა დიფერენცირება, უფლებრივი განსხვავება არღვევს ამ დემოკრატიულ ღირებულებას.

**გ) ლუკა 22, 31-32:** „31. და თქუა უფალმან: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. 32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი.“ - ბესარიონი განმარტებას შემდეგნაირად იწყებს: „ამისი განმარტება არა ძნელ არს, არამედ ადვილ მადლითა ქრისტესითა და კეთილად გულისკმისმყოფელთაგან ცხადად საცნაურ“ [A-119, 51r]. ბესარიონისთვის პრობლემის „სიმარტივე“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, პიროვნულ და ღირებულებით თავისუფლებაშია, რომელიც რელიგიური ცნობიერების საწყისია:

„ნუ წარმართთაებრ მსთავრობთ ერთი მეორესა, ნუცა გერქუმინ წინამძღუარ, რამეთუ ყოველნი სწორნი ძმანი ხართ“ [A-119, 51r], ბესარიონი ასახელებს მეორე მარტივ მიზეზს: „ათორმეტნი, ყოველნივე ითქმიან თავად და არა მარტო პეტრე, ვითარცა წერილ არს: „მამათა შენთა წილ იქმნეს შვილნი შენნი და დაადგინე იგინი მთავრად, ყოველსა ქუეყანასა ზედა“ [ფსალმუნი 44, 16], არამედ პეტრე ჩუენ მიერ ითქმის თავად, ვითარცა ვთქუ, ერთად ამისთვის, რამეთუ სხუათა ზედა უმოხუცებულეს იყო, ვითარცა ხატიცა მისი საცნაურ ყოფს, მეორედ ამისთვის, რამეთუ პირველად ესე და ანდრია დაემოწაფნეს ქრისტესა უწინარეს სხუათა მოციქულთასა, ვითარცა წერილ არს იოანეს სახარებათა შინა, ვითარმედ უპირატეს ანდრია დაემოწაფა და მერმე მან მოგუარა იგი ქრისტესა მერმე შემდგომილი, შემდგომად სხუანი მოწაფენი დაემოწაფნეს“ [A-119, 51r].

ბესარიონ ორბელიშვილი იხსენებს ყველა ეპიზოდს პეტრე მოციქულის ცხოვრებიდან, რომლებმაც ის მოციქულობის პატივამდე მიიყვანა. მისი გზა იყო ქრისტეს მოსვლის და მნიშვნელობის შეცნობის გზა შეცდომებით, შეცოდებით დაწყებული - სინანულით გაგრძელებული. ბესარიონი იხსენებს ეპიზოდს მაცხოვრისა და პეტრე მოციქულის დიალოგიდან: „იტყოდა, ვითარმედ: „ავალთ იძრუსალიმად და ძე კაცისა მიეცემის ჯვარცმად, მაშინ პეტრე წინა აღუდგა და ეტყოდა: „შენდობაჲ იყოს შენდა არა იყოს ეგრეთ.“ შეჰრისხნა მას უფალმან და ჰქუა: „წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ და შემდგომი, შემდგომად ამისა ესმა რა შერისხვა ესე, მერმე რაოდენიცა ებრძანის ქრისტემან მცირედრე განისწავლა სიმდაბლედ და ეგრეთ კადნიერად არღარა აცილობდა, მერმე სერობაჲსა მას იტყოდა, რაჲ უფალი: „ერთმა თქვენგანმა მიმცეს მე“, ვერღარა იკადრა კითხუად, არამედ იოანეს აწუა, რაჲთა მან ჰკითხოს და ეუწყა, რაჲ იუდას მიერი განცემა, მერმე გული განუმაგრდა თვისსა დაუცემელობისა ზედა და სილაღით თქუდ: „არა სადა უარგყო შენ“, და კუალად ურჩ ექმნა, რაჲ დაბანად ფერკთა. ესმა რა ქრისტესაგან არა გაქუნდეს ნაწილი ჩემთაო, მერმე თავიცა და კელნი ფერკთა თანა მიუპყრა და კუალად შთავარდა რაჲ უარის ყოფისა ბრალისა, მერმე ძალითღა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილებად“ [A-119, 51r-v]. ბესარიონი აქ საუბრობს პეტრე მოციქულის სულიერი სიმტკიცის, უფლის შეცნობის ეტაპებზე, არის ერთი საინტერესო ეპიზოდიც: „უფალი ეტყვის მხოლოდ

პეტრეს და არლარა ყოველთა, არამედ პეტრეს ოდენ, ვითარმედ: „მე ვევედრე მამას ჩემსა შენთვისო, „რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“; არა ჰქუაჲ, თუ „ყოველთათვის ვევედრე“, რამეთუ ყოველნი გამოითხოვნ ეშმაკმან, არამედ ესრეთ ეტყვის შენთვისო. ესე ამისთვის უბრძანა, რამეთუ უწყოდა სხუათა დაუცემლობაჲ, ხოლო პეტრესი მრავალგზის შერყევა და უარისყოფისა ბრალსა შთავრდომა, ამისთვის ჰქუაჲ მას, ვითარმედ „შენთვის ვევედრე, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“, რაჟამს იგი უწინარეს ამისსაცა ეტყოდა, ოდეს იგი უბრძანა წყალთა ზედა სლვა და ვიდოდა, რად პეტრე წყალთა ზედა, მერმე მოაკლდა მცირედ სარწმუნოებაჲ და იწყო დანთქმად, მაშინ ღქუჲ<sup>107</sup> მას იესო: „მცირედ მორწმუნენო, რასა შეორგულდი“, ხოლო სხუათა მოციქულთა არასადა ჩანს მცირედცა მიდრეკაჲ, გინა ურჩებაჲ, თუნერ იუდა განმცემელისა, რამეთუ სიმდაბლისა მუშაკნი იყუნეს და ვერა სადა მძლე ექმნა ეშმაკი, ვერ შეაბრკოლნა ვერცა შეარკინა“ [A-119, 53v]. პეტრე მოციქული არ იყო მესია, მაგრამ ის იყო მოციქული და ის იყო იესოს განსახიერება იმ საზოგადოებაში, ვინც ვერ იხილა მაცხოვარი. პეტრე ზოგადი სახეა კაცობრივი განცდიდან ამაღლებამდე. სწორედ ეს სულიერი გრადაცია და უდიდესი გამოცდილება გახდა საფუძველი იმისთვის, რომ მაცხოვარს დანარჩენი მოციქული პეტრესთვის მიენდო რწმენაში გასამყარებლად და ეს სახარებისეული ეპიზოდი სულაც არ ნიშნავს ერთის აღმატებას დანარჩენ ათზე, იუდა ისკარიოტელის გამოკლებით. ლათინები ამ ტექსტის პირველ ნახევარში პეტრეს განსაკუთრებული უფლებამოსილებისა და მისი უცდომელობის შესახებ თავიანთი სწავლების დასაბუთებას ხედავენ: უფალი პეტრესათვის ლოცულობს, რომ სარწმუნოება არ მოაკლდეს და ავალებს, რომ თავისი ძმები განამტკიცოს. მსგავსი მოსაზრება აქვს დიმიტრი ოგიცკისაც: „სახარებისეული თბრობის მთელი კონტექსტი და ამ ტექსტის მეორე ნახევარი იმაზე მეტყველებს, რომ ქრისტე პეტრესათვის მისი მომავალი ცდუნების გამო ლოცულობს, რამაც, როგორც ცნობილია, პეტრე უარყოფამდე მიიყვანა. ამ განსაცდელის დაძლევისა და მოქცევის შემდეგ, პეტრეს, თავის მხრივ, მერყევი ძმები უნდა განემტკიცებინა. სარწმუნოებაში სხვათა განმტკიცება ყველა ეპისკოპოსისა და ყველა ქრისტიანის ვალია. აქ რაღაც განსაკუთრებულ უფლებამოსილებაზე ლაპარაკი არ არის.

<sup>107</sup> განმარტება იხილეთ გვ. 73

გასაგებია, რომ აქედან რომის ტახტის უპირატესობის გამოყვანა უცნაური და არაბუნებრივი ძალდატანების შედეგს წარმოადგენს“ [ოგიცვი, 2000:23-24].

#### 4. განსაწმენდელის არსებობა

ფერარა-ფლორენციის კრებაზე ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო განსაწმენდელის არსებობა დასავლეთის ეკლესიის დოგმატით. ფლორენციის კრებაზე ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომელსაც ვატიკანი კონსტანტინეპოლის წარმომადგენლებისა და მათი მომხრეებისგან უპირობო თანხმობას უნიაზე ხელმოწერით ითხოვდნენ. ამიტომაც ბესარიონ ორბელიშვილი ვრცლად საუბრობს მასზე ექვს თავში (XIV-XIX თავი).

დასავლეთის ეკლესია, აღმოსავლეთის ეკლესიისგან განსხვავებით, აღიარებს ჯოჯოხეთს, სამოთხესა და განსაწმენდელს. კათოლიკური ეკლესიის განსაწმენდელი ასეა განმარტებული: „კ. რაი არს გასაწმენდელი? მ. გასაწმენდელი არის ადგილი ჟამიერი სატანჯველებისა, სადაც მართალთა სულნი განიწმინდებიან შესანდობელი ცოდვებისაგანა, ანუ ჟამიერთ საკანუნოთგან, რომლებშიაც იგინი მომკვდარან და გაწმედნილნი მერმე წავლენ სასუფეველში“ [კათეხიზმო, 1904:65]. განსაწმენდელი შეტანილი აქვს სიტყვის კონაში სულხან-საბა ორბელიანსაც: „განსაწმედელი რომელ არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი“ [სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონა“, 1991:141]. სულხან-საბა ორბელიანის მრწამსზე მსჯელობას არ ვაპირებთ, არც ის არის გასაკვირი და რაიმეს მანიშნებელი, რომ ეს სიტყვა მის ლექსიკონში არის, რადგან „სიტყვის კონა“ იყო ლექსიკონი, სადაც მაქსიმალურად უნდა ასახული ლექსემები, შესაბამისად, თუ იყო კათოლიკე მრევლი საქართველოში, ამ სიტყვასაც პრაქტიკული არსებობის უფლება ჰქონდა და მოხვდა კიდევაც განმარტებით ლექსიკონში.

ბესარიონ ორბელიშვილი საკმაოდ ხისტი და პირდაპირია, როცა განსაწმედელზე მსჯელობას იწყებს: „ერთი ესე არს მათ შორის წვალებაჲ, შემოდებული მასვე სრულიად წვალებისა მის ოროგინესა, რომელი იტყოდა ამასცა სხუათა მრავალთა წვალებაჲთა თანა და გმობაჲთა, ვითარმედ დასასრული იქმნების სატანჯველისაო და ემშაკნიცაჲ აღავლენ პირველსა პატივსაო“ [A-119, 74r]. ბესარიონ ორბელიშვილმა შესავალში სწორედ იმისთვის ახსენა და შეახსენა

მკითხველს მწვალელები, რომ შეედარებინა მათი სწავლებები დასავლურ დოგმებთან. ასე მოიქცა სულიწმინდის გამომავლობასა და პაპის პრიმატობაზე მჯელობისას.

ბესარიონი დეტალურად უხსნის აუდიტორიას პაპისტოა შეხედულებებს სამოთხეზე, ჯოჯოხეთსა და განსაწმედელზე: *„ეგრეთვე ესენი აღიარებენ და იტყვიან, ვითარმედ საუკუნო ჯოჯოხეთი სხუდ არსო, რომელსა შინა შევლენ უნათლავნი და ურწმუნონი და ეგრეთვე ქრისტიანენი უაღსარებონი და ცოდვითგან მოუქცეველნი. მუნ შევლენ და არღარა იქმნების გამოქსნა მათიო, ხოლო ერთი სხუდ ადგილი არსო სატანჯველსა ცეცხლსა მას შინა ჯოჯოხეთისასა, რომელსა შინა ქრისტიანენი, რომელთაცა აღსარებაჲ უთქვამს და სინანული არა აღუსრულებიეს, იგინი შევლენ მას შინა, ჟამად რავდენმე იტანჯებიან და მერმე განწმედილნი გამოვლენო. და უფროსლა ჯერ არს ჭემმარიტისა თქმა, ვითარ იტყვიან იგინი, უკეთუ არა იყუნენ მოწმენი და სრულნი წმიდანიო, იგინიცა მუნ შევლენ და სრულიად განწმედილნი გამოვლენო, ხოლო აქეთგან არა რაჲ იქმნების მათთვის სარგებელი, არცა წირვითა, არცა ლოცვითა სხვითა ქუშლის საქმითა, ვიდრემდის მათთვის განჩინებულნი ჟამი მუნ არა აღასრულონ და მერმე განწმედილნი გამოვლენო“* [A-119, 74r].

ეს გადახვევა რომმა გვიან ეპოქაში დაუშვა, IX საუკუნიდან XI საუკუნემდე არცერთ მართლმადიდებელ პოლემისტს ეს საკითხი არ დაუყენებია დასავლეთის ეკლესიის წინაშე. ბესარიონი თვლის, რომ სწორედ ორიგენიზმის გავლენით უნდა შემოეღოთ პაპისტებს ახალი დოგმა: *„ვკითხოთ მათ, თუ ვისგან მოუღიეს ესე სჯულის დადებაჲ, ანუ ვისგან ისწავეს, მოციქულთაგან ანუ წინასწარმეტყუელთაგან, გინათუ კრებაჲთგან, ანუ თუ ღმრთის მეტყუელთა და წმიდათა კაცთაგან ნუ იყოფინ ესე არა, რომლისა სჯულის დებისაგან მოსცემიეს ესე, არამედ თვთ თქვეს ესე და თავით განწესნეს თვნიერ საღთოთა წერილთა და გარეშე მოძღვრებისაგან წმიდათასა, რამეთუ ოროგინე მწვალეებელისაგან და პლატონ კერპთმსახურის წიგნისაგან მოიღეს წვალებაჲ ესე და ბრძანებითა პაპისათა დაამტკიცეს“* [A-119, 74v]. არის მეორე სხვაობაც, ლათინური დოგმატით თუ არსებობს განსაწმედელი, არსებობს საუკუნო ჯოჯოხეთი და არ აღიარებენ საუკუნო ჯოჯოხეთიდან სულების გამოხსნას: *„მაშა ქრისტიანე*

მართლმადიდებელი, რაობამცა ცოდვილ იყოს, თუ ვინმეს აღადგენ მათთვის მეხუაიშნედ წირვითა და ქუცლის საქმითა, ვითარ არა იქნეს ლხინებაჲ და გამოკსნა მათი, მიუცთომელითა მოწყალებითა ღმრთისათა. ხოლო ლათინნი არა ესრედ იტყვან, არამედ საუკუნესა ჯოჯოხეთსა იტყვან ერთსა, რომელსა შინა შევლენო უნათლავნი, პაპის ურჩნი და ურწმუნონი და ვერა რომლითა მოკმარებითა, ვერცა წირვითა და ლოცვითა არღარა იქმნების გამოკსნაო, ხოლო ერთსა ჯოჯოხეთსა იტყვან, ვითარცა პირველსავე ვიტყოდნი, რომელსა შთავლენ პაპის მმოსავნი და ადრე გამოვლენ, სრულიად განწმედილნი და სასუფეველად აღვლენო და ორთავე მიეგების მართალთა და ცოდვილთა მისაგებელი მათი პირველ-მეორედ მოსლვისა, ამისთვის უკმობენ საუკუნესა ჯოჯოხეთსა“ [A-119, 77r].

ბესარიონ ორბელიშვილს არგუმენტაციისთვის მოჰყავს მაგალითები ქრისტიანობის ისტორიიდან, თუ როგორ იქნენ გამოხსნილი მეკერპენი და უღვთონი ჯოჯოხეთიდან. პოლემიკისას ის იმოწმებს წმინდა გიორგის, დიდი მაკარის, გრიგოლ „დიალოღონის“ ცხოვრებებსა და მათ მიერ აღსრულებულ სასწაულებს, ხოლო სარწმუნოებრივი დოგმების საფუძველი ბიბლიური წიგნებია. ბესარიონ ორბელიშვილი ჩამოთვლის და ცალკე თავებში განმარტავს მათი სწავლების ერეტიკულ ხასიათს.

ა) „სისხლი იმრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწეულითაჲ“ [ესაია 4.4]; ბ) „ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადისა, იგი საქმე.“ [1 კორინთელთა 3, 13]; გ) „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი“ [ლუკა 12, 59] - „3. და იყოს დატევებული სიონს და დაშთომილი იერუსალიმს შინა, წმიდად იწოდებოდინა ყოველნი დაწერილნი ცხოვრებად იერუსალიმს შინა, 4. რამეთუ განჰრცხის უფალი მწიკულსა ძეთა და ასულთა სიონისათასა და სისხლსა იერუსალიმისასა განსწმედს, საშუალისაგან მისისა სულითა განკითხვისათა და სულითა დაწუვისათა“ [ესაია 4. 3-4].

ბესარიონი თხრობას იწყებს ბიბლიური ციტატით, რომელიც არის მათი ბიბლიური საყრდენი. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ თხზულების ეს ნაწილი ტიპური ეგზეგეტიკური ფორმითაა დაწერილი, მოცემულია ამონარიდი ბიბლიიდან და შემდეგ მისი „თარგმანება“, ახსნა. ბესარიონი პაპისტთა პირველ ბიბლიურ „არგუმენტს“ განმარტავს: „უკეთუ ვინმე გულისკმისყოფით ისმენდეს სიტყვასა

ამას მოციქულისასა არა ძნელ არს, რომელი ამის სიტყვსა, არამედ ადვილ არს მადლითა სულისა წმიდისათა, რამეთუ ამას ჟამსა მერმისა მის ცეცხლისათვის იტყვის: „რომელი გამოჩინებად არს წინაშე საშინელსა საყდარსა ქრისტესა დღესა მას მეორედ მოსვლისასა, რომელი იგი გამომცდელი არს კაცად-კაცადისა საქმეთა და არა მათისაებრ ზრახვისა, რომელსა აწვე განსაწმედელსა ზედა მოიღებენ იგინი, არამედ ესე იგი ცეცხლი არს, რომელი იხილა წინასწარმეტყუელმან დანიელ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „საყდარნი დაიდგნენ და ძუჭლი დღეთა დაჯდა მას ზედა. ათასნი ათასთანი დგენ წინაშე მისადა, ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას და მდინარე ცეცხლისა დიოდა წინაშე მისსა.“ [დანიელი 7.9]; ვითარცა დავითიცა წინასწარმეტყუელი იტყვს: „ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩუენი არა დადუმნეს, ცეცხლი მის წინაშე აღტყდეს და გარემოს მის ნიავექარი ფრიად“ [ფსალმუნი 49. 3] და შემდგომი კუალად სხუისა ფსალმუნსა შინა იტყვს: „სიმართლე და განკითხვაჲ წარმართებაჲ საყდრისა მისისა, ცეცხლი მის წინაშე ვიდოდის და შეწუნეს გარემოს მხარენი მისნი“ [ფსალმუნი 96, 2] [A-119, 87r-v]. ბესარიონ ორბელიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ცეცხლითა გამოჩინება“ ნათქვამია მეორედ მოსვლისათვის და არა განსაწმედელისათვის.

ღვთიური განჩინებით ადამიანის ასპარეზი არის სააქაო ცხოვრება, საიქიო კი ქვეყნიური ცხოვრების შეფასებაა. მატერიალური დივიდენდი, ინდულგენცია ვერ ცვლის იმ რეალობას, რაც სააქაო ცხოვრებიდან მიჰყვება ადამიანს იმქვეყნიერ ცხოვრებაში. სწორედ საღვთო სამართლის მატერიალიზება არის ერეტიკული დამოკიდებულება საღვთო განჩინებისა. ბესარიონ ორბელიშვილი განმარტავს, ჯოჯოხეთში ადამიანს შესაძლოა კეთილიც „შთაყვეს“, რადგან „არა ვინ არს ცოდვილი, თუმცა ერთიცა კეთილთაგანი არა ექმნას, ვითარცა იგი არცა მართალი, თუმცა არაჲ რაჲ ბრალი აქუნდა“ [A-119, 91v]. ადამიანის სამართალი, სასყიდელი, გამოსასყიდელი და განსაწმედელიც ადამიანის ცხოვრება, სათნოებაა: „არა მისცეს ღმერთისა საკმარი თავისა თვისისაჲ და სასყიდელი საკმარად სულისა თვისისა“ [ფსალმუნი 48. 8]. ზოგადად, აპოკრიფული შინაარსი ძალიან ღრმად გააზრებული და სარწმუნო არგუმენტაციას მოითხოვს, რადგან მიღმიერი სამყაროს მიმართ ამქვეყნიურ კაცთა შიში ბუნებრივია და გარკვეული ინდულგენცია, ყველაზე სასურველი იმედია, ამიტომაც ლათინების მიერ განსაწმედელის ნივთიერი



ცეცხლის არსებობა უფრო „მარტივი“ ასახსნელია და დასაჯერებელი, ვიდრე ცეცხლის, როგორც გარდაუვალი ცეცხლის არსებობა და ჯოჯოხეთიდან გამომდინარე დაუსრულებელი მოლოდინი. იოანე დამასკელი დაწერს: „ჩადის ჯოჯოხეთში განღმრთობილი სული, რომ ისევე როგორც მიწაზე მყოფთათვის ამოვიდა სიმართლის მზე, ასევე მიწის ქვეშ წყვდიადში და სიკვდილის ჩრდილში მსხდომთაც გამოუბრწყინდეს სინათლე, რომ ისევე როგორც მიწაზე მყოფთ ეხარათ მშვიდობა, დატყვევებულთ - გათავისუფლება, ბრმათ - თვალის ახელა და ისევე როგორც მორწმუნეებს მარადიული ხსნის მიზეზად გაუხდა იგი, ურწმუნოებს კი - მხილებად ურწმუნოებისა, ამგვარადვე - ჯოჯოხეთში მყოფთაც, „რომ მისდამი მოდრკეს ყველა მუხლი ზეციერთა, ქვეყნიერთა და ქვესკნელში მყოფთა“ [ფილიპ. 2. 10-11]; და, ამ სახით, გახსნა რა მან საუკუნიდან ბორკილდებულნი, კვლავ მკვდართაგან ზეამოვიდა და გაგვიკვალა ჩვენ აღდგომა“ [დამასკელი, 2012:166].

ბესარიონ ორბელიშვილი პრობლემის სიძნელის გამო, ადამიანებს მარტივად უხსნის, რომ თუ ვაღიარებთ ორ სამყაროს - ამსოფლიურსა და ზეციურს, თუ ვაღიარებთ სამოთხეს, ჯოჯოხეთს და თუნდაც განსაწმენდელს, რომელთა მბრძანებელია დაუსაბამო, ყველა ძალზე აღმატებული უფალი, რატომ უნდა იყოს მისთვის შეუძლებელი ჯოჯოხეთში შთასვლა, სულთა გამომხსნა: „ხოლო ვთქვათ უკუშ, ვითარმედ მეფსა ქრისტესა უკეთუ ღირსნი ოდენ და წმიდანი გამოეკსნა ჯოჯოხეთით, რაჲ იყო საკვირველი ანუ რაჲ სასწაული უცხოჲ, ანუ მოწყალება ღმრთისაჲ უსაზღვროჲ, არამედ შთა-რაჲ-კდა უფალი ქუესკნელთა შინა, მუნ შეყენებულთა მიჰფინა ნათელი და ახარა მყოფთა მას შინა და ქადაგა ღთაებაჲ თვისი, ვითარცა იგი ქუეყანასაცა ზედა, ხოლო რომელთაცა რწმენა, იგინიცა აღმოიყვანა, ვითარცა წერილ არს: „რაითა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესა ყოველი მუკლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელისათანი და ყოველმან ენამან აღუარო მას“ [ფილიპეთა 2. 10]. უფლის წყალობისა და შესაძლებლობების რეალური პრეზენტაციაა მსგავსი, ხილული სასწაულებიც: „ხოლო თუ ღირსნი წყალობისნი გამოეხსნა, არამედ უღირსნიცა, ვინათგან მონათაჲცა თვისთა მისცა ესევითარი კელმწიფებაჲ, რაჲ ქუესკნელით ჯოჯოხეთით იკსნიდენ უღირსთათაჲ და უსჯულოთა ტრიაანე მეფე, წმიდა თეკლე პირველმოწამემან - ასულნი ფალკონილასი, წმინდანი გიორგი - მღდელი კერპთა

და დიდმან მაკარი - ძუელთა მეკერპთა მკუდართაგანი. აღმოიყვანეს ჯოჯოხეთით სათნო სულნი მათნი და შეაერთნეს კორცთა და წარმოადგინეს. ხოლო ესე კორცითა წარმოდგინებაჲ წმინდამან მოწამენან გიორგი და დიდმან მაკარი ქმნნეს, ხოლო წმინდამან თეკლა და წმინდამან გრიგოლი სულნი ოდენ გამოიკნნეს ჯოჯოხეთით, ვინ იყუნეს ამათსა უმძვინვრესსა და უსასტიკესა ტანჯვასა შინა, ანუ რომელი არს სხუა საუკუნოჲ ჯოჯოხეთი, რომელსა შინა ესენი არა იყუნეს“ [A-119, 105r-v]. ეს არის ის ხილული სასწაულები და რეალური ცნობები ღვთიური შესაძლებლობების, წყალობის და საიქიო ცხოვრების ჩვენებაც. გადმოცემით, სწორედ ამ საკითხებზე გამართულა მწვავე კამათი ფლორენციის კრებაზე. აღმოსავლეთის ეკლესიის ღვთისმეტყველები თვლიდნენ, რომ ადამიანს იმქვეყნიურ ცხოვრებაში ცოდვის გამოსყიდვის იმედით, არ უნდა ჰქონოდა ცდუნება და არ უნდა ეგრძნო ნების შეუზღუდავი თავისუფლება. კაცის ყველაზე დიდი მხსნელი და „განწმენდა“ თავად კაცშია, მის სურვილში შეიმეცნოს ღმერთი. ფსევდოდოინისე არეოპაგელი განმარტავს: „განწმენდა“ *ესე არიან სამნის უდარესთ დასთანნი განწმედილთა, განათლებულთა, სრულყოფილთა. რა არის განწმენდა, რა არის განათლება და რა არის სრულყოფა, „ეს ხომ სამებაა“* [ქაჯაია, 2019:65].

## 5. ლიტურგიკული სხვაობა

დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განსხვავება შეეხება ლიტურგიკულ საკითხებს და მსჯელობა, პოლემიკა ფლორენციის კრებაზე ლიტურგიკულ სხვაობაზეც იყო, ამიტომაც ბესარიონ ორბელიშვილის ტრაქტატში საუბარია ნათლილების, ლოცვის, საკურთხევის მდებარეობაზეც კი, წირვის, მათ შორის ექვარისტიაში ხმადის, „უცომოს“ გამოყენების შესახებ, ზიარების, მარხვის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. თხზულების დანარჩენი თავები ამ პრობლემის განხილვას ეთმობა.

დასახელებული განსხვავებების არსებობა ფუნდამენტური სხვაობისა და შეუთანხმებელი უნიის გამო გასაკვირიც არაა, რადგან ლიტურგიკული შინაარსი თავის არსში შეიცავს ქრისტიანულ სწავლებას, ცხოვრებას, ამიტომაც თუ სხვაგვარადაა აღქმული ფუნდამენტური საკითხი, სხვაგვარი იქნება მისი ასახვაც. ალბათ ამიტომ ითხოვდნენ კატეგორიულად დასავლელი ღვთისმეტყველები

შეთანხმებას ზემოთდასახელებულ ფუნდამენტურ საკითხებზე.

ბესარიონ ორბელიშვილი მსჯელობას იწყებს **ნათლისღების** საიდუმლოთი: „ნათელმან სოფლისამან, ქრისტემან, ინებაჲ, რაჲთა კსნა კაცთა ნათესავისა გარდამოხდა უხრწნელთა წიალთაგან დაუსაბამოსა და უხილავსა მამისაჲთა და იქმნა მსგავსად ჩუენდა, თჳნიერ ცოდვისაჲ და იხილა, ვითარცა კაცი ორითა ბუნებითა - ღმრთაებისა და კაცებისათა და ჩუენი ყოველივე თავს იღვა უცოდველნი საქმენი, რაჲთა ადამ აღიყვანოს პირველსავე პატივსა და ჩუენ ყოველნი ადამის ძლით დასჯილნი გუაცხოვნნეს. ხოლო პირველი და თავი გამოკსნისა ჩუენისა და ცხოვნებისა სხუაჲ არა რაჲ არს თჳნიერ ნათლისღებისა და მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რამეთუ თჳნიერ ამისა არა იქმნების ცხოვნებაჲ ჩუენი“ [A-119, 106v-107r]. ნათლისღების აღმოსავლური ლიტურგია არის სამების და ნიკეა-კოსტანტინოპოლის მრწამსის აღიარება და ადამიანის გენეტიკური მემკვიდრეობის ადამის ცოდვისგან გათავისუფლება, სულის ხსნა და იმის შეხსენება, რომ უფალმა თავს იღვა ადამის ცოდვები და საუკუნო ჯოჯოხეთისგან იხსნა. ეს ლიტურგიკული შინაარსი აბსოლუტურად სახეცვლილია დასავლურ ეკლესიაში, შესაბამისად, ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებასაც სხვაგვარი საღვთისმსახურო სახე ექნება. ნათლისღების წესი ქრისტეს ნათლისცემის ასახვაა: „ამისთვის მან თავადმან ყოვლად უხრწნელად შობისაჲ და ქუეყანასა ზედა ქცევისა მეოცდაათისა წელსა პირველად ესე მიიღო და თავს იღვა უცოდველმან მან და ყოველთა ბილწთაგან თავისუფალმან განბანა წყლითა და განშიშულებული შთაკდა იორდანესა შინა მდინარესა, კელსა ქუჭშე იოანე წინამორბედისა ნათელილო“ [A-119, 107r]. განწმენდა ამაღლების, ხსნის წინაპირობაა, ამიტომ გაიყვანა წყლით მოსემ ერი, „ეგრეთვე ელისეს მიერ წინასწარმეტყველისა: სიღრმეთაგან წყლისათა რკინის ამოღებაჲ - ესეცა ნათლისღებისა განცხადებული სახე იყო“ [A-119, 108v]. აღმოსავლური ნათლისღების ლიტურგიკა სწორედ მეორედ შობას ასახავს: „ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი ყოველნივე შიშუელთა ნათელ სცემდენ წყალთა შინა სამგზის სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა“ [A-119, 109v], მეტი დამაჯერებლობისთვის მაგალითად მოჰყავს ბესარიონს ბიბლიური სიუჟეტები და წმინდათა ცხოვრებები - ფილიპეს მიერ საჭურისის მონათვლა, პანკრატ

მოციქულის ცხოვრება, სომეხთა განმანათლებლის, გრიგოლ პართელისა და რომის პაპის, სილიბისტროს, ცხოვრება, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებულია პაპისტა ლიტურგიკა, „რომელნი სხურებითა წყლისათა ანუ თუ მცირისა წუჭთისა შეხებითა ნათელ სცემენ, გინა თუ მღდელნი ანუ თუ ერის კაცნი, გინა თუ დედანი, რომელნიცა დახუდენ ეგრეთ ნათელ სცემენ და ნათლისა წილ დაუტევებენ ბნელსა შინა სრულიად განუნათლებელსა“ [A-119, 110v]. ნათლისღება არის ადამიანის ხელახალი შობა, ანუ სულიერი განწმენდა. ადამიანმა, კათაკმეველმა, უნდა ჩამოირეცხოს ცოდვები: „არცა ესე იქმნების, თუმცა ერთსა ასოსა მიიხილოს წყალი და სხუად იგი დაშთეს ყოვლად განუბანელი და შეირაცხამცა იგი ძედ ნათლისა და შვილად სასუფეველისა არცა იქმნების მეორედ შობად“ [A-119, 111v-112r]. პაპისტებს კატეხიზმომი აღწერილი აქვთ ნათლისღება: „კ. როგორ უნდა მოინათლო? მ. ესრეთ უნდა მოინათლოს; მოსანათლავს თავზე უნდა დაასხას ბუნებითი წყალი ერთხელ და იმავე დროს თანვე სთქვას: „მე გნათლავ შენ, სახელითა მამისათა და სულისა წმიდისათა“ [კატეხიზმო, 1904:162]. რა არის ნათლისღება? ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი დღესასწაული, როცა მაცხოვარი ნათელილო იოანე ნათლისმცემლისგან თავმდაბლად კაცობრიობის შეწევნისთვის, ამ დღეს გაცხადდა წმინდა სამების საიდუმლოც - მე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს მე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“: „რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თავყანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყვარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა“ [ტროპარი]. ნათლისღების არსი ასახავს მაცხოვრის ცხოვრების ერთ ეპიზოდს - იოანე ნათლისმცემლისგან ქრისტეს ნათლისღებას იორდანეში, მისი დარღვევა კი სცდება რელიგიურ საზღვრებს, ქრისტეს შემეცნების სურვილს და, სამწუხაროდ, იღებს იდეოლოგიურ სახეს: „შეისწავე სამოციქულოთა განწესებათაგან, ვითარმედ: ნათლისღებისა იგი დაფლვად წყალთა შინა სიკუდილისა მიმართ ქრისტესისა მოცემულ არს, ხოლო წყალი დაფლვისა წილ, ხოლო ზეთი ნაცვალად საცხებელისა მის სულისა წმიდისა, ხოლო აღბეჭდვად ჯუარისწერითა ნაცვალად ჯუარისა,

ხოლო მიჰრონი დასამტკიცებელად აღსაარებისა“ [ქაჯაია, 2019:107]. ორი ეკლესიის განსხვავებული დოგმატური არსი ასახულია ლიტურგიკულ ნაწილშიც.

ნათლისღებისას განსხვავებულია დედათა ნათლისღება და მირონცხება. კატეხიზმოშივე წერია: „კ. ვის შეუძლია მირონცხება? მ. მირონის-ცხება შეუძლია მხოლოდ ეპისკოპოსსა (ხოლო აღმოსავლეთის ტიპიკონებში მღვდელსაც შეუძლია მირონის-ცხება, მხოლოდ ნათლის-ღებასთან ერთად)“ [კატეხიზმო, 1904, გვ. 162-163]. ამ განხვავებას აღნიშნავს ბესარიონ ორბელიშვილიც: „ხოლო იგინი მოგვიგებენ მათისა მის უწესობისა შემსგავსებულსა სიტყუასა, ვითარმედ მირონის ცხებაჲ თუნერ ეპისკოპოსისა არა იქმნებისო“ [A-119, 112v]. დასავლური ლიტურგიით ნათლისცემის რიტუალის აღსრულება შეუძლიათ დედებსაც: „ვისგან ისწავეს ესე წესიო, ანუ რაჲსა ეკლესიისაგან მოიღეს ესე სჯულის დებაჲ, რაჲთამცა მეძავნი დედანი ანუ წიღოანნი, გინათუ წმიდანიცა დედანი ნათელსცემდენ“ [A-119, 114v]. სწორედ ამას პასუხობს ბესარიონი, როდესაც მირონცხებაზე საუბრობს: „უკეთუ დედაკაცი სრულ იქმს ნათლის ღებისა საიდუმლოსა, რაჲსათჳს მღვდელთა არა აქუს კელმწიფებაჲ ცხებაჲდ მირონისა?“ [A-119, 113r]. ბესარიონ ორბელიშვილს ტრადიციისამებრ, მოჰყავს წმინდა ნინოს მაგალითი, რომელმაც, უდიდესი დამსახურების მიუხედავად, რომელმაც მოაქცია ერი და ევედრებოდნენ ნათლისღებას, არ დაარღვია საღვთო წესი, მოიწვია საბერძნეთიდან მღვდელნი და „დაიკლო ეს ნიჭი“. ბესარიონი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ეკლესია სჯულის კანონის დაცვით აღასრულებენ საღვთო ლიტურგიას, რომ მირონცხების გარეშე ნათლისღება არ არის „სრული“: ამიტომ პასუხობს პაპისტებს: „არა სადა ასმიოდა ოდესცა ძუჭლითგან, არცაღა თუ იჭუთ სადმე, არცა მსხუშროპლისა შეწირვაჲ, არცა ნათლისცემა დედათა მიერ და რაჲდ ვიტყჳ დედათა, არცაღა თუ ერისაგანთა მამათაჲ მიერ თუნერ მღვდელთასა, რამეთუ ვერცაღა დიაკონნი ნათელ სცემენ, რომელთა კელთდასხმა კურთხევისა მიუღეს განწესებისაებრ შუდთა მსოფლიოთა კრებითათა და უკეთუ სმენოდა დედათა მიერ ესევეითართა საიდუმლოთა შეხებაჲ, უმეტესად ესე აღასრულებდა, რამეთუ უფროსად ამისდა საკმარ იყო საჭიროდ“ [A-119, 115v]. ნათლისცემის დარღვეულ განჩინებას ეხება ევსტრატე ნიკიელიც: „ხოლო ერთითა შთაყოფითა ნათლისმცემელთათჳს ესრეთ იტყჳს მეერგასიმე კანონი წმიდათა მოციქულთაჲ: უკუშთუ ვინმე ეპისკოპოსმან ანუ ხუცესმან არა

სამნი ნათლისცემანი სრულ-ყვნეს ერთისა მესაიდუმლოობისანი, არამედ ერთი ნათლისცემაჲ, სიკუდილისა მიმართ უფლისა მიცემული, განიკუჭთენ. ხოლო სამად ნათლისცემას უწოდეს სამთა შთაყოფითა“ [რაფავა, 2014:142]. ბესარიონ ორბელიშვილი და სხვა ღვთისმეტყველი მამები რელიგიურ გადაცდომას ხსნიან იმ კანონების საფუძველზე, რომელსაც რომის პაპებიც ეთანხმებოდნენ და ადასტურებდნენ.

ლოცვა საღვთო ლიტურგიის ნაწილია, რომელშიც ასახულია ადამიანის სურვილი იყოს თანაზიარი ღვთიური საიდუმლოს, მას აღსრულების თავისი წესი გააჩნია. ის ფუნდამენტური რელიგიური დოგმის ნაწილი, ამიტომაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განსხვავება ლოცვის აღსრულებაშიც არის: დასავლეთის ეკლესიას „იგი სრულად დაჯსნილ არს მათ მიერ და აკოცილ ეკლესიით“ [A-119, 116r]. აქ საუბარი ეკლესიაში აღსრულებულ ლიტურგიაზე, მათთვის ლოცვა-ვედრებაა და არა საღვთო საიდუმლო, ასეც წერია კატეხიზმომი: „ლოცვა არის გონების ღმერთთან ამაღლება, რათა გამოვუცხადოთ მას ჩვენი პატივისცემა და მადლიერება, მისი ჩვენზედ მოქმედებულ სიკეთეებისათვისა და თხოვნა შემწეობისა, ჩვენს დაჭირებაშია. ჩვენ ვალი გვაქვს ლოცვისა, მისთვის რომ ღმერთმა დაავალა კაცთა, რომ ყოველს დროსა შინა ილოცვიდეს“ [კატეხიზმო, 1904: 143]. აქ საუბარია იმის შესახებ, როდის, როგორ უნდა ვილოცოთ, ვისი სახელით ვილოცოთ და რა ვსთხოვოთ, მაგრამ არაფერია ნათქვამი ეკლესიაში ლოცვაზე. მათი გაგებით, ლოცვა პრივატული, ინდივიდუალური დამოკიდებულებაა ღვთისადმი, განსხვავებით ორთოდოქსი ქრისტიანებისაგან: „...უკეთუ მარტოჲ ესე ლოცვაჲ ემცნო უფალსა და დაედვა წესად ლოცვისაჲ და სხუაჲ არა რაჲ, ვითარცა ლუთერანნი იტყვიან და უფროსდა მოსავნი პაპისანიცა, რასათვისა შემოიღო უფალმან ესეოდენნი სახენი და იგავნი მოუწყინებლად ლოცვისანი და თუთცა მრავალგზის ღამეთა ათევდის ლოცვითა? ანუ სხუთა წმიდათა და დიდთა ღმრთისმეტყულთა, რასათვის განაწესეს ეკლესიასა შინა ლოცვაჲ ღამე და დღე მოუწყინებლად ფსალმუნებაინი და გალობაინი და შესხმანი სულიერნი და არა ხოლო მარტოდ ლოცვა იგი სამეფოჲ „მამაო ჩუენო“, რამეთუ რომელიცა ლოცვაჲ და ფსალმუნებაჲ არს განწესებული წინასწარმეტყუელთაგან ანუ ღმრთისმეტყუელთაგან, ყოველივე სამეფოჲ არს და სულისა მიერ წმიდისა

თქმული, ვითარცა წერილ არს „იოტა ერთი გინა რქად ერთი შჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა არა წარკდების“ [მათე 5. 18], ხოლო სამეფოდ იგი ლოცვაჲ „მამა ჩუენოჲსა“ სიადვილისათჳს ბრძანა ესრეთ მოკლე და მცირე, რადთა ყოველსა კაცსა მიზეზი არა აქუნდეს უღებად წოლისა და ულოცაობისა“ [A-119, 124r-v]. მათეს სახარებაში წერია: „ესე ნათესავი არარაით განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ [მათე 17,21]. ადამიანის ხსნა და მადლიერება უფლისადმი ლოცვაშია. ეს არის ადამიანის უშუალო ინტერაქცია, დიალოგი უფალთან, ამიტომაც ეს არის ადამიანის მაღალი პასუხისმგებლობა. „მამაო ჩვენოში“ არის ფრაზა „...მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“, ეს არის სწორედ პასუხისმგებლობა, ჩვენი გზა, ჩვენი ნაკვალება, „განსაცდელში შემყვანიც“ და „არსობის ძალაც“.

მაცხოვრის ეპითეტებს შორის არის ერთი - „მარტივი“, უფალი დაუსაბამო, უსაზღვრო, მაგრამ ის განკაცებული ღმერთია, მისი მრწამსი არ არის ორის ადამიანის ხასიათიდან, ზოგჯერ ზარმაცი, ურჩი, მაგრამ ის ნებისმიერ ემოციურ ვითარებაში ღმერთთან უნდა იყოს ახლოს. „მამაო ჩვენოს“ სიმარტივის მიზეზიც ესაა. ბესარიონ ორბელიშვილს უხვად მოჰყავს მაგალითი წმინდა წიგნიდან და წმინდათა ცხოვრებებიდან, სადაც აღწერილი და ახსნილია ლოცვის ძალა, რომელიც გასაღებია დახშული კარის გასაღებად და უფალთან მუდმივი თანაზიარობისა: „დღე კუალად, პირველად ლოცვისა და მადლობისათჳს ღმრთისა და მერმე ძალისაებრ კაცად-კაცადისა შრომა და საქმე“ [A-119, 129v]. რადგანაც ტამარი, ეკლესია უფლის სახლია, პატივის მიგება, უპირველესად, უფლის სახლში გვმართებს: „შუდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“ [ფსალმუნი 118, 164]. სწორედ ღვთის სახლში, ეკლესიაში ლოცვა და გალობა განასხვავებს ორ ეკლესიას. სწორედ ეს უკვირს ბესარიონ ორბელიშვილს, რომელმაც ძველი და ახალი აღქმიდან, წმინდანთ ცხოვრებიდან მაგალითებით განამტკიცა აღმოსავლეთის ეკლესიის ლიტურგიკული წესი.

არის მეორე განსხვავება ლოცვისას აღმოსავლეთის ეკლესიის განჩინებით, ლოცვა უნდა აღესრულოს აღმოსავლეთით, ანუ საკურთხეველი ტამარში უნდა იყოს აღმოსავლეთით, განსხვავებით დასავლეთის ეკლესიისა: „ხოლო იტყჳან ჰრომს შინა, რომელთამე ძუჭლითგანთა ეკლესიათა ახლად შეცვალებულთა და

აღმოსავალისა ნაცვლად დასავალით, გინათუ სამხრით, ანუ ჩრდილოთ კერძო საკურთხეველთა აღმართებასა არა ძუღლითგან, არამედ ახლად მათ მიერ შეცვალეზულსა, რაითა ამითცა განეყონ და განეშორონ აღმოსავლეთისა ეკლესიასა და ყოველი მათი უცხო იყოს ძუღლითგანისა განწესებისა მიერ და უკეთუმცა ძუღლითგანმცა ყოფილიყო ესრეთ, ვითარცა იგინი იტყუან, ერთ-სამცა ადგილსა იპოებოდა, თუნიერ აღმოსავლეთისა დამყარებული ეკლესიაჲ, რამეთუ არცაღა ამას ზედა დაიმარხეს წესი და საზღვარი წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და ძუელითაგანსა მოცემულსა წესსა ზედა არა დაადგრეს“ [A-119, 131r-v]. პაპისტები თავიანთ დამოკიდებულებას ხსნიდნენ ღმერთის ბუნებით, გარეშემოუწერელი არის და თავყვანისცემაც ყველგანაა შესაძლებელი. როგორც აღვნიშნეთ, ლიტურგიკული კანონები, ნორმები საეკლესიო კრებებზეა მიღებული და სიმბოლურად ასახავს ქრისტეს წინარე, მაცხოვრის და შემდგომ ცხოვრებას, ის ე.წ. ლიტურგიკული ინსცენირება ქრისტიანული ფილოსოფიის, ამდენად ყველაფერი, რაც მას ასახავს, არ უნდა გასცდეს ამ ჩარჩოს, არ შეიძლება ამ მოცემულობის დარღვევა. იოანე დამასკელი განმატავს; „არც უბრალოდ, არც შემთხვევით არ ვასრულებთ თავყვანისცემას აღმოსავლეთით, არამედ რადგან შედგენილნი ვართ ხილული და უხილავი ანუ გონისმიერი და გრძნობადი ბუნებისგან, ამიტომ თავყვანისცემასაც ორმაგს შევწირავთ შემოქმედს, ისევე როგორც, მაგალითად, გონებითაც ვფსალმუნებთ და სხეულებრივი ბაგეებითაც, ანდა ნათელვილებთ წყლითაც და სულითაც, ან კიდევ ვურთდებით უფალს ორმაგი სახით, ვხდებით რა, ერთი მხრივ, საიდუმლოთა წილმქონეები, მეორე მხრივ კი - სულის მადლისა. ამიტომ, რადგან ღმერთი არის გონისეული სინათლე (შდრ. იოან. 1,5), ქრისტე კი წერილში სახელდებულია „სიმართლის მზედ“ (მალაქ. 3,20) და „აღმოსავლეთად“ (ზაქარ. 6,12), აღმოსავლეთი უნდა განვუკუთვნოთ მას თავყვანისცემისათვის, რადგან ღმერთს უნდა განეკუთვნოს ყოველივე კარგი, ვისგანაც კეთილდება ყველა სიკეთე. საღვთო დავითსაც უთქვამს: „დედამიწის სამეფოებმა აქეთ ღმერთი, უფსალმუნეთ უფალს, ზეამავალს ცათა ცაზე აღმოსავლეთით“ (ფს. 67,33-34) [დამასკელი, 2018:182]. ამის დამადასტურებელი უამრავი სიმბოლური თუ ფაქტობრივი მაგალითია ბიბლიაში: ედემში სამოთხის აღმოსავლეთით მდებარეობა, ხოლო სამოთხიდან გამევეებული



პირველი ადამიანების დასავლეთით დასახლება, იუდას ტომი, როგორც რჩეული, აღმოსავლეთით იყო დაბანაკებული, ქრისტეს შობისას მოგვებმა სწორედ აღმოსავლეთით შენიშნეს ვარსკვლავი, თავად უფალი იესო ქრისტე ჯვარცმისას დასავლეთით იმზირებოდა, ხოლო აღმოსავლეთით ამაღლდა. თავად უფალმა ბრძანა: „რა სახითაც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და ჩანს დასავლეთამდე, იმ სახითვე იქნება ადამიანის ძის მოსვლა“ (მათე. 24,27). ამიტომაც აქვს აღმოსავლეთით საკურთხევლის მდებარეობას საკრალური მნიშვნელობა: „ესაა მოციქულთა დაუწერელი გადმოცემა, რადგან ბევრი რამ დაუწერლად გადმოგვცეს მათ“ [დამასკელი, 2018:183].

ბესარიონ ორბელიშვილს, ტრადიციისამებრ, უამრავი მაგალითი მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ: „ესაია წინასწარმეტყუელი იტყვს: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს ჩუზნ თანა ღმერთი: აღმოსავალ არს სახელი მისი“; და კუალად ეზეკიელ საკურველი წინასწარმეტყუელთა შორის იტყვს: „და მომაქცია მე გზასა მას ბჭისა მის წმიდათასა გარემესა, რომელი ხედავს მზისა აღმოსავალად“ [ეზეკიელი 44.1]; ხოლო ზაქარია წინასწარმეტყუელი, მამა წმიდისა იოანე ნათლის მცემელსა იტყოდა: „მოწყალებითა წყალობისა ღმრთისაჲ ჩუენისათა რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით“ [A-119, 132v]. ბესარიონს მაგალითები მოჰყავს აგიოგრაფიული თხზულებებიდანაც, მაგრამ ისინი იმდენად დატვირთულია შინაარსობრივად, იმდენად მკაფიოდაა ახსნილი აღმოსავლეთის შინაარსი, ვერცერთ იდეოლოგიას და პოლიტიკურ ვალდებულებას უნდა შეეცვალა ტაძარში საკურთხევლის მდებარეობის ეს მნიშვნელოვანი დეტალი. ამიტომაც ამ პუნქტსაც ბესარიონ ორბელიშვილი ტრადიციულად ამთავრებს ერთგულების დასტურით და ერთგვარი მოწოდებით, რადგან სწორედ საზოგადოების გამოფხიზლება, ჭეშმარიტების ახსნა და განსაცდელის გააზრება იყო ტრაქტატის დაწერის ერთ-ერთი მიზეზი: „ხოლო ჩუენ მართლმადიდებელნი არა გარდავკდებით საზღვარსა და განწესებაჲსა წმიდათასა. დაღაცათუ მცნებითა მათ უფლისათა არა ვიმარხავთ, არამედ სარწმუნოებაჲ მტკიცედ გვიპყრის, რომელი მოგუცეს წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებაჲთა“ [A-119, 136r].

ბესარიონ ორბელიშვილი კიდევ ერთ განსხვავებაზე ამახვილებს ყურადღებას,

ეს არის **ჟამისწირვის** საიდუმლო. ბესარიონი უპირველესად აღწერს დასავლეთის ეკლესიის ლიტურგიკულ თავისებურებას: „ჩუენ ყოველნი მართლმადიდებელნი აღმოსავლეთისა ეკლესიანი ძუჭლითგანისა მოცემისაებრ წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათასა აღვასრულებთ, ხოლო იგინი არცა ერთსა განწესებასა შეუდგან, არცა მოციქულთა და არცა შემდგომათა მათთა წმიდათა კრებათა, რამეთუ ჟამისწირვისა საიდუმლოსა მღდელნი მათნი დღესა შინა ერთსა ტრაპეზისა ზედა მრავალგზის შესწირავს და სადაცა და ვითარცა ადგილი იყოს თუნიერ ეკლესიისა და დღესა შინა ერთსა ერთი მღდელი, ვითარცა ვთქუ მრავალგზის, სწირავს, ხოლო უკეთუ ვისმე მღდელი არა ჰყვეს, ანუ სნეულებისა ძალით, გინა უდებებისა მიერ ეკლესიად წარსლვა ვერ ეძლოს, ანუ არა ენებოს, მივალს მღდელი და სახლთა შინა მათთა ჟამსა უწირავს, ეგრეთვე იგინივე მღდელნი სხუისა სახლსა შინა სწირავს, გინა თუ სხუასა დაბაჲსა, რავდენიცა ენებოს, ანუ ვიეთიცა უკმდეს, ანუ რავდენიცა ძალედვას, ვიდრე მწუხრადმდე ეგონდესაცა სწირავს და ეგოდენცა ეზიარების, ხოლო უკეთუ მრავალნი იყუნენ მღდელნი და საჭირო არა რა იყოს თუნიერ საუფლოსა შობისა დღესასწაულისა მრავალგზის არა სწირვენ“ [A-119, 136v-137r].

ჟამისწირვა არის საღვთო ლიტურგია, რომელიც რიტუალურად ასახავს მაცხოვრის გზას შობიდან აღდგომამდე, მის ამაღლებას, სული წმინდის გარდამოსვლას. პირველად საღვთო ჟამისწირვა თვით მაცხოვარმა აღასრულა საიდუმლო სერობაზე, შესაბამისად, ის აღსრულება ყოველდღე ღვთის „სახლში“, ტაძარში დილით, დღეში ერთხელ. ეს არის პირველი ლიტურგიის „განმეორება“. დასავლეთის ეკლესიას წირვის აღსასრულებლად სავალდებულოდ არ მიაჩნია ეკლესიაში მსახურება, ანუ ფუნქციურად ეს შეუძლია შეითავსოს სახლმა და ნებისმიერმა საერო ნაგებობამ, ასევე განსხვავებით აღმოსავლეთის ეკლესიისა, ლათინ სასულიერო პირს შეუძლია რამდენიმე მსახურება ჩაატაროს, ანუ აღასრულოს უსიხლო მსხვერპლშეწირვა, ვნება, ამიტომაც ბესარიონ ორბელიშვილი მკაცრად აკრიტიკებს ლათინთა „უეკლესიობას“ და სასულიერო პირებს შვიდი საეკლესიო კრების განჩინების უარყოფასა და ახალი შჯულის შემოღებისთვის და მათ ბასილი დიდის სწავლებით უპასუხებს: „ეგრეთვე ისმინე კუალად დიდისა ბასილისი, თუ ვითარ ერთ კმაჲ არს მოციქულისათა და იგიცა

ვითარ დასწერს: „და მოწამე არს სიტყვას ამის, ვითარმედ არა ჯერ არს დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ ორგ ზის ჟამის წირვაჲ, რამეთუ ქრისტემან ერთგ ზის ივნო და ჯუარს ეცვა ცოდვათა ჩუენთათჳს დღესა შინა მრავალგ ზის სწირავს, მას არათუ ერთგ ზის ჯუარცმული და ვნებული ქრისტე ჰრწამს, არამედ მრავალგ ზის ვნებული და ჯუარცმული და ესრეთ დაცემულ არს მართლისა სარწმუნოებისაგან. და არს იგი ურწმუნოთა უძვირეს“ [A-119, 137v]. თითოეული დოქტრინა, დოგმა, რომელსაც ეკლესია აღიარებდა და აღასრულებდა, იყო საეკლესიო კრებების განჩინება, „წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა სულითა წმიდითა განაწესნეს და განასაზღვრეს და ჩუენ სჯულ დაგვისხეს ვერვის კელეწიფების მოკლებაჲ, ანუ შემატებაჲ, ხოლო იქმნების მცირედი რაჲმე საეკლესიოსა წესსა შეცვალებაჲ, გინა თუ გალობისა, გინათუ ფსალმუნებისა და ეგე ვითართა რაჲთმე“ [A-119, 140r], რადგან მაცხოვარი ბრძანებს „იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი სჯულისაგან და წინასწარმეტყველთა არა წახდეს“ [A-119,140v].

ჟამისწირვაზე სრულდება ევქარისტის საიდუმლო, როცა სულიწმიდის მადლით პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქმნება და სრულდება ზიარების საიდუმლო. თუ ეკლესიები განსხვავებულად იწყებენ ჟამისწირვის აღსრულებას, შესაბამისად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიას ერთმანეთისაგან განასხვავებს **ზიარების** განსხვავებული აღსრულებაც. ზიარებას მორწმუნე ღებულობს სინანულის, აღსარების შემდეგ, ესაა მისი განწმენდა, ამით ეზიარება ის უფალს „საკურნებლად სულისა და სადიდებლად უფლისა“, სწორედ პრობლემების დაყოფა ხარისხობრივად, ფუნდამენტურ დოგმებზე უპირობო თანხმობა, რასაც ითხოვდა ვატიკანი კონსტანტინეპოლისგან, მექანიკურად გამოიწვევდა ყველა იმ ლიტურგიკული დოგმების კორექციას, რაც ასახავს ქრისტიანობის არსს, რის ახსნას და „პასუხისგებას“ ცდილობს ბესარიონ ორბელიშვილი „გრდემლში“. არეოპაგელი განმარტავს: „რამეთუ ზეშთა ყოველთა ღმერთმთავრობითი ნეტარებაჲ, დაღათუ საღმრთოთა სახიერებითა გარდამოვალს მიმღებელთა მათ მისთა წმიდისა ზიარებისა მიმართ, არამედ არავე გარეგან იქმნების არსებითისა მისგან შეურყეველისა დგომისა და დამყარებისა“ [ქაჯაია, 2019:110].

„კატეხიზმოში“ ზიარება შემდეგნაირადაა ახსნილი: „წმიდა ზიარება არის

საიდუმლო, რომელშიდაც იმყოფება ჭეშმარიტათ და არსებითათ, ხორცი, სისხლი, სული და ღვთაება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი პურისა და ღვინის სახეთა ქვეშ. იესო ქრისტემ განაწესა წმიდა ზიარების საიდუმლო დიდს ხუთშაბათს მწუხრსა თავისი სიკვდილისა“ [კატეხიმო, 1904:176]. ამავე კატეხიზმითი კათოლიკე ღვთისმეტყველები ასწავლიან, რომ ზიარება ხდება პურისა და ღვინის „მიღებით“, რადგან პური იესოს ხორცია, ღვინო - სისხლი. ბესარიონ ორბელიშვილი მსჯელობის დასაწყისშივე აღნიშნავს განსხვავებას: „რამეთუ მღდელნი მათნი მას ღამესა, რომლითაჲცა მიმითა და სასიკუდინოთა ცოდვითა დაეცნენ, უკეთუ აღსარებაჲ ოდენ თქუნ მას დღესა ჟამისწირვასა აღასრულებენ და ეზიარებიან და უმეტესსა ჟამსა უაღსარებოდცა, რამეთუ მარტო მღდელნი მათნი მიმოვლენ პაპისა მიერ წარვლენილნი შორთა სოფელთა და ქუეყანათა შინა ქადაგებაჲდ, რაჲთა უფროსობაჲ და ყოველთა ზედა მთავრობაი პაპისა დაამტკიცონ... ხოლო იგინი არცა მუჟლისა წესისაებრ, არცა ახლისა აღთქმისა, არცა მოციქულთა მოძღვრებისაებრ, არცა მამათა განსაზღვრებისაებრ აღასრულებენ, არამედ უკრძალველად და თუნიერ განწმედისა შეგინებულნი მასვე ჟამსა მიიახლებიან სიწმიდეთა“ [A-119, 141v]. აქვე ბესარიონი ჩამოთვლის იმ შეცოდებებს, რომლებითაც კათოლიკე მრევლი ვერ ბრკოლდება ზიარებისას, მათთვის - ქალისა და მამაკაცისთვის - ამსოფლიური ცხოვრების ნორმები: ზნეობივი, პრივატული, ფიზიოლოგიური არ არის ზიარების შემაფერხებელი. მათ კი, განსაკუთრებით დედაკაცებს, ბესარიონი საეკლესიო კრების განჩინებით პასუხობს: „კუალად წერილ არს „დედაკაცი რაჟამს წესსა ზედა თვისსა იყოს წიდოვნებისასა, არა უკმს ზიარებაჲ, ვიდრემდის არა განწმედს“ [ტიმოთე ალექსანდრიელის კანონი VII] [A-119, 142r]. ლაოდიკიის კრების განჩინებით: „ვითარმედ: არა ჯერ-არს დედათა შესლვაჲ საკურთხეველად“ [დიდი სჯულიკანონი, 1975:258 ]. დედაკაცის ეს „სასჯელი“ ევას მაცდური ხასიათის შედეგია: „ადამ არა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და სჯულსა გარდაკდა“ [1 ტიმოთე 2, 14]. გაუკუღმართებულ ზიარების წესზე ევსტრატე ნიკიელი დაწერს: „მერმეცა განლევისათჳს მღდელისა მიერ წმიდისა ზიარებისა და სხუათა ამბორისყოფისა და ზიარებად მათდა შერაცხისა ამისისა ნამეტავ არს თქუმაჲ უკუნრღუჳვისაჲ, რამეთუ თუთ თავით თჳსით დაშვილ არს ესევითარი კელყოფაჲ და არა კუჴბულ, არცა უნაწილო არს

ზღაპრობითისა მენიშობისაგან, რამეთუ „მიიღეთ, ჭამეთო“, იტყვას მეუფე, არა ვითარმედ: *მჭამელთა ამბორს-უყავთ ურთიერთას*“ [რაფავა, 2014:141]. ზიარება, ანუ გაზიარება უფლის მცნების, ადამის და ევას დანაშაული ცდუნებაზე მორჩილება იყო და უფლის შეგონების დავიწყება, ამიტომ, თუ ეზიარები ღვთის განჩინებას, ეს უპირველესად ზნეობრვი აქტივობით უნდა დაამტკიცო.

არის ერთი სხვაობაც ზიარებისას, კათოლიკური კანონით არ აზიარებენ ჩვილებს და ყრმებს „უსრულოებისათვის ჰასაკისა, ვერ გულისკმაჲ ყოფენ საიდუმლოსა ამის ძალსა“. ბესარიონ ორბელიშვილი ხსნის: *„რამეთუ ჩუენდა მომართ ურიცხთა მოწყალებაჲთა და ზეშთა სახარებაჲთა თავი და დასაბამი ნათლისღებაჲ არს, რაჲთა დიდთა საიდუმლოთა ნიჭნი ამის მიერ აღესრულების, ამას ხოლო ჩჩვილთა მიანიჭებენ დღესა მას, რომელსა შინა იშუჴს და არა ხოლო თუ ესე, არამედ უკეთუ დაეყოვნოს საშოჲთ გამოსლვაჲ, ვიდრე მუცელსაღა შინა იყოს დედისასა მცირისა წყლისა სხურებითა, გინათუ შეხებითა ნათლისცემენ“* [A-119, 152v], რადგან შობილი და მუცლადმყოფი ჩვილიც უფლის თანაარსია: *„თქუენ ხართ კორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“* [1 კორინთელთა 12, 27]. აქ საუბარია „ჰასაკოვან“ და „უჰასაკოებზე“, მათ თანაბრად ანიჭებს უფალი სულიერ შობას და მის ხორცსა და სისხლს აზიარებს: *„აჰა, ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, რამეთუ ყრმათაცა ეზიარა კორცითა და სისხლითა“* [ებრაელთ მიმართ 2. 13].

ზიარების აღსრულებაში იყო ერთი უმნიშვნელოვანესი სხვაობა - „უცომოთა სეფითა წირვა“, ე.წ. „ხმიადის“ გამოყენება ევქარისტიაში, რომელსაც არ ახსენებს ფოტი პატრიარქი IX საუკუნეში, პირველად ლათინური დოგმა პირველად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიქაელ კირულარიუსმა ამხილა XI საუკუნეში. ეს საკითხიც, გადმოცემით, მწვავე პოლემიკის მიზეზი გამხდარა ფლორენციის კრებაზე. ბესარიონი დაწერს: *„ხოლო მე დიდითა განკურვებითა დაკურვებულ ვარ ამას, თუ ვითარ ლათინნი უცომოსათვის იტყვან ვითარმედ, ესე უცომოთა წირვისა წესი მოციქულთაგან მოგუჴცნესო, რაჲთა აღმოსავლეთისა ეკლესიანი ცომოვანითა სწირვიდენო და ჩუენ უცომოთაო“* [A-119, 146v]. ხმიადის გამოყენებას ძველი აღთქმის ტრადიციას უკავშირებენ, ევსტრატი ნიკიელი აღნიშნავს: *„უცომონი უკუჴს ებრაელთა მიეცნეს შჯულად, მოსაკსენებელად ეგჴპტით*

სილტოლოვისა, მათისა, ხოლო პური - ქრისტიანეთა მოსაკსენებელად ცხოველსმყოფელისა სიკუდილისა ქრისტესისა“ [რაფავა, 2014:143], ასევე ებრაელები პასექს აღასრულებდნენ უფუარით. სახარებაში წერია: „ხოლო პირველსა მას დღესა უცომობისასა მოუხდეს მას მოწაფენი და ჰკითხეს...“ [მათე 26.17; მარკოზი 14.12]. აქ საუბარია უცომოს გამოყენებაზე ზიარებისას, ანუ ქრისტეს შემდეგ მორწმუნე, რომელიც ეზიარება და ის აღიარებს უფალს და მის ღირებულებებს, რასაც მისი სისხლისა და ხორცის მიღებით ადასტურებს. ოთხივე მახარებელი აღნიშნავს: „*მათე იტყვს* „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და ჰქუა მათ, მიიღეთ და ჭამდეთ, ესე არს ჯორცი ჩემი“ [მათე 26. 26]; ხოლო *მარკოზ* ესრეთ დასწერს „და ჭამდეს რაღ იგინი, მოიღო იესუ პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰქუა: მიიღეთ და ჭამდეთ, რამეთუ ესე არს ჯორცი ჩემი“ [მარკოზ 14. 22]; ისმინეთ *ლუკასიცა* „და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჯორცი ჩუენი თქუენტუჲს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაკსენებელად ჩემდა“ [ლუკა 22. 19]; აწ კუალად *იოანესი* ისმინეთ ვითარ იტყვს: „*მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვკედ, უკეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკვდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე და პური, რომელი მე მივსცე, ჯორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხოვრებისათუჲს სოფლისა*“ [იოანე 6. 51]. ბესარიონ ორბელიშვილი ხაზგასმით იტყვის, „*ცომოანსა პური ეწოდების და არა უცომო, ხოლო უცომოსა უცომო ეწოდების და არა პური*“ და აგრძელებს მათესა და მარკოზის სახარების იმ მუხლის ახსნას, სადაც უცომოა ნახსენები: „*არცა იყო წესი პურითგან მაშინ უცომოსა ჭამისა ღამესა მას, რომელსა ქრისტემან სერობაღ იგი აღასრულა, რამეთუ უწინარეს პასექისა ყო ქრისტემან სერობაღ იგი, ვითარცა წერილ არს*“ [A-119, 143v]. აბრაამთან მიმართებაშიც პურია ნახსენები, ასევე ამბობს იობიც: „*იჭამების პური*“ [წიგნი იობისა 6. 6]. ამგვარად მსჯელობს ევსტრატი ნიკიელიც: „*უკუღმეცა უცომოღ იყო, არამცა ეწოდა პურად. რამეთუ პურად ითქუმის რეცა ტრფიალებით ძრვისა და სახითა რაღთმე ცომისა მიერ ცხოველყოფისა მისისათუჲს*“ [რაფავა, 2014, გვ. 143]. ასევეა ღვინის ეპითეტური და არსობრივი სემანტიკა ქრისტეს სისხლის სიმბოლური გარდასახვისას „*ჯორცი ჩუენი ჭემმარიტი სასუმელი არს და სისხლი ჩუენ ჭემმარიტი სასუმელი არს და*

რომელი ჭამდეს კორცსა ჩუნსა და სუმიდეს სისხლსა ჩუნსა, იგი ჩემთა დადგომილ არს და მე მისთა“ [იოანე 6. 53]. ამიტომ რომელიმეს შეცვლა უგუნურება და სჯულის უარყოფა: „იოტა ერთი გინა რქა ერთი სჯულისაგან და წინასწარმეტყველთა არა წარკდეს“. ზიარების საიდუმლოს ხსნის იოანე დამასკელი: „სულიწმინდა ზე გადმოდის და აღასრულებს ამას, რაც აღმატება სიტყვასა და აზრს. პური და ღვინო იმიტომ შემოიღება, რომ იცის ღმერთმა ადამიანის უძლურება, რომელიც ხშირად ზურგს აქცევს და შემოსწყრება ხოლმე მას, რაც ჩვეულებაში არ აქვს გამჯდარი. ამიტომ, იჩენს რა უფალი ჩვეულ ქვემდაბლობას, ბუნებისათვის ჩვეულთა მიერ აღასრულებს ზებუნებრივთ, და ისევე როგორც ნათლისღებასთან დაკავშირებით, სადაც ზეთთან და წყალთან თანაშეაუღლა მან სულის მადლი და აქცია იგი ახალშობილის ემბაზად, რადგან ადამიანთა ჩვევაა წყლით დაბანა და ზეთით ცხება, ასევე ამჯერადაც, რადგან ადამიანთა ჩვევაა პურის ჭამა და წყლისა და ღვინის სმა, თანაშეაუღლა მან მათთან თავისი ღმრთეება და შექმნა ისინი თავის სხეულად და სისხლად, რომ ჩვეულთა და ბუნებრივთა გზით ზებუნებრივთა შიგნით შევსულიყავით. სხეულია იგი, ჭეშმარიტად შეერთებული ღმრთეებასთან, სხეული - წმინდა ქალწულისგან, თუმცა არა იმიტომ, რომ თვით ამაღლებული სხეული ჩამოდის ციდან, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ეს პური და ღვინო გარდაიქმნება ღვთის სხეულად და სისხლად. ეს პური და ღვინო არ არის სახე ქრისტეს სხეულისა და სისხლისა (ნუ მოხდება ეს!), არამედ - თვით განღმრთობილი სხეული - უფლისა, თქმულია რა თავად უფლის მიერ“ [დამასკელი, 2018:187-188]. უფალი კაპერნაუმის სინაგოგაში ეტყვის შეკრებილთ: „უკუეთუ არა სჭამოთ კორცი მისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. რამეთუ კორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა“ [იოანე 6, 53-56].

ზიარების შინაარსი დეტალურადაა აღწერილი იოანეს სახარებაში, სადაც საუბარია მაცხოვრის მიერ აღსრულებულ სასწაულზე, პურის გამრავლებაზე:

„მოიხუნა იესუ პური იგი და ჰმადლობდა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდა ვითარცა განძლეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რადთა ნუმცა რად წარწყმდებისდეს ერსა მას, რომელნი-იგი დასხდეს. ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენი-იგი უნდა მათ. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ-იგი დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს“ [იოანე 6, 11-13]. მაცხოვარი დამოდღვრავს შეკრებილთ: „მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის“ [იოანე 6, 35]. სწორედ ეს არის მოკლედ ნათქვამი ლოცვაში „მამაო ჩვენო“: „პური ჩვენი არსობისა...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გრდემლის“ არსობრივ გაგრძელებას წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“, სადაც ანტონი არგუმენტაციისთვის წმინდა წერილებიდან იყენებს იმავე თავებს, რომლებსაც ბესარიონ ორბელიშვილი, თუმცა ანტონის სიტყვები უფრო მხილება, ვიდრე პოლემიკა: „განკვირვებულ ვარ ფრიად კანუნთა უფლის ძლითთა და სამოციქულოთა და საკრებოთა საზღვართა უთნობასა მღუდელთა დასავლელთასა... ფლორენციას შეკრებულისა მის მსოფლიოსა კრებისა, მოგვცა ჩვენ მხილველმან მწვალებელთამან, რომელნი არა ერთ ყოფად ირწმუნებდეს კორცსა და სისხლსა უფლისასა და კვალად სხვასა იტყვიან მიზეზსა პირუკრობითითა უკდემელობითა“ [მზამეტყველება, 1892:523]. ანტონი განიხილავს რა ზიარების კანონებს, ამხელს ფლორენციის კრების გადაწყვეტილებას და მათ საეკლესიო ისტორიაში არსებულ ერეტიკოსებს ადარებს. ბესარიონ ორბელიშვილისა და ანტონისთვის, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრები იყვნენ, ზიარება სულის ხსნა იყო და არა იძულება, მისი კანონიკური აღსრულება კი - ლხინება და არა ტანჯვა.

ბოლო განსხვავება, რასაც განიხილავს ბესარიონ ორბელიშვილი, არის მარხვა: „აწ მარხვისათჳს ვიტყოდი, რომელი იგი ყოვლითურთ აღებულ არს მათგან და დაკსნილ და არღარა იპოების მათ შორის მარხვაჲ განწესებული მოციქულოთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა და თჳთ მის, ჭემმარიტებისა მიერ“ [A-119, 160v]. მარხვის საიდუმლოს ბესარიონი შემდეგნარად განმარტავს: „ჩუენცა ესევე სახე დაგვდვა, რათა მარხვითა და სიმდაბლითა ვსძლოთ მტერსა, მარადის განმცდელსა



ჩუენსა. ვითარცა თუთ უფალი: „ხოლო ესე სული არარაით განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ [მათე 17. 21]. მარხვა არის ადამიანის სულის განწმენდაც, გამოცდაც და მომზადებაც განსაცდელისთვის. ამიტომაც გაიარეს სულის განწმედის ეს გზა წმინდა მოციქულებმა და ქრისტეს გზაზე შემდგარმა არაერთმა წმინდანად შერაცხულმა პირებმა: „წმიდანიცა მოციქულნი და ყოველნი წმიდანი მარხვთა აღასრულებდეს ცხოვრებაჲსა თვისასა, ვითარცა მოსესთჳს წერილ არს, რომელმან ორგზის ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა, რამეთუ პირველნი იგი ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა რაჲ და მოიხუნა ფიცარნი იგი ღმრთივ წერილნი, მერმე იწრუსალიმელთა განარისხეს რაჲ ღმერთი ნაყროვანებითა და სიმთრვალითა, ვითარცა წერილ არს „დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერაჲდ და უზორეს კერპსა მას მათ მიერ გამოდნობილსა“ [გამოსვლათა 32. 6], მაშინ მოსე შემუსრა ფიცარი, ხოლო შეინანეს რაჲ, კუალად იწყო მოსე მეორედ მარხვაჲ და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, კუალად აღვიდა მთად და მარხვისა მიერ განწმედილმან კუალად მოიხუნა სჯულნი ღმრთივ დაწერილნი“ [A-119, 161r-v]. უამრავი მსგავსი მაგალითი მოჰყავს მას ბიბლიიდან „პეტრე, თავი იგი მოციქულთა, მცირესა ქრთილისა პურსა ჭამდის, მასცა ნაკლულევანად და წყალსაცა მცირედ იკუმევდის; და წმიდაჲ იოანე ღმრთისაჲმეტყუელი და მახარებელი და მკერდსა სიტყვასა მიერ ცნობილი კურიაკით კურიაკემდე მცირესა ფინიკსა მიიღებდის და სხვსა არა რაჲსა გემოსა იხილვებდის, ვითარცა ცხოვრებაჲსა მისსა წერილ არს; და იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ და პირველი მღდელო-მოდღუარი იწრუსალიმისა არა რაჲსა მშვენიერსა გემოსა იხილვიდის, არცა ღვნოსა და თაფლოუჭსა სუმიდა, არამედ მცირესა პურსა ულბოლეღსა მხალს ... ჩუენცა ესევე განგვიწესეს და სჯულად გვისხნეს ძალისაებრ“ [A-119, 161v]. ბიბლიური ცნობების შეხსენების შემდეგ ბესარიონი ხსნის მარხვის არსს: „წმიდაჲ მოციქული პეტრე იტყვს: „თქუენცა ესევე, მოსწრაფებაჲ ყოვლითურთ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებაჲსა შინა თქუენსა სათნოება, და სათნოებაჲსა შინა - მეცნიერებაჲ, და მეცნიერებაჲსა შინა - მარხვა, და მარხვასა შინა - მოთმინება, და მოთმინებაჲსა შინა - ღმრთისმსახურებაჲ და ღმრთისმსახურებაჲსა შინა - ძმათა მოყუარება, და ძმათა მოყუარებაჲსა - შინა სიყუარული, რამეთუ ესე რაჲჲმს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს, არა უქმად,

არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტეს მეცნიერებაჲსა, ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ზრმა არს და ვერ ჰხედავს იგი, რამეთუ დაავიწყდა განწმედა იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთა“ [2 კათოლიკე პეტრესი თავი 10. 5]. [A-119, 162v]. ეს ის მოციქული პეტრეა, რომელიც მოციქულთა უპირველესად გამოაცხადეს და რომის ეკლესიის ფუძემდებლად აღიარეს, პეტრე კი ღვთის მცნებების აღიარებას მეცნიერებას, ანუ განსწავლულობას, განათლებას უწოდებს, ხოლო მისი უარყოფა ცოდვილ გზაზე შედგომას. მარხვა სემანტიკურად რაღაცის შენახვას, დაცვას ნიშნავს. ბიბლიური თხრობა პირველი სამარხვო რიტუალით იწყება, როცა პირველ ადამიანებს, ადამს და ევას, უფალმა ერთი ხილის მიღება აუკრძალა. უფლის განჩინების დარღვევაა ცოდვის დასაწყისი. ისინი დაშორდნენ უფალს და სამოთხეს.

უფრო რეალური, ამსოფლიური რომ გახდეს მარხვის ძალა, ბესარიონ ორბელიშვილი იმოწმებს არა მხოლოდ ბიბლიურ ცნობებს, არამედ ისტორიულ ფაქტებს, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ცხოვრებას: „*ეგრეთვე მეფე დავით აღმაშენებელი, ვითარცა წერილ არს მისთვის, ვითარმედ განშორებულთა წესი ეპყრა და ეგრეთ იმარხვიდა სხუადათავს რაღღა ვინ თქუას*“ [A-119, 164v]. ამგვარი მაგალითების მოყვანა საჭირო იყო ადამიანის რაციონალური ცნობიერების გათვალისწინებით. რა განსხვავება იყო მარხვის დაცვაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის? ისინი მარხულობდნენ მხოლოდ შაბათს და არ აღიარებდნენ ოთხშაბათისა და პარასკევის სამარხო დღეებს, ასევე არ იცავდნენ დიდ, ორმოცდღიან მარხვას. ბესარიონი უპასუხებს მათ, რომ ეს არის იმ ნორმების დარღვევა, რომელიც საეკლესიო კრებებზე დაწესდა და რომელსაც ეთანხმებოდა რომის ეკლესიაც: „*რამეთუ მოციქულთა კრებისა კანონთა შინა წერილ არს, თუთ მის წმიდაჲ კლემენტოზის მიერ აღწერილთა შინა, რომელი იყო პაპა ჰრომისა, შემდგომი წმინდისა პეტრესი: „რომელმან ოთხშაბათი და პარასკევი არა იმარხოს და წმიდათა ორმოცთა თანა, ესე იგი არს ვითარმედ ორმოცთა მარხვითაებრ ჯერ არსო მარხვა და რომელმან არა იმარხოს, უკეთუ სამღდელონი იყუნენ, განიკუჭთნენ მღდელობისაგან, ხოლო ერისკაცნი უზიარებელ იქმნენინო. ეგრეთვე ნიკიას კრებისა კანონთა შინა წერილ არს სამას ათვრამეტთა მამათა მიერ, რომელნი დაამტკიცებენ მოციქულთა მიერ განწესებულსა კანონსა ოთხშაბათისა და*

პარასკევისა მარხვისათვის, რამეთუ პარასკევი ჯუარცმისა და ვნებისათვის განეწესა მარხუად, ხოლო ოთხშაბათი ამისთვის რამეთუ მას დღესა შეკრბეს მღდელთმოდღვარნი და ფარისეველნი ეზოსა მას კაიაფასა და განიზრახეს ჯუარცმა და სიკუდილი მკსნელისა და დაეზავნეს იუდას და დაამტკიცეს ვნებაჲ უვნებელისა ამისთვის, დაამტკიცნეს მარხუად წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მამათა“ [A-119, 165v-166r]. რაც შეეხება დასავლეთის ეკლესიის აღიარებულ შაბათის მარხვას, ბესარიონი ხსნის: „ხოლო შაბათსა, თუ ვითარ იმარხუენ იგინი ისმინეთ, მეექუსის კრებისა კანონთა შინა წერილ არს ესრეთ, ვითარმედ გუჴსმა ქუეყანასა ჰრომისასა, რომელთამე კერძოთა შინა შაბათსა იმარხვენო, ვამცნებთ პაპასა ჰრომისასა, რაჲთა უბრძანოს მის ქუჴშეთა სამწყსოთა, რაჲთა რომელსაცა ადგილსა იმარხვენო შაბათსა, ამიერითგან ნურღარამცა უკადრებეს მარხვა შაბათისა“ [A-119, 166r]. ლადიკის კრების 49-ე კანონით დადგინდა: „ვითარმედ არა ჯერ-არს მარხვათა შეწირვაჲ პურისაჲ თუნიერ შაბათსა ხოლო და კურიაკესა“ [დიდი სჯულისკანონი, 1975:258]. ბესარიონ ორბელიშვილი იხსენებს ერთ საინტერესო ეპიზოდს, როცა წმინდა ნიკოლოზი ჩვილი იყო, დედის რძეს არ ჭამდა ოთხშაბათსა და პარასკევს, ასევე აღნიშნავს, რომ გრიგოლ რომთა პაპმა „ცხოვრებისა მისისანი მარხვითა გადავლნა“, ამიტომაც უკვირს მას იმ ნორმების უარყოფა, რომელსაც მათი „მწყემსი“ აღასრულებდა. ამ მაგალითებით ბესარიონ ორბელიშვილი ახსენებს პაპისტებს სახე-სიმბოლოებს, რომელთა მორჩილებას თავადაც ქადაგებენ.

ორმოცდღიანი მარხვის დასაწყისიც ძველი აღთქმიდან იწყება, როცა მოსე წინასწარმეტყველმა ორმოცი დღე იმარხულა, ასევე იმარხულეს წინასწარმეტყველებმა, რაც მთავარია, ორმოცი დღე იმარხულა მაცხოვარმა. მარხვა თავის არსში შეიცავს არა მხოლოდ სულიერი სიმტკიცის გამოსაცდელ შესაძლებლობებს, არამედ მის სემანტიკაში გადმოცემულია მისი არსი და ადამიანის ზუსტი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცოდნით დაწესებულია მისი სტრუქტურა, ამიტომ არც წმინდა მამები ითხოვდნენ ბრმა და მკაცრი ასკეტური ყოფიერების არსებობას მრევლისგან, თითოეული დაწესებული დოგმა იყო არსობრივი და ზნეობრივი შინაარსისა. ამიტომაც დეტალურად აქვს განხილული ბესარიონ ორბელიშვილს მარხვის დღეების და მისი დაწესების

მიზეზები. ადამიანში უნდა იყოს ხორცისა და სულის ერთიანობა. მარხვა კი განგამტკიცებს სულით და გაგაძლიერებს ხორციით, ეს იყო შვიდ საეკლესიო კრებაზე გონივრულად აღქმული, გააზრებული და გადმოცემული. საეკლესიო კრებების განჩინებების მიზანი ადამიანის სულიერი ევოლუცია იყო, ის მხოლოდ მკაცრ დათმენაზე არ შენდებოდა, ყველა განჩინების, კანონის შესაძლებლობები ადამიანთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების რელევანტური იყო. ამიტომაც არ და ვერ დადგა მისი კორექტირების აუცილებლობა საეკლესიო კრებების შემდეგ, საუკუნეების, სრულიად განსხვავებული ღირებულებებისა და მენტალური თავისებურებების ეპოქებში.

მსჯელობისას ბესარიონი ხშირად შეიძლება იყოს მკაცრი, ან იგრძნობოდეს მის საუბარში სარკაზმი, მაგრამ მისი საუბრის ადრესატი არის საზოგადოება, ცოტა დაბნეული, შეშინებული, სიახლეს და სიმშვიდეს დანატრებული და მათთან საუბარი იყო რთული, მარტივად ჩამოყალიბებული, ზედმეტ პათეტიკას, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას მოკლებული და საინტერესო ისტორიებითა და გადმოცემებით გამდიდრებული. ამიტომ გასაკვირიც კი არ უნდა იყოს მისი საუბარი ისეთ უცნაურ საკითხებზე, რაზეც ფლორენციის სტრატეგიული, ეპოქალური მნიშვნელობის კრებაზე ემსჯელათ. ეს საკითხებია პაპისტთა კვების რაციონი და ისეთ უცნაური საკითხი, რომელიც ტაძარში ცხოველის შეყვანას ეხება.

ბესარიონი ცოტა გოცეებული, მაგრამ არა გაკვირვებული, წერს, რომ ისინი ჭამენ ყველაფერს, წმიდა და არა წმინდა ცხოველებს, დამშთავარსაც კი. ავტორი ცდილობს, მისი მსჯელობა იყოს არგუმენტირებული და მაგალითები მოჰყავს წმინდა წიგნიდან: *„ნოესცა უბრძანა განრჩევა წმიდათა არა წმიდათაგან ჟამსა მას წყლით რღვნისასა, შემზადებაჲსა მას კიდობნისასა, რაჲთა წმიდათაგან მფრინველთა და ოთხფერკთა შვიდ-შვიდი შეიყვანოს კიდობნად და არა წმიდათაგან ორ-ორი, ეგრე მოსე ღმრთის მხილველი დასწერს თითოცულად გუარსა და სახესა ჭამასა და არა ჭამისასა“* [A-119, 173v]. მართალია, კვება არის ხორცის საზრდო, რაციონი არის ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობის საფუძველი, როგორც აღვნიშნეთ, მარხვის ერთ-ერთი არსი ეგაა, მაგრამ ძნელი სათქმელია, როგორი იყო ევროპელთა გასტრონომია, ისიც გასათვალისწინებელია,

ევროპა სხვადასხვა ქვეყნის, ეთნოსის ერთობაა, ამდენად მათ განსხვავებული კულინარიული კულტურა და გემოვნება ექნებოდათ.

ცოტა არსერიოზულად ჟღერს, როცა ფლორენციის კრების განხილვისას კარგი მწიგნობარი და დიდი იმიჯის მქონე სასულიერო პირი აღნიშნავს, რომ ლათინებს ახასიათებთ პირუტყვის, განსაკუთრებით ძაღლის, შეყვანა ტაძარში და ამის დამადასტურებლად იშველიებს ფრაზას „მსმენია“: *„ესე ყოველივე მსმენია და მრავალთა თვალით მხილველთა და სარწმუნოთა კაცთა მიერ უწყებულ არს ჩემდა“* [A-119, 183r] და ოპონენტებს მეექვსე კრების გადაწყვეტილებით უპასუხებს: *„ხოლო მეექუსის კრების კანონთა შინა მოიხსენებს ესრეთ, ვითარმედ დაღაცათუ ძნელ არს და უკადრებელ სახლთა მიმართ ღმრთისათა შესლვა პირუტყვთა“* [იქვე]. ამგვარი საკითხი ვერ იქნებოდა ფლორენციის კრების განსახილველი, იქ, სავარუდოდ, ასეთ დეტალებზე ვერავინ მოიცლიდა და არც თავად ბესარიონი იყო ბრიყვი, მსგავსი არგუმენტებით ემსჯელა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, პოლემიკოსის ადრესატი იყო მისი ლიტერატურული ოპონენტიც და მის აუდიტორიას შეადგენს ე.წ. უბრალო საზოგადოებაც, რომელსაც ცოტა „პოპულისტური“ თხრობაც ხიბლავს.

ბესარიონ ორბელიშვილის თხზულება კი, როგორც თვითონაც ამბობს, წარმოადგენს პასუხს კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე: *„ამ ყველაფერზე პასუხი დეტალურად აღვწერე, რომელიც ცხადად გახდის ყოველსავეს“* [A-119, 14v]. ანუ ბესარიონი ვერ აღწერდა კრების დეტალებს, არამედ მან მის არსობრივ ნაწილზე გაამახვილა ყურადღება, იმ შედეგებზე, რაც ფლორენციის კრებას მოჰყვა და რისი მოლოდინიც იყო, იმიტომაც ესწრებოდა კრებას უპრეცედენტო რაოდენობის საერო და სასულიერო პირები: *„უკეთუ იქადონ მეუფებითა და ძლიერებითა და სიმდიდრითა, ჩუენ სიგლახაკე იგი ქრისტესი და სიმდაბლით მოსლვა მისი წინა უყოთ, რომელსა არა რა აქუნდა ყოვლადვე, არცა სახელი, არცა ადგილი, სადა თავი მიიდრიკოს...“*

*უკეთუ ქალაქთა სიდიდე და ქუეყანათა სიმრავლე იქადონ ჩუენ ზედა, მოვიხსენოთ მცირედ ქალაქი და ყოველთა მიერ დაწუნებული ბეთლემი, რომელსა შინა იშვა მეუფე და მერმე ნაზარეთს შინა აღზრდა მისი, რომელი იყო უმცირესი ყოველთა ქალაქთა შორის...“*

*უკეთუ სამოთხეები და მატლები და წყალთა სიმრავლე და შადრევნები იქადონ, კუალად მოვიხსენოთ სიგლახაკე იგი ქრისტესი, რომელი დიდად დამაშვრალი სიციხისა და წყურვილისაგან ჯურღმულსა ზედა წყალსა ითხოვდა დედაკაცისა ცოდვილისაგან, რომლისა კილვა მოასწავებდა წინასწარმეტყუელი, ვითარმედ ნაღვარევისაგან გზასა ზედა სუას;*

*უკეთუ მრავალთა და თითო ფერთა სანოვაგეთათვის იქადოდიან, კუალად მოვიხსენოთ მეფისა იგი, ვითარ მცირედისა ქრთილისა პურით და ორითა თევზითა ისტუმრა სიმრავლე მამათა და დედათა უდაბნოსა ზედა...*

*ხოლო უკეთუ გუექადოდიან ძლიერებითა და სიმდიდრითა და უმეტესად ამას ზედა იქადიან და გუეტყვიან, ვითარმედ ჩუენ ძლიერ ვართ და მდიდარ და ყოვლითურთ თავისუფალ, ხოლო თქვენ დასჯილ და დაგლახაკავებულ და მოხარკეთა ხელთა ქუეშე დამონებულ“ [A-119, 185v-186r]. ეს იყო მისი წერის მიზანი, ყველა იმ საცდურისგან თავის დაცვა, რომელიც უფრო დიდი საფრთხე, განსაცდელი იყო, ვიდრე ყველა გადატანილი ბრძოლა, რადგან სოციალური კომფორტის გარანტია და პირობა ყველა საცდურს აღემატება, მაგრამ გართმევს ყველაზე დიდ საგანძურს - თავისუფლებას. ბესარიონ ორბელიშვილი მრევლს, ასეც შეიძლება ითქვას, არჩევანს, პასუხისმგებლობას მათ უტოვებს, აირჩევს ბარაბას, თუ აირჩევს ქრისტეს გზას: „ესე ყოველი განიცადეთ და იხილვეთ, შეძრწუნდით და იხილვეთ და მოაქციეთ უფლისაჲ და დაემორჩილეთ სჯულსა მისსა ამინ“ [A-119, 188v].*

## ძირითადი დასკვნები

ბესარიონ ორბელიშვილის ანტიპაპისტური ტრაქტატის, „გრდემლის“, ანალიზმა და ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული შუა საუკუნეების ანტიკათოლიკური ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა:

1. ისტორია და ისტორიული პროცესები ცვლიან არა მარტო საერთო პოლიტიკურ, სოციალურ რეალობას, არამედ ხდებიან ახალი კულტურული გარემოს, ჟანრების, რეალობის მოკარნახეებიც.

XIV ს-ის ისტორიულმა მოვლენებმა, ფლორენციის კრებამ და კონსტანტინეპოლის დაცემამ სრულიად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი. ეპოქამ მოიტანა იმის აუცილებლობაც, რომ სწორად შეფასებულიყო მოძალადე მეტოქეც და იდეოლოგიური ოპონენტიც. ეს უკანასკნელი სწორედ პოლემიკური ლიტერატურული მიმდინარეობის ფუნქცია იყო. პოლემიკურ მწერლობას პასუხი უნდა გაეცა არა მარტო არაქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობებისთვის, არამედ ქრისტიანული კონფესიების, მათ შორის კათოლიკეთა, შემოტევებისთვისაც,

დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავდა სპეციალური ნაშრომის შექმნის აზრი, რომელიც ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე აუხსნიდა საზოგადოებას დოგმატურ, იდეოლოგიურ და ტრადიციულ ნორმათა სხვაობას ორ ეკლესიას შორის. ეს, იმ დროისთვის საკმაოდ მძიმე, პასუხისმგებლობა იკისრა ცნობილმა საეკლესიო მწერალმა ბესარიონ ორბელიშვილმა. მან დაწერა დიდი მოცულობის ნაშრომი, ტრაქტატი „გრდემლი“, რომელიც ქართულ სააზროვნო სივრცეში ერთადერთი ორიგინალური ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა, რომელშიც განხილულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული დოგმატურ-თეოლოგიური საკითხები.

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ დაიწერა ფლორენციის კრებაზე მიღებული თეოლოგიურ-დოგმატური გადაწყვეტილებების საპასუხოდ, იქ მიღებული შედეგების ასახსნელად, სადაც პუნქტობრივად და თანმიმდევრულად არის პასუხი გაცემული დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების

თეოლოგიურ-დოგმატურ სხვაობაზე. ბესარიონ ორბელიშვილი ჩამოთვლის ცამეტ ძირითად საკითხს, რომელზეც წარმართა კამათი ფერარა-ფლორენციის კრებაზე.

2. პოლემიკური მწერლობის მიზანი არის მყარი არგუმენტაციის საფუძველზე ახსნას პრობლემის არსი და დაასაბუთოს წარმოდგენილი პოზიცია. არგუმენტაცია უნდა იყოს დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი, ამიტომაც ამგვარ თხზულებებში მკაცრი აკადემიური ხარისხის დაცვით იზომებოდა ფრაზები და ემყარებოდა მდიდარ ინტელექტუალურ რესურსს. პოლემიკური თხზულებების ოპონენტად აღიქმებოდა არა მარტო ლიტერატორ-პოლემიკოსი, თეოლოგი ან სასულიერო პირი, არამედ მთელი სახელმწიფო ინსტიტუცია. ამან კი აუცილებელი გახადა სწორი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ასე მომრავლდა ნათარგმნი და ორიგინალური ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები ქართულ მწერლობაში.

3. ნაშრომში საუბარია გარეჯის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობაზე, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაში, ასევე ქართული კულტურის გადარჩენაში. აქ უმძიმესი კრიზისის, მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, კერძოდ: ლეკიანობის, ტყვეთა სყიდვის, დაუსრულებელი ომების, საქართველოს სამხრეთი რეგიონის ოკუპირებისა იწერებოდა ორიგინალური თხზულებები, არ შეჩერებულა მთარგმნელობითი საქმიანობა, ხელნაწერთა შეგროვება-გაცხოველება, გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში დაიგეგმა და გადაწყდა ახალი ლიტურგიკული და აგიოგრაფიული კრებულების, კერძოდ, სადღესასწაულოსა და პროლოგ-სვინაქსარების შედგენა, ასევე შეუდგენიათ ქართველ წმინდანთა საკითხავები. ყოველივე ეს ენის სიცოცხლის აუცილებელი პირობა იყო. ამას იაზრებდნენ გარეჯის სკოლის მოღვაწენი, მათ შორის ბესარიონ ორბელიშვილიც, ამ სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, როგორც არაერთი მინაწერი ადასტურებს, უამრავი განსაცდელის მიუხედავად, გარეჯის მონასტერში ცხოვრება ღვთისმსახურებასა და შემოქმედებით სივრცეში შეუფერხებლად გრძელდებოდა

4. ნაშრომში თავი მოვუყარეთ ცნობებს ბესარიონ ორბელიშვილის, მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, ისინი დაცულია წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში. აქვე აღსანიშნავია, რომ



წყაროები, წერილობითი თუ ბეჭდური, საკმაოდ მწირია, ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ხარვეზი, ანუ სავარაუდოდ, ეს არა მხოლოდ მიმდინარე პროცესების შედეგებია, არამედ ჩანს ბესარიონ ორბელიშვილის პერსონალური ხასიათიც, ის დარჩა არა წყაროებში, არამედ შემოგვრჩა მისი შემოქმედება, თითქოს ნაკლებად თვალშისაცემი, მატიანის ჩრდილში დამალული, დარჩა მცირე ბიოგრაფიული ცნობებითა და მდიდარი შემოქმედებით.

ბესარიონ ორბელიშვილი წყაროების მიხედვით იყო ორიგინალური თხზულებების ავტორი. მას, „გრდემლის“ გარდა, დაუწერია აგიოგრაფიული თხზულებები: რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა, არჩილ მეფის მარტვილობა, ისე წილკნელის ცხოვრება, ლუარსაბ მეფის მარტვილობა, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების მარტვილობა; მას ეკუთვნის ლიტურგიკული თხზულებები: „კანონი სავედრებელი საუფლოჲსა კუართისა“, „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა“, „კანონი ქმნილი კუართისა“; მრავალი ისტორიული უზუსტობის მიუხედავად, მიხეილ ქავთარია თვლიდა, რომ ბესარიონ ორბელიშვილის აგიოგრაფიულ თხზულებებს წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ჰქონდა და მას ამ დატვირთვით იყენებდა ანტონ ბაგრატიონი თავის მარტირიკაში.

ბესარიონი იყო **გადამწერი**. მას გადაუწერია: **1. A-59**, კრებული, ამას ადასტურებს ხელნაწერის მინაწერი. **2. A-105**. კრებული, 1697 წ. გადაწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის მონასტერში; **3. A-121**, გრიგოლ რომთა პაპი, დიალოღონი. 1715 წ. გადამწერებად მიიჩნევიან ბესარიონი და იობი; **4. A-178**, სასულიერო შინაარსის კრებული; **5. A-196**, სასულიერო შინაარსის კრებული; **6. A-198**, ევხოლოგიონი (ლოცვანი), 1696 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, გადაწერის ადგილი დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. **7. S-3269**, სასულიერო შინაარსის კრებული, ჰყავს რამდენიმე გადამწერი, მათ შორის იობი, ფილიპე, გადაწერილია გარეჯის მრავალმთის ეკლესიაში, ზუსტი თარიღი უცნობია; **8. Q-814**, XVIII ს. სასულიერო შინაარსის კრებული, ნაწერია შერეული დამწერლობით - ნუსხურით და მხედრულთ. გადამწერად მიიჩნევა ვინმე ბესარიონი, შესაძლოა გადამწერი სწორედ ბესარიონ ორბელიშვილია, ხელნაწერის ხელი კი ძალიან ჰყავს ბესარიონის ნაწერს.

ბესარიონ ორბელიშვილი იყო **დამკვეთი**: აღწერილობების მიხედვით, მისი დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერებია: **1. A-100**, ბასილი დიდი, ითიკა. 1713 წ. **2. A-103**, სასულიერო შინაარსის კრებული; **3. A-130**, სასულიერო შინაარსის კრებული; **4. H-1557**, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, 1713 წ. **5. Q-85**, ოთხთავი. 1719 წ. მომგებელნი: მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელის ძე.

ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერებით ირკვევა ისიც, რომ ბესარიონ ორბელიშვილი ყოფილა მასწავლებელიც. სწორედ ამიტომ კ. კეკელიძე ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ანალიზისას ასკვნის, რომ შესაძლოა სრულად არც იყოს მოღწეული მისი ორიგინალური თუ გადაწერილი თხზულებები. არ ვიცით, იყო თუ არა მთარგმნელი.

5. დისერტაციის ფარგლებში შევისწავლეთ „გრდემლის“ რედაქციები და ხელნაწერთა ნუსხები. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ შემორჩენილია ორი რედაქციის, მოკლე და ვრცელი, თორმეტი ნუსხით, აქედან ერთი, S-254, არის თხზულების მოკლე რედაქცია, დანარჩენი თერთმეტი (A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791, S-1596, 3269, Q-92, გიესმ-№114, K-№130, ვრცელი რედაქციაა. აქედან ერთი, A-1591, არასრულია, შეიცავს ოცდაექვს თავს. კვლევამ აჩვენა, რომ სხვაობა მათ შორის უმნიშვნელოა, ძირითადად ეს შეეხება ენობრივ ნორმებს ფონოლოგიურ და სინტაქსურ-მორფოლოგიურ მხარეებს და კონსტრუქციას, რომელიც ისედაც არ იყო ნორმირებული იყო შუა საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში.

6. ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა შუა საუკუნეების ანტიკათოლიკური შინაარსის ლიტერატურული ძეგლებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. ესაა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი თხზულებები.

ნათარგმნი ძეგლებია: ა. დღემდე შემორჩენილი პირველი ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ევსტრატი ნიკიელის თხზულება „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განირჳნეს“, რომლის ტექსტი გამოსცა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო მაია რაფავამ. თხზულება წარმოადგენს XII ს-ით დათარიღებული დოგმატიკონის ნაწილს. ის უნდა წარმოადგენდეს „დიდი სქიზმის“ საპასუხოდ დაწერილ პოლემიკის ნაწილს.

ბ. „ფლორენციის კრება“, რომელიც შემორჩენილია ერთი რედაქციის ორი ნუსხით. მისი ავტორი, თხზულების მიხედვით, უნდა ყოფილიყო ვინმე ევგენიოსი. თხზულებაში აღწერილია ფლორენციის კრების მიმდინარეობა, ის არ არის პოლემიკური თხზულება, მაგრამ ასახულია ფლორენციის კრება და მკვეთრად გამოხატულია განწყობა, კერძოდ. ერთ-ერთი ნუსხა მთავრდება მოსალოდნელი შედეგის წინასწარმეტყველებით, ასევე ტექსტის ბოლო ფრაზები ზედმეტად ემოციურად გადმოგვცემს მწერლის, ღვთისმეტყველი მამის დამოკიდებულებას. ფლორენციის კრების ისტორიული სურათის ჩვენებით ავტორის სურვილი იყო, გაეცოცხლებინა კრებაზე მიმდინარე რეალური სურათი. უცნობია, ავტორი, ევგენიოსი, კრების მონაწილე იყო, თუ ის სხვათა მონათხრობს აღწერს. ამის მიუხედავად, მწერლის პოზიციის აღქმა თხზულების მიხედვით შესაძლებელია.

გ. ნათარგმნი პოლემიკური შინაარსის თხზულებაა „განდგომილებისათვის რომისა“, რომელიც შემორჩენილია ერთი რედაქციის ოთხი ნუსხით. თხზულება სამი თავისგან შედგება: შესავალი, ანუ ზოგადი, ეპიტეტური თხრობა, გრძელდება ქრისტიანობის ისტორიით, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მწვალებლებსაც. ბოლო თავი არის კითხვა-მიგებითი ფორმით დასავლური ეკლესიის დოგმატური თავისებურებების მიმოხილვა.

დ. ფლორენციის კრებაა აღწერილი არჩილ მეფის ბრძანებით ნათარგმნი ისტორიულ თხზულებაში „ხრონოლორაფი დასაბამითგან სოფლისა კოსტანტინე პალეოლოდ მეფემდე“, რომლის თარგმნა ბერძნული ენიდან დაუწყია ბაგრატ სოლაღაშვილს, გაუგრძელებია არჩილ მეფეს. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება მისი რამდენიმე ნუსხა, მათ შორის უძველესი კი სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინტიტუტის კოლექციაშია დაცული ლიტერით M-22.

ორიგინალური თხზულებებიდან აღსანიშნავია:

ა. ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“. აქ არც ფლორენციის კრებაზეა საუბარი და არც რომელიმე რელიგიასა და კონფესიაზე, თხზულებაში საუბარია შვიდ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ქრისტიანული დოგმების ფუნდამენტია, რაც ოპონირებისას პოლემიკოსის მთავარი არგუმენტია.

ბ. აღსანიშნავია ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“, სადაც მესამე თავის მეშვიდე ნაწილი წარმოადგენს პოლემიკურ ნაწილს პაპისტების წინააღმდეგ და

ძირითადად, საუბარია ორი ეკლესიის განსხვავებაზე ზიარების საიდუმლოსთან დაკავშირებით;

გ. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, რომლის II წიგნში განხილულია შვიდი საეკლესიო კრება და აღწერილია ფერარა-ფლორენციის კრება. თხრობა ნაწილობრივ კითხვა-მიგებითი ფორმისაა; ანტონ კათალიკოსი თავის თხზულებას იწყებს და ამთავრებს ფლორენციის კრებით. ორივე ავტორი აღიარებს იმ შედეგებს, რომლებიც მოიტანა ფლორენციის კრებამ, მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური მანძილისა, ამიტომაც ორივე ავტორი თვლის, რომ საჭიროა მეტი ანალიზი და ახსნა ამ პროცესებისა. ამ უკანასკნელ საკითხზე თხრობა მიმდინარეობს კითხვა-მიგებითი ფორმით.

დ. „გრდემლი“, ყველაზე ვრცელი ორიგინალური პოლემიკური თხზულება, პასუხისგება პაპისტების წინააღმდეგ. თხზულებების ცალკეულ ნაწილებში ნაჩვენებია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის სხვაობა დოგმატურ და თეოლოგიურ კონტექსტში, რომელიც ახსნილი წმიდა მამათა შრომებით, წმიდა წერილების დამოწმებითა და ბიბლიური ციტატებით. ავტორი ხშირად ინფორმაციას ავსებს საქართველოს ისტორიიდან, რითაც ადასტურებს საქართველოს ისტორიულ წონას ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნებაში, ქართული ეკლესიის როლსა და ადგილს საქრისტიანო სამყაროში.

დისერტაციის ფარგლებში განვიხილეთ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური შინაარსის პოლემიკური ლიტერატურის მომრავლებისა და კონკრეტულად, „გრდემლის“ დაწერის მიზეზები. შესაძლოა, ეს ყოფილიყო საქართველოში კათოლიკე მრევლის რიცხოვრივი ზრდა, ან ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, ვახტან მეფისა და იასეს დაპირისპირება. მას შემდეგ, რაც ვახტანგი ირანში გაემგზავრა, ხოლო მის საშველად სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში, შესაძლოა, იდეოლოგიურ სარბიელზე გააქტიურდა იასე და „გრდემლიც“ სულხან-საბა ორბელიანის დასავლეთის დახმარებასა და ვახტანგის პოლიტიკურ განზრახვაზე პოლიტიკურ პასუხს წარმოადგენდა, რადგან ათიოდე წლის შემდეგ სწორედ იასეს ხელშეწყობით თუ „რეკომენდაციით“ დომენტის ოსმალეთში ექსორიობის შემდეგ გახდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ბესარიონ ორბელიანი. „გრდემლი“ კი ბესარიონს

დაუწერია ბერობისას, ანუ ვიდრე ის საქართველოს ეკლესიის მწყემსმთვარი გახდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბესარიონ ორბელიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი ერთ ეპოქასა და ერთ მონასტერში მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათი თანამშრომლობის, ნათესაობის ან ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროებში ინფორმაცია არ იძებნება.

7. საკვლევი მასალის მრავალფეროვნების, „გრდემლის“ მოცულობისა (შედგება ოცდათვრამეტი თავისაგან) და მდიდარი ტექსტოლოგიური მასალის გამო (საუბარია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების თეოლოგიური შინაარსის პოლემიკაზე ფლორენციის კრებაზე), განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ კვლევის ტექსტოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით მეთოდოლოგიას. დისერტაციაში განხილულია ისტორიული სურათი, თუ როგორ მივიდა ქრისტიანული სამყარო ფლორენციის კრებამდე და შემდეგ კონსტანტინეპოლის დაცემამდე; ნაჩვენებია სამეფო კარისა და ეკლესიის პოზიცია და ურთიერთობა დასავლეთთან, რუსეთთან, აღმოსავლეთის, მუსლიმურ სამყაროსთან და ურთიერთობას მეზობლებთან. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ცხოვრობს და ვერ განვითარდება იზოლირებულად, მაგრამ ურთიერთობების საპირწონე არ და ვერ იქნება სახელმწიფო ურთიერთობის უარყოფა, ამიტომაც ყველაზე დიდი დიპლომატია არც ყველას უარყოფა და უპატივცემულობა ან ქვეყნის მხსნელად სხვისი აღქმა და გულუბრყვილო მინდობა.

8. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“, ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება, ტრაქტატი, XVIII ს-ის პოლიტიკური და სოციალური შინაარსის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო აზროვნების პროდუქტია. თხზულება არის ფლორენციის კრების ემოციური ანარეკლი და ღვთისმეტყველის პასუხი კრებაზე განხილულ ანტიპაპისტურ დოგმებზე, რაც იყო საერთო პრობლემის იდეოლოგიური ფონი. თხზულებაში დასახელებული არაა კრების ამსახველი უშუალო წყარო, არც ქართული დელეგაციის წევრები, მხოლოდ ზოგად კონტექსტში ხაზგასმულია საქართველოს პოზიცია. როგორც არაერთი მკვლევარი (ი. უშიკიშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ა. პოგოდინი და სხვა) აღნიშნავს, არ არსებობს წყაროები ფლორენციის კრების შესახებ. დაკარგული თუ დამალული წყაროები სხვადასხვაგვარი მსჯელობისა და ვარაუდის საფუძველს იძლევა. უცნობია, რომელ

წყაროს ეყრდნობოდა ავტორი, არც ისაა ნათელი, მან ის თეოლოგიური საკითხი განიხილა, რომელიც ორ ეკლესიას ერთმანეთთან აშორებდა თუ არა.

თხზულება არის სტრუქტურულად გააზრებულად დალაგებული, მოიცავს ცამეტ საკითხს, რომელიც განაწილებულია ოცდაჩვიდმეტ თავში, ოცდამეთვრამეტე თავი არის ზოგადი ნაწილი, შეჯამება, რომელსაც ყველა ნუსხა არ შეიცავს.

პირველ თავში განხილულია დასახელებული პრობლემა და საუბარია იმ მწვალებლობასა და მწვალებლებზე, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბების დღიდან შეიქმნა. ერესების წარმოშობა, გაძლიერება და მათ მიერ ახალი დოგმატური ნორმების გავრცელება შვიდი მსოფლიო კრების მოწვევის მიზეზი გახდა. ბესარიონ ორბელიშვილი ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებად მიიჩნევს, ხოლო კრებაზე განხილული თეოლოგიური საკითხები და მასშტაბების გამო მერვე კრებას შვიდ საეკლესიო კრებას უტოლებს. სავარუდოდ, ამგვარი დამოკიდებულება ფლორენციის კრებისადმი იმის ხაზგასმა იყო, რომ მისთვის დასავლეთის ეკლესია რელიგიურ-დოგმატური ღირებულებების გამო ერთ-ერთი ერეტიკოსთაგანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კრებების მოწვევის განმსაზღვრელი რაიმე კონკრეტული დეფინიცია არ არსებობს, მისი უპირველესი ექსკლუზიური კომპეტენცია სადავო დოგმატური საკითხების გადაწყვეტა და ერეტიკული აზროვნებისა თუ მიმდინარეობის სივრცის შეზღუდვა, აღკვეცაა. ასე მოხდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, როცა დაგმეს არიანელობა, კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე - მაკედონიუსის ერესი და ა. შ. საეკლესიო კრებების ფუნქციაა ეკლესიის დისციპლინური წესრიგის უზრუნველყოფა დოგმების და კანონების დამტკიცებით. ყოველივე ეს ხდება სული წმინდის მადლით, თეოლოგიური მსჯელობის, წმინდა წერილებისა და სამოციქულო გადმოცემებზე დაყრდნობით. ფერარა-ფლორენციის კრებაზე, რომელიც შვიდი წელი გრძელდებოდა, იყო თეოლოგიური მსჯელობა, სადავო დოგმატურ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის სურვილიც და მცდელობაც, მაგრამ აქ არ იყო საუბარი რომელი მხარე იყო ჭეშმარიტებისგან განმდგარი, სად იყო უტყუარი თეოლოგიური ცდომილება, ან იყო მკაფიოდ გამოხატული ერეტიკული მომდინარეობა? რომელი კანონი მიიღეს და რა საეკლესიო განჩინება დამტკიცდა? შესაძლოა, ბესარიონ ორბელიშვილის მიერ

ფლორენციის კრების მსოფლიო საეკლესიო რანგში დაყენება სარკაზმული დამოკიდებულება იყო, ან მისი ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასმა.

თხზულების ძირითადი ნაწილის თხრობას ბესარიონ ორბელიშვილი იწყებს სული წმინდის გამომავლობის, იგივე filioque-ს საკითხის განხილვით. აღმოსავლეთის ეკლესია აღიარებს სული წმინდის მამისაგან გამომავლობას, ხოლო დასავლეთმა დაუმატა - და ძისაგანაც. ეს საკითხი გახდა ფლორენციის კრებაზე ერთ-ერთი უმწვავესი პოლემიკის მიზეზი. ბესარიონ ორბელიშვილი ამ საკითხზე მსჯელობისას არ ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს, ის იყენებს ბიბლიურ წიგნებს. უპირველესად იწყებს მრწამსის შეხსენებით, მრწამსის ნებისმიერი ცვლილება კი ეფესოს კრების განჩინებით კატეგორიულად იკრძალება, ამიტომაც უმთავრესი დოგმატური ნორმის უგულებელყოფა ბესარიონ ორბელიშვილისთვის იმ ერეტიკულ განწყობებს უტოლდება, რომლებიც საეკლესიო კრებებმა განჩინებით განკვეთეს ეკლესიის წიალიდან. ავტორი დასავლეთის ეკლესიის სახარებისეულ საფუძველს ამავე სახარების მართლმადიდებლური პოზიციიდან ახსნითა და წმიდა მამათა სწავლებებით უპირისპირდება.

ავტორი განიხილავს ფლორენციის კრებაზე განხილულ უმწვავეს პრობლემას, რომელიც ასევე უარყო მართლმადიდებლურმა სამყარომ, რაც პაპის უფლებრივ სტატუსსა და პეტრეს მოციქულთა თავად გამოცხადებას უკავშირდება. ამ საკითხებზე მსჯელობისას ბესარიონ ორბელიშვილის რიტორიკაში იგრძნობა გაღიზიანება, ის ძირითადად იმოწმებს წმინდა წერილებს, საეკლესიო კრებების კანონებს, წმინდა მამების ბიოგრაფიებსა და სწავლებებს, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს, კერძოდ, მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებას, გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრებას, გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმას. ახსენებს გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის დისკუსიას, რომელზეც გამოიკვეთა ქართველი სასულიერო პირის პოზიცია და ურყევი ნება. არ ეხება გიორგი მთაწმინდელისა აზრს უცთომელობის შესახებ. ბესარიონ ორბელიშვილი ერთი მოციქულისა და ერთი ეკლესიის აღზევებას რელიგიური ღირებულებების, ზოგადად, დანარჩენ მოციქულთა და ეკლესიათა შეურაცხყოფად მიიჩნევს.

თხზულებაში საუბარია განსაწმენდელსა და „საუკუნო ჯოჯოხეთზე“, რომელსაც აღიარებენ პაპის მოსაგნი, ბესარიონ ორბელიშვილისთვის კი

დასავლეთის ეს დოგმა ორიგენიზმის გაგრძელებაა და ის მათ, პაპისტებს, გრიგოლ რომის პაპის „დიალოღონიდან“ და იოანე დამასკელის „მიცვალებულთა საკითხავიდან“ მოყვანილი ციტატებით უპასუხებს. ეს ის დოგმატური საკითხები იყო, რაზეც დასავლეთი კატეგორიულ თანხმობას ითხოვდა კონსტანტინეპოლისა და მისი მომხრე წარმომადგენლებისგან. უნიას სჭირდებოდა „კონსესუსი“ ამ საკითხებზე.

ფლორენციის კრებაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა განიხილეს ორ ეკლესიას შორის ლიტურგიკული სხვაობაც - ნათლისღების, ზიარების, მარხვის, ლოცვის, ჟამისწირვის თაობაზე, ეს განსხვავებები ჩვილთა და დედათა ნათლობას, მირონცხებას, მარხვის აღსრულებას, ღვთისმსახურებაში - „უცომოსა და საფუვრით“ ზიარებასა და ჩვილთა უზიარებლობის წესს, საკურთხეველის განლაგებას. „გრდემლში“ საუბარია დასავლეთის ეკლესიის მიმდევართა კვების კულტურაზეც კი. ეს ის საკითხები იყო, რომელზეც რომის ეკლესია ფერარა-ფლორენციის კრებაზე კომპრომისზე წასვლას აანონსებდა, თუ წინამორბედ საკითხებზე უნია მოხერხდებოდა. შესაბამისად, ბესარიონ ორბელიშვილი დეტალურად განხილავს ორი ეკლესიის „მნიშვნელოვან და უმნიშვნელო“ დოგმატურ-ლიტურგიკულ საკითხებს.

ფლორენციის კრებაზე დასაწყისშივე, გეოგრაფიული ადგილის მონაცვლეობისას, ფერარადან ფლორენციაში გადატანისას, გამოიკვეთა მოსალოდნელი შედეგი, ამიტომ აღმოსავლეთის ეკლესიამ შეცვალა მიზანი, ეს რვაწლიან პოლემიკაში აღარ იყო არც თეოლოგიურ დისკუსიაში გამარჯვებაზე ორიენტირებული და არც რაიმე სახის დახმარების მოიმედე, მათი მიზანი გახდა ჭეშმარიტების ტირაჟირება, „გრდემლის“ ავტორმაც ტრაქტატი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ჭეშმარიტების დასასაბუთებლად დაწერა, ამიტომაც მისი საუბრის მანერა, დიალოგის, მიმართვის ფორმა იმის იმიტაცია იყო, რომ მოჰპასუხე იყო მართლმადიდებელი პუბლიკა, ის არ საუბრობს მაღალი ლიტერატურული ენითა და ღრმა საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიით, მისი ლექსიკა და სიტყვათა კონსტრუქცია მარტივია და ამით ის საზოგადოებას თავს არა გამორჩეულთ შორის წარუდგენს, არამედ მათ ნაწილად.



„გრდემლის“ ტექსტოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორი ნაკლებად იყენებს ისტორიულ ფაქტებს, უფრო მეტიც, საერთოდ არ განიხილავს საერთო გლობალურ კონტექსტში, იშვიათად, განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში, ქართული ღირებულებების ხაზგასასმელად, უფრო ფრაგმენტულად ახსენებს ქართველ მოღვაწეებს. ამას სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ჩემი ვარაუდით, ბესარიონ ორბელიშვილი ძალიან ფრთხილობდა დასავლეთის სახელმწიფოებთან ზედმეტსიტყვაობაში და ის მსჯელობდა, როგორც სასულიერო პირი, თეოლოგი, ღვთისმეტყველი და არა როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ამიტომაც არ არღვევდა პოლიტიკურ კონიუნქტურას. ასევე აღსანიშნავია, მისი მომეტებული ახსნა ბიბლიური წიგნების, იგავების, სიუჟეტებისა სცდება პოლემიკური ჟანრის ჩარჩოს და უახლოვდება ეგზეგეტიკურ მწერლობას, რომლის მთავარი ამოცანაა ბიბლიური წიგნების განმარტება, „თარგმანება“, ისტორიულ-ფილოლოგიური საფუძვლების კვლევა. ამიტომაც ჩვენი დასკვნით, „გრდემლი“ პოლიჟანრული თხზულებაა - პოლემიკური, როგორც ავტორი აღნიშნავს, „სიტყვისგებაა“, და ეგზეგეტიკური, როგორც ტექსტის ანალიზმა, კონტექსტმა და ეგზეგეტიკის ფორმულირებამ გვიჩვენა.

ბესარიონ ორბელიშვილს მალევე გამოუჩნდნენ შემფასებელ-დამფასებლები: იოანე ბატონიშვილი [კალმასობა, 1948:166]; ანტონ ბაგრატიონი, [წყობილსიტყვაობა, 1980:155-156].

## გამოყენებული ლიტერატურა:

### აბრევიატურები:

PG – Patrologia Graeca.

**გიესმ** - სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

**სეა** - საქართველოს ეროვნული არქივი.

**ხეც** - კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**სჯიემ** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა.

**ქუთ** - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **აბულაძე 1936** - აბულაძე ილია, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თსუ შრომები, III, თბ. 1936, გვ. 252-268.
2. **აბულაძე 1973** - აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ, 1973.
3. **ავალიანი 1987** - ავალიანი სერგი, ანტონ პირველი: ცხოვრება, მოღვაწეობა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ. 1987.
4. **ავალიშვილი 1989** - ავალიშვილი ზურაბ, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. 1989.
5. **ალექსიძე 1975** - ალექსიძე ალექსანდრე, ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება (ევსტრატე ნიკიელის ტრაქტატი), თსუ შრომები, 162, თბ. 1975, გვ. 11-120.
6. **ანთელავა 1991** - დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. ანთელავამ, თბ.1991
7. **ანტონ I 1892** - ანტონ I კათალიკოსი, მზა-მეტყველება, ქმნილი ანტონ I საქართველოს კათალიკოზისგან მღ. პ. კარბელოვის რედაქტორობით,

[წინასიტყვ. ავტ. ალექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარნი საქართველოსა]. ტფ. 1892.

8. **ანტონ I 1980** - ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ. 1980.

9. **ახალაძე 2003** - ახალაძე ვახტანგ, სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლმხედვეობათა ინტეგრაციის შესაძლებლობანი ფუნდამენტურ ბიოეთიკაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 10, 2003, გვ. 23-56.

10. **ბადრიძე 1973** - ბადრიძე შოთა, საქართველო და ჯვაროსნები, თბ. 1973.

11. **ბადრიძე 1984** - ბადრიძე შოთა, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), თბ. 1984.

12. **ბალოშვილი 1904** - შემოკლებული კატეხიზმო, შედგენილი მდ. პავლე ბალოშვილის მიერ, თბ. 1904.

13. **ბალხამიშვილი 1998** - ბალხამიშვილი ბელა, ერეტიკოსებთან ბრძოლის ზოგიერთი ასპექტი ანტონ კათალიკოსის “შზამეტყველებაში”, ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბ. 1998, გვ. 161-170

14. **ბალხამიშვილი 2003** - ბალხამიშვილი ბელა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებისა და ანტონ კათალიკოსის “შზამეტყველების” ურთიერთმიმართების ერთი ასპექტი, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ. 2003, გვ. 184-187.

15. **ბატონიშვილი იოანე 1948** - ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ, ტ. 2, თბ. 1991.

16. **ბატონიშვილი ვახუშტი 1913** - ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, 1463-1800 წწ. თბ. 1913.

17. **ბერაძე, სანაძე 2003** - ბერაძე თამაზ, სანაძე მანანა, საქართველოს ისტორია, 1, 2003.

18. **ბერძენიშვილი 1940** - დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ. 1940.

19. **ბერძენიშვილი 1970** - დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, III, თბ. 1970.

20. **ბესარიონ ორბელიშვილი 2013** - ბესარიონ კათალიკოსი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი), „გრდემლი“, ტექსტი ხელნაწერ S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ზ. მამულაშვილმა, თბ. 2013.

21. **ბიბლია 2017** - ბიბლია, ძველი აღთქმა, გამომცემელი კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, I, 2017.

22. **ბიბლია 2017** - ბიბლია, ძველი აღთქმა, გამომცემელი კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, II, 2017.

23. **გაბიძაშვილი 2004** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1: ჰაგიოგრაფია, (ბიბლიოგრაფია), თბ. 2004.

24. **გაბიძაშვილი 2006** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 2: ასკეტიკა და მისტიკა, (ბიბლიოგრაფია), თბ. 2006.
25. **გაბიძაშვილი 2009** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 3: ჰომილეტიკა, (ბიბლიოგრაფია), თბ. 2009.
26. **გაბიძაშვილი 2004** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 4: ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, (ბიბლიოგრაფია), თბ. 2009.
27. **გაბიძაშვილი 2011** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5: ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია (ბიბლიოგრაფია), თბ. 2011.
28. **გაბიძაშვილი 2012** - გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა (ბიბლიოგრაფია), 6, თბ. 2012.
29. **გაბიძაშვილი 2015** - გაბიძაშვილი ენრიკო, ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია, თბ. 2015.
30. **გაბიძაშვილი 2016** - გაბიძაშვილი ენრიკო, ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ თხზულებათა უნიკალური კრებული (ქუთ. 1 ს-ის I ნახ., XVI ს.), თბ. 2016.
31. **გამსახურდია 1970** - გამსახურდია სვიმონ, კათოლიკე მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობა XVI-XVIII სს. საქართველოში, ჟურ. სკოლა და ცხოვრება, 1, თბ. 1970, გვ. 89-94.
32. **გიუნაშვილი 1972** - გიუნაშვილი ელგუჯა, მცირე სჯულისკანონი, თბ. 1972.
33. **გრიგოლია 2000** - გრიგოლია ლია, დამოკიდებულება ქართველ საეკლესიო მოღვაწეებსა და რომის კათოლიკე ბერებს შორის, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, №2, 2000.
34. **გრიგოლია 2002** - გრიგოლია ლია, კათოლიკე მისიონერების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, 2002.
35. **დიდი სჯულისკანონი 1975** - დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ. 1975.
36. **დოგმატიკონი, I, 2015** - დოგმატიკონი, ტ. I, ანასტასი სინელი წინამძღვარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჩიკვატიამ, მ. რაფავამ, დ. შენგელიამ, 2015.
37. **დოგმატიკონი, II, 2015** - დოგმატიკონი, ტ. II, ნიკიტა სტითატი თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. შენგელიამ, 2015.

38. **დოგმატიკონი, III, 2015** - დოგმატიკონი, ტ. III, გამოკრებიანი წამებთან, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჩიკვატიამ, მ. რაფავამ, დ. შენგელიამ, 2015.
39. **დოლიძე 1970** - დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლი ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, III, თბ. 1970.
40. **დოლიძე 1972** - დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, IV, თბ. 1972.
41. **დოლიძე 1977** - დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლი ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, VI, თბ. 1977.
42. **დროება 1879** - ჟურნალი „დროება“ სხვადასხვა „ამბები“, №48, 1879, გვ. 3.
43. **ვათეიშვილი 2014** - ვათეიშვილი ჯუანშერ, საქართველო და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ტ. 1, „საქართველო და დასავლეთ ევროპა XIII-XVII სს.“, თბ. 2014.
44. **თამარაშვილი 1902** - თამარაშვილი მიხეილ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902.
45. **თვარაძე 2004** - თვარაძე ალექსანდრე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, თბ. 2004.
46. **თინიკაშვილი 2011** - თინიკაშვილი დავით, ქართლის ეკლესიის დასავლური ორიენტაციის შესახებ (კრიტიკული გამოხმაურება ისტორიის დოქტორის, ლ. მათეშვილის რეცენზიაზე), 03.10.2011, ელ. ვერსია: <http://azrebi.ge/index.php?pid=1322>.
47. **თინიკაშვილი 2012** - თინიკაშვილი დავით, წმ. გიორგი და ექვთიმე ათონელების ლათინებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიერ გამართული ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, 26-27 აპრილი, 2012, გვ. 50-51, ელ. ვერსია: <http://georgianstudies.ge/docs/tezisebi.pdf>.
48. **იამანიძე 2006** - იამანიძე მანანა, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში, (XIII-XVII სს.), თბ. 2006.
49. **იველაშვილი 2009** - იველაშვილი თინა, კათოლიკობა საქართველოში, 2009.
50. **იზაშვილი 1898** - იზაშვილი პ. ქართველ კათოლიკეთა შესახებ, 1898.

51. **კაზარიანი 2011** - კაზარიანი იოანე, რომის საყდარსა და საქართველოს ეკლესიას შორის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა (XI-XIII საუკუნეები), 21/09/2011, ელ. ვერსია: <http://www.orthodoxtheology.ge>.
52. **კაკაბაძე 1913** - კაკაბაძე სარგის, ისტორიული საბუთები, I, თბ. 1913.
53. **კარბელაშვილი 1900** - კარბელაშვილი პოლიევქტოს, იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, შედგენილი პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ. 1900.
54. **კარტაშვი 2000** - კარტაშვი ანტონ, ეკლესიათა ერთობა ისტორიის გადასახედიდან, კრ. ეკლესიის საზღვრები, თბ. 2000. გვ. 25-60.
55. **კასრაძე 1947** - კასრაძე ანასტასია, რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, 1947.
56. **კეკელიძე 1957** - კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV ტ. თბ. 1957.
57. **კეკელიძე 1960** - კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1960.
58. **კეკელიძე 1958** - კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1958.
59. **კოპლატაძე 2010** - კოპლატაძე გვანცა, წმ. გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბ. 2010, გვ. 113-327.
60. **კოჭლამაზაშვილი, ღამბაშიძე 1999** - კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ღამბაშიძე ანა, ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი, მრავალთავი, XVIII, თბ. 1999, გვ. 153-163
61. **ლებედევი 2012** - ლებედევი ალექსანდრე, მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია, 2012.
62. **ლოლაშვილი 1962** - ლოლაშვილი ივანე, მიქელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი, „პირმშობისათვის“, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1962.
63. **ლომინაძე 1951** - ლომინაძე ბაბილინა, მასალები XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ. 1951, ნაკ. 29. გვ. 72-73.
64. **ლომინაძე 1966** - ლომინაძე ბაბილინა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1966.
65. **ლომიძე 2007** - ლომიძე დოდო, ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 2007.
66. **მამისთვალიშვილი 1981** - მამისთვალიშვილი ელდარ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ. 1981.
67. **მამისთვალიშვილი 2001** - მამისთვალიშვილი ელდარ, საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ცდები და ქართული

დიპლომატია XVII-XVIII საუკუნეებში, ქართული დიპლომატია, წელიწადული, 8, თბ. 2001, გვ. 33-64.

68. **მამისთვალშივილი 2016** - მამისთვალშივილი ელდარ, ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, კადმოსი, 8, თბ. 2016, გვ. 250-268.

69. **მამულაშივილი 2013** - მამულაშივილი ზაზა, „გრდემლი“, ტექსტი S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშივილმა, თბ. 2013.

70. **მაჭარაშივილი 2000** - მაჭარაშივილი ტრისტან, საქართველოსა და ჩრდილო დასავლეთ ევროპის ურთიერთობის ისტორიიდან, კრ. საისტორიო შტუდიები, 1, თბ. 2000, გვ. 141-151.

71. **მაჭარაშივილი 2001** - მაჭარაშივილი გიორგი, ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე წმიდა ფოტი დიდი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ჟურ. რელიგია, თბ. 2001, №7-8-9, გვ. 55-59. ელ. ვერსია: <http://www.scribd.com/doc/74888562/>

72. **მაჭარაშივილი 2002** - მაჭარაშივილი გიორგი, პაპისტური მსოფლიო კრებების უარყოფა ქართველთაგან და ეკლესიური ერთობის დარღვევა რომთან (XI-XIII საუკუნეთა ქართული სამართლებრივი ძეგლების მიხედვით), კავკასიის მაცნე, თბ. 2002, №5, გვ. 40-43. ელ. ვერსია:

<http://www.nplg.gov.ge/caucasia/Messenger/geor/Page1.htm>;

<http://www.nplg.gov.ge/caucasia/Messenger/ENG/Page1.htm>;

<http://www.scribd.com/doc/74888845/>.

73. **მაჭარაშივილი 2003** - მაჭარაშივილი გიორგი, ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის (თარიღის პრობლემა), თბ. 2003, ელ. ვერსია: <http://dspace.nplg.gov.ge/>.

74. **მაჭარაშივილი 2009** - მაჭარაშივილი გიორგი, წმიდა ექვთიმე ათონელი და კათოლიციზმი, 2009, ელ. ვერსია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8019>.

75. **მაჭარაშივილი 2014** - მაჭარაშივილი გიორგი, დიდი სქიზმა და საქართველო (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბ. 2014.

76. **მახარაშივილი 2012** - მახარაშივილი სოსო, წმინდა ეპიფანე კვიპრელი „ოთხმეოცთა წვალებათათჳს“, 2012.

77. **მეგენეიშივილი 2019** - მეგენეიშივილი ნინო, წყაროებში დაცული ცნობები ბესარიონ ორბელიშივილის შესახებ, ელ. ჟურნალი „სპეკალი“, 12, 2019, ელ. ვერსია: <http://spekali.tsu.ge/index.php/ge/>.

78. **მეგენეიშივილი 2019** - გარეჯული ხელნაწერი მემკვიდრეობა, გულანი, 22, 2019, გვ. 94-123

79. **მეგენეიშვილი 2019** - ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერობაში, ქრისტიანულ-არქეოგრაფიული ძიებანი, XI, 2019, გვ. 427-476
80. **მეგენეიშვილი 2019-2020** - მეგენეიშვილი ნინო, ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, 28(13), 2019, გვ. 151-177, ელ.ვერსია: <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/>.
81. **მელიქიშვილი 1984** - მელიქიშვილი დამანა, ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, I, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 24, თბ. 1984.
82. **მელიქიშვილი 1999** - მელიქიშვილი დამანა, იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბ. 1999.
83. **მელიქიშვილი 1999** - მელიქიშვილი დამანა, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, I, თბ. 1999.
84. **მელიქსეთ-ბეგ 1949** - მელიქსეთ-ბეგი ლეონ, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, თბ. 1949.
85. **მენაბდე 1962** - მენაბდე ლევან, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ. 1962.
86. **მესხია 1986** - მესხია შოთა, ჯვაროსნები და საქართველო, მის წიგნში საისტორიო ძიებანი, 3, თბ. 1986.
87. **მეტრეველი 1957** - მეტრეველი ელენე, ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ. 1957.
88. **მიმინოშვილი 2000** - მიმინოშვილი რომან, წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მათა რაფაევამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაევამ; ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. სერია: მართლმადიდებელ მამათა შრომები, 1, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ. 2000.
89. **მინიატი 2009** - მინიატი ილია, ლოდი საცდურისა, მთარგმნელ-შემდგენელი ნინო გულიაშვილი, თბ. 2009.
90. **მჭედლიძე 2009** - მჭედლიძე მაგდა, ერთი ბერძნული წყაროს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველთა მონაწილეობის შესახებ, „დიდაქარობა“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ხულო – დიდაქარა, 2009 წლის მაისი, მასალები, 2009.
91. **მჭედლიძე 2011** - მჭედლიძე მაგდა, ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ბიზანტიოლოგია საქართველოში, 3, თბ. 2011, გვ. 433-488



92. **ნათაძე 2007** - ნათაძე ნოდარ, ინდივიდის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ანთროპოლოგიური და ეთიკური საფუძვლები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, თბ. 2007, გვ. 46-62.
93. **ნათაძე 2007** - ნათაძე ნოდარ, ინდივიდის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ანთროპოლოგიური და ეთიკური საფუძვლები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 4, თბ. 2007, გვ. 25-36.
94. **ნათაძე 2007** - ნათაძე ნოდარ, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა და თანამედროვე ფილოსოფია, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9, თბ. 2007, გვ. 17-50.
95. **ოგიცვი 2000** - ოგიცვი დიმიტრი, კოზლოვი მაქსიმ, რომაული კათოლიციზმი, თარგმნეს გ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ, თბ. 2000.
96. **ომიაძე 2007** - ომიძე სალომე, ეროვნულ და კომუნიკაციურ ცნობიერებათა ურთიერთმიმარებისთვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, თბ. 2007, გვ. 46-51.
97. **ომიაძე 2007** - ომიძე სალომე, სტერეოტიპი და ეტალონი ეროვნულ კულტურაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9, თბ. 2007, გვ. 55-61.
98. **ორბელიანი 1966** - ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, I, თბ. 1966.
99. **პავლიაშვილი 1989** - პავლიაშვილი ქეთევან, ვატიკანის პოლიტიკა საქართველოსა და ირანის მიმართ XVII საუკუნის 20-50-იან წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, 1989.
100. **პავლიაშვილი 1994** - პავლიაშვილი ქეთევან, კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVII საუკუნის I ნახევარი), თბ. 1994.
101. **პაიჭაძე 1960** - პაიჭაძე გ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960.
102. **პაპავა 2012** - პაპავა ვლადიმერ, „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ, კრებული „კავკასია“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ. 2012, გვ. 557-568.
103. **პაპაშვილი 1992** - პაპაშვილი მურმან, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, თბ. 1992.
104. **პაპაშვილი 1995** - პაპაშვილი მურმან, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ. 1995.
105. **პაპაშვილი 1997** - პაპაშვილი მურმან, კათოლიკობა და ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში XIII-XV ს-ის I ნახევარი, კრ. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, 3, თბ. 1997, გვ. 244-252.
106. **პაპუაშვილი 1996** - პაპუაშვილი ნუგზარ, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, თბ. 1996.
107. **პაპუაშვილი 2001** - პაპუაშვილი ნუგზარ, გიორგი მთაწმინდელი რომაელთა სარწმუნოების შესახებ, გაზ. „საბა“, ივნისი, №6, თბ. 2001, გვ. 5.

108. **პაპუაშვილი 2008** - პაპუაშვილი ნუგზარ, კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ “დროების” მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი), თბ. 2008.

109. **პაპუაშვილი 2009** - პაპუაშვილი ნუგზარ, საქართველოსა და რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობები: მითოსი და რეალობა, აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა, სტატიათა კრებული, თბ. 2009, გვ. 198-248, ელ. ვერსია:

[http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8353/1/AgmosavlurDasavluri\\_Oristianoba.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8353/1/AgmosavlurDasavluri_Oristianoba.pdf).

110. **პაპუაშვილი 2010** - პაპუაშვილი ნუგზარ, გიორგი მთაწმინდელი – ეკლესიოლოგი, კულტურტრეგერი და რეფორმატორი, ჟურ. სოლიდარობა, №3, თბ. 2010, გვ. 29-42.

111. **პერონე 2009** - პერონე ლორენცო, „ძაღვების განდევნა ლოცვის ჟამს“ - მლოცველის სახე დემონებსა და ანგელოზებს შორის: ორიგენედან ევაგრე პონტოელამდე, ფრანგულიდან თარგმნეს მ. მჭედლიძემ და ც. ბიბილეიშვილმა, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, II, თბ. 2009, გვ. 9-53.

112. **პოგოდინი 2016** - პოგოდინი ამბროსი (პროტოპრესვიტერი), წმინდა მარკოზ ეფესელი და ფლორენციის უნია, თარგმნა ნ. ბელთაძემ, თბ. 2016.

113. **რაფავა 1976** - იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანები ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ. 1976.

114. **რაფავა 2000** - რაფავა მაია, გრიგოლ ნაზიანზელის „ნათლისღებისათვის“ (R 39)-ის ქართული თარგმანები მთარგმნელობითი მეთოდის ტიპოლოგიზაციის კონტექსტში, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, თბ. 2000.

115. **რაფავა 2014** - რაფავა მაია, წმ. არსენ იყალთოელის თარგმანი ევსტრატო ნიკიელის ანტიკათოლიკური ნაშრომისა: „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათვის საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ (გამოკვლევა და ტექსტი), თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, V, თბ. 2014, გვ.

116. **ჟანენი 1996** - რემონ ჟანენი, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1996.

117. **ჟორდანიას 1903** - ჟორდანიას თედო, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903.

118. **ჟორდანიას 1893** - ჟორდანიას თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. 1, თბ. 1893.

119. **ქორდანია 1897** - ქორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ქორდანიას მიერ, ტ. 2, თბ. 1897.
120. **ქორდანია 1967** - ქორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ქორდანიას მიერ, ტ. 3, 1967.
121. **რუხაძე 1994** - რუხაძე გრიგოლ, დოგმატიკურ-ისტორიული საკითხები (შედგენილი ა. ლებედევისა და ფილარეტის შრომების მიხედვით), 1994.
122. **რუხაძე 2008** - რუხაძე გრიგოლ, მსოფლიო საეკლესიო კრებები, დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ. 2008.
123. **რუხაძე 1960** - რუხაძე ტრიფონ, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVIII სს. თბ. 1960.
124. **სარჯველაძე 1975** - სარჯველაძე ზურაბ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975.
125. **სარჯველაძე 1995** - სარჯველაძე ზურაბ, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ. 1995.
126. **საყვარელიძე 1997** - საყვარელიძე ნ, ტერმინები „არსება“ და „ჰიპოსტასი“ ათანასე ალექსანდრიელის დოგმატიკურ თხზულებათა მიხედვით, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ. 1997.
127. **სირაძე 1975** - სირაძე რევაზ, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ. 1975.
128. **სირაძე 1987** - სირაძე რევაზ, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ. 1987.
129. **სირაძე 1992** - სირაძე რევაზ, ქრისტიანული კულტურა და მწერლობა, თბ. 1992.
130. **სოხაძე 2002** - სოხაძე ნათელა, გრიგოლ დიდის „დიალოგონი“, თბ. 2002.
131. **სულავა 2012** - სულავა ნესტან, სოფელი და ზესთასოფელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებული „მუშაკი სულიერისა ვენახისა“, თბ. 2012, გვ. 94-114.
132. **სულავა 2012** სულავა ნესტან, ქართული ჰიმნოგრაფია, თბ. 2013.
133. **სულავა 2014** - სულავა ნესტან, ქართული ისტორიული საბუთების სახისმეტყველება, აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2014, გვ. 238-246.
134. **სულავა 2014** - სულავა ნესტან, ხატმებრძოლთა წინააღმდეგ პოლემიკის ასახვა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 8, თბ. 2014, გვ. 66-78.

135. **სულავა 2015** - სულავა ნესტან, ვნების კვირის საგალობლების სახისმეტყველება და დავით გურამიშვილი, მრავალთავი, 24, თბ. 2015, გვ. 138-155.
136. **სულავა 2016** - სულავა ნესტან, ეთიკური და აღმსარებლობითი პოლემიკის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, გულანი, №20, თბ. 2016, გვ. 56-71.
137. **სულავა 2018** - სულავა ნესტან, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ [სტატიები], თბ. 2018.
138. **სურგულაძე 2003** - სურგულაძე ივანე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ. 2003.
139. **სურგულაძე 2016** - სურგულაძე მზია, მცხეთის სახლი, თბ. 2016.
140. **სხირტლაძე 2000** - სხირტლაძე ზაზა, ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში, თბ. 2000.
141. **სხირტლაძე 2008** - სხირტლაძე ზაზა, გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. I, თბ. 2008.
142. **სხირტლაძე 2011** - სხირტლაძე ზაზა, გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. II, თბ. 2011.
143. **ტაბალუა 1982** - ტაბალუა ილია, მასალები XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1982.
144. **ტაბალუა 1984** - ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბ. 1984.
145. **ტაბალუა 1984** - ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, 1986.
146. **ტაბალუა 1987** - ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ. 1987.
147. **ტაბალუა 1994** - ტაბალუა ილია, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (ლექციების კურსი), თბ. 1994.
148. **ტაბალუა 1995** - ტაბალუა ილია, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 1995.
149. **უშიკიშვილი 2016** - უშიკიშვილი იაკობ, სადისერტაციო ნაშრომი, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო, თბ. 2016.
150. **ქავთარია 1959** - ქავთარია მიხეილ, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ. 1959, გვ. 78-113
151. **ქავთარია 1965** - ქავთარია მიხეილ, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ. 1965.
152. **ქავთარია 1977** - ქავთარია მიხეილ, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ. 1977.
153. **ქავთარია 2009** - ქავთარია მიხეილ, „დიალოგონი“, მწიგნობრობა ქართული, 7, თბ. 2009, გვ. 246-289.

154. **ქაჯაია 2019** - ქაჯაია ნინო, სადმრთო ჟამისწირვის საიდუმლოება, თბ. 2019.
155. **ყაუხჩიშვილი 1955** - ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბ. 1955.
156. **ყაუხჩიშვილი 1959** - ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, თბ. 1959.
157. **შანიძე 1953** - შანიძე აკაკი, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ. 1953.
158. **შოშიაშვილი 1993** - ფოტი დიდი, სიტყვა სულიწმინდის მესაიდუმლოების შესახებ, ჯ. შოშიაშვილის თარგმანი, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, 2, თბ. 1993, გვ.129-135.
159. **ქრესტომათია 1946** - ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანიშვილის რედაქციით, I, თბ. 1946.
160. **ჩიკვატია 1992** - ჩიკვატია ნანა, იოანე დამასკელის „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა“-ს არსენ იყალთოელის თარგმანი, მაცნე, ელს, თბ. 1992.
161. **ჩიკვატია 1999** - ჩიკვატია ნანა, ექვთიმე მთაწმიდელი ერესების წინააღმდეგ („წინამძღვარში“ დაცული 14 შეჩვენება), კრ. „მრავალთავი“, XVIII, თბ. 1999, გვ. 140-152.
162. **ძეგლები 1963** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ავტორთა ჯგუფი, გამოცემული ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, I, თბ. 1963.
163. **ძეგლები 1967** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ავტორთა ჯგუფი, გამოცემული ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, II, თბ. 1967.
164. **ძეგლები 1989** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი და სამიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, V, თბ. 1989.
165. **ძეგლები 1980** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი და სამიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, VI, თბ. 1980.
166. **ძოწენიძე 1977** - ლ. ძოწენიძე, კათოლიკური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, კრებული ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს), თბ. 1977, გვ. 70-87.
167. **ცქიტიშვილი 2010** - თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, 1, თბ. 2010.
168. **ჭელიძე 1994** - ზოგი რამ სარწმუნოებრივ-დოგმატური საკითხების შესახებ, გზა სამეუფო, 2, თბ. 1994.

169. **ჭელიძე 2007** - ჭელიძე ედიშერ, სპეკალი მართლმადიდებლობისა, თბ. 2007.
170. **ჭიჭინაძე 1895** - ჭიჭინაძე ზაქარია, საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები: ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან და მეფის ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან, თბ. 1895.
171. **ჭიჭინაძე 1898** - ჭიჭინაძე ზაქარია, უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, თბ. 1898.
172. **ჭიჭინაძე 1899** - ჭიჭინაძე ზაქარია, საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, მეორე გამოცემა, თბ. 1899 (გარეკანზე: 1900).
173. **ჭიჭინაძე 1904** - ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველ კათოლიკეთ პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომანი, თბ. 1904.
174. **ჭიჭინაძე 1920** - ჭიჭინაძე ზაქარია, საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან (XII ს.), თბ. 1920.
175. **ჭიჭინაძე 1920** - ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველ კათოლიკეთ ქართული ტიბიკონის ამბავი, თბ. 1920.
176. **ჭყონია, ჩიკვატია 2007** - წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), თორნიკე ჭყონიასა და ნანა ჩიკვატიას გამოცემა, თბ. 2007.
177. **ხალვაში 2003** - ხალვაში რამაზ, ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“, თბ. 2003.
178. **ხელაშვილი 1886** - ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, „ივერია“, №207, №208, 1886, გვ. 3-4 .
179. **ხინთიბიძე 1999** - ხინთიბიძე ელგუჯა, ქართველი წმინდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო კონფლიქტზე XIII საუკუნის ლათინურ კრებულში, ჟურ. ლიტერატურა და სხვა, 1, თბ. 1999, გვ. 22-25.
180. **ჯავახიშვილი 1997** - ჯავახიშვილი მანანა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს-ში, საკანდიდატო დისერტაცია, 1997.
181. **ჯავახიშვილი 1928** - ჯავახიშვილი ივანე, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ. 1928.
182. **ჯანაშვილი 1902** - ჯანაშვილი მოსე, ქართული მწერლობა, II, თბ. 1902.
183. **ჯაფარიძე 2002** - ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), პოლემიკა კათოლიკური ორიენტაციის სწავლულებთან, თბ. 2002.
184. **ჯუღელი 1998** - ჯუღელი ვიქტორია, ორიგენეს მოძღვრება თეოდორე კვირელის თხზულებებში, თბ. 1998.
39. №27 ტიბიკონი დავით გარესჯის მონასტრისა, მე-XVIII საუკ. ბოლოს უწერია: „ქკს აქეთ ჩღნწ 1758 ქართული ქორონიკონი ქკს უბვ“. ბოლოს უწერია:

„აღვაწერინე ტვიბიკონი ესე სრულად შემოკლებული რუსულისაგან ქართულად ნათარგმნი საფასითა სრულითა ბოდბელ მიტროპოლიტმან იოანე და შევწირე სასოებასა ჩუენსა და განმანათლებელსა უდაბნოსა დავით გარესჯისასა მოსაკსენებელად და აღსაკოცველად ცოდვათა. გადაწერილია მღდელ დეკანოზის სიონის ტაძრისა ნიკოლოზის მიერ დასასრულ იქმნა ივლისის 3 ქრისტეს აქათ ჩღნწ“. ამჟამად A-1399, ტიბიკონი (რუსულიდან თარგმნილი), 1758 წ. ჩამოტანილია დავით

გარეჯის მონასტრიდან აკ. შანიძის მიერ, მითითებული ანდერძი განთავსებულია 431r-ზე;

40. №144 ძლისპირნი, ხუცური მაკარისაგან შეწირული ერთ ადგილას სწერია:

„განსრულდა სძლისპირი ესე ადვისტოსა (sic) ა ქკს აქეთ ჩღჟვ ცოდვილი მღვდელ-მონაზონი მაკარიოს მხილველთაგან შენდობას ვითხოვ“.

41. №10 სახარება ხუცური, ლუკას თავის ბოლოს სწერია:

„ღმერთო შემეწიე ყაყა ყოფილი იოანე ავლაბრელი ამის მწერალი ამინ“. XVIII ს. ამჟამად A-1393, სახარება-ოთხთავი ,XVII-XVIII სს ჩამოტანილია დავით გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრიდან, მითითებული ანდერძი განთავსებულია 194v-ზე;

42. №263 განგება წირვისა, ხუცური რვეულად მე-XVIII საუკუნისა.

43. №80 კურთხევანი ხუცური თავი აკლია XVIII ს. ამჟამად, სავარაუდოდ, H-1353, კურთხევანი XVII ს ჩამოტანილია დავით გარეჯის მონასტრიდან ექ. თაყაიშვილის მიერ. სწორედ ეს გარეჯული კურთხევანია თავნაკლული;

44. №53 საგალობელი, ხუცური, ლურჯ ქაღალდზე, ბოლოს უწერია:

„ვინათგან არა იყო მონასტერსა ამას ესე სამ საგალობელი წმიდის დავით გარეჯის მონასტერსა, მე ცოდვილმან და ფრიად უღირსმან მღვდელ მონაზონმან მაკარიოს შემოვსწირე კნინი ესე შესაწირავი შენდობას ბრძანდებოდეთ ჩემ ცოდვილთათვის თქუენის ღუთის გულისათჳს უფალნო ჩემნო ქკს 1791: ჩღჟა: აპრილის იწ: წინამძღვრობასა იოაკიმისსა გადაწერილია ბერი იოანეს მიერ“. ამჟამად A-1363, საგალობლები, 1791 წ. მითითებული ანდერძი განთავსებულია 29v-ზე.

45. №82/85 ჟამის წირვა იოანე ოქროპირისა, ხუცური XVIII ს. მერმინდელი მინაწერები:

„ონოფრე ბოდბელი მიტროპოლიტი გევედრები ყოველთა მწირველთა ვინცა კონდაკი ესე წირვათა შინა იკმართო წმიდათა ლოცვათა შინა თქვენთა კსენებულ მყავნ ქკს უკვ თვესა ფებერვალს კბ.“ ამჟამად A-1397, კონდაკი, XVIII ს. ჩამოტანილია

დავით გარეჯის მონასტრიდან აკ. შანიძის მიერ. მითითებული მინაწერი განთავსებულია 1 ყდის შიგნით.

გაზეთი „ივერია“ 1886 წ. №207.

„ეტრატზედ ნაწერი წიგნები: 1) წიგნი ღვთის მშობლის და ყოველთა წმინდათა საყოველღეო საკითხავი არის ნაწერი ხუცურად და აკლია თავი და ბოლო. 2) წლის მეტაფრასი ხუცურად დაშლილი.

ქალაღზედ ნაწერი: 1) გრდემლი. 2) წლის მეტაფრასი. 3) წიგნი გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. 4) წიგნი მატეს სახარების თარგმანისა იოანე ოქროპირის მიერ. 5) მარკოზის სახარების თარგმანი. 6) წიგნი სასუფევლად წოდებული. 7) იოანეს სახარების თარგმანი, ორი წიგნია. 8) ლუკას სახარების თარგმანი. 9) მატეს სახარების თარგმანი. 10) ქართლის ცხოვრება. 11) წიგნი ნათლის ღებისათვის ვასილისა. ეს წიგნი თარგმნილი არს ბერძულით ქართულად ღირსის მამის ჩვენისა ევთიმეს მიერ და აღწერილია რომელისამე მონაზონის იოსებისაგან. 12) თარგმანი ლუკას სახარებისა იოანე ოქროპირისაგან. 13) სწავლანი დიონისე არეოპაგელისა, თარგმნილი ევთიმესაგან. 14) წიგნი განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა. 15) წიგნი გრიგოლ ნოსელისა. 16) ასკეტიკა. 17) წიგნი გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. 18) ღვთის მეტყველება ანტონ კათალიკოსისა, აღწერილი 1780 წ. ფებერვლის 6-სა. 19) ღვთის-მეტყველისა იოანე დამასკელისა, აღწერილისა 1717 წ. ივნისის 20-ს. 20) წიგნი კოსმან და დამიანესი. 21) წმიდათ ცხოვრება. 22) ლავსაიკონი. 23) წმიდათ ცხოვრება და მამათა კანონი. 24) წიგნი გრიგოლ რომთა პაპისა, თარგმნილია ბერძულით ღირსის ევთიმესაგან, აღწერილია წინამძღვრის იოსებისაგან ნოემბრის 23, ქორონიკ. 403. 25) წიგნი მეექვსე კრებაზედ. 26) წიგნი შვიდთა მსოფლიო ბერებთა. 27) წიგნი მარწყხად წოდებული. 28) წიგნი მაქსიმე აღმსაარებელისა. 29) წიგნი წმიდათა მოღვაწეთა. 30) წიგნი ნებროთისი. ეს არს ისტორიული მოთხრობათა ქვეყნის შექმნიდან თეოდორე დიდამდე, თხზულება მღუდელ-მონაზონის გრიგორისა. 31) მარხვის მეტაფრასი. 32) წიგნი კლემაქსად წოდებული. აღწერილია ამ მონასტერში ხუცეს-მონაზონის ბესარიონ ორბელიშვილისაგან, 1697 წელს-ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია A-105, არის კრებულის ნაწილი, თარიღდება 1697 წ-ით. გადაწერის

ადგილად მითითებულია დავით გარეჯის მონასტერი. 33) წიგნი მოთხრობად წოდებული. ამაში არის ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარესჯელისა. 34) მეტაფრასი მიცვალებისა, აღწერილი მღუდელის მახრობელ ბაკურამისაგან. 35) წიგნი ქალწულ-მოწამეთა. 36) წიგნი კათოლიკე ეკკლესიისათვის. 37) კატილორია ანტონის მიერ არხიეპ. დავითიანისა. 38) კონდაკი დაწერილია გაბრიელ საგინაშვილისაგან-გაბრიელ საგინაშვილის მიერ გადაწერილი კონდაკი ამჟამად დაცულია A-624, არის კრებულის ნაწილი, თარიღდება 1707 წ-ით. გადაწერის ადგილად მითითებულია დავით გარეჯის უდაბნოს ბერთუბნის მონასტერი. 39) ლავსაიკონი. აკლია თავი და ბოლო. 40) წიგნი კითხვა-მიგებისა. ამაში არის ცხოვრება და მოქალაქობა მაქსიმე აღმსაარებელისა და კითხვა-მიგება მისივე და პიროს პატრიარქისა მწვალებელისა. 41) წიგნი, რომელსა ეწოდების: სიყვარული არს გულ-მოდგინება სულისა კეთილისა“.

#### დანართი 4.

#### „გრდემლის“ შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა

##### 1. A-119

##### ბესარიონ ორბელიშვილი, გრდემლი. XVIII ს.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი რესტავრირებულია XX ს-ის დასაწყისში ლურჯი ფერის ქაღალდით. რესტავრირებული ფურცლებია: 188-190; ამოვარდნილია ფ. 6, 47-62, 1-5, 7-22 (ერთი, შუა ძაფითაა დამაგრებული). ხელნაწერი დალაქავებულია, სავარაუდოდ, ნესტისაგან. **ყდა** – ყავისფერი ტყავადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ყდა ხელნაწერის ავთენტურია; ყდის ყუა დაზიანებულია, ზედა და ქვედა ნაწილში შეხეულია, ყდას უნდა ჰქონოდა ორი სამაგრი, ყდაზე შემორჩენილია ორი ნახვრეტი; ხელნაწერი აკინძულია სამი თასმით; **ფურცელთა რაოდენობა** – 191; **ფურცლის ზომა** – 21,5×14,5; **მასალა** – სქელი, უჭკირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქაღალდი; **დამწერლობის ტიპი** – ნუსხური; **მელანი** – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; **ხელწერათა რაოდენობა** – ერთი; **ხელნაწერის გადამწერი** – ტიმოთე გაბაშვილი (1r); **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** – სავარაუდოდ, მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში; **ხელნაწერის გადაწერის თარიღი** – არ არის მითითებული. პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნე; **სვეტების რაოდენობა გვერდზე** – ნაწერია ერთ სვეტად; **სვეტის ზომა** – 9,5×13; **სვეტების დაშორება გვერდებიდან** – ზემოთ – 2,5 სმ, ქვემოთ – 3, ყუისკენ- 2 სმ, კიდისკენ – 3,5 სმ; **სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე** – 21 (1 r-v), 22 (2r-160v), 23 (161r-191v); **პაგინაცია** – სამი ტიპის: ა) ხელნაწერის თანადროული ტექსტის ხელით შესრულებული რვეულებრივი პაგინაცია, გვერდის შუაში, ტექსტის მელნით; ბ) ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებულია მკრთალად, შავი მელნით, არაბული ციფრებით, ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში – ფფ. 1-24, 25r-დან 191v-მდე იმავე ხელით გრძელდება გვერდობრივი პაგინაცია; გ) ახალი ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებული არაბული ციფრებით უბრალო ფანქრით, არის ერთი უზუსტობა 1r-ს შემდეგ აღმწერს უნდა გამორჩენოდა ერთი ფურცელი, ამიტომ პაგინაცია გრძელდება

მესამე გვერდიდან და მითითებულია ციფრი 2; ხელნაწერის მფლობელი – ხელნაწერის ანდერძის (1r) მიხედვით ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს, ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „... და იხილვეთ და მოაქციეთ უფლისაი. და დაემორჩილეთ სჯულსა მისსა ამინ“ (1r-188v).

### შენიშვნები:

#### 1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1. თავი. სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუწნ მართლმადიდებელთჳ მიერ, თუ რაჳ არს მათი ჩუწნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდაჳსა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი (1r-15r); 2 თავი. სარწმუნოებისათჳს ერთარსისა სამებისა (15r-18r); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისა ცემლისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისა (18r-22r); 4 თავი. სიყვარულისათვის, თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (22r-24v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათჳს რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (24v-29v); 6 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჳ და მე ვარ ჭემმარიტებაჳ“ (29v); 7 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღვთისა და კრავისა (30r-35r); 8 თავი. სიტყუჳ მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიად იტყვან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრო, ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის

მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხვსა წინა აღდგომისა საქმისა (35r-50v); 9 თავი. სიტყვსა მისთვის უფლისაჲ, რომელი თქუა „პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“ (ლუკა თავი 22, რიცხვი 31-32) (50v-54r); 10 თავი. სიტყვაჲ სამგზის კითხვისათვის უფლისაჲ მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო (54r-56v); 11. თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ ცხოველმყოფელისაჲ!“ (56v-63v); 12 თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (63v-70r); 13 თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს: „მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰსნა ქუეყანასა ზედა კსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (70r-73v); 14 თავი. განსაწმედელისაჲს თქმული, რომლისა იტყვან მოსავნი პაპისანი (73v-84v); 15 თავი. სიტყვსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იწრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუჭლითაჲ. (84v-87r); 16 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათვს იტყვან“ (87r-88v); 17 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელი წერილ არს წმიდა სახარებაჲსა შინა, ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე მიერ ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი“ და კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწვალელები“ (89r-92v); 18 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისანი, ვითარმედ: „გან-რაჲ-ვიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიწევიან აღგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი

სასუფეველად დაეწესებინა, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა, პირველ კორცთ შემოსისა და არღარა იწმენების მათი გამოყვანებაჲო“ (92v-98r); 19 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ: „ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შესრულ არსო“ (98r-106v); 20 თავი. ნათლის ღებისათვის, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაჲსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვიღებთ კორციელითა მადლითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელ სცემენ (106v-112v); 21 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (112v-114v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლის-ცემისათვის (114v-116r); 23 თავი. ზეცისათვის სიტყუო, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თუსაგან და სხუდთაცა ასწავებენ (116r-130v); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის (130v-136r); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჭზრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათჲ მათ წმიდათასა (136r-138r); 26 თავი. სიტყუო მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახელთა შინა საეროთა (138r-140v); 27 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თუთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიიახლებიან. (140v-142r); 28 თავი. სიტყუო უცომოსათვის, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთაჲ (142v-147v); 29 თავი. სიტყუო წმიდაჲ ზიარებისათვის, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღუნოსა მისცემენ და არა



სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა კორცსა (147v-152r); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაღსა მიზეზისათჳს ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (152r-156r); 31 თავი. სიტყუა მისთჳს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოღსა საიდუმლოსა ზედა (156r-159v); 32 თავი. მარხვისათჳს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჳ ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვიწესეს (160v-165r); 33 თავი. სიტყუა ოთხშაბათისათვის, თუ რაღსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რასათვის იმარხვენ (165r-167v); 34 თავი. მარხვისათვე, თუ რაღსათჳს მოგუცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუენი იგი ყოველნი მარხვანი (167v-172v); 35 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლთასა და დამშთვარსა იკუმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაშენებლ არს (172v-181r); 36 თავი. დედათა წიღოვანთათჳს, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვნეს, საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ (181r-182v); 37 თავი. პირუტყვთა შეყვანისათვის ეკლესიათა, თუ ვითარ რაღსათვის შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთა (182v-184v); 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა სიტყუსა უგებს პაპის მოსავთა (184v-188v).

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების, რომელსა შინა თითუწლად განგიმარტებს მიზეზსა და რომელსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათჳს არს“ (189r-190v).

3. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია წიგნები, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

#### ანდერძ-მინაწერები:

1. მინაწერი ნუსხურით: „გურდემლი თქმული მისივე კათათალიკოზის მიერ“ (ზ. ყ. v);

2. მინაწერი მხედრულით: „წიგნი გრდემლისა“ (ზ. ყ. v);
3. მინაწერი მხედრულით: „მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს“ (1r); „არა რა“. ნუსხურად (67r);
4. მინაწერი ტექსტის ხელით ნუსხურით: „ესე კლიმი ჰრომაელი, მე ვჰგონებ, კლემენტოს არს, პაპა ჰრომისა, შემდგომი წმიდაჲ პეტრესი“ (159r-ს კიდევზე);
5. მინაწერი გვიანდელი მხედრულით: „ქ. ეს წიგნი რუსთლისა არის, შეერგების...“ (181r).
6. მინაწერი მხედრულით: „წიგნი გრდემლისა“ (187v);
7. ჩართული დამწერლობით წერია: „უფალო მოიხსენე მამა ბესარიონ, მთქუმელი გრდემლისა ამის მწვალებელთა მიმართ. მშრომელი ტიმოთე“ (191r);
8. მინაწერი ნუსხურით: „კათალიკოზი ბესარიონ“ (191v).

ხელნაწერის გადამწერი ტიმოთე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტიმოთე გაბაშვილია, რომელიც ბესარიონ ორბელიშვილის მოწაფე იყო, „გრდემლი“ მას გადაუწერია გარეჯში, ნათლისმცემლის მონასტერში, სადაც ბერად იყო შემდგარი და ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას. მან დაწერა „მარწუხი“, სადაც დეტალურადაა მიმოხილული შვიდი საეკლესიო კრება. მასვე ეკუთვნის პოლემიკური შინაარსის თხზულება მწვალებელთა წინააღმდეგ „გარდამოცემლი ერთობისათჳს წმიდათა ეკლესიათა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროსა, განმწმედელისა გულისხმისყოფასა წმიდათა წერილთაგან“. აქ საუბარია წარმართთა, აგარიანთა, მაჰმადიანთა წინააღმდეგ, მაგრამ არაფერია ნათქვამი კათოლიციზმის საფრთხეზე.

## ორბელიშვილი ბესარიონ, გრდემლი. XVIII ს.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია. დაზიანებული ფურცლები შევსებულია ცარცის ფურცლით, გვერდები რესტავრირებულია მიკალენტით. ხელნაწერში მიმდინარეობს ჟანგვის პროცესი. ამჟამად რესტავრაციისას განეიტრალებულია; ყდა – შავი ფერის ტყავგადაკრული, ახლად აღდგენილი ტვიფრული ხის ყდა; ყდა ხელნაწერის ავთენტურია; ფურცელთა რაოდენობა – 187; ფურცლის ზომა – 20,5×16; მასალა – უქვირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქაღალდი; დამწერლობის ტიპი – ნუსხური; მელანი – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; დაუწერელი ფურცლები – 147 r-v; ხელწერათა რაოდენობა – ერთი; ხელნაწერის გადამწერი – დავით (13v, 124v); ხელნაწერის გადაწერის ადგილი – არ არის მითითებული; ხელნაწერის გადაწერის თარიღი – არ არის მითითებული. პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნე; სვეტების რაოდენობა გვერდზე – ნაწერია ერთ სვეტად; სვეტის ზომა - 13,5×10 (1r-ზე 9×7); სვეტების დაშორება გვერდებიდან – ზემოთ – 2 სმ (1r-5სმ), ქვემოთ – 5, ყუისკენ-2 სმ, კიდისკენ – 4,5 სმ; სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე – 25; პაგინაცია – სამი ტიპის: ა) ხელნაწერის თანადროული რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით; ბ) გვერდობლივი – შესრულებულია მოგვიანებით არაბული ციფრებით, შავი მელნით ხელნაწერის ზედა კუთხეში; გ) ფურცლობრივი – შესრულებულია უბრალო ფანქრით მოგვიანებით, აღწერილობის გაკეთების დროს ხელნაწერის ქვემოთ, შუაში; ხელნაწერის მფლობელი – ხელნაწერი ამჟამად ინახება კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „... და შეშინდით და მოაქციეთ უფლისაჲ და დაემორჩილენით სჯულსა მისსა ამინ“ (1r-182v).

### შენიშვნები:

1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1. თავი. სიტყვის-გებად ლათინთა მიმართ ჩუწნ მართლმადიდებელთაჲ მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუწნგან განყოფილებაჲ, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, მონასტერსა წმიდისა ნათლისმცემლისასა. ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი (1r-13v); 2 თავი. სარწმუნოებისათჳს ერთარსისა სამებისა (13v-16r); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისა ცემულისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათჳს (16r-19v); 4 თავი. სიყვარულისათჳს, თუ ვითარ მოსავნი პაპისნი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (19v-21r); 5 თავი. ქრისტეს მიერ შებერვისათჳს, რაჟამს იგი შებერა მოციქულთა (21v-26r); 6 თავი. სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭემმარიტება“ (26r-v); 7 თავი. სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ: „მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისაჲ და კრავისა“ (26v-31r); 8 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი პაპას ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხვაჲთა პატრიაქთა ზედა და ქვეყანასა ზედა, მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათად იტყჳან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა (31v -44v); 9 თავი. სიტყუსა მისთჳს უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს: „სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ემმაკმან გამოგითხოვნა თქუწნ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“ (ლუკა თავი 22, რიცხვი 31-32) (44v-47r); 10 თავი. სიტყვაჲ სამგზის კითხვისათჳს უფლის მიერ პეტრეს: „და მერმე დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (47v-49r); 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქუწნ ვინ გგონეს მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე უფლისაჲ ცხოველისა!“ (49r-54v); 12 თავი. სიტყუსა მისთჳს, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (54v-59v);

13 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეკრა ქუწყანასა ზედა“ (59v-63r); 14 თავი. განსაწმედელისათვის თქმული, რომელისა იტყვან მოსავნი პაპისანი (63v-74r); 15. თავი. სიტყუსა მისთვის ესაია წინასწარმეტყულისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იზრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუჭლითა (74r-76r); 16 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადისა“, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვან (76v-78r); 17. თავი. სიტყუსა მისთვის, რომელი წერილ-არს წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: „ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი-იგი და კვალად, ვითარმედ ვერ გამოხვდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი“ (78r-81v); 18 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისნი, ვითარმედ: „გან-რაჲ-ვიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიწევიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებინ, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა, პირველ კორცთ შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანებაჲ“ (82r-87r); 19 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ: „ქრისტე საუკუნოსა ჯოჯოხეთსა არა შესრულ არსო“ (87r-95r); 20 თავი. ნათლიღებისათვის, თუ ვითარ ჩუჴნ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა, სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვიღებთ პირველითა მღდელთა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელს ცემენ (95v-

101r); 21 თავი. სიტყვსაჲ მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (101r-102v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათჳს (102v-104r); 23 თავი. ლოცვისათჳს სიტყვსაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცაღა თჳსაგან და სხვათაგა ამას ასწავებენ (104v-119r); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათჳს (119r-124v); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჳს, თუ რაჲსათჳს ჩუჴნ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჴბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუჴთაჲ მათ წმიდათასა (124v-126v); 26 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა საეროთა (126v-129r); 27 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიღოვანებისასა აზიარებენ და თუთ მღდელნიცა და ერნი, რომლითაცა ცოდვითა შეიგინენ, მას დღესა სიწმიდეთა მიეახლებიან (129r-130v); 28 თავი. სიტყვაჲ უცომოსათჳს, თუ ვითარ ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვართა შევსწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (130v-135r); 29 თავი. სიტყვაჲ წმიდისა ზიარებისათჳს, ვითარ იგინი ერის კაცსა ლიტონსა ღუნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჳორცსა (135r-138v); 30 თავი. სიტყვსაჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (139r-143v); 31 თავი. სიტყვსა მისთჳს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოსა ზედა (143v-149v); 32 თავი. მარხვსათჳს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჴ ჩუჴნი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდნანი და ჩუჴნცა ესრეთ გაგვიწესეს. (150r-155r); 33 თავი. სიტყვაჲ ოთხშაბათისათჳს, თუ რაჲსათჳს არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსაჳს იმარხვენ (155r-158r); 34 თავი. მარხვისათჳს, თუ რაჲსათჳს

მოგუწცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხვანი იგი ყოველნი მარხვანი (158r-163v); 35 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი ყოველსა არაწმინდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იკმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებლ არს (163v-173r); 36 თავი. დედათა წიდოვანთათჳს, თუ ვითარ ჟამსა მას, ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვნეს, საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ (173r-174v); 37 თავი. პირუტყთა შეყვანისათჳს ეკლესიათა, თუ ვითარ და რაჲსათჳს შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არაწმიდანთა პირუტყვთა (174v-177v); 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა სიტყვასა უგებს პაპის მოსავთა (177v-182v).

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა შინა თითუწლად განგიმარტებს მიზეზსა და რომელსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათჳს არს“ (183r-184 v);

3. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია წიგნები, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

#### **ანდერძ-მინაწერები:**

1. „1812 წ. ნეკრესელი დავით, გარეჯის წინამძღვარი ილარიონ, რუსების ერთგული. AKM. Vm. 35 გვ. №1103“ (თავფურცელის v. მინაწერი შეხრულებულია ფანქრით მხედრულით);

2. „მრ“ (თავფურცელის v. მინაწერი შეხრულებულია ფანქრით ნუსხურით);

3. სიტყვსგება ლათინთა მიმართ, ჩუწნ მართლმადიდებელთაჲ მიერ, თუ რაჲ არს ჩუწნგან მათი განყოფილებაჲ, თქმული უნდოსა და გლახაკისა

(თავფურცელის v. მინაწერი შეხრულებულია ფანქრით ნუსხურით);

4. „ობოლთა“ (თავფურცელის v. მინაწერი შეხრულებულია ფანქრით მხედრულით);

5. „№40“. (1r);

6. „ქრისტე შეიწყალე დავით“ (მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით სინგურით ნუსხურით 13v);

7. „ქრისტე მრავალჟამიერ ჰყავ მამაჲ ჩუჴნი იოანე“ (მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით ნუსხურით საზედაო ასო 135r);

8. „ეს კლიმი ჰრომაელი, მე ვჰგონებ, კლემენტოს არს, პაპა რომისა, შემდგომი წმიდის პეტრე მოციქულისა“ (მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით სინგურით ნუსხურით 146v);

9. „ვითარცა ჩუჴნ მდაბალნი ესე გლახაკნი ეგრეთვე ჩუჴნ დავრდომილნი ესე. – კიდეზე ეწერა და არ უგულებელს-ვყავ“ (მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით ნუსხურით 181r);

10. „აღმოვიკითხე ესე წიგნი 3-გზის, და ვცან სიმტკიცე მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა და სიცრუვე ლათინთა პაპებისა და კარდინელებისა მათისა, რომელთა კლიტენი სასუფევლისანი მიხმულნი წარუწყმედიათ შამავალთათვის, დაუხშავთ და თვითმცა გარე დაშთომილან, და სიბრძნე მათი განცოფებულ არს, და ცხოვრებად მიმყვანებელი გზაჲ წარუწყმედიათ, და ვლენან აჟა და იქი ფერხ წარმკვეთელნი კაპდათა და თავშამხეთქელნი კლდეთა, წინამავალნი მართლისა სარწმუნოებისა, მეძიებელნი სიბრძნესა სოფლისასა, ბნელნი ნათლისა მქემებელნი, მწარენი ტკბილად მზომობარენი, კრავნი კუროთა შთამთქმელნი, გველნი კაცთა წარმწყმედნი ლათინნი. ფრიად ცოდვილი მორჩილი



სფირიდონ გმელიევი“. მინაწერის ბოლოს რვაკუთხა ბეჭედი, ბეჭდის შუაში ასომთავრულით ქარაგმით „დავით“, ირგვლივ „დავით გარეჯის არქიმანდრიტი“ (184v. მინაწერი შესრულებულია მხედრულით);

11. „დავით“ (185v მხედრულით);

12. ქართული ანბანი და მინაწერი „უფალო შემეწიე ამის დამწერს“ (186r. მხედრულით);

13. „ესე გრდემლი წავიკითხე მე, ივანე გარსიევმა. ფრიად კეთილი სასარგებლოა. გადმოყვანილ ვიქმენ სოფლიდამ უდაბნოს ჩყწზ, ივნისის იზ, წავიკითხე ჩყოზ, თვესა მაისსა...“ (186v. მხედრულით);

14. „ღმერთო, აცხოვნე ამისი მომგონი, ამინ“ (187r. მხედრულით. იგულისხმება ავტორი, შემდგენელი);

15. „ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის მწერალი ორსავ ცხოვრებასა შინა - აქაცა და მერმესა მას საუკუნესა, ამინ“ (187r. ნუსხურით);

16. იხ. 269. იოანე (187r. მხედრულით)

17. „დიდებაჲ ღმრთისაჲ, სრულ იქმნა რვეული კდ“ (187v ნუსხურით).

ხელნაწერში მითითებული დავითის ვინაობა, რომელიც „გრდემლის“ გადამწერად მიიჩნევა, უცნობია, უცნობია ხელნაწერის გადაწერის თარიღიც. გარეჯში მოღვაწეობდა დავით ვაჩნაძე 1729 წლიდან დაახლოებით, 1790 წლამდე, ასევე გარეჯელი მოღვაწე იყო დავით ჯანდიერი, ორივე დავითი იყო მწიგნობარი, შემორჩენილია მათი გადაწერილი ხელნაწერები: დავით ვაჩნაძე - კრებულის A-415-ერთ-ერთი გადამწერია, ხოლო დავით ჯანდიერს გადაუწერია „დასდებელნი და სძლისპირნი აღდგომისანი“ (S-179), ხელნაწერი გადაწერილია 1814 წელს. თუმცა 184v-ზე ბეჭედითა და მასზე გარსშემოწერილით „დავით გარეჯის არქიმანდრიტი“. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერის გადამწერი დავით ვაჩნაძეა, რომელიც 1751 წლიდან, დაახლოებით, 11 წელი იყო გარეჯის მონასტრის წინამძღვარი.

### 3. A-298

ორბელიშვილი ბესარიონ, გრდემლი. 1773 წ.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია. ხელნაწერი აკინძულია სამი თასმით; ყდა – ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ყდა ხელნაწერის ავთენტურია; ფურცელთა რაოდენობა – 02+172ფ; ფურცლის ზომა – 22×16; მასალა – უჭვირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქალაღი; დამწერლობის ტიპი – ნუსხური; მელანი – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით. მხატვრულად შესრულებულია სათაურები და საზედაო ასოები მე-16 თავის ჩათვლით (71r); დაუწერელი ფურცლები – 01, 168, 171-172; ხელწერათა რაოდენობა – ერთი; ხელნაწერის გადამწერი – ანჩისხატი დეკანოზი გგიორგი ალექსი-მესხიშვილი (170v); ხელნაწერის გადაწერის ადგილი – არ არის მითითებული, სავარაუდოდ, ანჩისხატის მონასტერი; ხელნაწერის გადაწერის თარიღი – 1773 წ; სვეტების რაოდენობა გვერდზე – ნაწერია ერთ სვეტად; სვეტის ზომა – 10,5×14; სვეტების დაშორება გვერდებიდან – ზემოთ – 3 სმ, ქვემოთ – 5, ყუისკენ – 1,5 სმ, კიდისკენ – 4 სმ; სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე – 25; პაგინაცია – ორი ტიპის: ა) ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებულია უბრალო ფანქრით, არაბული ციფრებით ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში; ბ) ხელნაწერის თანადროული რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში; ხელნაწერის მფლობელი – ხელნაწერის მინაწერის (1r) მიხედვით ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა გადამწერის ძმისწულს ტარასი არქიმანდრიტს, ამჟამად ინახება კ. კველიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

„სიტყვის გებაჲ ლათინთა მიმართ ჩუჴნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩვენგან განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონოზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, მონასტერსა წმინდისა იოანე ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გ უ რ დ ე მ ლ ი“.

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „...და იხილეთ, შეძრწუნდით და შეშინდით და მოაქციეთ უფლისაჲ. და დაემორჩილენით სჯულსა მისსა“ (1r-172r).

### შენიშვნები:

#### 1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1. თავი. სიტყვის გებაჲ ლათინთა მიმართ ჩუჴნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩვენგან განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონოზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჴით მრავალმთისათ, მონასტერსა წმინდისა იოანე ნათლისმცემელისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გ უ რ დ ე მ ლ ი (1r-13v); 2 თავი. სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისა (13v-16r); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისსაცემელისა ცხოველსმყოფელისა წმიდასათვის (16r-19r); 4 თავი. სიყუარულისათვის, თუ ვითარ მოსაგნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უხმობენ (19r-20v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შებერვისათვის, რაჴამს იგი შებერა მოციქულთა (20v-24v); 6 თავი. სიტყვისა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ (24v-25r); 7 თავი. სიტყვისა მისთვის, ვითარმედ ერთი გამოვალს საყდრისაგან ღვთისა და კრავისა (25r-28v); 8 თავი. სიტყვა მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიაქთა ზედა და ქვეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკკლესიად იტყვიან პეტრე მოციქულისათა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრე, ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხვისა წინა აღდგომისა საქმისა (29r-40r); 9 თავი. სიტყვისა მისთვის უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს: „სიმონ. სიმონ აჰა,

ესე-რა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“ (40r-43r); 10 თავი. სიტყუა სამგზის კითხვისათვის იესოსა მიერ პეტრესა: და მერმე დამწყეს ცხოვარნი ჩემნი (43r-45r); 11. თავი. სიტყუა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: თქვენ ვინ გგონიე მე ყოფადო, ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ძე ღმრთისაჲ ცხოველისა!“ (45r-50r); 12 თავი. სიტყვისა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი“ (50v-55r); 13 თავი. სიტყვისა მისთვის, რაჟამს ჰრქვა პეტრეს მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეჰკარ ქვეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა (55r-58v); 14 თავი. განსაწმედელისთვის თქმული, რომელსა იტყვიან მოსაგნი პაპისანი (58v-68v); 15. თავი. სიტყვისა მისთვის ესაია წინასწარმეტყველისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იზრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველთა (69r-71r); 16 თავი. სიტყვისა მისთვის, რომელსა იტყვს მოციქული: „ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვიან (71v-73r); 17. თავი. სიტყუისა მისთვის, რომელი წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ, ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი და კუალად ვითარმედ ვერ გამოხვდე ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი (73r-76r); 18 თავი. სიტყუისა მისთვის, რომელსა იტყვან მოსაგნი პაპისანი, ვითარმედ: გან-რავიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიიწვიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებიან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთს შინა პირველ კორცთა შემოსისა და არღარა იქმნების

მათი გამოყვანებაო (76v-81v); 19 თავი. სიტყვისა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნოდასა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო (81v-88v); 20 თავი. ნათლისღებისათვის, თუ ვითარ ჩუჴნ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელ ვიღებთ კელითა მღუდელითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინააღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღუდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერისკაცთა და დედათა მიერ ნათელსცემენ (89r-94r); 21 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (94v-96r); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (96r-97v); 23 თავი. ლოცვისათვის სიტყუა, თუ რადასა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ არცაღა საეკლესიოდ, არცა თვისგან და სხუათაცა ამას ასწავებენ (97v-110r); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის (110r-115r); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რადასათვის ჩუჴნ ესრეთ განწესებისაებრ წმიდასა აღვასრულებთ და იგინი სხუჴბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა (115v-117r); 26 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირვენ სახლთა შინა საეროთა (117r-119v); 27 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თვთ მღუდელნიცა და ერნი, რომლითაცა ცოდვითა შეიგინნენ მას დღესა, სიწმიდეთა მიიახლებიან (119v-121r); 28 თავი. სიტყუა უცომოსათვის, თუ ვითარ მართლმადიდებელთა ეკლესია, განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოდათა (121r-125v); 29 თავი. სიტყუა წმიდისა ზიარებისათვის, ვითარ იგინი ერისკაცთა ლიტონსა ღუნოსა მისცემენ და არა სისხლსა

საუფლოსა; ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჯორცსა სამეუფოსა (125v-129v); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათჳს ჩჩვლთა ყრმათა და უსაკოთა არა აზიარებენ (130r-133v); 31 თავი. სიტყუისა მისთჳს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან სამღთოსა საიდუმლოსა ზედა (134r-138v); 32 თავი. მარხვისათჳს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფჳ ჩუჴნი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუჴნცა ესე განგჳწესეს (138v-143r); 33 თავი. სიტყუა ოთხშაბათისათვის, თუ რაჲსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსათჳს იმარხვენ (143r-145v); 34 თავი. მარხისათვისვე, თუ რაჲსათჳს მოგუჴცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვანი (145v-150r); 35 თავი სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ყოველსა არაწმიდასა დასჯილსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იკუმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებულ არს (156v-159v); 36 თავი. დედათა წიდოვანთათჳს, თუ ვითარ ჟამსა მას, ოდეს იგი გონებითა წესსა შინა იყვნენ, საკურთხეველად, აღიყუანებენ და აზიარებენ (159v-161r); 37 თავი. პირუტყუთა შეყვანებისათჳს ეკლესიათა შინა, თუ ვითარ და რაჲსათჳს შეიყვანებენ სახლთა შინა ღუთისათა არა წმიდათა პირუტყუთა (161r-163v); 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა კუალად სიტყუას უგებს პაპის მოსავთა (163v-168r).

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლი ეწოდების, რომელსა შინა თითოეულად განგიმარტებს მიზეზსა და ძალსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათჳს არს“ (169r-170 v);

3. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია წიგნები, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

4. ივ (16) თავამდე სათაურები დაწერილია ჩართული (ხვეული) დაწერილობით. ისინი ამოუკითხავთ გიორგი კანდელას

(თავი 8, 9, 13), ნიკონ [ჯობინაშვილის] (თავ 3-7, 10-12, 14-16) და ტარასის [არქიმანდრიტი. ალექსი-მესხიშვილის] (თავი 1, 2).

#### ანდერძ-მინაწერები:

1. საცავ ფურცელზე ჩართული მხედრულით, ფანქრით წერია: „ტარასი“;
2. „№8“ „გრდემლი“ ესე ეკუთვნის ტარასი ალექსიშვილს, მღუდელ-მონაზონს“ (1r);
3. „გადმოვთარგმნე მხედრულად. მორჩილი ქვაბთახევის მონასტრისა გიორგი იაკობის ძე კანდელაკი“ (29r);
4. გადამწერის ხელით ტექსტის ბოლოს მიწერილია ანდერძი: „აღწერე წიგნი ესე ყოვლად უღირსმან ანჩისხატის დეკანოზმან გიორგიმ პალატსა საპატრიარქოსა ტფილისს შემდგომად სიკუდილისა ძისა ჩემისა ეფთუმისა. ჟამსა მას მწუხარებისას ვწერდი შეჭირვებული. სრულ იქმნა სეკდემბერს კჳ, წელსა ჩლოგ, ქორონიკონს უა“ (170v);
5. ტარასის ბეჭედი ლეგენდით „ტარასი“ დასმულია პირველსა და უკანასკნელ გვერდზე (01r და 179v).

#### 4. S-1596

##### კრებული. XVIII ს.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია. 1963 წლის მდგომარეობით (S ფონდის ტ. III აღწერილობის მიხედვით, სადაც შესულია აღნიშნული კრებული) ხელნაწერი იყო დაშლილი. ხელნაწერი რესტავრირებულია თეთრი ფერის მიკალენტით, ფურცლები კონსერვირებულია კონდენსატორის ქალაღლით, დაზიანებული კიდეები შევსებული რამდენიმე ფენა მიკალენტით. ხელნაწერი დალაქავებულია, სავარაუდოდ, ნესტისაგან. ყდა – ტყავადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ყდა ხელნაწერის

ავთენტურია; ხელნაწერი აკინძულია სამი თასმით; ფურცელთა რაოდენობა – 270; ფურცლის ზომა – 21,5×16,5; მასალა – თხელი, უჭვირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქაღალდი; დამწერლობის ტიპი – მხედრული; მელანი – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით და მუქი შავი მელნით; ხელწერათა რაოდენობა – ორი; ხელნაწერის გადამწერი – გადამწერი უცნობია; ხელნაწერის გადაწერის ადგილი – არ არის მითითებული; ხელნაწერის გადაწერის თარიღი – არ არის მითითებული. პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნე; სვეტების რაოდენობა გვერდზე – ნაწერია ერთ სვეტად; სვეტის ზომა – სვეტის ზომა სხვადასხვაგვარია: გვ. 1-14×10,5; გვ. 2-55- 16×10,5; გვ. 56-60 – 14,5×10,5; გვ. 61-62 – 15,2×10,5; გვ. 63-152 - 15,2×10,5; გვ. 153-180 - 16×11; გვ. 181-270 – 16,5×11,5; სვეტების დაშორება გვერდებიდან – დაშორება გვერდებიდან სხვადასხვაგვარია მერყეობს სვეტების ზომის მიხედვით ზემოთ – 2,5; 3; 1,8 სმ, ქვემოთ – 2; 3; 4; ყუისკენ- 1,5; 2 სმ, კიდისკენ – 3; 4 სმ; სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე – სტრიქონთა რაოდენობა სხვადასხვაგვარია: 21 (მხოლოდ 1-ლ გვერდზე), 22 (გვ. 56-60), 23 (გვ. 60, 61, 180), 24 (გვ. 60-152), 25 (გვ. 2-55, 153-180), 26 (გვ. 181-270); პაგინაცია – ორი ტიპის: ა) გვერდობრივი, პაგინაცია შესრულებულია ბეჭდური არაბული ციფრებით ფურცლის შუაში; ბ) ხელნაწერის თანადროული რვეულბრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით.

#### ხელნაწერი შედგება:

1. სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რა არს ჩუენგან მათი განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა, რომელი იქმნა კათოლიკოზ წმიდა და სამეუფოსა საყდარსა ზედა მცხეთას, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გვრდემლი.

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „...ხოლო ბაბილონისა სრულიად მოოკრებისა და დაცემასა, ესე ყოვეი განიცადეთ და იხილეთ, შეძრწუნდით და შეშინდით და მოაქციეთ უფლისა და დაემორჩილენით სჯულსა მისსა“ (გვ. 1-235)



2. რომისა განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმიდისაგან ეკლესიისა.

inc. „ვინათგან უკუწ დასაბამითგან არა დასცხრების მრავალთავი იგი ვეშაპი, და გუწლი თვისისა მის ბუნებითისა განთხზულისა გესლისა წართხმევად...“

des. „...და ესრეთ განიყარნეს და მხიარულ იქმნა მეფე და ყოველი ერი სიტყვისგებასა მის ფილოსოფოსისასა, ამინ“ (გვ. 238-267)

**შენიშვნები:**

**„გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:**

1. თავი. სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა, რომელი იქმნა კათოლიკოზ წმიდა და სამეუფოსა საყდარსა ზედა მცხეთას, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გვრდემლი (გვ. 1-16); 2 თავი. სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისა (გვ. 16-19); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისაგემლისად ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათვის (გვ. 20-24); 4 თავი. სიყვარულისათვის, თუ ვითარ მოსაგნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (გვ. 24-26); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათვის, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (გვ. 26-32); 6 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭემმარიტება“ (გვ. 32); 7 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს დაყდრისაგან ღვთისა და კრავისა (გვ. 33-38); 8 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი პაპსა ჰრომისასას უფროსად და უაღრესად ჰხადიან, სხუათა პატრიარხთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა იტყუან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისსა და ვიკადრო, ვითარმედ უაღრეს მისსა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ

სხვისა წინა აღდგომისა საქმისა (გვ. 38-54); 9 თავი. სიტყუსა მისთვის უფლსაჲ, რომელი ჰქვა პეტრეს: „სიმონ, სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“ (გვ. 55-59); 10 თავი. სიტყუა სამგზის კითხვასათვის უფლისაჲ მიერ პეტრესსა და მერმე დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო (გვ. 59-62); 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველისა!“ (გვ. 62-70); 12 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (გვ. 70-75); 13 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს, ვითარმედ მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰსნა ქუეყანასა ზედა ჰსნილს-ყოს იგი ცათა შინა (გვ. 75-80); 14 თავი. განსაცდელისთვის თქმული, რომელსა იტყვან მოსაგნი პაპისანი (გვ. 75-97); 15. თავი. სიტყუსა მისთვის ისაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახლი იმრუსალიმისა განწმიდოს შორის მისსა სულითა სასჯელისათა და სულისა შემწველითა (გვ. 97-10); 16 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვს: “მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვან (გვ. 101-104); 17. თავი. სიტყვისა მისთვის, რომელი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ ვერ გამოხვიდე ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი და კუალად ვითარმედ ვერ გამოხვიდე ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი (გვ. 104-109); 18 თავი. სიტყვისა მისთვის, რომელსა იტყვიან მოსაგნი პაპისანი, ვითარმედ გან-რა-ვიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიწვიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მრავალნი სასუფეველად დაეწესებიან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთს შინა, პირველ კორცთა შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყუანებაო (გვ. 110-118); 19 თავი. სიტყვისა მისთვის, რომელსა

იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნისა ჯოჯობეთსა შინა არა შესრულ არსო (გვ. 118-130); 20 თავი. ნათლისღებისათჳს, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემზახსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვიღებთ კელითა მღუდელითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმნ არეცა ემზახსა შინა სამგზის შთაყოფით, არცა მხოლოდ მღუდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერისკაცთა და დედათა მიერ ნათელსცემენ (გვ. 130-139); 21 თავი. სიტყვა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (გვ. 139-142); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (გვ. 142-144); 23 თავი. ლოცვისათჳს სიტყუა, თუ რასა მიზეზისათჳს იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თუსაგან და სხუათაცა ამას ასწავებენ (გვ. 145-164); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათჳს (გვ. 164-171); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჳს, თუ რასათჳს ჩუენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჭბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა (გვ. 172-174); 26 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირვენ სახლთა შინა საეროთა (გვ. 174-177); 27 თავი სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თვთ მღუდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდესა მიიახლებიან (გვ. 178-180); 28 თავი. სიტყუა უცომოსათჳს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (გვ. 181-185); 29 თავი. სიტყუა წმიდისა ზიარებისათჳს, ვითარ იგინი ერისკაცთა ლიტონსა ღუნოსა მისცემენ და არა სისხლსა საუფლოსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა კორცსა სამეუფოსა (გვ. 185-190); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაღსა მიზეზისათჳს ჩჩვლთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (გვ. 190-195); 31 თავი. სიტყუსა

მისთვის, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღმრთოსა საიდუმლოსა ზედა (გვ. 195-200); 32 თავი. მარხვისათვის, თუ ვითარ იმარხვდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესე გაგვწესეს (გვ. 200-205); 33 თავი. სიტყუა ოთხშაბათისათვის, თუ რასათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რასათვის იმარხუან (გვ. 205-208); 34 თავი. მარხვისათვე, თუ რასათვის მოგუწცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხუანი (გვ. 208-214); 35 თავი სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არაწმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლისა და დამშთვარსა იკმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებლ არს (გვ. 214-225); 36 თავი. დედათა წიდოვანთათვის, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნეს, სახურთხევლად აღიყუანებენ და აზიარებენ (გვ. 225-227); 37 თავი. პირუტყუთა შეყუანებისათვის ეკლესიათა შორის, თუ ვითარ რასათვის შეიყუანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყუთა (გვ. 227-230); 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა კუალად სიტყუას უგებს პაპის მოსავთა. (გვ. 230-235).

2. „გრდემლს“ ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების, რომელსა შინა თითოულად განგიმარტებს მიზეზსა და ძალსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათვის არს“ (გვ. 235-237).

3. ტექსტს (რომისა განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმიდისაგან ეკლესიისა) ახლავს ბიბლიური ხასიათის თხრობა შესრულებული სხვა ხელით (გვ. 267-270).

#### **მინაწერები:**

1. „ქართველთ მოქცევა ქრისტიანედ იქმნა ქ~ეს აქეთ ტლჴ 338“ (ბოლო ფორზაცზე).

კრებულის შემადგენელი ორივე თხზულება ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა, დაწერილი ერთი ხელით, ამიტომ პალეოგრაფიული

და შინაარსობრივი მახასიათებლით ხელნაწერი ერთ მთლიან თხზულებად აღიქმება.

## 5.S-3269

### კრებული. XVIII ს.

**ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა** – ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია ცარცის ქაღალდით, ხელნაწერს რესტავრაცია ჩაუტარდა XX ს-ის დასაწყისშიც ლურჯი ფერის ქაღალდით. ხელნაწერი შედგება სხვადასხვა დამოუკიდებელი ხელნაწერებისაგან, რომელიც შემდგომ, სავარაუდოდ, რესტავრაციისას კრებულის სახით ერთად აუკინძავთ, ამას ადასტურებს სხვადასხვაგვარი პაგინაცია. ხელნაწერი დალაქავებულია, სავარაუდოდ, ნესტისაგან. **ყდა** – ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; **ფურცელთა რაოდენობა** – 348; **დაუწერელი ფურცლები** – 23v, 178v, 207v, 218v, 221r-v, 262r, 265r-v, 282r-v, 288v-289r, 293v-295r, 296r-297r, 298r, 299r, 300r, 301r-302r, 303r, 304r, 305r, 306r, 307r, 308r, 340r; **ფურცლის ზომა** – 21×31; **მასალა** – სქელი, , სპილოსძვლისფერი ქაღალდი, აქვს ჭვირნიშანი-სამი მთვარე, გვირგვინი მთვარით, ყურძნის მტევანი გვირგვინით და მშვილდოსანი; **დამწერლობის ტიპი** – ნუსხური; **მელანი** – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; **ხელწერათა რაოდენობა** – ხელნაწერს ჰყავს რამდენიმე გადამწერი; **ხელნაწერის გადამწერი** – ნაწილის იობი (1r-23r), ფილიპე (167v-169v), ბესარიონ ორბელიშვილი (228r-261v, 267r-275v), ხელნაწერს უნდა ჰყავდეს სხვა გადამწერებიც; **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** – ხელნაწერი, სავარაუდოდ, გადაწერილი უნდა იყოს დავით-გარეჯში; **ხელნაწერის გადაწერის თარიღი** – არ არის მითითებული. სავარაუდოდ XVIII ს-ს 20-იანი წლები; **სვეტების რაოდენობა გვერდზე** – ნაწერია ორ სვეტად; **სვეტის ზომა** - 6×21; **სვეტების დაშორება გვერდებიდან** – ზემოთ – 3 სმ, ქვემოთ – 7, ყუისკენ- 2,5 სმ, კიდისკენ – 4 სმ, სვეტებს შორის – 1,5 სმ; **სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე** – სტრიქონთა რაოდენობა სხვადასხვა: 28, 29, 30, 39; **პაგინაცია** – სამი ტიპის: 1. ა) კრებულის საერთო ახალი ფურცლობრივი პაგინაცია - შესრულებულია მკრთალად, შავი მელნით, არაბული ციფრებით, ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში; ბ) ფურცლობრივი პაგინაცია,

შესრულებული შავი მელნით, შემდეგ გვერდებზე: 1r-23r (ძველი პაგინაციით 21 ფ. ძველი პაგინაცია იწყება 2 r-დან, 1r-v დაზიანებულია და შესაძლოა მოგვიანებით აღმოაჩინეს), 170r-178r (9 ფურცელი), 179r-341r (163 ფურცელი, ეს ნაწილი უნდა იყოს თავნაკლული, რადგანაც ძველი პაგინაცია იწყება 5-ით, მას შუაში ჩართული აქვს 4 ფურცელი (225r-227v) შესრულებული სხვა პაგინაციით); გ) ხელნაწერის თანადროული რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით, რომელიც აქვს „გრდემლს“ (24r-168r, შედგება 18 რვეულისგან) და „[ნიკოლოზ გულაბერისძე] „თუესა ოკდონბერსა ა. საკითხავი სუჭტისა ცხოველისა კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“ (184r-207r, 4 რვეული); **ხელნაწერის მფლობელი** – ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის (297v) მიხედვით ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა ათანასი ზურაბოვს, ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

**ხელნაწერი შედგება:**

1. „შესავალი [წიგნისაჲ] წმიდათა და ნეტართა] მამათა ჩუენთა [ცხოვრებათათჳს] და მოქალაქობათა. მამაო, გუაკურთხენ“:

inc. „რომელი იგი არს პ[პიველ]თაგან ღმრთისა თანა ღმერთი სიტყვა...“

des. „...და საუკუნეთა დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“ (1r-8r).

2. „სწავლანი შუწნიერი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათასა, თავი ბ. გუაკურთხენ მამაო, უფალო იესუ ქრისტე, შეგაწყალებ ჩუენ“ (8r-23r)

inc. „ჰკითხა ვინმე მამასა ანტონის და ჰქუა...!“

des. „...იტყოდეს ბერნი, ვითარმედ კუკნული სახე არს უმანკობისაჲ სქემა...!“

3. „ესე ყოველი წმიდისა მაქსიმეს თქმულისაგან გამოკრებული არს სიტყუფნი სახარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მიერ მამათა მიერ“

inc. „კ ი თ ხ ვ ა ე: რაჲ არს სიტყუა იგი, ვითარმედ დგეს ჯუართა თანა დედა მისი და დედისა მისისა არიამ კლეოპასი. მ ი გ ე ბ ა ე: წმიდაჲ ღმრთისმშობელი და მარიამ კლეოპასი მეუღლე ორთ დათა ასულნი იყვნენ...“

des. „...კ ი თ ხ ვ ა ე: რომელი იყო პირველი ენაჲ. მ ი გ ე ბ ა ე: ვითარცა წმიდა კლემენტოს იტყვის, ებრაული იყოო“ (29v-56v).

### შენიშვნა:

1. ხელნაწერში ორი, სხვადასხვა ხელი შეიმჩნევა. ერთი ნაწილი მთავრდება 56v-ზე. ამ ნაწილის ბოლოს კალიგრაფიულად შესრულებული ასომთავრულით (მელანი-შავი) მიწერილია: „ქ~ე შეიწყალე ცოდვილი ბერი იოსებ“ (56v), მეორე ნაწილის გადამწერი უცნობია.

### მინაწერები:

1. „არ ბიწი გახლავს, დედოფალს ეთერს, ვარდს ზე, ჰე, მნათობსა.

თვით ისას კარავს, ღმობიერს მურს, ნარდ-ოქროსა ნაშობსა.

პალატს, ატამს რტოს სასაკმევლეს, ტაბლას უხრწნელს, ფრთე ნაწყობსა.

ქურუმს, დელეს, ყვავილს, შროშანს, ჩრდილოვანს ცას-ქრისტეს ძმობსა“ (48r);

2. „ქ. ლაბატის ბჭეს, გვრიტს და ეთერს, ვარდს ზმირინს, ჰე, თვალს მნათობსა.

იესეს კვერთხს, ლალს, მირონს, ნარდს, ოქროს პალატს ზემთა მჯობსა.

რტოს სასანთლეს, ტაკუკს უხრწნელს, ფიალს ქურქუმს, ღ~თის ყრმის მშობელს],

ჩრდილოვანს ცად ძირთ წმინდ ჭიქად“ (49r);

3. „ჭემმარიტად სამგზის სატრელ“ (ნუსხური) (56v);

4. „წიგნი შემოქმედის ღვთაების არის.. [ი]სიმც რისხავს, ვინც გამოსწიროს ან წაართვას“ (მხედრული) (56v).

4. „სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთ მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუენგან განყოფილებაჲ. თქმული უნდოსა და გლახაკისა

ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასტრით ნათლისმცემლისათ უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გ უ რ დ ე მ ლ ი“

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „...აწ იხილეთ ესეცა, ძმაო, თუ რაჲსა ყუფენ იგინი. რამეთუ სახელთა შინა ჟამთა სწირვენ და დიდთა საიდუმლოთა მეძავთა სახლებსა შინა აღასრულებენ და ეკლე...“ (57r-237v).

### შენიშვნები:

#### 1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1. თავი. სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთ მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუენგან განყოფილებაჲ. თქმული უნდოსა და გლახაკისა ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასტრით ნათლისმცემლისათ უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი (57r-70r); 2 თავი. სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისა (70r-72v); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისაცემლისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათვის (72v-76r); 4 თავი. სიყვარულისათვის თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (76r-77v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათჳს რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (77v-82r); 6 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭემმარიტებაჲ“ (82r-v); 7 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს დაყდრისაგან ღვთისაჲ და კრავისა (82v-86v); 8 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა იტყუნ პეტრე



მოციქულსა თანა მოსაყდრეობითაჲ სწორადვე მისსა და ვიკადრო, ვითარმედ უარეს მისსა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხუსა წინა აღდგომისა საქმისა (86r-99v); 9 თავი. სიტყვისა მისთვის უფლსაჲ, რომელი ღქუაჲ პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე-რა ემმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი (99r-102v); 10 თავი. სიტყვაჲ სამგზის კითხვისათვის უფლისაჲ მიმართ პეტრესა და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო (102r-104r); 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ ცხოველმყოფელისა!“ (104r-110r); 12 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (110r-114v); 13 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ღქუაჲ პეტრეს მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შევიკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განიკსნა ქუეყანასა ზედა კსნილ იყოს იგი ცათა შინა (115r-118v); 14 თავი. განსაცდელისთვის თქმული, რომელსა იტყვან მოსაგნი პაპისანი (118v-130r); 15. თავი. სიტყუსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იმრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველთა (130r-132v); 16 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, იგი საქმე რომელსა იგინი განსაწმედლისათუს იტყვან“ (132v-134v); 17. თავი. სიტყუსა მისთვის, რომელი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა, ვითარმედ ვერ გამოხვიდე მიერ ვიდრე არა გარდაიკადო ყოველი იგი და კუალად ვითარმედ ვერ გამოხვიდე ვიდრე არა მისცე უკანასკნელი

მწულილი (134v-138r); 18 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისანი, ვითარმედ გან-რა-ვიდენ სულნი კორცთაგან, აწვე მიიწევინან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებინან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთს შინა, პირველ კორცთა შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანებაჲო (138r-144r); 19 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო (144r-153r); 20 თავი. ნათლისღებისათვის, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემზადხსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ კელითა მღდელითთა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახვდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელ სცემენ (153r-159v); 21 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (159v-161v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (161v-163v); 23 თავი. ზეცისათვის სიტყუაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თუსაგან და სხუდაცა ასწავებენ (163v-179r); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის (179r-185r); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისათვის წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხეცზრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათ მათ წმიდათასა (185r-187r); 26 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწრავენ სახლთა შინა საეროთა (187r-189v); 27 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა

ჟამსა წიღოვნებისასა აზიარებენ და თუთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიახლებიან (190r-192r); 28 თავი. სიტყუაჲ უცომოსათუს, თუ ვითარ მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (192r-197v); 29 თავი. სიტყუაჲ წმიდისა ზიარებისათუს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვწოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა კორცსა (197v-202v); 30 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათუს ჩჩვილთა ყრმათა და უსაკოთა არა აზიარებენ (202v-206v); 31 თავი. სიტყუსა მისთუს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოსა ზედა (206v-211r); 32 თავი. მარხვისათუს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვიწესეს (211v-216r); 33 თავი. სიტყუაჲ ოთხშაბათისათვის, თუ რაჲსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსათვის იმარხვენ (216r-218v); 34 თავი. მარხვისათუსვე, თუ რაჲსათუს მოგუწცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვანი (218v-223v); 35 თავი სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იკმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებლ არს (223v-233r); 36 თავი. დედათა წიღოვანთათუს, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნენ, საკურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ (233r-234r); 37 თავი. პირუტყვთა შეყვანისათუს ეკლესიათა შინა, თუ ვითარ რაჲსათუს შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისითა არა წმიდათა პირუტყვთა (234v-235v);

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა შინა თითუწლად განგიმარტებს მიზეზსა და რომელსა

ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათჳს არს“ (236r- v);

3. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია წიგნები ნუსხური დამწერლობით, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

#### ანდერძ-მინაწერები:

2. მინაწერები გაურკვეველი ასოები და „იესო“ (57r);

3. „ღ~ო შეიწყალე განკუნ...[ო]და“ (64v);

4. „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილთ ბერი გრიგოლ“ (ნუსხურით) (65r);

5. „არა რას“ - ნუსხურად (67r);

6. „სარწმუნოებჲ საკვირველმოქმედისა დედა[ს] არ ეწერა, მე სულბ[ღ]...ო დავწერე ზანდუკ[ს]“ - წვრილად ნაწერი ნუსხურით (73r);

7. ბატონიშვილი ნიკოლოზ. – „მწადდა, რომ სიბრძნე მომეგო მცოდნის და წერილთ განმარტვა.

ორივ საღმრთო და საერო, არა თუ ერთი განმარტვა.

არ ჰყო ეს წუთმან სოფელმან, არც წელთ ყოველთ თვებმა განმარტვა.

მაგრამ ჩემზედა წყალობით უფალმან მოსაგამარტვა” (89v);

8. „ვახტანგ“ (ხელრთვა ასომთავრულით) (109v);

9. „ძმანო ნუ მწყად, ავად დავწერე. ამ დონამდის კარგა არის ფურცელი. გარდამოიგდი ძმანო და მამანო, იქ გეუწყოს ჩემო სასონო“ - გადამწერის ხელით, წვრილი ნუსხურით (169r);

10. „ესე კლიმი ჰრომაელი, მე ვჰგონებ, კლიმენტოს არს პაპად ჰრომისა შემდგომი წმინდისა პეტრესი“ (209v);

11. „სვიმონ“ - ხელრთვა მხედრულით (235r);

12. „მაღალსა და აღმატებულსა შარიარსა და ყოველთა ზედა ...[თა] ესად მხედსა სარწმუნოსა. მეფესა-მეფესათა ნი...“ (235v);

13. „ქ. უფალო ჩემო ბატონო ჯვარის მამა! ვეჭვობ, თორემ ეს რატომ არ წაღებინეა. უსხა [მო]... გებრალეზი. კათალიკოზის მოსაწერი მეფისა...[საწყენად ასტეხენით სამარხთა]“ - ცუდად იკითხება (236r);

14. „სეფე კაცი“ - მხედრულად (236v);

15. „ბუნებისა ადვილ და სატამელობა. ასფალანთ“ - მხედრულად (237r);

16. ბატონიშვილი ნიკოლოზ. –

„ოთხთა ნივთთაგან ერთი არს მსგავსი ძოწისა ფერადი.

...გვამი აქვს მას მნათობი, თავს არის შავი ბნელადი.

...კაცს შესჭამს, ძალი აქუს ბევრის ბევრადი.

...ვერ გასძლებს ვერცა ყრმა, ვერცა ბერადი“ (237v);

17. ზანდუკის შემდეგ ხელნაწერის ხელით წერია: „ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა წმიდისა კოსტანტინეპოლისასა, ვითარმედ მას ჟამს წმინდა მეექუსესა კრებასა კოსტანტინე პოლონატისასა და აღათონ რომთა პაპისასა, გიორგი კოსტანტინეპოლისა და თეოფანე ანტიოქელისათა და მათთა ას ოცდაათთა მამათაგან გაპატოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამათ მთავრად და თავის უფლად და უფლად ყოველთა ზედა საქართველოსა; და მერმე, კვალადვე კრებასა შინა ანტიოქისასა, განთავისუფლდა და განპატოსნდა, რამეთუ აღარავისაგან ხელქვეშ არს, არამედ თავისუფალი და მამათმთავარი არს. და ესეცა საკმარ არს ჩნდა, ოდეს მამა ჩ~ნი სანატრელი გიორგი და შემდგომი...“ (237v);

18. მინაწერები ქვედა ყდაზე: „Требующи предложнаго поделию; нехочу предлогъ; мелანი; რიცხვი, ძეთა შენ.. ...რი იგი ურიათა“.

## 10. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 114

### ორბელიშვილი ბესარიონ, გრდემლი. XVIII ს.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი ახალი რესტავრირებულია. დაზიანებული ფურცლები შევსებულია ცარცის ფურცლით, გვერდები რესტავრირებულია მიკალენტიტით. ხელნაწერში მიმდინარე ჟანგვის პროცესი ამჟამად განეიტრალებულია. ხელნაწერი აკინძული ოთხი თასმით; ყდა – რუხი ფერის კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა. 2002 წლის აღწერილობის მიხედვით ხელნაწერს უნდა ჰქონოდა ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, აღწერილობის მიხედვით მას ჰქონდა ტყავის სამი საკეტი.<sup>111</sup> ყდა რესტავრაციისას შეცვლილია ახალი, შინდისფერი ტყავით; **ფურცელთა რაოდენობა** – 185; **ფურცლის ზომა** – 20×16; **მასალა** – ჭვირნიშნიანი, სპილოსძვლისფერი ქაღალდი; **დამწერლობის ტიპი** – ნუსხური; **მელანი** – შავი, დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; **ხელწერათა რაოდენობა** – ერთი; **ხელნაწერის გადამწერი** – ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი; **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** – არ არის მითითებული; **ხელნაწერის გადაწერის თარიღი** – არ არის მითითებული. პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნე; **სვეტების რაოდენობა გვერდზე** – ნაწერია ერთ სვეტად; **სვეტის ზომა** - 14×10; **სვეტების დაშორება გვერდებიდან** – ზემოთ – 2,5 სმ, ქვემოთ – 3,5, ყუისკენ- 2 სმ, კიდისკენ – 3,5 სმ; **სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე** – 23, 24, 25, 26; **პაგინაცია** – ორი ტიპის: ა) ხელნაწერის თანადროული რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით ბ) ფურცლობრივი - შესრულებულია შავი მელნით არაბული ციფრებით. რესტავრაციისას გასწორებულია პაგინაციის შესრულებისას დაშვებული შეცდომა უბრალო ფანქრით, 22-ე ფურცლის

<sup>111</sup> გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ. 2002:23.

შემდეგ ეწერა 24-ე; ხელნაწერის მფლობელი – ხელნაწერის ძველი მფლობელი უცნობია. ამჟამად ინახება სერგი მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა აღებად პირისა...“

des. „...რამეთუ ვითარცა იგი უჯეროდ არს უეკლესიოდ ჟამისა წირვად, ეგრეთვე უშუჳრ არს და უმსგავსოდ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთა შეყვანა“ (1r-181v).

### შენიშვნები:

#### 1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1. თავი. სიტყვის-გებაჲ ლათინთა მიმართ ჩუჳნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუჳნგან განყოფილებაჲ, თქმული უნდოსა და გლახაკისა ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასტერით ნათლისმცემლისათ უდაბნოთ გარესჳით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი (1r-12v); 2 თავი. სარწმუნოებისათჳს ერთარსისა სამებისა (12v-15r); 3 თავი. წმიდისა და თავყანისა ცემულისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათჳს (15r-18r); 4 თავი. სიყვარულისათჳს, თუ ვითარ მოსაჳნი პაპისნი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (18r-19v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შებერვისათჳს, რაჟამს იგი შეჳბერა მოციქულთა (19v-23v); 6 თავი. სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჳემმარიტებაჲ“ (23v-24r); 7 თავი. სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისაჲ და კრავისა (24r-28r); 8 თავი. სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი პაპას ჳრომისასა უფროსად და უადრესად ხადიან, სხვაჲთა პატრიაქთა ზედა და ქვეყანასა ზედა, მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად

ყოველთა ეკლესიათად იტყვან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრო, ვითარმედ და უაღრეს მისა აღიარებენ კეთილისმოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სიტყვსა წინა აღდგომისა საქმისა (28r-40r); 9 თავი. სიტყვსა მისთვის უფლსა, რომელი ჰრქუა პეტრეს „სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქვენ აღვრად, ვიარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“ (თ ლუკა თავი კბ რიცხვი ზა) (40v-43r); 10 თავი. სიტყვაჲ სამგზის კითხვისათვის უფლისჲ მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო (43r-45r); 11. თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქუენ ვინ გგონეს მე ყოფილ?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე უფლისაჲ ცხოველისა!“ (45r-50r); 12 თავი. სიტყვსა მისთვის, ვითარცა რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (50r-55r); 13 თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეკრა ქუწყანასა ზედა. კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰკსნათ ქუყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (55r-58v).; 14 თავი. განსაწმედელისათვის თქმული, რომელისა იტყვიან მოსავნი პაპისანი (58v-69r); 15. თავი. სიტყვსა მისთვის ესაია წინასწარმეტყულისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იწრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა (69r-71r); 16 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადისა, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვან“ (71r-73r); 17. თავი. სიტყვსა მისთვის, რომელი წერილ-არს წმიდასა სახარებაჲსა შინა, ვითარმედ ვერ გამოხვდეს მიერ, ვიდრე არა გარდაიკადო



ყოველი-იგი და კვალად, ვითარმედ ვერ გამოხვდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი (73v-76r); 18 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისნი, ვითარმედ გან-რავიდენ სულნი ჳორცთაგან, აწვე მიიწევინ ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებინ, ხოლო ცოდვილნი ჯოჯობეთსა შინა, პირველ ჳორცთა შემოსისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანებაო (76r-81r); 19 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნოსა ჯოჯობეთსა არა შესრულ არსო (81r-88r); 20 თავი. ნათლიღებისათვის, თუ ვითარ ჩუჴნ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაჴსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა, სახელსა ჴედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ ჳელითა მღდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაჴსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელს სცემენ (88r-94r); 21 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა ბეჴდვენ მრონითა (94r-96r); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (96v-98r); 23 თავი. ლოცვისათვის სიტყვაჲ, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თჴსაგან და სხვითაცა ამას ასწავებენ (98r-113r); 24 თავი. აღმოსალვით ლოცვისათვის (113r-119r); 25 თავი. წმიდისა ჴამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩუჴნ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჴბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუითა მათ წმიდათასა (119r-122r); 26 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი

უეკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა საეროთა (122r-125r); 27 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თუთ მღდელნიცა და ერნი, რომლითაცა ცოდვითა შეიგინენ, მას დღეთა სიწმიდეთა მიეახლებიან (125r-127r); 28 თავი. სიტყვაჲ უცომოსათუს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვართა შევსწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (127r-132r); 29 თავი. სიტყვაჲ წმიდისა ზიარებისათუს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღუნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჯორცსა (132v-137v); 30 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათუს ჩვილთა ყრმათა და უსაკოთა არა აზიარებენ (138r-143r); 31 თავი. სიტყუსა მისთუს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოჲსა ზედა (143r-149r); 32 თავი. მარხუსათუს, თუ ვითარ იმარხვდა მეუფე ჩუჴნი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმინდანი და ჩუჴნცა ესე გაგკწესეს (149r-155r); 33 თავი. სიტყვაჲ ოთხშაბათისათუს, თუ რაჲსათუს არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსათუს იმარხვენ (155r-158r); 34 თავი. მარხვისათუვე, თუ რაჲსათუს მოგუჴცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხვანი იგი ყოველნი მარხვანი (158r-164v); 35 თავი. სიტყვაჲ მათდა მიმართ, რომელნი ყოველსა არაწმინდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჴამადსა სჴამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იკმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებულ არს (164v-176r); 36 თავი. დედათა წიდოვანთათუს, თუ ვითარ ჟამსა მას, ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნენ, საკურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ (176r-178r); 37 თავი. პირუტყთა შეყვანისათუს ეკლესიათა შინა, თუ ვითარ და რაჲსათუს შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისაჲთა არაწმიდანთა პირუტყვთა (178r-181v);

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა შინა თითუცლად განგიმარტებს მიზეზსა და რომელსა ყოველსა აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათვის არს“ (181v-183v);

3. ხელნაწერის კიდეებზე მითითებულია წიგნები, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები;

4. ხელნაწერს რესტავრაციისას მომძვრალი აქვს ზედა და ქვედა საცავი ფურცელი, რომელზეც იყო რამდენიმე მინაწერი. ეს მინაწერები მითითებულია მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში, ვინაიდან ხელნაწერის აღწერისას ის არ იყო რესტავრირებული, აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი არის დაზიანებული: „ესე გრდემლი არის სჯულზედ ბაასი (ლაპარაკი) ფრანგეფთან, ლიუტერანებთან (ნემეცებთანა), კალვინებთან, ცვინგლებთან (გელვეციელებთან ანუ შვეიცარიელებთან) და ყოველთა დასავლეთის ხალხთან, თხზულება სანატრელის და უწმიდესის საქართველოს კათალიკოზის ბესარიონისა. ლექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი“ (ზ. ყ. v); „საკოვოლნია, რომელი არს გრდემლი“ (ზ. ყ. v); „საწერელს ჩერნილიცა, კალამს პერო“ (ზ. ყ. v); „გრდემლი“ (ზ. ყ. v)<sup>112</sup>;

5. ხელნაწერი ნასწორებია, ჩამატებულია გამოტოვებული ადგილები ნუსხურად და მხედრულად (21r, 23v, 30r, 78r, 102r);

6. 21-ე და 22-ე თავის სათაურები მიწერილია აშიაზე ნუსხურად, სინგურით.

### ანდერძ-მინაწერები:

<sup>112</sup> გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ. 2002:24.

1. „წიგნთაგან ალექსანდრე გარსევანოვისათა „ჩემე“ წელსა აპრილის ივ-სა“(1r);
2. „გურდემლი ჯუმათელ მიტროპოლიტის არის. მაქსიმეს შეწირული არის [ ]ბა მისცესა“ (1r). ამ მინაწერით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერი ჯუმათში გადაიწერა, ის ჯუმათელი მიტროპოლიტის კუთვნილება ყოფილა და ვინმე მაქსიმეს შეუწირავს, მაგრამ როდის ან რომელი ტაძრისთვის, გაურკვეველია, რადგან მინაწერი ცუდად იკითხება;
3. „და ამიერითგან ღირს ხარ ყუჭდრებასა და გუჭდასა [ ] მოწევნამდე სჯულისა მის სატანჯუჭლისა ამას უკუნისამდე“ - მინაწერი ნუსხურით (79r);
4. „[ ] შაბათისა ლოცვასა ილოცავს ესრეთ ღმრთისად ოქრო ნეკტარი იოანე პირის დასა [ ], ვითარ მგმობარისა და უღმრთოდ საფა[ ] მრავლისა ჰრომის პაპისა და მისთანათ“ - მინაწერი მხედრულით (79r);
5. „გამომეძიებელისა [ ] ჰრომაელთაგან, რამეთუ იცოდეს ღმერთი და არა ღმრთაებს ადიდებდის მას, მან ჰმადლობდის, არამედ ამოდ იქმნეს გულისზრახვით მათით ეს მოციქულის ნათხზი, თუმცა [მეპყრპეთაგან]<sup>113</sup> წარითქუა, არამედ აწინდელნი ჰრომის ფილოსოფოსნი გულისა სიბნელითა ადასრულებენ უსაჩინოესად, რამეთუ არა გულისჰმა ჰყოფენ ნებსით ესევეითართა ბრძანებათა სულისა წმინდისათა“ - მინაწერი მხედრულით (121v);
6. „და რაღა ზიარება არის და ან სად ეზიარებიან, თუ მზველავობით არ იქმან უბადრუკნი და უვიცნი და არა ბრძენნი“ - მინაწერი მხედრულით (132v);
7. „ქ. ესე იგი არს, დასავლეთის ეკკლესია განიყოფების ორ ნაწილად: 1-ად რომის კათოლიკე ანუ პაპის აღსარების სარწმუნოებისად და 2-ედ პროტესტანტთა აღმსარებელთა

<sup>113</sup> მინაწერის სტილი დაცულია.

სარწმუნოებისად და ესე პროტესტანტთა განეყოფებიან ათორმეტ წვალეზად“ - მინაწერი მხედრულით (135v);

8. „ესე წიგნი „გრდემლი“ შეიცავს 187-სა ფურცელსა. ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი“ (183v).

## 11.A-1591

### კრებული. 1844 წ.

**ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა** – ხელნაწერი აკინძულია ოთხი თასმით; **ყდა** – მუყაოს ყდა; ყდა ხელნაწერის ავთენტურია; **ფურცელთა რაოდენობა** – 86; **ფურცლის ზომა** – 34,5×21,5; **მასალა** – სქელი, უჭვირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქალაღი; **დამწერლობის ტიპი** – მხედრული; **მელანი** – შავი, დასაწყისები სინგურით, ალაგ-ალაგ გადაშლილი ადგილები გაცხოველებულია შავი მელნით, საზედაო ასოები ნუსხურით და სინგურით; **დაუწერელი ფურცლები** – 36r-v, 85v, 86r-v; **ხელწერათა რაოდენობა** – ერთი; **ხელნაწერის გადამწერი** – გადამწერი ქრისტესია სამადაშვილი; **ხელნაწერის გადაწერის ადგილი** – სავარაუდოდ, საფარის მონასტერი; **ხელნაწერის გადაწერის თარიღი** – 1844 წ; **სვეტების რაოდენობა გვერდზე** – ნაწერია ორ სვეტად; **სვეტის ზომა** - 7,5×25 სმ; **სვეტების დაშორება გვერდებიდან** – ზემოთ – 3,5 სმ, ქვემოთ – 5,5 სმ, ყუისკენ – 1,5 სმ, კიდისკენ – 3,5 სმ; **სვეტებს შორის** – 1,2 სმ; **სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე** – 46; **პაგინაცია** – ორი ტიპის: ა) ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებულია მკრთალად, უბრალო ფანქრით, არაბული ციფრებით, ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში; ბ) ხელნაწერის თანადროული ფურცლობრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით ანბანით ალაგ-ალაგ (1r-33v; 37r-50v); **ხელნაწერის მფლობელი** – ხელნაწერი შემოსულია ალ. ოქროპირიძის ბიბლიოთეკიდან. 1 r-ზე ხელნაწერს აწერია ორი ნომერი - №39 და №406, შესაძლოა ერთ-ერთი იყოს ხელნაწერის ძველი საინვენტარო ნომერი.

### ხელნაწერი შედგება:

1. „სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთ მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუენგან განყოფილებაჲ. თქმული უნდოსა და გლახაკისა

ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასრტით ნათლისმცემლისათ  
უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გ უ რ დ ე მ  
ლ ი“

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათჳს და არა  
აღებად პირისა...“

des. „...და არიან ჭეშმარიტად უძურეს წარმართთა და განხუჭულ წმიდისა  
კათოლიკე ეკლესიისაგან, ძუჭლთა და ახალთა აღქმათა შინა უხმარ და  
განძვირებულ ქრისტიანობის წესისა და კანონისაგან“ (1r-33r).

**შენიშვნები:**

**1. „გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:**

1. 1. თავი. კითვა-მიგება ლათინთა მიმართ ჩვენ  
მართლმადიდებელთა ქვეყანათგან მიერ, თუ რაღსთვის  
განყოფილ იყვნენ ქრისტიანეთაგან (1r-4r); 2 თავი.  
სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისათვის  
(4r-v); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისცემათისა ცხოველს  
მყოფლისა წმიდისათვის (4v-5v); 4 თავი. სიყვარულისათვის  
თუ ვითარ მოსაგნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად  
უკმობენ (5v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეკბერვისათჳს,  
რაჟამს იგი შეკბერა მოციქულთა (5v-5v); 6 თავი. სიტყვისა  
მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“  
(6v-7r); 7 თავი. სიტყვისა მისთვის, ვითარმედ მდინარე  
ერთი გამოვალს საყდრითაგან ღვთისა და კრავისა (7r-v); 8  
თავი. სიტყვა მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა  
უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიაქთა ზედა  
და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და  
თავად ყოველთა ეკლესიათა იტყვიან პეტრე მოციქულსა  
თანამოსაყდრეობითა სწორადვე მისსა და უაღრეს მისსა  
აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ

სხვგია წინა აღდგომისა საქმისა (8r-10v); 9 თავი. სიტყუა მისთვი უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს: „სიმონ. სიმონ აჰა ესე-რა თქვენ გამოგიბოვანა ეშმაკმან აღცრად, ვითარცა იფელი, არამედ მე ვევედრები მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“ (10v-11v); 10 თავი. სიტყუა სამგზის კითხვისათვის ღმრთის მიერ: „და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო“ (11v-12r); 11. თავი. სიტყვისა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ ცხოველისა!“ (12r-13v); 12 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარცას უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (13r-14v); 13 თავი. სიტყვისა მისთვის, რაჟამს ჰრქვა პეტრეს მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განვხსნა ქვეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა (14v-15v); 14 თავი. განსაწმედელისთვის თქმული, რომელსა იტყვიან მოსავნი პაპისანი (15v-18v); 15. თავი. სიტყუსა მისთვის ესაია წინასწარმეტყველისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახლი იერუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუჭლითა (18v); 16 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ცეცხლითა გამოიციდების კაცად-კაცადისა საქმე, რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვიან“ (19r-v); 17. თავი. სიტყუსა მისთვის, რომელი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა, ვითარმედ ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა გარდაიხადო ყოველი იგი და კუალად ვითარმედ ვერ გამოხვიდე ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწლვილი (19v-20v); 18 თავი. სიტყვასა მისთვის, რომელსა იტყვიან

მოსაგნი პაპისანი, ვითარმედ გა-რა-ვიდნენ სულნი ხორცთაგან, აწვე მიიწევინ ადგილთა მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორე მოსვლისა. მართალნი სასუფევლად დაეწესებინ, ხოლო ცოდვილნი ჯოჯობეთს შინა, პირველ ხორცთა შემოსვისა და არღარა იქმნების მათი გამოყვანება (20v-22r); 19 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნოსა ჯოჯობეთსა შინა არა შთასრულ არს (22r-24r); 20 თავი. ნათლის ღებისათვის, თუ ვითარ ჩუჴნ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ ჳელითა მღდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინ აღდგომსა იქმენ, არც ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა, არცა მხოლოდ მღუდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერისკაცთა და დედათა მიერ ნათელს სცემენ (24v-26r); 21 თავი. სიტყვა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჴდენ მრონითა (26r-v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლის ცემისათვის (26v); 23 თავი. ლოცუსათვის სიტყვა, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცაღა თუსაგან და სხვათაცა ამას ასწავებენ (27r-30v); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის (30v-32r); 25 თავი. წმიდისა ჟამის წირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩვენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხეჴბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხვათა მათ წმიდათასა (32r-v); 26 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირვენ სახლთა შინა საეროთა (32v-33r);



2. ტექსტს ერთვის „კიდობანი ანუ ზანდუკი შეკრებული საჩუწნებლად სარჩევთა, თუ ვითარ გამოირჩევის სიტყუანი წინამდებარენი“ (32r-33v);

3. 26-თავი მთავრდება შემდეგნირად; *„ვინ იყო უგანათლებულეს წმიდისა ნინო მოციქულისა, რომელ ვერ შეიძლო ჟამისწირვა. თუთ მან, წმინდამან უწყოდა, რომელ დედათა ბუნებითგანსა არა ძალუც აღსრულება ჟამისწირვისა და არცა ნათლისღება კაცთა ანუ დედათა. ამით ჩანს რომელ მოსავნი პაპისანი წინააღმდეგომ არიან ჩუენ მართლმადიდებელთ სარწმუნოებისა და არიან ჭეშმარიტად უძურეს წარმართთა და განხუცებულ წმინდისა კათოლიკე ეკლესიისაგან, ძულთა და ახალთა აღქმათა შინა უხმარ და განძებულ ქრისტიანობის წესისა და კანონისაგან. წიგნსა ამას ეწოდების მზამეტყუწლება“* (32v-33r).

4. არსებულ კრებულში გრდემლი შედგება 26 თავისაგან, 27-38 თავებს ხელნაწერი არ შეიცავს;

5. ხელნაწერის კიდევბზე მითითებულია წიგნები მხედრული დამწერლობით, საიდანაც ამოდებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

## 2. კითხვა-მიგება გამოსაცნობად:

inc. „ჰკითხა: „ვინა არს დედა შენი?..“

des. „...არამედ დიდების მეტყუწლებენ ღვთის მიერ სულიერსა გალობასა“ (34r-35v).

3. ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმინდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღვთისმეტყველისა პროხორეს მიერ მოწაფისა მისისა ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა, ძმისწულისა, წმინდისა სტეფანე პირველმოწამისა:

inc. „ესე კაცი ღმერთშემოსილი, უზეშთაესი ანგელოზთა შეყვარებული...“

des. „...და ყოველნი ღვთისა ვადიდებთ, რომელმან სიყვარული თვისი ესრეთ ადიდა და სიხარულით შევედით ქალაქად“ (37r-50v);

4. ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა და დამასკელისა გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლობის სარწმუნოებისა, ვითარმედ მიუწდომელ არს ღმერთი და ვითარმედ არა ჯერ არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ არა მოცემულთა ჩვენდა წმიდათა წინასწარმეტყუელთა მოციქულთა და მახარებელთა მიერ:

inc. „ღმერთი არავინ იხილა, ოდესცა მხოლოდშობილმან ძემან, რომელი...“

des. „...არა ვინ იგი ვიეთნიმე...“ (51r).

ანდერძ-მინაწერები:

1. ვასილი სამადოვი ქართულად და რუსულად (ზედა საცავ ფურცელზე);

2. „Нива“. Вь С.П.Бю в которе редокции по большои Морской улице 9. Цена 6 р.“ (ზედა საცავ ფურცელზე);

3. „Сто рублей“ (ზედა საცავ ფურცელზე);

4. შავი მელნით №406 (ზედა საცავ ფურცელზე);

5. „ესე წინამდებარე სჯულისდება ჩუენ მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა და პაპის მოსავთა განყოფილება აღწერილი ბესარიონის მიერ ხუცისა მე, საფარის მღუდელმან ქრისტესია სამადაშვილმან, აღვწერე. ნუ მწყევთ ღვთის გულისათჳს თქუენ, მართლმადიდებელნო. ხოლო ლათინნი და პაპის მოსავნი მრავალსა იტყუან. ისინიც ღმერთმან მოაქციოს ჩუენ მართლმადიდებელთა სარწმუნოებასა ზედა“ (33 r.).

6. „ღმერთო და იოანე მახარებლის და ღმრთისმშობლის მადლო, შეიწყალე მონა თქუენი,

აღმწერელი, ცოდვილი მღუდელი ქრისტესია სამადოვი.  
ჩყმდ-სა წელსა, ოკდონბრის 13“ (50v).

7. უბრალო ფანქრით „ოთხმოცდაექვსი (86) ფ.“  
(ქვედა საცავ ფურჩელზე)

როგორც შენიშვნებში არის მითითებული, „გრდემლის“ დასასრულს ნახსენებია „მზამეტყუჴლება“, რომელიც დაიწერა „გრდემლის“ შექმნიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მაგრამ პრობლემის არსობრივ-მიზნობრივი მსგავსებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება ერთ რკალში მოიაზრებოდა.

## 12. S-286.

ორბელიანი ბესარიონ. გრდემლი. XVIII ს.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა/აღწერა – ხელნაწერი რესტავრირებულია XX ს-ის დასაწყისში ლურჯი და თეთრი ფერის ქაღალდით; თავ-ბოლო ნაკლული: 10-ე, 43-ე და 56-ე ფურცლების შემდეგ აკლია ერთი ფურცელი. ხელნაწერი დალაქავებულია, სავარაუდოდ, ნესტისაგან. ხელნაწერი აკინძულია ოთხი თასმით; ყდა – წითელი ფერის ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ყდა ხელნაწერის ავთენტურია; ყდა ჭიისაგან დაზიანებულია; ფურცელთა რაოდენობა – 139; ფურცლის ზომა – 21×16; მასალა – სქელი, უჭვირნიშნო, სპილოსძვლისფერი ქაღალდი; დამწერლობის ტიპი – არაკალიგრაფიული მხედრული; მელანი – შავი; ხელწერათა რაოდენობა – ერთი; ხელნაწერის გადამწერი – გადამწერი უცნობია; ხელნაწერის გადაწერის ადგილი – არ არის მითითებული; ხელნაწერის გადაწერის თარიღი – არ არის მითითებული. პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნის I ნახევარი; სვეტების რაოდენობა გვერდზე – ნაწერია ერთ სვეტად; სვეტის ზომა – 14,5×11 (ა-დ რვეული, 26 ფ), 15,5×11 (ე-ით რვეული, 27-139 ფფ); სვეტების დაშორება გვერდებიდან – ზემოთ – 1,5 სმ, ქვემოთ – 4,5 სმ, ყუისკენ- 2/2,5 სმ, კიდისკენ – 3/3,5 სმ; სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე – 18 (ა-დ რვეული, 26 ფ), 19 (ე-ით რვეული, 27-139 ფფ); პაგინაცია – ორი ტიპის: ა) ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებულია უბრალო

ფანქრით, არაბული ციფრებით, ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში; ბ) ხელნაწერის თანადროული რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით, გვერდების შუაში, ტექსტის მელნით; **ხელნაწერის მფლობელი** – უცნობია ხელნაწერის ადრინდელი მფლობელი, ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

inc. „სახედ გარდაგულარძნიან და მსგავსად გონება ცთომილებისა მათისა, ვითარცა ენებოსთ...“

des. „...ვინმე განვიდეს და აღგრძნეს თქუნ სიტყუითა და აღაშფოთებდეს სულთა თქუნთ და გეტყოდეს“ (1r-139v).

### **შენიშვნები:**

1. ხელნაწერში არ არის მკვეთრად გამოყოფილი თხზულების თავები;
2. ხელნაწერის კიდეებზე მითითებულია წიგნები ნუსხური და მხედრული დამწერლობით, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.
3. ხელნაწერში ჩანამატი ადგილები და შენიშვნები შესრულებულია ნუსხური და მხედრული დამწერლობით;
4. თავების თანმიმდევრობა შედარებულია A-119-თან;
5. **„გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან და დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:**

1. თავი. სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთ მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუენგან განყოფილებაჲ. თქმული უნდოსა და გლაზაკისა ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასრტით ნათლისმცემლისათ უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი. თავნაკლული (1r-10v); 2 თავი. სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისა (10v-13v); 3 თავი. წმინდისა და თაყვანისაცემლისა

ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათვის (13v-15v); 4 თავი. სიყვარულისათვის თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ (15v-17r); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათუს რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (17r-21r); 6 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭემმარიტებაჲ“ (21r-v); 7 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს დაყდრისაგან ღვთისაჲ და კრავისა (22r-25v); 8 თავი **ხელნაწერში აღნიშნულია როგორც მე-2 თავი:** „მათდა მიმართ, რომელნი უფროსად და უადრესად პაპასა ხადიან სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა და პატრიაქთა პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა და ერთპატიობითა სწორადვე მისსა და უმეტესცა სწამთ კეთილისმოქმედი იყოს იგი, ანუ თუ სხუისა წინა აღდგომისა საქმისა“ (25v-37v); 9 თავი. სიტყუსა მისთვის უფლსაჲ, რომელი ღქუაჲ პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე-რა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი (37v-39v); 10 თავი. სიტყვაჲ სამგზის კითხვისათვის უფლისაჲ მიმართ პეტრესა და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო (39v-40v); 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მოწაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ ცხოველსმყოფელისა!“ (40v-42r); 12 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (42r-44v); 13 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ღქუაჲ პეტრეს მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შევიკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განიჰსნა ქუეყანასა ზედა ჰსნილ იყოს იგი ცათა შინა (44v-45v); 14 თავი.

განსაწმედელისთვის თქმული, რომელსა იტყვან მოსაგნი პაპისანი (52v-64r); 15 თავი. სიტყვსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედელსა ზედა იმოწმებენ, ვითარმედ სახელი იწრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველთა (64r-66v). A-119 მიხედვით 15-ე თავის ბოლო ნაწილში მოთავსებულია 16-ე თავი; 16 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, იგი საქმე რომელსა იგინი განსაწმედლისათვის იტყვან“ (66v-67r); 17 თავი. ცილებისათვის, რომელთა იცილებიან ბერძენნი და ლათინნი, რამეთუ ლათინნი იტყვან: “სულნი კაცი რა-გან-ვიდენ კორცთაგან, მოვლენ მათთვის განჩინებულთა ადგილთა და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვისა, არცა კორცთა შემოსასა, არამედ მართალნი სასუფევლად მიიწევიან, ხოლო სულნი ცოდვილთანი ჯოჯოხეთს აწვე დაემკვიდრებიან და იქმნების მათი გამოყვანაო (67r-71r). ხელნაწერში ეს სათაური მითითებულია, ოღონდ არა როგორც თავის დასახელება, არამედ როგორც ტექსტის ნაწილი; 19 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო (71r-79v); 20 თავი. ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ კელითა მღდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდლისაგან, არამედ ერისკაცთა და დედათა მიერ, ვითარცა ვინ დახვდეს (45v-50v).

აღნიშნული სათაური ხელნაწერში არის ტექსტის ნაწილი და არა როგორც სათაური; 21 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელდებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (50v-51v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (51v-52v); 23 თავი. ზეცისათვის სიტყუა, თუ რაჟსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თუსაგან და სხუთაგა ასწავებენ (79v-91r); 24 თავი. აღმოსალვით ლოცვისათვის (113r-117v); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჟსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისათვის წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხეცზრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათ მათ წმიდათასა - ეს თავი გაყოფილია ორ ნაწილად, მათ შორის არის 27-ე თავი (91r-v, 93r-94v); 26 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწრავენ სახლთა შინა საეროთა (94v-97r); 27 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თუთ მდდელნიცა და ერნი, რომელთაგა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სიწმიდეთა მიიახლებიან (92r-93r); 28 თავი. სიტყუა უცომოსათვის, თუ ვითარ მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა. (97r-99r); 29 თავი. სიტყუა წმიდისა ზიარებისათვის, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვეპურსა ლიტონსა და არა კორცსა (99r-103r); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაჟსა მიზეზისათვის ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (103r-107r); 31 თავი. სიტყუსა მისთვის, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჟსა საიდუმლოსა ზედა (107r-113r); 32 თავი. მარხვისათვის, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანნი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანნი და ჩუენცა ესრეთ გაგვიწესეს (117v-121v); 33 თავი. სიტყუა

ოთხშაბათისათვის, თუ რადსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რადსათვის იმარხვენ (121v-124r); 34 თავი. მარხისათვისვე, თუ რადსათვის მოგუწცნეს წმიდანი ორმოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვანი (124r-129r); 35 თავი სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იკმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებლ არს (129r-13r); 36 თავი. დედათა წიდოვანთათვის, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვენ, საკურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ (138r-v).

ეს არის ხელნაწერის დასასრული, შესაბამისად, ხელნაწერში 36-ე თავი ბოლონაკლულია და დაკარგულია ზანდუკი, თუკი იგი ხელნაწერს ახლდა;

#### ანდერძ-მინაწერები:

1. „გრდემლი“ – „Наковальник“. Опроверждение римской веры, изложенное языком понятным, логично, спокойно, последовательно, основательно и дельно. Оригинальное произведение груз[инского] архиерея“ ზედა საცავი ფ. რ-ზე;
2. „ფრიად შესანიშნავი, საყურადღებო და სასარგებლო წიგნია“ - მინაწერი თ. ჟორდანიას ხელით ზედა საცავი ფ. რ-ზე;
3. ქართული ანბანი მხედრულით ჟ-მდე (43v);
4. „აბა შენი ყოლა წმინიდა ქალწულო, შენი დედოფალო ცისა [მასი თამასი] მარიამის უსმინე შეხვეწა [ის ძმისა]“ - მინაწერი მხედრულით მინაწერი მხედრულით (107r);
5. „ქ. მოიხსენე უფალო ბახუს შვილი თეონა სასუფეველსა შინა, ამინ!“ (112v);



6. „ქ. თედო ბატონს შენი გენაცივალა“ - მინაწერი მხედრულით (126v);

7. „და სხუანი პირველ გამოჩინებულნი მნათობნი სოფლისანი“ - მინაწერ ნუსხურით (128r).

ხელნაწერის კალიგრაფიული და სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს ხელნაწერი უნდა ყოფილიყო „გრდემლის“ პირველი ვარიანტი, რომლის განვრცობილ, რედაქტირებულ ვარიანტს წარმოადგენს დანარჩენი, თერთმეტი, ნუსხა.

## დანართი 5.

### ბესარიონ კათალიკოზი - აღსარება სარწმუნოებისა [H-1530, 1r-6r]

„... კიცდა: რამეთუ ჯერ არს ჩვენდა, რათა გვქონდეს და შევინახოთ ხატნი ქრისტესი, და ქალწულისა ღითისმშობლისა, და სხვათა წმიდათა, და ღირსეულ და მდიდრობას ვცემდეთ მათა:

ი: პატივისცემ და შევიწყნარებ კოსტანტინეპოლის მეოთხე კრებასა, რომელ არს მერვე რიგითა, და აღვიარებ, რამეთუ სიმართლით დაისაჯა მას შინა ფოციე და კელახლავ დამტკიცდა წმიდა ეგნატე სკამსა თვისსა:

ია: კუალად პატივს ვცემ და შევიწყნარებ ყოველი სხვა საყოვლიერო წმიდა კრებანიც, ჰრომს მამამთავრის ბრძანებით გათქმულნი და დამტკიცებულნი, და უფროსდა ფლორენციის წმიდა კრებასა და აღვიარებ ყოველსავე რომელიც მას შინა გაიმართა: ესე არს:

იბ: მრწამს და აღვიარებ, რამეთუ სული წმიდა მამისაგან და ძისაგან და საუკუნოდ ერთავესიგან გამოვალს ვითარმედ ერთი მხოლოდ დასაწყისიდადმე და ერთი მხოლოდ შებერვიდადამ:

იგ: კუალად აღვიარებ, რამეთუ თქმული იგი და ძისაგან ღირსეულად და მართებულად, დაშურების დაჭირებისათვის ზედდაბია, სარწმუნოების აღვიარებასა მასა, უმეტეს ცხადი შეტყობისათვის ჭეშმარიტებისა:

იდ: კუალად აღვიარებ რამეთუ ჯორცი ქრისტეს მრთლად და ჭეშმარიტად აღსრულდების თუ ჳმიადი, თუ ცომიანი პურიტან ხორბლისათა, არამედ ღუდელთა ჯერ არს, რათა ერთითა, ან მეორეთით მითით აღასრულონ იგივე ჯორცი უფლისა ყოველთა თავიანთ ეკლესიის ჩვეულობისაებრ თუ დასავლეთისა და აღმოსავლეთისა:

იე: კუალად აღვიარებ, რამეთუ, უკეთუ ჭეშმარიტად შენანულნი სიყვარულსა და მადლსა შინა ღვთისასა მიიცვალონ, უწინარეს მართებული საკანუნოს გარდახდისა ბოროტ ნაქნართათვის, ან მიტევებული კეთილ მოქმედთათვის, სულნი მათი შემდგომად სიკვდილისა, განსაწმედელის სასჯლით განიწმიდებიან, და რათა განსუბუქდნენ ესრეთი სატანჯველთაგან მარგებელ არიან მათთვის მორწმუნე ცხოველთ შეწევნანი, ესე არს, ჟამის წირვანი მოწყალებანი, და სხვაც წყალობის კეთილ მოქმედებანი, რომელთ ჩვეულნი არიან მორწმუნენი ქმნად სხვათათვის მორწმუნეთა,

დარიგებისაებრ წმიდისა ეკლესიისა: ხოლო სულნი მათი, რომელნიც ნათლიების შეწყნარების შემდგომად არაოდეს არა შეიგინნენ რითიმე მანკითა ცოდვისა, და სულნიც მათი, რომელნი რითიმე ცოდვის მანკით გამძვინებულების უკან, განიწმინდნენ მისგან, ვიდრე ცოცხალ იყვნეს ჳორცითა, ან ჳორცთაგან გატიტვლებულნი, აღვიარებ რამეთუ მესეულად შევლენ სასუფეველსა შინა ზეცისასა, და პირად პირადათ იხილვენ თავად ღმერთსა, ერთს არსებასა და სამებასა შინა ვითარცა არს. თუ გინდა ერთი მეორესაგან უმეტესად იხილოს მის ფერად ფერადი მადლისა და ღირსეულებისაებრ თვისისა: ხოლო სულნი მათი, რომელნიც მამაკვდინებელ საქმის ცოდვასა შინა, ან მხოლოდ სანათესავო ცოდვით მიიკვალებიან, მესეულად შთავარდებიან ჯოჯოხეთსა შინა, რათა მუნ დაისაჯონ, რაგინდ უთქანსწორო სატანჯველითა:

ივ: კუალად აღვიარებ, რამეთუ სამოციქულო წმიდა ტახტსა და ჳრომის პაპს აქუს თაობა და შემძლეობა ყოველსა ქვეყანაზედ, და აღვიარებ, რამეთუ თვით ჳრომის პაპი ვექილი არს მოციქულთ მთავარი წმიდისა პეტრესი, და ჳემმარიტი მაგიერი ქრისტესი, და ყოველი ეკლესიის თავი, და მოძღუარი ყოველთა ქრისტიანეთა, რომელსავეც ნეტარი პეტრეს მიერ მეცა უფალი ჩვენი იესო ქრისტესაგან სავსე სრული შემლება ძუებისა, მწყემსობისა, და მოვლისა საყოვლიერო ეკლესიისა, ვითარცა დაწესებათა შინა ჳემმარიტად მოწმებულ არს, თქმისაებრ ფლორენციისა წმიდისა კრებისასა:

იზ: კუალად აღვიარებ, რამეთუ მოსვლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განქარდნენ ძველი აღთქმისა მის, ან მოსეს სჯულისა დაწესებულ დარიგებანი, სამღთონი, და საიდუმლონი. რომელთ ძალ არა გვიძსთ ქმნად უცოდავათ: წმიდის სახარების გაფინების შემდგომათ: კუალადღა აღვიარებ, რა მეთუ იგივე ძველი სჯულის წმიდა და არა წმიდა საქმელით სხვა და სხვაობა ეფერებოდა საწესო დარიგებათა მათ, რომელნიც წმიდის სახარების განცხადებისა შემდგომ გაიარეს და განფუჳდნენ:

იზ: კუალად აღვიარებ, რამეთუ იგი მოციქულთა ბრძანება განშორებად ნადებთაგან კერპთასა, და სისხლისაგან, და ნაზორევისაგან, დროსა მას ეფერებოდა, გასაძრიელებლად შფოთობისა ნივთისასა ჳურიათასა და წარმართთა შორის, არამედ ვითარცა დასცხრა მიზეზი იგი სამოციქულო დაშლისა, დასცხრა საქმენულობაც მისი:

ით: კულად პატივსცემ და შევიწყნარებ წმიდასა ტრენტის კრებასა, და აღვიარებ ყოველსავე რომელიც მას შინა დამტკიცდა და გამოიცხადა, უფროსად იგი, რამეთუ ჟამის წირვისა შინა ღმერთს შეიწირვის ჭეშმარიტი საკუთარი და ცოდვათა ამკოცველი მსხვერპლი ცხოველთა და მკუდართათვის, და აღვიარებ, რამეთუ ყოველ წმიდის ზიარების საიდუმლოსა შინა (ვითარცა მარადის ირწმუნა ეკლესიამან ღვთისა) იპოების მართლად, ჭეშმარიტად, და არსეულად კორცი, სისხლი, სული და ღთაება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და თვით ქრისტე მართლად და მრწამს, რამეთუ მრთელი არსება პურისა კორცად, და მრთელი არსება ღვინისა სისხლად გარდაიქცევის, რომლის გარდაქცევასა წმიდა კათოლიკე ეკლესია შვენიერად მრთელ არსების გარდაქცევას უწოდებს: და კულად მრწამს, რამეთუ რამეთუ თითო თითოს ორთავე ნაწილების სახის ქვეშ განყოფილების უკან იპოების გრგვლად ქრისტე:

კ: კულად აღვიარებ, რამეთუ შვიდნი არიან ახალი რჯულის საიდუმლონი, რომელნი უფალმან ჩვენმა იესო ქრისტემ დააწესა კაცთა ცხოვრებისათვის, რაგინდ ყოველნი ყოველთა დასაჭირნი არ არიან, ესე არს, ნათლისღება, მირონისცხება, აღსარება, ზიარება, ბოლო ზეთის ცხება, ღუდელ კურთხევა, ცოლქმრობა, და მრწამს, რამეთუ ესენი მადლსა ღვთისასა მოგვანიჭებენ: არამედ სამნი ამითგან, ესე იგი ნათლისღება, მირონისცხება და ღუდელკურთხევა, დაუბრუნებელნი არიან; და კელახლავ ვერ მიეცემიან:

კა: კულად აღვიარებ, რამეთუ ნათლისღება დასაჭირებელ არს, კაცთა ცხოვრებისათვის, არამედ, უკეთუ წინააღმდეგს ჭირმან სიკვდილისამან, კამს მესყეულად და დაუზარებლად მსახურება და მიცემა მისი: და მრწამს, რამეთუ კეთილი და ჭეშმარიტი არს ნათლისღება იგი, რომელი თავისი მართალი და მკვიდრი ნივთით, ანდაზით და საღავათით მიეცემის რომელსამე ჟამსა იყოს რომლისაგანვე, და რომელსამე ადგილსაც მიეცემოდეს:

კბ: კულად აღვიარებ, რამეთუ ნასკვი ცოლქმრობისა საიდუმლოსი დაუხსნელ არს და შეუშლელი, და რაგინდ მეძაობის საქმისათვის, და ან ჰერეტიკობისა, ან სხვა მიზეზისათვის შეეძლოსთ ცოლქმართა ერთმანერთისაგან ლოგინით და დღრომით განშორვება; გარნა არა უძსთ ძალი მათ მეორედ დაქორწინება, ვიდრე ორთავე ერთათ ცოცხალნი არიან:

კვ: კუალად აღვიარებ, რამეთუ ჯერ არს შეწყნარება, და პატივისცემა სამოციქულო და საეკლესიო დარიგებათა:

კდ: კუალად აღვიარებ, რამეთუ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მიაწიჭა ეკლესიასა თვისსა მთავრობა, და კელმწიფება შენდობათა. და მრწამს, რამეთუ შენდობათა კმარულობა ფრიად მარგებელ არს ქრისტიანეთა:

კე: ესრედვე აღვიარებ და შევიწყნარებ ყოველსავე, რომელიც ზემოწერილ ტრენტის კრებასა შინა დარიგდა დასაწყისი ცოდვისათვის და გამართლებულობისათვის წმიდათა წიგნთა ძველი და ახალი აღთქმისათვის, ესე არს წიგნისა დაბადებისა, სახარებისასა და სამოციქულოსი:

კვ: კუალად აღვიარებ და შევიწყნარებ ყოველი იგიც, რომელს შეიწყნარებს და აღვიარებს ჰრომს წმიდა ეკლესია, და ერთობლივ ყოველი წინაღმდეგ მწვალებლობა და ჰერეტიკოსობა, რომელნიც იგივე ეკლესია სჯის, შორგანაგდებს, დაჰკრულამს, და მოჰკვეთს, მეც თვით ვსჯი, შორგანვაგდებ, დაჰკრულამ, და მოჰკვეთ:

კზ: კუალად უფროსად ვპირდები და აღუთქვამ ჭეშმარიტს მორჩილობასა ჰრომის წმიდა პაპს, ნეტარო პეტრეს მოციქულთ მთავრის ჯანიშინსა, და ნაცვალსა იესო ქრისტესასა:

კწ: მე თვით (ესე და ეს სახელოვანმან) ვპირდები, აღუთქვამ, და ვფიცამ, რამეთუ სარწმუნოება ესე საყოვლიერო ეკლესიისა, რომლის გარე არავის ძალ უძს ცხონებად, რომელსავეს ნებითა და წადიერობითა ჩემითა აწ აღვიარებ და ჭეშმარიტად ვიწყნარებ, იგივე შეწევნითა ღვთისათა მრთლად და შეუშლელად დავიმარხავ და დავამტკიცებ დაღსასრულადმდე ცხოვრებისასა ჩემისა, და ცდითაც ვეცდები, რათა რომელნიც ჩემს მიბარებულნი, აღვიარებდნენ, ასწავლიდნენ, და ქადაგებდნენ ამავე სარწმუნოებასა: ესრედ შემწე მეყოს მე ღმერთი და ესე წმიდა სახარება ღვთისა: ამინ: ...“

ქ. ჭეშმარიტად მრწუნებელი სარწმუნოებისა ამის. (ბეჭედი კათალიკოს ბესარიონისა) (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი):

ქ. მე ერისთავი როსტომ სარწმუნოებისა ამის დამრწმუნებელი (ბეჭედი როსტომისა).

ბატონმა ჩვენმა, ერისთავმა როსტომ, წიგნი არ იცოდა, და მე სტეფანე კათოლიკე წინამძღვარს იმისის ბრძანებით, დამიწერია“

## დანართი 6.

რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკლესიისა. ამინ!

ვინათგან უკუფ დასაბამითგან არა დასცხრების მრავალთავი იგი ვემაპი და გველი თვისისა მის ბუნებითისა განთხოვლისა გესლისა წარმოთხევად, ვითარცა იგი მამასა ჩუენსა პირველშექმუნლსა ზედა მიილო მზაკვარმან მან, შეგრძნა გრძნეულმან მან ბოროტისა მის ღმრთისაჲ ურჩებისა ხისა მის შეხება კეთილსახედველ იყო, რამეთუ არათუ პირველსა მას კაცსა ადამს მიუთხრა პირველად, არამედ ჭურჭლად იკმია გუჭლი დასაბამისა გველმან მან სატანა და საუკუნო გესლი და მუცლითა ცორვა და მიწათა შინა ძრომა და შიში და უშვერება და ზარი და კაცთა შორის მტერობა და ფიცხლად სიკუდილი და წყევა დამბადებელისა თვისისა დაუმკუდრა პირუტყვსა მას შვენიერსა უშვერმან მან და განლიგებულმან სატუხელად მოშურნემან და მტერმან ჭემმარიტებისამან სატანა და შემდგომთა მისთა არა წმიდათა ლეგონთა ბილწთა, რომელი ესე ვითართა პატივთა და ნიჭთა მიანიჭებს მორჩილთა ყოველთა ნებისა მისისათა და შემწყნარებელთა სიტყუათა მისთასა.

და მერმე გუჭლისა მიერ დედაკაცსა მას ევას, რათა ვერ აგრძნას ადამ მანქანებითი იგი იხილაჲ ეშმაკისა ბოროტ ბრძნისა და მტერისა და პირითა მეუღლისა მისისათა ეზრახა ადამს, რათა კეთილად აღუჩინოს ნაყოფი სიკვდილისა და დაკლება სამოთხისა მის ფუფუნებისა და შვება ანგელოზთა თანა და ვითარმედ მეგობრისაცა სიტყუჲ სარწმუნო არს და ოდეს ისერეს კეთილ აღჩენილი იგი ბოროტი მტერისა მიერ ბოროტისა მეყსეულად გამოაძო ღმერთმან სამოთხისა მისგან საწადელისა ჭენებითა ანგელოზისათა და რისხვთა საშინელითა და მწუხარებითა სალმობიერთა ქუწყანას მას მწირსა და უპოვარსა და უნაყოფოსა, ვინათგან განშიშვლდენ მადლისაგან განუძღომელისა და სამოსლისაგან ნათლისა ეკმარებოდათ ყოველივე საჭირო კორცთა საზრდელი და სამოსელი და სადგური განსასვენებელად და დაესაჯათ ზრუნვა და მწუხარება მოუთხოვრებელი და წყევა ღმრთისაჲ მიერი სიცოცხლესა შინა და სიკვდილი კორცთა და სულისა შვილითი

შვილადმდე და სიმწარით და ტკივილით შობდა და ოფლითა ჭამად პურისა და მიწადვე მიქცევა სიტყვითა ღმრთისათა, ვითარმედ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე და აღილო მაცთურმან კელით წერილი მისი და დაიუნჯა და შთაწერა გუჯართა შინა არა ძალობისა თუსისათა და ოდეს მოკვდა ადამ და ევა განავლო უფსკრული იგი ბნელისა ჯოჯოხეთსა შინა, შეაწყვდინა წყვდეულმან მან და წყეულმან და წარუყარნა მოქლონნი საუკუნენი და აღუნთო ბნელსა მას შინა ჯოჯოხეთისასა სანთელი ცეცხლისა უშრეტისა, რომელი შესწვიდა მას სასტიკად. დაუგო მას სარეცელი მატლისა დაუსრულებელისა, მოართვა მას საზრდელი სიმყრალისა მოუთმენელისა და ოდეს იგი სამოთხესა შინა თუალნი მისნი განიცდიდეს შვენიერებასა და ჰაეროვნებასა და ყურნი მისნი ისმენდეს გალობასა ანგელოზთასა, მის წილ ბნელი მიუთხრობელი მოხვია თუალთა მისთა და ყურთა მისთა ასმინა კვნესა და კმინვა ღორთაებრ ეშმაკთა მთავართა მათ ბნელისათა და კარნი მისნი დაუკლიტნა და ესრეთ პერობილ-ჰყო, რომელი ესევეითართა ნიჭთა მიანიჭებს მორჩილთა და ნებისა მყოფელთა ნებისა მისისათა.

რამეთუ ღმერთმან ესრეთ განაგო, რათაჲ ჯორციელი ჯორციელსა ზრახუდეს და უჯორცონი და უხილავნი უხილავსა მსახურებდენ და შეწეოდენ კაცთა უხილავად ბრძანებითა ღმრთისათა, რათა არა იყვნენ აღრეულ ხილულნი და უხილავნი, ანგელოზნი და კაცნი და ვიტყვი ეშმაკთაცა, არამედ ანგელოზი ანგელოზ, და კაცნი კაც, და ეშმაკნი ეშმაკნი, ანგელოზნი ნებისყოფელნი ღმრთისანი და ეშმაკნი წინააღმდგომნი ყოვლისა ჭეშმარიტებისანი და კაცნი პირმეტყველნი ქუეყანასა ზედა, ესე ყოველნი ქმნულნი ღმრთისანი და ჯერ არს ჩუენ, კაცთა შეწყნარებად მცნება ღმრთისაჲ და არა ეშმაკთა სული ღმრთისაჲ და არა სული ეშმაკთა, რამეთუ ღმერთი არს მშვიდობისა და ეშმაკი შფოთისა, ვითარცა იტყვის უფალი წმინდა სახარებასა შინა და გვასწავებს და იტყვის: „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ გვიკსენ ბოროტისაგან“, რომელ არიან ეშმაკნი, რათა ვივლტოდით მცნებათა და სულისა მისგან ბოროტისა, რამეთუ არს სული წმიდა და არს სული არაწმიდაჲ, რამეთუ წმიდაჲ სული არს წმიდათაჲთანა და არა წმიდაჲ სული არა წმიდათა თანა და იქმნებიან ძალნი და წინასწარმეტყუელებანი და მადლნი წმიდისა სულისაგან და იქმნებიან საკვირველებანი და ჩემებითნი, რეცა სათნოებისა და სიმართლისათუს

მოდღვრებანი, ვითარ რეცა იგიცა თუთ ანგელოზად ნათლისად შეიცვალეზის და არა საკურველ არს თუ მსახურნიცა მისნი ღმრთისმსახურად გეჩვენოს.

რამეთუ არიან სულნიცა საეშმაკონი მოქმედნი სასწაულთანი მიშვებითა ღმრთისაჲთა, რათა გამოჩნდენ მონანი ღმრთისანი და მონანი ეშმაკისანი, ვითარცა იგი წერილ არს ანტეს მოსლვისა ჟამსა, რომელი წერილ არს წმიდა შინა სახარებასა, ვითარ უკეთუმცა კნინლა შეუძლეს ცთუნებად რჩეულთა მათცა ესე ვითართა გრძნეულობათა მოქმედებითა, რომელი მოვალს შეწევნითა ეშმაკისათა, რაჲ არს მძლავრობაჲ ესე ეშმაკთა და მრავალ თავთა ლეგეონთა, რამეთუ იგი ძედ ღმრთისად იტყვის თავსა თვისსა, ძე იგი ეშმაკისა და შვილი წარსაწყმედელისა, ვითარ პირველ და შემდგომად და აწცა იყვნეს და არიან კუალადცა მომავალ არიან მოგვნი და ვარსკვლავთ მრიცხველნი და გრძნეულნი, რომელნი ზმნითა, ბედითა, ჟამთა და ვარსკვლავთა და მთოვარისა მოქცევთა შობასა კაცისასა და ყოველსავე ჟამთაჲ ქცევასა და ყოფათა, თოვლთა, წჷმათა, დართა და სიცოცხლესა და სნეულებასა და სიკუდილსა მიაჩემებენ. ნივთიერთა მათ ქცევათა, თანაშეწევნითა ეშმაკისათა, რამეთუ არცა არიან სრულიად მათისა ქცეულებისაგან ყოველნი, არცა სრულიად ცალიერ არს ფილოსოფოსთა და ბრძენთაგან აღწერილნი ფილოსოფოსობანი, და არიან იგინიცა განყოფილ ორად, სხუაჲ არს ფილოსოფოსთა და სხუა გრძნეულთა ფილაფოზთა, ერთი არს ვარსკვლავთ მრიცხველობითა ცნობაჲ, ვითარ იგი დიონოსი ბრძენთ მთავარმან იცნა ჟამნი იგი ქრისტეს ჯვარცმისა, მას ზედა ჯუარცმული ძედ ღმრთისა ქადაგებასა მას პავლესსა ესევითარად მოკმარებული სიბრძნე არა არს დასაბრკოლებელ, ხოლო მეორე იგი, რომელი-ყო ტაბითა ჟამთა წმიდათა მოციქულთათა, რომელი შეუდგა პავლეს და ეტყოდა ერსა მას რწმუნებაჲდ სიტყუაჲთა მათ-მის პავლესთა, რომელსა სარეწავი დიდძალი შეუვიდოდა მისნობითა მისითა, რომლისა შერისხნა მოციქულმან და განდევნა სული იგი არა წმიდაჲ, რომლისა თვსად ჭურჭელ ექმნა ეშმაკსა წარსაწყმედელად მრავალთაჲ სულთა, ხოლო განიდევნა რა ეშმაკი იგი, არცა მაშინ დასცხრა მაცთური იგი ბრძოლად ღმრთისა, რამეთუ არწმუნა ერსა მასვე უკმა მოციქულისა დაღაცათუ მართალი წარმოუთხრა ერსა მას, რაჲთა ჰრწმენეს ყოველთა ქადაგებაჲ პავლესი მართალი იგი არა შეიწყნარა მოციქულმან, იცოდა რამეთუ პირველთაგან იწყებს ეშმაკი სამართლისა გზითა ბრძოლად და ცთუნებად კაცთა, ხოლო უკანასკნელი



მისისა სიმართლისა და მოძღვრებისა ფსკერი არს წარსაწყმედელისა და სახედ მოგვცა ჩუენცა, რადთა უკეთუ ვინმე სახითა და სიტყვითა თუნიერ კეთილთა საქმეთასა მოძღრობდეს მართალ, თუმცა იყოს, არა ჯერ არს შეწყნარებოდ იგი, რამეთუ ასწავებენ კაცთა მოძღვრებასა და თუთ უარყოფა თავი თუსი დაკლებულთა ცხოვრებისაგან. ესე არს ნაყოფი სულისა არა წმიდისა სიმრავლისაგან მათისა ერთი რამე წილი, ვითარცა ზღვისაგან ცვარი აღგვიწერა და კმა იყავნ სულთა მიმართ მაცთურისათა სიტყუაჲ ჩუენი.

ხოლო სულისა წმიდისაჲ მიერ თქმული და ქმნილი წამებენ აღვსებულნი მოსე წინამძღუარი ისრაელთა ერისა, რომელმან განაპო ზღუდ მეწამული და განასხნა ისრაელნი სახედ ნათლისღებისა ქრისტესისა და დაანთქა ფარაო, მდევარი სახედ მდევრისა ჩუენისა ეშმაკისა, რომელი დაანთქა ქრისტემან ფერკთა ქვეშე ნათლისღებასა და უდაბნოსა მას სიცხისასა ღრუბლითა ნათლისათა აგრილობდა. სახე იყო სულისა წმინდისა მოფენისა წმინდათაჲ მოციქულთა ზედა, ხოლო აღმართა კარავი იგი საწამებელისა და მოიხვნა ათნი იგი მცნებანი ძეთათუს ისრაელისათა სახედ ეკლესიისა ამის ახლისა აღთქმისა, კუალად აღმართა ძელი და მოკიდა გველი იგი რვალისა სახედ ჯუარცმისა მის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა, ნაკბენთა გველისათა კურნებდა, ხოლო ქრისტე ღმერთი ჩუენი ჩუენთა ცოდვისა წყლულებათა ჰკურნებს, ეგრეთვე სხუანი წინასწარმეტყუელნი: ელია, რომელმან დაკჳა ცანი არა წუმად და მერმე ლოცუად და მოცემად წუმა პირსა ქუეყანისასა და იონა, რომელი იყო სიღრმეთა შინა ზღუსათა, მუცელსა ვეშაპისასა სამდღე და სამდამე სახედ ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა დაფლვისა და აღდგომისა. სამოელ, ესაია, იერემია, დავით მეფეცა და წინასწარმეტყუელიცა, რომლისა ზედა უზეშთაეს გარდაემატა მადლი ყოვლად წმიდისაჲ სულისა, ვითარცა ყოველსა ქუეყანასა განეფინა ფრთოსანთა და გალობათა მისთა ქებჲ ყოველთა სხუათაცა მრავალთა წინასწარმეტყუელთა, თითო სახედ წინასწარ მოასწავეს ყოფადი განგებულებჲ, რომელთა სიმრავლისათუს წერილთასა დავიდუმეთ, ამათ სახე აქვნდათ ღმრთივ შუწნიერად, რამეთუ თმითა და წვერითა შემოსილ იყვნეს, მდღელნიცა და ვგონებ, ვითარმედ ერნიცა, ვითარცა იგი დიდისა იოანეს ნათლისმცემელისათუს წერილ არს ყოველთა ნაშობთა უმეტესისა, ვითარმედ საპარსველი არა აღსრულ არს თავსა მისსა, არცა მამისა მისისა ზაქარიასა, არცა ელიასა, არცა სხუთა ყოველთა, რამეთუ ყოველნი წინასწარმეტყუელნი და

მღუდელნი მოსილ იყუნეს თმითა და წუჭრითა, ეგრეთვე მამადმთავარნი, ვითარცა წერილ არს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოსცა მადლი ესე მღდელთა მისთა, რომელი გარდამოვალს, წვერთა ზედა, წვერთა ზედა ჰარონისათა და მელქისედეკცა“, ეგრეთვე დიდი აბრაჰამ მამად-მთავარი, რომელმან შეწირა ისაკ ძე თვისი ღმრთისაჲ სახედ ქრისტესა ღმრთისა ჩუენისა სახითა წვერმოსილიყო და ყოველნი ლევიტელნი ნათესავნი მღდელთანი: მართალი ნოე, მეორე მამა ნათესავთა, რომელმან განარინნა ყოველნი ცხოველნი წყლის რღვნისაგან, ესეცა მსხუჭრპლისა შემწირველი ერთგზის დღესა შინა და არა ორგზის, არცა სამ და ოთხგზის, თმითა მკეცითა, პატიოსნად და ღმრთივ შუჭნიერად და ესე ძველსა სჯულისა შინა, ხოლო იაკობცა ვაკსენოთ და ათორმეტი ძენი მისნი, რომელთა უმრწემესი ძმა მათი განყიდეს ძმათა მისთა, რომელი იქმნა სახედ ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, ძველსა რომელთა სცხებდა ღმერთი საცხებელსა და თანა მადლთაცა მიანიჭებდა სულისა წმიდისათა, ესე ესრეთ:

ხოლო ახლისა ამის აღთქმისა სჯულსა შინა უთვალავნი და ურიცხვნი, თუთ მეუფე ჩუენი იესო ქრისტე, ათორმეტნი იგი მოწაფენი მისნი წვერითა და თმითა მოსილნი იყვნეს და სამეოცდაათნიცა იგი მოწაფენი, ეგრეთვე და მღდელთმოდვარნი, დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლი, დიდი ბასილი კესარიისა მთავარეფისკოპოსი, იოანე ოქროპირი, პატრიაქი კოსტანტიპოლისა, წმიდაჲ ნიკოლოზ მირონ ლუკის ქალაქისა მთავარეფისკოპოსი, საკურველთმოქმედი, დიდი ათანასი და კირილე სფირიდონ საკურველთმოქმედი, ამათ ყოველთავე ერთკმოვანებჲ, ერთი ჭეშმარიტი წესი და სარწმუნოება ეპყრათ, ერთი წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულო ეკლესია. ერთკმა იყვნენ და ერთსამწყსო და რომელთაცა შვიდი მსოფლიო კრებაჲ ქმნეს მართლმადიდებელთა მეფეთა-ზე და შემოკრიბნეს ყოველნი წმიდანი და ნებისყოფელნი ღმრთისა ყოვლისა ადგილისაგან რჩეულნი და ჭეშმარიტად და მართლიად და სამართლად სავსენი სულისა წმიდისაჲ მადლითა და სიბრძნითა, კაცნი კორცთა შინა ანგელოზნი სასწაულთაცა მოქმედნი და მტკიცენი სულითა მოიღეს წინაშე მეფისა დიდისა ქალაქისა ბიზანტიისა, პალატსა შინა დიდსა გამოიძინეს ძველი და ახალი წიგნნი თვისითა თარგმანებითა ყოველი სავნებელი განაგდეს და განკვეთეს და შეაჩვენეს წყევითა საუკუნოთა, ხოლო ყოველი

ჭემმარიტებად და ნებად ღმრთისად დაამტკიცეს და დაწერეს ძეგლი მართლმადიდებლობისა საუკუნო.

ოდესმე ქორსა მას შინა შეკრებულ რა იყვნეს მოციქულნი და მოელოდეს აღთქმასა მას ქრისტეს ღმრთისად ჩუენისასა და მეყსეულად იქმნა მოწევნა, ვითარცა ქარისა სასტიკისა ოხრაჲთა და რამეთუ იოხრა კმაჲ საწადელი და სახარულევანი, რომლისა უსაწადელისა და უტკბილესი არა რაჲ არს, არცა ცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა და რაჲ იგი იოხრაჲ, რომელი ჯერ იყო თქმად, წერილი დაუტევეს ყოველსა სოფელსა, არა განსარყვნელად, არამედ შიშით და ძრწოლით და სიხარულით აღსრულებად მცნებათა მისთა არა განწვალებად, არამედ ერთკმისყოფად არა ერთსა ადგილსა ქადაგებად, ანუ ათსა და ათასეულთა, არამედ ყოვლისა სოფლისა, საზოგადოდ, ჰურისა პირველად და მერმე წარმართთა, მართალთა და ცოდვილთა, მოქცეულთა ცხოვრებად, ხოლო ურჩთა და გარდამავალთა სჯულისათა რისხვა და გულისწყრომა საუკუნო.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, ოდეს მოწევნა იქმნა პაემანისა, აღივსნეს წმიდანი მოციქულნი სულითა წმიდითა და ყოველნი ადგილნი და სახლნი, სადა იგი მსხდომა-რე იყვნეს უზესთაესისა თანა სერაბინთასა და უპატისონესისა ქერაბინთა, წმიდისაჲ ღმრთისმშობელისა მარიამის თანა. აღივსო ყოველი ჰარე სურნელებითა და მადლითა გამოუთქმელითა და მიუწდომელითა და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი და იტყოდეს დაბასა ღმრთისდა კაცად კაცადი წმიდანი მოციქულნი ყოვლისა თესლებისა განყოფილთა ენითა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ და ვითარმედ მთვრალ საგონებელ იყვნეს და იტყოდეს ერნიცა, ვითარმედ ტკბილთაგან სავსე არიან და კუალად იტყოდეს, ვითარ უკუჲ კაცი ესე გალილეველნი უსწავლელნი და უწიგნონი ჩუენითა ენითა იტყვიან დიდებასა ღმრთისასა, რომელნი ვართ პართნი და მიდნი და უჟიკნი ელამიტელნი და მოსრულნი რომნი, ვითარ კაცად კაცადსა გვესმის თვისი ენა იტყვიან რაჲ იგინი.

ყოვლად სადა სული ღმრთისა არს მუნ არს აზნაურებაჲ, სადა სული ღმრთისაჲ არს მუნ თქუა უფალმან: „მდინარე მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი. ცხოველი არა მოკუდების, ვითარცა იგი მდინარე არა დასცხრების დინებისაგან, სად სული ღმრთისაჲ არს, მუნ დაცემულითა განახლებაჲ, აღდგომა,

ცხოვრებად და სიხარული დაუსრულებელი საუკუნო“; სადა სული ღმრთისაა არს, მუნ სიმტკიცე ჭეშმარიტებისა, სადა სული ღმრთისაა არს, მუნ მშვიდობა, მყუდროება, წყალობა და სიყუარული და უზრუნველობა ყოველთა ნივთთა სოფლისათა და სადა არს დღე, მუნ არა არს ღამე, სადა ბრწყინვალებად მზისა არს, მუნ ღრუბელი და ნისლი განქარვებულ არს, რომელ არს ყოველი სიბოროტე, რომელნი მეფე არიან და არა არიან ჭეშმარიტნი მეფენი, რომელნი მღდელთმთავარნი არიან და არა არიან ჭეშმარიტნი მღდელთმთავარ, რომელნი მღდელნი და დიაკონნი არიან და არა არიან ჭეშმარიტ, რომელნი წინამძღუარ არიან და არ არიან წინამძღუარ, რომელნიმე მოძღვარ და არ არიან მოძღვარ ჭეშმარიტ, რომელნი მეცნიერ სჯულისა და ფილოსოფოსობისა და უმეცარ ჭეშმარიტებისა, რომელთაგან განშორებულ არს სული წმიდა და შესრულ არს მათდა სული არა წმიდა.

ხოლო სადა სული არა წმიდაა არს, მუნ დაუწყნარებლობა და დაუდგრომელობა ერთსა წესსა ზედა, არამედ სიტყვითი სიტყუდ ცვალებად და საქმითი საქმედ მივლტოლა, გამოძიება გამოუძიებელისა, მზაკვარი ანბორი და მოკითხვა იუდასი, პირით მეტყველება სხვისა და გონება მკლველებრივი, შურითა სავსე და არძანგებითა, რამეთუ ტკბილი მისი მწარე არს, სადა სული არა წმიდაა არს, მუნ შფოთი და სიბნელე და სიყუარული და შემსჭვალვა წარმავალისა ამის სოფლისა, ვითარცა წინასწარმეტყუელიცა სწყევს და იტყვის, ვინაა მათდა, რომელნი ღრმა ჰყოფენ გონებასა, ვითარ იგი უფალნიცა ვაება მისცა მოძღვრით ხდასა და ზემო ჯდომისა და უბანთა ზედა მოკითხვისა, რომელი სახლებსა ქერივთასა შესჭამენ და მიზეზითა განგრძობილად ილოცავთ. ამისთვის მოილოთ უმეტესი სასჯელი, სადა სული არა წმიდაა არს, მუნ არს წყარო ბილწებისა და შეგინებისა და დაცემისა განსაკრთომელისა შერევისა და შებილწებისა და ყოვლისა საძაგელისა მოქმედობისა და ტყუილისა.

ყოველთა უწყით, ვითარმედ პირველ სულის წმიდისა მოსლვისა წმიდათა მოციქულთა ზედა იყვნეს წმიდანი მოციქულნი ულაღველ, უშფოთველ, მყუდრო და მშვიდ და მდაბალ, რამეთუ ქუეყნისაგანცა არა მდიდრისა მეთევზურნი და მეზღურნი და მეპყრატაკენი, უწიგნონი და არა ფილოსოფოსნი, არცა გამომეძიებელნი ღრამმატიკთა და რიტორიკთა ენამჭევრობითთა, აღზავებულთა

სიტყუთა წმასნად, ვითარცა თვთ იგი ჭური რჩეული პავლე იტყვის: „ნუ მაღალსა ზრახავთ, არამედ მდაბალსა მას შეეყვებით, და კუალად სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისაჲ“.

ამისთვის პოვნა უფალმან ჭური რჩეულნი და აღავსნა მადლითა და სიბრძნითა, რომელნი ყოველთა ბრძენთა და ფილოსოფოსთა გარდაემატნეს ღვთისმეტყუელებითაცა და მსოფლიოსა სიბრძნითაცა, ვითარმედ უფალმან მათმან და მოძღვარმან და ღმერთმან ჩუენმან ყოველთამან, ძემან და სიტყუამან ღმრთისამან, იესო ქრისტემან ყოვლისა სოფლისა მოძღვრად კელნი დაასხნა და აკურთხნა და აღუთქვა ათორმეტთა საყდართა ზედა სხდომა, მის თანა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა, არამედ და ყოვლისა სულისაცა. † სათნოებაჲ, † ღირსებაჲ, † სიბრძნე, † კელმწიფებაჲ, † მთავრობაჲ. ვინ შეუძლოს ღირსად გამოუთქმელსა მას პატივისცემასა თქუენსა, რაჲ არს საქმე ესე საკურველი, რამეთუ მეფენი და კელმწიფენი წარდგებიან ბორკილითა და მთავარნი მათნი კელბორკილითა რკინისათა, ხოლო გლახაკნი და უპოვარნი მოციქულნი, თვთ ბუნებით კელმწიფესა და ღმრთისა ყოვლისა მპყრობელთან მენაკეობენ და ანგელოზთა კრებულნი მსახურებრივისა სახითა და საყდართა განუმზადებენ, თიკანი იყუნეს უკმარნი და სულმან წმიდამან გამოაკურნა სიწმიდითა, ჭურჭელნი უკმარნი ჭურჭლად საკმარ-ყო სულმან წმიდამან, ვერცხლი იყვნეს აღრეულნი მიწათა თანა და მადლმან სულისა წმიდისაჲმან გამოადნო ბრწყინვალედ, ოქრო იყვნეს გარნა უჩინარ, ხოლო სასანთლედ გაჭედნა სულმან წმიდამან და აღუნთნა სანთლად ყოველსა ქუეყანასა, ვიდრემდის ყოველსა ქუეყანასა განკდა კმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი შეიწყნარეს.

კუალად მანვე სულმან წმიდამან აღადგინნა მეფენი მორწმუნენი და ერთ სამწყსო-ყო ძველი რომი და ახალი რომი ბიზანტია, იერუსალიმი და ყოველი ევროპა გამოაჩინნა ღმერთმან შემდგომად მოციქულთა მღდელოთმოძღვარნი და ღირსნი მამანი და მათ თანა ღუაწლისა მძლენი მოწამენი არა ხოლო თუ მამანი, არამედ დედანიცა ღირსნი სასწაულთმოქმედნი და მოკლედ წარმოვთქვათ არათ უნაკლულესნი მოციქულთა ყოვლითა სათნოებითა და სასწაულთმოქმედებითა.

ხოლო წინასწარმეტყუელებაჲ თუთ უფლისაჲ აღესრულა, რომელ თქუა კაცი ვინმე სამეუფო განვიდა აგარაკსა თვისსა თესვად თესლისა თუსისა და ოდეს დასთესა, მოვიდა მტერი და დასთესა შორის იფქლისა ღვარძლი და წარვიდა, ხოლო ოდეს მოიწია სამკალად, იხილა ღვარძლი თანა აღორძინებულად იფქლისა და უბრძანა მომკალთა მომკა მათი და ძნეულად შეკრვა, განლევად იფქლისა და საუნჯეთა მისთა შეკრებად, ხოლო ღვარძლისა მის დაწვად ცეცხლითა უშრეტითა, სადა იგი მატლი მათი არა მოაკლდების და ცეცხლი არა დაშრტების.

არა დასცხრა დასაბამისა იგი ვეშაპი და მრავალთავი გველი, მტერი ჭემმარიტებისა ბელიერ, რომელისა სწყურის წარწყმენდა ჩუენი, ვინათგნ მისტაცეს ყოველი სოფელი კერპთაგან და შეიმუსრა ძალი მისი ქრისტეს გამოჩინებითა და წმიდათა მისთა, რომელთა სძლეს ძალსა მისსა, რომელთამე წამებითა, რომელთამე განშორებითა შფოთთაგან სოფლისათა, რომელთამე წამებითა და თითოეულმან წმიდამან თითო სახითა სათნოებითა და ყვაოდა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიანი ქრისტესნი მართლმადიდებლობითა, გალობითა, შესხმითა და ლოცვითა სულთა საცხოვრებელითა და წმიდათა ხატთა მიერ, ვითარცა შრომანი აღყვავებულ იყო, სადა იგი განეგებოდა წესნი საეკლესიოანი, რომელნი მოციქულთა ქადაგეს და მღუდელთ-მოდღვართა დაამტკიცეს და მოწაძმეთა აღიარეს, მთავარმან ბნელისამან მოშურნემან სატანა პოვა ჭურჭელი ცარიელი კეთილთაგან შემსგავსებულნი თუსისა უკეთურებისანი, კაცნი სამღუდლონი, რომელსა პირველითგან ჩვეულებაჲ აქვს, უფროსა სამღდლოთა და სამღრთოთა თანა შესლვად, ვითარცა იუდასა გულსა შევიდა და განყიდა დაუფასებელი იგი მარგალიტი ოცდაათ ვეცხლად და შიშთვილობა.

ეგრეთვე შევიდა ვიეთმე გულსა რომელთამე მეფენიცა და მღდელთმოდღუარნი აღძრნეს წვალებაჲდ თითო სახედ არა ერთ სახედ, განრყვნა და შეცვალნა და მრავალი ჭირი და განსაცდელი მოაწია ეკლესიათა ზედა და წმიდათა კაცთა, რამეთუ განიყვნეს და განიწვალნეს, რომელთა კუალად შემდგომად კრებითა დაამტკიცეს, არამედ არცა მაშინ დაყუნდნა ღელვა იგი მწუალებელთა, რასა იგი მოაგონებდა ეშმაკი, რამეთუ არა ყოველთათუს არს აწინდელი ესე სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ ნებსით დავიდუმეთ თითო სახეობაჲ წვალებისა მათისა და წმიდათა კრებათა, რათა არა

სიმრავლე წერილთა იქმნას საწყინოდ, არამედ მარტოდ ხოლო რომელთა და ლათინელთათჳს ვიტყოდით, ვითარცა ესე წინამდებარემან სიტყუამან ცხად ჰყოს.

### **მეფობასა კოსტანტინესსა და დედის მისისა ირინესსა.**

იყო რომეს შინა პაპად ანდრიანე, რომელი იყო მსოფლიოსა კრებასა შინა დამტკიცებად პატიოსანთა ხატთა თაყუანისცემად. ხოლო შემდგომად ანდრიანესა იქმნა რომს პაპად ლეონ, ხოლო ამას ლეონს მოშურნე ექმნეს ნათესავნი ანდრიანესნი და განაძეს იგი, საყდრისა თჳსისა და ქალაქისაგანცა რომისა.

ხოლო პაპამან ლეონ წარავლინა მოციქული კოსტანტიპოლეს, მეფისა კოსტანტინეს და დედისა მისისა თანა, რამეთუ ითხოვდა მათგან შემწეობასა და ვერა ჰპოვა ამისთჳს, რამეთუ კოსტანტინოპოლის მას ჟამსა შინა მეფისა და დედისა მისისა შორის შფოთი რადმე აღდგომილ-იყო და სხუანიცა მრავალნი აღდგომილ იყვნეს კოსტანტინოპოლეს ზედა, ამისთჳსცა პაპა მივიდა ფრადიას ფრადის მთავრისა კარულის თანა, ხოლო კარულმან მისცა შემწედ ძალი დიდი და კუალად დაადგინეს პაპად რომისა, და დასვეს ტახტსა ზედა. ხოლო პაპამან ლეონ ზრახვა-ყო ღირსთა კაცთა და მთავართა თანა რომისათა, რათა დაადგინონ რომს შინა მეფე მორწმუნე, რათა მეფობად, კუალად რომისაგან იწყოს, ხოლო მან შემწეობითა კარულისათა მოიხმო, უკუჳს პაპამან კარული იგი მთავარი, წმიდამან ლეონ და ბერძულის რწულითა გვრგვნოსან-ყო იგი მეფედ რომისა, არამედ საკმარ-ყო ძველიცა რწული და არა უწყი, რომლისა განზრახულებითა თავითაგანვე ფერკთამდე მირონი სცხო მას. ესრეთ უკუჳს შეთხზულებად პირველი მოქალაქეთა განიკუჳთა, ვითარცა დედის და ასულის შორის შე-რა-ვიდა მახული განმყოფელი და განმკვეთელი რისხვისა მახულითა ქალწულებისა კეთილ ბუნებრივისა ახალი რომი სამეფო ქალქი ძველისა რომისაგან.

ხოლო კარული პაპითგან და მამითგან ქრისტიანედ სახელ იდებოდა და აღირაცხოდა ქრისტიანეთა შორის, არამედ მოიყვანნა თჳსთანა აღრეულნი და სწავლულნი, რომელთა ჰქონდეს წვალეზანი ფარულად აპოლინარისა და მაკედონისა და სევერისა და დიოსკორესა და ორიგინესი და ევტუქისა და იწყეს მოქცევად ერისა

უფლისაჲ და სწავლად თჳსთა წვალებათა არა ყოვლად ფარულად, არამედ ცხადადცა, ვითარ მეფისაგან შემწე ყოფითა და იტყოდეს, ვითარმედ მამისა და ძისგანცა გამოვალს სული წმიდაჲ და უცომითა წირვა და სხვანი მრავალნი წვალებანი. და ხედვიდა პაპი ლეონ ერსა ღმრთისაჲსა წარწყმენდილსა, ამისთჳს, რამეთუ ტკბილად მიიღებდეს სწავლასა მათსა, რამეთუ არა იყუნეს რომსა შინა ბრძენნი და მეცნიერნი, რათა განეგდოთ ეგევითარი სწავლითა ბოროტთა წუალებათა და ინება წარგზავნა კაცთა კოსტანტინოპოლეს, ქალაქსა ბრძენთა და სულიერთა კაცთათჳს და ვერ ძალედვა ამისთჳს, რამეთუ მას ჟამსა შინა კოსტანტინოპოლეს ხატომბრძოლნი იყვნეს მეფის თეოფილესაგან.

ხოლო პაპამან წარგზავნა წიგნი იწრუსალიმის პატრიარქისა თომასა, რათა მოუვლინოს კაცნი სიტყვიერნი, რომელთაცა ძალ-ედვას შემუსრვაჲ და განდევნა ეგევითართა წვალებათა და ოდეს მივიდეს მოციქულნი და ისმინა პატრიარქმან მცნებული წმიდაჲმან თომა გამოარჩინა და წარავლინა კაცნი დამტევნილნი ყოვლისა ჭემმარიტებისანი, სულიერთა, გინა კორციელთა, რომეს შინა პაპისა ლეოსა. მიხაილ პროტოსინღელი დიდისა საყდრისა და მოწაფენი მისნი თეოფანე და თეოდორე ერთ-ძმანი და იობ და იგინი მიმავალნი წარვიდეს.

ხოლო ინებეს წარსლვად კოსტანტინოპოლეს მგზავრ პირველ რომისა, რათა სიტყუაჲ უგონ მეფესა თეოფილეს და შემუსრვად ხატომბრძოლობისაგან და დამტკიცებად ერისაჲ ღმრთისაჲ პატიოსანთა ხატთა თაყუანისცემასა და მრავალნი მოაქცინეს კეთლ მორწმუნეობად და იწყეს წინააღდგომად მეფისა, ხოლო მეფემან თეოფილე არღარა დაითმინა ერისა მის სწავლა და მოქცევა წმიდათა ხატთა თაყუანისცემად მიხაელ, თეოფანე და თეოდორესაგან, ბრძანა წარყუანება მათი და წამებად ტყავთა მისთა გვამისათა განკდად და ძარღვთა და ძრომა, ხოლო წმიდაჲ მიხაილ და მისთანა იობ, წმინდანი სულნი თჳსნი მათვე წამებათა შინა კელთა ღმრთისაჲთა შევედრნეს, ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს, ხოლო წმიდათა თეოფანეს და თეოდორეს მრავალი ვნებაჲ შეამთხვიეს და სხეულნი მათნი დასწვეს ძვალებადმდე, განაკეთეს ფიცარი რკინისა ესრეთ სახედ და დასწერეს იამბიკონი, ხოლო ჰქონდათ სახენი განრთხმულნი ყოველსა მოწადესა მისლვად ქალაქად აჲად. ესე არს იწრუსალიმით, სადა პატიოსანნი ფერკნი დადგნეს, გამოჩნდეს აჲა



პატიოსნისა ადგილისანი, ჭურჭელნი ბოროტნი ბოროტ, ეშმაკეულნი, მაცთურნი ესე სახელ იდებიან წმიდაჲდ მიხაილ, თეოფანე და თეოდორე, ხოლო მათ მრავალი ურწმუნობაჲ-ყვეს და ბოროტი თჳსითა ბოროტ ბრძნობითა შორს განდევნილ არიან, ვითარცა განდგომილნი ესე არიან იერუსალიმით და ამას სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტიპოლის, არამედ არა დასცხრენ თჳსისა ბოროტად სწავლისაგან ერისა და მათ დავაწერეთ სახეთა ზედა, ვითარცა ბოროტისა მოქმედთა, განიკიცხვიან და განიძებიან ამიერ და წარვგზავნეთ იგინი ექსორიად, ხოლო მუნვე მიიცვალა წმიდაჲ თეოდორე, ხოლო ჟამსა მისისა აღსრულებისასა ისმოდა ანგელოზთა გალობაჲ საწადელი და იგიცა მგალობელად მათ თანა ისმინეს, ხოლო თეოფანე ცხოვრებდა განძებულად ვიდრე სიკვდილამდე თეოფილისა მიერ.

ესრეთისა უკუჴ მიზეზითა წმიდაჲ მიხაილ პროტოსინდელი წმიდისაჲ იერუსალიმისა საყდრისა და მოწაფენი მისნი არცაღა ერთიღა მიიწია რომედ, ხოლო პაპა ლეონ ხედვიდა ერსა ღმრთისასა წარწყმედილსა პირველჴსენებულთა მწვალებელთაგან კარულისათა და შემწენი არა სადათ ეპოვნეს და ვერღარა გულისჴმაჲ-ეყო. რაჲ ვითარ ეყო, ამისთჳს დასწერა ფიცართა ზედა აღსარება მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა და აღაკრნა კედელსა ზედა ეკლესიისათა, რათა მხილველნი აღმოიკითხვიდენ და აღიარედენ ძესა მამისაგან შობილსა და სულსა წმიდასა მამისაგან გამოსულსა, ესე ქმნა დამტკიცებისათჳს მორწმუნეთა და შემუსრვისათჳს წვალებათა კარულისათა.

ხოლო შემდგომად მიცვალებისა ლეონისა იქმნა პაპად ვენედიკტე, ესე იყო ნათესავით ლათინელი და იყო ორთავე ენათჲ და წიგნთა სწავლულ-ლათინთა და ბერძულისაცა, ეგრეთვე ორთავე ენათა და წიგნთა სწავლულ, ლათინთა და ბერძულისაცა, ეგრეთვე ორითავე ენითაჲ აღსწერა აღსარება მართლმადიდებლობისა სჯულისა, რომელ არს „მრწამს ერთი ღმერთი“ და უბრძანა ყოველთა ქრისტიანეთა თქმად, ბერძენთა და ლათინთაცა, შესამუსრველად პირველ თქმულთა მწვალებელთა და საცთურიანთა სწავლათა მათთა არა სმენად, ხოლო მისწერა პაპამან ვენედიკტე სამთა პატრიარქთა კოსტანტინეპოლისასა, ალექსანდრისასა და იჭრუსალიმისასა, რათა შემდგომად მიცვალებისა მისისა არღარა მოიხსენონ მოსახსენებელთა შინა წმიდათა ეკლესიათასა რომისა პაპა პაპად და უფროსად, ვიდრემდის არა აღიარონ

მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ, ვითარ რწამთ, რამეთუ დაფუნძდა რომესა შინა ბოროტი წვალებაჲ და ყოველნი წარსაწყმედელსა შინა მიეცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ განირყვნეს და ბიწი ქმნეს მწამებელნი სულისა წმიდისაჲნი იტყვიან, ვითარმედ: „მამისაგან და ძისაგანცა გამოვალს სული წმიდაჲ“ და უცომოთა კმიადითა სწირვენ და უმრავლესნი სხუანიცა წვალებანი არიან. ხოლო პირველად ვენედიკტესა იყო პაპად რომისა პირველი ანდრიანე, მეორე ლეონ, გ. სტეფანე, დ. პასხალ, ე. ევგენი, ვ. ვალენტინე, ზ. გრიგოლი, ლ. სერგია, თ. ლეონ, ი. იოანე ანგილიანე, ია. ვენედიკტე, მეთორმეტე ნიკოლა პატრიარქი, ხოლო კოსტანტიპოლეს მას ჟამსა შინა იყო ფოტი პატრიარქი, რომელი იყო მეფობასა ვასილი მაკიდონელისასა, მეცამეტე ანდრიანე, მეთოთხმეტე იოანე, მეთხუთმეტე მარტიანე, მეთექვსმეტე სხუაჲ ანდრიანე, მეჩვიდმეტე სტეფანე. ესე ყოველნი მართლმადიდებელნი და ერთკმანი ოთხთა მსოფლიოთა პატრიარქთა თანა.

ხოლო შემდგომად პაპა სტეფანესა მეფობასა მეფისა ლევისასა, ბრძნისა ბასილის შვილისასა, იყო რომს შინა პაპად ფორმოსი, გალატიითგან მოსრული, და ჰქონდა მას წუალება აპოლინარისა და მაკედონისა და ორიგინესი და სხუანი წვალებანი შერთებულნი კარულისა წუალებისანი. ხოლო ერმან მართლმადიდებელმან არა უწყოდეს მას შინა ფარულად დამკვიდრებული გესლი შემქმელი წვალებისა და შეიწყნარეს პაპად რომისა, ხოლო მან დასწერა აღსაარება მართლმადიდებლობისა სარწმუნოებვისა ზაკვითა და მაცთურებითა და წარუგზავნა ოთხთა პატრიარქთა მიმართ, მოქმედთა მართლისა სარწმუნოებისათა, მიიღო პური იუდა კელთაგან დამბადებელისათა და შევიდა გულსა მისსა ეშმაკი და განვიდა და იყო ღამე, მიიღეს რაჲ წმიდათა პატრიარქთა სავსე მზაკვარებითა აღწერილი წიგნი მისი, აუფლეს იგი პაპად და კელთუდვეს რომი და ევროპი და მან მიიღო მსგავსად იუდასა, ხოლო ვიტყვით სახისმეტყუელებით პურად ერსა ღმრთისაჲსა და შესლვასა ეშმაკისასა გულსა მისსა, წინა აღმდგომობასა ღმრთისასა, განსლვასა გარეგან მართლისა სარწმუნოებისაგან, ვითარცა ნასხლევი ქრისტეს ვენაკისაგან მოკვეთილი და განკმელი, ხოლო ღამედ სიბნელესა და ჭეშმარიტად ღამესა წყალებისა მისისათა და ვიტყვი შიშთვილისაგა, რამეთუ ვითარცა იუდა ნებსით თავი თუსი მოიშთო და არა სადა წერილ არს კსნა მისი, არამედ დაუსრულებელად და საუკუნოდ დაესაჯა მიცემა ჯოჯოხეთისა, ეგრეთ ფორმოს, გარეგან ცხოვრისა ტყავითა მოსილმან და შინაგან

მგელმან მტაცებელმან, მიიღო საუკუნო სატანჯველი, რომელი დასაბამ იქმნა წვალეებისა და ოდეს მოვიდეს უფალი სავენაჯისა, რომელი ალაოჯრა ბნარგვმან და ეშვმან მძუნვარემან, კელთა მისთაგან იდიოს სისხლი სულისა მათისა, ხოლო ჩუენ პირველისავე სიტყუაჲსა მოვიდეთ.

ხოლო ოდეს დაადგინეს იგი პაპად, იწყო მან სწავლად ერისა ეგევითართა წვალებათა მიმართ მორწმუნეთა და იტყოდა სულისა წმიდა მამისაგან და ძისაგან გამომავალსა და ბრძანა უცომოთა წირვა. ესე იგი არს სეფისკვერთა შინა ცომისა და მარილისა არა შთადებად, არცა აღრევად ჰურიათა სარწმუნოებისაებრ, გინა, ვითარცა ურწმუნოსა აპოლინარისაებრ უსულოსა და მკვიდრისა კორცითა წირვა, ხოლო ჩვენ ესრეთ ვიტყვით, რომელი უკუჲ არა არს ჩაყენებულ იგი არცათა აფუვნებულ არს, ხოლო უმარილოდ ესე არს, ერთი კაცი სრული გვამითა და სახითა, გარნა უჭკო და უცნობო.

ხოლო სხუაცა მცნება ჰქადაგა რომაულად, სახელისდვა, პურლატორიემ, რომელი გამოითარგმანების განსაწმედელი ცეცხლითა, ვითარ თუმცა ცოდვილისა კაცისა სული შთაჲდა ცეცხლსა ჯოჯოხეთისასა და დაიწო იგი და იტანჯა რომლად ჟამდმდე, გარდაიჲდა ცოდვათა თუსთა ვალი და თანამდები და განერა და ესრეთ განერა, ვითარცა ცეცხლისაგან განწმედილი ოქრო, გინა ვეცხლი, ესე მოიღო ორიგენიეს წვალებათა უაღრესისაგან და ბრძანა ყოველსა სამწყსოსა თვისსა და ერსა ზედა სწავლად, ვითარმედ სულთა განწმედად ცეცხლითა განსაწმედელითა და ჯოჯოხეთითაგან სამოთხედ მოსლვად და მართალთა სულთა თანა შერთვად, რამეთუ დაივიწყა კმაჲ წმიდისაჲ სახარებისა, გლახაკისა ლაზარესთუს და მდიდრისა აბრამისა სიტყვისა წამებითა, ვითარმედ დანახეთქი საუკუნო და ვერ შეძლებად შორის მათსა წიადსლვა ურთიერთას გამოაცხადებს შორის მართალთა და ცოდვილთა. ცოდვილთა გამოსლვად კუალად და მისლვად ჯოჯოხეთითგან სამოთხედ და არცა ძველისა სჯულისა წერილთა შინა, სადა წერილ არს, თუცა სადა ითქმის სიკვდილი მეყსეულად საუკუნოდ და არა ჟამისად ცხოვრებისაცა და წარწყმედისაცა, ვითარცა იგი უფალი და ღმერთი ჩუენი იესო ქრისტე მრავალგზის ბრძანებს ახლისა აღთქმისა სახარებასა შინა დაუსრულებელად და საუკუნოდ ტანჯვასა ცოდვილთა უნანელთასა, რომელი წერილთა სიმრავლისათუს მოწამენი

დავიდუმეთ, არამედ ვიწყობთ მისივე ზემო წერილისა სიტყუაჲდ. ხოლო სწავლა იგი ფორმოსისა პაპისა ყოველივე კეთილად შეიწყნარეს ბოროტი იგი სწავლა, ხოლო აქეთგან განემორნეს სრულიად საბერძნეთისა მართლმორწმუნეთა ეკლესიისა სარწმუნოებისაგან და წმიდათა ოთხთა პატრიარქთა ერთგმობისაგან.

ხოლო შემდომად ამის პაპისა ფორმოსისა, რომელი დასაბამ ექმნა და მწვალებელთა უაღრეს იყო, იქმნა მეორედ ვონიფანტი, მესამე რომანოზ, მეოთხე სტეფანე, მეხუთე თეოდორე, მეექვსე იოანე, მეშვიდე ვენედიკტე, მერვე ლეონ, მეცხრე ქრისტეფორე, რომელნი იყვნეს ერთგმანი ფორმოსისა მწვალებელისანი და ოთხთა პატრიარქთა ესრეთ სწერდეს და სჯულად დადგეს, ვითარმედ სული წმიდაჲ მამისაგან და მისაგან გამოვალს და უცომოთა ჯერ არს წირვა და სხუაინი მრავალნი და ბოროტნი წვალებანი, ვითარცა წყეულმან ფორმოსი უმოძღვრა განლიგებულმან ეშმაკთაგან.

ხოლო მეშვიდისა მსოფლიოსა კრებითგან ვიდრე ქრისტეფორემდე წელნი ორას ორმეოცდათექვსმეტი პაპად რა დასვეს იგი. ხოლო მეფობასა ვასილი ბოლდარ წარწყმედულისასა იყო კოსტანტიპოლეს პატრიარქი სერგი, წელსა ექვსი ათას ექვსას ორმეოცდაათორმეტსა, ამან განაძო წერილითა პაპა რომისა განზრახვითა სამთა პატრიარქთათა, საღთოსა წერილითა, რაჲთა მოიქცეს პირველსავე წესსა მართლისა სარწმუნოებისათა.

ხოლო იგინი დამტკიცდეს თვისთა საცთურთა ზედა და არა ინებეს მოქცევა, არამედ განდგეს ბერძნისა წესთაგან და ოთხთა პატრიარქთაგან მართლმადიდებელთა. და იწყო რომმან ცვლა წესთა და იყვნეს მტერნი ბერძენთანი უკანასკნელამდი ყოველთა მართლმორწმუნეთა მდევნულ და მრავალნიცა სხუაინი ქუეყანი და ქალაქნი აცთუნეს თჳსითა საცთურითა, რომელ არიან პიონნი, რომელი სახელ იდებიან უღრნი.

ხოლო იხილეს, ვითარმედ მიიღეს პარსთა, წარმართთა რუსთა წმიდაჲ ნათლისღება და ნათელ-იღეს, მივიდნენ სამნი მთავარნი უღრისანი კოსტანტიპოლეს, რომელნი ითხოვდეს წმიდა ნათლისღებასა. ნათელს-ღეს და მიიქცნენ თჳსად ქალაქად, ხოლო მდდელთმოდღვარი ბერძენთა ვერღარა მივიდა ქუეყანასა მათსა ბარბაროზთა აღდგომისათჳს კოსტანტინოპოლესა ზედა, რაჲთამცა განესწავლნა

იგინი და მიეცა საღთოი წერილი, ამისთვის თვისითა ენითა უღრთა არა ჰქონდათ წერილნი და შემდგომად ამისა ერთმან მთავართაგანმან, სახელით სტეფანე, შეავედრა სული თვისი უფალსა, რომელსა ექმნეს მრავალნი კეთილნი.

რამეთუ ხედვიდეს ლათინნი უძღურებასა ბერძენთასა და მივიდეს რომითგან უღრად და აცთუნნეს იგინი. და შეიერთნეს იგინიცა ლათინელთა წვალებასა და ეგრეთვე სიახლოესა მათსა მყოფნი წარმართნი: უდნი, პიდნი, ფრაგნი, პოლიაკნი, ლიხნი, ჩეხნი, და სხუანი წარმართნი მიაქციეს რომაელთა და შეიერთნეს იგინი თვის თანა მაცთურთა. ხოლო სერგია პატრიარქმან და სხუათა პატრიარქთა სოფლისათა პაპა რომისა არა საყდართა შინა, არამედ პირადცა არღარა ახსენებდეს, არამედ განაძეს იგინი და წყევა მიაგეს მათ. ხოლო მეფობასა მიხაილ პეფლადონისასა ბერძნისა მეფისა იყო პატრიარქი კოსტანტინეპოლის კირლარი. ხოლო მანცა ეგრეთვე წყევა ლათინნი, რომელნი იქმნეს ცხადად მწვალებელნი, ვითარცა უგუნურნი და უმეცარნი და ვითარცა უცებნი განბრჭობისანი, არამედ ბოროტ მბრძნობელობითა თვისისა ავცნობილობისაგან ამპარტავან-იქმნეს და მრავალნი, კეთილისმყოფელ ღმერთი მათგან განვიდა.

ხოლო შემდგომად პეტრე ღუღნივმა მიიღო საყდარი რომისა, ხოლო ამან მორწმუნეობით ნაკლულევანმან სრულიად ბოლომდე აღმოფხვრა სჯული მართლმადიდებლობისა და სრულიად იტალია აღაშფოთა და მრავალნი ბოროტნი წვალებანი დასთესნა, მღდელთა უბრძანა შვიდ-შვიდგზის ცოლთა ყოლებაი და ხასანიცა რაოდენიცა, რომლისა რაოდენი უნდეს ცოდვად არა შერაცხვად. ხოლო ორღანოთა, ტინპანთა და მუზიკთა ბრძანა ეკლესიასა შინა დაკვრად, წვერთა და უღვაშთა ყოველთა მოპარსვა, ვითარცა კაცთა, ეგრეთვე ქალთა უაღსარებოდ და უნანელად შენდობა ცოდვათა და სხუაი ჟამთა ცოდვათა არა დაკვეთა.

ხოლო სვინაქსარი ესე არს წმიდათა სამარადისოდ სახსენებელი და დღესასწაულნი სხვისა წესითა შეცვალნა და სხუაი ჟამსა დააწესნა და ცხოვრებაი ყოველთა წმიდათა აღწერა შემსგავსებულად ეშმაკეულობისა თვისისა სჯულისა, რომელ განაწესა და სრულიად განრყვნა განრყენილმან და მსგავსად სამარისა დაყროლებულმან და შაბათისა მარხვა ჰურიათაებრ დასდვა და ეგრეთვე ნათესავთა შერევა, რამეთუ ურთიერთას ქორწინებად შეუნდობდა, ვითარცა იგი და უჟამურსა

ცოდვასა და ძალთა და კაცთა ერთსა ჭურჭელსა შინა ჭამა და სხუადცა მრავალი ურჩულობაჲ დასთესნა, რომელი არა ჯერ არს თქმად წვალეზანიცა და წესნიცა და შეგინებული პირი თვისი ალაღო დამცირებად უსახობასა თუსისა ბოროტ ბუნებისა და ღირბად მცოდველმან წმიდათა ეკლესიათა ღმრთისაჲთა. ხოლო უწინარეს ამისა დარღვეულ იყვნეს მრავალნი წვალეზანი, რამეთუ ლათინნი განყოფილ იყუნეს ეკლესიისაგან და შეყენებულ წყევასა ქვეშე.

ჟამსა მეფისა კოსტანტინე მანამახისა პატრიარქმან მიხაილ კრებაჲ ქმნა ეკლესიათა და წმიდათა განზრახვითა და ეგრეთვე პაპა რომისა და ყოველნი მწვალეზელნი დასწყევეს, რათა იყვნეს იგინი წყეულნი და შეკრულნი, ხოლო პაპა მრავალჯერ ლათინთაგან დაიდგინა მეფედცა რომისა და არა ინებეს სმენად მეფისა, არცა პატრიარქისა და ერთკმათა წმიდათა მათ.

რამეთუ პაპამან ზრახვა-ჰყო რომაელთა თანა და ესრეთ განიზრახეს, ვითარმედ წარვგზავნოთ ბრეტანიას მთავარსა ლამანკოვთან. ესე არს ფრანგთა შერიგებისათჳს, ამისთვის რამეთუ ბრიტანიის ჭალაკსა შინა, დიდის მეფის კოსტანტინეს ჟამთა მიეღოთ წმიდაჲ ნათლისღებაჲ, ხოლო წიგნნი თუსისა ენასა ზედა თარგმნილნი არა აქვნდათ, არამედ ლათინურისა ენითა აქვნდათ და სამარადისოდ მტერ იყვნეს რომაელთანი, ხოლო პაპი შერიგდა მათ და დაუმტკიცა დიდისა წყევითა, რათა იყვნეს მარადის ალამანოვისა შერიგებულნი და სწამდეთ ერთი სარწმუნოებაჲ და მისთვის დაჰპირდა ვრიტანიის მეფის დასმასა, ხოლო მათ მეფობისა სახელისათჳს და მისთვისცა, რამეთუ აქვნდათ მათ წიგნნი ლათინთა ენასა ზედა და შერიგდეს რომაელთა, ხოლო პაპამან აცთუნნა იგინი თუსითა სწავლითა და ასწავნა მათ თუსისა ეშმაკეულებისა წვალეზანი ყოველნი და მოიკმო რომედ მთავარი მათი უაღრესებითურთ და დაადგინა იგი მეფედ და დაწერა სჯული, რათა ლათინელთაგან დაისმოდეს პაპა რომისა და ბრიტანიას მეფე ალამანისაგან. ადგილად ბერძენთ მეფისა და ეგრეთვე დიდთა ქალაქთა შინა ოთხთა წმიდათა პატრიარქთა წილ და მართლმადიდებელთა თუსსა სამწყსოსა ოთხნი პატრიარქნი, ხოლო და სახელითა ცალიერნი ყოვლისა კეთილისაგან, რომლისა იტყვს მოციქული შემდგომად ჩუენსა და თქუენსაო, ეტყვის მართლმადიდებელთა, ვითარმედ შემოვიდნენ მგელნი მძიმენი, რომელი არა ერიდებოდიან სამწყსოსა თქუენსაო. მძიმენი და მგელნი

ჭემმარიტად, რამეთუ დაუმძიდა წმიდა ეკლესიასა მართლმორწმუნეთასა. ვიკადრებ, თუთ ქრისტესა თანა მამით და სულით წმიდით, მგლად შეცვლა მათი და განხეთქილობაჲ სამწყსოსა თუსისა, რომელი მათ ყვეს წვალეებითა თუსითა ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე და განარისხეს სჯულის მომცემელი ღმერთი, ვითარცა მოსე ისრაელთა და არა ისმინეს მისი, ხოლო მან შემუსრნა ფიცარნი სახედ ლათინთა, რომელთა არცა წმიდათა ისმინეს, რომელთათუს შეიმუსრა ფიცარი იგი მართლმადიდებლობისა და მისცნეს თავნი თვსნი ნებსით წარსაწყმედელსა, ხოლო მოსე კუალად მოიხვნა მეორენი მცნებანი დასამტკიცებელად ისრაელთა, რომელიცა განამტკიცნეს, ხოლო რომაელთა და ლათინთა ორივე მცნებისა ფიცარნი შემუსრნესცა, არცა დაიმარხნეს, ხოლო ისრაელთა აქვნდა სჯულისა იგი კიდობანი სავსე სამსახურებელითაცა წმიდისაჲ წმიდათასა და ფიცარნიცა მას შინა, ხოლო ლათინელთა კიდობანი ცარიელი აქვსთ, რამეთუ რომელი ახლად ისრაელად განაწესეს და სახელ სდვეს ქრისტიანედ წმიდათა მოციქულთა ნიშებ შემოსილთა წმიდათა მართლმორწმუნეთა კრებათა, კმისა არა ისმინეს, არამედ განდგეს-ყე და წინააღმდგომ იქმნეს თუსისა მუცლისა მეზღაპრეობითა, ქმნეს ესე ყოველი ბოროტი და ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წმიდა, ამისთვის ჭემმარიტად არცა პირველისა სჯულისა მცნებათა თანა აქვს ნაწილი, არცა ახლისა, რამეთუ ორთაგან ცალიერ არიან მინდობილნი მსოფლიოსა წარმავალისა და გცევადთა საწუთოსა სიბრძნისა ბრძნობისა, გინა არსებისა მყოფისა, უმყოფისა, მყარისა და ცვალებადისა უცვალებელისა, მკურნალობისა მწამლელობისა, ყოვლისა სოფლიოსა კელოვნებისა, მზომელობისა აღრიცხვისა, ვარსკვლავთ მრიცხველობისა. მოგვობისა, მთვარის და მზისა მოქცევთა და წყალთა ბუნებისა, ნოტიობისა და სიკმელისა, ცეცხლისა ბუნებათა, ნებებათა და მოქმედებათა შობისა უშობელისა დაღაცათუ ჟამსა ამათგანი, რომელიმე საკმარ არს ესე ყოველი მსოფლიო და წარმავალი არს სამისა და მადლისაგან ცალიერი კიდობანი რომთა ლათინთა და ესრეთ ჰაერად განიბნევის მადლი და ცხოვრებაჲ მათი და გარეგან ვენაკისა მის უფლისაჲ საბოოთისა იპოებიან.

ხოლო ჩუენ ახლისა ამის ისრაელისა მართლმორწმუნეთა და მორჩილთა ნებისა ღმრთისაჲთა და სულითა განათლებულთა და მადლითა ღმრთისაჲთა და სულისა წმიდისაჲ აღვსებულთა, წმიდათა მსოფლიოთა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან მოცემული სარწმუნოებაჲ ქრისტესი გვიპყრის და შეგვიმოსიეს, ქრისტე

პირველითგან უკანასკნელადმდე. მოვედით, ჰ, განდგომილნო შვილობისაგან და შეწევნისაგან ღმრთისაჲ და წმიდისაჲ ეკლესიისაგან, შვილნო და მორჩილნო ემმაკისანო, ლათინნო, ფარმოსიანნო და ლუნდიანნო და ლუდა შემოსილნო და არა ქრისტესი. გიჩვენოთ ჩუენი რჯულის კიდობანი სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა, რომლისა ბრძენთა ენასა ვერ ძალუც გამოთქმად ქებულებისა მისისა თქმად და არცაღა გონებისა მიწდომად სიკეთისა მისისა და სიწმიდისაჲ. რომელი წინასწარმეტყუელთა პირველივე მოასწავეს, ტაკუკად ოქროსა მტკრთველად მანანასა, ტაბლად პურისა მის ცხოვრებისა და ბჭედ აღმოსავალისა ოქროსა დაჯშულად და მშობელად ევმანოელისა, რომელ არს „ჩუენ თანა არს ღმერთი“ და „ქრისტე ძე ღმრთისაჲ“, ხოლო თქუენ თანა ფორმოს, ლუნდი და ემმაკი და მეოთხე ნაწილნი მათი თქუენ აწინდელნი პაპნი და ერი მისი, რამეთუ არცა ხოლო მარტო ოთხნი, არამედ ერიცა თქუენი სიტყვისა თქუენისა მორჩილნი, ვითარცა ცხოვარნი შეჭმულნი თქუენ მგელთაგან.

ესე კიდობანი სჯულისა წინასწარმეტყველთაგან მოსწავებული, მოციქულთაგან მსახურებული, მღუდელთ-მოდრვართაგან დამტკიცებული, მოწამეთაგან აღსარებული, მამათაგან ძრწოლით თაყუანისცემული, მამადმთავართა სიქადული, რამეთუ თესლისა მათისაგან აღმოსცენდა უბიწოდ მშობელი ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, რომლისაგან ძრწიან სერაბინნი და პირთა მათთა დაიფარვენ ქერაბინნი, ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაიტია კიდობანმან მან სჯულისამან, ყოვლად უხრწნელმან და უბიწომან, გულის სიტყუათა უალმან, უვრცელესმან ცათამან, უდიდებულესმან ქერობინთამან, უწმიდესმან ყოველთა ზეცისა და ქუეყანისათამან, ღმრთისმშობელმან მარიამ, რომლისა მშობელიცა და შობილიცა მისი გვრწამს, შობილი ძედ ღმრთისად და მშობელი ღმრთისმშობლად, რომელი თქუენ განუდევით და მტერ და წინააღდგომ ექმენით ყოველთა მცნებათა მისთა და შესცუალეთ სჯული და ყოველი წესი სულისაგან წმიდისაჲ და წმიდათა კრებათაგან დამტკიცებული, ესე იგი არს მართლარსარებაჲ წმიდისა სამებისა და მცნებაჲ სახარებისა და ჭეშმარიტად ძველისა და ახლისა სჯულისაგან განვრდომილნი, ვითარცა თივა, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნების.



ოდეს დასცეს საყვირსა ბრძანებამან ღმრთისაჲმან მთავართანგელოზისა მიერ, აღდგენ მკვდარნი, უმეტესად მაშინ სცნათ უბადრუკებაჲ თქუენი, ამიერ ვიწყოთ პირველთავე სიტყუაჲთა და დაუტეოთ სიტყუაჲ სიგრძისათჳს წერილისა და ვიტყოდით ოთხნი პატრიარქნი დაადგინნა, რომელსა სახელსდებენ კარდინალად და ესრეთ სრულიად ვიდრე აქამომდე განემორნეს მართლმადიდებლობისა სჯულისაგან და მტერ იქმნეს ბერძენთა და მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა კათოლიკე ეკლესიისა. ამინ!

### **კულად მათესგე ლათინთა წულეებათათჳს.**

ხოლო შემდგომად ამისა პაპამან რომისამან მოუვლინნა მოციქულნი, რომლისა სახელი სერგი კოსტანტილოპის მეფისა ანდრონიკესა თეოლოღელისა. წარვიდეს კარდინალი იოანე აზიმიტი და მის თანა ლათინელთა მოსწავლენი ფილოსოფოსნი და მივიდეს კოსტანტიპოლის და მოართვეს მეფესა ცხენი შეკაზმული და აღვირითა და სახე პაპისა ეტურთა კარდინალისა და ბეჭედი ეცვა ცერსა მისსა.

ხოლო მეფე გარე განვიდა ბჭეთა პალატისათა და თაყუაჲნისცა სახესა პაპისა მოაგდილისასა და თქუა: „მრავალჟამიერ იყოს მეუფეო წმიდაო“, ეგრეთვე თაყუაჲნისცა კარდინალმან მეფესა და სხუაჲთაცა მოსწავლეთა და ფილასოფოსთა ლათინელთა და იტყოდეს: „მრავალჟამიერ-ყოს ღმერთმან მპყრობელობა შენი, წმიდაჲ პაპა გრიგოლი აკურთხებს სამეფოსა შენსა“ და აქვს იგი კარდინალმან და სხუაჲთაცა და მიიღო მეფემან საკედარი შეკაზმული და წარიყვანეს თვისად და თქუა მეფემან მათდა მიმართ: „უაღმატებულობაჲ რომისა სამოციქულოსა ტახტისა, პაპა მრავალჟამიერ-ყოს უფალმან“ და შე-რა-ვიდა მეფე პალატად, იყვნეს მუნ შეკრებულ ყოველი მართლმადიდებელი ერი და ფილასოფოსნი.

ხოლო მათ შორის პირველნი დიდი ლოლოფეტეფეოს თეოდორე წკანდილე და ნათესავი მისი პაპილე და იოსებ, რომელი იყო მას ჟამთა შინა მლუდელთმთავარი და ამათ თანა სხუაჲნიცა მრავალნი ადგილისანი ქრისტიანენი, ხოლო მათ თანავე იყო იოულე, რომელსა ესხნეს მოწაფენი სამას ოცდაეთექვსმეტი. და იწყეს კარდინალისა თანა სიტყუაჲდ სჯულისა, შემდგომად სიტყვისა მათისა აღდგა ერთი ფილასოფოსი

ბერძენი, კოსტანტინეპოლისა პანალიოსი და დადგა წინაშე მეფისა შორის ყოველთა. მუნ შეკრებულისა ერისა სიტყუად განემზადა, პირველად აღიპყრნა კელნი თჳსნი უფლისაჲ, ღმრთისაჲ მიმართ და თქუა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა და ქალწულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისათა დაამტკიცე გული ჩემი მეუფეო და გონება ჩემი გონიერ ჰყავ. მომეც მე სიტყუად სიბრძნისა, რათა არა სირცხვილეულ-ჰყონ სჯული მართლმადიდებლობისა, არამედ რათა სირცხვილეულ-იქმნენ ყოველნი მტერნი შენნი“-ესე ვითარცა თქუა.

ესრეთ ჰქუა აზიმიტისა: „თქუ აზიმიტ მწვალებელო, დაბნელებულო, ბოროტად დიდებულო, რასა ითხოვ, გინა რასა ეძიებ, პირველად შენ გკითხავ, რომელიცა გნებავს, მაუწყე მე“

ჰრქუა აზიმიტმან: „რაოდენსა ბუნებასა აღიარებ, რაოდენთა გუამთა, რაოდენთა სულთა?“

პანალიოს თქუა: „პირველ შობისა იკითხავ, ანუ შემდგომად შობისა?“

აზიმიტი : „შობითგან“

პანალიოს: „ორსა ბუნებასა, ღმრთაებისა და კაცებისასა, და სამსა გვამოვნებასა : მამასა, ძესა და სულსა წმიდასა, სამებასა ერთარსებასა“

აზიმიტი: „სადა განისვენებს ღმრთაებაჲ?“

პანალიოს: „ღმრთაებაჲ მისი განისვენებს სულსა შინა კეთილთა კაცთასა, ვითარცა განისვენებდა წმიდათა მოციქულთა ზედა და ეგრეთვე განისვენებს მოწყალეთა და კეთილისმოქმედთა თანა, ხოლო სული არაწმიდებისა იმყოფების, კაცთა შინა ბოროტთა და სისხლისა დამქცევთა და უმოწყალოთა , ვითარცა თქუენ ფრასთა და ლათინთა შინა იმყოფების სული არა წმიდებისა“

აზიმიტმან : „ანგელოსნი სადა არიან?“

პანალიოს: „სადაცა ბრძანებაჲ მიცემულ არს მათდა ღმრთისა მიერ, წინაშე საყდართა ღმრთაებისათა და ყოველთა ზეცისა მკედრობათა შინა და სადაცა მიიწევინ ბრძანებითა დამზადებელისათა“

აზიმიტი: „მოციქულნი სადა არიან?“

პანალიოს: „სადაცა დადგინებულ არიან, მუნვე არიან“

აზიმიტი: „მართალთა სულნი სასუფეველსა შინა არიან და ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა?“

პანალიოს: „არა, მართალთა სულნი უკუჲ ადგილსა ნათლისასა, ხოლო ცოდვილთა სულნი ადგილსა ბნელსა მოელიან მართალსა და დიდსა დღესა განსჯისასა, მართალნი უკუჲ იხარებენ და განისვენებენ, მომლოდნელნი წყალობისა ღმრთისაჲ, ხოლო ცოდვილთანი დათრგუნვილ არიან, იჭმუნვიან და ტირიან მომლოდნე განსჯისა საუკუნოსა, ვითარცა თქუენცა წყეულნი ლათინნი“

აზიმიტი: „რომელი შექმნა უფალმან უწინარეს, ცაჲ, ანუ ქუეყანაჲ?“

პანალიოს: „ცაჲ, მისთვის ოქროპირი განკურვებით იტყვის, რამეთუ შემოქმედი პირველად დააფუძნებს და მერმე დაფარავს, ეგრეთვე ღმერთმან ცაჲ პირველად დააფუძნა, ქუეყანაჲ და დაფარნა მით“

აზიმიტი: „რომელი უფროსი არს, ცაჲ ანუ ქუეყანაჲ?“

პანალიოს: „ცაჲ, ამისთვის, რამეთუ ყოველი საფარველი, უფროს არს საფუძველისა, როდეს ქალაქი არა იყოს დაფარულ, წარკდების საფუძველი მისი და დაირღვევის“

ხოლო ჰქონდათ მათ მრავალნი მეტყველებანი ღმრთისაჲ და ნივთთა, მზისა და ქუხილისა და საღმრთოთა წერილთა, ფილასოფოსისა და რიტორებისა.

და კუალად პანალიოს ფილასოფოსმან ჰქუა აზიმიტსა: „რომლისა მიზეზისათვის ხუცესნი თქუენნი და ყოველნი მოსაყდრენი იკვეცენ წვერთა მომიგე მე?“

აზიმიტი: „რამეთუ მოვიდა ანგელოზი უფლისაჲ, ღმრთისაჲ პაპისა თანა და ჰქუა მას: უკეთუ გნებავს ანგელოზებრივი ყოფა, აღიპარსენ წვერნი შენნი და თმანი, ამისთვის, რამეთუ ანგელოზნი უწვეროდ წინაშე ღმრთაებისა ტახტისა მდგომარე არიან“

პანაღიოს: „არა არს ეგრეთ, არამედ არა ჭემმარიტებით სთქუ ეგე. ისმინე, ჩემი აზიმიტ, რომელი ესე ჭემმარიტსა გითხრობ შენ, ამისთჳს, უკეთუ თქუენ დაიდუმოთ. წერილ არს, ქუეყანიცა იწყებენ ღაღადებასა.

პაპასა თქუენსა ნებვიდა, რათა ყოლოდა მას ცოლი და გაუგზანა რომელისამე მიმართ ქალისა ქმნილ კეთილისა, რათა მივიდეს სარეცელსა მისსა ზედა, ხოლო ქალმან მან შეუთვალა მას, უკეთუ გნებავს, რათა მოვიდე სარეცელსა ზედა შენსა, მოიპარსე წვერი შენი, ხოლო პაპამან ისმინა მისი და მოიპარსა წვერი თჳსი და მის ზედა თმანი და წარუგზავნა მას მსწრაფლ და მიუმცნო, აჰა, აღმიპარსავს თმანი ჩემნი, მოვედ აწ საწოლსა ზედა ჩემ თანა, ხოლო მიუგო ქალმან მან, რამეთუ მოიპარსენ წვერნი შენნი და ყოველთა მიმართ სარცხვენელ იქმენ და ნებსით თჳსით წარსწყმიდე სული შენი და პატივი შენისა მღუდელთმთავრობისა დასთრგუნე, საცინელ იქმენ ეშმაკთა ჩემ უბადრუკისა და შეურაცხისა ქალისათჳს და ჩემისა მუცლისა ქვეშეთისა ბალნისა ნაცვალ ჰყავ წვერი შენი. ცხოველ არს უფალი ღმერთი, მე არა მნებავს მოსლვა შენ თანა საწოლსა შენისა სიბილწისასა. მაშინ იყო პაპა თქუენი დიდსა მწუხარებასა შინა და ზრუნვასა თუ რამე-ყოს, გულისჴმა-ჴყო, რამეთუ ქმნა ბოროტად და განიზრახა პაპამან, რათა მოგავრონ მას ორ ჴუნდნი ტრედთანი, ესრეთ განსწავლნა იგინი, სადა წარვიდის პალატად ანუ სენაკად თანაჴყევებოდეს მას, რამეთუ აჴამის მათ ყურთა შინა თჳსთა, ამისთჳს მჴართა დაასხდიან, ვითარცა დედასა, ეგრეთ ეთაყვანიან, ხოლო საქმისა ამისთჳს ფრიად უხაროდა პაპასა თქუენსა, რომელი იჳდა სენაკსა თვისსა, უშვერისა საქმეთა ქმნისათჳს.

განაზრახა ეშმანმან, სხუად უბოროტესი განზრახვა და შესძინა მრუშებსა, კაცთა დაბრკოლებად, რამეთუ ჭემმარიტად ემრუშა ქრისტეს ეკლესიასაცა შეერთო მრავალსა წვალებასა.

წარგზავნნა ებისტოლენი ყოველსა ქალაქსა და სამწყსოსა თÁსსა, ყოველსა (A-31რ)ადგილსა, ყოველთა ეპისკოპოსთა და მღუდელთა თანა და დიაკონთა და შემოკრბეს ყოველნი მისსა.

ხოლო პაპამან შეკრიბნა იგინი ეკლესიისა შინა და წარემართა პაპი და შევიდა ეკლესიისა შინა, ხოლო ტრედნიცა იგი შეყვნეს მას ეკლესიად და დასხდეს ტრედნი მჴართა ზედა მის პაპისათა და კორტნიდეს ყურთა მისთა, ვითარცა ჩვეულ იყვნეს

ჰმევად ყურთა შინა მის პაპისათა. ჰქუა პაპამან ყოველთა ეფისკოპოსთა მღდელთა და დიაკონთა: „მშვიდობა თქუენ თანა, ისმინეთ ძმანო და შვილნო ჩემნო და ეკლესიისანო, ვითარმედ მნებავს რაჲმე თქმად თქვენდა მომართ სიყუაღრულისა და მშუდობისა თქუენისათჳს, რამეთუ ცნობილ ვიქმენ მე ცხოვნებისათჳს თქუენისა, მოავლინა ღმერთმან ანგელოზი თჳსი ჩემდა ამა ეპისტოლითა სახითა ტრედისათა და მრქვა მე, უკეთუ გნებავს შენ და შვილთა შენთა ყოფად, ვითარ ანგელოზნი ღმრთისაჲნი, რომელი მდგომარე არიან წინაშე საყდარსა ღმრთისაჲსა, აღიპარსენით წვერნი თქუენნი, ვითარცა ესე მე, ამისთჳს, რამეთუ ანგელოზნიცა უწვეროდ მდგომარე არიან წინაშე საყდარსა ღმრთისაჲსა და მეცა, შვილნო ჩემნო, ბრძანებული ღმრთისაჲ აღვასრულე და თქუენცა, შვილნო ჩემნო, ესრეთ ჰყავთ, ვითარ მეცა, რათა ღირს იქმნეთ ანგელოზისა წესისა“, ხოლო მათ რაჲ ისმინეს, წარვიდეს თჳსაგან და მსწრაფლ აღიპარსნეს ყოველთა წვერნი თჳსნი, ხოლო პაპამან იხილა რაჲ თავი თჳსი, რამეთუ არა შეიმუსრა და აღასრულესცა ბრძანებული მისი, განიხარა სიხარულითა დიდითა და ესრეთ თქუენცა ვიდრე დღეინდელად დღედმდე იპყრობთ ამასვე საცთურსა, რამეთუ დედაკაცმან სირცხვილეულ-გყო თქუენ და იპარსავთ წვერთა თქუენთა, ფაჩრისათჳს დედაკაცისა, რამეთუ რაჴამს იხილოს პირი თქუენი, ქერაბინმან გცეს თქუენ მახული და ორად განკვეთილ გყოს თქუენ და ნაწილი თქუენი დადვას ორგულთა თანა, მუნ იყოს ტირილი და ღრჴენა კბილთა.

და კუალად ფილოსოფოსმან კითხა აზიმიტსა და ჰქუა: „კუალად გკითხავ შენ ათცხრამეტთა წვალეზათა თქუენთა, მომიგე მე, ვითარ თქუენ ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელისა არა ღმრთისმშობლად სახელი-სდებთ, არამედ იტყვით, ვითარმედ წმიდაჲ მარიამ, მას წმიდაჲ ჰყოფთ, ვითარცა ერთსა დედათაგანსა, ხოლო ჩუენ ქრისტიანენი ღმრთისმშობლად ვქადაგებთ, ცისა და ქუეყანისა დედუფალსა და მეუფჴსა ყოველთასა, ამისთჳს რამეთუ ღმერთი იშვა მისგან და კუალად გკითხავ, რასათჳს სამთა თითთა არა შეაერთებთ მარჯვენისა კელისათა, არამედ შუბლსა ოდენ შეიხებ და მუცელსა შენსა და გამოისახავ ჯუარსა უფლისასა, ისახავ ორისა თითითა, უკანასკნელისათა და არა შეიჭურები ჯუართა ქრისტესითა, არამედ დასახვა ჯუარსა თქუენისა გარეთ ხედავს და არა შინათ, ვითარ ესე ჩუენ მართლმადიდებელნი შევიმოსებით და ვგმობთ თქუენ ცხოველისმყოფელსა ჯუარსა და კუალად რასათჳს წმიდათა ხატთა არა თაყუაინსცემთ და არა ემთხვევით

სიყუარულითა და შიშითა, რომელი თვით მეუფემან და ღმერთმან ჩუენმან იესო ქრისტემან დააწესა, ოდეს ავგაროზს წარუგზავნა ტილოსა ზედა პატიოსანი სახე თვისი დასახული და აკურთხა მცირე ქალაქი მისი ედესი, ხოლო ავგაროზ დაუსვენა კარსა ქალაქისასა და ყოველი ერი შიშით თაყუანისცემდა და თვით წმიდასა ღმრთისმშობელ მარიამს ქრისტეს ამალღებისა შემდგომად ესვენა მისა და ღმრთისაჲ მისისა ქრისტეს ხატი და თაყუანისცემდა და მსახურებდა აღნთებითა სანთელთათა და კმევითა საკმეველისათა, თაყუანისცემითა, ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი, რამეთუ ლუკა მხატვარი იყო და გამოხატა ხატი წმიდისაჲ ღმრთისმსობელისა, მტკრთველი ყრმისა, უფალი და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი და თაყუანისცემდენ ყოველნი მხილველნი შიშით და სურვილით. შემდგომად მისა აღივსო ყოველი ეკლესია წმიდათა და პატიოსანთა ხატთა მიერ და ყვავის, ვითარცა შროშანი, რამეთუ მას ზედა გამოწერილ არს ყოველი განგებულება ქრისტეს ღმრთისაჲ ჩვენისა და დედისა მისისა და უფალთა ჩუენთა მთავარანგელოზთა და ანგელოზთა. მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მღუდელთმოდვართა, ქალწულთა, მოწამეთა და ნეტართა მამათა, რომელთა ჩუენ მართლმორწმუნენი თაყუანისცემით ხატთა მათთა და აღვამალღებთ გონებითა ჩუენთა მათდა მიმართ სიტყვსაებრ დიდისა ბასილისა, რომელსა იტყვის, ვითარმედ პატივისცემა ხატისა, თვით პირმშოსა მის სახისა აღიწევს, არბამედ თქუენ მოიდრეკთ მუკლთა ეკლესიასა შინა და მასცა განრყვნილსა თქუენ მიერ და გამოსახავთ მიწათა ზედა ჯუარსა ორისა თითითა და ჩურჩნითა ძრავთ პირთა და შემდგომად აღსდგებით და ფერკითა დასთრგუნავთ მიწასა მას, რომელსა იგი დასახავთ ჯუარსა და იქმნებით მბრძოლ ჯუარისა და კუალად მოშთობილსა და უსისხლოდ მკუდარსა სჭამთ და დამშთავარსა და კუალად შთააფსამ მინასა შინა და კუალად განრეცხ და კუალად სახმარ-ყოფ სასმელად და კუალად ძაღლთა აქმევ ჭურჭელსა შენსა შინა და კუალად განრეცხ და სჭამ მას შინა; და კუალად განიბანთ თავთა თქუენთა ვარცლთა, პურთა, საყენთა შინა და ეგრეთვე სამოსელთა თქუენთა შეგინებულთა განრეცხთ და კუალად შთააყენებთ პურთა ვარცლსა მას შინა და სჭამთ და კუალად სჭამთ ნაღველსა ბუსტსა და სხუათა შეგინებულთა ნაწლევთა“

აზიმიტი: „ოდეს პეტრე ილოცვიდა, მაშინ ტილოსა ზედა გამოსახული იხილა ყოველი არა წმიდაჲ, ხოლო ანგელოზმან ჰრქუა მას, რომელი ღმერთმან წმიდაჲ-ყო, შენ ნუ შეგინებულ გიჩსო“

პანალიოს: „ეგე იგავად წარმართთა იყო მოქცევად და სწავლად მის მიერ და არა არს ეგრეთ, არამედ პეტრე ლულნივმან და პავლე სამოსატელმან მათ ყვეს წვალეზანი ეგე და თქვენ მოგცნეს შეგინებულნი წვალეზანი თვისნი წყეულთა მწვალეზელთა მათ და თქუენ ჰყობთ წვალეზათა მათ, ვიდრე დღეინდელად დღედმდე“

და კუალად პანალიოს: „რასათვის ორშაბათსა და სამშაბათსა პირველსა კურიაკესა დიდსა და წმიდა მარხვისასა შეაგინებთ, ოდეს ეშმაკნი ძრწიან და ანგელოზნი იხარბენ და ჩუენ ქრისტიანენი ვიმარხავთ. მაშინ თქუენ სჭამთ კორცსა და ერბოსა და სრულიად ორმოცეულსა დაარღვევთ?“

აზიმიტი: „ჩუენ არა ეგრე გვაქუს, არამედ დედუფალი თეოდორა ქურივი იმარხევდა ფრალითურთ ძისა თვისისა, რომელი შვა და იგიცა ესრეთ ჰყოფდა ამას“

პანალიოს: „არა ეგრეთ არს, არამედ ორითა დღითა თქუენ ურწმუნონი თქუენითა წვალეზითა დაარღვევთ სრულიად ორმოცეულსა და კუალად ოდეს იმარხავთ, მაშინ ალილუიასა არა გალობთ, ვიდრე დიდს პარასკევადმდე და ჯუარსა დამალავთ და იტყვით, ვითარმედ წარვიდა ჯუარი იჭრუსალიმადო, ხოლო ოდეს მოიწევის დიდი პარასკევი, მაშინ გამოაჩენთ და მოუდრეკთ მუალთა თქუენთა მის წინაშე, ეტყვიდ ერსა, წარვიდა ჯუარი იჭრუსალიმს და კუალად მოვიდაო. და კუალად დიდსა შაბათსა დედანი თქუენნი სჭამენ ყველსა, კვერცხსა, სძესა და ერბოსა, ვითარ თუმცა კორცსა იმარხვენ, ხოლო სხუაჲთა დღეთა შაბათსა იმარხვთ ჰურიათაებრ, ხოლო მღდელთა თქუენთა უვის ცოლი. ჰემმარიტად იტყვის წმიდაჲ ბასილი: „არავინ არს ღირს შეკრული კორციელთა გულისთქმათა და გემოთა მიერ. წარდგმად გინა მიახლებად, ანუ მსახურებად მეფეო დიდებისა, არამედ ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან და სულისა წმიდისაჲ მადლთა სავსემან წმიდამან კრებემან შეუნდვეს ერთისა ცოლისა ყოლად, მღდელთა და დიაკონთა და შემდგომად სიკუდილისა მისისა არღარა აუფლეს სხვისა შერთვად უძღურებისათუს კორცისა და უდებებისათუს გვამისა. ბრძანებს ქალწულისა შერთვად, რამეთუ ქალწულნი პირველად განიკითხვან, რამეთუ ქალწულებად სახელ იდების საყდარი ღმრთისაჲ

და საკურთხეველი და რამეთუ საყდარსა ღმრთისასა შეიყუანებიან, ხოლო საყდარი არს სასუფეველი ქუეყნიერი, სადაცა ღმერთი ზეციერი განისვენებს და დამკვიდრებულ არს მას შინა, ამისთვის არა შეაგინებს მღუდელთა ცოლისა ყოლა. ხოლო თქუენთ შეგინებულთა მღდელთა არა უვის ცოლი, არამედ ჰყვანან ხასანი და წარგზავნის მსახურსა თჳსასა და იგი მოგვრის მას და პირველად დაწვება იგი ფერკითთ მისა და შემდგომად ერთბამად იყოფებიან ყოვლითა არა წმიდებითა განთიადმდე, ხოლო განთიადსა ჰყოფს ეკლესიასა შინა წარსლვასა და და ეტყჳს ერთსა მღუდელთაგანსა სახელდებულსა ანუ ვიეთმე შემინდევით ძმანო, რამეთუ ჩვენება ირამე ვიხილე მე და ვცდი ღამესა ამას, ხოლო მიიღებს შენდობასა ბრმა ბრმისა წინამძღვარი და ორნივე მთხრებლისა შთაცვივიან წარწყმედისასა. მივალს მეყსეულად განწესებულსა ტრაპეზსა წვალეზისა მათისასა და სწირავს ორითავე გოჯითა მკელობელი წვალეზისა და მრუშებისათა და შთაიდებს ზიარებასა ჯიბეთა შინა და განვალს გარე და ყოფს ცოდვასა მას კუალად საწოლსა ზედა და კუალად სვამს ღვინოსა და შევალს და სწირავს და იტყვის არა მაქვნდა წყალი და არა რცხვენის წირვად ესევითარსა.

ხოლო ერთსა შინა დღესა ხუთ და ექვსგზის გინა შვიდ და რვაგზის სწირავენ ერთსა ზედა ტრაპეზსა და ერთსა შინა ეკლესიასა, ერთი ხოლო განვალს და მეორე შევალს. და უკეთუ რომლისამე მღდელსა შეემთხვიოს გარე განსლვა, მწირველსა გაიხდის შესამოსელსა თჳსსა, განვალს გარე და კუალად შემოვალს და ეგრეთ შეიმოსების და აღასრულებს წირვასა. ხოლო რომელნიმე მღუდელნი სწირვენ უდაბნოთა ადგილთა უეკლესიოდ და სახელ-ედების მათ მიერ უდაბნოსა მღდელი უწიგნო.

აზიმიტი: „ქუეყანაჲ გუაქუს, რომელსა ზედა არს ბეჭედი მთავარეფისკოპოსისა ჩუენისა, ვითარ თქვენცა გაქუსთ არა ქრისტეს ღმთისაჲ თქუენისაგან და მწყემსისა თქუენისა ოდიკნი, ეგრეთვე ჩუენ გუაქუს ქუეყანაჲ, ხოლო ოდეს სადამე შეგვემთხვევის დადგრომაჲ, დავდებთ ქვასა მას და ვწირავთ, ხოლო თქუენ ბერძენნი დასწვებით მეუღლეთა თანა თქუენთა მას დღესა შინა, მეუღლენი თქუენნი ჰყოფენ სეფისკვერსა.



პანალიოს: „მტყუარ და არა ჭემმარიტ არს სიტყუაჲ შენი. არა არს ეგრეთ და თუთცა არა უწყი, რასა იტყვი, არამედ რომელსა დედაკაცსა თანა ეყოფოფის ქმარი, იგი არა ჰყოფს სეფისკვერსა, არამედ სხუაჲ დედაკაცი, რომელსა არა უვის ქმარი და ქვრივად იყოფების, უკეთუ რაჲმე ცოდვა შეემთხვიოს, აღიარებს წინაშე მოძღვრისა და მიიღებს მისგან კანონსა, დედანი ჩუენნი ესრეთ ჰყოფენ და უკეთუ მათ შორის უბრალოდ დაბრალდეს, განიბანების იგი წყლითა და იცვლის სამოსელსა და ეგრეთ ჰყოფს და ქრისტეს ემბაზითა ნათელცემული და მრონითა ქრისტეს მისითა ცხებულ არს, მით განიწმინდების სეფისკვერი, დაბეჭდავს მახვლითა ქრისტეს ჩემისათა და ცეცხლითა გამოკურდების და წარიღებს მას ეკლესიად და მღდელი აკურთხევს შემოსილი სამღრთოთა შესამოსლითა და იტყვის მას ზედა ლოცვათა და წმიდაჲ იქმნების სეფისკვერი ესრეთ შეგინებულ, თუ განიწმინდების და წმიდაჲ არა შეგინებულ იქმნების.

ხოლო თქუენ, რომელსა ნათლისღებასა და რომელსა მრონსა საკმარ ჰყოფთ წმიდა ნათლისღებასა შინა, არამედ შთაიდებთ ნაქვრცენსა მარლისათა და პირთა შინა თქუენტა და ნერწყვთა მარლწყალსა გააკეთებთ და ინერწყვავთ კელთა ზედა და სცხებთ ყრმასა და როდეს ნათელსცემთ არა იტყვით: „ნათელს იღებს მონა ღმრთისა სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისაჲთა“, არამედ ესე არს მრონისგან ქრისტეს ჩემისა და შენ ნათელ სცემ და ჰყოფ თავსა შენსა ღმერთ“

აზიმიტი: „მიტხარ მე, რაოდენითა ნაწილითა შეზავებულ არს მრონი და კაცი და ყოველი სიკვდილი და კალენი?“

პანალიოს: „ცეცხლისა, წყალისა და მიწისაგან, უკეთუ ძალ-გიც ცეცხლისა აღნთებაჲ უქაროდ და უნუგუზლოდ და უნახშიროდ, უკეთუ კვესითა აღანთებ და უქარებ პირითა, რაჲთა გამოვიდეს ქარი, ხოლო შეუბერავად არა იქმნების აღნთებაჲ და ეგრეთვე ყოველივე ოთხითა: ცეცხლითა, წყლითა, მიწითა და ჰაერითა და ეგრეთვე ჩუენ შევაზავებთ ოთხთა ნივთთა სეფისკვერსა: ფქვილი, წყალი, ცომი და მარლი და ამა ოთხთაგან ნივთთა შეზავდების სეფისკვერი. ხოლო თქუენ, აზიმიტი, ჰყოფთ მარტო ფქვილითა და ცივითა წყლითა აღზელთ, რომელ არს მკვდარი, ხოლო წმიდაჲ სფირიდონ იყო რაჲ კრებასა შინა ნიკიისასა, ოდეს იგი მოიღო აგური კელითა დაიმჭირნა რა ზე-აღვიდა ცეცხლი, რომელ არს ღმრთაებაჲ და შთავიდა წყალი,

რომელ არს სული წმიდაჲ, ხოლო კელთა შინა დარჩა მტვერი სახედ ქრისტეს ძისა, ღმრთისა განკაცებისა, ესრეთ ქადაგა წმიდაჲ სამებაჲ და სირცხულეულ ყუნა მწუალებელნი.

კუალად ჰქუა ფილასოფოსმან: „მითხარ მე აზიმიტე, ჩემი რაოდენი იტჯრთა, ცოცხალ არს ანუ მკვდარი?“

აზიმიტი: „ცოცხალ არს, რამეთუ აღდგა“.

პანალიოს: „რასათჳს ჰყოფთ მას მკვდრად? რამეთუ არა შთაასხამთ ღუნოსა ბარძიძსა შინა მოსახსენებელად ქრისტეს ღმრთისაი ჩემისა და არცა მასვე შინა შერთავ მდუღარებასა ორთქლოანსა, რათა აღვიდეს სული ორთქლისა, არამედ შთაასხამთ ცივსა და ჰყოფთ მკუდრად და არა ცხოველად, ამისთჳს, რამეთუ ყოველი ტბილი ცოცხალ არს, ხოლო ცივი მკუდარ, ჰაეროვან არს, რამეთუ ქრისტემან ჩემმან თქუა: „მზგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შერთო ფქვილსა სატირი სამი, ვიდრემდის აღფუნდა სრულიად. დედაკაცი სახელ იღების ღმრთივ აღწერილი სიტყუაჲ, ხოლო ცომი ეკლესია ღმრთისაჲ არს და წმიდაჲ ღმრთისმშობლისა, ხოლო სამი სატირი წმიდაჲ სამებისა სახე და ქრისტეს მესამისა დღისა აღდგომისა, რათა შეიერთნეს მამა, ძე და სული წმიდაჲ“.

და კუალად ფილოსოფოსმან ჰქუა აზიმიტისა: „დახატავთ თქუენ ქრისტესა, ვითარმედ ფერკნი მისნი ამოწნულ იყვნეს კამლთა მაგიერო და თმანი და წვერნი აღპარსულო, რამეთუ საპარსველი არა აღსრულ არს თავსა ზედა, თავისა მის ცხოვრებისა ქრისტეს ღმრთისაჲ ჩემისასა, ვითარცა იგი არცაღა ყოველთა წმიდათა აქვნდათ, ვითარ თქუენ ლათინნი და ფრასნი უწვერულ საკიცხელ ეშმაკთა და საწადელ მსახურთა მისთა, არამედ თქუენ ლათინნო კრულ ჰყავთ თავი თჳსი ქრისტესაგან და განეშორენით სიწმიდისაგან და ჭემმარიტებისა, რამეთუ შვენიერი და პატიოსნად და სიბრძნით სახილველი უმჯობეს არს და ღმრთის კერძი, ვიდრელა უშვერად და უპატიოდ და უბრძნოდ და ყოველთა თუალთა დასაბერკოლებელად სახილველსა, რამეთუ აწინდელნი ეგე სახენი და სამოსელნი თქუენნი არა მარტო უშვერ არს, არამედ კაცთა ბუნებისაგან უცხო და საკვირველ, რამეთუ წერილთა სიმრავლემან დააყენა კელი ჩემი თითოეულად აღწერა მან მითხრობაჲდ უშვერებისა თქუენისამან, არამედ მცირედსა გითხრობ შენ, რამეთუ თუთ მოწამე ხართ ყოველნი,

რამეთუ ყოველი განმცხრომნი და მროკველნი და თითო სახისა სახიობისა მოქმედნი, მგოსანნი და მასხარანი თიატრონთა შინა არათუ მორწმუნეთა შინა ხოლო, არამედ ყოველთა ურწმუნოთა და ყოველთა ადგილთა იპოებიან განცხრომანი, პირველი განცხრომისა ყოველთასა და სიცილად დაწყებისა სახე არს აღპარსვა თავთა, წვერთა და უღვაშთა, რამეთუ არა რაჲ არს უსაკიცხველეს ამისსა სხუაცა.

მეორედ, რამეთუ სამოსელსაცა მათსა საკიცხველ ჰყოფენ, ვითარცა ეგე თქუენი არს ჭემმარიტად საკიცხელ და საცინელ პაპითგან მონაზნით, ხუცით დიაკვნადმდე და მეფით, მთავრით ერადმდე და სავსე უშვერებითა. უმეტესად დედანი და აწინდელი ეგე ქცევა თქუენი მსგავს არს თეატრონთა და განსაცხრომელთა და სამგოსნოთა და სამეპაოთა შინა შეკრებულთა, მაშკარადთა, რამეთუ წარმართთა, რომელთა ღმერთი არა იციან, საკდემელ არს წინაშე მათსა ქცევა თქუენი, რომელი ემმაკთა აქვსთ შეცვლილად სახე მათი და იგი უნებლიედ რისხვითა ღმრთისაჲთა ღმერთ თნებისათჳს, ხოლო თქუენ ნებსით შეიცვალენით სახენი თქუენნი, ამისთჳს ემმაკნი ჭემმარიტად უმჯობეს არიან თქუენსა, იგინი იტყვიან: „შევსცოდეთ ღმერთსა და ესრეთ შევიცვალენითო“ და ძრწიანცა ღმრთისაგან, ხოლო თქუენ იტყვიან: „ჩუენი ესე შეცვალეზაჲ კეთილ არსო“ და არცაღა სძრწით, არამედ წარმდებაჲ სცოდავთ, ამისთჳს ემმაკნი უმჯობეს არიან თქუენსა ჭემმარიტად, რომელთა ყოველი სჯული და ყოველი წესი მართლმადიდებელთა განრყვენით დასაბრკოლებელ იქმენით ყოველთა, ამისთჳს უმჯობეს არს თქუენდა, რათა ემსგავსნეთ პეტრესა, მოციქულსა მწყემსსა თქუენსა, რომელმან უარისყოფა ქრისტესი შეინანა, რაჲთა თქუენცა შეინანოთ და მიიღოთ ქრისტესგან შენდობაჲ განდგომილებისა თქვენისა და არა ემსგავსნეთ იუდას ისკარიოტელსა, რომელმან განყიდა მოძღუარი და ღმერთი თჳსი, რომელმან არა შეინანა, არამედ შიშთვილობა და თქუა: „ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი და არა ერგო მას ნუ უკუჳ თქუენცა სადამე სთქუათ ეგრეთ და არას გერგოთ, რამეთუ ყოველნი წმიდანი სწირვენ შეუგინებელად ტამართა შინა, ხოლო ევისკოპოსი თქუენი სწირავს ბეჭდითა და გვრგუნითა და შემოცმულითა კელის ჯაგითა და პაპასა თქუენსა მარჯვენასა კელის ჯაგსა ზედა გამოსახული ქრისტე, ხოლო მარცხენესა ყოვლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი“.

აზიმიტი: „ბეჭედი არს წინდი, და სხუაჲნი იგი სამთავარეფისკოპოსო“.

პანალიოს: „ბეჭედსა, ვითარ წინდად ჰქადაგებ?“

აზიმიტე: „იყო ვინმე კაცი და ჰყვეს მას ორნი შვილნი“

პანალიოს: „ვინ არს შორის მათსა უხუცესი მამა ანუ შვილი?“

აზიმიტე: „მამა არს ღმერთი უხუცესი, ძე მართალნი მონებენ უფალსა, ხოლო უყრმესნი არიან ცოდვილნი“

პანალიოს: „არსა ეგრეთ დამტკიცდია მას ზედა?“

აზიმიტე: „ვითარ შენ იტყუ“

პანალიოს: „ქრისტე ჩემი იტყვის: „არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან“ და კუალად იტყვის: „მართალი შვიდგზის კურთხეულ იქმნების, ხოლო და ცოდვილთა მიტევებაჲ სამეოცდაათ შვიდგზის“ და კუალად არა ნება ასნი მართალნი შორის ერთისა მონანულისა ცოდვილისა და კუალად არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთათჳს მონანულთა, არამედ იტვირთა ღმრთაებაჲ მან კაცება, რომელმან იტყურთა ჯუარი და სიკვდილი დაითმინა, რომელმან აიხვნა ცოდვანი სოფლისანი, არა მართალთათჳს, არამედ ცოდვილთსთჳს, ვითარ იგი ცოდვილნი განმართლებულ არიან თითოეულ საქმეთა და ცხოვრებათა თჳსთა მიერ არამედ ჰქმარიტად წარწყმედულთა მოძიებად მოვიდა ღმერთი“

და კუალად ფილასოფოსმან ჰქუა: „ისმინე აზიმიტე, მას ჟამსა განეშორენით სამეოცდაათ წელ მამისა თქუენისაგან და ჩუენ ძმათა თქუენთაგან უწინარეს ცომოანითა სწირევდით ჩვენთა ოთხას ორმეოცდაოთხ წელ, ხოლო ჩუენ და ფრასთა ენა განიყოფოდა, არამედ სხვითა ყოველითავე ერთ ვიყავით, რომელთა მამა არს ღმერთი, ხოლო ძე უხუცესი, ჩუენ ვართ ქრისტიანენი და მართლმორწმუნენი, ხოლო უყრმესი ძე თქუენ ხართ, ლათინნი დაბრმობილნი და განშორებულნი სარწმუნოებისაგან, რომელი განეშორნით ჩვენსა ზიარსა ცხოვრებასა, მამისა და ღმრთისასა და მიეყრდენით ერთსა ეშმაკსა, რომლისა მიერ წარმოგზავნილ ხართ სოფლად მწყემსად, ორნი და სხუადნი ეშმაკნი შეგინებულნი, მღუდელნი თქუენნი, რომელი ყარან და ბოროტი გონებაჲ თქუენი და ბოროტ რჩული თქუენი ლათინთა

მწუალებელთა, სახელდებულნი ღორნი და ეშმაკნი, ბოროტ არიან მოწყალეხანი თქუენნი და ეგრეთ პატივისცემენ ეშმაკნი პატივისცემელთა თუსთა და მისცემენ მოყუარეთა თუსთა. ამას იტყვის სოლომონ, წინასწარმეტყუელი, რომელი ბოროტად შეგინებულ ხართ წინაშე ღმრთისა“

ხოლო აზიმიტ თქუა: „ჭეშმარიტად, აწ ვსცან ღმერთი ცხოველი და გულისკმა მიყოფიეს, რამეთუ ღმერთი თქუენ შორის არს და წმიდაჲ არს სჯული ბერძენთა მართლმორწმუნეთა და შეურევნელ, მტკიცე და შეურყეველ. ჭეშმარიტად ბეჭედი სარწმუნოებისა თქუენისა; დატკუფდა გონებასა ჩემსა, დიდებულ იყავ, ჳ, ფილასოფოს, არამედ ჩუენ ხოლო მოციქულნი და ქრისტე მტყუარნი, წარმომგზავნელნი“

და ესრეთ განიყარნეს და მხიარულ იქმნა მეფე და ყოველი ერი სიტვის-გებასა მის ფილოსოფოსისასა. ამინ!

## დანართი 7.

### კრება ფლორენცისა

დაჯდა იოანე პალეოლოლო მეფე კოსტანტინეპოლისა.

იოანე პალეოლოლო დაჯდა ტახტსა თუსსა კოსტანტინეპოლისა, ხოლო ესე რჯულითა ბერძენთათა და იყვნენ ესე და სულთან მურად მშვიდობით ურთიერთარს, რომელიცა იჯდა სულთანი ანდრიანეპოლისა და იოანე კოსტანტინეპოლისა<sup>114</sup>. ამისა შემდგომად ინება სულთან მურად გალაშქრება თესალონიკესა ზედან და მიუმცნო მეფემან, ვითარმედ: „უკეთუ ერთობა გვაქუს ურთიერთარს მშვიდობით ვართ, რასათვის გინებს დალაშქვრა თესალონიკისა?“ ისმინა რა ესე სულთანმან მიუწერა, ვითარმედ: „უკუთუ შენი არს თესალონიკი, არა წახვიდე, არამედ არა არს შენი, ვენედიკისა არს, რამეთუ მანველ კეისარს ესვენს ძენი“ და უმრწემესსა ძესა მისსა ანდრონიკეს უბოძა საზღო მისთვის და დაყოფასა შინა მისსა თესალონიკეს შეემთხვია სნეულება. ფრიად და უძლურება ინება, რათა მიჰკდოს თესალონიკე ვენედიკს და თვთ წარვიდეს მთაწმინდას და ყო ეგრეცა, რამეთუ მოჰკდა თესალონიკე ვენედიკს, ვიდრე ორმოცდაათათას დრაჰმად. ამისა შემდგომად საფასისა მისგან ზოგი რომელიმე განაზნინა მეგობართა თუსთა თანა და ზოგი წარიღო მთაწმინდას. მიიწია მონასტერსა ვათოპეტს და იქმნა მონაზონ და სახელ იდვა ანტონი მონაზონი და იყიდა მეტოქი ერთი მითა და იგიცა მასვე მონასტერსა შესწირა, რომელიცა დღესეცა არს და სხვასაცა მრავალსა შესწირვიდა, ბარძიმი ერთი შესწირა იასპისა ძვირფასისა, რომელი წამალი არს ეშმაკეულებისა და სხვა ბარძიმი ძვირფასისა შესწირა ბროლისა ოქროქანდაკებული, და კრეტსაბმელი ძვირფასისა, და არწივი ოქრონამკობი, და სხვა მრავალი დაფარდა ყოვლად წმიდისა აკათისტო მოწერილი და სხვანი ეკლესიისა საკმარნი მრავალნი.

წარვიდა სულთან მურად თესალონიკესა და დაიპყრა ქრისტეს განკორციელებითგან ათას ოთხას ორმოცსა, ამოსწტვიტა მრავალნი ქრისტეანენი, ვინათგან არა ენებათ თაყვანისცემა მისი, ხოლო მცველთა

<sup>114</sup> ხელნაწერში აღნიშნულია როგორც „კოსტანტინეპოლი“

ფრანგთა, ვითარ ცნეს მისვლა სულთანისა, მალვით წარვიდენ, ხოლო თესალონიკელნი მრავალსა რას კელოვნებდეს, არამედ უქმ იქმნა და ამას ჟამსა ვერ ვერ აიღეს, არამედ სხვანი ქალაქნი აიღო და მიიქცა ანდრიანეპოლის. იყვნეს წელნი წელნი ადამს აქეთ ექვსი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი. არა იყო შემძლებელ სულთანი სულთანი აღებად თესალონიკისა, არამედ ისმინეთ, თუ ვითარ აიღო, რამეთუ მდინარესა, რომელსა სმიდენ, იგი გამოუღო სულთანმან, რომელიცა კუალად შემოადგა და მრავალსა საფასესა უქადებდა და მონასტერსა ვალანდეოსაგან მიეწერა მიეწერა წიგნი, ვითარმედ: „უფალმან ღირს გუყოს თაყვანისცემად შენად, რათა კოსტანტინეპოლიცა დაგეპყრას და მემცნეს ესე მონასტრისა ბერთა, უკეთუ გნებავს აღება თესალონიკისა წყალი მომდინარე სასმელი ჩვენი მიგვიღე და აღიღებ ქალაქსა“.

ესმა რა ესე სულთანსა, განიხარა ფრიად და მოსყვიდა წყალი. ესე არა უწყოდენ თესალონიკელთა, თუცა მონაზონნი ამას იქმენ, არამედ მოუთმენელისა მისგან წყურვილისა მისცეს ქალაქი და აღაოჯრა მრავალი, რამეთუ არა ნებითა მომეცით, არამედ ძალითა აღვიღე, რამეთუ მონასტერსა არა რა ავნეს, არამედ მცველნი დაუდგინეს და დარჩა სახელი მონასტრისა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე მონასტერი ჩაუმირა და კვალად პატივსცა მონასტრისაგანთა და არა რა საკელმწიფო დასდვა მათ ვიდრე დღეინდელად დღედმდე და დაიპყრა მრავალი დასავლეთისაკენ: სერბია, ბელდარი ცოდვათა ჩვენთგან და აღიღო ვრიაცა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ოცდაათვრამეტსა და ბერძენთ მეფე იქმნა შეუძლებელ და სულთან მურად აჩვენებდა. ვითარმედ არა ნებითა ჩვენითა არს ესე და განიზრახა მეფემან ერთობა იტალიელთა თანა და იქმნა კრებისა ერთობა პაპისა, რათა შემწე ეყონ და განათავისუფლნენ ქრისტიანენი და მისწერა პაპასა ერთობა, ხოლო პაპამან ინება და მოსცა ხარჯი საზღო და ხომალდი და სუროდა დიდად პაპასა გაერთება ეკლესიისა მრავალგზის ეწადა, არამედ ვერა ყვეს. მაშინ ყვეს პაპა ევგენიოზ, რა იხილა ბერძენთა ეკლესიათა სიკნინე, მაშინ ერთობა მოახსენა და ინება გაერთება ეკლესიათა, რამეთუ რაოდენსაცა ვიტყვით, ისმენენ ბერძენნი ჩვენსა“, ხოლო მეფემან უბრძანა ყოველსა აღმოსავლეთისა ეკლესიასა მიტროპოლიტთა და მოვიდნენ კოსტანტინეპოლისა, ტრაპეზუნტისა ეპისკოპოზნი, რომელი იყო ფილასოფოსი და ამიურჯისა და ნიკიისა ბესარიონ, რუსეთისა ფილასოფოსი გიორგი სხილარიოსი და სხვანი მრავალნი მიტრაპოლიტნი და პატრიარქნი ცხოვრებდა უფალი იოსებ და შეკრიბნა პატრიარქმან

სიმრავლესა თანა მღდელთმთავართა და მრდელთასა საშინელსა საყდარსა ღმრთისა სიტყვისასა სოფიას იყვნენ არქიერნი და მთავარნი ამისი და აკურთხეს მას დღესა მარკოზ ეფესოსა ეპისკოპოზი თავად კრებისა და ინებეს კრება და განემზადნენ და შევიდნენ ლიმონას ნავსა შინა და წარვიდენ ხომალდებითა. იყო ზამთარი და მრავალიცა ნეფხვისაგან ჭირი და იწროება გამოსცადეს, არამედ ძალითა ღვთისა და მიიწივნეს ფარენძას, რომელი მორავს ვენედიკისა მილითა ასითა და თებერვალსა შვიდსა აღდგენ ფარენძიდაძე ყოველნი ნავნი, რამეთუ სამეფო ხომალდი წინა იძღვანებოდა და მიიწია ვენედიკს წმიდისა ნიკოლაოზისა ლიონისასა რვასა თებერვალსა. პატრიაქისა და ყოველთა მიტროპოლიტთა და მთავართა ხომალდნიცა მიიწივნენ დღსა ოთხშაბათსა, ხოლო ესმათ რა, ესე ვენედიკტს მოეგებოდნენ მთავარნი და დიდებულნი ნავებითა ნიკოლაოზს. ესეოდენი იყო სიმრავლე, ვიდრე ზღვა არღარა გამოჩნდებოდა. ევედრნენ მეფესა, რათა მოენითგან ვიდრე ხვალემდე არა აღდგეს. მეფე რათა მოეგებოს პრინციპა წინაშე შესაკადრად კელმწიფობისა მათისა და მჯდომარესა მეფესა თავსა ზედან ტახტსა თაყვანისცეს მეფესა. თავშიშველი მდგომარე იყვნეს და მცირედ განშორებით იჯდა უფალი დიმიტრი, ძმა, მეფისა და პრინციპა, მარცხნივ მეფისა და მოწლედ მოიკითხეს და ზრახვიდნენ ამისა და სხვასა საიდუმლოსა და მოახსენა პრინციპამ, ვითარმედ ხვალისა გვინებს თაყვანისცემად და ჯეროვანი სამსახური თქვენი და წინა მოგებებით, რათა ვენედიკს მობრძანდეთ და ხვალისა შეკრბენ ყოვლითა საბრძანებელითა მისითა და განწყობილებითა მრავლითა, პრინციპა თომა, გვარად მომაგენი. კვირიაკესა დღესა, ჟამსა მეხუთესა მოვიდა პრინციპა დიდისა დიდებითა და განწყობილებითა და იდგნენ ბუჩინტორს ყოველნი ერნი და სამყოფესა წითელ ოქროცურვებულსა, რომელსა ლომნი ოქროსანი უდგნენ წინაშე მისა და ნავნი მრავალნი იყვნეს შემკობილნი ბრწყინვალედ და უკრავდნენ ამითა საკრავთა ორღნოთა და წინწილთა და აღკაზმეს საკელმწიფოდ ნავნი ქვეშე მენიჩბენი ოქროქსოვილითა მოსილნი და ანდრიანტნი ოქროცურვებულნი კაცთა სახენი იდგნენ წინაშე მეფისა და სხვანი უცხონი ერნი უცხოთა მოსილნი წარმოვიდოდეს და კაცნი მაღალნი და თავსა ტრახეზი ორნი იმიერ და ამიერი საჭურველითა მოსილნი, ვითა მზე, ეგრეთ



მოზრწყინვალე და ორნი შვენიერნი ყმანი მსგავსად ანგელოზისა და ფრთენი ესხნეს ერთი იქით და ერთი აქეთ მეფისა, არა იყვნენ ესენი კელოვნებით, არამედ კაცნი მრთელნი ლომნი ორნი და ორთავნი არწივნი შორის მათსა და სხვაცა მრავალი, რომელი შეუძლებელ არს აღწერად და სხვანი ფერად-ფერადნი საკრავნი და ნავნი მდგომარე იყვნეს და მოიწია, თაყვანისცა პრინციპა დავიდ მეფესა და ძმასა მისს და შეუძღვნენ მეფესა ვენედიკს უცხოთა მას ქალაქსა ოქროთა და საკმართა მიერ უცხოთა სავსესა ბრძენსა მას და პირად-პირადად შემკობილსა, ვით ახალსა სძალსა, ჭეშმარიტად ქვეყანა არს აღქმისა, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი, რომელსა ზედან იტყვის დავით: „ზღვასა ზედან დააფუძნა იგი“, ვინამცა უძლო შვენიერისა მის ქალაქისა და უცხოდ მორთულობისა აღწერად, ხოლო აცმადმდე მეხუთედ ძვილ მიიწივნენ ვენედიკს და მრავლისა მის საკვირველისა მორთულობისა პატივისცემით იქმნა შეყვანა მეფისა, ვიდრე დასლვადმდე მზისა და შევიდნენ წმიდასა ტაძარსა მოციქულისა მარკოზისასა და თაყვანისცეს პალატსა პრონციპასასა, შევიდეს და თაყვანისცემდენ რა, განკვირდენ განწესებასა მას. იგონებდენ, ვითარმედ ცაჲ, ქვეყანა და ზღვა შეერთებული იძვრის და ვინცა იხილვიდენ, განკვირდებოდენ მოგებებასა მეფისასა და მიიწინენ და შევიდენ მარკოზისა პალატსა თვესა ფებერვალსა, დღესა კვირიაკესა. წარვიდა პრინციპა მეფესთანა და თაყვანისცა მეფესა და იუბნეს მრავალი კრებისთვის და იტყოდა მეფე, რათა ერთ ვიყოთ ეკლესია, ხოლო ისმინა რა ესე პრინციპამ, განიხარა ფრიად მანცა და ერმან მისმან და ევედრებოდა მეფესა, რათა ვენედიკს იქმნას კრება და საკმარსა და საფასესა ჩემსა მოგიძღვანთ. ხოლო მეფე უარობდა, ამისთვის, რამეთუ რაოდენსა შინაგან წარვლით საფრანგეთისა ეგოდენსა შეწევნასა მომცემს პაპა, ვინათგან არა-ყო მეფემან ესე, ფრიად დაუმძიმდათ და აწვიეს პატრიარქნი არქიერნი და მღდელნი და დიაკონნი და სწირავს ჟამი ეკლესიასა წმიდისა მარკოზისასა ფებერვალსა ათექვსმეტსა დღესა კვირიაკესა და ვინმცა უძლო მას ჟამისა წირვისა განწყობილებისა წარმოთქმა, რამეთუ პატრიარქი დაჟდა რა საშუალ ეკლესიისა და მსგავსი კოსტანტინეპოლისა ხატყი წინა ედვა და დიაკონნი ლამპრებითა იყვნენ განწყობილ და მღდელთმთავარნი, მსგავსი ქრისტესი და მოციქულთა, რამეთუ არქიერი არს მსგავსი ქრისტესი და ნათელი, ამისთვის აღანთებენ ლამპარსა წინაშე მისსა. მღედლნი დგენ წინაშე მისა და დიაკონნი განწყობილ იყვნენ და მგალობელნი გალობდენ „შენ გამოგიჩიოსა“ სიტყვასა

წინასწარმეტყველისასა და აღასრულეს ჯერისაებრ წირვისა საიდუმლო და შეიყვანა შინაგან პრინციპამ ტრაპეზსა და იყო გასული ჟამი ათი და იყო დღე სიხარ(B-4v)ულისა და აღდგენ მეფე და პატრიარქი ფებერვალს ათასა მუნ.

წარვიდენ ოცდარვასა ვენედიკიდამ გზასა ფერარისასა და დაშთა პატრიარქი ხოლო მეფე მიიწია ჭალაკსა ფრანგულისასა და მოიწია მოციქული პაპისა და ასწრაფებდა წარსვლად მეფესა და შემდგომად ითხოვა მეფემან კმელეთით და მისულა ყოვლად სანატრელსა პაპასთანა და განემზადა პაპა რათა მიეგებნენ მეფესა და მიიწია მეფე ფერარას თუსითა დიდებულებითა და მეფესა თანა პაპისა ეპისკოპოსნი და მარკოზ, პატრონი ფერარისა და მოძღვარი მეფისა, გრიგოლი და თაყვანისცეს მეფესა ერთა ფერარისათა. მეფე ჯდა შავსა ცხენსა ოქროთა შეკაზმულთა თავდაბურვილი გვირგვინითა და მოაგებეს მეფესა ცხენნი თეთრნი შუბლი ოქრო არწიოსანნი და წმიდა პაპა პალატსა ჯდა თუსითა კრებითა და მეფისა ძმა წინა მიეგება პაპასა და მეფე მჯდომი ცხენსა შეიყვანეს კარსა და პაპამ რა ცნა მოსვლა მეფისა, აღდგა და გამოეგება და შთამოხდა რა, მეფე ფეხზედ მდგომსა იახლა პაპი, ხოლო მეფემ ინება თაყვანისცემა, არამედ არა-ყო ესე პაპამან და მოეხვია მეფესა და მეფემ უამბორა კელსა და დაჯდა პაპა და მეფე მარცხნივ დაისვეს და კარდინალნი ფერჯთა ქვეშე მათსა მჯომარე იყვნეს და იყო ამბორი ურთიერთას და მეფე და პაპი მდუმარედ უბნობდენ მშვიდობისათუს და ერთობისა ამისა. შემდგომად წარმოვიდა მეფე და წინა უძლოდენ ორღანნი და საკრავნი და მოვიდა პალატსა თუსა, ხოლო წარმოვიდა ვენედიკით პატრიარქი და წარუგზავნა ნავი ოქროთა ცურვებული და შთაჯდა პატრიარქი, ხოლო ნავი პატრიარქისა მსგავს იყო კიდობანსა ნოესსა, ზეითგან ოქროქსოილითა გარდაფენილ და შინაგან პალატნი სკამნი და კიბენი და მუნით მიიწია პატრიარქი ფერარას, ხოლო ვენედიკითგან პაპასა მომკითხავად წარმოუგზავნა პატრიარქმან ორი არქიერი, ირაკლისა და მონეემასისა და შესთვალეს, თუ ვითარ შემოვიდეს ქალაქსა, ხოლო პაპამან განიზრახა თვისთა კარდინელებთა თანა, თუ ვითარ შემოიყვანნა და დაშთა ღამესა მას მასვე თავსა შინა და დილასა ადრე წარმოგზავნა პაპამან ოთხი კარდინალი და ოცდახუთი ეპისკოპოზი და მარკოზ ფერალელი და სხვანი მთვარნი ცხენსა მჯდომი და წარუგზავნეს პატრიარქსა ცხენნი და ჯორები და

შეჯდენ ცხენსა და მივიდენ ხილვად პაპისა. ორთა კარდინელთა ეტვირთა მკლავნი პატრიარქისანი და მიეახლნენ პალატსა. შთამოკდა პატრიარქი და შევიდა და იხილა ზემდგომი პაპი და უამბორეს ურთიერთას და ყოველთა უამბორეს პაპასა და იუბნეს და გამოვიდნენ პალატსა განმზადებულსა თვისა. ესე პატივი მოიპყრო მეფესა და პატრიარქსა პაპამან და ხვალისა იყო კვირიაკე და წირეს ეკლესიისა პალატსა და მარკოზ ფერარელი განკრძალვით ისმენდა. წარვიდეს დღენი რაოდენნიმე. პატრიარქმან შესთვალა, ვითარმედ იქმნა კრება ყოვლისა სოფლისა არათუ მარტო ეპისკოპოზთაგან, არამედ მთვართა ათასისთავთა და სპასალართაგანცა. და უკეთუ ვერვინ შეუძლოს აქა მოსვლად, პოტორიტნი წარმოგზავნეს, რომელი არს მაგიერი თვისი, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, შესთვალა მეფესა, ვითარმედ დრო მიეცა, ვიდრე ოთხისა თვისა, რათა შემოვკრიბნე სამწყსონი ჩემნი და წარმოგზავნეს წიგნები ყოველსა ადგილსა, არამედ წარვლო ჟამმან და არავინ იქმნა მომსვლელი და მეფეც იტყოდა: „იქმნას მიზეზი ყოვლისა სოფლისა ამის კრებისა“ და განვიდა ჳმა აპრილისა ცხრასა, ოთხშაბათსა პირველსა მარხვისასა და შეითქუნენ სიტყვად და დიდებად ღვთისა და სადა შეკრება იქნებოდა, მისთვის ცილობა, თუ სადა და ვითარ დასხდენ კრებასა აღმოსავლეთისა და დასავლეთისანი, ხოლო ეწადა პაპასა, რათა ეკლესიასა შინა ერთსა მკარესა დაჯდეს პაპა და მისი კარდინალი და კრებანი, სხვასა მკარესა მეფე და პატრიარქი და კრებანი მათნი და იტყოდენ: „დაჯდეს პაპა შუაში“, ხოლო მეფე იტყოდა: „ესე მეფეთა არს საქმე და არათუ პაპისა და პატრიარქისა“. ამისთვის მრავალი სიტყვა შემოკდა და მოიღეს მატთანე ეტრატკონისა, თუ ვითარ ჯერ არს მეფეთა ჯდომა და პატრიარქთა და განაჩინეს, ვითა ზემო ერთსა მკარესა პაპა მისის კრებითა და მეორესა - მეფეს და პატრიარქი მისის კრებითა და დგეს პაპისათვის ოთხს მკარსა ტრაპეზს დაცილებით და პაპის ტახტსა ერთს მკარს ქვეით დადგეს ალამანის მეფის ტახტი სახელისათვის მისისა და შემდგომად დასხდენ კარდინალები და ამას ქვეშ არქიეპისკოპოზნი, მღდელნი და დიაკონნი უთვალავნი და ამათ ქვემოთ თავადნი, ეგრეთვე მარჯვნივ განმზადეს მეფისათვის ტახტი წითლითა ოქროქსოვილითა და ამისა შემდგომად პატრიარქისა ტახტი და ამისა შემდგომად სხვათა პატრიარქთა პოტირიტებისა და შემდგომად მიტრაპოლიტთა და ეპისკოპოზთა და მღდელთა და კრებათა ამისა შემდგომად თავადნი და სპასალარნი ესრეთ არჩიეს და განაჩინეს და პირველსა ოთხშაბათსა, ვითარცა ვთქუთ, შეკრბენ

ეკლესიასა დიდსა მოწამისა გიორგისასა. მოვიდა პაპა დაჯდა მარცხნივ თვისსა ტახტსა, ეგრეთვე მეფე და პატრიარქი დასხდენ და მარჯვნივ მეფისა ქვემოთ, ძმა მეფისა, დიმიტრი, ეგრეთვე პატრიარქი დაჯდა ტახტსა მაღალსა, ხოლო პოტირიტნი იყო ირაკლიელი ანტონიოს და იყო ანტიოქისა უფალი მოძღვარი გრიგოლის და ეფესელი უფალი მარკოზ და რუსი, კიევისა უფალი ისიდორე და ონომვასისა უფალი დოსითეოს, სარდისა უფალი დიონოსიოსი. დაჯდა ხორო, ვითა იყო წესი, რომელი იყუნენ ესენი ტრაპეზუნტისა დორეთეოს კეისარის კვიზირელი და ანეკირიისა და ბესარიონ და ნიკომდისა მაკარიოს, ლაკიდემონისა - მეთოდის, თარნენელი ეგნატი და დოროთეოს ამასიისა, იოასაფ ორდოვლახელი, დამიანე სტავროპოლელი და მიტროპოლიტნი და სხვანი მრავალნი ეპისკოპოზნი და წინამძღვარნი მთაწმიდისანი და სხვანი ჯვარშემოსილნი კრებანი და ამისა შემდგომად მთავარნი თვისად განწესებულსა ადგილსა ისხდეს და სანატრელისა პაპას ქვეით ალამანის მეფის ტახტი და შემდგომად ისხდენ კარდინალნი და პაპის ძმისწული, უფალი კლიმენტოს და შემდგომად მარკოზელი იორდანე, სვენჩის ეპისკოპოზი კარდინელი ურშინისა და ანგელოზელი ივლიანე და ჯვარწმინდელი პლაკედია, ფორმანოს პოლიმონიელი, პონიოსელი ეპისკოპოზი და ეფისკოპოზნი ორასნი, ილუმენნი და არქიმანდრიტნი და მრავალნი მწყემსი ეკლესიისა და მონასტრისა იჯდა ამათ მხარს, ხოლო პატრიარქი უძღურებდა და არა ეწადა ჯდომა კრებასა და სარდიელიცა იყო სნეული და მოიღეს შუა ამათსა ტახტი უფლისათვის ჩვენისა იესო ქრისტესა, მართლმსაჯულისა დიდისა მღდელთმთავარისა, წმიდა სახარება დადვეს მას ზედან და სახარებისა იმიერ და ამიერ პეტრესი და პავლესი თავნი და ლამპარნი მრავალნი მდგომარე იყუნეს და ვინცა იხილვიდა საკვირველსა ამას კრებასა, ემსგავსებოდა ზეცისა განწყობილთა, ცანი ბრწყინვიდეს და ეკლესია განათლდა და ღაღადებდნენ ერთობით: „დაამტკიცე უფალო სარწმუნოება ესე“ და იყუნენ ყოველნივე შემოსილი, ვითა მეშვიდეს კრებას და იქმნა დიდი მღუმარეობა. მაშინ აღდგა პაპა და დადგა ფეხზედან ყოველნი მისნი კრებულნი და ჳმა-ყო პაპამან: „კურთხეულ არს ღმერთი“. მაშინ მღდელთმთავარნი და დიაკონნი სამღდელონი და ერისაგანნი ევედრებოდეს ღმერთსა, რათა გაერთდეს ეკლესია და აღკოცონ განხეთქილება ეკლესიათა,

ხოლო რა დასრულდა ესე ვედრება, დასხდენ ყოველნივე. მაშინ ბრძანეს აღკდენა ანბიონსა, რათა წარიკითხონ საქმე ამა კრებისა და პატრიარქისა. დიაკონმა თქუა აღმოკითხვა სახელისა წმიდისა დაუსრულებელისა სამებისა - მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ და წმიდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევგენიოს, მონა ღვთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს დიდსა ღმერთსა ჭემმარიტად ვმადლობდეთ, რამეთუ არა დაივიწყა ღმერთმან თვისითა მოწყალებითა, რათა განამრავლოს დიდება, ერთობა მართლმადიდებლობისა, რამეთუ ირყეოდა ეკლესია და მრავალი შფოთი, ხოლო ღმერთმან ერთობით შეგვაერთა. ნება არს ღმრთისა, რომელიცა არს გულმოდგინედ სულიერი შვილი ჩვენი.

იოანე პალეოლოგს, მეფე ბერძენთა და ღვთისმოყუარემან ძმამან ჩვენმან, კოსტანტინეპოლისა პატრიარქმან და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები კუალად სხვანი არქიერნი, მთავარნი და დიდებულნი ყოველნივე მოიწივნენ ვენედიკს ფებერვალსა, რათა ჩვენთანა ერთობით იყუნენ და ინებეს აქა, ფერარას, კრება და ამოვწერეთ ყოველთა მთავართა და დუკთა, რათა შეიკრიბნენ და ერთ იყუნენ ჩვენთანა და ეგრეთვე იქმნა და ყოველთა სიმშვიდითა კრება ვქნათ და ერთ ეკლესიანი ნებითა ღმრთისათა და გვასწაოს სიყუარული, რათა იდიდებოდეს პირველად ღმერთი და აპრილსა ცხრას, განკორციელებიდან ათას ოთხას ოცდათურამეტსა ზეით წერილნი წიგნნი წარიკითხეს. აღდგა ერთი კაცი ფრანგთაგან და თქუა: „იტყვიან ფრანგთა შორის სარწმუნო ხართ ძმანო, ამას დღეს აღმოკითხულსა წინაშე თქუნესა“. მაშინ ყოველთა სიტყუა უგეს ერთგმობით: „ვითარმედ სარწმუნო ვართ და აღვიარებთ“ და დაწერეს ყოველთა აღვიარება ესე და შეიქმნა კრება და თქუეს დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ვინცა შეუძლო თვითეულად მაშინდელი წესი და განგება და დაიხსნა მას დღესა კრება და წარვიდენ თვისსა ადგილსა და ეკლესია ფრანგთა ევედრებოდა მეფესა, რათა არა წარვალსო დღე ცუდათ, რათა გარიგდეს და გამოიკითხონ საიდუმლო, რომელიც არს მათ შუა და ბრძანეს განსაწმედელისათვის და უცომოსათვის და სხვათა საქმესათვის. ამათ სამიებლად კაცნი ბრძენნი სარწმუნონი და გამოარჩიეს ფრანგთა კარდინალი ორნი, ეპისკოპოზნი ორნი და მწერალნი ორნი და ეგრეთვე ბერძენთა ორ-ორი, ვითა მათ ესენი გამოარჩიეს და თვისითა სიტყვის მგებელობენ და ეგრეთვე მოვიდნენ

ეკლესიასა ფრანჩისკოსა და იქმნებოდა სიტყუა მათ შორის და ოთხსა ივნისსა დასხდენ კრებასა, იწყეს ფრანგთა მრავალთა მიზეზთა თხრობად და მიუგო ეფესელმან: „ვითარმედ აღსწერეთ წადილი და უმჯობესი თქუენი თვითეულად მოგიგებთ სიტყუასა“, ეგრეთვე ესე რა მოისმინეს ფრანგთა, განიხარეს და შესწირეს ღმერთსა და აღდგენ კრებითგან და დასწერეს თავად თავედინება და თოთხმეტსა ივნისსა კუალად შეკრიბენ კრებანი და დაკრძალეს კარი რათა არა შეწუხდენ ერისაგან და მიუგო ბესარიონ, ნიკიისა მიტროპოლიტმან, სიტყვისაგან თითოეული. პირველად იტყოდნენ ფრანგნი განსაწმედელისათვის, რამეთუ არს ცეცხლი განსაწმედელი, რომელ ცოდვილნი განვლიან ცეცხლსა და განიწმინდებიან და მიუგო ბესარიონ: „სული ცოდვილისა წარვალს ადგილსა ბნელსა და მწუხარებისასა და სწადისთ ნათელი ღმრთისა, არამედ სოფელსა ამას ოდეს შესწირვენ მღდელნი მსხვერპლსა და იქმნენ მოწყალებასა, მით განიწმინდებიან მუნ სულნი, განთავისუფლდებიან ბნელისაგან და მწუხარებისაგან, გამოვლენ და წარვლენ სასუფეველსა ცათასა არა თუ ცეცხლისაგან იქმნება განწმედა და არცა აღვიარებთ, ვითარცა ვიტყვით ჩვენ ამას, რამეთუ ლოცვა და მოწყალება და ვედრება განათავისუფლებს სულსა ბნელისა მისგან გარესკნელისა. და კუალად მიუგო სულისა წმიდისა გამოსვლისათვის და უცომოსა და სხვათათვის. ისმინეს ფრანგთა სიტყუა ბესარიონისა და მიუგეს მსწრაფლ სიტყუა და მრავალი იზრახეს ურთიერთას და დაიხსნა კრება და ივლისსა ათექუსმეტსა, დღესა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, რათა მიიწივნენ ყოველნი და შეკრბენ პალატსა პატრიარქისასა და მეფეცა მიიწია და დასხდენ ტახტსა თვისსა და მუნ იზრახეს მრავალი დილითგან, ვიდრე ექუს ჟამამდე და მეფემან ყოველივე განზრახულობა მათი შეისმინა და თქუა ბერძენთა წერილთა და ბრძანა შეყრა ყოველთა ხვალისა, ათჩვიდმეტთა. ამის თვისისა ორსავე ხოროსი და შეკრბენ ორნივე და იტყოდნენ ფრანგნი და ბერძენნი მრავალსა. უფალი არა რას იტყვის სარწმუნოებისათვის მთავართა მოლოდებისათვის, ვინათგან ოთხთა თვეთა მოსვლისა პაემანი მიეცა ბერძენთათვის. ელოდენ მეფეთა ღუკთა და მთავართა კრებასა. ენებათ მისვლა, ვინათგან არა მოვიდნენ და იყუნენ ბერძენნი მოწყენილ არა მოსვლისათვის ამათისა და რა დასრულდა და იყუნენ მწუხარე, რომელი გამოჩნდა ჟამსა და

სხვანაცა სასიკუდიინენი სნეულეზანი და შეშინდეს დიდათ და შეიქმნა სარდისა დიდებითა, მოვიდნენ მომავალნი მეფენი და დიდებულნი ფრანგნი. ხოლო დაიყუნენ დაიყუნენ მჭმუნვარედ და ეტყოდა: „მძანო, რასა იურვით? მე მეფესა და პატრიარქთა პატრიარქთა ნავრსა და ცარს ყოვლისა სოფლისა მართლმადიდებელთა კრება და და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები და ჩვენნი არქიერნი და კარდინალები არს არს კრება მზათ, ჯერ არს, რათა ვიწყოთხვალისა სიტყუად“ და მოიღეს სიტყუა მოწმობით. იყო მას ჟამსა ოკდომბერი რვა, ინდიკტიონი ორი, დღე ოთხშაბათი და და დაიწყეს სიტყუა და კრებამან, რამეთუ პაპა სნეულეზდა მიკრისითა სნეულეზითა, ვერ მიიწია კრებასა, სადაცა იყო ტახტი პაპისა და მეფისა და სხვათა, რამეთუ კრება ევინეს იყო პალატსა და მუნცა პალატსა პაპისასა თანა წარჰყუნეს ტახტნი, ვითა ზემო ვთქუთ, განწესებით ეგრეთ და შორით მოსულნი არ მოსულიყვნენ პალატსა მას და დასხდენ წესისაებრ, ხოლო ვინათგან პაპასა და მეფეს სწორე სიმაღლე აქუნდა წითლითა შემოსილი, აგრეთვე პატრიარქსა ოთხმტკაველ-ოდენ, ვინათგან უმცროსი იყო პატრიარქი პაპისა და პალატსა შინა ტრაპეზს წინ დადგნენ ექუსნი ბერძენნი და ექუსნი ფრანგნი სასაუბროთ სჯულისა და თავნი მოციქულთანი პეტრესი და პავლესი იყო მუნ. ხოლო ექუსნი ესენი არიან: ეფესელი მარკოზ, რუსიელა ისიდორე, ნიკისა ბესარიონ, სკეოფილასის ქათუპოლოს, ხარტოფილაქ სოვალსამონ და უფალი გიორგი. გამორჩეულნი ფრანგთაგან ესენი არიან: კარდინალნი ორნი ანგელოზელნი ივლიანე, ფარნაოზ, მთავარეფისკოპოზი როდელი ანდრია ფოროლი, ვენესელნი ეპისკოპოსი ორი ღვთისმეტყუელი მღდელმონაზონნი კაცნი.

ბერძენნი იწყეს სიტუად და აღდგა ნიკიელი ბესარიონ და იწყეს კელმოჭიდობით ქება პაპისა, მეფისა და პატრიარქისა და იწყო მამისა და ძისა და წმიდისათვის და კუალად ერთაესებისა და განკვირდენ და ცრემლითა აფრქვევდნენ იატაკსა ვიდრე შთასვლადმდე მზისა და დაიკსნა კრება და აღუთქვეს შაბათისათჳს კვალად კრება და მოიწია რა შაბათი და შეკრბენ კრებანი პალატსა პაპისასა და როდელმან ანდრიამ იწყო შემკობად ყოვლად სანატრელისა პაპისა და მეფისა და ყოველთა კრებათა ვიდრე მწუხრადმდე და დაიკსნჯა კრება და გაისმა სამშაბათისათჳს, რათა იწყონ კრებად. კუალად შეკრბენ სამშაბთსა ოკდონბერსა ათოთხმეტსა ტაძარსა და პალატსა პაპისასა კრებანი და თქვა ეფესელმან, ვინათგან მოვედით და შეკრბით ძალით ღმრთისათა, ვინა გვაქვს ერთობისა სიყვარული,

შევერთდეთ ორნივე ეკლესია ერთად და რა არს საწადელი თქვენი, ურთიერთას სიყვარულით ვისმინოთ და ნუ ვინმე გულმწყრალად იტყვის სიტყვასა, არამედ სიმშვიდით ისმენდეთ და ეგრეთ ჩვენცა თქვენ მიერსა და ეფესელსა სიტყვა უგო ფრანგმან როდელმან ეფისკოპოზმან, ვითარმედ გევედრებით ჩვენცა სიყვარულსა, რამეთუ თუთ ქრისტეს სიყვარული არს, რამეთუ სიყვარული და მშვიდობა და ჭეშმარიტება თქვა ქრისტემან: „მე ვარო“, ხოლო გულმწყრალსა შევრისხავთ და გევედრებით, რაცა გითხრათ, სიტყვა მოგვიგოთ წმიდათაგან გამორჩევით და ნუ იტყვით სხვისა ლექსისაგან სიტყვასა უსიბრძნისა და ნუცა ცუდსა იკადრებთ თქმად. და სიტყვა უგო ეფესელმან ფრანგსა ანდრიას, ვითარმედ: „ჩვენ აღმოსავლეთისა ძმათა სიტყვა გვაქვს და მოგიგებთ თავად-თავედად“ და დაიკვნა კრება. და კრება იქნა ოკდონბერსა ათუთხმეტსა და იტყოდენ, რათა „პირველთა კრებათა წერილნი მოვილოთ და გამოსვლისათვის სულისა წმიდისა“ და დაიკვნა კრება მრავლისა სიტყვისაგან და კვალად ოკდომბერს ათექვსმეტსა შეიქმნა კრება, მაშინ ეფესელმან იწყო და მოახსენა პაპასა, რათა „წარიკითხონ ყოვლისა სოფლისა კრებანი წესისაებრ, ეგრეთვე პირველისა კრებისა და მეორისა, რომელიცა არს საფუძველი ეკლესიისა და სარწმუნოებისა, რათა გამოჩნდენ საქმენი ჩვენნი მუნით და სასოება, რომელიცა გვაქვს ერთობისა და მათი მადლი მოვილოთ, რათა აქა შეკრებულნი დავმტკიცდეთ, ვინა არა გვაქვს წიგნები პირველისა და მეორისა კრებისა, უკეთუ ბრძანეთ, წარიკითხონ“, მაშინ მიუგო კარდინალმა იოანემ: „მამანო სარწმუნონო, ბრძანება არის ყოვლად სანატრელისა პაპისა, რათა სწორედ დავიცვათ მამათა ერთობა“ და უფალი მარკოზ ეფესელი იტყოდა რა ამას, მოემზადა როდელი მაშინ, სიტყვა უგო კრებასა, ვითარმედ: „ვითა პირობა არის მამათა მიერ ვიპყრათ და უკეთუ გნებავსთ აღმოიკითხომცა თქვენად გასამართლებლად, არათუ ჩვენისა ნებისაებრ, არამედ ორთავეთათჳს“, ხოლო ეფესელმან მარკოზ მიუგო და ჰრქვა: „წარიკითხონ კრებისა რომელიცა საკმარ არს“ და აღმოიკითხეს ნიკიის კრებისა განწესება სამას ათვრამეტსა მამათა, მეორისა და მესამისა. აწ ყავით ნიკიისა კრებისა განწესება, ამათ წინააღმდეგომნი ეპისკოპოზნი განიკვეთებიან და ერისგანი შეიჩვენებიან. მაშინ წყეს სულისა წმიდისა გამოსვლისათვის, რამეთუ ფრანგნი იტყოდეს: „გამოვალს სული წმიდა



მამისა და მისაგან“ და ბერძენნი იტყოდეს: „მამისაგან გამოვალს და არათუ მისაგან“ და იტყოდეს მრავალსა ამისთჳს ფრანგთა და ბერძენთა ფილასოფოსნი და მოწამედ მოიყვანეს კირილე ალექსანდრიელი, რომელმანცა მისწერა პატრიარქსა ანტიოქისასა, რომელიცა მაშინ იტყოდენ სარწმუნოებისა ჩვენისათვის, რომელიცა ამა ლექსსა არცა მოაკლდეს და არცა მოემატოს. არა იტყოდენ ისინი, არამედ სული წმიდა იტყოდა მათ შორის. ამისთვის გამოვალს მამისაგან, რამეთუ მხოლოდ შობილი სიტყვა არა არს განშორებული მამისაგან, ხოლო მარკოზ ეფესელი იტყოდა: „ისმინეთ სამღთოსა კირილესთვის, თუ რასა იტყვის, ვითარმედ „არცა შემატოს ამას სარწმუნოებასა და არც დააკლდეს და გვედრებით, რათა წარიკითხოთ მეოთხისა კრებისა პირველი და დასასრული სარწმუნოებისა“, ეგრეთვე წარიკითხეს და იტყოდა: „პირველი წმიდა და ყოვლისა სოფლისა მეოთხე კრება ხალკიდონისა მაღლითა ღვთისათა და ნებითა მეფისა ჩვენისა მარკიანესით იქმნა კრება სამწყსოსა ბირთვინიისასა მოწმობით წმიდისა მოწმისა ეფემიასითა“ და ბრძანეს მდაბლად და დაამტკიცეს, ვითა რაოდენი იქმნა პირველსა კრებასა და მეორესა და მესამესა ბრძანებით ღვთისათა და პირველსავე და შემდგომად აღმოიკითხეს და დასასრულსა პირველისაებრი სარწმუნოება, რომელ არს „მრწამს ერთი ღმერთი“ და შემდგომნი ამისნი, რათა ეგოს შეუძრველად და არა რა შემატება ექმნას და აღმოიკითხეს კვალად სიტყვანი წმიდისა ყოვლისა სოფლისა კრებისა მეხუთისა იოანეს პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა, ვითა მოგვეცა წმიდათა მამათაგან, რათა არა შეირყოს და იდგეს მტკიცედ და იქადაგოს იესო ქრისტეს მიერთთა ბრძანებითა, უნაკლულად დაიცვებოდენ მრწამსი და კმა-ყო წმიდამან ამან და ყოვლისა სოფლისა კრებამან ნიკიას ჟამსა ღვთისმოყვარისა კოსტანტინესზე, რომელიცა ამანვე დაამტკიცა და მეორე და მესამე და მეოთხე კრებამ, ვერავინ შემძლებელ არს ამათსა შერყევასა, რომელი დაამტკიცეს. ესე რჯული შეურყეველად დავიცვათ უეჭველად და ყოველი ბოროტი და ამპარტავნება განვიშოროთ ერთით პირითა წმიდისა სამებასა თაყვანისცემდეთ, არს კუალად სარწმუნოება, რომელი შეკრბა კოსტანტინეპოლის ასმორმოცდაათთა წმიდათა მამათაგან, რომელიცა კუალად ემსგავსნეს ნიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათა და გვასწავეს ჩვენ სარწმუნოება წმიდა და შეაჩვენეს არიოზ უღვთო და მეორესა კრებასა რომელი შეკრბენ კოსტანტინეპოლის ასორმოცდაათნი წმიდანი მამანი გამომთქმელნი სარწმუნოებისანი და მრწამსისა და განაჩინეს სულისა წმიდისა

ღვთაება და წვალეზა მაკედონისა სულისა წმიდისა მტრისა და აპოლინარისა უღვთოსი შეაჩვენეს და შევიწყნარებთ მესამესა კრებასა ორასთა მამათა ეფესოსა, ეგრეთვე მათცა დაამტკიცეს ესე სარწმუნოება და შეაჩვენეს ბილწი უსჯულო და საძაგელი მისი და მათ თანა ერთჴმა ვართ ჩვენ და კვალად ექვსასოცდაათთა წმიდათა მამათ და სამთა მათ კრებათა თანა ესეცა ერთჴმა მათი, რომელთა აწინდელი ესე მრწამსი თქვეს და შეაჩვენეს ერთისა ბუნებისა მეტყველნი, ხოლო ამისა შემდგომად იწყეს ბერძენთა მრწამსი თარგმანებითურთ მისით და იყო დიდი სიტყვისგება ურთიერთას შორის და მოიღებდნენ მოწმად მრავალთა სამღთოთა წერილთა ორნივე და მოიღეს მეშვიდის კრების განწესება.

შეკრებულთა წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეშვიდისა კრებისა, რომელიცა შეკრბენ მეორედ ნიკიას წმიდა და ყოვლისა სოფლისა დიდი კრება მადლითა ღვთისათა ქებული მართლმადიდებელთაგან და მართლმადიდებლისა და მოყვარისა ჩვენისა მეფისა კოსტანტინეს და ირინე, დედისა მისისა, რომელიცა შეკრიბნეს მეორედ ნიკიას ბრწყინვალესა პოტორონსა სამწყსოსა ბითვინისასა ამა წმიდასა ღვთისა ეკლესიასა, რომელსა ეწოდება სოფია. იწყეს მოცემულისა სამძღვრისა განახლებად. კათოლიკე ეკლესიისა ბრძანება პირველისაებრ განწესებისა, რამეთუ ნათლითა მისითა განვნათლდით და მეცნიერება მისი ჩვენ მოგვენიჭა და ბნელისა მისგან ემშაკთასა სალტოლოვილისა განგვაშორვა ქრისტემან, ღმერთმან ქვენმან, ვიდრე აღსასრულადმდე და აღასრულეს ბრძანება ესე საღვთო მამათა მეშვიდისა კრებისა თქვეს არცა რათურთით მოკლება, გინა შემატება, რომელიცა აღწერილ არიან და დაბეჭდილ წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეექვსისა კრებისათა და დავიცვათ მართლ აღსარებითა, ვითა ზღუდესა მტკიცესა უკუნისამდე.

ამან წმიდამან კრებამან ისმინეს რა, ყოველთა ერთობით აღიარეს, ესრეთ გვრწამს და ყოველნი ამას ვეძიებთ და ყოველნი ერთითა პირითა და ერთითა სიტყვითა დავწერეთ: „ესე არს სჯული მოციქულისა, ესე არს სჯული მამათა, ესე არს მართლმადიდებელთა, ესე არს სჯული ყოვლისა სოფლისა და ქადაგათა: „მრწამს ერთი ღმერთი“, ვაქებთ სამებასა და წმიდათა ხატთა უამბორობთ და

მისი აღმსარებელნი არა მორწმუნეთა შორის განვაგდებთ ეკლესიისაგან, ხოლო ჩვენ პირველსავე კათოლიკე ეკლესიისა აღსარებასა ზედან ვდგათ და მათსა შეკრებულსა ვიმარხავთ და ვინცა მოაკლებს და ანუ შემატებს ეკლესიისაგან, რომელიცა აღიარეს შვიდმან კრებამან ღვთისაგან. ამათ წინააღდგომთა შევაჩვენებთ და ესენი რა აღმოიკითხეს ბრძანებანი მეშვიდისა კრებისანი, მოიტანეს ერთი წიგნი ძველი და ეწერა ამა შვიდისა კრებისა ბრძანებანი და იპოვეს ღვთისმეტყველებით წმიდისა სულისა მამისაგან გამომავლობით და ძისაგან, ვითარცა ფრანგნი აღიარებენ, მრავალი სიტყვა შემოჰკდა და გრძელი აჩვენებდნენ, ვითარმედ ძველი წიგნი ფრანგნი ამა წიგნითა ფრიად იქადოდნენ და მრავალსა იტყოდნენ და ბერძენთა არცა ერთი სიტყვა მისცეს მისთვის, ამისთვის, რამეთუ ჟამი აღარა იყო საუბრისა და მას დღესა დაიკვნა კრება და წარვიდნენ.

და კუალად ოკდომბრისა ოცსა, დღესა ოთხშაბათსა შეკრბნენ კუალად კრება წმიდასა ტაძარსა ფრანჩისკოსასა და თქვეს აღმოსავლელთა: „ისმინეთ მამათა ღირსთა ეპისკოპოზთა და ბრძანეს სათნოთა ღვთისათა მამათა ყოვლისა სოფლისა ამის სარწმუნოებისათვის, დაბეჭდეს და დაიმტკიცეს და ჩვენ სასოებითა მამათა ჩვენთათა მათ მიერი ბრძანება დავიმარხეთ და მათ მიერისა შეჩვენებისაგან ჩვენ ვიშიშვით. ვერ შემძლებელ ვართ რწმუნებად თქვენ მიერსა თქმულსა, რომელიცა იტყვით წმიდისა მოწამისა შორის“. მაშინ თქვეს დასავლეთისათა ამაღლებულთა: „მეფეო, ესე წიგნი, ჩვენ მიერ მოტანილი წმიდისა მეშვიდისა კრებისა, არს წიგნი ფრიად ძველი და არს შეუძლებელ თარგმნად, რომ შეიტყოს კაცმან, რამეთუ არა რა წინა აღმდგომნი არს წიგნსა ამას შინა და არს ჩვენდა მეცნიერი კაცი ძველი და ბრძენი და მრავალთათვის დასწერს და ამა მრწამსისა თავს დაუწერა, რომე მეშვიდეს კრებას ესრეთ დაუწერია, ვითა ამა ძველსა შინა წიგნსა ძეს, რომელიცა საჯაროდ აღმოიკითხეს“, ამისთვის იწყეს ზრახვა აღმოსავლეთისათა და დასავლეთისათა და ეძიებდნენ გამოსვლისათვის სულისა წმიდისა და აღიხსენეს ღვთისმეტყველისათვის გრიგოლისა კლიდონისა ებისტოლესა შინა აღმოკითხული და იოანეს სახარებისაგან და კირილეს მიერ აღმოკითხული, ვითარმედ ვკითხო მამასა ჩემსა და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქვენ და დაესრულა და წარმოიღეს დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა და სხვათა ეპისკოპოზთა და მრავლად იუბნეს და გაიყარა კრება.

და კუალად ოცდახუთსა ამასვე თვესა, დღესა შაბათსა, შეკრბა კრება შეიყარნენ და თქვეს კუალად გამოსვლისათვის სულისა წმიდისა მოიღეს ნეტარისა აგვისტინეს წიგნი და საღმთო აბროსისი მღვდელთმთავრისა მედიოლანელისა და ილარიონისი და მოიღეს ბერძენთა დიდისა ათანასესი და დიდისა ბასილისი და საღმთოსა ოქროპირისა და სამღთოსა ანასტასიოსი, ღმთისა ქალაქისა დიდისა ანტიოქისა, მთით სინით აღმოსრულისა და ეპიფანე ეპისკოპოზისა კვიპრიელისა და სხვათა მრავალთა თქვეს და განარჩევდეს ურთიერთას სმენითა და სიტყვითა მიგებითა.

კუალად შეკრბენ ნოემბერსა პირველსა, დღესა შაბათსა და კუალად მეოთხესა ნოემბერსა სამშაბათსა, კუალად ნოემბერსა რვასა და კუალად ნოემბერსა იწ (18), რაოდენიცა ითქმოდა, შეკრბებოდნენ, იტყოდენ მხოლოდ სულისა წმიდისათვის, მოვიდნენ პოტირიტები მთვარისა ვორონდისანი ფრანგნი კრებაში წარვიდნენ და თაყვანისცეს მხოლოდ პაპასა და უამბორეს მარჯვენასა მჯდომარესა ინაკთ მეფისა და თანა წარკდენ პატივსა კელმწიფისასა და არა რა ჯეროვანნი პატივი მისცეს კრებასა და აღმოიკითხეს ენისაებრ მათისა, ხოლო მეფეც და მისნი კრებულნი ვერ ისმენდეს მათსა, რამეთუ არა იყო ელენებრ, არამედ ფრანგულებრ და აღდგა მეფე და დაიკსნა კრება და მწუხარე იყო მეფე და თვისად შეურაცხებად შერაცხა პოტირიტებისაგნ მეფობისა მისისა თაყვანისუცემელობა წესისაებრ დაკლება და იტყოდა: „არღარა წარვიდე კრებისა და არცაღა ვყო კრება ამისთვის, რომელ შეურაცხ ვიქმენ და სირცხვილეულ არა თაყვანისცემისთვის“, ხოლო ისმინა რა ესე პაპამან, წარუგზავნა ვედრებად კაცი მაგიერათ მისად, რათა ქმნას კუალად კრება, ვითარმედ დუკსა მოუწერა: „არა რწმუნება ბერძნთა კრებისა, არამედ ჩვენ შორისი ქმნას კრება და ამათცა ამა ერთობითსა სარწმუნოებაზედ მოვიყვან, რათა ერთ იყვნენ ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი“ და მეფემან ისმინა პაპისა და ოთხსა დეკენბერსა, დღესა ხუთშაბათსა შეიყარნენ კუალად კრებანი და იქმნა ჯდომა მეფისა და სხვათა კრებულთა და მოვიდნენ პოტირიტები დუკასნი და თაყვანისცეს მეფესა და არავითარ ჯერ არს მეფეთა ეგრეთ და ძალითა ითმენდა ამას მეფე და ბრძანა მეფემან, ვითარმედ გამომავლობისათვის სულისა წმიდისა, ვიდრე მწუხრადმდე და შემდგომად გაიყარა კრება.

და კუალად რვასა დეკენბერსა და შექმნეს პირველად სიტყვანი მრავალნი და დაშვრენ საუბრითა და შეწრფენ, ხოლო ეპისკოპოსნი და კლირიკოსნი და ყოველნივე მყოფნი კრებისანი იტყოდენ თვისთა თავთა შორის: „რა არს ესე ლიტონი სიტყვა, რომელ გვესმის, არცა მათ ძალუც მღევა ჩვენი და ვერცა ჩვეენ შემძლებელ ვართ მღევად მათდა, ამისთვის ჯერ არს, რათა წარვიდეთ ქალაქსა ჩვენსა, ხოლო მეფე იყო კაცი სულგრძელი დიდად და ყოველსავე მოითმენდა და წინსასწარსა საქმესა გამოარჩევდა ორთავე შინა კრებათა. შთავარდა მეფე ზრუნვასა შინა მსგავსად მძინარისა და პატრიარქიცა იყო სნეულებასა შინა სრულიად შეუძლებელ სიტყვისა და სმენისა.

გამოკდა დღე ათექვსმეტი და პატრიარქი მცირედრე უკეთ იყოფებოდა და მივიდნენ კრებანი, კერძო ბერძენთა პატრიარქსა თანა და ევედრნენ პატრიარქსა და დასვეს ტახტსა ზედან და მიიყვანეს წინაშე და იყოფებოდა მის თანა ვიდრე ორდღე და განიზრახვიდენ მეფეც და პატრიარქი. მსწრაფლ მიიწინენ ეპისკოპოსნი და ყოველნი კრებანი. იტყოდენ ბერძენნი და კრებანი რაოდენიცა ქმნილ იყო პალატსა მეფისასა და მოწყინე იქმნა მეფე და თქვა: „ჩვენ ეკლესიისა გამოჩენა გვინებს, ამისთვის დაუტევეთ სამყოფნი, ჩვენნი მამულნი და მოვედით ფრიადითა შეჭირვებითა და დავმაშურალდით. ვითხოვ ეკლესიისა წარმოჩენასა, დასცხრეს ეკლესიისა განხეთქილება ორთავე შუა და თქვენ ყოველნი მოხვიდეთ ამა საქმისათვის და მოიწინით შერყეულისა ეკლესიისათვის და მთვარნი მართლმადიდებელთა სჯულისანი. დაიმედებულ ვიყავ კლირიკოსთა. მე ერთისა სახეობისათვის ვიჭირავთ, რათა ცოდვილმან რამე მოვილო ღვთისაგან შენდობა, ამისთვის არცა ვისმენდით, არცა ვეძიებთ სხვასა დიდებასა, არამედ ამისთვის წესი არს თქვენ მიერ გამოჩინებად ერთობისა წმიდისა ეკლესიისა და უმეტესად რომე მოვიქცეთ მამულსა ჩვენსა დიდებითა და ქებითა, არმედ მივიდეთ სირცხვილეულად“. ესე სიტყვანი ითქვნეს მეფისა მიერ წინაშე სინოდისა. თქვა: „რამეთუ პაპამან, მომითხრა ჩვენ, ვითარმედ ჯერ არს აღდგომად აქა ფერარათგან და წარვიდეთ ფლორენციასა და მუნ აღვასრულოთ კრება, ვითარ უკლებ კეთილ არს სიტყვა ესე ჩვენდა ანუ არა“ და სიტყვა უგეს ეპისკოპოსთა მეფესა: „ჩვენ, კელმწიფეო, გვნებავს არაოდეს არ წარვიდეთ აქა ფერარათგან. ამის მიერ შეიქმნა გამოჩინება, რამეთუ აღსრულდეს აქა კრებანი, არათუ სხვასა ადგილსა ჯერ არს კელმწიფობისა

შენისათა, რათა გამოჩნდეს, თუ რასათვის წარვიდეთ ფლორენცასა? არა ჯერ არს აქათგან წარსვლა ჩვენი, რამეთუ არა ჯერ არს სხვასა ქვეყანასა სხვითა მივიდეთ“ თქვა მეფემან: „ვითარ ვსთხოვოთ ნავნი და ხარჯნი, უკეთუ უკანვე ვიწყოთ და იყვნენ საფასესა ზედან ხარჯსა იწროდ“ და იტყოდა ყოვლად სანატრელი კრებისა მიმართ ბერძენთსა: „უწყოდეთ მართლიად, რამეთუ არა რა მაქვს რათამცა ნუგეშინისგეც ხარჯისაგან და მოგეც. არს ესე ადგილი ვონონიასი არს, არს ჩემი რაოდენიცა გინებს და მოგეც ფორორეთგან ორმოცდაათს დრაჰკანს, რომე გამოვიდეთ ფორარი კრებანი ფორართგან და წარვიდეთ ფლორენციას. ისმინეთ და მომდევდით მე, ვიდრე ფლორენცადმდე და აღვითქუამ, რათა მოგცემ კოსტანტინეპოლისა შეწევნისათვის თორმეტი ათასი დრაჰკანი და ხომალდნი ანუ თქვენი რა მაცს ვალი გარდასაკდელი, არამედ ხარჯი რაოდენიცა აღვითქვი, აღიღებდეთ თვეთა თვემდის, ვითა ჯერ არს, ეგრეთ დადებული, მოვედით და წარვიდეთ ფლორენციას. იყოს ვადა სამისათვის ანუ ოთხისა გქონდეს დიდება, რომელიცა მიგცეთ ქვეყანასა თქვენსა, უკეთუ გინებსთ, ერთად აღვიარნეთ და ვიყოთ სწორათ.

ეპისკოპოსთა, ვითარცა ისმინეს ესე, ფრიად შეწუბდენ, ამისთვის, რამეთუ საზრდო არა რა ჰქონდათ, რათა ქმნან კრებანი, ბრძანა, ანუ მიყვნენ სიტყვასა პაპისასა, მივიდნენ ფლორენციას, უკეთუ არა შეკრეს პირობა, რათა მიყუნენ, რომე იყუნენ შეჭირვებულნი და ესრეთ მიუმცნო მეფემან პატრიარქსა, სადაცა იყოფებოდა უძღურებით და რჩევა ეპისკოპოსთა დაამტკიცეს, რათა წარვიდენ ფლორენცას. დღე იყო პარასკევი. ფრიად ურვიდენ მეფე და პაპა გზასა ფლორენცისასა. ოდეს მოიწია დღესასწაული ნათლისღებისა, კუალად შეკრბენ კრებანი და თქვა პაპამან: „უკეთუ ნებსით აღვილო სახარჯო, რათა წარვიდენ ფლორენციას“. მაშინ ბრძანა მეფემან: „სჯული არს ფრანგისა, არა თუ შეცთუნებით, არამედ გამოირჩიოს ყოვლისა სოფლისა კრებითა განუშორებელად სრულითა საქმითა და პირობითა და კრებითა ამა საქმისაგან ერთი, უკეთუ შევიდე პირველი, თუმცა არს სიკუდილი; მეორე - თუმცა არს შიმშლი; მესამე - აღდგომისა მტერი თუ არს, მას თუმცა ებრძოლონ, არამედ ჩვენცა გვენბავს გამოსვლა აქეთგან, წარვიდეთ ფერართგან და ვქნათ კრება სხვასა ადგილსა და შეიქმნა მიზეზი, რამეთუ სალმობაა ჟამისა“ დაამტკიცეს

მეფემან და პაპამან, რომე განცხადდეს საერთოდ მიზეზი ამა კრებისა, რომე გამოვა ფერარითგან და წავა ფლორენციას და შეკრბენ ყოველნი კრებანი ეპისკოპოსთანი და დაჯდა მეფე და პაპა და ყოველნივე კრებულნი ბერძნისა და ფრანცისა და პატრიარქი არა იყო მუნ, რამეთუ უძღურებდა და შთაიცვეს შესამოსელი ნეოპოლისა ეპისკოპოსმან და სწირა ჟამი და შემდგომად წირვისა დაიწყო ლიტანია და ვედრებად ეპისკოპოსმან, ვითარცა ჰქონდათ ჩვეულება. მოვიდა სანატრელი პაპა, ჩაცმული და შემოსილი და მათ თანა კარდინალნი და არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი შემოსილნი ყოველნი და დასხდენ. მაშინ უბრძანა პაპამ არქიეპისკოპოსსა, რომელსა ერქვა ღრადენსინ და მეფემან მთავარეპისკოპოსსა მიდილინისასა, რომელთაცა აღიარეს მსოფლიო ყოვლისა სოფლისა კერბა და აღვიდენ მალლად ანბიონსა ზედან და წარიკითხეს ღრადენიოს ფრანგულად და მიდილინისამან ელინურად, ვითარ დამტკიცდეს კრება ფლორენციასა. კმითა დიდითა იტყოდენ: „ევგენიოს, მონა მონისა ღვთისა მარადის მოხსენებული და შეიქმნა ყოვლისა სოფლისა კრება ფერერას და წეს იყო, რათა ფერერასვე აღგვესრულებინა და ვინათგან ჟამისა საღმობა შეიქმნა და ზამთარიცა არს ფრიად ნუუკუჭ და გზა არღარა მოგვეცეს ნეფხვისაგან ზამთრისა და ვიდრე ზაფხულადმდე დავშთეთ აქა. რჯულისაებრ კანონისა დავსხენით აწ კრება ფერარისა და წარვემართენით ფლორენცას“ ესე სიტყვანი აღმოიკითხეს მთავარეპისკოპოსთა და აღწერეს მწიგნობართა დაკსნა და გაიყარა კრება.

თვესა იანვარსა თერთმეტსა მიეცა ბერძენთა სახარჯო სანატრელისა პაპისაგან, არა თუ მხოლოდ ამათ ოდენ მიეცა ხარჯი, არამედ კოსტანტინეპოლისაცა შესაწევნელად ცხრამეტი ათასი დრაკკანი და იწყეს კეთება გზისა, რათამცა წარვიდენ ფლორენცას, ხოლო იანვარსა ათექვსმეტსა გამოვიდა პაპა თვისით პალატით დიდითა დიდებითა, ცხენი უძღოდენ თეთრნი თორმეტნი ბრწყინვალედ შემოსილნი, ხოლო ცხენსა ერთსა დაადგერს ზურგსა მცირე კიდობანი, რომელსა შინა იდვა კორცი ქრისტესი, ხოლო გარემო მისა შმოსილნი კაცნი ორმოცდაათი ლამპრებით და მეორესა ცხენსა ამკედრდა პაპა და ეხურა მიტრა თავსა ზედან და პატრონი ფერარისა მარკოზ ქვეითად სადავე კელთდებით წინა უძღოდა პაპასა ვიდრე ქალაქით გარემდის, ეგრეთვე ძეცა ამისი და სხვანი ცხენნიცა რიელნი წინამძღვანილ იყუნენ და უკანა შეუდგენ კარდინალები და ეპისკოპოსნი ყოველნი ცხენითა უკანა შეუდგენ და სხვანი მრავალნი ერნი ესეთითა წესითა გამოვიდა და

გამოვიდა პაპა ზღუდეთა ფერარისათა და მიიწია მონასტერსა მამისა ანტონისასა მწუხრად, რამეთუ დღესა მას იანვარსა ათექვსმეტსა იმა მონასტრისა დღესასწაული იყო. ესე მონასტერი განშორებულთა დედათა იყო, ფრიად კეთილი და განუშორებელად აქვს პალატები და მრავალი განსვენება. ოდესცა მოიწივნენ მთავარნი ანუ სხვანი ვინმე, მუნ განისვენონ და ვითარცა პაპა მიიწია მუნ, ამისთვისა რამეთუ წყალი დიდი ახლდა მონასტერსა და მუნით განვიდოდა, რაჟამს გამოვიდეს საყდრით, განვიდეს წყალსა და მივიდეს სოფელსა მოდენას. არს ციხე მოდენასა და ფლორენცას შუა, რა მიახლოვდა მოდენას მწუხრად, დარჩა მონასტრის პალატებში და მუნით შთასხდენ ნავსა იანვარსა ათწვიდმეტსა და წარვიდენ პაპა და მიიწინენ სხვად მდინარედ. და მისდევდა მათ ფერარისა პატრონი მარკოზ. მივიდენ როდენსა ჟამსა დღისასა და შემდგომად შთავიდნენ ფლორენცასა და შემოეყარნენ კრებულნი თვისნი და უმრავლესნი მიტრაპოლიტნი წინათ წარვიდნენ და ზოგნი პატრიარქისა თანა მიჰყვებოდეს და ათცამეტსა ფებერვალსა ინება პატრიარქმან შესვლად ფლორენცასა და მოეგებნენ ორნი კარდინალნი, ათი მთავარეპისკოპოსი და ოცდაათი ეპისკოპოსი და მრავალნი ერნი მიეგებნენ და შეიყვანეს ფლორენცას და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა მეფეცა, ვინმცა შემძლებელ არს აღწერად მის დიდებისა, რომელიცა მიგებებასა მეფისასა იქმნა და მთავარნი მიუძღვნენ ვიდრე ზღუდედმდე ქალაქისა და მოვიდნენ ყოველნი კარდინალები და ყოველნი განწყობილნი ხორონი ბრწყინვალეებითა შემოსილ იყვნეს და მრავალნი მდგომარენი იკითხვიდენ, ვითარმედ: „ვინ არს მომავალი ესე“ ციხენი და ქალაქნი შეძრწუნდნენ, ხედვიდენ რა მეფესა დედანი და მამანი „ესე არს რიგი ფლორენცისა“, ვითა შევიდა მეფე ფლორენცას, დღე იყო კვირიაკე და ორშაბათსა ევედრნენ მისლვად პალატად ბრწყინვალედ, რათა იხილოს მრავალფერი შესაქცევი და საკვირველება, სეირი ბრწყინვალე და რბევა ცხენთა ურაკპარაკთა შორის, ესე ვითარსა პალატსა დღესასწაულსა ისერებდენ და მივიდა მეფე და იხილა ესეოდენი განცხრომა და ოდეს განვიდა აღება კრება ყოვლისა და პირველსა მარხვისა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, შეკრბენ პალატსა პაპისასა და საჯდომელი წესისაებრ და განვლო წმიდამან კვირამან მარხვისამან, ხოლო პატრიარქი ფრიად უძღურებდა სიმსივნითა ფეკთათა და ესე იტყოდენ,



ვითარმედ პირველსა კრებასა არა მოვიდეს პატრიარქი, არა ჯერ არს, ხოლო იგი მიზეზობდა შეუძლებლობასა და ფებერვალსა კვ (26), დღესა ხუთშაბათსა მეორისა მეორისა შვიდეულისა მარხვისასა შეკრბა პირველი კრება ფლორენცისა და შეკრბენ შეკრბენ მიტრაპოლიტნი მეფითურთ პალატსა პაპისასა, რომელი იყო მზა და დასხდენ წესისაებრ. მაშინ იწყეს სიტყვანი დიდ-დიდნი და საშინელი და იცოდენ სიტყვასა კუალად გამოსლვისათვის სულისა წმიდისა. იტყოდენ ლათინნი: „რამეთუ მამისაგან გამოვალს და ძისაგან ორისაგანვე სული წმიდა“ და ბერძენნი იტყოდეს: „მამისაგან გამოვა მარტო“, ვითარცა მოიტანეს ძველსა მოწამესა წიგნთა დიდრუანთა და წმიდათა მოძღვართა, არამედ მრავლისა საუბრისაგან დაიკვნა კრება.

ხოლო შემდგომად მარტსა ხუთსა კუალად შეიქმნა კრება და შეკრბნენ პალატსა პაპისასა და დასხდენ ამისთვის და ამგუარი იუბნეს მრავალი ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა და სძლევდენ ძლიერად სიტყვასა ფრანგთა დიდთა მოწმობათა მიერ დაიკვნა კრება და კვალად მარტსა ათორმეტსა და ჩვიდმეტსა, ოცსა და კვალად დღესა შაბათსა შეკრბენ კუალად ყოველნი და კზ (27) ამ თვისასა კუალად იყო სიტყვის გება და კრებასა რა ისხდეს არა სრულობით სიტყვა მგებელობდენ სხვისათვის, არამედ სულისა წმიდისათვის.

კუალად მარტსა კთ (29) და ღია შეკრბენ და რაოდენსაცა იტყოდენ მოწმობითა მრავალთა სამღთოთა მამათა და მოძღვართა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათა მამანი იტყოდენ: დიდი ბასილი, დიდი გრიგოლი, სამღვთო ოქროპირი, დიდი ათანასი, დიდი კირილე, დიდი მაქსიმოს, დასავლეთისა - დიდმან აღვისტინემ, იერენიმოს, სამღდელომ ილარიონ, დამასოს ლეონ მრავალრიგად იტყოდენ სულისა წმიდისათვის. გიორგიოს ბერძენმან იგავად იწყო, სამისა სიტყვისა მაშვალობისათვის ეტყოდა ბერძენთა, რათა ერთ იყვნეთ ფრანგთა თანა და წარვიდოდეს დღენი და ჟამნი არა მცირენი. იტყოდა მეფე დაფარვითა კრებულთა თანა ამისთვის და პაპა თვისთა კრებულთა თანა და კუალად დაიხსნა კრება და კუალად დასხდენ ორნივე კერძონი და სიტყვას მგელობდენ და არა რა ერთობა იქმნებოდა.

მოიწია სულისა წმიდისა კვირიაკე და მოუთხრა პაპამან მეფესა და ევედრებოდა, ვითარმედ ვიუბნათ ამა კრებისა ერთობისათვის და მივიდა ეკლესიად მწუხრად მუკლმოდრეკით და შემდგომნი მიტრაპოლიტნი და უბრძანა მრავალი

მეფემან ამა საქმისათვის, რათა ირწმუნონ, ვითა იტყვიან ფრანგნი და გაერთდენ. რა მეფემან ისმინა თვისთა კრებულთგან, მივიდა დღესა ხუთშაბათსა სულის წმიდის მოსვლისასა მიტრაპოლიტებით. იწყო და ეტყოდა მათ მდუმრად: „ჩვენ, მეუფენო და მიტრაპოლიტ-მთავარეპისკოპოზნო, ჩვენ ამა საქმისათვის სხვასა ქვეყანასა ამისთვის მოვედით. ვიქადოდით მიებასა ეკლესიისასა და დაგვეყოვნა თვესა ათხუთმეტსა და არა რა პატივი გვაქვს და სახლი ჩვენი იტყვევს. ყოველთა მაუწყეთ, თუ რასა იტყვით“, ესრეთ იტყოდა მეფე და სხვასა მრავალსა სიტყვა უგეს მიტრაპოლიტთა და თქვეს: „ესე რომელსა არა სურის შვილობა ეკლესიისა, იგი არს შეჩვენებულ, არამედ სარწმუნოებითა ყოველთა ეპისკოპოსთა“ და რუსთა მარტო თქვა: „ძმანო, წარვიკითხოთ წიგნები დასავლეთისა და აღმოსავლეთისა წმიდათა მამათა, რომელიცა გვემოწმოს მათი ბრძანება ჩვენდა, ამა თქმულსა, ვინათგან არს მშვიდობა, ვისმინოთ სიტყვა ესე“ და მიუგეს სიტყვა ეპისკოპოსთა. თქვა ნიკიისა მიტრაპოლიტმან: „უკეთუ ჩვენის სიტყვის მოწამენი არიან წმიდანი იგი, რასათვის არა გრწამსთ გამოსვლა მისაგან. ისმინეთ სიტყვა ესე“ იტყოდა ნიკიისა არქიერი, ვითა ბრძენი ფილასოფოსი იტყოდა: „არა ირწმუნეს მისი“ და დადუმდენ. არა იტყოდენ მისი გულისთქმა, თავი მოუდრიკეს და იქმენ ნაქმარსა მათსა. მსწრაფლ იქმნა წმიდის კირილესგან თქმულისა, თავისაგან იოანესი და წიგნისაგან წმიდისა ეპიფანეს, რომელსა ეწოდება ანგიროტოს საუნჯისა მის ძვირფასისა და აღმოიკითხეს მრავალთა. მიდილელამა თქვა და მოილო ყოველივე დასავლეთისა წმიდათა წერილი და აღმოიკითხეს და ყოველივე დადუმდენ და თქვეს ყოველთა: „არა უწყით დასავლეთისა წმიდანი, არცა მაშინ აღმოიკითხულა“ და მიუგო ნიკიისა ეფისკოპოსმან ბესარიონ, რომელიცა მიმდგომ იქმნა მათი და თქვა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა წინა, ვითარმედ: „აწ რასა იტყვით და რას მომიგებთ“ და მსწრაფლს მიუგეს სიტყვა: „აწ ვიხილით და განვიცადეთ და აღვიარებთ, ვითარმედ სარწმუნო არს“, მაშინ ბრძანა მეფემან: „უკეთუ აღიარებთ, მომეცით მე გულისწორე და მართლიად სიტყვა“ და ირწმუნეს ყოველთა, ვინათგან ერთი აღმოითქვა, აღსრულდა ნება მათი და დაიკვნა კრება და წარვიდენ თვისა სახლსა, ხოლო ნიკიელი აჩვენებდა ერთობასა ბერძენთასა და ვითა ფქვილი დაუდგრომელი ცხრილსა გარეთ იქცეოდა და ბერძენთ

აღიარებდნენ დიდად მესაიდუმლედ და ვერა ცნეს გულისა მისისა ნება და არა უწყოდნენ, ვითარმედ თაყვანისმცემელი არს მათი და იტყვის ამას და შემდგომად შემდგომად განთიად შაბათსა შეკრბენ ყოველნივე მიტრაპოლიტნი და კრებანი კოსტანტინეპოლისა ეკლესიისანი მეფესა სახლსა თანა პატრიარქისა, რამეთუ იყოფებოდა სნეულებით, ვითა ზემორე ვთქუთ. და მოვიდა უფალი გიორგიოს სხოლარი და მოახსენა მეფესა და მისცა ნება გულისა და კვალად წარვიდა. აღმოიკითხეს მიტრაპოლიტელთა, თუ რა არის წადილი გულისა მათისა, ხოლო მათ წარმოაჩინეს ერთობა მათი. ვინათგან პატრიარქიცა ნებასა ლათინთასა იყო და სარწმუნოებასა მათსა. მაშინ თქვა პოტირიტმან ანტიოქიისამან ისიდოროს: „მეცა ეგეთვე აღვიარებ და ვქადაგებ წინაშე ღმრთისა და წინაშე ჩვენსა“ და სიტყვა უგო ბესარიონ ნიკიელმან პოტირიტსა: „აღიარე, ვითა პირველსა სიტყვასა და აღიარე, ვითარმედ ასეულად და ორასეულად“, რამეთუ დიდად აღიარებდნენ ფრანგნი მას და ყოველთა თითოეულად განიკითხევდნენ ამა სარწმუნოებისათვის და სიტყვად წარმოათქმევინებდნენ, ხოლო ირაკლისამან ანტონიოს და ეფესელმან მარკოზ და მონომვასელმან დორითეოს და ახსელოსამან სოფრონიოს. ესენი იყვნეს მომძლელ გაერთიანებისა და წინ აღუდგენ მათსა გულისა განზრახვასა, ხოლო მიდილინისამან დორეთეოს ინება და აღიარა სიტყვანი ფრანგთანი.

ჰკითხევდნენ სხვანი მიტრაპოლიტნი განზრახვასა მათსა და მრავალნი იტყოდნენ გულისა განზრახვასა გამოჩენით, რომელიცა მათ ენება და ზოგნი სიცბილითა მიუგებდნენ მათ და შეკრეს ათთა მიტრაპოლიტთა პირი და სიმტკიცე ერთად შემწეთა ფრანგთაგან, რომელ არს ესენი: რუსმან, ნიკიელმან, ლაკედემონისა, მიდილინისა, როდუსი, ნიკომიდისა, დრისტის, ლანუდრამას, მელინიკუ და დიდმან პროტოსინგელოს და მოძღვარმა, უფალმან გიორგიოს და პოტირიტმან ალექსანდრისამან და წინამძღვრებმან და მღდელ-მონოზნებმან და უფალმან პახუმიოს. ამის შემდგომად მოვიდა კვიზიკელი, ტრაპეზუნტელი, მონოვრელი და პოტირიტი იერუსალაიმის პატრიარქისა. მაშინ მეფემან, ვითა იყო მეცნიერ, რა იყო, იხილა რამე, თუ იქნება შეერთება კოსტანტინეპოლისა და ფრანგთა და იპყრო საქმე, ვითა სიბრძნეცა ჰქონდა სხვარიგათ. პირველ შექმნეს და აღვიდეთ. კელით წერილი მიტრაპოლიტთა იხილა ორღან მეფემან, ფრიად კეთილი და რიტორი ეპისკოპოსმან რუსისა წარგზავნა პაპასთან და ეგრეთვე წარავლინა, ვითა თვისი პირი და მოახსენა

სანატრელსა პაპას: „თუმცა ბრძანებით, ყავით შეწევნა ჩვენი და ქრისტიანთა, ვითარცა დამპირდი საიდუმლოდ და გაცხადებულ და კრებისა წინაშე მოკმარებისა, ხოლო პაპმან მოციქული კუალად უკანვე წარგზავნა დიდებითა და გულის მოწყალებითა და ორშაბათსა ყოველთა წმიდათასა წარუგზავნა სამნი კარდინალნი მეფესა, ვითარცაპირი თვისი. რომელსაცა ესენი პირობითა შეიჯერონ. მეფეც, მართლიად უწყოდეს მეფემა ვითარმედ აღსრულდება, ხოლო ჰკითხა მეფემან კარდინალებსა: „სარწმუნო ვართ თქვენ მიერ პირობასა, ვითა პაპასასა, ვითა შეწევნასა ილუწის და სახელსა ქრისტიანობისასა“ და მიუგეს მათ მეფესა და ჰრქვეს: „ამხელადამა ბრძანებისამან მოგცეს სახარჯო ზოგი ერთი და ხომალდი, რომე წარვიდენ ერნი შენნი ეკლესიასა აღმოსავლეთისასა“, მისცეს სამსსა მკედარსა, რომე იქ იმყოფებოდნენ თვისითა ხარჯითა მცველად კოსტანტინეპოლისა, რამეთუ სახარჯო მათი იქ მნებავს ორნი ხომალდნი მცველად, რათა უფიქროთ დაიცვან კოსტანტინეპოლი, რათა შეიქმნას თაყვანისსაცემელი იერუსალემი კოსტანტინეპოლისა და დიდ-დიდნი ხომალდნი, რომელიცა მივიდოდნენ თაყვანისსაცემელად ცხოველსყოფელსა საფლავსა ერთითურთ მიიწეოდენ კოსტანტინეპოლის, ოდეს კელმწიფც ხომალდებს აღაშენებს შესაწევნელად თქვენდა, ოცსა ხომალდსა მოგანიჭებს თვისისა განწყობილებითა, რომე იმყოფებოდეს თქვენ თანა ექვს თვეს, უკეთუ გნებავსთ, თავი თვისისა ხარჯით იმყოფებოდეს თქვენ თანა წელიწადსა ერთსა, უკეთუ საკმარ არს თქვენდა და ინებებთ კმელით ხარსა წარმოგზავნის ნათესავსა ქრისტიანეთსა შესაწევნელად ქრისტესა“, ესენი მოახსენეს კარდინალთა მეფესა. ოდეს ისმინა მეფემან სიტყვანი ესე, განიხარა და უბრძანა კარდინალებსა: „რაოდენი ვთქვით, მოგვეცეს მაგიერად მისად და თქვენგან სამი ხაზინა ვენედიკითგან იენუადამ და ფლორენციდამ, რომე აღვილოთ ამა ქალაქებითგან, რაც, რომე შემოვალს“, ესე თქვეს და იუბნეს და წარვიდენ სამშაბათს, ივნისის ორს. ამასვე თვესა სამსა, დღესა ოთხშაბათსა შეკრბნენ არქიერნი და მეფე სახლსა პატრიარქისასა, რამეთუ უძღურებდა. ყოველნივე იყვნეს შემოსილ. იუბნენ ფილასოფოსნი ერთად, კრებულნი შეთქმულნი ერთპირად. აღმოსავლეთისა მიტრაპოლიტთ უბრძანა რამეთუ: „მე ამა წარსულისა კრებებისა წადილი ყოველთავე ვისმინე და ყოველთავე თქვენი

საწადი აღიარეთ. რასა იტყვით?“ და მიუგეს ყოველთა ერთისა განზრახვითა და გონებითა გვინებს, რათა პატრიარქმანცა მოგვცეს, თუ რა მნებავს ამათთვის, ხოლო ხოლო იხილა რა პატრიარქმან ნება მათი და მისცა მანცა ნებისაებრ მათისა, რამეთუ რამეთუ „შევერთდები თქვენ თანა, ვიქნები მეცა ერთი ამა ლათინთაგანი“ და რაოდენი იხილეს ეპისკოპოსთა პატრიარქისა გულისა სიტყვანი, ყოველნივე ერთად შეითქვენ და მისცეს გონებანი მათნი განზრახვასა პატრიარქისასა, ხოლო ირაკლიას და ეფესოს და სტავროპოლის და აქილევისა არა ეწადათ მიდევნება მათი, არცა ერთი რა ნება ქმნეს მათი, რომე ერთ იქმნენ ლათინთა თანა, არამედ მეფემან და პატრიარქმან, რომე მათი საწადელი ნება მისცეს და დაამტკიცებდენ, რაოდენცა იტყოდენ ფრანგნი და დაიკსნა კრება.

ხუთშაბათსა კუალად შეკრბენ მეფე და არქიერნი და ყოველნივე მიიწევდენ პალატსა პატრიარქისასა და მისცეს ნებისაებრ მათისა სიტყვა ნებითა, თუ ძალითა, თუ განგებულებითა, სრულისა გონებითა და დაამტკიცეს უცვალეზლობა ამა კრებისა, ხოლო პატრიარქი და მეფე და ყოველნი არქიერნი და სრულად კრებანი, თვინიერ ეფესელისა მარკოზისა, არა ინებებდეს სათნო ყოფად განზრახვისა ამათისა, არცა ნება ურთო თქმულთა ფრანგთასა. ამისთვის მრავალჯერ საფრკვე უყვეს კნინლა, ვიდრე სიკუდიდმდე. რაჟამს მისცეს მიტრაპოლიტთა გულისაებრ მათი სიტყვა არქიერთა და მეფემან პატრიარქსა და შეიქნა პირობა ერთნი და დასწერეს ესე დავთარსა ეკლესიისა ჰრომისასა და იქითგან აღმოიწერა სამი წიგნი პირობისა. ერთი წარილო პაპამა, ერთი - მეფემან და ერთი - პატრიარქმან და დაიკსნა კრება.

პარასკევი რა მოიწია, მოილო პაპამან ესე ერთობისა წიგნი და სთნდა ფრიად და შეკრბენ კარდინალნი და იხილეს რა, მათცა სთნდა და დადვეს პირობა, ვითარმედ ხვალისა დილას ადრე შაბათად გამოირჩიონ ათი ერთ კერძო და ათი მეორე კერძო, რომე აღასრულონ ამა წიგნისა საქმე, რომელ აღწერონ, რაოდენიცა სათნო არს ფრანგთა განსაწმედელი, რომელ არს ცეცხლი, პორლოტორიონ და უცომოებისა და პაპისა მთავრობისა და კვალად სხვა მრავალი.

გამოვიდა კვრიაკე და ორშაბათს განთიად, ივნისსა რვასა მოვიდნენ ესე ათნი ბერძენნი სიტყვისა საგებელად წინაშე პაპისა და აღმოიკითხეს კელით წერილი კრებისა და სარწმუნო იქმნენ და აღდგენ მუნით მსხდომნი და ამბორს უყვეს

ურთიერთას და მრავალი სიხარული იქმნა და ვითარ მოიწია ჟამი სამკრობისა, აღდგენ ათნი ბერძენნი და წარვიდენ სახლსა თვისსა და დავედრა პაპამან ამათ, უკმო, იქცენ ჟამსა ოცსა. ნუუკუჭ აღვწეროთ წიგნი ესე ენისაებრ ჩვენისა, რათა აღმოვიკითხოთ წინაშე ერისა ამის ჩვენისა. ესრეთ შეიქმნეს. ესე ვით იქმნა, ჟამი ოცი, შევიდნენ და აღმოვიკითხეს ერთობა ელენურად და ფრანგულად და იქმნენ სარწმუნო და კუალად იამბორეს ურთიერთას მთელითა ამბორითა და წარუგზავნა პაპამან მეფეს ვალესან კრონელი, ხორიტოურე და თომა დიდასკანელი და თქვეს ამათ აღმოვიკითხვა მათი და შეიქმნა დიდი სიხარული და სამშაბათს დილას შესთვალა პაპამან მეფესა და თქვეს, რომელიმე ეპისკოპოსთა იუბნონ პაპასთანა და ინება რუსმან, ნიკიელმან, ტრაპეზუნტელმან, მიდიელმან და მივიდნენ და თაყვანისცეს მათ და თქვეს მათ წინაშე: „ჩვენ მადლით ღმრთისათა ერთ ვიქმნენით და ერთ განზრახვა, რომელიცა გვაქვს სულისა წმიდისა გამოსვლა და აწ ვიტყვი, რომე ერთი ნება ვიქმნეთ ამას ტახტსა ზედან სამოციქულოსა ძველისა და უცომოებისა და განსაწმედელი ცეცხლისა და წარვიდეთ მეფესა თანა და კრებასა და თქვენისაებრ სამართლისა აღიარეთ და ჩენცა გვაუწყეთ ეგერეთ“, გამოვიდნენ რა პაპისაგან და მოახსენეს მეფე-პატრიარქსა და კრებასა და მწუხრად ოთხშაბათად მოვიდა მსწრაფლ სიტყვა, ვითარმედ მიიცვალა პატრიარქი და შეიქმნა გლოვა და მიიწივნენ ხილვად და მიზეზი მიცვალეებისა მისისა გამოვიკითხეს. მოახსენეს, ვითარმედ ისერებდა რა და შევიდა სენაკად, ვითა ჰქონდა ჩვეულება, აღილო ქალაღი და კალამი და დაწერა და წერაში ათრთოლდა კელი მისი სნეულებისაგან და წერასა შინა განუტევა სული, ხოლო იპონეს წერილი, რომელი დაწერა ესრეთ: „იოსებ, წყალობითა ღმრთისათა, მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და ყოვლისა სოფლისა პატრიარქი, ვინათგან მოიწია აღსასრული ცხოვრებისა ჩემისა და მივცე ვალი სიკუდილისა, დამიწერია და აღვწერ და გამოვაჩინებ გონებასა ჩემსა, რაოდენიცა მქონდა განზრახვასა ჩემსა.

ირყეოდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ძველისა რომისაგან და შევისმინეთ და დავრწმუნდით სანატრელისა პირველისა მამისა და ბრწყინვალისა არქიერისა მაგიერი უფლისა ჩვენისა იესო

ქრისტესი, პაპა ძველისა რომისა აჰა, აღვიარებ და პირველად აღვიარებ, ვითარმედ არს ადგილის მაგიერ სამღთოსა პეტრესა, ამისთვის აღვწერე ესე აღვიარება, ივნისის ცხრასა, წელსა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა წელსა, რაოდენიცა ითხოვეს ფრნაგთა ბერძენთა ეკლესიისაგან. ნება ვქენით და შევერთდით“ და ხუთშაბათსა დილას შეკრბენ მეფე და არქიეპისკოპოზები ყოველნი და ყოველნი კრებანი მისნიკელისა პატრიარქისასა, რათა მოიღონ და მიუთხრან პაპასა, რათა მისცეს საფლავი ტაძარში უდიდებულად და მსწრაფლ მიიღონ მიწა მიწასა და გამოკდა ცხრა ჟამი დღისა. მაშინ მივიდნენ და მოიღეს პატრიარქი და ყოველნი არქიერნი იყუნენ შემოსილ და მიიწივნენ ტაძარსა წმიდისა მარიას ნოველისასა ეკლესიასა შიგნით აღიგეს წესი და უამბორეს. მაშინ დამარხეს მუნ კერძოსა სალაროსასა სამხრეთისაკენ. მრავალი დიდება მიუძღვანეს კარდინალთა პატრიარქსა მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველთა სამღდელოთა ყოველთა ფლორენცისა თავადთა სიკუდილისათვის მუნ მისისა.

თვესა ივნისსა ათსა, ინდიქტიონსა მეორესა დაიმარხა ტაძარსა მას შინა და ვითარცა მიიღეს პატრიარქი, უბრძანა მეფემან და კრებამან პაპასა, რათა აღსრულდეს კრება, ვინათგან აქ დგომა აწ შეუძლებელ არს აწ ჩვენგან უფროს, ამისთვის რომე არღარაა პატრიარქი. ისმინა პაპამან სიტყვა ესე, მიუმცნო რუსსა და ნიკიასა და მიდილინელსა და წარვიდნენ დღსა მეორესა პატრიარქისა სამძიმარსა. ეტყოდა მათ პაპა ამისთვის უფრო, რამეთუ განუშოებელ იყო საქმე მათი და საცილებელი არღარა დაშთეს, ამისთვის მომჭირნედ ყოფასა აზრახებდა დაწერილისათვის თუ უწერელისა და მოახსენეს ამა მიტრაპოლიტთა პაპასა, ვითარმედ: „ჩვენ ჩვენის თავი არ ძალგვიც თვინიერ კრებისა ჩვენისა სიტყვისა მოხსენება“ და წარმოვიდნენ თვისად კრებად და მოახსენეს ესე მეფესა და კრებასა და არა ქმნეს ესე სრულიად და შეკრბნენ კრებანი ორგზის და სამგზის, რომე ამისთვის პირობა შეკრიბონ და არა ყვეს შემდგომად კუალად შეკრბნენ და პირველისა საქმისათვის შეკრბენ და მრავალი იუბნეს და პაპის უფროსობისათვის უფრორე ვერა სწორედ განარჩიეს და მაშინვე მეფემ მიუგო პაპასა: „ჩვენ არცა ერთსა სიტყვასა ვიტყვით, არამედ მოიწია დრო წარსლვად და წეს არს, რათა მომზადება ვყოთ და წარგუგზავნოთ“ და მიუგო პაპამან სიტყვა მეფესა, ვითარმედ: „ამისთვის ვილუწიდი და აწცა ვილუწი. წარგზავნეთ კაცი ვენედიკს, რათა კატარღანი მოამზადონ. წარგზავნეთ აწ თქვენცა თავადნი თქვენნი და ჩვენცა

მიუწერთ წიგნსა კაპუტანთა, რათა მზა ყონ კატარდა, არამედ ვევედრებით მეუფებასა თქვენსა, რათა დრო გვცეთ აქა, ვიდრემდის ღმერთი ამა საქმესა აღასრულებდეს და ხარჯს მოგიძღვნით ვიდრე ვენედიკამდის და შეწევნასაც, ვიდრემდის სტამბოლსა მიბრძანდეთ. ამისთვის ნუ იურვის მეფობა თქვენი“ და შემდგომად სიტყვისა ამის დაიკვნა კრება და წარვიდენ თვისად ადგილად.

ხვალისათვის შეკრბნენ ბერძენთა კრებულნი პალატსა მეფისასა და შუა შემოვიდა სიტყვა, თუ რასა ითხოვენ ლათინნი ჩვენგან და რა სწადსთ და მრავალი საუბარი განაგრძვეს, არამედ ამა სარწმუნო იქმნენ თქმულსა ლათინთასა და თქვეს: „კეთილ არს ფრიად ნება მათი“ და გამოვიდნენ მეფისაგან და წარვიდნენ ივნისსა იზ (17), ოთხშაბათსა საფლავსა პატრიარქისასა და გარდაიკადეს კულად წესი სამკუდრო. შემდგომად აღდგომისა აწვია მეფემან ირაკლისასა თავისა თანა და ეფესოს და რუსსა და ნიკიისასა და მიიწივნენ პალატსა მეფისასა და ენება მეფესა, რათა ესე ოთხნი არქიერნი სხვასა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა თანა ერთ იყოს, რათა საწადი ფრანგთ ამათ თანა სარწმუნო იქმნენ და ირაკლისა ირწმუნებდა, ხოლო ეფესელი არა სადა ინებებდა მათსა განზრახვასა, ამისთვის არა ენება სმენა მათ თანა და გამოვიდნენ მეფისაგან და მოიწია დღესასწაული ნათლისმცემლის შობისა. ვინა ფრიადცა დღესასწაულობდენ ბრწყინვალედ და დიდებულად და შემდგომად ამასა თვესა ივნისა ოცდახუთსა მიიწია მსწრაფლ რუსიელი, ნიკიელი და მიდილინელი და სხვაცა მრავალი და ეზრახნენ პაპასა, შეკრბნენ და ერთობდენ ორნივე მარტოდ დაამკიცებდენ. ბრძანა პარასკევსა კვ (26) ივნისისასა შეკრბნენ ორნი კერძონი კრებანი პალატსა პაპისასა და დაიწყეს მას წინ ვინა განვლო მრავალმა ჟამმა და პაპას ჰქონდა პური შაქრისა და ტკბილნი სანოაგენი და ღვინო და ისერეს ყოველთა, ხოლო დაიხსნა კრება და მივიდნენ პალატსა მეფისასა ყოველნივე კრებანი ესე და ყოველთა ერთად დაამტკიცეს პირი თვინიერი ეფესელისა და სარწმუნო ქმნეს ყოველთა სათხოველი მათი. პირველად აღიარეს პაპა თავად პატრიარქად და მაგიერად დამცველად ქრისტეს მიერ და მწყემს და მასწავლებელ ყოველთა ქრისტიანეთა და მოურნე ეკლესიისა ღმრთისა, სიმტკიცე რჯულისა და მართლმადიდებელი, აღმოსავლეთისა პატრიარქი აქათ ეკლესიისა და პატრიარქი



კოსტანტინეპოლისა, შემდგომად ამისა მეორე იქმნას, მესამედ ალექსანდრიისა, მეოთხედ - ანტიოქიისა და მეხუთედ - იერუსალიმისა და აღიარეს ესეცა კუალად კუალად სული წმინდა მამისაგან და ძისაგან გამოსვლით და უცომოსათვის და განსაწმედელისათვის ცეცხლისა. ესენი ყოველნივე დაწერეს და აღიარეს, ხოლო მეფემან და პოტოროტთა პატრიაქებისათა და სხვათა მიტრაპოლიტთა და მღდელთა და ყოველთა კრებათა თვინიერ ეფესელისა. მან არა აღიარა.

ამისა შემდგომად შაბათსა დილასა წარვიდნენ ყოველნივე კოსტანტინეპოლისა მიტრაპოლიტნი ეკლესია ნოველსა, რომელიცა იყო საფლავი პატრიარქისა და კუალად წესი მოხსენებისა აღასრულეს და გამოვიდნენ რა რუსი და მიდილიელნი მივიდნენ პაპასა თანა და მოახსენეს ესე: „აჰა, მშვიდმან მეფემან და ყოველნი მისთა კრებანი და დაშვნა ამის საწადელისა, რაოდენიცა ნება თქვენი იქმნა, ყოვლად სანატრელო და ნება ბრძანებისა თქვენისა ვყავით და უკეთუ გუქონდეს ჩვენცა სათხოველი რამე, ვითხოვთ თქვენისა ყოვლად სანატრელისაგან. ამას დაუტეობთ და წავალთ. კატარღანი მდგომნი ვენედიკს ისწრაფიან წარსვლად, არამედ მრავალ რიგი საუბარი გაგრძელდა და რა შეიქმნა ერთობა და მოიწია პირველ მოციქულისა პეტრესი და პავლეს დღესასწაული და თქვენ, ვითა ხართ ადგილსა მათსა, რომელიცა მათ მიიღეს დაუჭნობელი გვირგვინი, თქვენ, ყოვლად სანატრელამან, დღესა ამას დღესასწაულსა სწირეთ გვირგვინი და ჩვენცა თქვენ თანა ერთობით შევსწიროთ მსხუერპლი საიდუმლოსა და აღმოვიკითხოთ წიგნი, დავთარი ერთობისა“, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, ფრიად სთნდა და აღივსო სიხარულითა და მრავალს მადლს მოახსენებდა მეფესა და კრებასა და მიტრაპოლიტთ. რა აღასრულეს სიტყვანი ესე, მოიწივნენ და აუწყეს მეფესა და კრებასა რაოდენიცა ბრძანა პაპამან და მწუხრად პაპიდამ მოვიდნენ მეფეს თანა კრიტელი, როდონელი და უთხრეს მეფესა. აღსარება, ერთობისა დაამტკიცეს და ხვალისა იყოს ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად, რომე ყოველთავე კელი ჩავრთოთ და უკეთუ მიიწივნენ დღესასწაულსა მოციქულთასა, წირვა და ერთობა განცხადდეს. მას დღესა კუალად შეკრბენ მეფე და პაპი კრებასა შორის ორთავეთასა და შუა შემოიღეს კუალად სხვა სიტყვა პაპისათვის და მეფისა, თუ ვითარ სიმადლით დასწერონ. ამას ზედან ირყეოდენ დღითიდღე, თუ რომელი უფროსად დაწერონ და ბოლოს ერთობა ქმნეს და ივლისსა ოცდაოთხსა, დღესა შაბათსა, ბრძანა მეფემან, გამოარჩიონ ფრანგთა ექვსი ფილასოფოსი და ექვსი

ბერძენთა, რომე დასწერონ რიგი და ერთობა. მარჯვენით დასხდენ ფრანგნი და დაწერონ ფრანგულად. პაპამან ჩართოს კელი და ყოველთა მისთა კრებათა, მარცხენით კერძო დასხდენ ბერძენნი და დაწერონ ელენურად და ყოველთავე შთაიწერდენ, რაოდენიცა აღმოსავლეთისა ეკლესიათა კრება ქნეს და ოდესცა აღწეროთ, ოქრო ბეჭდითა დავბეჭდოთ და დავიკიდოთ ოქროთა ჯაჭვისა და დასხდენ ამა შაბათსა დღესა, ოთხსა ივლისსა ეკლესიისა წმიდისა ფრანჩისკოსასა. ამა ეკლესიისა იყვნენ ფილასოფოსნი იგი და დაწერეს ერთობისა წიგნი ელენურად და ფრანგულად ბრძანებითა მეფისათა და კვირასა დღესა კელჩართულ ყვეს და დაბეჭდეს. ორშაბათსა, ივლისს ექუსსა დიდად აღსრულდა და დაიბეჭდა და დამტკიცდა ერთობა ეკლესიათა და მიიწია პაპა მეფესა თანა და ყოველნი სამღდელონი ჯვარშემოსილნი მთავარნი მღდელნი და მღდელ-მონაზონნი, დიაკონნი და მგალობელნი და სხვანი მრავალნი დიდებულნი და ყოველნი ერნი ეკლესიისა წმიდისა მარიასა და იყოს წირვა და შეიმოსნენ ყოველნივე ბერძენნი კრებანი დიდისა დიდებითა და ბრწყინვალეებითა. ჰ, ღვთისა განგებულება, ვინმცა იყო შემძლებელ აღმოწერად ერისა მისისა, რომელიცა შეკრბენ საიდუმლოსა მას წირვასა, რათა ისმინონ ერთობა ორთავე ეკლესიათა და რა აღსრულდა წირვა, ბრძანა პაპამან, რათა აღმოკითხონ ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად. ფრანგულად აღმოკითხა კარდინალმან წმიდის სვინის იულიანოსმან და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიელმან ბესარიონ, რაოდენიცა დაწერეს ყოვლისა სოფლისა კრებასა ფლორენცისასა. ევგენიოს, ეპისკოპოსი, მონა მონისა ღვთისა მსგავსად საქმისა მხედველი, ერთად მქნელი წერილისა ამის საყვარელისა, შვილისა ჩვენისა იოანე პალეოლოლოსა, გამოჩინებულისა მეფისა ბერძენთა და პოტირიტთა ღირსთა ძმათა ჩვენთა პატრიარქთა და სხვათა აღმოსავლეთისა ეკლესიათა მუნით იხარებენ ცანი და განსცხრების ქვეყანა და იკსნა შუა კედელი მტერობისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა გაერთებისა. მოიწია მშვიდობა და ერთობა ძვირსა ფასისა ივლისა. ქრისტესი შეიქმნა კეთილი სიყვარული და ერთობა საშინელისა, ღვთისაგან შეერთდება ორი კედელი. ერთად შეასწორა მტკიცედ შეკრული, რომე გვაქვნიდეს ერთობა უცვალებელი და გრძელსა მას სიბრძნესა და წელსა რომელ აღვასრულეთ მჭმუნვარენი. აწ სიხარულსა

მოვიწინით ყოველსა ქვეყანასა შარავანდნი ერთობისა ამის ბრწყინვალითა და იხარეს დედა ეკლესიათა და მენი მისნი აწ და ვიდრე უკუნისამდე ურთიერთას ერთობისა სიყვარული არა განემორება ამა პირობისა და მშვიდობა აღდგა ზეგარდამო ზეგარდამო და პირველ ჩვენსა გაყრილნი უწყალოდ ტიროდენ წინანდელთა სასწაულთა. იქმნა ერთობისა სიხარული ზეგარდამო. მადლობა ღვთისა, ყოველნი ყოველნი იხარებდით ბრძანებასა ყოვლისა სოფლისა სარწმუნოებასა და ქრისტეს აქეთ გამორჩეული დედა კათოლიკე ეკლესიისა განიხარებს. მრავალი სხვა დაეწერა იმა წიგნსა და დასასრულსა იტყოდა: „მოეცა ფლორენცას უეჭველი ერთობა და სარწმუნოება სრული წელსა ექუსსა განკორციელებიდამ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა, ივლისსა ექვსსა, დღესა ორშაბათსა. აღწერილი მეფისა და აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა და სხვათა სამღდელოთა დასამტკიცებლად სიწმიდისა ამის ერთობა ეკლესიისა.

იოანე, ქრისტეს მიერ ღმრთის მორწმუნე მეფე და თვითმპყრობელი ბერძენთა პალეოლოღოს, მდაბალი მიტრაპოლიტი ირაკლისა, რიტორი, დიდი არქიერი ყოვლისა საფრანგეთისა და მაკედონისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედან მჯდომარისა ყოვლად წმიდისა პატრიარქისა ალექსანდრისა უილოთეოსისა პარათსიგელოს, მოძღვარი გრიგოლიოს და მღდელ-მონაზონი ყველას ვარ თავი, ისიდორე მიტრაპოლიტი კიევისა და ყოვლისა რუსეთისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედა მჯდომარე უფლისა დოროთეოსი უცილებლად ყოვლისა ერთა მდაბალი მიტრაპოლიტი მონემავარისა და პოტირიტი სამოციქულოსა იერუსალიმის ზედან მჯდომარისა იოვაკიმისა დავწერ. დოსითეოს, მეცა უცილობლად ვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი კვიზიკოსი მიტროფანე ჭემმარიტითა გონებითა აღვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი ტრაპეზონტისა დამპყრობელი კესარიისა დოროთეოს, მართლიად აღვწერ, ბესარიონ წყალობითა ღვთისათა არქიეპისკოპოსი ნიკიისა და მპყრობელი სარდეოს მარღლიად აღვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მაკარიოს მართლიად აღვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მდურნოვისა და ადგილთ მპყრობელი ნიკოდიმოსი ეგნატი აღვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მიდილინისა დამპყრობელი ადგილისა სიდისო დოროთეოს სრულიად აღვწერ, მდაბალი მოლოვლაზველისა და მპყრობელი სევასტისა დამიანოს სრულიად აღვწერ და ყოველნივე აღმოსავლეთისა ეპისკოპოსნი, კარდინალნი, მღდელნი და დიაკონნი და ყოველნივე სამღდელოთა

კრებანი წარვსწერთ. ესენი და ამას ზედან წერილნი წარიკითხეს ფრანგულად წმიდისა საბინისი იულიანემა და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიისამან აღმოიკითხა და ჩვენ უამბორეთ ურთიერთას. მოიღეს სამდღელთმთავრო შესამოსელი და სამდღელო და სადიაკოვნო და გალობდენ მგალობელნი ბერძენნი და იხარებდეთ ცანი და შემდგომი დიდებისა და აწ და მარადის დიდება მაღალთა შინასა.

დღეს მდაბალმან უფლისა წმიდისამან შეგუკრიბნა. აღასრულეს წირვისა საიდუმლო, წარვიდენ თვისა სამეუფოსა, ვინათგან ესენი იქმნა და აღსრულდა, მშვიდობა იქმნა ორკერძოვე. გამოვიდეს დღენი თვესა ივლისსა იდ (14), დღესა სამშაბათსა პაპამ მოიკმო პალატსა თვისსა აღმოსავლეთისა არქიერნი და მივიდნენ უმრავლესნი და დარჩნენ ზოგნი, ვინცა მიიწივნენ ერთსა ადგილსა და დაადგინნა და საიდუმლოდ მიუთხრა: „ჩვენ, ძმანო, სჯული გავაერთეთ მადლითა თვთისათა, ხოლო უყწის ღმერთმან ყოველი გონება კაცთა, მე მხოლოდ დავდეგ თავად გონებასა თქვენსა და ვიღწვი, რათა წარგიძღვე და გასწავებდე, რომელიცა არს სარწმუნოებისა და ეკლესიისა, ვითა ძმათა ძველიცა და აწცა ჩვენ გვემცნობა ეკლესიისა ყოვლად წმიდა ძმა ჩვენი კოსტანტინეპოლისა პატრიარქი მიიცვალა კეთილსა შინა და ეკლესია პატრიარქსა ევედრა, ამისთვის განიგულა საქმე ესე, რათა აქათგან კურთხეული წარვიდეს პატრიარქი, რადგან მეცა აქ ვიმყოფები არათუ კორციელსა რასამე სანუკვარსა ველი, გინა ოქროსა და ვერცხლსა, ამისთვის არარას დაუურვებ, არამედ წყალობითა ღმრთისათა სავსე ვარ, არამედ მოვცე და განკდეს კმა ერთობისა და სიმტკიცისა ჩვენისა, რათა კურთხეულ არს პატივი მივინიჭო და ეკლესიასა საკმარ-ვყო. ვიტყვი, ვითარმედ პატრიარქი აქ განვაწესოთ, რომელი არა რას დააბრკოლებს და არცა რას უწესურს შემოიღებს. აქ არის მეფე და ყოვლისა სოფლისა კრებანი და მეცა პაპა აქ ვიმყოფები და ყოველნი რჩეულნი არქიერნი აქ იმყოფებით. რა დააბრკოლებს აქა ამა საქმესა. არის წესი და ღირსი, რათა აქ ეკურთხოს პატრიარქი, რომე აქათგან უკურთხავი არ წახვიდეთ, ნუთუ“ და მიუგეს სიტყვა მიტრაპოლიტთა: „რომელიცა სიბრძნემან თქვენმა ბრძანა კეთილი, არამედ ამად ვერ შემძლებელ ვართ. ამისთვის იტყოდა, არამედ სხვანიცა არიან კრებანი და მდღელთ-მთავარნი ჩვენნი და გვივის მეფე და მათ

ვეტყვით ამა ბრძანებასა თქვენსა და რაოდენსაცა იტყვიან, მომკსენე ვიქმნებით წინაშე თქვენსა“ და გამოვიდნენ პაპითგან და წარვიდენ წინაშე მეფისა და მოახსენეს მოახსენეს სიტყვა პაპისა, ვითარმედ პატრიარქსა დასმას ილწვის პაპა და მიუგო მეფემ სიტყვა და წარვიდენ წინაშე პაპისა, ვითარმედ არს ჩვეულება ჩვენი, რათა შევრკბეთ ქალაქსა ჩვენსა კოსტანტინეპოლსა და მუნით განვარჩიოთ კაცი საპატრიარქო. ჯერ არს კურთხევა მისი, ვინა ამას შემძლებელ ვართ ჩვენ, რომელიცა იცოდა წესი ეკლესიისა კოსტანტინეპოლისა და ოცსა ივლისსა, დღესა სამშაბათსა ირაკლიას კვიზიკოსი ტრაპეზონტისა მონევმასიასა, ნიკომიდიასი და დრამასა და სხვანიცა კლირიკოსნი და ერისკაცნიცა მივიდნენ ორმოცდაათნი, რათა კელწერილნი წიგნი წარმოიღონ სამი და წარგზავნონ ერთი ალექსანდრიას, ერთი - ანტიოქს და ერთი - იერუსალიმს, ხოლო წიგნი ელენური მოიღო მეფემან და ფრანგული პაპამან და წიგნი სხვათა პატრიარქთა წარველინოს, ეგრეთვე სრულიად აღსრულდა მათი ერთობა, ხოლო მეფემან და ყოველთა კრებათა იწყეს წარსვლად ფლორენციით და მიიწივნენ ვეციად და მოეგებნენ პრინციპა თვისითა საბატონოთი და ამბორის ყოფით შეიყარნენ და პატივსცეს ფრიად და მიუძღვანეს ძღვენი და საკმარნი ფრიად და ვენედიკითგან მიიწივნეს კოსტანტინეპოლეს, ტახტსა ზედან იყვის და ნიკიელი ბესარიონ, რომელი საიდუმლოდ კრებაში იქცეოდა, ცხადად არ აღიარებდა, რამეთუ იყო ფრიად ფრანგთა შემწე, საჯაროდ აღიარებდა, ვითარმედ ვიდრე ბერძენთა ეკლესიისა არს და ოდესცა ინება, მაშინ გამოაჩინა გონებისა თვისისა წადილი, რამეთუ იმტკიცებდა, როდესცა იტყოდენ, ფრაგნი ამისთვის გაიძება გარნა მიტრაპოლიტნი და არ იცოდენ განზრახვა მისი და ოდეს წაბრძანდა მეფე თავისისა კრებითა, პაპისა თანა მდგომ იქმნა და უბრძანა კარდინალობა და კვალად საფასეცა დიდძალი და შემდგომად აკურთხა პატრიარქად კოსტანტინეპოლისა, არათუ წარვიდეს კოსტანტინეპოლის და მუნ დაჯდეს, არამედ იმყოფებოდეს ძველსა ჰრომს, რათა ჰქონდეს სახელოთ ადგილი კოსტანტინეპოლისა, ოდესცა იქმნებოდეს კრება და საქმე ეკლესიისა, დაჯდებოდეს ადგილსა მისსა, უკეთუმცა კოსტანტინეპოლის წასულიყო, ქვით დაიქოლებოდა მღდელთა და ერთაგან. შეიყვარა დიდება კაცთა და განემოსა დიდებასა საუკუნოსა და ეფესელმან უფალმან მარკოზ არა სწადდა ერთობა ფრანგთა თანა და შეშინდა, ოდეს პაპა სწირვიდა, შეერთების წიგნი წარიკითხოდა, პირველადვე განვიდა იდულამ ფლორენციით და მიიწია კოსტანტინეპოლის, ხოლო

მეფე, ვიდრე ორნი ჟამნი დაყო მიწვევანდმდე კოსტანტინეპოლისა და მიიწია თვინიერ პატრიარქისა, ვითა აღსრულებულ იყო და დედოფალი მარიაცა აღსრულებულ იყო, ფრიად მწუხარე იქმნა და სხვაცა დიდებულისა ცოლი აღსრულებულ იყო, რომელი იყო ასული ყანდალუგუისი და მთავარნი დიდისა ეკლესიისა კოსტანტინეპოლის წინამძღვარნი და მღვდელნი არ ინებებდენ ამათ თანა წირვად და მოხსენებად და ვითა მწვალელები ეგრეთ შეერაცხათ და მავალთა განუტევენს წირვანი, რათა მათ თანა ჟამისწირვად არ დადგნენ და არა შეერთდენ ეკლესიანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქნა განყოფილება ურთიერთას და რაოდენცა ერთობა ქნეს მეფემან, პატრიარქმან და კრებემან დიდმან ეკლესიისამან არსთა თანა იყო, რამეთუ პაპამან ევგენიოს, რომელმან ქმნა კრება იგი, აღსრულებულ იყო და დამჯდარ იყო პაპად ნიკოლაოზ და ვითარცა ცნეს ესე, ვითარმედ კოსტანტინეპოლის ეკლესია არა სარწმუნო არიან კრებისა ფლორენცისასა, შთაჯდა ხომალდთა და მიიქცია კოსტანტინეპოლის, პირსა უკადრისსა და წარუგზავნა მეფეთა და მთავართა, რათა ნება სცეს შესვლად კოსტანტინეპოლედ, დიდსა ეკლესიისა, ამისთვის, რათა აწ იწყონ კრებად, თუცა ფლორენცას კრებასა აკლდა, ამათ არა ინებეს ესე და არცა ხილვა იწადეს, ვინათგან პაპმან ესე შეურაცხებით გაყრა იხილა, შეაჩვენა და აღდგა კატარლითა და წარვიდა და ცნეს ესე კოსტანტინეპოლისა მთავართა და მიტრაპოლიტთა, ვითარმედ პაპამან შეაჩვენა, ამათაც შეაჩვენეს პაპა და მიიწია პაპა მთაწმიდას მონასტერსა ვათოპეტსა და წინამძღვრი არა ინებებდა ხილვასა და პატივსა მისსა და დაიპყრნეს წიმანძღვარნი და მონაზონნი და სატანჯველნი მიუპყრო და ზოგნიცა აღსრულდენ და მონასტერსა შინა იავარყო ცხოვრება მათი და მუნით მიიწია წმიდად ლავრად და წირა, სადაცა არა პატივსცეს, მრავალი ბოროტი მოაწია, აღდგა მთაწმიდით და მიიწია რომს, რაოდენიცა აღუთქვეს შეწევნა ჰრომისა ეკლესიამან მეფესა, არღარა ინებეს მოცემა, ამისთვის რომე პაპას ერთობა და შეწყნარება არა აჩვენეს თვინიერ პატრიარქისა. იყო მოძღვარი ერთი, სახელით გრიგოლი, წმიდა და ღირსი იყო სვინადუკისა და აღიყვანეს უნებლიეთ და აკურთხეს პატრიარქად. ამაში გამრავლდა შფოთი დიდ-დიდნი. ამისთვის დადგა პატრიარქმან, უთხრა დიდს დუკას ამბავი მრუდად. ამათ ჟამთა თათარნი

აღიღებდენ კოსტანტინეპოლის და ძეთა თქვენთა წინაშე თქვენსა ამოსწყვეტდენ და მერმე შენცა, მაშინ მეფე სნეულებდა, რამეთუ ასნი ძვალნი სტკიოდეს ჳელთა და ფერჳთა. ამა სნეულებისაგან მოკუდა და დაიჳსნა ყოველნი ასონი მისნი მის სნეულებითა.

ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კოსტანტინეს საფლავზე, რომელიცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კოსტანტინეპოლისა მასწავლელმან. პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე დათრგუნოს ნათესავი პალეოლოლოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და იმეფოს იმან გარეთ ნათესავნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ჭალაკნი აღაოკროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დალმატელნი და ებრძოლნენ დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი გამრავლდეს ზღვასა ზედან და ჳმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედ ჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ისი შვიდნი სამთავრონი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად დიდ დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და ჳმა ისმეს სამგზის: „დეგით, დეგით შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენიერი, საკვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას რა მიიღებთ ნებასა ჩემსა იქმთ.

ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოლოსა, რომელნი თარგმნა ბერძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა.

